ISSN 1512-09-53

ქართველური მემკვიდრეობა

KARTVELIAN HERITAGE

XII

2008

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Akaki Tsereteli state university

ქართველური მემკვიდრეობა

XII



ქუთაისი
2008
Kutaisi

81.2 UH
809.463.1-800.87
ქ.279

"ქართველურ მემკვიდრეობაში" ქვეყნდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმზე ("ქუთაისური საუბრები") წაკითხული მოხსენებები და რეცენზირებული ქართველოლოგიური (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები.

სარედაქციო საბჭო:

იოსებ ასათიანი (ინგლისური ტექსტის რედაქტორი), თამაზ ბერაძე, მერაბ ბერიძე, თეიმურაზ გვანცელაძე, როზეტა გუჯეჯიანი, ეკა დადიანი (სწავლული მდივანი), რუბენ ენოხი, ქევინ თუითი, როლანდ თოფჩიშვილი, მერაბ ნაჭყებია, ავთანდილ ნიკოლეიშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), მანანა ტაბიძე, ტარიელ ფუტკარაძე (მთავარი რედაქტორი), გიორგი ქავთარაძე, მარინე ქაცარავა, რევაზ შეროზია, ნინო ჩიხლაძე, ბეჟან ხორავა.

რედაქციის მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, თამარ მეფის 59
აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი, ტელ.: 4-28-83
ელ-ფოსტა: kartvelology@posta.ge
ვებ-გვერდი: www.kartvelology.ge

© გამომცემლობა "ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი", 2008

"Kartveluri Memkvidreoba" (Kartvelian Heritage) publishes the papers of the "Kutaisi Discussions", annual symposia held by Kartvelian Dialectology Research Institute at Akaki Tsereteli State University (ATSU) and other reviewed research papers in Kartvelology, literary studies, folklore, historiography, culture studies, ethnology, etc..

EDITORIAL BOARD:

Ioseb Asatiani (editor of the English texts), Tamaz Beradze, Merab Beridze, Teimuraz Gvantseladze, Rozeta Gujejiani, Eka Dadiani (scientific secretary), Ruben Enokhi, Marine Katsarava, Giorgi Kavtaradze, Merab Nachkebia, Avtandil Nikoleishvili (managing editor), Manana Tabidze, Roland Topchishvili, Kevin Tuite, Tariel Putkaradze (Editor -in chief), Revaz Sherozia, Nino Chikhladze, Bejan Khorava.

Address of the Editorial Office; 59, Tamar Mepe str., Kutaisi

© Kutaisi State University Press, 2008

შინაარსი

ლია ახალაძე - აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხისათვის 9
Lia Akhaladze - For Classification of Some Issues of Abkhazia's Epigraphic Monuments..... 14
ნომადი ბართაია - ქართულში შემოსული არაბულ-სპარსული ლექსიკიდან იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის" მიხედვით..... 15
Nomadi Bartaia - Borrowings from Arabik-Persian vocabulary according to the Ioseb Grishashvili's "Kalakuri Dictionary" ("City Vocabulary")..... 18
თამაზ ბერაძე, ბეჟან ხორავა - ქართული სალიტერატურო ენა და ქართული კულტურა — საქართველოს ყველა ეთნოგრაფიული მხარის შემოქმედების ნაყოფი..... 19
Tamaz Beradze, Bezhan Khorava - Georgian literary language and culture as the common creative product of all the ethnographic part of Georgia..... 30
მერაბ ბერიძე - აწყურის ეტიმოლოგიისათვის..... 31
Merab Beridze - About Atskuri Etymology..... 36
ევგენი ბლიაძე - საქართველო ეკატერინე მეორისა და ვოლტერის მიმოწერებში..... 37
Evgeni Bliadze - Georgia in Ekaterina II and Voltaire's correspondences..... 41
ნაზი ბუღაძე, ცოტნე კაკულია, იგორ კეკელია - აბედათის მიკროტოპონიმთა ხალხური მოტივაციისათვის..... 42
Nazi Bugadze, Tsotne Kakulia, Igor Kekelia - On the folklore motivation of Abedati micro place names..... 48
ელენე გეგეშიძე - კულტურა — მრავალმნიშვნელიანი კომპლექსური ფენომენი..... 49
Elene Gegeshidze - Culture – multi-content complex phenomenon..... 52
გვანცა გვანცელაძე - სოფელ კვიტოულის სახელის ეტიმოლოგიისათვის..... 53
Gvantsa Gvantseladze - On the Etymology of the village name "k'vit'ouli"..... 56
თეიმურაზ გვანცელაძე - ქართულ გვართა გავრცელების ისტორიული არეალი აფხაზური სოფლების მიკროტოპონიმთა მიხედვით..... 57
Teimuraz Gvanceladze - Historical Area of Georgian Surnames Diffusion According to Microtoponims of Abkhazian Villages..... 62
ირმა გოგოლიძე - ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება და ბათუმის ოლქის საკითხი..... 63
Irma Gogolidze - Brest-Litovsk peace treaty and the question of Batumi administrative unit..... 67
თამარ გუმბერიძე - მითი - მარადიული აწმყო და ეროვნული ცნობიერების საყრდენი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში..... 68
Tamar Gumberidze - Myth-Eternal present and national consciousness in Konstantine Gamsaxurdia's creation..... 72
როზეტა გუჯეჯიანი, როლანდ თოფჩიშვილი, ტარიელ ფუტკარაძე, ნოდარ შოშიტაშვილი, გიორგი ჭეიშვილი - ეთნოგრაფიული ზედა მაჭახელი..... 73
Rozeta Gujejiani, Roland Topchishvili, Tariel Putkaradze, Nodar Shoshitashvili, Giorgi Cheishvili - Ethnography of Zeda (upper) Matchakheli..... 87
ეკა დადიანი, მაია მიქაუტაძე - ქართულ-თურქული ენობრივ-კულტურული ურთიერთობებისათვის იმერხეულში (დალოცვა-წყევლის ფორმულების მიხედვით) 88

Eka Dadiani, Maia Mikautadze - On the Georgian-Turkish cultural relationships in Imerkhevian dialect (According to blessing and curse patterns).....91
დარეჯან დვალი-დემეტრაძე - ვაჟა-ფშაველასა და იოჰან ვოლგანგ ფონ გოეთეს შეხედულებები ბუნებაზე.....92
Darejan Dvali-demetradze - Vazha-Pshavela and Goethe's views about the Nature.....95
ლუკა დვალიშვილი, ვლადიმერ წვერავა - ქართული რომანის ტრადიციები და საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხები ნ. გაბაონის რომანში "აივნიანი ქალაქი".....96
Luka Dvalishvili, Vladimer Tsverava - Trditions of the Georgian novel and troublesome questions of Georgia's history in the City with Balconies by Nikoloz Gabaon.....102
ნინო ეჯიბაძე - ფშავური დაქადაგება და არაბული ზარი.....103
Nino Ejibadze - Pshavian Dakadageba and Arabic Zar.....107
ია ვაშაკიძე - ეროვნული თვითობის აღორძინების საკითხი აჭარაში ფრიდონ ხალვაშის რომანის - "ომრის" მიხედვით.....108
Ia Vashakidze - The question of restoring the national identity in Achara according to 'Omri,' Pridon Khalvashi's novel.....113
ნინო ვაშაყმაძე - პირველი საბჭოთა არჩევნები ქუთაისის მაზრაში (1922 წლის თებერვალი).....114
Nino Vashakmadze - The first Soviet election in Kutaisi Mazra (administrative district), in February 1922.....119
გოდერძი ვაჩრიძე - დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია რუსული მმართველობის მიერ.....120
Goderdzi Vacridze - Secularization of the Church Prooerty of Western Georgia by the Russian Rule (1870s-80s).....124
მზია თადუმაძე - საბჭოური დებულებების უარყოფა და „დროის ხარკი" მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტიკაში.....125
Mzia Tadumadze - Rejection of the Soviet statements and the demand of time in Mikheil Javakhishvili's publicistic papers.....128
როლანდ თოფჩიშვილი - ეთნიკური ურთიერთობები კავკასიაში (წოვა-თუშები).....129
Roland Topchishvili - Tsova-Tushs.....141
თინათინ თურქია - ერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ნორმობრივი საკითხისათვის ქართულში.....142
Tinatin Turkia - On the question of the norm of one type of form with auxiliary verbs in the Georgian language.....148
რუსუდან კაშია - ქართლ-კახეთის სამეფოს სავაჭრო ურთიერთობა ირანთან XVIII საუკუნის II ნახევარში (სავაჭრო ამხანაგობები).....149
Rusudan Kashia - Trade relationship of Kartlo-Kakheti kingdom with Iran in the late half of the 18th century (Trade associations).....153
იგორ კეკელია - -ონ//-ონა სუფიქსისათვის სამეგრელოს ანთროპოტოპონიმიაში.....154
Igor Kekelia - On -on//-ona suffixes in the anthroponomy of Megrelia.....158
სულხან კუპრაშვილი, მადონა რობაკიძე - რუსეთის იმპერიული პოლიტიკა და ქართული ავტოკეფალური ეკლესია 1801-1811 წლებში.....159
Sulkhan Kuprashvili, Madona Robakidze - Russia's imperial policy and the Georgian Church autocephaly in 1801-1811.....162

მარინე კუხალაშვილი - „მოგერისება“ ტერმინისათვის ქართულში.....163
Marine Kukhalashvili - "Mogeriseba" in Georgian.....165
მიხეილ ლაბაძე - ლაზური კილოების ხმოვანთა სისტემა.....166
Mikheil Labadze - Vowel system of Laz dialects.....174
თამარ მამარდაშვილი - ბრუნებადი მეტყველების ნაწილები ანტონ I-ის ქართულ გრამატიკაში.....175
Tamar Mamardashvili - Parts of speech with declensions in Anton I's the Grammar of Georgian Language.....181
მაია მაჭავარიანი, ჰარუნ ჩიმძე - შე-+ჰ/ს+R მიმდევრობისათვის.....182
Harun Chimke, Maia Machavariani - The followers of She-s and H-S+R.....186
მამუკა მენაბდე, დავით მინდიაშვილი - ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების ისტორიიდან XVI საუკუნის დასწყისში.....187
Mamuka Menabde - From the history of the internal political relationships between Georgian kingdoms and principalities in the beginning of the16th century.....193
მამუკა მენაბდე, დავით მინდიაშვილი - იმერეთისა და სამცხის ურთიერთობის ისტორიიდან XVI საუკუნის 30-40-იან წლებში.....194
Mamuka Menabde, David Mindiashvili - From the history of the relationship between Imereti and Samtskhe in the 30- 40s of the 16th century.....199
რუსუდან მიქაუტაძე - ქუთათური პრესა და ქართული ენის დაცვისათვის ბრძოლა (XX ს. 10-იანი წლები).....200
Rusudan Mikautadze - Georgian press media and the efforts made for the purity of the Georgian language.....206
მალხაზ მურუსიძე - ჭელიშის მონასტრის ისტორიიდან.....207
Malkhaz Murusidze - From the history of Tchelishi monastery (monastery heads).....212
მერაბ ნაჭყებია - თანჯ- ფუძის ისტორიულ-სემანტიკური ანალიზი.....213
Merab Nachkepia - Historical and semantic analysis of Tanj- root.....215
ნორა ნიკოლაძე - თქმულება-გადმოცემები თერჯოლის რაიონის სოფლების - ჩხარისა და ახალი თერჯოლის მკვიდრთა გვარების შესახებ).....216
Nora Nikoladze - Stories of oral traditions about the family names of residents of the.....223
ავთანდილ ნიკოლეიშვილი - ჰაზირა.....224
Avtandil Nikoleishvili - Hazira.....235
ოთარ ნიკოლეიშვილი - ალექსანდრე მანველიშვილი და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი.....236
Otar Nikoleishvili - Alexandre Manvelishvili and some questions of Russo-Georgian relationships.....240
მადონა კონსტანტინეს ასული ნიშარაძე - საქართველოს ავტონომიის საკითხი და ქართველი ინტელიგენცია.....241
Madona Nizharadze - The question of Georgia's autonomy and the Georgian intelligentsia.....247
მადონა აპოლონის ასული ნიშარაძე, იზოლდა რუსაძე - პოეტი ანეტა გრიგოლის ასული კაპანაძე.....248
Madona Nizharadze, Izolda Rusadze - Aneta Kapanadze – Poetess.....251
მადონა აპოლონის ასული ნიშარაძე - პორტრეტი — გამოსახვის აუცილებელი საშუალება.....252
Madona Nizharadze - Portraiture – a necessary means of expression.....255
ნატო ნიქაბაძე, ეკატერინე კახიძე - გრიგოლ გიორგის ძე ვეშაპელი/ვეშაპიძე (1891-1926).....256

Nato Nikabadze, Ekaterine Kakhidze - Grigol Giorgis-dze Veshapeli/Veshapidze (1891-1926).....259
ნატო ნიქაბაძე - დამოუკიდებლობის დაკარგვა და "ქართული საკითხი" საერთაშორისო პოლიტიკაში.....260
Nato Nikabadze - The loss of independence and international significance of 'the Georgian issue'.....263
ბელა პაპავა - ტოპონიმთა ცვლა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიებში საბჭოთა პერიოდში.....264
Bela Papava - lace name changes in Abkhazia and Achara (Adjaria) during the Soviet period.....270
მადონა რობაქიძე. სულხან კუპრაშვილი - ქართული ავტოკეფალური ეკლესიის ისტორიიდან.....271
Madona Robakidze, Sulkhan Kuprashvili, - Russia's imperial policy and the Georgian.....276
ნატო სვიანიძე - ნიკო ლორთქიფანიძის ესთეტიკური მრწამსი, მხატვრული მანერა, ენა, სტ.....278
Nato Svanidze - Niko Lrtkipanidze's aesthetic creed, artistic manner, language and style.....282
ეკა სილაგაძე - ავანტიურიზმი ქართულ ხალხურ ზღაპრებში.....283
Eka Silagadze - Ventures in the Georgian folk tales.....286
ნელი სიჭინავა - დიალექტიზმები მხატვრულ ენაში და მათი თარგმნის პრობლემა.....287
Neli Sichinava - Dialectal words in the literary language and problems of its translation.....293
მანანა ტაბიძე - ორენოვანი და მრავალენოვანი განათლების პრობლემატიკა საქართველოს ენობრივი სიტუაციის ფონზე.....294
Manana Tabidze - Problems of bilingual and multi-lingual education on the background of Georgia's language situation.....304
ჟუჟუნა ფეიქრიშვილი - "უარშიო"-ს სემანტიკისათვის ქართულში.....305
Zhuzhuna Peikrishvili - On the semantics of uarshio.....308
დავით ფირცხელანი - მასალები სვანური ლექსიკონისათვის.....309
David Pirtskheliani - aterials for the Svan dictionary (according to Balszemouri dialect).....311
რუსუდან ფიფია - სიახლეები დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში.....312
Rusudan Pipia - Novelties in the teaching methodology of Georgian language and literature at primary classes.....315
ტარიელ ფუტკარაძე. მაია მიქაუტაძე - კვლავ ქართული წყვილბაგისმიერი სპირანტის შესახებ (იმერხეული მასალის ანალიზი).....3 16
Tariel Putkaradze, Maia Mikautadze - On a Georgian bilabial spirant.....321
შუშანა ფუტკარაძე - ფონეტიკური პროცესები იმერხეულში.....322
Shushana Putkaradze - Phonetic processes in the Imerkhevian dialect.....345
გიორგი ქავთარაძე - იბერიის სამეფოს წარმართული პანთეონის საკითხისათვის.....346
Giorgi Kavtaradze - On the pagan pantheon of the Iberian Kingdom.....350
ჯამბულ ჭაშიბაძე - პარალელები ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანესა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ სადადიშქელიანო სვანეთში მოპოვებულ მასალებს შორის სვანეთის სამთავროს წარმოშობის საკითხთან მიმართებით.....351

Jambul Kashibadze - On the origin of the Svaneti principality (Based on the family chronicles of the Ksani princes (eristavis) and the materials collected by Ekvtime Taqaishvili in Sadadeshkeliano Svaneti).....354
ჯაბულ ქაშიბაძე, ლალი ტუქვაძე - სვანეთის როლის განსაზღვრის საკითხისათვის ფეოდალური ხანის საქართველოში.....355
Jambul Kashibadze, Lali Tukvadze - On the determination of the role of Svaneti in Feudal Georgia.....359
კახაბერ ქებულაძე - ედუარდ აიხვალდი XIX საუკუნის პირველი მესამედის დასავლეთ საქართველოს შესახებ.....360
Kakhaber Kebuladze - Eduard Eichvald about west Georgia in the first third of the 19th century.....364
დავით შავიანიძე - იანეთში მცხოვრები ქართველი რეპატრიანტების ეთნოისტორიიდან.....365
David Shavianidze - From the ethno-history of the Georgian repatriates of Ianeti.....373
რევაზ შეროზია - კონსტანტინე გამსახურდია და ქართველური ენობრივი სამყარო.....374
Revaz Sherozia - Konstantine Gamsakhurdia and the Karvelian language universe.....378
ლელა ჩოგოვაძე - „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაეპის მართებულად გააზრებისათვის.....379
Lela Chogovadze - On the correct interpretation of a stance in the Man in the Panther's Skin.....381
ლია ცერცვაძე-ცუცქირიძე - ქართული ემირგანტული პოეზია ჟურნალ „კავკასიონში“ (XXI საუკუნის 20-30-იანი წლები) 382
Lia Tsertsvadze-Tsutskiridze - Georgian poetry of emigrant authors in journal Kavkasioni.....389
ვლადიმერ წვერავა, ლუკა დვალიშვილი - ეგნატაშვილი (იგნატიევი) სიმონ იაგორის-ძე.....390
Vladimer Tsverava, luka dvalishvili - Svimon Egnatashvili (Ignatiev).....393
სოფიკო ჭაავა - ტერმინისათვის „დიგლოსია“.....394
Sopiko Chaava - On the use of term 'diglossia'.....398
ნანა ხაბულიანი - ბესარიონ ჟღენტი ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრების შესახებ.....399
Nana Khabuliani - Besarion Zhgenti about the life of Niko Lortkipanidze.....402
გელა ხარშილაძე - გალაკტიონი და ქუთაისი.....403
Gela Kharshiladze - Galaktion Tabidze and Kutaisi.....404
ია ხაჭაპურიძე - ილია ჭავჭავაძე — ფრანგული ლიტერატურის მთარგმნელი.....405
Ia Khachapuridze - Ilia Chavchavadze as a translator of French literature.....409
ლუიზა ხაჭაპურიძე, სოფიო ტყეშელაშვილი - ერთი საეკლესიო ტერმინისათვის (ფეშხუმი).....410
Luiza Khachapuridze, Sopio Tkeshelashvili - On peshkhumi, a religious term.....413
რამაზ ხაჭაპურიძე, რუსუდან კაშია - საოჯახო-საგვარეულო სამედიცინო ტრადიციები.....414
Ramaz Khachapuridze, Rusudan Kashia - Family medical traditions (According to the data of Kvemo (Lower) Imereti).....419
მზია ხახუტაიშვილი - ქობულეთელი მუჰაჯირები თურქეთში.....420
Mzia Khakhutashvili - Muhajirs of Kobuleti in Turkey.....425

რეცენზია
მანანა ტაბიძე, ამირან ლომთაძე - ახლებური წიგნი აფხაზეთზე.....426

ლია ახალაძე

აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხისათვის

ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის პროცესი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მათ მეცნიერულ კლასიფიკაციასა და სისტემატიზაციასთან. მიუხედავად იმისა, რომ ეპიგრაფიკული ძეგლების საისტორიო წყაროდ გამოყენების ფაქტებს ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის ისტორიკოსებთან ვხვდებით (Griechische epigraphic.., 1914, გვ. 14), წარწერების გამოვლენის, გაშიფრისა და მეცნიერული კლასიფიკაციის პრობლემა დიდი ხნის მანძილზე იდგა მეცნიერების წინაშე. მანამდე მოგზაურები და მოყვარული შემგროვებლები ძირითადად დაინტერესებული იყვნენ ქვაზე ამოკვეთილი წარწერების შეგროვებითა და მათი ტექსტების გადმოცემით. XV საუკუნეში ცნობილია ბერძნულ-ლათინური ეპიგრაფიკული ძეგლების შემგროვებელი კირიაკო დე პიციკოლო, რომელიც, ფაქტობრივად, იქცა ბერძნულ-ლათინული ეპიგრაფიკის ფუძემდებლად. ვ. ლარფელდი კირიაკოს ჰაინრიხ შლიმანის შუასაუკუნეობრივ პროტოტიპს უწოდებდა და მას სამართლიანად შეარქვა ეპიგრაფიკის მამა (იქვე). ამ ეპოქიდან მოყოლებული ეპიგრაფიკული ძეგლების შეგროვება, შესწავლა და გამოქვეყნება ინტენსიურად მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, მათი მეცნიერული კლასიფიკაციის საკითხი მხოლოდ XIX საუკუნეში დაისვა. საგულისხმოა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ეპიგრაფიკული ძეგლების კლასიფიკაციის პირველი მცდელობა XVIII საუკუნეში ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონმა მოგვცა. ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში იგი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ქართული წარწერები წყაროდ გამოიყენა და მიუთითა კიდეც. ამ ფაქტს თავის დროზე ყურადღება მიაქცია შოთა მესხიამ. მისი შენიშვნით, საჭირო შემთხვევაში ვახუშტი მშვენივრად იყენებდა "ზედწერილებს" რომელიმე მოსაზრების დასამტკიცებლად (შ. მესხია, 1944, გვ. 51).

თავის შესანიშნავ თხზულებაში "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" ვახუშტი წერდა: "არიან აღშენებულნი (ეკლესიანი) ზოგნი მთავართა და ხუროთმოძღვართაგან, ვითარცა ზედვე ეკლესიათა წერილ აჩენენ". თუ ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ვახუშტიმდე მხოლოდ ლაპიდარული და ფრესკული წარწერების წყაროდ გამოყენების ფაქტებს ვხვდებით (ვ. სილოგავა, 1980, გვ. 8), მან სხვა სახის ეპიგრაფიკული ძეგლებიც, კერძოდ ჯვრებზე გაკეთებული ჰედური წარწერებიც გამოიყენა: "არასადმე ვიხილავთ დიდთა შენებულთა ეკლესია-მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძვირფასთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი, თვინიერ: "ჩუენ მეფემან საქართველოსამან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან, რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა" (ვახუშტი ბაგრატიონი, 1973, გვ. 292). ვახუშტი დავით სოსლანის წარმომავლობაზე მსჯელობის დროს კასრისხევის ეკლესიის ფრესკულ წარწერას, როგორც წყაროს, იშველიებს: "მოწამე არს მისი მცირე ეკლესია კასრის ხევსა შინა, სადაცა დახატულ არიან და დაწერილნი ზედ დიმიტრი და ძე მისი დავით, ძე დავითისა ათონ, ძე ათონისა ჯადარონ, ძე ჯადარონისა სოსლან დავით, რომელი იყო ქმარი თამარისა". და მართლაც, კასრისხევის ეკლესიის ფრაგმენტულ წარწერაში დღემდე არის შემორჩენილი

საკანდიდატო დისერტაციაში (1998), სულ 38 წარწერა. გაცილებით უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა XXI საუკუნის დასაწყისი: 2003 წელს გამოქვეყნდა წებელდის სამი ჰედური წარწერის ფოტო, ტექსტის წაკითხვა, გრაფიკული მონახაზი და წყაროთმცოდნეობითი ანალიზი (ლ. ახალაძე, 2003); 2004 წელს გამოვიდა ვ. სილოგავას "სამეგრელო- აფხაზეთის ეპიგრაფიკა" (2004), რომელშიც შევიდა სამეგრელოსა და აფხაზეთის ლაპიდარული და ფრესკული წარწერების ერთი ნაწილი და აფხაზეთის X-XI სს. 5 ჰედური წარწერა; 2005 წელს გამოქვეყნდა აფხაზეთის ლაპიდარული და ფრესკული წარწერების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი (ლ. ახალაძე, 2005), რომელშიც მოცემულია მათი ღირებულება, როლი და ადგილი ქართული სადამწერლობო კულტურისა და ზოგადად ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში; 2006 წელს გალის რაიონის სოფ. ღუმურიშში დამატებით გამოვლინდა კიდევ ერთი წარწერა, რომელიც საფლავის ქვის ეპიტაფიას წარმოადგენს (ლ. ახალაძე, 2008, გვ. 208-212).

დღეს ჩვენს ხელთ არსებული აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კლასიფიკაცია გარეგნული ნიშნისა და შინაარსის მიხედვით უნდა მოხდეს და რადგან მათში არ არის წარმოდგენილი მოზაიკური წარწერები, გარეგნული ნიშნის მიხედვით ისინი სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

I. **ლაპიდარული წარწერები**, მათ შორის საფლავის ქვის ეპიტაფიები, 50-მდე წარწერა

II. **ფრესკული წარწერები,** დაახლოებით 30-მდე წარწერა (მათ შორის ზოგიერთი ფრაგმენტულად არის მოღწეული).

III. **ჰედური წარწერები,** დაახლოებით 20-მდე წარწერა, რომელთა შორის გვიანი პერიოდის წარწერები ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, როგორც ეპიგრაფიკული ძეგლი.

საგულისხმოა, რომ ასეთი სურათი გვაქვს მაშინ, როცა აფხაზეთის რეგიონი სპეციალური ეპიგრაფიკული კვლევის არეალი არასოდეს გამხდარა და წარწერების ძირითადი ნაწილი მოპოვებულია საეკლესიო ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლის პროცესში.

ლაპიდარულ წარწერებში შეიძლება გამოვყოთ ორი ჯგუფი: *ა) ქვაზე ღრმა კვეთით შესრულებული წარწერები* და *ბ) ქვაზე ნაკაწრი წარწერები*. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: ოზბეგ დადიანის წარწერა ჭალიდან (ჭლოუდან), გიორგი ბასილის ძის წარწერა ანუხვიდან, გიორგი გურგენის ძის წარწერა ილორიდან, ლუკა მარტინევას წარწერა წებელდიდან და ა.შ. ქვაზე ნაკაწრი წარწერები იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება, მაგალითად: წებელდის მიქაელის წარწერა. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ილორის ტაძარზე ექვსი წარწერა იყო, თუმცა დღეს იქ მხოლოდ ხუთი წარწერა იკითხება, მეექვსე წარწერა გადაშლილია და ნაკაწრი წარწერის სახით არის შემორჩენილი. საერთოდ ნაკაწრ წარწერებს ადრე ნაკლები ყურადღება ექცეოდა, შესაბამისად, მათი მოძიება მომავლის საქმეა. ლაპიდარულ წარწერებში გვხვდება საფლავის ქვის ეპიტაფიები, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივ დიდებულებს, მხარის გამგებლებსა და საეკლესიო პირებს ეკუთვნის.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ფრესკულ წარწერებზე. მათი დიდი ნაწილი გამოსახულების განმარტებითი წარწერებია და წარწერილია წმინდანთა გამოსახულებებთან, თუმცა აფხაზეთის ფრესკულ წარწერებში იშვიათად, მაგრამ

მაინც გვხვდება სამშენებლო ხასიათის წარწერები. ამ ტიპის წარწერებს მიეკუთვნება "დიოფალ" მარიხისა და გიორგი დადიანის წარწერა ბედიის ფრესკაზე. ფრესკულ წარწერათა დაზიანება და ფრაგმენტული ხასიათი რამდენადმე ამცირებს მათ წყაროთმცოდნეობით ღირებულებას, მაგრამ პალეოგრაფიული თვალსაზრისით, ქართული ანბანის განვითარების შესწავლის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ.

შინაარსის მიხედვით აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში გვხვდება სამშენებლო (ქტიტორული), მემორიალური და იურიდიული ხასიათის წარწერები. მთლიანად აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ფონდში წარწერათა უმრავლესობა მემორიალური ხასიათისაა; საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი სამშენებლო წარწერები, არის რამდენიმე იურიდიული წარწერა, ხოლო პილიგრიმული წარწერები იშვიათია.

მემომორიალური წარწერები, თავის მხრივ, შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს: ა) სავედრებელი წარწერები და ბ) მეფეთა და დიდებულთა განმადიდებელი წარწერები. მემორიალური წარწერების უმრავლესობა სავედრებელი ხასიათისაა. მეფეთა განმადიდებელ წარწერებს მიეკუთვნება: ლიხნის ტაძრის მეფე გიორგი კურაპალატის წარწერა, კონსტანტინე მეფეთა მეფის წარწერა ბედიის ტაძრის სამრეკლოზე და ა. შ. საგულისხმოა, რომ საეკლესიო ნაგებობებსა და ნივთებზე ამოკვეთილ წარწერებში მოხსენიების უფლება გარკვეული ქტიტორული საქმიანობის შემდეგ ეძლეოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტაძრის (ან სხვა საეკლესიო ნივთის) მშენებლობის შესახებ არ მოგვითხრობენ, მათ მაინც სამშენებლო ხასიათი აქვთ.

ეპიგრაფიკული ძეგლების კლასიფიკაციის თვალსაზრისით საყურადღებოა აფხაზეთის ლაპიდარულ და ჰედურ წარწერებში დაფიქსირებული ხელოვნებითი დამწერლობანი, კერძოდ, კიდურწაისრული და კიდურწერტილოვანი ანბანები. მათი შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ კიდურწაისრულ ქვის კალიგრაფიულ სკოლას, რომელიც საქართველოში XI საუკუნეში არსებობდა, საფუძველი აფხაზეთში ჩაეყარა, რადგან ყველაზე ადრეული ნიმუშები სწორედ აქ გვხვდება (ლ. ახალაძე, 2008, გვ. 3-14).

აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლებისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა შორის უნდა აღინიშნოს ის, რომ წარწერათა უმრავლესობა ქართული ასომთავრული ანბანითაა შესრულებული; მხედრული ანბანი რამდენიმე წარწერაში არის გამოყენებული, ხოლო ნუსხა-ხუცური იშვიათად გვხვდება. მხედრული ანბანის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული, XI საუკუნის ნიმუში გვაქვს გრიგოლ გალატოზთუხუცესის წარწერაში (გალის რ-ნი, სოფ. დიხაზურგა), რომელშიც მხედრულს უკვე ჩამოყალიბებული სახე აქვს.

აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლების კლასიფიკაციის საფუძველზე ნათლად იკვეთება ამ რეგიონის მდიდარი კულტურული ტრადიციები და როლი ქართული კულტურის განვითარებაში. წარწერებში დადასტურებულია ქართული ეპიგრაფიკისათვის დამახასიათებელი ყველა სახე, გარდა მოზაიკური წარწერებისა, რომლებიც საერთო იშვიათობას წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, წარწერების ყველა ტიპს გააჩნია თავისებურებანი, რაც ადასტურებს მათ ადგილობრივ წარმომავლობასა და ქართული სადამწერლობო კულტურის დიდ ტრადიციებზე აფხაზეთში.

დამოწმებული ლიტერატურა

მ. ახალაშვილი, 1987 - მ. ახალაშვილი, X-XV სს. წარწერები სვანეთის ჰედური ხელოვნების ძეგლებზე, თბ., 1987.

ლ. ახალაძე, 1998 - ლ. ახალაძე, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები აფხაზეთში IX-XVII სს. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1998.

ლ. ახალაძე, 2003 - ლ. ახალაძე, წებელდის ჰედური წარწერები: "საისტორიო ძიებანი", წელიწდეული, ტ. VI, თბ., 2003.

ლ. ახალაძე, 2005 - ლ. ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, I (ლაპიდარული და ფრესკული წარწერები), თბ., 2005.

ლ. ახალაძე, 2006 - ლ. ახალაძე, კიდევ ერთი წარწერა აფხაზეთიდან, "საისტორიო ძიებანი", წელიწდეული, ტ. VIII-IX, თბ., 2006.

ლ. ახალაძე, 2008 - ლ. ახალაძე, "ხელოვნებითი დამწერლობანი" აფხაზეთის ეპიგრაფიკულ ძეგლებში, აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს, თბ., 2008.

ვახუშტი ბაგრატიონი, 1973 - ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. წიგნში: "ქართლის ცხოვრება", IV, თბ., 1973.

ლ. ბერაია, 2000 - ლ. ბერაია, სამეგრელოში დაცული X-XIX საუკუნეების ჯვარ-ხატების წარწერები, თბილისი-ზუგდიდი, 2000.

ი. ლოლაშვილი, 1971 - ი. ლოლაშვილი, დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება, თბ., 1971.

შ. მესხია, 1944 - ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, I, თბ., 1944.

ვ. სილოგავა, 1980 - ვ. სილოგავა, ქართული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

ვ. სილოგავა, 2004 - ვ. სილოგავა, სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, თბ., 2004.

ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

ქართული წარწერების კორპუსი, III, ფრესკული წარწერები, I, ატენის სიონი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ, თბ., 1989.

Griechische epigraphic.., 1914 - Griechische epigraphic von Wilchelm Larfeld. Dritte volling neubearbeitete Auflage, mit 4 Teilen, Munchen, 1914.

LIA AKHALADZE

FOR CLASSIFICATION OF SOME ISSUES OF ABKHAZIA'S EPIGRAPHIC MONUMENTS

Research process of epigraphic monuments is connected significantly with their scientific classification and systematization.

Epigraphic monuments of Abkhazia is classified according to two signs: according to exterior sign and content. According to exterior sign they can be divided into three groups: lapidary inscriptions, among them epitaphs on tombs – about 50 inscriptions; mural inscriptions – about 30 inscriptions, (among them some are survived fragmentally); embossed inscriptions - about 20 inscriptions.

Lapidary inscriptions may be divided into two groups: hard carved out inscriptions and scratched inscriptions. They belong to the first group. According to the content among the epigraphic monuments of Abkhazia we meet inscriptions with building, memorial and juridical character.

On the basis of classification of epigraphic monuments of Abkhazia it turned out that in this region we meet all kinds of inscriptions confirmed in Georgian epigraphy except mosaic inscriptions which are very rarity. Every type of inscriptions has its peculiarities that confirms their local origin and great traditions of Georgian writing culture in Abkhazia.

ნომადი ბართაია

ქართულში შემოსული არაბულ-სპარსული ლექსიკიდან იოსებ გრიშაშვილის "ქალაქური ლექსიკონის" მიხედვით

არაქათი, ასლი, ზარიფი, მასლაათი, მაჯამა, მუნასიბი, ნაფაზი, ნიათი, ფაიდა, ხათაბალა, ხალალი, ჯალალი, ჯუმალი, ჰასარი

1997 წელს საარქივო მასალაზე დაყრდნობით რუსუდან კუსრაშვილმა გამოაქვეყნა საქართველოს სახალხო პოეტისა და ძველი თბილისის მკვლევრის იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონი", რომელიც მდიდარია აღმოსავლური, მათ შორის არაბულ-სპარსული ლექსიკით.

ქართულში შემოსულ არაბულ-სპარსულ ლექსიკაში ვგულისხმობთ სპარსულში არაბულიდან დამკვიდრებულ იმ სიტყვებს, რომლებიც დღეს სპარსული ენის ლექსიკური ფონდის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. ნაშრომში განვიხილავთ ამგვარი ლექსიკური ერთეულების ნაწილს.

ა რ ი ქ ა — „სიტყვის მასალაა. „**არიქა**, წყალი" და სხვა. **არიქა**, ჩქარა! — შორისდებული, რომელიც იხმარება სიჩქარეში ასაქეზებლად" (ი. გრიშაშვილი, 1997).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი **არიქას** ასე განმარტავს: საგანგაშო ძახილი საშველად, მისახმარებლად, გასაფრთხილებლად და სხვ.

შესაძლებელია, **არიქა** მოდიოდეს არაბულ-სპარსული ლექსემიდან **حرکت (ჰარაქათ),** რომლის მნიშვნელობებია: 1. მოძრაობა; 2. წასვლა; 3. მანერა... (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

ა ს ლ ი — „ნამდვილი" (ი. გრიშაშვილი, 1997).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში **ასლი** ორი მნიშვნელობით არის განმარტებული: 1. ორიგინალური, ნამდვილი; 2. პირი დედნისა, მაგრამ აღნიშნული ლექსიკონის ერთტომეულის მიხედვით, რომელიც გამოვიდა 1986 წელს, **ასლს** მხოლოდ "**დედნის პირის**" მნიშვნელობა აქვს.

არაბულსა და სპარსულ ენებში იდენტური ფონეტიკური სახით არის ლექსემა **— اصل (ასლ).** მისი მნიშვნელობებია: 1. ძირი; 2. საფუძველი; 3. დასაწყისი; 4. პრინციპი; 5. წარმომავლობა; 4. ორიგინალი... (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

ჩვენთვის საინტერესო ლექსემის „ქალაქური ლექსიკონისეული" განმარტება იდენტურია ამ სიტყვის არაბულ-სპარსული სემანტიკური დატვირთვისა.

ზ ა რ ი ფ ი — „1. ნებიერი, კეკლუცი, ტურფა, ნარნარი, სანდომიანი, ამო; კეთილშობილი, კარგად აღზრდილი. 2. მეკერმე (Описание, ტ.II. გვ.421)" (ი.გრიშაშვილი,1997).

ზარიფი არაბულ-სპარსული ლექსემაა — **ظریف (ზარიფ).** მისი მნიშვნელობებია: **1.** ლამაზი, ელეგანტური; 2. მახვილგონიერი; 3. კურიოზული (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

ჩვენთვის საინტერესო ქართული და არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულები როგორც ფონეტიკურად, ისე სემანტიკურად ერთმანეთს ემთხვევიან.

მ ა ს ლ ა ა თ ი — „1. უკამათო, სასიამოვნო ბაასი, სიტყვიერად შეჭცევა, ბჭობა. „კარგა დიდხან დიდ არჩევანში და **მასლაათში** იყვნენ („კრებ.“, 1871 წ. №3, გვ. 36); „კარგია გარჯილა და ჩემთან **სამასლაათოდ** და დროს სატარებლად მოსულა" (იქვე, გვ. 38). 2. საუბარი, ბაასი" (ი. გრიშაშვილი, 1997).

ასევეა ახსნილი ეს სიტყვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც — **მასლაათი** (არაბ.) თავშესაქცევი, გულისგადასაყოლებელი საუბარი, მუსაიფი, ბაასი (ქეგლ, 1964).

მასლაათი არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულია — **مصلحت (მასლაჰათ)**, რომლის მნიშვნელობებია: „1. სარგებელი; ინტერესი; 2. რჩევა; 3. კეთილი საქმე (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

ამ სიტყვას ქართულში გარკვეული სემანტიკური ცვლილება განუცდია.

მ ა ჯ ა მ ა — „ომონიმები; ორი სიტყვა, რომელიც ერთგვარად ისმის, ხოლო აზრით სხვადასხვაა" (ი. გრიშაშვილი, 1997).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვითაც **მაჯამა** არის — ლექსი, რომელიც გარითმულია ომონიმებით (ქ ე გ ლ, 1986).

ა. ჭილაიასა და რ. ჭილაიას „ლიტერატურათმცოდნეობის ცნებების“ მიხედვით, მაჯამა — სპარსულ პოეზიაში აღნიშნავს ლექსების კრებულს... (ა. რ. ჭილაია, 1984).

მაჯამა არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულია — **مجمع (მაჯმაʿ)** — შეკრება; კავშირი, რომლის მრავლობითის ფორმაა — **مجامع (მაჯამეʿ)** (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983). ჩვენთვის საინტერესო სიტყვა, განსხვავებით არაბულ-სპარსულისგან, ქართულში პოეტიკურ ტერმინად არის დამკვიდრებული.

მ უ ნ ა ს ი ბ ი — „მოუმზადებლის, ან დაუსწავლელის შესაფერისად და შესაბამისად წარმოთქმა. უცები, კაფია, ექსპრომტი... „რა როსტომ მეფემ ამ რიგი სახელმწიფო სასახლე ასრე აოხრებული ნახა, საწუთროს გაუტანლობას შეუწყინდა და ფარსადან გორგიჯანიძეს უბრძანა; „ამ სასახლის ასრე მინგრეულობისათვის ერთი **მუნასიბი** ლექსი გვითხარიო (საქართველოს ცხოვრება“, 1913 წ. გვ. 321“... (ი. გრიშაშვილი, 1997).

მუნასიბი არაბულ-სპარსული ლექსემაა — **مناسبة (მონასებე)** შემდეგი მნიშვნელობით — შესაფერისი (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

აღვნიშნავთ, რომ ამ სიტყვას, მსგავსად მაჯამისა, ქართულში პოეტიკური ტერმინის ფუნქცია შეუძენია.

ნ ა ფ ა ზ ი — 1. საკუთრივ სუნთქვას ნიშნავს; ნაფაზი — თუთუნის მოწევის დროს ბოლის შესუნთქვა... 2. ჭოშინი. სუნთქვა თუთუნის წევის დროს...(ი.გრიშაშვილი, 1997).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **ნაფაზი** არის — თამბაქოს ბოლის ფილტვებში ჩაშვება.

ნაფაზი არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულია — **نفس (ნაფას).** მისი მნიშვნელობაა — 1. სუნთქვა; 2. ნელი ქროლვა... (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

უნდა აღინიშნოს, რომ „ქალაქური ლექსიკონის" პირველი მნიშვნელობა, მეტ სიახლოვეს ავლენს ამ სიტყვის არაბულ-სპარსულ შინაარსთან, ვიდრე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის განმარტება.

ნ ი ა თ ი —„ღონე, ძალა, არაქათი. „ნიათის გამოლევა" — ამ სათაურის წერილი აქვს ა. ფრონელს „საქ., მოამბეში", 1910 წ. №12" (ი. გრიშაშვილი, 1997).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ამ სიტყვას იცნობს შემდეგი მნიშვნელობით — არაქათი, ქანცი, ძალა, ღონე (ქეგლ, 1986).

ნიათი არაბულ-სპარსული ლექსემაა — **نیت (ნიათ).** მისი მნიშვნელობაა: განზრახვა, მიზანი; სურვილი (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

ქართულში ეს სიტყვა გარკვეული სემანტიკური ცვლილებით არის დამკვიდრებული..

ფ ი ა დ ა — „ქალაქური ლექსიკონის" ავტორს ამ სიტყვისთვის კითხვის ნიშანი დაუსვამს და ასე განუმარტავს: „რა მენაღვლება; რა ვქნა, რა გაეწყობა" (ი. გრიშაშვილი, 1997).

ფაიდა არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულია — **فایده (ფაიდე) —** სარგებელი (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

ხ ა თ ა – ბ ა ლ ა — „უბედურება. ამბობენ; ვა, არ მინდა რაღა წამოგყვე, **ხათაა**! „ქნიაზჯან, ეს რა **ხათაა**"! (რ. ერისთ., „ივ.," 1887 წ., გვ. 14). „მის აზრსა და წრფელსა გრძნობას ეძახის **ხათა-ბალასა**" (ვაჟა, ტ. 1, გვ. 126)" (ი. გრიშაშვილი, 1997).

ხათა-ბალა არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულებია: — **خطا (ხათა)** — შეცდომა; მარცხი და — **بلا (ბალა)** — მწუხარება, უბედურება (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

ქართულ ენაში ამ ორი სიტყვის შეერთებით მიღებულია კომპოზიტი **ხათა-ბალა.**

შევნიშნავთ, რომ არც არაბულსა და არც სპარსულ ლექსიკონებში ამ სახის კომპოზიტი ვერ დავადასტურეთ.

„ქალაქურ ლექსიკონში" ცალკეა განმარტებული **ბალა,** რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა — ხათაბალა, დავიდარაბა (ი. გრიშაშვილი, 1997).

ხ ა ლ ა ლ ი — „ნებადართული" (ი. გრიშაშვილი, 1997).

ხალალი ფონეტიკურად ოდნავ სახეცვლილი ფორმაა არაბულ-სპრსული ლექსემისა — **حلال** (ჰალალ), რომლის მნიშვნელობებია: 1. ნებადართული; 2. პატიოსანი; 3. პატიოსანი გზით მოპოვებული (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

ჯ ა ლ ა ლ ი — „შემოქმედების მჭონე, ძალთა ძალი. სახელიცაა. „მისცა რამე ნაწილიც **ჯალალს**, მის ძმას" („მოგზ.", 1903 წ. № 5-6. გვ. 151). საიათნოვასაც აქვს" (ი. გრიშაშვილი, 1997).

ჯალალი არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულია — **جلال (ჯალალ).** მისი მნიშვნელობაა — ბრწყინვალება (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

ჯ ე მ ა ლ ი — „ანუ ჯამი. სრულად შეკრებით გამოანგარიშებული რიცხვი" (ი. გრიშაშვილი, 1997).

საბას განმარტებითაც **ჯუმალი** ნიშნავს — ჯამს (საბა, 1991).

ჯუმალი არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულია — **جمل (ჯომალ).** მისი მნიშვნელობაა — არაბული ანბანის რიცხვითი მნიშვნელობით ანგარიშის ხერხი (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

ჰ ა ს ა რ — „სპარსულად ჰანგის სახელია" (ი. გრიშაშვილი, 1997).

არაბულსა და სპარსულ ენებში არის სიტყვა — **حصار (ჰესარ)** შემდეგი მნიშვნელობებით: 1. ღობე. კედელი; ციხის კედელი; 2. სოფლის შემოკავებული ცენტრი; ციხე-სიმაგრე; 3. ალყა 4. **ჰესარ** *(მუსიკალური მელოდიის სახელწოდება)* (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

აღვნიშნავთ, რომ **მუსიკალური მელოდიის** მნიშვნელობით ეს სიტყვა მხოლოდ სპარსულ ლექსიკონებში დასტურდება.

ჰ ო ვ ს ი ლ ა — „არაქათი, ძალ-ღონე, ენერგია. ამ სიტყვის მეორე ნაწ. — **სილა** რაიმე დამოკიდებულებაში ხომ არ არის რუს. „სილასთან?" (ი. გრიშაშვილი, 1997).

ჩვენი აზრით, **ჰოვსილას,** რომელიც წარმოადგენს ქალაქური ჟარგონის საკუთრებას, არავითარი საერთო არა აქვს რუსულ ენასთან. იგი უნდა მომდინარეობდეს არაბულ-სპარსული ლექსიკური ერთეულიდან — **حوصله (ჰოუსალე)** — მოთმინება, განწყობილება (ხ. ბარანოვი, 1957; ი. რუბინჩიკი, 1983).

დამოწმებული ლიტერატურა

ხ. ბარანოვი, 1957 - Х. Баранов, Арабско-русский словарь, Москва, 1957.

ი. გრიშაშვილი, 1997 - ი. გრიშაშვილი, „ქალაქური ლექსიკონი", საარქივო მასალა გამოსაცემად მოამზადა რ. კუსრაშვილმა, თბ., 1997.

ი. რუბინჩიკი, 1983 - Х. Баранов, Арабско-русский словарь, Москва, 1957; Персидско-русский словарь, под редакцией Ю. Рубиичика, Москва, 1983.

ქეგლ, 1955-1964 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, თბ., 1955-1964.

ქეგლ, 1986 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1986.

დ. ჩუბინაშვილი, 1984 - დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

ა. ჭილაია, რ. ჭილაია, 1984 - ა. ჭილაია, რ. ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბ., 1984.

NOMADI BARTAIA

BORROWINGS FROM ARABIK-PERSIAN VOCABULARY ACCORDING TO THE IOSEB GRISHASHVILI'S "KALAKURI DICTIONARY" ("CITY VOCABULARY")

We think that in the the Ioseb Grishashvili's "Kalakuri Leksikoni" the words: 1. arakati, 2. asli, 3. zarifi, 4. maslaati, 5. majama, 6. munasibi, 7. nafazi, 8. niati, 9. faida, 10. khatabala, 11. xalali, 12. jalali, 13. jumali and 14. hasari should have originated from the following Arabik-Persian lexical units: 1. **حرکت** (harakat), 2. **اصل** (asl), 3. **ظریف** (zarif), 4. **مصلحت** (maslahat), 5. **مجمع** (majma'), 6. **مناسب** (monaseb), 7. **نفس** (nafas), 8. **نیت** (niat), 9. **فایده** (fāide), 10. **خطا - بلاء** (khata - balā'), 11. **حلال** (halāl), 12. **جلال** (jalāl), 13. **جمل** (jomāl) and 14. **حصار** (hesār).

თამაზ ბერაძე,
ბეშან ხორავა

ქართული სალიტერატურო ენა და ქართული კულტურა – საქართველოს ყველა ეთნოგრაფიული მხარის შემოქმედების ნაყოფი

ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მწიგნობრობა საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის, ყველა ქართული კილოკავისა და დიალექტის მონაწილეობით შეიქმნა. ამ დიდ საქმეში საქართველოს სხვა მხარეებს შორის მნიშვნელოვანი წვლილი სამეგრელომ, სვანეთმა და აფხაზეთმა შეიტანეს.

ქართულ ტომებს ერთიანობის გრძნობა ძალზე შორეულ წარსულში, ჯერ კიდევ ძვ. წ. XV-XIV სს. გააჩნდათ, იმ დროს, როდესაც უძველესი ქართული სახელმწიფო — **კოლხეთი** ჩამოყალიბდა.

მომდევნო საუკუნეებში ერთიანობის ეს გრძნობა კიდევ უფრო გაღრმავდა. ამას "ქართლის ცხოვრების" ის ეპიზოდიც მოწმობს, სადაც ეგრისის პატრონი - ქუჯი საქართველოს ერთიანობისთვის ქართლის მეფე ფარნავაზის ერისთავობას ნებაყოფლობით თანხმდება. შეიძლება ეს ეპიზოდი მოვლენებს ზუსტად ვერ ასახავს. მთავარი ისაა, რომ VII-VIII საუკუნეებში, როდესაც „ქართლის ცხოვრების" უძველესი ნაწილი შეიქმნა, მის მკითხველს, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, მოვლენების ასეთ განვითარებაში ეჭვი არ ეპარებოდა.

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები გვიანანტიკურ ხანაში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და ქართული დამწერლობის შექმნის შემდეგ ერთმანეთს კიდევ უფრო დაუახლოვდნენ. ამას მოწმობს თუნდაც IV-V საუკუნეების მიჯნაზე პეტრე იბერისა და იოანე ლაზის ურთიერთობა:

პეტრე იბერი — ერისკაცობაში მურვანოსი, ქართლის მეფის ბუზმირის ვაჟი იყო და როგორც მძევალი, ბიზანტიის სამეფო კარზე იზრდებოდა. აქ მისი სულიერი მასწავლებელი იყო ეგრისის მკვიდრი მითრიდატე „ლაზი". მათ საერო ცხოვრებაზე უარი ერთად თქვეს და იერუსალიმში როგორც პეტრე იბერი და იოანე ლაზი ბერად აღიკვეცნენ. მათ სახელთანაა დაკავშირებული V საუკუნეში წმინდა მიწაზე აგებული ორი მონასტერი, რომლებიც ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში ქართველთა მონასტრების სახელითაა ცნობილი. ეს ორი მონასტერი, ისევე როგორც პეტრე იბერის ეპოქაში ქართველების მიერ პალესტინაში აგებული სხვა ეკლესია-მონასტრები, V-VI საუკუნეებში ქართული მწიგნობრობის უმნიშვნელოვანეს კერებად იქცა.

V-VIII საუკუნეების ქართული დამწერლობის ძეგლებმა დასავლეთ საქართველოდან დღემდე ვერ მოაღწია. ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ამ ხანაში დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი ეკლესიურად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა. თუმცა დასავლეთ საქართველოში ამ საუკუნეების ბერძნული წარწერებიც უმნიშვნელო რაოდენობით არის შემორჩენილი. ბერძნული ეკლესია და ბერძნული დამწერლობა

ამ ქართულენოვან სამყაროში თავსმოხვეული და უცხო იყო. ნიშანდობლივია, რომ დასავლეთ საქართველოში ადრე შუა საუკუნეების არც ერთი ბერძნული ხელნაწერი არ შემორჩენილა. ამიტომ, როდესაც დასავლეთ საქართველოს სულიერ ცხოვრებაში ქართული დამწერლობის გამოყენების შესაძლებლობა მიეცათ, აქ უამრავი ქართული ლაპიდარული და ფრესკული წარწერა გაჩნდა.

VIII საუკუნის მიწურულს აფხაზეთის ერისთავთა დინასტიამ დასავლეთ საქართველო ერთ სამეფოდ გააერთიანა. ამიტომ მას "აფხაზთა" სამეფო ეწოდება. იგი ლიხის ქედიდან მდ. ნიკოფსიამდე და კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედიდან ჭოროხის ხეობამდე ტერიტორიას მოიცავდა. "აფხაზთა" სამეფო ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო, სადაც ღვთისმსახურებისა და მწიგნობრობის ენა ქართული იყო. „აფხაზთა" მეფეები საერთო ქართულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ატარებდნენ. ისინი ქართულ კულტურას და მწიგნობრობას ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ. „აფხაზთა" მეფეებმა დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ჩამოაშორეს და ჯერ აფხაზეთის კათოლიკოსს, შემდეგ კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დაუქვემდებარეს.

აფხაზეთის საკათალიკოსოში ღვთისმსახურება ქართულ ენაზე იყო. ამიტომაც დასავლეთ საქართველოში ქართული დამწერლობის დღემდე მოღწეული უძველესი ძეგლები IX საუკუნეს მიეკუთვნება.

დასავლეთ საქართველოში უძველესი ქართული ლაპიდარული წარწერები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მსიგხუას (ამჟ. გუდაუთის რაიონი) მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაშია აღმოჩენილი, რომელიც IX საუკუნით თარიღდება. მსიგხუას წარწერების გარდა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ ხანის სხვადასხვა შინაარსის მრავალი წარწერა გვხვდება: ტაძრის ქტიტორთა, ოსტატ-მაშენებელთა სავედრებელი, წმინდანთა სადიდებელი და სხვა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ტაძრის ქტიტორი, ოსტატ-მშენებლები, მრევლი ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე ეწეოდა და ქართულ ეთნოკულტურულ სამყაროს ეკუთვნოდა (ლ. ახალაძე, 2005, გვ. 146).

"აფხაზთა" სამეფო ქართული კულტურის კერა იყო. „აფხაზთა" მეფის გიორგი II-ის (922-957) კარზე მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფი იოანე მინჩხი. მის ერთ-ერთ პოეტურ ნაწარმოებს „გალობანი გიორგისნი" ავტორი ურთავს კიდურწერილს: „ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერვებიან მინჩხისადა. წმიდაო გიორგი, შეეწიენ გიორგი მეფესა წინაშე მეუფეთა მეუფისა და ადიდე" (პ. ინგოროყვა, 1954, გვ. 669-670). X ს. მეორე ნახევარში ცნობილია კიდევ ერთი სახელგანთქმული ქართველი ჰიმნოგრაფი სტეფანე სანანოის ძე ჰყონდიდელი, რომელიც ასევე დასავლეთ საქართველოს ჰიმნოგრაფიული სკოლის წარმომადგენლად ითვლება (კ. კეკელიძე, 1980, გვ. 179-180). X საუკუნეშივე "აფხაზთა" სამეფო კარზე შეიქმნა "აფხაზთა მეფეთა დივანი", სადაც VIII-X სს. "აფხაზთა" მეფეების გენეალოგიაა მოცემული.

ქართული კულტურის ერთ-ერთ უძველეს კერას წარმოადგენს სვანეთი, სადაც ქართული ლაპიდარული წარწერები IX საუკუნიდან ჩნდება. ამ დროიდან სვანეთში შემოგვრჩა როგორც სამშენებლო-ქტიტორული, ისე სამართლებრივი ხასიათის წარწერები, ხის ნაჭრებსა თუ სხვადასხვა ხელნაწერებზე მიწერილი საბუთები (პ. ინგოროყვა, 1941). ეს მოწმობს, რომ ქართული წერა-კითხვა და

მწიგნობრობა ამ მხარეში საყოველთაოდ იყო გავრცელებული. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიაში შემორჩენილი X საუკუნის II ნახევრის ფრესკული ასომთავრული წარწერა საღმრთო წერილის ნაწყვეტების ტექსტით. პირველი მოთავსებულია გაშლილ წიგნზე, რომელიც ეკლესიის საკურთხევლის მხატვრობაში სხვა წმინდანებს შორის გამოსახულ იოანე მახარებელს უჭირავს: „პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“ (იოვანე, 1,1). მეორე წარწერა, შესრულებული დიდი ზომის მონუმენტური ასოებით, მოთავსებულია საკურთხევლის თაღის წინა მხარეს: “ქ. სახლსა შენსა შუჱნის სიწმიდე, უფალო, სიგრძესა დღჱთასა“ (ფს. 92,5) (სვანეთის წერილობითი ძეგლები, 1988, გვ. 14-15).

ქართული მწერლობის კერას ოდითგანვე წარმოადგენდა სამეგრელო. ისტორიულ სამეგრელოში, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, სოფელ ღუმურიშში, აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში ყველაზე ადრეული — გრიგოლ გალატოზთუხუცესის მხედრული წარწერა (ლ. ახალაძე, გვ. 83).

IX-X საუკუნეებში, თუ უფრო ადრე არა, “ქართველი“ საქართველოს ყველა ისტორიულ-გეოგრაფიული მხარის მოსახლის ზოგად სახელად იქცა. ტერმინი „საქართველო“ კი „ქართლის ცხოვრებაში“ პირველად მურვან ყრუს ლაშქრობასთან დაკავშირებით იხსენიება.

საქართველოს ერთიანობის ხანაში ერთიანი ქართველი ხალხი ერთი სალიტერატურო ენით და საერთო ქართული დამწერლობით უკვე არსებობდა. ქვეყნის ნებისმიერ მხარეში ყველამ იცის, რომ ის ჯერ ქართველია, შემდეგ კი თავისი მხარის, თემის, სოფლის მკვიდრი. ამის ნათელი მაგალითია სვანეთში, სოფ. ლაჰილის წმ. გიორგის ეკლესიის მიქაელ მთავარანგელოზის ხატის (XIII-XIV სს.) წარწერა: “ქ. წმიდაო მთავარანგელოზო მუხერისაო, ელთუქმარო, ადიდენ მეფენი ბაგრატუნიანნი, და დადიანი, და დიდებულნი და ერთობილი საქართველო და ერთობილნი სუანნი და ჴევი ლატალისა; და აღაშენე მაშენებელი შენი სოფელი ლაილისა და ყოველნი მადიდებელნი შენნი, ამენ“ (მ. ახალაშვილი, 1987, გვ. 65). ნიშანდობლივია, რომ ამ შინაარსის წარწერა შექმნილია ერთ-ერთი სვანური სოფლის დაკვეთით, რომლის მოსახლენი ქართველი ხალხის შემადგენელ ორგანულ ნაწილად თვლიდა თავს. მათი გაგებით, სვანები, ისევე როგორც მეგრელები, აფხაზები ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეთა მკვიდრნი.

შუა საუკუნეებში აფხაზეთის, ოდიშის, სვანეთის ეკლესია-მონასტრები ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს კერებს წარმოადგენდნენ. ამ ტაძრებში შეიქმნა ქართული მწერლობის უბრწყინვალესი ძეგლები, გადაიწერა ოთხთავები და სხვა სასულიერო თუ საერო წიგნები. მათ შორის აღსანიშნავია XII საუკუნის ბიჭვინტის სახარება; 1300 წელს დანიელ მოქველის დაკვეთით მოქვის ღვთისმშობლის ტაძარში გადაწერილი ოთხთავი, რომელიც “მოქვის ოთხთავის“ სახელითაა ცნობილი. ეს არის ერთ-ერთი უმდიდრესი ქართული ხელნაწერი მინიატურებისა და მორთული საზედაო ასოების რაოდენობის მხრივ. მოქვის ტაძრის კუთვნილება იყო XII-XIII საუკუნეებში გადაწერილი ოთხთავი, რომელიც შემდეგ დადიანთა ოჯახში მოხვდა, შემდეგ კი ჯრუჭის მონასტერს შესწირეს და დღეს „ჯრუჭის II ოთხთავის“ სახელითაა ცნობილი. X-XI საუკუნეებში სვანეთში გადაწერილი საეკლესიო წიგნებიდან დღემდე მოაღწია „საწელიწადო იადგარმა“, „მესტიის ოთხთავმა“, „იერუსალიმის განჩინებამ“, საგალობლების კრებულმა.

1322 წელს სვანეთშია გადაწერილი ლახუშტის სახარება-აპარაკოსი. აღსანიშნავია, რომ სვანეთში ქართულ საეკლესიო წიგნებს იერუსალიმიდანაც აგზავნიდნენ. ასე, მაგალითად, XIV საუკუნეში იერუსალიმიდან იოვანე ქსცხიანის შვილმა "ფხოტრერის დეკანოზის ხელით" თავის ძმას მუხერის მთავარანგელოზისათვის შესაწირად გამოუგზავნა იერუსალიმის ქართველთა აღდგომის ეკლესიაში მის მიერ გადაწერილი სახარება, რომელსაც დღეს „ლაჰილის ოთხთავი" ეწოდება. იერუსალიმიდან სვანეთში ამ ძვირფასი ძღვენის გამოგზავნის შესახებ ცნობა სახარების ანდერძ-მინაწერშია დაცული: „ქ. სახელითა ღმრთისაითა, აღდგომისა ეკლესიასა შინა, წინაშე საფლავისა ქრისტესა მე, ცოდვილმან და უმეცარმან და უცბად მჩხრეკელმან, იოვანე ქსცხიანის შვილმან ხელვყავ აღწერად წმიდათა ამათ ოთხთავთა, და შევსწირე სუანეთს წმიდასა მთავარანგელოზსა მუხერისა..." (სვანეთის წერილობითი ძეგლები, 1986, გვ. 53).

საქართველოს ძლიერების ხანაში ქართული ენა, ქართული კულტურა ქართულ ქრისტიანობასთან ერთად ჩრდილოეთ კავკასიაშიც ვრცელდებოდა. ცნობილია ქართულ-ხუნძური ორენოვანი წარწერა დაღესტნიდან, სადაც ხუნძური წარწერა ქართული ანბანითაა შესრულებული (ტ. გუდავა, 1954, გვ. 185-196). ჩრდილოეთ კავკასიისაგან განსხვავებით, საქართველოში ქართული ენის რომელიმე დიალექტზე ან კილოკავზე უბრალო წარწერაც კი არასოდეს შექმნილა.

XV ს. მეორე ნახევარში ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, მაგრამ ერთიანობის იდეა ამის შემდეგაც არ გამქრალა. XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოში ყველგან ქართული ენა რჩებოდა საკომუნიკაციო, ღვთისმსახურების, ლიტერატურისა და ხელოვნების ენად. ეს განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს ოდიშის (სამეგრელოს) და სვანეთის მაგალითზე.

XVI საუკუნეში ოდიშში, ბედიის ეპარქიის ცენტრში, ბედიის ღვთისმშობლის ტაძარში, შეიქმნა გულანი, რომელიც ბედიის გულანის სახელითაა ცნობილი. ს-ს. ორბელიანის განმარტებით, გულანი "გულთ სანდომად შეკრებული წიგნია". გულანი საეკლესიო კრებულია, რომელშიც ჩვეულებრივ, თავმოყრილია საღვთისმსახურო წიგნები — სახარება, თვენი, მარხვანი, ზატიკი, სვინაქსარი, ტიბიკონი, მოკლე ჰაგიოგრაფიული საკითხავები და სხვ. (ა. ხელაია, 2006, გვ. 635-636). მოქველი მთავარეპისკოპოსის ეფთვიმე საყვარელიძის დაკვეთით მოქვში გადაიწერა მეტაფრასი (XVI ს.); წალენჯიხაში, მოძღვართ-მოძღვარ ილარიონ წალენჯიხელის დაკვეთით მღვდელ გაბრიელ ბოკუჩავას 1667 წ. გადაუწერია კურთხევანი (ვ. ბერიძე, 1967, გვ. 50); ცაიშის ტაძარში გადაიწერა გულანი (XVIII ს.). ოდიშის მთავრების მიერ მოჭედილი ჯვარ-ხატები, მათ მიერ აგებული ეკლესია-მონასტრები შემკულია ქართული წარწერებით. ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) კარზე 1634-1657 წლებში მოღვაწეობდა იმერეთის მეფის მდივან-მწიგნობარი და კალიგრაფი მამუკა თავაქალაშვილი (თავაქარაშვილი), რომელმაც მთავრის ბრძანებით 1646 წ. გადაწერა და მინიატურებით შეამკო „ვეფხისტყაოსანი". აღსანიშნავია, რომ ეს არის ამ პოემის უძველესი თარიღიანი ხელნაწერი. ლევან II დადიანის ბრძანებით მასვე გადაუწერია "შაჰ-ნამეს" ქართული პროზაული ვერსია „უთრუთიან-საამიანი" და გაულექსავს "ზააქიანის" პროზაული ტექსტი. ამავე ხანებში ოდიშის სამთავრო კარზე მოღვაწეობდა პოეტი ბარძიმ ვაჩნაძე.

ლევან II დადიანის მთავრობის წლებში განახლდა ოდიშის ყველა ეკლესია, ხელახლა მოიხატა და შეიმკო წალენჯიხის, ცაიშის, ხობის ეკლესიები, აშენდა

კორცხელის ეკლესია; ოდიშის მთავარმა ვალებიდან გამოიხსნა იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, ხოლო მისი საფასით ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა 1643 წელს განაახლა ტაძრის მხატვრობა. ამ დროს ოდიშის სამთავრო კარზე არსებობდა საოქრომჭედლო სახელოსნო, სადაც არაერთი ჯვარ-ხატი მოიჭედა, შეიმკო ოქრო-ვერცხლით და ძვირფასი თვლებით (ლ. ხუსკივაძე, 1974, გვ. 15-16). „ჯვარცმის“ (ოქონის) ხატის ვერცხლის ბუდეზე წარწერა გვაუწყებს: „ქ. ეჰა ძვირუხსენებელო, გონება მიუწდომელო, ცისა და ქვეყნის შემქმნელო, ყოვლის ფერის დამბადებელო, ღმერთო, ძეო მაცხოვარო ქრისტე მეუფეო, ჯვარცმაო ოქონისაო, რომელმან მოვაჭედინეთ კუბო ესე ვერცხლითა ჩუენ, დადიანმან, პატრონმან ლევან, მის კურთხეულისა ჩვენისა, ამ სოფლისა თვალის სინათლისა, დედოფლისა, პატრონისა ნესტან-დარეჯანისა სულის სახსრად და საოხად, რათა იხსენ ყოულისა სატანჯველისაგან. ლევან“ (ლ. ხუსკივაძე, იქვე, გვ. 54). ისევე როგორც ეს წარწერა, ოდიშსა (სამეგრელო) და სვანეთში შედგენილი საბუთები, დაწერილია გამართული ქართულით, ქართულ დიპლომატიკაში არსებული ნორმების გათვალისწინებით და მათში კუთხურობა თითქმის არ იგრძნობა. ამიტომ ენათმეცნიერები ზოგჯერ მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამენ, რომ ესა თუ ის ძეგლი სვანეთში ან სამეგრელოშია შედგენილი.

სამეგრელოში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ქართულ წიგნებს მზითევშიც ატანდნენ. ლევან II დადიანის დის — მარიამის მზითვის წიგნში დასახელებულია დავითნი, ჟამნი, „ყოვლად წმინდის სავედრებელი წიგნი“, „დაუჯდომელი საკითხავი წიგნი“, “როსტომიანი“, “ვეფხისტყაოსანი“ და სხვა (მასალები, 1974, გვ. 9). ცნობილია, რომ ქართლის სამეფოში გადედოფლებისთანავე მარიამ დადიანი სათავეში ჩაუდგა ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისა და ქართული მწიგნობრობის აღორძინების საქმეს. მისი ბრძანებით და საფასით აღადგინეს და მოხატეს სვეტიცხოველი და აღმოსავლეთ საქართველოს არაერთი ეკლესია-მონასტერი. ქართლის დედოფალმა, ისევე როგორც მისმა ძმამ, ლევან II დადიანმა, დიდი ღვაწლი დასდო იერუსალიმის ჯვრის მონასტერს.

დედოფალ მარიამს დიდი ამაგი მიუძღვის ქართული ხელნაწერების გადანუსხვა-გამრავლებასა და აღდგენა-განახლების საქმეში. მისი ბრძანებით, დაახლოებით 1634-1645 წწ. შორის გადაიწერა „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერი, რომელიც ამჟამად “მარიამ დადიანისეული ქართლის ცხოვრების“ სახელითაა ცნობილი. ეს არის „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი. დედოფალი მარიამი დიდად ზრუნავდა მტრის მიერ გატაცებულ ქართულ ხელნაწერთა დასახსნელად. მის მიერ თურქ-ოსმალთა ტყვეობიდან დახსნილ პარხლის მრავალთავს (XI ს.) ასეთი მინაწერი ახლავს: „ჩუენ, ხელმწიფემა პატრონმა დადიანისა ასულმა დედოფალთ დედოფალმან მარიამ ესე წიგნი ურუმის ქვეყნიდამ გამოვიხსენ და გავაახლე, დაშლილი და წამხდარი ჩემდა სადღეგრძელოდ და ცოდვათა ჩუენთა შესანდობად“. მსგავსი შინაარსის მინაწერები ახლავს ტბეთის სახარებას (XII ს.), ჭალის გულანს, სვეტიცხოვლის ჟამნ-გულანს (1567 წ.) და სხვა ხელნაწერებს, რომლებიც ასევე მარიამ დედოფალს “ტყვეობიდან“ დაუხსნია (ა. ტუღუში, 1992, გვ. 36).

ქართულ ხელნაწერებზე ზრუნვა ოდიშის სამთავრო კარზე არასოდეს შეწყვეტილა. ოდიშის მთავარმა ოტია დადიანმა (1728-1758) და მისმა მეუღლემ დედოფალმა გულქანმა გადააწერინეს ტიპიკონი (1738 წ.); დედოფალ გულქანისავე

ბრძანებითაა გადაწერილი ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონი; ოდიშის მთავრის გრიგოლ დადიანის (1788-1804) ბრძანებით გადაუწერიათ პარაკლიტიონი და ტ. გაბაშვილის "მიმოსლვა" (ლ. მენაბდე, 1989, გვ. 64). XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დასაწყისში ოდიშის სამთავრო კარზე მოღვაწეობდა ისტორიკოსი ნიკო დადიანი, ფეოდალური ხანის ერთადერთი ცნობილი ისტორიკოსი დასავლეთ საქართველოდან. მისი საისტორიო თხზულების „ქართველთა ცხოვრება" ერთი ნაწილი წინამორბედი ავტორების თხზულებათა შემოკლებულ გადმოცემას წარმოადგენს, ხოლო ორიგინალური ნაწილი — XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. დასაწყისის დასავლეთ საქართველოს ისტორია, — საქართველოს ისტორიის ფონზეა გადმოცემული. სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით დადიანი (1846-1853) ქართული წიგნის დიდი ტრფიალი იყო. ის არა მარტო აგროვებდა ქართულ წიგნებსა თუ ხელნაწერებს, არამედ თვითონაც ეწეოდა ლიტერატურულ-მთარგმნელობით საქმიანობას, წერდა ლექსებს. მისი დაკვეთით ითარგმნა მრავალი მხატვრული ნაწარმოები თუ სამეცნიერო ნაშრომი, გადაიწერა მრავალი ხელნაწერი. დავით დადიანის დაკვეთით გადაიწერა იოანესა და თორნიკეს მიერ ათონის მთაზე გადაწერილი „ბიბლია", იოანე პეტრიწის „პროლოგი", იოსებ ფლავიუსის, პლუტარქეს და სხვათა თხზულებები; მღვდელ იესე გარსევანიშვილს რუსულიდან ათარგმნინა ჰეროდოტეს „ისტორია", პლუტარქეს „შედარებითნი ცხოვრების აღწერანი", „შეყუანილება მითოლოღიად" და სხვა (გ. მიქაძე, 1980, გვ. 75, 79). ეს ხელნაწერები, და აგრეთვე ქართულად თარგმნილი სხვა მრავალი თხზულება, მათ შორის, ჰომეროსის „ილიადა", ციცერონის „ლელი ანუ მეგობრობისათვის", მონტესკიეს „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა", იოანე სინელის „კლემაქსი", ს.-ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართული" (XVIII ს.), „როსტომიანი" (XVIII ს.), იონა ხელაშვილის „რონინი" და კრებული (XIX ს.), პეტრე ლარაძის „მრავალფერყუავილოვანი" (XIX ს.) სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრემ ნიკოლოზ დავითის ძე დადიანმა ქშწკგ საზოგადოებას გადასცა (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. 1, 1959). დადიანების კოლექციაში არაერთი ძვირფასი ხელნაწერი შედიოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია შატბერდში გადაწერილი მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული კრებული (978-988 წწ.). მასში შედის ქართული და ბერძნულიდან თარგმნილი ტექსტები. საგალობელთა ავტორები და მთარგმნელები არიან გიორგი მერჩულე, იოანე მტბევარი, იოანე მინჩხი, სტეფანე ჰყონდიდელი, ეზრა, იოანე ქონქოზისძე, ბასილი ხანძთელი, კურდანაი-კვირიკე, მაკარი ლეთეთელი. საგალობელთა კრებულის შემდგენელი, ერთ-ერთი ავტორი და გადამწერი არის მიქაელ მოდრეკილი. აღსანიშნავია, რომ საგალობლებს სანოტო ნიშნებიც ახლავს (ზ. ჭუმბურიძე, 1983, გვ. 106-111).

გვიან შუა საუკუნეებში სვანეთი ქართული ხელნაწერებისა და ჯვარ-ხატების თავისებურ თავშესაფრად იქცა. ქართული დამწერლობის ძეგლები სვანეთში თითქმის გაფეტიშებული ჰქონდათ, ამიტომაც ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ხელნაწერი შეეძინათ და დაღუპვისგან გადაერჩინათ. ასეთ ხელნაწერებს შორის აღსანიშნავია: ადიშის (897 წ.), მესტიის (1033 წ.), ლაბსყალდის (XII ს.), ჭურაშის (XII ს.), ლახამულის (XII ს.), იენაშის (XIII ს.), ლაჭილის (XIV ს.) ოთხთავები; იელის მარხვანი (XII ს.), ლატალის ლექციონარი (IX-X სს.) და სხვა (სვანეთის წერილობითი ძეგლები, 1986).

ისინი ცნობილია იმ სახელით, სადაც დაცული იყო. აღსანიშნავია, რომ ადიშის ოთხთავი არის ძველი ქართული ენისა და მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, თარიღიან ოთხთავთა შორის უძველესი ნუსხა. გადაწერილია შატბერდის ლავრაში. ოთხთავზე XV-XVI სს. ნუსხურით გაკეთებულ მინაწერში ნათქვამია, რომ ნიკოლაოს ჯუმათელს ეს სახარება და სხვა წმიდა წიგნები — მრავალთავი, ხელთკანონი, მამათა წიგნი და კითხვა-მიგება, — მას კლარჯეთის მონასტრებიდან წამოუღია. შემდეგ, XVI საუკუნეში ისინი სვანეთში აღმოჩნდა (ზ. ჭუმბურიძე, 1983, გვ.113-118). მესტიის ოთხთავი ოშკშია გადაწერილი, ლაჭილის ოთხთავი — იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში და ა.შ.

სამეგრელოსა და სვანეთისაგან განსხვავებით, XVII-XVIII საუკუნეებში აფხაზეთი კულტურულად საქართველოს ნაწილობრივ მოწყდა, რაც ამ მხარეში დასავლეთ კავკასიის მთიელთა ჩამოსახლებამ გამოიწვია. თუმცა ასეთი რადიკალური ეთნიკური ცვლილების შემდეგაც აფხაზეთის ფეოდალური საზოგადოება, სამთავრო სახლი, მეტწილად ქართული დარჩა. XIX საუკუნეში მთავრის კანცელარია კვლავაც ქართულ ენაზე მუშაობდა. ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის (1823-1864) და მისი მეუღლის, დედოფალ ალექსანდრა დადიანის საფლავის ქვების წარწერები მოქვის ეკლესიაში ქართულ ენაზეა შესრულებული.

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიამ საქართველოს მიწა-წყალი ნაწილ-ნაწილ დაიპყრო. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ცარიზმი ქვეყნის კოლონიზაციისა და მოსახლეობის ასიმილაციისთვის ზრუნვას შეუდგა, თუმცა ეს პროცესი რუსეთ-კავკასიის ომმა (1817-1864 წწ.) შეაფერხა. 1864 წელს ომის წარმატებით დასრულებისა და კავკასიელ მთიელთა დიდი ნაწილის ძალდატანებით ოსმალეთში გადასახლების (მუჰაჯირობა) შემდეგ ცარიზმმა კავკასიაში თავი მყარად იგრძნო და ადგილობრივი მოსახლეობის გარუსების მცდელობა ახალი ძალით გააჩაღა. მეფის ხელისუფლებას სურდა კავკასია „სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით მჭიდროდ შეეკრა რუსეთთან და მის განუყოფელ ნაწილად ექცია“, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა „ენით, გონებით და გრძნობით რუსი გამხდარიყო“ (История .., 1967, გვ. 384).

XIX საუკუნის 80-იან წლებში ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკაში ახალი ტენდენციები გამოიკვეთა. აშკარად გამოხატული ასიმილატორული პოლიტიკა — ადგილობრივი მოსახლეობის აყრა მშობლიური ადგილებიდან და გადასახლება, ფიზიკური განადგურება, რუსთა დასახლებების შექმნა, — რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების დენაციონალიზაციის, ეროვნული ცნობიერების მოშლის პოლიტიკით შეიცვალა. ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ქართველების რუსიფიკაციის ჯერიც დადგა და ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე მოხერხებულ გზად ერთიანი ქართული ეთნოსის ტომებად დაყოფა მიიჩნია. ამ დროიდან, მოსახლეობის აღწერის თუ სხვა სტატისტიკურ მასალებში ცალ-ცალკე აღწერდნენ ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს. ამიერკავკასიის მოსახლეობის აღწერის (1886 წელი) მასალებში ცალ-ცალკეა შეტანილი: ქართველები, რომელშიც ქართლ-კახეთის მკვიდრნი იგულისხმებოდნენ, იმერლები, გურულები, აჭარლები, მეგრელები და ლაზები, აფხაზები, სვანები, თუშები, ფშავლები, ხევსურები, მთიულები (Свод статистических..., 1886). ქართველების ეთნოტომობრივ ჯგუფებად დაყოფა 1897 წლის სრულიად რუსეთის იმპერიის მოსახლეობის

პირველი და შემდგომი აღწერის დროსაც უცვლელი დარჩა. **ამასვე ემსახურებოდა ქართული ენის მეგრული და სვანური დიალექტების ცალკე ენებად გამოცხადება.**

უპირველეს ყოვლისა, ცარიზმი აფხაზეთში რუსული ორიენტაციის ინტელიგენციის ჩამოყალიბებისათვის ზრუნვას შეუდგა. აფხაზთა შორის ხელოვნურად ნერგავდნენ ანტიქართულ განწყობილებას; დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ქართველ-აფხაზთა კულტურულ-ისტორიულ ერთობასა და ამ ერთობის საფუძველს — ქართულ ენას. ამ მიზანს ემსახურებოდა აფხაზეთის ეკლესიებში ღვთისმსახურების საეკლესიო-სლავურზე გადაყვანა და რუსული ანბანის საფუძველზე აფხაზური დამწერლობის შექმნა. აფხაზური დამწერლობის შექმნა ემსახურებოდა არა კულტურულ, არამედ პოლიტიკურ მიზნებს, რის შესახებაც მეფისნაცვლის საბჭოს წევრი ე. ვეიდენბაუმი დაუფარავად წერდა: „აფხაზური ენა, რომელსაც არ გააჩნია დამწერლობა და ლიტერატურა, რა თქმა უნდა განწირულია გასაქრობად, ასე თუ ისე ახლო მომავალში. საკითხი ისაა, რომელი ენა შეცვლის მას. ალბათ, მოსახლეობაში კულტურული იდეებისა და ცნებების გამტარებლის როლი უნდა შეასრულოს არა ქართულმა, არამედ რუსულმა ენამ. ამიტომ მიმაჩნია, რომ აფხაზური დამწერლობის დამკვიდრება თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ ეკლესიისა და სკოლის მეშვეობით ქართული ენის ხმარების დასუსტებისა და სახელმწიფო ენით მისი თანდათან შეცვლის საშუალება“ (ზ. ანჩაბაძე, 1970, გვ. 96).

რუსეთის ხელისუფლებამ და მისმა მოხელე-მეცნიერებმა დაიწყეს მიზანმიმართული კამპანია იმის დასამტკიცებლად, რომ მეგრელები, სვანები და სხვა ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფები ქართველები არ არიან, რასაც თითქოს მათ “ენებს“ შორის არსებული განსხვავებაც ადასტურებდა.

იმპერიის ხელისუფლების აზრით კავკასიაში სკოლა ადგილობრივი ერების გადაგვარებისა და გარუსების მძლავრი იარაღი უნდა გამხდარიყო; სკოლას უნდა აღმოეფხვრა ადგილობრივი კულტურა და დაენერგა რუსული, რათა საბოლოოდ გაერუსებინათ ეს ხალხები. 1885 წლის 11 იანვრის ცირკულიარით სამეგრელოს სკოლებში სწავლება მშობლიურ ენაზე — ე. ი. მეგრულად უნდა წარმართულიყო. რადგან მეგრულ ენაზე დამწერლობა არ არსებობდა, რუსული ანბანით უნდა ესარგებლათ (ტრ. ხუნდაძე, 1951, გვ. 98). მეგრულ ენას მიმართავდნენ იმ მიზნით, რათა მისი მეშვეობით სამეგრელოდან ქართული ენა განედევნათ და არა მასზე ზრუნვით, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ანბანის, მწერლობის, ლიტერატურული ტრადიციების არმქონე ენა ვერ შეცვლიდა ქართულს და ეს არც შეადგენდა მათ მიზანს. ქართველი საზოგადოება წინ აღუდგა ამ წამოწყებას. სენაკის მაზრის ინტელიგენციამ თხოვნით მიმართა ილია ჭავჭავაძეს, ჩარეულიყო ამ ამბავში. სწორედ ამავე ხანებში სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრემ ნიკო დადიანმა დადიანთა შესანიშნავი ბიბლიოთეკა — 169 ხელნაწერი წიგნი და ნაბეჭდი წიგნები ქართულ და უცხოურ ენებზე — საჩუქრად გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. სწორედ ეს უნიკალური კოლექცია დაედო საფუძვლად ქშწკგ საზოგადოების ბიბლიოთეკასა და მუზეუმს. დადიანთა ბიბლიოთეკის თბილისში გადმოტანის მოტივით სამეგრელოში ილია ჭავჭავაძე ჩავიდა (სოლ. ცაიშვილი, 1962, გვ. 205-207). სწორედ ამ მოგზაურობის დროს წარმოთქვა დიდმა ილიამ ის ცნობილი სიტყვა, რომელიც სალბუნად დაედო ამ მრავალჭირნახულ მხარეს:

"სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე! დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქარტეხილს გარდაუვლია ზურგსზედა მისსა, მაგრამ ყოველთვის ჟამსა რღვევისა და გაწბილებისა, მაცხოვარი ძალა იგი, ქვეყნის მხსნელი სამეგრელოდან მომდინარეობდა, მტერთა მისთა დამთრგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსულ და ერთგულ იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდა. ასე იყო წინეთ, აგრე არის ახლა, აგრე დარჩება მომავალშიც" (ვუკ. ბერიძის მოგონება, გაზ. „სახალხო განათლება", 1987 წ., 23 ოქტომბერი, №85).

ქართველი ხალხის გათიშვის მიზნით, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კ. იანოვსკის (1878-1899) მოწვევით პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის კანდიდატმა ა. გრენმა, რომელიც საქართველოში 1886 წელს ჩამოვიდა, შეადგინა მეგრული ანბანი და მეგრული ენის სახელმძღვანელო, მეგრულად თარგმნა ლოცვები და მათეს სახარების რამდენიმე თავი (ტრ. ხუნდაძე, 1951, გვ. 105, 108-109). ამის წინააღმდეგ კვლავ გამოვიდა სამეგრელოს მოწინავე ინტელიგენცია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. იყო მცდელობა სამეგრელოს ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურება მეგრულად დაენერგათ, საღვთო წერილი ეთარგმნათ. ეს ჯერ კიდევ XIX საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო. საქართველოს ეგზარქოს ისიდორეს (1844-1858) წინადადებით სამურზაყანოს ეკლესიათა ბლაღოჩინმა დავით მაჭავარიანმა ქართულიდან მეგრულად თარგმნა წმ. იოანე ოქროპირის ლიტურგია (გაზ. „დროება", 1885, №59). სამეგრელოს მოსახლეობა უარყოფითად შეხვდა საეკლესიო წიგნების მეგრულად თარგმნას, მეგრულ ენაზე ღვთისმსახურების შემოღებას. მეგრულად წირვა-ლოცვის ჩატარების მცდელობა ხალხმა არ მიიღო (გაზ. „ივერია", 1889, №4). ცნობილმა მოღვაწემ თედო ჟორდანიამ, რომელიც იმხანად გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურედ მუშაობდა, ვრცელ მოხსენებაში სრულიად ნათლად აჩვენა ლოცვების მეგრულად თარგმნის შეუსაბამობა და უხამსობა, რასაც ამ საკითხის საბოლოოდ მოხსნა მოჰყვა (გაზ. „ახალი ქართლი", 1912, №41).

კ. იანოვსკის მფარველობით ზუგდიდის საქალაქო სკოლის მასწავლებელმა თ. აშორდიამ მეგრელებისა და სვანებისათვის საანბანო წიგნის შექმნის იდეა წამოაყენა. 1899 წელს გამოვიდა კიდეც თ. აშორდიას მეგრული საანბანო წიგნი "დიდა ნინა", რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქმა სკოლების სახელმძღვანელოდ დაუშვა. იმავდროულად გამოვიდა სვანური საანბანო წიგნიც – „ლუშნუ ანბან". 1903 წლის ზაფხულში, როდესაც საქართველოს ეგზარქოსი ალექსი სამეგრელოს ეწვია, უამრავი ხალხი აწყდებოდა მას ლოცვა-კურთხევის მისაღებად, თან ემუდარებოდა, ეშუამდგომლა, რათა საეკლესიო-სამრევლო სკოლებიდან ქართული ენა არ ამოეღოთ და მეგრული ანბანი არ შემოეღოთ (გაზ. „ივერია", 1904, №14). **სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრის ნიკო დადიანის ჩარევამაც მნიშვნელოვანწილად შეაჩერა სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა და მის ნაცვლად მეგრულის შემოღების მცდელობა** (ბ. ხორავა, 2001, გვ. 80). 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ცარიზმი დროებით დათმობაზე წავიდა და ნება დართო სამეგრელოს, სვანეთის, აფხაზეთის, აჭარის სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე წარმართულიყო (გაზ. „ივერია", 1906, №66). ქართველი ხალხის შემადგენელი ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფების გრძნობებზე თამაში გათვლილი იყო ქართველთა ეროვნული ცნობიერების ამღვრევაზე. საეკლესიო-

სამრევლო სკოლების ზედამხედველი და საღვთო სჯულის მასწავლებელი ი. ვოსტორგოვი მოგვიანებით კიდეც აღნიშნავდა: ქართველებს "სამწუხაროდ, აქვთ ეროვნული ტრადიციები და ცნობიერება, მაგრამ ჩვენ ყველგან აღვძარით ტომობრივი გრძნობები იმ იმედით, რომ ტომი ტომზე და ძმა ძმის წინააღმდეგ აღდგება" (ი. ვოსტორგოვი, 1905, გვ. 332). როგორც მოსალოდნელი იყო, ხელისუფლების ეს მცდელობა ჩაიშალა. 1893 წელს მარტვილის სამრევლო სკოლის გახსნისას ეპისკოპოსი გრიგოლი (დადიანი) საზოგადოებას ასე მიმართავდა: "დაიხსომეთ, გულში ღრმად ჩაიმარხეთ, შვილებო, რომ მეგრელები ძველისძველი ქართველები ვართ. სამეგრელო, მეგრელი როდი შეადგენს განსაკუთრებულ ქვეყანას, განსაკუთრებულ ხალხს: სამეგრელო ნაწილია ერთის ქვეყნისა, ჩვენი საზოგადო სამშობლოსი, საქართველოსი: **მეგრელი სახელია იმ ქართველისა, რომელიც საქართველოს ერთ ნაწილში, სამეგრელოში ცხოვრობს... ნუ დაუჯერებთ იმ ზოგიერთ სულმდაბლებს, რომელთაც მხოლოდ პირადის ინტერესებისათვის დაიწყეს ქადაგება ქართველისა და მეგრელის განსხვავებაზედ"** (ნ. შატაიძე, 1985, გვ. 66).

ქართველმა საზოგადოებამ XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში ცარიზმის მოხელე-მეცნიერების მცდელობებს საკადრისი პასუხი გასცა. სამეგრელოს სამთავრო ტახტის მემკვიდრე ნიკო დადიანი წერდა: "მე წავიკითხე ის სტატიები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მეგრული ენის შუა და ქართული ენის შუა სიმსგავსეც არ არისო... ამას ვიტყვი, **ის გარეშე ქვეყნის ფილოლოგები, რომელნიც სწერენ მეგრულს და ქართულს ენებზედ, არიან სრულიად დაბნეულნი. ჯერე ჩვენი ენა ისწავლონ და მერმედ სწერონ... მე მენგრელიას, იმერეთს და გურიას უყურებ, როგორც საქართველოს პროვინციებს.** ჩვენ შუა განსხვავება არ არის ან არც უნდა იყოს; ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრით მოვკვდები. ესღა გვაკლია ახლა, რომ ვინმე ჩინეთელმა ფილოლოგმა დასწეროს ჩვენს ძველ ენაზედ ან გვასწავლოს ქართული. ეგების ამასაც მოვესწროთ..." (გაზ. „ივერია", 1904, №4).

როგორც ვხედავთ, აფხაზეთი, სამეგრელო და სვანეთი ქართული კულტურის კერები იყო. ამ ეთნოგრაფიული მხარეების მოსახლეობამ დიდი წვლილი შეიტანა ქართული სახელმწიფოს, ქართული კულტურის და ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში. **ქართული ენის განშტოებების — მეგრულისა და სვანურის დამოუკიდებელ ენებად, ხოლო მეგრელებისა და სვანების ეთნიკურ თუ ენობრივ უმცირესობებად გამოცხადება ამ ეთნოგრაფიული ჯგუფების დიდი ქართული სამწიგნობრო კულტურისაგან მოწყვეტას გამოიწვევს. მეგრულისა და სვანურის ენებად გამოცხადება, რისკენაც ზოგიერთი ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერი დღესაც აქტიურად მიისწრაფვის, ფაქტობრივად, ქართველი ხალხის დაშლის მცდელობაა.** ამით ისინი უარს ეუბნებიან სვანებსა და მეგრელებს იმ უზარმაზარ კულტურულ მემკვიდრეობაზე, რომლის შექმნაშიც ისინი საუკუნეების მანძილზე მონაწილეობდნენ; უარყოფენ მათ წვლილს ქართული სახელმწიფოს, ქართული სალიტერატურო ენის, ქართული მწერლობისა და, საერთოდ, ქართული კულტურის შექმნაში (საკითხის ისტორიისათვის იხ. თ. გვანცელაძე, 2006).

დამოწმებული ლიტერატურა

მ. ახალაშვილი, 1987 - მ. ახალაშვილი, X-XV სს. წარწერები სვანეთის ჰედური ხელოვნების ძეგლებზე, თბ., 1987.

ლ. ახალაძე, 2005 - ლ. ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, I, თბ., 2005.

გაზ. „ახალი ქართლი", 1912, №41.

ვ. ბერიძე, 1967 - ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

თ. გვანცელაძე, 2006 - თ. გვანცელაძე, ენისა და კილოს საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006.

ტ. გუდავა, 1954 - ტ. გუდავა, ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღისტნიდან: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 30, თბ., 1954.

გაზ. „დროება", 1885, №59.

ი. ვოსტორგოვი, 1905 - И. Восторгов, Церковная школа в Закавказье, „Народное образование", март, 1905.

გაზ. „ივერია", 1904, №4, №14; 1906, №66.

პ. ინგოროყვა, 1941 - პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941.

პ. ინგოროყვა, 1954 - პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

კ. კეკელიძე, 1980 - კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1980.

მასალები.., 1974 - საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები); ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზია იაშვილმა, თბ., 1974.

ლ. მენაბდე, 1989 - ლ. მენაბდე, ნაშრომი განძად დაშთების..., თბ., 1989

გ. მიქაძე, 1980 - გ. მიქაძე, დავით დადიანის ბიბლიოთეკა, ალმანახი „მწიგნობარი", თბ., 1980.

სვანეთის წერილობითი ძეგლები (X-XVIII სს.), ტ. II, (ეპიგრაფიკული ძეგლები); ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნო-ბარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1988.

ა. ტუღუში, 1992 - ა. ტუღუში, ცხოვრება და ღვაწლი დედოფალ მარიამ დადიანისა, თბ., 1992.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. 1, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959.

ნ. შატაიძე, 1985 - ნ. შატაიძე, იანოვსკი, ლევიცკი, აშორდია და სხვები: ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება", 1985, №5.

სოლ. ცაიშვილი, 1962 - სოლ. ცაიშვილი, ილიას ერთი მოგზაურობის ისტორიიდან, წიგნში: ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1962.

ზ. ჭუმბურიძე, 1983 - ზ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, თბ., 1983.

ა. ხელაია, 2006 - ა. ხელაია, ბედია და ბედიის ტაძარი, წიგნში: წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი, თბ., 2006.

ბ. ხორავა, 2001 - ბ. ხორავა, დადიანთა სამთავრო სახლის ახალი დინასტია, თბ., 2001.

ტრ. ხუნდაძე, 1951 - ტრ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე), თბ., 1951.

ლ. ხუსკივაძე, 1974 - ლ. ხუსკივაძე, ლევან დადიანის საოქრომჭედლო სახელოსნო, თბ., 1974.

История.., 1967 - История СССР с древнеиших времен до наших дней, т. IV, М., 1967.

Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейних списков 1886 г., Тифлис, 1893.

TAMAZ BERADZE, BEZHAN KHORAVA

GEORGIAN LITERARY LANGUAGE AND CULTURE AS THE COMMON CREATIVE PRODUCT OF ALL THE ETHNOGRAPHIC PART OF GEORGIA

Georgian literary language and literacy has been created by the common efforts of all the dialects and sub-dialects functioning in Georgia. Among other regions of the country Megrelia, Svaneti and Abkhazeti brought considerable contributions to its formation. The sense of unity among the Georgian tribes can be traced back in XV-XIV cc. B.C. with the formation of the kingdom of Colchis, an ancient Georgian kingdom.

The proclamation of Megrelian and Svan vernacular of the Georgian language as separate languages and declaring Megrels and and Svans as people of ethnic and language minorities will tear these ethnic groups off from the Georgian literacy and culture that has always been created by the active participation of these very groups. The propensity of some Georgian and overseas linguists to declare Megrelian and Svan vernaculars as individual languages is in fact the effort for the further disintegration of the country. In their attempts they seem to deprive the rights from Megrels and Svans to take pride in the language and culture they have been creating for centuries. They neglect the huge contribution of these ethnic groups for the creation of the Georgian statehood, Georgian literary language, and the Georgian culture in general.

მერაბ ბერიძე

აწყურის ტოპონიმიკისათვის

აწყური საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი იყო. ჰერაკლეს ლაშქრობის დროს (VII ს.) აქ საყდარი აუგიათ, რომელიც XII-XIII სს. სამცხის საეკლესიო ცენტრი გახდა. "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" თანახმად, უკვე გრიგოლის დროს (VIII-IX სს-ში) არსებობდა აწყურის საეპისკოპოსო და საკათედრო ტაძარი, რომლის მეთაური იყო ხანძთელის მოწაფე ეფრემ დიდი მაწყვერელი. დღეისათვის შემორჩენილია აწყურის გუმბათოვანი ტაძრის ნანგრევები. "ფართობით იგი ყველაზე დიდი ეკლესია ყოფილა საქართველოში" (სმეელ, 2007, გვ. 119).

აწყური ფრიად მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. აქ გადიოდა დიდი გზა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აკავშირებდა ქართლთან (ლ. მენაბდე, 1962, გვ. 47).

ბოლო დროს აწყურში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, რომელმაც ბევრი ისტორიული ცნობა გააცოცხლა: "აწყურის ტერიტორიაზე არსებული ციხის ციტადელში მიკვლეულია ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის ანუ ანდრია მოციქულის აწყურში ყოფნის პერიოდის კედლის ნაშთი, რომელიც ანდრია მოციქულის მიერ ციხის ზედა ნაწილში მარიამ ღვთისმშობლის ხატის დასვენების შესაძლებლობას რეალურს ხდის. ციხე, როგორც ჩანს, წარმოადგენდა იმ მოსახლეობის აკროპოლისს, რომელიც მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს... უკანასკნელ წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად დაფიქსირებულია მნიშვნელოვანი ფაქტი — ძველი სამოსახლო არსებობდა ძვ. წ. აღრიცხვით V საუკუნიდან ახ. წელთაღრიცხვით I საუკუნის ჩათვლით მდინარის მარცხენა ნაპირზე. ახალი წელთაღრიცხვის დამდეგიდან სამოსახლოს მდებარეობა შეიცვალა და იგი მთლიანად მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდა. სწორედ აქ განვითარდა შუა საუკუნეების ქალაქი, რომლის არქიტექტურულ დომინანტს წარმოადგენდა ორი ხუროთმოძღვრული ძეგლი — ღვთისმშობლის ტაძარი და ციხე" (ვ. ლიჩელი, 2008, №8 (116).

მთელი ისტორიის მანძილზე აწყური მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საეკლესიო ცენტრი იყო. აქ იქადაგა პირველად ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულმა პირველ საუკუნეში და მოაქრისტიანა სამცხე. საქართველოში მირონის კურთხევის უფლება სწორედ აწყურის ეპისკოპოსის — ეფრემ მაწყვერელის მცდელობით დაწესდა. იგი საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს ეპარქიას წარმოადგენდა. "წმ. მოციქულ ანდრიას მიერ დაარსებული აწყურის საეპისკოპოსო, რომლის საკათედრო ტაძარში დაბრძანებული იყო ღვთისმშობლის ხელთუქმნელი, სასწაულმოქმედი ხატი. აწყურის უძველესი საეპისკოპოსო გაუქმდა თურქთა მძლავრობის დროს XVII საუკუნის ბოლოს. იმავე სახელწოდებით, მაგრამ უფრო გაზრდილი ტერიტორიით აწყურის ეპარქია აღდგა 1917 წელს" (ზ. აბაშიძე, 2007, გვ. 145).

სამცხის მთავრების მიერ სეპარატისტული იდეების განხორციელების საქმეში იყო მცდელობა, რომ ეკლესიურადაც ჩამოეცილებინათ მესხეთი საქართველოს კათოლიკოსისათვის, ამიტომ კიდევ უფრო გაიზარდა აწყურისა და მაწყვერლის როლი XIV-XV საუკუნეებში.

აწყურის არსებობა ოდითგანვე დაკავშირებული იყო მტკვართან. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი წარმოადგენდა გზათშესაყარს. მტკვრის ხეობაზე გამავალი გზები ვერ ასცდებოდა აწყურს.

ძველ ტექსტებში ეს სახელი სხვადასხვა ფორმით გვხვდება: ნ. მარის მიერ გამოცემულ გიორგი მერჩულეს "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" გვაქვს ***აწყური***: "სიწმინდესა შინა აწყურისა სასწაულთა მოქმედი" (ნ. მარი, 1911). "რამეთუ დიდი ეფრემ უწინარეს მრავალთ წლით არსენისსა იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა" (ნ. მარი, 1911). ***აწყურია*** აკაკი შანიძის რედაქტორობით გამოსულ "ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიაში" "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" შესაბამისს ადგილებში (ა. შანიძე, 1949, გვ. 258). **აწყური** მოიხსენიება ბასილ ზარზმელის თხზულებაში, აგრეთვე, როგორც საეპისკოპოსო ცენტრი: "განაბრწყინვა ღმერთმან დიდი იგი მღდელთმოძღუარი გიორგი შუარტყლელი, რომელმან დაიპყრა საყდარი ***აწყურისაჲ***" (ნ. ვაჩნაძე, 1975, გვ. 177).

აწყურის ეპისკოპოსი არის ***მაწყუერელი***: "ტომნი დიდისა ეფრემ ***მაწყუერელ*** ეპისკოპოსისანი" (ნ. მარი, 1911).

"ხოლო ყოველთა ამათ საქმეთა სიმრავლისათა მეტყუელი პირი და ენაჲ დიდსავე თანა გიორგის ***მაწყუერელსა*** იყო ნეტარიცა მამაჲ სერაპიონ. ვინაჲცა ყოველნი ცრუ საწაულნი და საქმენი, რომელნი-იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკანაჲ სჴნელი ეხილვნეს, მომითხრნეს პირმან მან უტყუველმან გიორგის ვეტყჳ ***მაწყუერელსა***" (ნ. ვაჩნაძე, 1975, გვ. 178). "ხოლო მოვიდა ღმერთ-შემოსილი გიორგი ***მაწყუერელიცა*** ჯუარითა ყოველთა თანამწყობრთა ეკლესიისათა" (ნ. ვაჩნაძე, 1975, გვ. 180).

აწყური გვხვდება ლეონტი მროველის თხზულებაში ჩართულ ანდრია პირველწოდებულის ეპიზოდში: "აწ ყოველთა მიერ სახილველ არს ხატი ყოვლადწმიდისა ***აწყუერისა*** ღვთისმშობელისა (ლეონტი მროველი, 1955, გვ. 38)". იქვეა ფონეტიკური ვარიანტი ***აწყვერი***: "ხოლო წმიდა მოციქული წამოემართა და მოიწია ***აწყვერს***" (ლეონტი მროველი, 1955, გვ. 39), რომელსაც სქოლიოში ვარიანტად აქვს ***აწყური***. "დაასვენეს ყოვლად დიდებული ხატი ყოვლად წმიდისა ***აწყვერის*** ღვთისმშობლისა მცირესა მას ეკუდერსა" (ლეონტი მროველი, 1955, გვ. 43). ჯუანშერთან ჩართულ იმავე ეპიზოდში გვაქვს ***აწყუერი*** (ჯუანშერი, 1955, გვ. 224). "მატიანე ქართლისაში" იხსენიება "***აწყუერის*** ციხის პატრონი" (მატიანე ქართლისა, 1955, გვ. 300). ისევე, როგორც ჰაგიოგრაფებთან, მატიანეშიც **მაწყუერელი** გვაქვს: "გამოიყვანა **მაწყუერელმან** მესხნი" (მატიანე ქართლისა, 1955, გვ. 300).

აწყურის სახელის ვარიანტულობამ დღევანდლამდე მოაღწია. მას ოფიციალურად, მართალია, **აწყურს** უწოდებენ, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა მეოცე საუკუნეში ***აწყვერად*** მოიხსენიებდა. მესხეთში გავრცელებულ ერთ ხალხურ ლექსში ვკითხულობთ:

"***აწყვერის*** ხეობას შემოვჰყევ,
ჰაჰკარს ვნახე სახლი კლდისა,
აწალკული, დაწალკური ალაგური,
ქილდას ერთ გოგო ვნახე,
იმან დამიკოდა გული".

აწყვერი, ჰაჰკარი, ალაგური, ქილდა სამცხე-ჯავახეთის სოფელთა სახელებია, ამიტომ მთქმელის ინფორმაცია სანდოა. ვინმე მესხს (ივანე გვარამაძეს) ჩაუწერია შემდეგი ლექსი;

"ბიჭი ვარ გოგოგიტაური,
თოფი მაგდია მხრიანი,
აწყვერში დავიარები,
როგორც ირემი რქიანი" (ე. თაყაიშვილი, 1918, გვ. 110).

"აწყურის უფრო ძველი ფორმა უნდა იყოს "აწყვერი" ან აწყუჳრი, ან აწყუერი" (ს. ჯიქია, 1958, გვ. 121).

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **აწყური** შემდეგი ფორმებით გვხვდება: ***აწყური, აწყუერი, აწყვერი, აწყუჳრი***. ეპისკოპოსი კი იყო ან ***მაწყუერელი*** ან ***მაწყვერელი***. როგორც მოყვანილი ხალხური ლექსებიდან ჩანს, სახელი ნათესაობითში შეიძლება შეიკუმშოს და მივიღოთ **აწყვრის** ფორმა. აქაც იგივე ფუძეა გამოყენებული, რომელიც გვხვდება ძირეულ სახელში, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ***ვ*** და ***უ*** ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტებია. უმარცვლო უ-ს თავისი ნიშანი ანბანში არ ჰქონდა — როგორც ა. შანიძე ბრძანებს — ამიტომ ძველად ისევე იწერებოდა, როგორც მარცვლიანი ***უ***. "ამაში გვშველის ზოგჯერ ახალი სალიტერატურო ქართული, სადაც ძველი უმარცვლო ***უ*** ***ვ***-დ არის წარმოდგენილი" (ა. შანიძე, 1976, გვ. 20).

ერთმარცვლიან სიტყვაში უმარცვლო უ ინარჩუნებს მარცვალს, როგორც ეს მოხდა **აწყურის** შემთხვევაში, ხოლო **აწყუერში** იგი არის უმარცვლო, ამიტომ გვაქვს მისი პარალელური ვ-ინიანი ფორმა — **აწყვერი**. ეს იყო წესი ძველ ქართულში: "უმარცვლო უ შეიძლება სრული ხმოვანი გახდეს და მარცვლიანობა შეიძინოს თუ მას არ ახლავს ხმოვანი და მარტო დარჩა ერთმარცვლიან სიტყვაში" (ა. შანიძე, 1976, გვ. 21). **აწყური** ორმარცვლიანია, მაგრამ უ-სა და ვ-ს ურთიერთობა უფრო ძველი ჩანს და იგი ფუძის შიგნით უნდა ყოფილიყო მომხდარი. ე. ი. იყო ***წყურ*** ფორმა, რომელშიც უ არის მარცვლოვანი და მას ჰქონდა პარალელური ფორმა ***წყუერ***, სადაც უ იყო უმარცვლო. აწყურში ა- პრეფიქსის სახით გამოყო ნ. მარმა (ნ. მარი, 1935, გვ. 163). ეს გამოყოფა რომ სწორია, ისიც მიუთითებს, რომ ისტორიული ფონეტიკური პროცესები ლექსიკური, ძირეული მორფემის ფარგლებში ხდება.

ვ-სა და უ ბგერების ურთიერთმიმართება ძველ ქართულში შეისწავლეს თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა. მათი დასკვნა ასეთია: "ისეთი შემთხვევის ანალიზი, სადაც ერთსა და იმავე მორფემაში "ურედუქციო" და "ნარედუქციალ" ფორმათა მონაცვლეობა რეგულარულ ხასიათს არ ატარებს და სადაც ეტიმოლოგიური კავშირები უკვე დიდი ხნიდან არის გაწყვეტილი, გვაფიქრებინებს, რომ ჳ-სა და უ-ს მიმართება ქართული ენის განვითარების უძველეს პერიოდში არ უნდა ყოფილიყო იგივე, რაც ძველ ქართულში: კერძოდ, "ურედუქციო" ფორმებში ხმოვნის წინ უნდა გვქონოდა [ჳ], ხოლო "ნარედუქციალ" ფორმებში თანხმოვნებს შორის — მარცვლოვანი [უ] (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 49).

აწყურის შემთხვევაში "ურედუქციო" ფორმაა ***აწყუერი//აწყვერი***. მართალია "[უ]-ს [ჳ] ბგერად დავიწროებამ უმახვილო პოზიციაში გამოიწვია [ვ]" (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 53), მაგრამ ორივე ბგერა არსებობს და ისტორიულ ქართულში (ლიტერატურული წყაროების მიხედვით VIII-IX საუკუნეებში) ორივე ფორმა დამტკიცდება, ისინი პარალელურად იხმარება.

აწყური და აწყვერი//აწყუერი ბოლო დრომდე (მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე ძველი თაობის მეტყველებაში) თანაბარი უფლებით არსებობდნენ. უმახვილო **უ** ხმოვნის წინ **ვ**-დ იქცეოდა, როგორც კი შესაბამისი პოზიცია შეიქმნებოდა — აფიქსების საშუალებით *მაწყვერელის* შემთხვევაში და ნათესაობით ბრუნვაში *აწყვერი//აწყუერი→აწყვრის* სახით. დღეისათვის ვ-ინიანი ფორმა აღარ არსებობს და გვაქვს მხოლოდ **აწყური**, რომლიდანაც გვაქვს გვარი (ფსევდონიმი) *აწყურელი* (ამ გვარს ატარებდა მესხეთის თეატრის მსახიობი) და კუმშვის გარეშეა ნათესაობითი ბრუნვა: "აწყურის საშუალო სკოლა", "აწყურის მოსახლეობა" და სხვ.

აწყურის ეტიმოლოგია პირველად მოგვცა ნ. მარმა. მან **აწყური** დაშალა **ა-წყურ-** ფორმით. **წყურ-** დაუკავშირა **kar//kor//ker skur** ფუძეებს. მისი მნიშვნელობა ნ. მარის მიხედვით არის: დასახლებული პიუნქტი, სოფელი, ქალაქი, მხარე (ნ. მარი, 1935, გვ. 163).

აწყური მნიშვნელობით უფრო ახლოს უნდა იდგეს **წყალთან**. ქართულ *წყალს* შეესატყვისება მეგრული *წყუ* (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000, გვ. 657). *წყალ*-თან შორს არ უნდა იყოს *წყარ*-ო, რომელიც მეგრულში გვაძლევს *წყორ*-ს (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000, გვ. 657). წყაროში **ო** არის სუფიქსი. მისი სუფიქსობის შესახებ "აზრთა სხვადასხვაობა არ გვაქვს" (ვ. შენგელია, 2006, გვ. 148).

წყარო და *წყალ-* სიტყვათა კავშირი აშკარაა "წყარო სიტყვის არა მარტო შინაარსობრივი, არამედ მატერიალური კავშირი წყალ სიტყვასთან იმდენად აშკარაა, რომ, ბუნებრივია, ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არა გვაქვს" (ვ. შენგელია, 2006, გვ. 147).

აწყური თავისი "რედუცირებული" (*აწყურ-*) "ურედუქციო" *აწყუერ* ფორმით ისტორიამდელ პერიოდში გადადის. ამ აზრს ამაგრებს ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემები.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამოსავალი უნდა იყოს "წყლის" აღმნიშვნელი საერთო ქართველური ძირი *წყ-* (ვ. თოფურია), რომელიც, გარდა საკუთრივ **წყალ-** ფუძისა, გვაქვს **წყურ-** ფუძის სახით ("წყურვილი"), **ნე-რ-წყ-უ, რ-წყ-ევ-ა** ფუძეებში (მ. ჩუხუა, 2000-2003, გვ. 370).

ამავე რიგში ჩადგება **წყარო** (←*წყულ-არ←*წყალ-არ) (ვ. შენგელია, 2006, გვ. 149). ალბათ აქვე უნდა განვიხილოთ სოფლის სახელი ახალციხის რაიონში *წყორძა*, რომელშიც გამოყოფენ *წყორ*-ს წყლის მნიშვნელობით (ნ. ნორაკიძე, 1971, გვ. 137-141), ეს **წყორ-** ქართული **წყარ-** ფუძის შესატყვისი ჩანს (ვ. შენგელია, 2006, გვ. 150).

საერთო ქართველურ **წყ-** ძირს ერთვის "რედუქციამდელ" ფორმებში **-ვ(უ)ერ, -უ8რ** ან "რედუცირებულში" — **-ურ** სუფიქსი. **ა-** არის დანიშნულების აფიქსი (შდრ. ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 272, სადაც ***წარ-/ჰორ-, *წყარ-/ჰყორ-, *წყურ-/ჰყურ-** საერთოქართველურ პარალელურ ფუძეებადაა განხილული).

აწყური წყლიან ადგილს, წყლის ადგილს უნდა ნიშნავდეს. უძველესი დროიდან მოყოლებული იგი გაშენებული იყო მტკვრის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე.

დამოწმებული ლიტერატურა

ზ. აბაშიძე, 2007 - ზ. აბაშიძე, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია: კრებ. "ზარზმა", 2007.

თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965 - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

ნ. ვაჩნაძე, 1975 - ნ. ვაჩნაძე, "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975.

ე. თაყაიშვილი, 1918 - ე. თაყაიშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, თბ., 1918.

ლეონტი მროველი, 1955 - ლეონტი მროველი, "ცხოვრება ქართველთა მეფეთა": ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

ვ. ლიჩელი, 2008 - ვ. ლიჩელი, აწყური — ძველი სამცხის დედაქალაქი: გაზ. "ლიტერატურული მესხეთი", 2008.

ნ. მარი, 1911 - Н. Я. Марр, Георгій Мерчулъ, Житие св. Григорія Хандзтійскаго, ნ. მარის შესავალი, გამოცემა, თარგმანი, სანკტ-პეტერბურგი, 1911.

ნ. მარი, 1935 - Н. Я. Марр, избранные работы, том пятый, 1935.

მატიანე ქართლისა, 1955 - მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

ლ. მენაბდე, 1962 - ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვეთი II, თბ., 1962.

ნ. ნორაკიძე, 1971 - ნ. ნორაკიძე, ზანიზმნები სამცხის გეოგრაფიულ სახელებში: ჟურნ. "მნათობი", 1971, №4.

სმეელ, 2007 - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2007.

ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000 - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

ტ. ფუტკარაძე, 2005 - ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ნაწილი I, ქუთაისი, 2005.

ა. შანიძე, 1949 - ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1949.

ა. შანიძე, 1976 - ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

ვ. შენგელია, 2006 - ვ. შენგელია, ქართველურ და ჩერქეზულ ენობრივ სისტემათა ისტორიის ზოგი საკითხი, თბ., 2006.

მ. ჩუხუა, 2000-2003 - მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.

ს. ჯიქია, 1958 - ს. ჯიქია, "გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", თბ., 1958.

ჯუანშერი, 1955 - ჯუანშერი, "ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა": ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

MERAB BERIDZE

ABOUT *ATSKURI* ETYMOLOGY

Atskuri is one of the ancient cities. It has been an important political and *eclessiastic center for centuries. Saint Andria Pirveltsodebuli was the first who* preached Christianity here in the I c. and converted the whole Samrskhe into Christianity. In Georgia crism was sanctified with the effort of Atskuri bishop, Ephrem Matskvereli.

Prefix –a [ა] was seperated in the word Atskuri by N. Mari. According to hagio-gr-a-phical and historical sources the word Atskuri is met with the following forms: Atskuri, [აწყური], Atskueri [აწყუერი], Atskveri. [აწყვერი], Atskuei [აწყუეთრი] where the Georgian root- **tsk [წყ]** is seperated. The same root is met in the following words:Tskali [წყალი], Tskaro [წყარო] Tsku [წყუ], Tskor [წყორ] etc.

To my mind the word Atskuri means a place for water or a watery place.Atskuri is built on both sides of the river Mtkvari.

ევგენი ბლიაძე

საქართველო ეკატერინე მეორისა და ვოლტერის მიმოწერებში

რუსეთ-თურქეთის 1768 - 1774 წლების ომში იმპერატორი ეკატერინე II პირადად იყო დაინტერესებული იმერეთის მეფე სოლომონ I-ისა და ერეკლე II-ის მონაწილეობით.

1769 წლის 19 მაისს მან შეიწყალა რუსეთიდან განდევნილი გენერალი ტოტლებენი, 27 მაისს კი გამოიცა განკარგულება გრაფ ტოტლებენისათვის დანაშაულის პატიებისა და რუსეთში დაბრუნების შესახებ (პ. ბუტკოვი, 1866, გვ. 114). გენერალ-მაიორი გრაფი ტოტლებენი დაინიშნა თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლი ჯარის სარდლად საქართველოში. 1769 წლის აგვისტოში 100 კაციანი ავანგარდი ტოტლებენის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა. 29 აგვისტოს სოფელ ხოდასთან ერეკლე ტოტლებენს შეხვდა. მოლაპარაკების შემდეგ ერეკლემ თურქეთთან ომში მონაწილეობაზე და სოლომონ პირველისთვის დახმარების გაწევაზე თანხმობა განაცხადა იმ პირობით, თუ რუსეთის მთავრობა ხუთიათასიან დამხმარე ჯარს გამოგზავნიდა.

1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინე II-მ განკარგულება გასცა, რომ საქართველოში რუსეთის 3700 მეომარი გამოეგზავნათ (ვ. მაჭარაძე, 1957, გვ. 42).

აღნიშნულთან დაკავშირებით დავით ბატონიშვილი გადმოგვცემს საინტერესო ამბავს: „მეფე სოლომონ ევედრა კარსა რუსეთისასა, რათა მოჰსცეს მხედრობაი შესაწევნელად. მსმენელმან ამისმან იმპერატრიცამ ეკატერინამ წარმოუვლინა ღენერალი გრაფი ტოტლებენი ნემენცი ექვსი ათასითა მხედრობითა წელსა 1769. სცნა რა მოსვლაი მათი მეფემან ირაკლიმ, მიეგება წინა კოპს. შეითქუნენ მეფე და ტოტლებენი, რომელიცა არღარა წარვიდა იმერეთად, არამედ წარვიდნენ ორნივე ახალციხესა ზედა, რომელთა ვერაგთა კაცთაგან და უფრორე მეფისა სოლომანისა მიერ წარმოიშვა შორის მეფისა და გრაფისა სანდურავი, ვინაითგან არა სწადდა მეფესა სოლომანს განდიდებაი მეფისა ირაკლისა და მარადის მზირ ეყვის მას, რათა ჰსცნეს ნაკლოლევანებაი რაიმე მეფისა“ (დ. ბარონიშვილი, 1941, გვ. 16). რა თქმა უნდა, ძნელია ბოლომდე გაიზიარო დავით ბატონიშვილის მიერ აღნიშნული ამბების შეფასება, განსაკუთრებით მეფე სოლომონის მიმართ მისი დამოკიდებულება, მაგრამ ის მაინც უდავოა, რომ სოლომონმა არცთუ სასიამოვნოდ მიიღო მის სახელზე გამოგზავნილი ჯარისა და სარდლის ერეკლესთან გამოცხადება.

დიდი იმედით დაწყებული რუსულ-ქართული სამხედრო თანამეგობრობის ისტორია სამწუხაროდ დასრულდა. პირველი მარცხი და დიდი უხერხულობა ტოტლებენ-ერეკლეს ურთიერთობაში ასპინძასთან მოხდა. პლატონ იოსელიანის აზრით, 1770 წლის 20 აპრილს ასპინძის ბრძოლის წინ გიორგი XII, რომელიც მაშინ 24 წლისა იყო, დიდად უსიამოვნოდ მოექცა რუსეთის გენერალ ტოტლებენსა, ოდეს არა ინება შებმოდა ოსმალისა ჯარსა.

„ღენერალო! სირცხვილია ამისთანა დროსა ღალატი მეფისა, — ჰრქვა მეფის ძემან. — „არა მაქვს ბრძანება, — უპასუხა ღენერალმან, — იმპერატრიცისა რომ შევება ჯარითა ესრეთ მცირითა მტერსა დიდსა უსარგებლოდ“ - „მაგითი, ღენერალო, არცხვენ რუსეთისა ჯარსა. - ეტყოდა მეფის ძე გიორგი, - და უტეხ

სახელსა დიდსა რუსეთსა. ღმერთი ჩვენკენ იქნება, ჩვენ შევებმით, გავიმარჯვებთ და მოვახსენებთ იმპერატრიცასა შენსა სიმხდალესა“ (პლ. იოსელიანი, 1936, გვ. 9). როგორც იტყვიან, რუსმა გენერალმა არა თუ ქართული საქმისა არაფერი გააკეთა, რუსული საქმის მხარდაჭერაც არ ისურვა. ოსმალეთთან ქართველთაგან ომის წარმოება ხომ რუსეთის ინტერესებშიც შედიოდა. ასეთ საპასუხისმგებლო დროს გამოავლინა მან სრული უპასუხისმგებლობა და ღალატი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, თავისი ჯარით უკან გამობრუნდა და ერეკლე პირისპირ დატოვა უამრავ მტერთან. ერეკლეს სამხედრო ნიჭისა და ვაჟკაცობის წყალობით, ასპინძის ბრძოლა ერთ-ერთ ბრწყინვალე გამარჯვების ნიმუშად შევიდა ომების ისტორიაში. ამ ბრძოლაში ერეკლემ პირადად გამოასალმა სიცოცხლეს თავისი ძველი მოწინააღმდეგე კოხტა ბელადი. ამ დიდი გამარჯვებით მიღებული სიამოვნების ადგილზე გააზრებაც ვერ მოახერხა მეფე ერეკლემ, რადგან სასწრაფოდ უკან გამოედევნა ტოტლებენს, რათა თავიდან აეცილებინა მისგან მოსალოდნელი ახალი უსიამოვნება.

მომხდარი ფაქტი შეფასება-განსჯის საგანი გახდა არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ ისტორიოგრაფიაშიც.

„მაგრამ იმედები გაცრუვდა, ხოლო რუსული დიპლომატიისა და სამხედრო სარდლობის მიზნები მიუღწეველი დარჩა, — წერდა ო. მარკოვა — უეჭველი შეცდომა იყო რაზმის სარდლად გრაფ გოტლიბ-კურტ-ჰენრიხ ტოტლებენის დანიშვნა. უნარიანი, მაგრამ თვითდაჯერებული ტოტლებენი დიდად აჭარბებდა თავის უფლება-მოსილებას, როცა ფაქტიურად გადაწყვიტა საქართველოს დაპყრობა. მეფის ხელისუფლებას მოუწია ეფიქრა არა თურქთა წინააღმდეგ ძლიერ დივერსიაზე, არამედ ტოტლებენის განკარგულებებით გამოწვეული უწესრიგობის აღმოფხვრაზე“ (პ. მარკოვა, 1966, გვ. 139).

ასეთი მკაცრად კრიტიკული შეფასებებით აღნიშნა რუსმა მკვლევარმა ტოტლებენის „დამსახურება“. საქართველოში ტოტლებენის წელიწადნახევრიანი მოღვაწეობა, მისი აზრით, რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა. ის მხოლოდ ამწვავებდა სიტუაციას საქართველოში და რუსული პოლიტიკისადმი უკმაყოფილებას იწვევდა ქართველებში, რაც შესაძლებელია წინასწარგანზრახვით გამოუდიოდა ტოტლებენს „რუსული საქმისადმი გულმოდგინების“ ნიშნით.

როგორც პროფ. სარგის კაკაბაძე წერს: „ტოტლებენმა კიდეც დააპირა ერეკლე მეფის დატუსაღება, მისთვის რუსის ორდენის წმ. ანდრია პირველწოდებულის ჩამორთმევა, ტახტიდან ჩამოგდება და საქართველოს რუსეთთან შეერთებაც. თავისი განზრახვა ტოტლებენმა შეატყობინა პეტერბურგის მთავრობას. ის კიდეც შეუდგა თავისი აზრის განხორციელებას. დუშეთსა, ანანურსა, გორსა და ცხინვალში ტოტლებენის ბრძანებით ხალხი დააფიცეს რუსის მთავრობის ერთგულებაზედ“ (მიმოწერა.., 1805, გვ. 159). ასეთსავე პოლიტიკას ახორციელებდა ტოტლებენი დასავლეთ საქართველოშიც. ო. მარკოვას აზრით, როცა იგი სამოკავშირეო ხელშეკრულებებს აფორმებდა დადიანთან, გურიელთან და შერვაშიძესთან, რომლებიც გამუდმებით ებრძოდნენ სოლომონ პირველს (პ. მარკოვა, 1966, გვ. 140).

იმ დროს, როცა მეფე ერეკლე ტოტლებენის უთავობით გამოწვეული პრობლემების მოგვარებითა და ქვეყნისთვის საარსებო საქმეებით იყო დაკავებული, ფრანგ განმანათლებელთა იდეებით აღფრთოვანებული და პირადი განათლებულობის მანიით შეპყრობილი რუსეთის იმპერატორი, რომელიც ვოლტერთან ფლირტით იყო დაკავებული, საკმაოდ საინტერესოდ მოიხსენებდა ქართველ მეფესა და საქართველოს, ცდილობდა სათანადოდ წარმოეჩინა საკუთარი დამსახურება

თურქეთის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლებისა და კონსტანტინოპოლის აღდგენა-აღორძინების იდეით. ამ იდეას აფასებდა და მხარს უჭერდა დიდი ფრანგი განმანათლებელი ვოლტერი. იგი მართლაც მთელი გულით უცხადებს თანადგომასა და მხარდაჭერას მებრძოლ ქართველებს და აღიარებს ამ ბრძოლაში რუსეთის განათლებული იმპერატორის როლსა და დამსახურებას.

ისტორიულად ცნობილი ამ ორი პიროვნების მიმოწერებში გვხვდება ჩვენთვის საინტერესო ადგილები. წერილები 1770 წლით თარიღდება, თუმცა პერიოდი, რომელსაც მიმოწერები მოიცავს, 1763-1778 წლებში გრძელდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ქართულმა პრობლემებმა მიმოწერებში 1770 წლის დასაწყისიდან იჩინა თავი და იგი რამდენიმე წერილს მოიცავს. აქედან პირველი, 1770 წლის 2 იანვრით დათარიღებული, ვოლტერს ეკუთვნის.

ვოლტერის წერილში აღნიშნულია ის ფაქტი, როცა თურქეთის სულთანს ქართველმა მეფემ უარი განუცხადა ცოცხალი ადამიანების მირთმევაზე, კერძოდ, ქალიშვილების გაგზავნაზე. „აქ ხელიდან ხელში გადადის ქართველების მანიფესტი — წერს ვოლტერი ეკატერინე მეორეს — რომლითაც უარი არის გამოცხადებული მუსტაფას კარისთვის ქალიშვილების მირთმევაზე. ვისურვებ, რომ ეს სიმართლე იყოს. და რომ მათი ყველა გოგონა წილად ხვდეს თქვენს მამაც ოფიცრებს, ისინი ამად ღირან: სილამაზე სიმამაცის ჯილდო უნდა იყოს“ (ა. ცაგარელი, 1898, გვ. 65).

მომდევნო წერილი იმპერატორს ეკუთვნის და იგი ვოლტერს გაუგზავნა 1770 წლის 8 იანვარს. ამ წერილში ეკატერინე ერეკლე მეორეს შესახებ აწვდის ცნობებს ვოლტერს, თუმცა მას არა მეფედ, არამედ "Князъ" -ად მოიხსენიებს. ეს წერილი თითქოს ვოლტერის პასუხსაც შეიცავს და ახალ ინფორმაციასაც ქართველთა შესახებ. „ქართველებმა თავის ფარი აღმართეს თურქების წინააღმდეგ, - წერს იმპერატორი, - და უარს ეუბნებიან ყოველწლიურ სარეკრუტო გადასახადზე. ერეკლე, მათი უძლიერესი მეფე, ჭკვიანი და მამაცია. ის თავის დროზე ინდოეთში იბრძოდა სახელოვან ნადირ შაჰთან და ხელს უწყობდა მის წარმატებებს ინდოეთის დაპყრობის დროს. ეს ამბები მოსმენილი მაქვს ერეკლეს მამისგან, რომელიც პეტერბურში გარდაიცვალა 1762 წელს (მიმოწერა.., 1805, გვ. 66).

შემდეგ წერილში (18 აგვისტო, 1770 წ.) ტოტლებენის დასავლეთ საქართველოში ლაშქრობაზეა საუბარი: „გუშინ გენერალ-მაიორ ტოტლებენისგან მივიღე ცნობა, - წერს იმპერატორი, - რომ თურქებს მან წაართვა ორი ციხე შორაპანი და ბაღდათი, რომლებიც კავკასიის გადაღმა მდებარეობენ. ახლა მას გარემოცული აქვს ციხე და ქალაქი ქუთაისი, კუტაია ძველი სახელწოდებით. იგი მდებარეობს მდინარე ფაზისზე, რომელიც შავ ზღვაში ჩაედინება. იმერეთის მეფე სოლომონი მოქმედებს გრაფთან ერთად. მეფის მეუღლემ, რომელიც რუსთა ბანაკში მივიდა, უფროსს სთხოვა, ბაღდათის აღების შემდეგ ნება დაერთო პირველი შესულიყო ქალაქში. ალბათ, მიხვდები, რომ მის თხოვნაზე უარს ვერ ეტყოდნენ... მე დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა, რომ მეფე ერეკლემ, ამ ქალაქების აღებამდე, თურქები გაანადგურა ახალციხესთან“ (იგულისხმება ასპინძის ბრძოლა — ე.ბ)“ (იქვე, გვ. 105-106). კარგი გულმავიწყობაა, ისაუბრო იმ ციხეების აღებაზე, სადაც რამდენიმე თურქი იყო გამაგრებული და გადაგავიწყდეს თითქმის მსოფლიო მნიშვნელობის ბრძოლა, რომლის პირდაპირი შედეგი თვით ტოტლებენის წარმატებაც იყო.

ამჯერად ვოლტერი ბრძოლის ველად ქცეულ საქართველოს მოიხსენიებს 4 ივლისის პასუხში ეკატერინესადმი: „შეუძლებელია გაოცებული არ დავრჩე, როცა წარმოვიდგენ, რომ თქვენი უმაღლესობა როგორ არის დაკავებული იმ არმიების

მართვით, რომლებიც ვალახეთში, პოლონეთში, ბესარაბიასა და საქართველოში არიან განლაგებული“ (იქვე, გვ. 91).

და ბოლოს, ეკატერინე მეორის 1770 წლის 9 ოქტომბრის წერილი: „21 აგვისტოს წერილში მეკითხები, აიღო თუ არა გენერალმა ტოტლებენმა არზრუმი? მაგრამ, მახსოვს, მე გაცნობებდი, რომ მისი უკანასკნელი დაპყრობილი ქალაქი იყო ქუთაისი. ომში ასე ჩქარა არ მიაბიჯებენ“ (იქვე, გვ. 122—123).

ამდენად, როგორც იმ წერილებიდან მოტანილი ადგილები გვიჩვენებს, რომელიც ეკატერინესა და ვოლტერს შორის მიმოწერებში საქართველოს, ქართველ მეფეებს და რუსეთის ჯარის შერცხვენილ სარდალს ეხება, არის უმთავრესი, რომელიც ნამდვილად გულით არის ნათქვამი, ეს არის ერეკლეს საბრძოლო წარმატება და საომარ მოქმედებაში ქართველთა აქტიური მონაწილეობა (როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში).

ბუნებრივია, იმპერატორისაგან იმას ვერ მოვითხოვთ, რაც ჩვეულებრივ მემატიანეს არ უნდა გამორჩეს მხედველობიდან. კერძოდ, სარდლის მიერ საკუთარი მოვალეობის დავიწყება. მაგრამ, გამარჯვებულებს არ სჯიანო, ეს სიტყვებიც არ არის უცხო რუსეთის იმპერატორისათვის, ტოტლებენი კი მაშინ მის თვალში გამარჯვებული იყო.

კიდევ კარგი, მხოლოდ მემატიანისა და მხოლოდ მატიანეში მასალის ძიების შედეგად არ გვიხდება ამ მოვლენების შესახებ საუბარი; არქივმა შემოგვინახა ასპინძის ბრძოლაში გამარჯვებულისა და ამ გამარჯვების ორგანიზატორის — მეფე ერეკლეს შეფასება, მისი აზრი მომხდარის შესახებ, რომელიც 1770 წლის 30 აგვისტოთია დათარიღებული და მოურავობისთვის იყო განკუთვნილი. რა თქმა უნდა, ბოლო ინსტანცია თვით იმპერატორი იყო, ვისთანაც ერეკლეს ეს გულისტკივილი უნდა მიეტანათ. „აგერ ერთი წელიწადია მოსულა ღრაფი, — აღნიშნულია ერეკლე მეორის წერილში, — და რა გაუკეთებია? ნუთუ ამას იქადის, რომ რაღაც ორიოდ კოშკი შორაპანისა და ბაღდადისა აიღო, რომელშიაც თხუთმეტ-თხუთმეტი მეომარი კაცი მდგარა?“ რაც შეეხება ქუთაისს, და საერთოდ, ამ გამარჯვებას ტოტლებენისას, მეფის აზრით, იმან განაპირობა, რომ მაშველები, რომლებიც ციხეებს ამარაგებდნენ, ასპინძასთან დაიხოცნენ, მეციხოვნეებს საზრდო ვეღარ შეუტანეს და ციხის დაცემის მიზეზიც ეს გახდა. „სხვა მტრის მამულში იმისგან გაკეთებული სამსახური არა გვინახავს რა... მაღლის ხელმწიფის ხაზინას უბრალოდ წარაგებს, ჯარსაც უბრალოდ ხოცს და ღალავს... კიდევ მოუწერია ღრაფსა: ქართველთა თუ პური არ მოსცეს და ურემიო რუსეთის ჯარსაო, როგორც მოღალატეთ, სწორედ ისე გარდავახდევინებთო. ამისი პასუხი ეს იუწყოს — ღრაფს ჩემს ქვეყანაში და ჩვენი ქვეყნის კაცთზედ რა საქმე აქვს ან გადასახდევინებლად და ან ავად მოსაპყრობელად?!“ (ა. ცაგარელი, 1898, გვ. 54). მართლაც გასაკვირია, ვის ან რას ემართლებოდა სარდალი.

დამოწმებული ლიტერატურა

დავით ბატონიშვილი, 1941 - დავით ბატონიშვილი, მოთხრობა ახალი (შედგენილი ქართლის ცხოვრებისად), თბ., 1941.

პ. ბუტკოვი, 1866 - П.Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 г. часть третья, хронологические и алфавитные указатели составленные Л. Броссе, Санктпетербург, 1866.

პლ. იოსელიანი, 1936 - პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ტფ., 1936.

ს. კაკაბაძე, 1919 - ს. კაკაბაძე, საქართველო ერეკლე მეორეს დროს (ისტორიული მონოგრაფია): „შვიდი მნათობი", № 2, 1919.

ო. მარკოვა, 1966 - О. П. Маркова, Россия, Закавказье и международные отношения в XVIII веке, Москва, 1966.

ვ. მაჭარაძე, 1957 - ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957.

მიმოწერა.., 1805 - Переписка Российской императрици Екатерины II и господина Волътера, продолжавшаяся с 1763 по 1778 год, Ч., I, Москва, 1805.

ა. ცაგარელი, 1898 - А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, Т. II, Вып. I, грузинские тексты с 1768 по 1801г., Санктпетербург, 1898.

EVGENI BLIADZE

GEORGIA IN EKATERINA II AND VOLTAIRE'S CORRESPONDENCES

A series of correspondence between prominent French thinker Voltaire and Catherine the Great comprises long period from 1763 t0 1778. These correspondence deals with quite a few problems of the epoch. Georgia as a subject of the correspondence appears in their writings from the beginning of 1770 when the Russo-Turkish war (1768-1774) entered into the active phase. Russian Empress remembers the existence of Georgia only during the war. She decides to involve Georgian kings Erekle II and Solomon I in the military actions against Turkey. On his part Solomon I asks the Russian Empress to give him the helping hand. Under these circumstances Ekaterina II pardons Count Totleben, Mayor-general, and transfers to the Turkish theatre of operations making him the head of the troops who would fight from Georgia. Erekle II agreed to initiate military actions if Russia increased the number of warriors up to five thousand. Erekle II and Solomon I agreed to launch military actions against Turkey. This was the reason why the Russian Empress expresses her opinion about Georgian kings in the correspondences addressed to Voltaire.

Georgian theme became active after Solomon I refused to send girls as part of his tribute to the court of Mustafa III. The Empress is interested with the fact and praises Georgian kings, particularly Erekle II. She is pleased to inform Voltaire about the joint actions carried out by Solomon I and Totleben and their sieges of Shorapani, Bagdadi, and Kutaisi fortresses. She makes Voltaire acquaint to the city of Kutaisi.

On his part the French enlightener provides his comments on the participation of Georgians in this war. Russian Empress extols Count Totleben for his velar and contribution for the relief of Georgia's sufferings but overlooks the new problems brought by him to Georgia that also disgraced Russia's fame. In any case I think that the opinions expressed by Ekaterina II and bringing them to Voltaire were a fact of great importance.

ნაზი ბულაძე,
ცოტნე კაკულია,
იგორ კვაკვლია

აბედათის მიკროტოპონიმთა ხალხური მოტივაციისათვის

სამეგრელოს მრავალრიცხოვან დასახლებულ პუნქტთა შორის აბედათს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს. სოფელი მდებარეობს მდინარეების - აბაშისა და ტარჩენის ხეობებში, ვაკესა და ბჟერის მთის კალთებზე (მარტვილის რაიონი). წინამდებარე ნაშრომში მიზნად ვისახავთ აბედათის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთი ნაწილის სემანტიკური და მორფოლოგიური სტრუქტურის გარკვევას, რითაც გვეძლევა საშუალება ნომინაციის მოტივის დადგენისა. აღვნუსხეთ რამდენიმე ათეული ტოპონიმი, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა (მოტივაცია) გაბუნდოვანებულია. სემანტიკურად გაუმჭვირვალე საკუთარ სახელთა შესახებ საინტერესოა ხალხში გავრცელებული თავისებური ახსნა-განმარტებები. პ. ცხადაიას თქმით, უმოტივაციო სახელთა ხალხური ეტიმოლოგია ბგერათა შემთხვევით მსგავსებას ემყარება, რის გამოც ხდება ონიმის ფორმის შეცვლა და გადააზრება (პ. ცხადაია, 1988, გვ. 130-131).

ბერგიასირეი — მინდორი ლეწოწონეში, სქურჩის ჭალაში. "ბერგიშ ოდასირაი ქუალენს ათაქ ვგორუნთ" (თოხის სალეს ქვებს აქ ვეძებთ). ღელისპირები სულ ნაცრისფერი ქვებითაა მოფენილი. ბერგიასირეი - ბერგიშ ოლასირაი "თოხის სალესი".

თვინთვი//თუინთი — ტყეებუჭქნარიანი ფერდობი მენჯღაის სათავესთან, ეცეკვეში (ჯოდო). "თაქ თუნთეფი ნოხვე, ოთუნთე რდგ (აქ დათვების ბუნაგი ყოფილა, სადათვე იყო). აქვს თუ არა ტოპონიმს რაიმე კავშირი დათვთან, ძნელი სათქმელია." თუნთიში - ტყიანი ხეობაა აგრეთვე ლემიქეში, კვაუთის საზღვართან, ქვაღრას ზემოთში.

კაეგიძე — დაბალი სერი ლემიქესა და ლეწოწონეს შუა. გ. ელიავას განმარტებით, მხარგრძელ, გრძელმხრიან ადგილს ნიშნავს (გ. ელიავა, 1977, გვ. 93). ჩვენ მიერ ჩაწერილი ხალხური მოტივაცია ასეთია: "ქალები აქ ამზადებდნენ სახის საცხს - ომარულს, რომელსაც კალე ერქვა. სინამდვილეში **კაეგიძე** შეიძლება განვმარტოთ, როგორც "გრძელი კალო". სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში პურეულის სალეწ საგანგებო ადგილს **კალო** ეწოდება, ხოლო გურიაში კალოს ეძახიან "სიმინდისა და ღომის მოსავლის დასახვავებელ ადგილს. მეგრულში კალოს შესატყვისია **კაე//კაი**. მიკროტოპონიმი **კაეგი(რ)ძე/ /კაეგიძე** "გრძელი კალო" ჩაწერილია სოფ. მეორე ბალდაში. ასე ეწოდება ვაკე-სერს ოკიცისა და ჩერის შესართავთან (პ. ცხადაია, 1999, გვ. 31).

ნაზღ(ვ)უ — ღრმა ტაფობი ლეკარტოზიე-ლემიქეს საზღვარზე. ხალხური გადმოცემით, "მთელი ეს ტერიტორია დიდი ხნის წინ ზღვით ყოფილა დაფარული. შემდეგ წყალი დაშრა და ზღვამ უკან დაიხია. ასე გამიგია ჩემი ძველებისაგან". **ნაზღვუ** ადგილის სახელწოდებაა ძველ სენაკშიც. გ. ელიავას მიერ მ. ჩიქობავასაგან ჩაწერილი ხალხური განმარტებით, "თითქოს ეს ადგილი ნაზღვაურია. აქ თითქოს გემის მისადგომი იყო და რკინის ღერძი და ჯაჭვი იყო კლდეზე მიმაგრებული" (გ. ელიავა, 1989, გვ. 75).

მცირე ზღვის, ჩვეულებრივ, ფართო ტბის აღსანიშნავად მეგრულში "ზღვაია" იხმარება. ასე, მაგალითად, ნატბევარს ქალაქ წალენჯიხაში, ყოფილი

ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე **ზღვაია** ეწოდება (პ. ცხადაია, 2007, გვ. 208). აბედათში ჩაწერილი მიკროტოპონიმი "ნაზღ(ვ)უ" შეიძლება აიხსნას როგორც ნატბევი, ადგილი, სადაც ოდესღაც მცირე ზღვა (დიდი ტბა) იყო.

ნათურჭუ (ნათურჭალი) — მინდორი ტარჩენის ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე. ინფორმატორები გვიამბობდნენ, რომ ეს ადგილი თურქთა ურდოს ნაბანაკარია. თურქებს აქ კარვები გაუშლიათ. ბჟერის მთის კალთაზე აგებულ ციხე-სიმაგრესაც "ნათურჭუდ" მიიჩნევენ. გ. ელიავა ამ ციხის შესახებ წერს: "აქ "ნათურჭუში" თვით ძეგლი კი არ იგულისხმება თურქის მიერ აგებულად, არამედ თურქობის, დიდი შიშიანობის, მტრის შემოსევისა და ბრძოლის დროს, სამხედრო-სტრატეგიული მიზნით, ადგილობრივი, ქართველი ხალხის მიერ განხორციელებულ ღონისძიებაზეა ლაპარაკი. რადგანაც ყველაზე ახლობელი, ყველაზე მოუსვენარი და ყველაზე ხშირი მარბიელი მტერი სწორედ თურქობა იყო" (გ. ელიავა, 1971, გვ. 38). ტოპონიმ "ნათურჭუს" მოტივაციას არაფერი აქვს საერთო თურქთა ურდოსთან. უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია მეორე ინფორმატორის განმარტება – ამ სოფელში ჩასიძებულ ლაზს, გვარად თამძგირიას, აქაურები თურქად მიიჩნევდნენ და ამიტომ მის ნასახლარს "ნათურჭუ" - თურქის ნაქონი უწოდეს. მეგრულში **თურჩი** ზოგადად მაჰმადიანის, ურჯულოს აღმნიშვნელია. მიკროტოპონიმები - "ნათურჭუ", "ნათურჭუ ზუგა", "ნათურჭუ ქვაბი" და "ნათურჭუ ჯიხა" სამეგრელოში ბევრგანაა ჩაწერილი (გ. ელიავა, 1977, გვ. 16, 28, 87, 106, 115, 123, 129, 166, 177; გ. ელიავა.., 1983, გვ. 56; გ. ელიავა, 1989, გვ. 38).

ნამკალათ — ბუჩქნარიანი ფერდობი ლემიქეში, ქვაღრის მარცხენა მხარეს. ხალხური მოტივაცია ასეთია: ქურდებს ყანაში კალათებით სიმინდი მოუპარავთ: სი მუდა დო ნამ კალათის იღანჭია? (შენ რამდენ და რომელ კალათს წაიღებო) - ჰკითხა თურმე ერთმა ქურდმა მეორეს. **ნამ(ა)კალათუ - ნამკალათუ** უნდა დარქმეოდა ადგილს, სადაც მაკალათიას უცხოვრია, ან მაკალათიას ნაქონი იყო.

ნანდუ — ტოპონიმი დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე შესულია გ. ელიავას, გ. ფარულავასა და გრ. შენგელიას წიგნში (სოფ. ზუმი), სადაც მოცემულია ხალხური განმარტება: "დევების და ეშმაკების ადგილია. აქ დევებს შავი ქვები უსვრიათ. ამიტომაა აქ შავი ქვები ამდენიო" (გ. ელიავა.., 1983, გვ. 51). ამავე სახელს ატარებს ადგილი კირცხში. გადმოცემით, ქაჯებისა და ეშმაკთა საბუდარი ყოფილა (იქვე, გვ. 34). **ნანდუ** არხისა და ბორცვის სახელწოდებაა სოფ. ნაგვაზაოში. ხალხური გადმოცემები ამ არხის გაყვანასა და მის გაყოლებაზე ბორცვის მაღალი ზოლის აღმართვას დევებს უკავშირებს, ნანდუ დევების ნასახლარად მიაჩნიათ (გ. ელიავა, 1977, გვ. 109). გ. ელიავას წიგნში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე შესული აბედათის "ნანდუც" განმარტებულია როგორც "ნადევარი; დევების ნამოსახლარი" (გ. ელიავა, 1977, გვ. 94). **ნანდეი//ნანდოუ** ღელის სახელწოდებაა ლეკვანტალიეში (ნაგვაზაოს თემი), რომელიც ნანდუდან მოედინება.

ონდაე//ონდვალე//ონდვაშე — რბილ, წყლით გაჟღენთილ ისეთ ადგილს აღნიშნავს,სადაც ადამიანს ფეხი ეფლობა (ტლაპო, საფლობი) (პ. ცხადაია, 1999, გვ. 291). მსგავსი შინაარსისაა **ინონდურე, ინონჯურე**, რაც ჰატარა ხევის ან მცირედი ჩაღრმავების, ჩახევებული ადგილის აღმნიშვნელია (იქვე, გვ. 209.). უმეტეს შემთხვევაში "ნანდუდ" სახელდებული ობიექტი

ჰიდრონიმს - რბილ, წყლით გაჟღენთილ მიწას, ტლაპოს, ლიას, საფლობს ან ღელეს აღნიშნავს. შესაძლებელია **ნადუ/ნანდუ** ნადელიდან მოდიოდეს (ნადელად აღებული). შდრ.: "ნანდევი" — ადგილები თეკლათსა და ზემო ჭალადიდში (გ. ელიავა, 1989, გვ. 20, 28).

ნაჭოუ//ნაჭუ — მინდორი მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირზე, ჩორგეის გასწვრივ. **ნაჭუ, ნაჭვი** და **ნაჭვუ** სამეგრელოში ბევრგანაა ფიქსირებული (გ. ელიავა, 1977, გვ. 70, 79, 80, 88, 125... პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, 2003, გვ. 117 და ა.შ.). "ნაჭუ" ნაჭვავარსაც ნიშნავს და ნარუჯ, ნატრუსალ ადგილსაც. ჭვე "ჭვავია", მაგრამ "ჭვეა" თხმელის ახალ ამონაყარს, თხმელის ნორჩ ტოტს, ბუჩქს, საერთოდ მოზარდ ხესაც ეწოდება (ო. ქაჯაია, 2002, გვ. 465). ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე შეიძლებოდა დასდებოდა ფუძედ ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმს, თუმცა ხალხური მოტივაციით **ნაჭოუ//ნაჭუ** მტრის მიერ გადამწვარ-გადაბუგული, ნახანძრალი ადგილია.

ნახონჯურე//ნაოხოჯურე — ტაფობი აბედათში, ბზღიონასთან, ბჟერის მთის კალთაზე. "თაქ ხოჯი ქეგეღურეე" (აქ ხარი მომკვდარა) — ასეთია ხალხური განმარტება. გ. ელიავას მიკროტოპონიმი "ნახოჯენი" ჩაუწერია სენაკის რაიონის სოფ. მენჯში, რომელსაც განმარტავს, როგორც "ნახარალს" (გ. ელიავა, 1989, გვ. 137). "ნახოჯენი" და "ნახონჯურე"//"ნაოხოჯურე" შეიძლება განვმარტოთ, როგორც "ხარით სახნავი; მიწა, რომელსაც ხარით ხნავდნენ" (შდრ. ტოპონიმი "ოხოჯური").

ნირზი — საჩაიე ლეწოწონეში, კაეგიძეს ფერდობზე. გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩამოყალიბებულ საკოლმეურნეო ამხანაგობას "ნირზი" უწოდეს, რომლის ინიციატივით ამ ადგილზე ჩაის პლანტაცია გაშენდა.

ობიშხიაჲკარი (ობიშხიას კარი) — ბუჩქნარიანი ფერდობი კიზღეეს მარცხენა მხარეს, ლეკარტოზიეში (ჯოჲო). აქვეა "ობიშხიაშ წყურგიი" (ობიშხიას წყარო).

მხარეთმცოდნე გ. ელიავას თავის წიგნში მოხმობილი აქვს რაჟდენ ყურაშვილის ნაამბობი: "ობიშხია ყოფილა გაბედული, ალალმართალი და პატიოსანი კაცი. მისი შიშით ამ კუთხეში გვიან ღამემდე ვერ გამოდიოდნენ ყაჩაღები, ბავშვების გამტაცებლები და გამყიდველები. ერთხელ მას ორი ყაჩაღი დაუჭერია, რომელთაც ორი გოგონა და ერთი ბიჭი მიჰყავდათ სათათრეთში გასაყიდად. ყაჩაღები თავისი ეზოს წინ, მოედანზე, დიდ ხეზე მიუბამს და ასე ჰყოლია მთელი კვირა, სანამ დადიანს არ გამოუგზავნია თავისი მსაჯული და არ წაუყვანია დასასჯელად. ობიშხიას კარი ყველა გაჭირვებულის, შეწუხებულის თავშესაფარი და იმედი იყო. მიუხედავად ამისა, ჩიქოვანები და ფაღავები ძალიან მტრობდნენ მას, მაგრამ ობიშხია დადიანის კარზე ძალზე მიღებული ყოფილა და დადიანიც დიდად მფარველობდა" (გ. ელიავა, 1977, გვ. 89). ობიშხია პირსახელია, გვარად თოფურია ყოფილა.

ობუკეში — სახნავი ფართობი სქურჩის ნაპირზე, ლექჯაიეში. ხალხური მოტივაცია ასეთია: "აქ ბუკს - საყვირს უკრავდნენ და ხალხს სოფლის სათემო ყრილობაზე მოუხმობდნენ". **ბუკს** სამეგრელოში ჯირკს, კუნძს, ხის დიდ მორსაც ეძახიან და შუაცეცხლზე (კერიაზე) შეშის თავის დასადებ ხის მორს ან ქვასაც. ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში "ობუკეში" ის ადგილია, სადაც **ბუკიშ ქუა** "კერიის ქვა" მოიპოვება.

ოჭარკინეში//ოჭარკუნეში//ოჭაკინეში — მინდორი ნარსიების მიკროუბანში. თაქ ირო ჭარკონიაე "აქ სულ ქარბორბალა ტრიალებს". მეორე გადმოცემით, ოჭაკეშიე, ჭაკი ცხენეფიშ ოდიარაფაი არდგიი "საფაშატეა, დედალი ცხენების საბალახო ადგილი." **ჭარკინი, ჭარკინუა** ჭარკუმით ან ჭაკურით (ჩოგნით) ბურთის თამაშია. მოკაუჭებული ჯოხს ჭარკინს გაჰკრავდნენ ხის ბურთს და ლელოს გატანას ცდილობდნენ. **ოჭარკინეში** ჭარკუნის სათამაშო ადგილის სახელწოდებაა. "ოჭარკუნეში" და "ოჭარკუმეში" ადგილთა სახელებია ლეჩხაინდრე-ნაჯახუში, ხოლო "ოჭარკუმე" - თამაკონის თემში (გ. ელიავა, 1977, გვ. 76, 81, 164). ნაკიანის თემში იმავე დანიშნულების მქონე მოედანს "ოჭარკინეს" ეძახიან, ხოლო ჭოღის თემში "ოჭაკინეს" (გ. ელიავა.., 1983, გვ. 97, 104). "ოჭაკინეში" ადგილია აგრეთვე სენაკის რაიონის სოფ. ლეძაძამეში (გ. ელიავა, 1989, გვ. 129).

ოჭურიეში — ტყებუჩქნარიანი ფერდობი ლექაჯაიეში, ვებაშის გასწვრივ, ღაიას მარჯვენა მხარეს. ხალხური მოტივაციით, ქარბორია იჭურინუ ირო თე ფერდას "სულ ქარი ქრის ამ ფერდობზე". გ. ელიავას წიგნში შესულია "ეჭურიეშის" ფორმით და განმარტებულია, როგორც შალის საღებავი მინერალური თიხა, რომელიც ქსოვილს წაბლისფრად ღებავდა (გ. ელიავა, 1977, გვ. 94). **ჭურია** ა. მაყაშვილის "ბოტანიკური ლექსიკონის" მიხედვით ოფიც კენკეშაა, ო. ქაჯაიას "მეგრულ-ქართული ლექსიკონის" მიხედვით — შალახი, რომელიც ერთ არშინზე იზრდება და სინორჩეში გემრიელია (ო. ქაჯაია, 2002, გვ. 491).

სასერო — ტყებუჩქნარიანი ფერდობი ღაის მარცხენა ნაპირზე, ეკაკბერეში (ჯოგი). "ყურსალებისა და ყაჩაღების თავშესაფარი ყოფილა. მგზავრებს ხვდებოდნენ და აყაჩაღებდნენ. გატაცებულ ბავშვებს ფოთსა და ანაკლიაში ოსმალებზე ყიდდნენ, — გადმოგვცემენ ინფორმატორები. მართებულად მიგვაჩნია გ. ელიავას მიერ ჩაწერილი განმარტება: **"სასერო"** (ღამესათევი)... ფერისცვალების, მარაშონისა და ელიობის დღესასწაულების დღეებში (ძველი სტილით 6 აგვისტოს ფერისცვალება, 15 აგვისტოს მარაშონა, 20 ივლისს კი ელიობა იცოდნენ) ღამის თევა, ჯარობა და ბურთაობა იყო " (გ. ელიავა, 1977, გვ. 90).

საჩეხი — მინდორი ტარჩენისა და გვიმრაღაის შესართავთან. გადმოცემის მიხედვით, "აქ მიწას ფლობდნენ ბატონიშვილები დადიანები, რომელსაც გასვიანები ეცილებოდნენ. მათ შორის დავა ატეხილა და ერთმანეთი წალდებით დაუჩეხავთ". **საჩეხი, ნაჩიხა** მცირე კაშხალია მდინარეზე (ჯებირი). საწისქვილე არხის სათავეში, ,წყლის დაგუბების ან საწისქვილე არხში მისი გადაგდების მიზნით, მდინარეს გადატიხრავდნენ, ჩახერგავდნენ **- გოჩიხუნდეს.**

ასეთივე მნიშვნელობისაა ტოპონიმები: "ნაჩეხა", "ნაჩიხა", "გოჩეხიი", "გოჩიხი(ლ)ი", "ჩიხილი" და ა.შ. ("ნაჩიხას" შესახებ იხ. პ. ცხადაია, 1999, გვ. 289). ტოპონიმი "საჩეხი" სამეგრელოში ბევრგანაა ჩაწერილი (გ. ელიავა, 1977, გვ. 36, 43, 79, 103; გ. ელიავა, 1989, 16, 34, 43, 81, 110).

სქვერმენჯი — ვეძა ლეძაძამის საზღვარზე, გას ძირში. "აქ მარილიანი მეტად წყალი ამოდის. წყაროს მიდამოები ადრე გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული. ტყეში სქვერი (შველი) ბინადრობდა, რომელიც მლაშე წყალს სასმელად ეტანებოდა". სამეგრელოში ფართოდ არის გავრცელებული **მენჯ-// მინჯ-** ფუძის შემცველი ტოპომინები: "მეგრული **მენჯი** სალიტერატურო ქართული **ვეძა-**ს შესატყვისია ფონეტიკურადაც და სემანტიკურადაც.

საერთოქართველურში აღდგენილი **უეძ-** არქეტიპს თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შეესაბამება **ვეძ-** (უეძ-) ფუძე (**ვეძა** "მინერალური წყალი ან ადგილი, სადაც მინერალური წყალი ამოდის"). მეგრულში სავარაუდოა: უეძ- > მეჯ- > მენჯ- (შდრ.: პ. ცხადაია, 1999, გვ. 48).

მენჯი მლაშობს, მარილიან, მინერალურ "წყალს" აღნიშნავს. ასეა იგი განმარტებული ი. ყიფშიძის, პ. ჭარაიას და დ. ფიფიას ლექსიკონებში. გვხვდება "მენჯის" ვარიანტები **მინჯე/მინჯი** (პ. ცხადაია, 1999, გვ. 49). "სქურმენჯი" ადგილის სახელწოდებაა აგრეთვე სენაკის რაიონის სოფ. ხორშში, რომელსაც გ. ელიავა განმარტავს როგორც "სქურგალმა მარილს". სუ, სქუ, სქური სამეგრელოში ეწოდება ღრმა და ფართოხეობიან მდინარეს. ზოგადად სუ, სქუ წყლის აღმნიშვნელი ცნებაა. ამდენად, "სქვერმენჯი" შესაძლებელია განიმარტოს, როგორც "მარილიანი ,მლაშე წყალი", ან "ტყე" ხეობა, სადაც ვეძა გაედინება. შდრ. "სქვერიაღალი" ცივის მარჯვენა შენაკადი ახუთში (ჩხოროწყუს რაიონი).

უშკურტობა//უშქურტობა — მორევი მდ. აბაშაზე. საზიაროა სოფელ ბანძასთან.გ.ელიავა წიგნში მიუთითებს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე და გვთავაზობს ასეთ განმარტებას: უშქურტობა — "ვაშლის ტბა" (გ. ელიავა, 1977, გვ. 86). ჩვენ მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, "ჩაღრმავებული ადგილი იყო, სანაპიროზე ვაშლის ხეები მდგარა" (ი. კეკელია, 2007, გვ. 90). შესაძლებელია, რომ **უშქურტობა** მიღებული იყოს **ოშქურანჯი ტობა**-დან. **ოშქურანდი//ოშქურანჯი//ოშქურენჯი** იგივეა რაც საშიში, ხოლო **ტობა** - ღრმა ადგილი მდინარეში, მორევი. ამდენად, **ოშქურტობა** ნიშნავს "საშიშ საბანაოს, ჩაღრმავებულ, წყლიან ქვაბულს (**უშქურტობას** წარმომავლობის შესახებ იხ. შ. აფრიდონიძის ჩანაწერი, 1970, გვ. 10; აგრეთვე, პ. ცხადაია, 2005, გვ. 276-277).

არ არის გამორიცხული, ჰიდრონიმი მართლაც ვაშლის ხესთან იყოს დაკავშირებული (შდრ.: "სხულტობა", "თხუმტობა", "ბულონაშ ტობა", "ჭყონტობა", "წიფურტობა", "ცხუმუნტურიშ ტობა" და ა.შ).

უჩაშონა — ტყებუჩქნარიანი ბორცვი და ხევი ღაის სათავეში. ხალხური მოტივაციით: "უჩა არდგიი რდგ, ტყათ დო დურღენით ფორიი. თიჯგუა ტყა ჭოფერე, ნამდა ჩიტის კირკატია ვეგთაღინედ. ათეშენ უჩაშონა ქიგიოდვეს, უბადო არდგიი რდგ დო თიშენ" (შავი ადგილი იყო, ტყით და ჯაგით დაფარული. ისეთი ტყე ყოფილა, რომ ჩიტი კურკანტელს ვერ გამოიტანდა. ამიტომ **უჩაშონა** "შავეთი" დაარქვეს, საშიში ადგილი იყო და იმიტომ). სინამდვილეში "უჩაში" ყურძნის ჯიშია, უჩაშონა კი - ადგილი, სადაც ამ ჯიშის ყურძენი იყო განაშენებული. მიკროტოპონიმი "უჩაშონა" სამეგრელოს რამდენიმე სოფელშია ჩაწერილი (გ. ელიავა, 1977, გვ. 145, 152; 1989, გვ. 100, 127).

ფაღური — ტყებუჩქნარიანი ფერდობი ქვაღრის მარჯვენა მხარეს, თუნთიშის გასწვრივ. **ფაღური** ნიშნავს "ფაღავასეულს, ფაღავას ნაქონს". ობიექტის პარალელური სახელწოდებაა **გახუნიაშ ნაპანღურუ** (სადაც გახუნიას პანღური ამოკრეს). ხალხური განმარტებით — "გლეხი, სახელად გახუნია, ამ ადგილს ქირით ამუშავებდა. თავად ფაღავას მოურავი მოსულა და გახუნიასგან ქირის დროზე ადრე გადახდა მოუთხოვია. გაბრაზებულ გლეხს მოურავისთვის პანღური ამოუკრავს და კინწისკვრით გაუგდია". მიკროტოპონიმი "ფაღური" გ. ელიავას ჩაუწერია აბაშის რაიონის სოფ. პირველ მაისში (გ. ელიავა, 1977, გვ. 48).

ჭიორმეშკვიდეი (სადაც ხოხობი დაიხრჩო) — ტყე ლემიქეში, ენწერთან. ადგილობრივნი გვიამბობენ: "ხოხბისთვის მახე დაუგიათ, ძუაში გახლართულა და დამხრჩვალა". **ჭი(ლ)ორი** — ზოოლ. ხოხობი, **მეშკვიდაფა** — მიხრჩობა.

ღვაჭითა — ტყებუჩქნარიანი ფერდობი ნადოხორუს გორაკის კალთაზე, ღაის მარცხენა მხარეს. უმკურეფი ნოჩე, ღვაჭითა უმკურენს მიკმიღანდ "ვაშლის ხეები ხარობდა თურმე, ლოყაწითელ ვაშლებს ისხამდა" ასეთია ხალხური მოტივაცია. გ. ელიავას წიგნში მიკროტოპონიმი დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშეა შესული და განმარტებულია როგორც "ლოყაწითელა" (1977, გვ. 90). ო. ქაჯაიას ლექსიკონის მიხედვით: **ღვაჭითა** — "ლოყაწითელი", **ღვაჭითამი** — "ლოყაწითლიანი, წითელლოყიანი" (ო. ქაჯაია, 2002, გვ. 178). მიკროტოპონიმი "ღვაჭითა" მეტაფორულია და შეიძლება ნიშნავდეს გორაკის წითელმიწა კიდეს, გვერდს, ფერდობს (შდრ.: "ღვაღულა" ღელე და ტბორი; პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, 2003, გვ. 189).

ღურჯუმი — ქვაღრის სათავე ლემიქეში. წყარი **მოღურჯუნსია,** თქუანა "წყალი უხვად მოედინებაო, იტყვიან". მართებული უნდა იყოს გ. ელიავას მიერ ჩაწერილი განმარტება, რომლის თანახმად "ღურჯუმი" შეგვიძლია გავიაზროთ, როგორც "ბნელი და საშიში, უღრანი, გაუვალი ბუჩქნარი, შამბნარი, ხეებიან-უფსკრულიანი ადგილი".

ჩაბური — მინდორი ღაის მარჯვენა მხარეს, ეკვაშიეში (ჯოჟო). აქვეა ღელე **ჩაბურიშ კიზლეე,** ხოლო მოპირდაპირე მხარეს — **ჩაბრაშ ფერდი** (ჩაბრავას ფერდობი) და **ჩაბრაშ წყურგიი** (ჩაბრავას წყარო). ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით, **ჩაბური ჭაბ დიხა რე, იჭაბუაფუ** "წებოს მსგავსი მიწაა, იწებება". გ. ელიავას წიგნში შესულია განმარტებისა და დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე (გ. ელიავა, 1977, გვ. 89).

ჩექმაშ ნახეკა (სადაც ფეხსაცმელი დაიწმინდეს) — ბორცვი აბაშის მარჯვენა ნაპირზე, მარსილში (აბედათი). ხალხური მოტივაცია: "რუსის ჯარი მდგარა. ჩექმები დაუფხეკიათ და ეს მიწაზურგა წარმოქმნილა". "ჩექმაშ ნახეკა" ბორცვის სახელწოდებაა აგრეთვე სოფ. გეჯეთსა და სეფიეთში (გ. ელიავა, 1977, გვ. 11; 1989, გვ. 65). მეტაფორული ტოპონიმია და ზოგადად ხელოვნურ გორას, ბორცვს, მცირე შემაღლებას აღნიშნავს.

ჩიქვანიშ ოსადი(ლ)ე (სადაც ჩიქოვანი სადილობდა) — ბორცვი ლეზარქუეში. ზარქუები ჩიქვანის ყმები ყოფილან. სანადიროდ მიმავალი ბატონისთვის ამ ადგილას სადილი უნდა მიერთმიათ. ეს ყოფილა ერთგვარი ბეგარა, რომელსაც ზარქუები ყოველი მისი ჩამოვლის დროს იხდიდნენ.

ჭითაქუა (წითელი ქვა) — ბჟერის მთის ქვიანი ფერდობი კვაუთის საზღვართან, ლემიქეში. აქვე გადის გზა, რომელსაც "ჭითაქუაშ შარას" ეძახიან. გზა კიზნოხორთან იწყება და ბჟერის მთისკენ მიემართება. ლეგენდის თანახმად, "თურქთა ურდოს ადგილობრივი მოსახლეობა გაუჟლეტია და იმდენი სისხლი დაღვრილა, რომ მიწასაც წითელი ფერი დაედოო". სამეგრელოში გეოგრაფიულ ობიექტთა სახელებად ხშირად გვხვდება "ჭითა კოდე" (წითელი კბოდე), "ჭითა ღაი" (წითელი ღელე), "ჭითა დიხა" (წითელი მიწა), "ჭითა წყუ" (წითელი წყარო), "ჭითა ფერდი" (წითელი ფერდობი), "ჭითა წყარი" (წითელი წყალი), "ჭითა წყურგილი" (წითელი წყარო), "ჭითა ფონი" (წითელი ფონი) და ა.შ. ყველა შემთხვევაში ობიექტის სახელდება მიწის შეფერილობას — წითელ მიწას უკავშირდება.

ჯოდურ ბოშეფიშ მამუი (ჯოდოელი ბიჭების მამული) — ბუჩქნარიანი მინდორი ღელე ჩაფათის მარცხენა ნაპირზე, ლემიქეში. „ჯოლოელი ძმების საკუთრება ყოფილა. ამ მიწას ისინი ამუშავებდნენ".

დამოწმებული ლიტერატურა

გ. ელიავა, 1971 - გ. ელიავა, აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი (მეგზური), თბ., 1971.

გ. ელიავა, 1977 - გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977.

გ. ელიავა..., 1983 - გ. ელიავა, გ. ფარულავა, გრ. შენგელია, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი, თბ., 1983.

გ. ელიავა, 1989 - გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989.

ი. კეკელია, 2007 - ი. კეკელია, ბანძის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), თბ., 2007.

ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 1990 - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

ო. ჭაჭაია, 2002 - ო. ჭაჭაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 2002.

პ. ცხადაია, 1988 - პ. ცხადაია, ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1988.

პ. ცხადაია, 1999 - პ. ცხადაია, კოლხურ ჰიდრონიმთა ლექსიკისა და სტრუქტურის საკითხები (ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმიის მიხედვით): კრებ. "საქართველოს ტოპონიმია" (მასალები), ტ. II, თბ., 1999.

პ. ცხადაია, 1999 - პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, I, თბ., 1999.

პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, 2003 - პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003.

პ. ცხადაია, 2007 - პ. ცხადაია, მასალები მეგრულის ლექსიკონისათვის (ზემო სამეგრელოს მიკროტოპონიმიის მიხედვით), I: კრებ. "ქართველური ონომასტიკა", III, თბ., 2007.

პ. ცხადაია, 2005 - პ. ცხადაია, ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005.

NAZI BUGADZE, TSOTNE KAKULIA, IGOR KEKELIA

ON THE FOLKLORE MOTIVATION OF ABEDATI MICRO PLACE NAMES

The village of Abedati is located between the Abasha and the Tarcheni river valleys on the plane and slopes of Bjeri Mountain (Martvili region). The paper provides morphological and semantic analysis of a part of the geographical names; namely, toponymies as: *bergiasirei, tvinti/tuinti, kaegidze, nazgh(v)u, naturku, namkalati, nandu, odae/ondvale/ondvashe, natchou/natchu, nakhonjure/naokhonjure, nirzi, obishkhiaikari, obukeshi, otcharkineshi/otcharkuneshi/otchakineshi, otchurieshi, saseiro, sachekhi, skuermenji, ushkurtoba,/ushqurtoba, uchshona, paghuri, kiormeshkvidei, ghvatcita, ghvatcitami, ghurjumi, chaburi, cheqmash, nakheka, chiqvanish osadile, Tchitaqva, joiur boshepish mamui.*

ელენე გეგეშიძე

კულტურა – მრავალმნიშვნელობიანი კომპლექსური ფენომენი

კულტურა უმნიშვნელოვანესი მეცნიერული ცნებაა, რომელიც ზუსტ ახსნასა და დეფინიციას საჭიროებს. საზოგადოებრივ მეცნიერებათა არც ერთი დარგი არ იწვევს ისეთ სხვადასხვაობას შეხედულებებში, როგორც კულტურის ცნება. მეცნიერებაში დღეისათვის კულტურის ასეულობით დეფინიცია არსებობს, მაგრამ ამ ცნების შინაარსს სრულყოფილად ვერც ერთი მათგანი ვერ გამოხატავს. კონკრეტულ გამოკვლევათა ჩარჩოებში (ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, სოციოლოგიურ და სხვა) კულტურა იმდენად სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი, რომ ჭირს კიდეც მათი ერთიმეორესთან შეთანხმება. ბუნებრივია, თითოეული ეს დისციპლინა კულტურის ცნებას უდგება თავისი ამოცანის შესაბამისად და მის შინაარსში დებს იმას, რაც გადასაჭრელ პრობლემათა რიგში ყველაზე მნიშვნელოვანად მიაჩნია. კულტურის ცნებისადმი ასეთი განსხვავებული მიდგომის ძირითად მიზეზს, რა თქმა უნდა, თვით ამ ცნების პოლიფუნქციურობა წარმოადგენს.

თანამედროვე სამეცნიერო დეფინიციით კულტურა იხმარება მოცულობით და შინაარსით ფრიად მრავალსახოვანი ცნების გამოსახატავად, როგორიცაა საუკუნეთა მანძილზე ადამიანთა მიერ შექმნილი მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა ერთობლიობა. კულტურის რაობის კვლევა ერთ-ერთი ძირითადი ფილოსოფიური პრობლემაა, ფრიად რთულიც, აქტუალურიც. კულტუროლოგია ფილოსოფიური დისციპლინაა და მისი რაობის გააზრებას ფილოსოფოსებისაგან უნდა მოველოდეთ. კულტურის განსაზღვრება ალბათ ისეთი უნდა იყოს, რომ მან შეითვისოს კულტურის სტაგნაციაც, ე. ი. არ უნდა ემთხვეოდეს ეთიკურ შეფასებას, ისევე როგორც, მაგალითად, ადამიანის ცნება ცუდ ადამიანსაც გულისხმობს. მიუხედავად რთული სტრუქტურული შემადგენლობისა, კულტურა ერთიანი ორგანიზმია, რომელიც შეისწავლება მსოფლიო ისტორიული პროცესების კონტექსტში. ამიტომ არ შეიძლება კულტურის მექანიკური დაყვანა ცალკეული ტექნოლოგიური თუ სულიერი შემოქმედების, დიდი აღმოჩენების, ცალკეული შედევრების უბრალო ჯამამდე. ადამიანის გონი, საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური აზროვნება, აღზრდა-განათლების სისტემა, ხალხური შემოქმედება თუ დამწერლობა-მწიგნობრობა, მეცნიერება, ხელოვნება, სპორტი და სპორტული თამაშობები, რელიგია, ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებები, ეროვნული სამზარეულო კულტურის შემადგენელი ნაწილებია, ე. წ. სტრუქტურული ელემენტებია.

პირველყოფილი საზოგადოების კულტურის ცნობილმა მკვლევარმა ე. ტეილორმა ჯერ კიდევ 1870 წელს მოგვცა კულტურის კლასიკური განსაზღვრება, რომლის თანახმად ის წარმოადგენს ცოდნის, რწმენის, ზნეობის, ხელოვნების, უნარისა და ჩვევების ერთობლიობას. დღეს მიღებულია, რომ კულტურა არის „საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა განათლების, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, აგრეთვე ყოფა-ცხოვრების დარგში“.

კულტურის ისტორიის ახლებურ, სისტემურ გააზრებას მიეძღვნა აღიარებული მეცნიერების (ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, სოციოლოგების,

კულტუროლოგების) ნარკვევები. ამ პრობლემებზე რამდენჯერმე გაამახვილა ყურადღება ,,იუნესკოს“ საერთაშორისო კონფერენციამ, სადაც მოისმინეს მრავალი საინტერესო მოხსენება კულტურის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს კულტუროლოგიის დარგში ქართველ ფილოსოფოსთა მოღვაწეობა. წლების მანძილზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი საგანგებოდ იკვლევს კულტურის ფილოსოფიის რიგ პრობლებებს. გამოქვეყნებულია საყურადღებო მონოგრაფიული შრომები კულტურის, ადამიანური ფენომენის სხვადასხვა ფილოსოფიურ ასპექტზე. ქართველ ფილოსოფოსთა ნაშრომებმა კულტუროლოგიაში საერთო აღიარება პოვეს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტი დღეისათვის კულტუროლოგიის ერთ - ერთ მსხვილ სამეცნიერო ცენტრადაა მიჩნეული.

კულტურისა და მისი ისტორიისადი ასეთმა ცხოველმა ინტერესმა, სპეციალისტთა აზრების ურთიერთგაზიარებამ კულტურის მეთოდოლოგიისა და ისტორიის ძირითადი პრინციპების თაობაზე უკვე გამოკვეთა ზოგიერთი საერთო აზრი, რაც თავისთავად დიდ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. დადგინდა, რომ კულტურის ისტორია წარმოუდგენელია კულტურის თეორიის გარეშე, რომ კულტუროლოგია, რომელიც ეძებს კულტურის რაობას, მისი შინაგანი სტრუქტურისა და ტოპოლოგიის დადგენის გზებს, კულტურის ისტორიასთან ისეთ მიმართებაშია, როგორც სხვა თეორიული და კონკრეტული დისციპლინები, რომ კულტურის სპეციალისტს უნდა შეეძლოს კულტურის აბსტრაქტული (კულტუროლოგიური) განსაზღვრიდან კონკრეტულ-ისტორიულ პროცესზე გადასვლის რთული ამოცანის გადაწყვეტა.

კულტურის ისტორია შეისწავლის ყველა იმ კომპონენტს, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას აპირობებს. ყოველ ერს, რომელსაც ისტორიული ცხოვრების გზა გამოუვლია, უცხოვრია თავისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებით, ხანგრძლივი ისტორიული ერთობის შედეგად გამომუშავებული აქვს თავისი ტრადიციები, თავისი ფსიქიკური წყობა, ჰქონია და აქვს თავისი ცხოვრების წესი, სარწმუნოება, თავისი მიღწევები და სიძნელეები, მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა მისეული გაგება. თითოეულმა ერმა დიდმა თუ პატარამ, თავისი ისტორიული ცხოვრების მანძილზე შექმნა თავისი სულიერი სამყარო, ღირებულებანი, რითაც შეუძლია იამაყოს და რაც უნდა შეიტანოს და დაიცვას საერთო საკაცობრიო ცივილიზაციის საგანძურში. ეს ,,თავისი“ სპეციფიკური არის ის, რასაც ეროვნულ კულტურას ვუწოდებთ. ეროვნულ კულტურაში ვლინდება ერის სახე, მისი თავისთავადობა. კულტურა ერის პასპორტია, იგი უდიდესი შემოქმედებითი ძალაა, რომელიც ეროვნული ღირსების გრძნობას წარმოშობს.

ეროვნულ კულტურას და მისი ისტორიის პრობლემას სწავლობენ დღეს ქართველი მეცნიერები, დიდი სამუშაოა ჩატარებული ქართული კულტურის ისტორიის კვლევის საქმეში.

მე-19 საუკუნის ევროპაში კულტურის ტოლფას ცნებად ცივილიზაცია შემოდის. თანდათანობით მე-20 საუკუნის მიჯნაზე გაჩნდა მათი აზრობრივი დაპირისპირება. წარმოიშვა კულტურისა და ცივილიზაციის ცნებათა სინკრეტულობა-დიაკრეტულობის პრობლემა. ცივილიზაციის პრობლემით ქართული ფილოსოფიური სკოლა მე-20 საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან იწყებს დაინტერესებას. დღეისათვის ჩვენში მიღებულია, რომ კულტურა ერთიანი

სისტემაა, რომელსაც თავისი სტრუქტურა გააჩნია. ის წარმოიშვა ადამიანის სოციალურ და ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში და წარმოადგენს ცოდნა-გამოცდილების, ჩვევების, ტექნოლოგიური მიღწევების ერთობლიობას, სულიერი შემოქმედების სამყაროს. კულტურა არა მარტო ადამიანის აზრის შექმნილია, არამედ მისი ფიზიკური ენერგიის ნაყოფიც არის. მისი გადაცემა არ ხდება ბიოლოგიური, გენეტიკური ხაზით, კულტურის მემკვიდრეობითობას უზრუნველყოფს ინფორმაციის გადაცემა. ამასთანავე, მეცნიერება, ხელოვნება და ზნეობა არ ამოწურავს გონის, ანუ სულიერების სფეროს. კულტურა განიხილება საზოგადოებრივ ფასეულობებთან კავშირში.

ამგვარად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ცივილიზაცია, ძირითადად, მიჩნეულია კულტურის განვითარების ხარისხობრივ შედეგად. კულტურა ფართო ცნებაა, ხოლო ცივილიზაცია მისი განვითარების ერთ-ერთი ეტაპია. კულტურა არაბიოლოგიური ბუნებისაა, მეორადია, გარემომცველ სამყაროსთან, მათ შორის სხვა ადამიანებთან ურთიერთმოქმედების კონკრეტული შედეგია. ადამიანი კულტურულ ევოლუციასთან ერთად ექვემდებარება. ადამიანის კულტურის განვითარება მიმდინარეობს დროსა და სივრცეში, ე. ი. ისტორიულ დინამიკაში. ამიტომ ის საისტორიო კვლევის ობიექტიცაა ადამიანის შემსწავლელ სხვა ე. წ. ,,მეგა დისციპლინებთან" ერთად. კულტურის ისტორიის შესწავლისას ხდება ადამიანის ყოფიერების, როგორც ერთიანი სასიცოცხლო ისტორიული პროცესის, გააზრება ზოგადსაკაცობრიო დონეზე.

კულტურის თვითმყოფადობისათვის ბრძოლა დიდი სისხლის ფასად დაუჯდა ქართველ ერს. გასაოცარია, გაუთავებელი თავდაცვითი ომების პირობებში როგორ ვითარდებოდა ქართული სულიერება, თვითმყოფადი ხელოვნება თუ მწიგნობრობა. შესანიშნავი ძეგლების, ჭეშმარიტი შედევრების შესაქმნელად საჭირო იყო ქვეყნის არა მარტო დიდი სულიერი აღტკინება, შრომისმოყვარეობა, გულმოდგინება, არამედ ქვეყანაში დაგროვილი დოვლათის გონივრული გამოყენებაც. ამასთანავე, ირანის, რომის, ბიზანტიის, არაბებისა თუ თურქების წინააღმდეგ ბრძოლა არასოდეს ქცეულა მათი კულტურების სიძულვილის წყაროდ. ბიბლიასა და ბერძენ-რომაელ ფილოსოფოსთა ნაშრომების გვერდით, ქართველი განათლებული კაცის საკითხავი, მშობლიურ ენაზე შექმნილი ლიტერატურის გარდა, იყო მაღალოსტატურად თარგმნილი წიგნები - ფირდოუსის ,,შაჰ-ნამე" თუ გურგანის ,,ვისრამიანი". ი. ჭავჭავაძის, ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ე. თაყაიშვილისა და სხვა ცნობილ მკვლევართა აზრით, ისეთ პატარა ერს, როგორც ქართველობაა, არამცთუ მთლიანად აუთვისებია მოწინავე მსოფლიოს კულტურული მონაპოვარი, არამედ თავისი საკუთარი წვლილი შეუტანია მის საგანძურში.

მსოფლიო კულტურა ყოველი ერის შენატანით იქმნება და მდიდრდება, მსოფლიო კულტერა ნაირფერადი ყვავილების ის თაიგულია, სადაც თითოეულ ყვავილს თავისი სურნელება, ეშხი და სილამაზე აქვს.

დამოწმებული ლიტერატურა

ე. კასირერი, 1983 - ე. კასირერი, რა არის ადამიანი? თბ., 1983.
კულტურა როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი, თბ., 1977.
გ. ლორთქიფანიძე, ნ. ჩიქოვანი, 1977 - გ. ლორთქიფანიძე, ნ. ჩიქოვანი, ქართული კულტურის ისტორია თბ.,. 1997.
ა. სურგულაძე, 1981 - ა. სურგულაძე, ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1981.

ELENE GEGESHIDZE

CULTURE – MULTI-CONTENT COMPLEX PHENOMENON

Culture as a scientific term is used with the volume and contents to denote such multifarious concept as unity of material and spiritual values created and preserved by human beings through centuries. Culture studies, as a subject investigating the essence of culture and its inner structure, and seeking after the methods of determining its typology, is related to the history of culture as is any other general or special discipline to its own history. Culture specialists should be able to solve the complex task of transferring from abstract definitions to concrete-historical process.

The history of culture studies all the components that underline the development of social life. The world culture is being constantly filled up along with the development of each particular nation who creates her own spiritual world and values by which a nation cannot only exercise the feeling of self-dignity but preserve its creation in the common treasury of the world civilization.

გვანცა გვანცელაძე

სოფელ კვიტოულის სახელის ეტიმოლოგიისათვის

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოჩამჩირის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს დიდი აფხაზური სოფელი, რომელსაც ქართულად **კვიტოული**, ხოლო აფხაზურ ენაზე **კუტოლ (კ°გტოლ)** ეწოდება.

ჩვენს ხელთ არსებული ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ სოფელს თავდაპირველად **კვიტაული** რქმევია. სწორედ ამ ფორმით იხსენიება იგი სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის 1640 წლის სინოდიკში, რომელშიც აღნიშნულია, რომ მთავარს თავისი ახლადგარდაცვლილი მეუღლის ნესტან-დარეჯანის ცხედარი დაუკრძალავს სოფელ ქიაჩში და ორი პანაშვიდი გადაუხდია **კვიტაულის** სასახლეში, ხოლო ამ სოფლის მცხოვრები ყმებისთვის ტოტოჯი, სულეიმან, მარკო, მაჭიხოლი და თომიხილი დავითიებისათვის შეუწერია თითო ძროხა, გაიზარდი აფიასთვის — ცხვარი, ანჩიბუხუ ჩხანგუასთვის კი — სანთელი. იქვე იხსენიებიან აგრეთვე ბებელია ბაგათელიას ქვრივი, აფაქიძის ქალი და მისი შვილი მასი ბაგათელია (ჯ. გამახარია, ბ. გოგია, 1997, გვ. 242-243, დოკ. № 88).

ამ საბუთში ხსენებული პირების გვარებიცა და სახელებიც (სულეიმანისა და მარკოს გარდა) ქართულია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სოფელში ქართული მოსახლეობა ბინადრობდა ჯერ კიდევ XVII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში.

იმავე პეიროდში, 1639-1640 წლებში სამეგრელოში, იმავე მთავარ ლევან II დადიანთან ჩამოსული რუსი ელჩების — ფედოტ ელჩინისა და პავლე ზახარიევის დაკითხვის ოქმებში სოფელი მოხსენიებულია "Китоули" ფორმით: Февроля во 8 день начавали в деревне в Китоуле" (მასალები, 2005, გვ. 219). ეს დოკუმენტი ზემოთ დასახელებულ სინოდიკთან ერთად იმასაც ადასტურებს, რომ სოფელი კვიტაული ამ დროს რეალურად შედიოდა სამეგრელოს მთავრის სამფლობელოში და აქ მთავარი თავის საპატიო სტუმრებსაც მასპინძლობდა.

სოფლის სახელწოდება **კვიტაული** XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც იმავე ფორმით იხმარებოდა, როგორც XVII საუკუნეში. ამას გვიმოწმებს, მაგალითად, კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების 1862-1863 წლების ანგარიშიც, რომელშიც დასახელებულია სოფ. **კვიტაული** (ჯ. გამახარია, 2005, გვ. 928).

უფრო მეტიც, თ. გვანცელაძის ცნობით, XX საუკუნის 70-90-იან წლებშიც კი ხანდაზმული აფხაზები რუსულ ენაზე საუბრისას ამ სოფელს სწორედ Квитаули ფორმით იხსენიებდნენ, თუმცა აფხაზურად მხოლოდ **კუტოლ (კ°გტოლ)** ვარიანტს იყენებდნენ, ხოლო აფხაზეთის მოსახლე ქართველები სოფელს **კვიტოული** სახელით აღნიშნავდნენ. საყურადღებოა, რომ 1967 წლის 20 აპრილის დადგენილებით სოფელს ოფიციალურ სახელად დაუმკვიდრდა აფხაზური ვარიანტი **კუტოლი//Кутол** (ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1977, გვ. 332).

დაისმის საკითხი: დასახელებული ვარიანტებიდან (**კვიტაული, კვიტოული, კიტაული, კ°გტოლ**) რომელია ამოსავალი და რომელი ენის ნიადაგზეა შექმნილი ამ სოფლის დასახელება? ქვემოთ შევეცდებით, წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ.

ვფიქრობთ, არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ ფ. ელჩინისა და პ. ზახარიევის დაკითვის ოქმებში ხსენებული ვარიანტი Китоули, რომელსაც აკლია **ვ** თანხმოვანი, აშკარად დამახინჯებული სახეობაა, რაზეც ისიც მიუთითებს, რომ რუს ელჩებსა და მათი დაკითხვის ოქმების შედგენელ მოხელეებს გასჭირვებიათ ქართული ტოპონიმების სწორად დამახსოვრება. ოქმებში გვხვდება სამეგრელოს გეოგრაფიულ სახელთა დამახინჯებული ვარიანტები: Моки (მოქვი), Моргула (მარგულა = მერკულა), Пудцкур//Путцкур//Пыскурь (ფუწყური), Рьян (რიონი), Дежихи//Жежихи (ლეჯიქე), Мордули (მარტვილი), Зубдиди//Зугуди (ზუგდიდი), Джигали (ჯგალი) და ა.შ.

განსახილველი ტოპონიმის დარჩენილი ვარიანტებიდან ამჟამინდელი აფხაზური **კუტოლ (კ°გტოლ)** ვარიანტი არ დასტურდება არცერთ ძველ ისტორიულ წყაროში. არსებითია ისიც, რომ ამ სახეობის სიახლეზე აშკარად მიუთითებს ფუძის ბოლოში **ო** ხმოვნის არსებობა. როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, აფხაზურ ენას თავდაპირველად ეს ხმოვანი საერთოდ არ მოეპოვებოდა, ამჟამად კი იგი დასტურდება ორ შემთხვევაში: 1. საკუთრივ აფხაზურ სიტყვებში **აუ//უა//აუა** მარცვლების ფონეტიკური ცვლის შედეგად (მაგ.: ს-ცა-უა-ეტ//სცოეტ "მივდივარ", უაქ°გ//ოქ°გ "ახლა, ამჟამად"...); 2. ახალ ნასესხებ სიტყვებში, რომლებსაც თან შემოჰყვა ეს ხმოვანი (ა-პროგრამმა "პროგრამა", ა-რადიო "რადიო"...) (ვრცლად იხ.: ჭ. ლომთათიძე, 1976, გვ. 49-53).

ვფიქრობთ, ეს გარემოებანი გამორიცხავენ იმას, რომ სოფლის სახელწოდება, რომელიც არ იხსნება აფხაზურ ენაზე, შექმნილი შეიძლება იყოს XVII საუკუნეზე ადრე. ამას, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, გამორიცხავს ის ფაქტიც, რომ ამჟამინდელი ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე აფხაზებს არ უცხოვრიათ XVII-XVIII საუკუნეების მიჯნამდე (ვრცლად იხ.: ნარკვევები, 2007). ამიტომ რჩება ტოპონიმის წარმომავლობა-ეტიმოლოგიის დადგენის ერთადერთი ახსნა: სახელის ეტიმოლოგიზებას უნდა შევეცადოთ ქართველურ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით.

ყველაზე რეალური ჩანს, ვივარაუდოთ, რომ **კვიტაული//კვიტოული** ვარიანტებიდან ერთ-ერთი, კერძოდ, **კვიტაული** სახეობაა ამოსავალი: **აუ** ხმოვანთკომპლექსი დასავლურქართულ ენობრივ მასალაში რეგრესული ასიმილაციის ნიადაგზე კანონზომიერად იძლევა **ოუ** ხმოვანთკომპლექსს (შდრ. ხარაგ**აული** // ხარაგ**ოული**ს ტიპის შემთხვევები ტოპონიმიაში).

რაც შეეხება **კვიტაული** ფორმის აგებულებას, მასში აშკარად გამოსაყოფია ქართული მატოპონიმებელი **-ულ** სუფიქსი, რომელიც **-ურ** ვარიანტთან ერთად პროდუქტიულია და პრაქტიკულად ფართოდაა გავრცელებული მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. მისი ერთ-ერთი ფუნქციაა მიწის ნაკვეთის გარკვეული პირისადმი კუთვნილების გამოხატვა. მაგალითად, ოიკონიმები: ამბროლ-ა-**ურ**-ი (შდრ. გვარი ამბროლაძე), ანან-**ურ**-ი (შდრ. სახელი ანანია), თარგამ-ე-**ულ**-ი (შდრ. გვარი თარგამაძე), მანანა-**ურ**-ი (შდრ. სახელი მანანა) გუჯაბ-ა-**ურ**-ი (შდრ. გვარი გუჯაბიძე) და ა.შ. საყურადღებოა, რომ შუა საუკუნეთა ქართულ იურიდიულ საბუთებში ხშირია **-ურ//-ულ** სუფიქსიანი ორსიტყვიანი ტოპონიმები, რომელთა შემადგენლობაში პირველ წევრად, მსაზღვრელის ფუნქციით გაფორმებული ანთროპონიმები გვევლინება, ხოლო საზღვრულად გამოყენებულია სიტყვები: "მიწა", "მამული", "ვენახი",

"ჭალა" და სხვ. მაგალითად: ბარდა-**ულ**-ი მიწა, ტურია-**ულ**-ი ვენახი, გულა-**ურ**-ი ჭალა და ა.შ. (გ. გვანცელაძე, 2008, გვ. 99). ამგვარი ფორმები გვავარაუდებინებს, რომ თავდაპირველად **-ურ//-ულ** სუფიქსებით სწორედ ამ ტიპის შესიტყვებები ფორმდებოდა, შემდგომში კი საზღვრული სახელები ზედმეტი აღმოჩნდა და მივიღეთ ერთსიტყვიანი ტოპონიმები, რომლებიც გაფორმებულია დასახელებული სუფიქსებით.

ამ ფაქტის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ ოიკონიმი **კვიტა-ულ-იც კვიტა** ანთროპონიმისგან მომდინარეობს და იგი თავდაპირველად ორსიტყვიანი ქართული ტოპონიმი იყო. საზღვრულის როლში ალბათ გვევლინებოდა ზემოთ დასახელებულ სიტყვათაგან ერთ-ერთი: "მიწა", "მამული", "ვენახი", "ჭალა". ე.ი. არსებობდა **კვიტა-ულ-ი მიწა** (მამული, ვენახი, ან ჭალა), საზღვრულის ჩავარდნის შემდგომ კი მივიღეთ ერთსიტყვიანი **კვიტა-ულ-ი** ფორმა.

რაც შეეხება საყრდენ **კვიტა** ფუძეს, იგი რომ მამაკაცის საკუთარ სახელად რეალურად არსებობდა, ამაზე მიგვითითებს რაჭული **კვიტა-შვილი** და გურული **კვიტა-ი-შვილი** გვარების არსებობაც. ამათგან ისტორიულ საბუთებში ფორმა **კუიტასშვილი** პირველად დასტურდება 1463 წლის საბუთში, რომლებშიც მოხსენიებულნი არიან: მღვდელ-მონაზონი ორალელისძე-კუიტასშვილი იოვანე და მისი ძმები: თაყა, გიორგი, ასათ, სულა, საგინა და გიორგი. ამათგან მეფე გიორგის იოვანესთვის სისხლის ფასად 400 000 ძველი ცხუმური თეთრი გაუჩენია (ანოტირებული ლექსიკონი, 2004, გვ. 331).

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ სოფლის სახელი **კვიტაული** ქართულია ძირეული ელემენტითაც და სუფიქსითაც. იგი თავდაპირველად ალბათ ორსიტყვიანი ტოპონიმიკური სინტაგმის პირველი წევრი იყო და აღნიშნავდა ვინმე კვიტას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, მერე კი სოფლის სახელად ქცეულა. რაც შეეხება ამჟამინდელ აფხაზურ **კ°გტოლ** ვარიანტს, იგი XVIII საუკუნემდე ვერ იარსებებდა, ვინაიდან ამ ადგილებში აფხაზურ მოსახლეობას მანამდე არ უცხოვრია. აფხაზური ვარიანტი მიღებულია ქართული ვარიანტისაგან სესხების ფონეტიკურ კანონზომიერებათა დაცვით: **კვ** კომპლექსმა მოგვცა აფხაზური ლაბიალიზებული **კ°** თანხმოვანი, **ი** ხმოვანი შეცვალა ნეიტრალურმა ხმოვანმა, ხოლო **აუ** ხმოვანთკომპლექსისგან მიგვიღია **ო** ხმოვანი (შდრ. ქ. ლომთათიძე, 1976, გვ. 49-53, 59, 168-169).

ამ ფაქტის გათვალისწინებით უპრიანია ქართულად წერისას და საუბრისას გამოვიყენოთ მართებული და ისტორიულად დადასტურებული **კვიტაული** ფორმა და არა **კუტოლი** ვარიანტი, რომელიც საბჭოთა პერიოდში, 1967 წელს დამკვიდრდა სოფლის აფხაზური წარმომავლობის სამტკიცებლად.

დამოწმებული ლიტერატურა

ანოტირებული ლექსიკონი, 2004 - პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. III, თბ., 2004.

ჯ. გამახარია, 2005 - ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა (I ს. - 1921 წ.), თბ., 2005.

ჯ. გამახარია, ბ. გოგია, 1997 - Дж. Гамахария, Б. Гогия, Абхазия – историческая область Грузии, Тбилиси, 1997.

გ. გვანცელაძე, 2008 - გ. გვანცელაძე, **-ურ//-ულ** სუფიქსთა ერთი ფუნქცია ისტორიული საბუთების მიხედვით: არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XIX, მასალები, თბ., 2008.

ქ. ლომთათიძე, 1976 - ქ. ლომთათიძე, აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, I, ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები, თბ., 1976.

მასალები.., 2005 - Материалы по церковной и этнополитической истории Абхазии. Посольство Федота Елчина и Павла Захарьева в Менгрелию (1639-1640). Для издания подготовил, предисловием, комментариями и словарем снабдил Дж. Гамахария, Тбилиси, 2005.

ნარკვევები.., 2007 - ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი, თბ., 2007.

ადმინ.-ტერიტ. დაყოფა, 1977 - საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისთვის, თბ., 1977.

GVANTSA GVANTSELADZE

ON THE ETYMOLOGY OF THE VILLAGE NAME "K'VIT'OULI"

The present work founds out that the village situated in Abkhazia which was called "K'vit'ouli" by the Georgians and "K'ut'oli" by the Abkhazians for the first time was mentioned as " K'vit'auli//Kitauli" in 1639-1640. Because at that time the Abkhazians have not been living yet near this village. We asume that this toponymy is originated from Georgian. It is derived from the male name "K'vit'a" by adding on the possesive suffix "ul". i.e. this toponymy had the meaning : "the ground which was belong to "Kvita". An Abkhazian version is derived from "k'vit'auli" form.

თემურაზ გვანცელაძე

ქართულ გვართა გავრცელების ისტორიული არეალი აფხაზური სოფლების მიკროტოპონიმთა მიხედვით

ბოლო წლების გამოკვლევების შედეგად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ამჟამინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გამოვლინდა ქართველური წარმოშობის მრავალი გეოგრაფიული სახელი, რომლებიც ქრონოლოგიური თვალსაზრისით წინ უსწრებენ რეგიონში XVI საუკუნიდან წარმოქმნილ აფხაზურ (აფსუურ) გეოგრაფიულ სახელებს და ქმნიან ქართველურ ტოპონიმთა და ჰიდრონიმთა სუბსტრატულ ფენას (ვრცლად იხ.: ქ. ლომთათიძე, 1995; თ. გვანცელაძე, 1995; თ. გვანცელაძე, 1998; თ. გვანცელაძე, 2000; თ. გვანცელაძე, 2002; პ. ცხადაია, 2004; თ. გვანცელაძე, 2007...), იშვიათი არ არის არც ჰიბრიდული (ქართველურ-აფხაზური) გეოგრაფიული სახელები (თ. გვანცელაძე, 2008). ამ გამოკვლევებით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თანამედროვე აფხაზეთის მიწაზე თავდაპირველად ქართველური მოსახლეობა ბინადრობდა, ხოლო XVI საუკუნიდან აქ ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსულმა აფხაზებმა (აფსუებმა) დამხვდურთა ნაწილი განდევნეს მდ. ენგურის მარცხენა მხარისაკენ, მეორე ნაწილი კი დარჩა თავის მამაპაპურ მიწაზე, მაგრამ დროთა მანძილზე შეერწყა მოსულ მოსახლეობას და დაკარგა ქართული ეთნიკურ-ენობრივი იდენტობა. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დღევანდელ აფხაზთა (აფსუათა) შორის ძალზე ფართოდაა გავრცელებული ქართველური წარმოშობის სხვადასხვაგვარი მორფოლოგიური სტრუქტურის მქონე გვარსახელები (**-ია, -ვა, -უა, -ძე** და **შვილი** დაბოლოებიანი გვარები).

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ ამჟამინდელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონების აფხაზურ სოფლებში ჩვენ მიერ 1970-1990 წლებში ყოველწლიური ექსპედიციების დროს მოპოვებულ იმ ტოპონიმებს, რომლებშიც ერთ-ერთ კომპონენტად გამოდის ქართველური წარმოშობის გვარსახელები. ამჯერად არ შევეხებით იმ სოფელთა ტოპონიმიას, რომლებშიც რუსეთ-საქართველოს ომის აფხაზეთის ეპიზოდის დაწყებამდე წარმოდგენილი იყო ნარევი, აფხაზურ-ქართული მოსახლეობა (ძირითადად, აფხაზები და ქართველები გვერდი-გვერდ სახლობდნენ გუდაუთის რაიონის სოფელ ოთჰარაში, ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიაში და ა.შ.).

დავიწყოთ გუდაუთის რაიონით.

სოფელ **აბლარხუქში** არის უბანი, რომელსაც აფხაზურად **არგუნაა ჩქაფთაუვ** ეწოდება. ეს სახელი ითარგმნება როგორც "არგუნების (არგუნთა) ძველი პარტახი". **არგუნ** ამჟამად ერთ-ერთი მცირერიცხოვანი აფხაზური გვარია, მაგრამ მას არ ეძებნება დამაჯერებელი ახსნა აფხაზურ ენაზე. რეალური სახით ამ გვარსახელის განმარტება ქართველურ ნიადაგზე: მეგრულ მეტყველებაში [illegible] სახელია, რომელიც იოლად შეიძლებოდა ქცეულიყო ჯერ [illegible], შემდგომ კი გაგვარებულიყო. ამ მოსაზრებისათვის დაბრკოლება არ უნდა იყოს ის, რომ ამჟამად ასეთი გვარი ქართველებში (მეგრელთა შორის) არ არის გავრცელებული. მცირერიცხოვანი გვარის მასობრივი გააფხაზება წარმოუდგენელი არ ჩანს.

ამავე სოფელში მდებარე ტაფობსა და ხეობას **ბიაა რგვავეა** "ბიავების ტაფობი" ეწოდება. რაკი გვარსახელი **ბიავა** ქართული წარმოშობისაა, ეს მიკროტოპონიმიც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აფხაზებს ამ ადგილას ქართული მოსახლეობა დახვედრია.

სოფელ **ბლაბურხვაში** არის ადგილი **ქანთრგფშ,** რომელიც სრულად არ იხსნება აფხაზურ ენაზე. ტოპონიმი, ჩვენი აზრით, ჰიბრიდული, ქართულ-აფხაზური სახელია: პირველი კომპონენტია **ქანთრ,** გვარსახელ **ქანთარ-ია**-ს ძირეული ელემენტი, რომელსაც დართვია აფხაზური **ფშ** "წმინდა ადგილი, სიწმინდე, სალოცავი", რომელიც აფხაზური წარმოშობის ძირებსაც დაერთვის და ქართველურსაც (შდრ., მაგალითად, ერთი მხრივ, აფხაზური **ზვანდვ-რგ-ფშ** "ზვანდვების სიწმინდე, სალოცავი" და, მეორე მხრივ, ჰიბრიდული **გულ-რგ-ფშ** — ქართ. გვარსახელ **გულ-ია**-ს ძირი + აფხაზ. მრ. რ. კუთვნილების პრეფ. **რ(გ)-** + აფხაზ. ძირი **ფშ** "სიწმინდე, სალოცავი" (მთლიანად ტოპონიმი ნიშნავს გულიების სალოცავს). მიკროტოპონიმ **ქანთრგფშ**-ში ერთმანეთის მეზობლად უნდა ყოფილიყო ორი **რ** თანხმოვანი: ერთი ქართული გვარის ფუძის ნაწილი, მეორე კი აფხაზური კუთვნილების პრეფიქსი, მაგრამ ერთი მათგანი რედუცირებულია, რაც უცხო არ არის აფხაზურ ენისათვის. ამრიგად, ვვარაუდობთ, რომ საანალიზო სახელი შეიქმნა მას მერე, რაც ამ ადგილას უკვე არსებობდა ქართველი ქანთარიების სალოცავი, რომლის სახელიც კალკირებულ იქნა აფხაზურ ენაზე.

სოფელ **მგუძირხვაში** ზღვის ნაპირას არის ადგილი, რომელსაც **ჩქვან ითგფ** ჰქვია. სახელი ზედმიწევნით ითარგმნება როგორც "ჩიქვანის (ჩიქოვანის) ადგილი (მიწა)", თუმცა ჩვენ მიერ მასალის შეკრებისას სოფელში ჩიქოვანი არავინ ცხოვრობდა და არც ჩვენმა ინფორმატორებმა იცოდნენ რაიმე ასეთი ფაქტის შესახებ, მაგრამ სრულიად უდავოა, რომ აფხაზურ ენას შემოუნახავს უტყუარი ცნობა იმის შესახებ, რომ აფხაზთა მოსვლამდე ჩიქოვანებს უცხოვრიათ ყოფილ ქართულ სოფელ მებოძირში (შდრ. ამჟამინდელი სახელი **მგვგძგრხვა**: კლასიკ. ქართ. **მებოძირი // ნებოძირი** "გზაჯვარედინი" + აფხაზ. კუთვნ. პრეფ. **რ-** + აფხაზ. **ა-ხვგ // ახვა** "ბორცვი").

მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელ **კალდახვარაში** არსებობს მიკროტოპონიმები: **ამფარაა რთაბგარა** "ამფარების ფლატე" (ზედმიწ.: "ამფარების ჩანგრეული მიწა"), **ამფარ იხვგ** "ამფარის ბორცვი". ორივე სახელში შემავალი ამჟამინდელი აფსუური გვარსახელი **ამფარ** ქართულ გვარსახელ **მეფორია**-ს აფსუიზებული მეორეული ვარიანტია: გვარის მაწარმოებელი **ია** სუფიქსი ჩამოცილებულია და ფფუძეზე დართულია აფხაზური **ა-** თავსართი ისევე, როგორც ამ ტიპის სხვა ქართულ გვართა წარმომადგენლების გააფხაზების დროს მომხდარა (შდრ.: ქართ. ჯინჯოლ-**ია** — აფხაზ. **ა-**ჯგნჯალ, ქართ. მექვაბ-**ია** // მიქვაბ-**ია** — აფხაზ. **ა-**მქვაბ // **ა-**ნქვაბ, ქართ. ბულისკირ-**ია** — აფხაზ. **ა-**ბლგსკირ). რაც შეეხება სხვაობას გახმოვნებაში, ამ შემთხვევებში ზუსტადაა დაცული სესხების ფონეტიკური კანონზომიერებანი. ამრიგად, აღნიშნული საკმაო საფუძველს ქმნის იმის სამტკიცებლად, რომ ამ ადგილას აფხაზთა მოსვლამდე რეალურად უცხოვრიათ მეფორიას საგვარეულოს ქართველებს.

სოფელ **ყულანურხვაში** ერთ-ერთ უბანსა და იქვე მდებარე მაღლობს **ოსიაა რხგქვ** "ოსიების გადასახედი" ეწოდება. ამ უბანში ახლაც სახლობენ გააფხაზებული **ოსია**-ს გვარის წარმომადგენლები. მათი გვარსახელის ქართულობას, ვფიქრობთ, მტკიცება არც სჭირდება, მაგრამ მაინც დავძენთ,

რომ გვარსახელს საფუძვლად უდევს ანთროპონიმ **იოსებ**-ის ქართული კნინობითი ფორმა.

სოფელ **ჯიხრხვაში** არის ხევი და მისი ხეობა, რომელსაც **ემხაა ფვაფვა** "ემხვარების ტაფობი" ეწოდება. **ემხაა // აემხაა** ქართულ გვარსახელ **ემხვარ**-ის აფსუიზებული ვარიანტია, ხოლო სამურზაყანოში გავრცელებული **ემხვარ-ი** სახეობა, თავის მხრივ, სამოხელეო **ამირ-ახორ-ი** ტერმინისაგან მომდინარე ქართული **ამილახორ-ი // ამილახვარ-ი** გვარის სახესხვაობაა. მიკროტოპონიმი ცხადად მიანიშნებს, რომ ამ სოფლის მიწაზე აფხაზთა მოსვლამდე ქართველ ემხვარებს უცხოვრიათ.

იმავე სოფელში არის კიდევ ერთი საყურადღებო ჰიდრონიმი — **საქანიაა ფვიჭა** "საქანიების წყარო", რომელსაც საფუძვლად უდევს ასევე ქართული გვარსახელი **სექანია // საქანია**. ამ შემთხვევაშიც ცხადია, რომ წყაროს სახელი ამჟამად უკვე გააფსუებული ქართველების იქვე სახლობის გამო დარქმეულა...

ახლა კი განვიხილოთ ოჩამჩირის რაიონის შესაბამისი მასალა.

სოფელ **აფხაზური ათარის** ერთ-ერთ უბანს **ანდგღვლოუ // ანდღვლოვაა** ეწოდება. მიკროტოპონიმის ვარიანტებს საფუძვლად ქართული გვარსახელი **ანდღულავა** (შდრ. **ანდღულაძე**) დასდებია, რომელიც ტრანსფორმირებულია აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი სესხების კანონზომიერებათა შესაბამისად. სახელის პირველი ვარიანტი გვარის მხოლობითი რიცხვის ფორმაა, მეორე კი — კრებითი მრავლობისა. უეჭველია, რომ ამ სოფელში აფხაზთა მოსვლამდე ანდღულავას გვარს უცხოვრია.

იქვე დასტურდება მინდვრის სახელი **არსთაა ღაშთა** "არისთავას მინდორი; არისთავას ეზო". ამჟამად ამ სოფელში არისთავები აღარ სახლობენ, თუმცა ამ გვარის მქონე რამდენიმე აფხაზური ოჯახი ცხოვრობს გუდაუთის რაიონში. გვარი აფსუიზებული ქართული **ერისთავია.**

ამავე სოფელში არის ბორცვისა და უბნის სახელი **გეარგეაა რხვგ,** რაც გერგიების (გერგია) ან გიორგიების (გიორგია) ბორცვს ნიშნავს. ცხადია, სახელი იმ დროის ანარეკლია, როცა აქ ქართველებს უცხოვრიათ. ზუსტად ასეთივე ტიპისაა ამავე სოფლის მიკროტოპონიმები: **გეგიაა რხვგ** "გეგიების ბორცვი" (ბორცვი; უბანი), **დოპუაკვარა** "დოპუას ღელე" (ღელე), **დოპუაქგთ** "დოპუას სოფელი" // **დოპუაა რქგთ** "დოპუების სოფელი" (უბანი). ეს სახელებიც მიგვანიშნებენ, რომ ამ სოფლის ტერიტორიაზე თავიდან ქართველ გეგიებსა და დოპუებს უცხოვრიათ. მეტიც შეიძლება ითქვას: ტოპონიმები **დოპუაქგთ** "დოპუას სოფელი" // **დოპუაა რქგთ** "დოპუების სოფელი" გვაფარაუდებინებს, რომ ამჟამინდელი აფხაზური ათარის ადგილას აფხაზთა მოსვლამდე უნდა არსებულიყო ქართული სოფელი, რომლის მოსახლეობაც ერთი გვარის (დოპუას) წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. სხვათა შორის ჩვენი აფხაზი ინფორმატორები ერთხმად აღნიშნავდნენ, ამ სოფელს ადრე **დოპუაა რქგთ** ერქვაო. ამის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოფელს თავიდან მეგრულად **დოპუაში** ან **ლედოპუე** ერქვა.

სოფელ **არასაძიხში** ერთ-ერთ ღელეს **ლაგვლაა** რგფსგძკგრთა "ლაგვილავების სათევზაო, თევზსაჭერი" ჰქვია. იქვე გააფხაზებული ლაგვილავები მართლაც ცხოვრობენ. აშკარაა, რომ ისინი ამ სოფლის ავტოქთონები არიან და სათევზაოც მათი ყოფილა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ეს აფხაზური სახელი არ უნდა გაჩენილიყო ლაგვილავების გააფსუების შემდეგ, იგი, ჩვენი აზრით,

კალკირებული ჰიდრონიმია და ალბათ მეგრულ დიალექტზე ჟღერდა როგორც **ლაგვილეფიშ ოჩხომე.**

სოფელ **აძვიბჟას** (აფხაზ. "ორ წყალს შუა") ჯერ კიდევ XIX საუკუნეში **შუაწყალი // შუაწყარი // შვაწყალი** რქმევია, რაც ასახულია რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში. მაგალითად, **შუაწყალის** სახელით მოიხსენიება ეს სოფელი კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების 1862-1863 წლების ანგარიშში (ჯ. გამახარია, 2005, გვ. 927), იმავე საზოგადოების 1868 წლის ანგარიშში მას **შუაწყარი** ჰქვია (იქვე, გვ. 944), ხოლო **შვაწყალი** ფორმა დასტურდება საზოგადოების 1888 წლის ანგარიშში (იქვე, გვ. 993). ცხადია, აფხაზური სახელი ქართული ვარიანტების კალკირებული თარგმანია. ამ სოფელში ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე გეოგრაფიული სახელი დასტურდება. კერძოდ: **გულიაა რჭაფთა** "გულიების პარტახი" (უბანი), **დადიანიში ნამარანი** "დადიანის ნამარნევი" (ადგ.; ტოპონიმი მთლიანად მეგრული ფორმითაა წარმოდგენილი), **მალანიაა რჭაფთა** "მალანიების პარტახი" (ადგ.). რა თქმა უნდა, ამ სახელებიდან ირკვევა, რომ სოფელ შუაწყალში თავიდან ქართველებს (გულიებსა და მალანიებს) უცხოვრიათ და იგი დადიანთა საკუთრება ყოფილა.

სოფელ **გუფში** ნაციხარს **არანაა აბააყვ** "არონიების ძველი ციხე" ჰქვია. იქვეა უბნები: **ბაგათელიაა რგხვწა** "ბაგათელიების ბორცვის ძირი", **ბრგსკგლაა რგნხართა** "ბულეისკირების საცხოვრისი", ბორცვი **დაჩიაა რხვგ** "დოჩიების ბორცვი", მაღლობები: **კაკაა რხვგ** "კაკავების ბორცვი", **ლაზარიაა რხვგ** "ლაზარიების ბორცვი", **ხუნტუაა რხვგ** "ხუნტუების ბორცვი". ყველა ეს სახელი ადასტურებს ამ სოფელში ქართველთა ავტოქთონობას.

სოფელ **თხინაში** (ქართ. **თხილნარი**) ერთ ღელეს **ბიგვაა რკვარა** "ბიგვავების ღელე" ეწოდება. გვარსახელი **ბიგვავა** კი უეჭველად ქართულია.

სოფელ **კვიტოულში** (აფხაზ. **კუტოლ**) დასტურდება ადგილის სახელი **გუჯუა იქაფთა** "გუჯუას პარტახი", რომელსაც საფუძვლად ქართული **გუჯუა** გვარსახელი უდევს. აქვეა წყაროს სახელები: **ვარდანაა რძგხგ** "ვარდანიების წყარო", **საბუაა რძგხგ** "სებუების // ესებუების წყარო"; მინდვრის სახელი **ჟანაა რდვგ** "ჟანავების მინდორი", მაღლობის სახელი **საბუაა რხვგ** "(ე)სებუების ბორცვი", უბანი **ჭოლოკუაა რჭაბლა** "ჭოლოკუების უბანი". კვიტოულის თემშივე შედის სოფელი **სამახარია,** რომლის სახელწოდებაც მთლიანად ქართული ფორმითაა წარმოდგენილი და **მახარიას** ქართული გვარსახელისგან მოდის.

სოფელ **კინდღში** დასტურდება მიკროტოპონიმები: **გვაგიაა რხვგ** "გოგიების ბორცვი" (მაღლ.), **დაუთიაა** "დაუთიები" (ადგ.), **კოლონიაა რჭაფთა** "კოლონიების პარტახი" (ადგ.), **ლაკვატაა რხვგ** "ლაკვატავების ბორცვი" (მაღლ.), **ხახულიაა** "ხახულიები" (ადგ.), **ხოჭაა იწვა** "ხოჭავას ვაშლი" (ადგ.). ყველა ეს სახელი ადასტურებს სოფელში ქართველთა თავდაპირველ სახლობას.

სოფელ **მოქვში** დასტურდება შემდეგი მიკროტოპონიმები: **ადიან იქაფთა** "დადიანის პარტახი" (ადგ.; **ადიან** გვარსახელ **დადიანის** აფხაზური ვარიანტია), **გუნიაა რგვავიარა** "გუნიების ტაფობი" (ტაფობი), **კვაკვასკირაა რხვგ** "კვაკვასკირების ბორცვი" (მაღლ.), **კვარტაა რხვგ** "კორტავების ბორცვი" (მაღლ.), **ქვაბალ** "ქობალია" (უბანი), **ჩამაა რრაჭგს** "ჩამავას

ნორჩი თხილნარი" (ადგ.), **ჰაკვაა რააფთრა** "ჰაკვავების საქონლის ბაკი" (ადგ.). ეს სახელებიც ადასტურებენ, რომ ისტორიულ სოფელ მოქვში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ეთნიკურად ქართული იყო, თავიდან ქართული მოსახლეობა ბინადრობდა.

სოფელ **ოტაფში** არის უბანი **ჭუთელიაა რცუთა**-ს ("ჭუთელიების უბანი") სახელწოდებით. იქვეა მაღლობები: **ჭუთელიაა რხვგ** "ჭუთელიების ბორცვი" და **ჯელიაა რხვგ** ""ჯელიების ბორცვი".

სოფელ **ტყვარჩელში** მიედინება ღელე **გოგიაა რკვარა** "გოგიების ღელე". აქვეა ადგილი **წაბრიაა რჭაფთა** "წაბრიების პარტახი".

სოფელ **ფოქვეშში** დასტურდება უბნის სახელები: **სათანია,** სადაც ამჟამადაც ბინადრობენ გააფხაზებული თანიები; **საკოზმაა** — გააფხაზებული კოზმავების სამოსახლო; **საკორტაა** — გააფხაზებული კორტავების საბინადრო (სამივე ტოპონიმი არა მარტო უშეიცავს ქართულ გვარსახელებს, არამედ ქართული მორფოლოგიური ინვენტარითაცაა გაფორმებული, ე.ი. ისინი ნამდვილი სუბსტრატული სახელებია); **ჯგნჯალაა რგვავაა** "ჯინჯოლიების ტაფობი", სადაც ასევე გააფხაზებული ჯინჯოლიები ცხოვრობენ.

სოფელ **ჯგერდაში** დავადასტურეთ მიკროტოპონიმები: **კაციაა რკვარა** "კაციების ღელე" (ღელე და წყარო), **კვარჭიაა რგხვწა** "კვარჭიების ბორცვის ძირი" (უბანი), **საბუაა რძგხა** "(ე)სებუების წყარო" (წყარო), **საბუაა რხვგ** "(ე)სებუების ბორცვი" (მაღლ.), **ყურდგალაა რხვგ** "ყურდგელიების ბორცვი" (მაღლ.), **შოუაა რგხვწა** "შოუების ბორცვის ძირი" (უბანი), **ხუბტიაა რკვარა** "ხუბუტიების ღელე" (ღელე), **ჯალიაა** "ჯალიები ან ჯოლიები".

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი ენობრივი მასალა (70-მდე მიკროტოპონიმი) სრულ საფუძველს იძლევა საიმისოდ, რომ დავასკვნათ: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონების ამჟამინდელ აფხაზურ სოფლებში XVI საუკუნემდე რეალურად მასობრივად უცხოვრია ქართულ მოსახლეობას და მათ ტერიტორიებზე არსებულა ქართულ გვართა დასახლებანი. ამგვარი ენობრივი მასალის სიმრავლე, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის და სრულად ეხმიანება ქართულ თუ უცხოურ წერილობით წყაროებში წარმოდგენილ იმ ცნობებს, რომლებიც ერთხმად ადასტურებენ ამ რეგიონში ქართული მოსახლეობის ავტოქთონობას. საყურადღებოა, რომ ქართულ გვარსახელებთან ტოპონიმებში ხშირადაა შეწყვილებული აფხაზური სიტყვა **ოჭაფთა** "პარტახი, ნამოსახლარი", რაც აშკარად, არაორაზროვნად მიანიშნებს ვეით შუა საუკუნეებში ამ სოფელთა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლისა და ქართველთა ნასახლარებზე აფხაზთა დაბინავების შესახებ.

დამოწმებული ლიტერატურა

ჯ. გამახარია, 2005 - ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბილისი, 2005.

თ. გვანცელაძე, 1995 - თ. გვანცელაძე, ბიჭვინთის თავდაპირველი სახელწოდების საკითხისათვის: "ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე", 1995, № 1.

თ. გვანცელაძე, 1998 - თ. გვანცელაძე, ტოპონიმ "ტყვარჩელისა" და "ყოჩივარდას" მეგრული სახელწოდების ეტიმოლოგიისათვის: ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

თ. გვანცელაძე, 2000 - თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში (სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი): ჟურნ. "არტანუჯი", 2000, № 10.

თ. გვანცელაძე, 2002 - თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში: ავადჰარა, ოთჰარა: ქართველოლოგიური კრებული, I, თბ., 2002.

თ. გვანცელაძე, 2007 - თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი, თბ., 2007.

თ. გვანცელაძე, 2008 - თ. გვანცელაძე, ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში: მგუძირხვა: კრებ. "აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძეს", თბ., 2008.

ქ. ლომთათიძე, 1995 - ქ. ლომთათიძე, ბაგისმიერის მიდრეკილება ანლაუტში მოხვეედრისა აფხაზურ ენაში და ტოპონიმი "ამტყიალ": ბ. ჯორბენაძის საზოგადოების II სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ., 1995.

პ. ცხადაია, 2004 - პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია (ენათმეცნიერული გამოკვლევა), თბ., 2004.

TEIMURAZ GVANCELADZE

HISTORICAL AREA OF GEORGIAN SURNAMES DIFFUSIONACCORDING TO MICROTOPONIMS OF ABKHAZIAN VILLAGES

In this work is discussed microtoponims (approximately 70), which were gathered in Abkhazian villages of Abkhazian Autonomy Republic in 1970-1990 years, where one component is Georgian names and surnames. After researching this material, we can conclude, that in all present Abkhazian villages lived Georgians till XVI century.

ირმა გოგოლიძე

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება და ბათუმის ოლქის საკითხი

საქართველოს ისტორიული ტერიტორია, რომელიც ბათუმის ოლქში ერთიანდებოდა, გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მდებარეობის გამო დიდი ხნის მანძილზე წარმოადგენდა დავისა და უთანხმოების ობიექტს საქართველოსა და რეგიონით დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის. პოლიტიკური პროცესების შედეგად (რომანოვების იმპერიის დაშლა, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება და მისი თანამდევი დიპლომატიური კამპანია, პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი ბლოკი სახელმწიფოების კაპიტულაცია) ბათუმის ოლქი სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირების ობიექტი გახდა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე აქ ერთმანეთს ენაცვლებოდა რუსეთის, თურქეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის ინტერესები.

1917 წლის სახელმწიფო გადატრიალებამ რუსეთში სერიოზული პოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში. სოციალ-დემოკრატიული, დაშნაკ-ციუტუნის, მუსავატის, სოციალისტ-ფედერალისტთა და ესერთა პარტიების კოალიციის პრინციპზე ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნით ამიერკავკასია ოფიციალურად გაემიჯნა ბოლშევიკურ რუსეთს, თუმცა, მიღებული დეკლარაციის თანახმად, კომისარიატი ეფლებამოსილებას ინარჩუნებდა რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე. ამიერკავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ ცხადდებოდა, რადგანაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში რუსეთის კავკასიის არმია ფრონტის ხაზიდან მოიხსნებოდა, რაც საშუალებას მისცემდა თურქების აგრესიულ მისწრაფებებს სამხრეთ კავკასიაში, ან რუსეთის არმია თავად მოახდენდა რეგიონის ოკუპაციას (ა. სილაგაძე, ვ. გურული, 1998, გვ. 26). დამოუკიდებლობის გამოუცხადებლობამ უარყოფითად იმოქმედა საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩენილი ბოლშევიკური ხელისუფლების უმთავრესს ამოცანას მსოფლიო ომიდან სასწრაფოდ გამოსვლა და ქვეყნის შიგნით ძალაუფლების შენარჩუნება-განმტკიცება წარმოადგენდა, რისთვისაც იგი წავიდოდა ტერიტორიულ დათმობებზე როგორც დასავლეთით, ასევე - სამხრეთ კავკასიაშიც. 1917 წლის 15 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში გაფორმდა დროებითი დაზავების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შეწყდა სამხედრო მოქმედებები რუსეთის დასავლეთ ფრონტზე. 1917 წლის 18 დეკემბერს ერზინჯანში ამიერკავკასიასა და ოსმალეთს შორის დადებული დროებითი ზავით საომარი ოპერაციები შეწყდა კავკასიის ფრონტზე და დადგინდა სადემარკაციო საზღვარი ოსმალეთსა და ამიერკავკასიას შორის. ერზინჯანის ხელშეკრულების მე-12 მუხლის თანახმად, თუ რუსეთსა და ცენტრალურ სახელმწიფოთა შორის დაიდებოდა ზავი, მისი ყველა პუნქტი მისაღები იქნებოდა კავკასიის ფრონტისათვის (დოკუმენტები.., 1919, გვ. 21).

რუსეთთან ზავის დადება გერმანიის და მისი მოკავშირეების, სახელდობრ, ოსმალეთის ინტერესებსაც პასუხობდა, რადგანაც უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი სამხედრო მარცხის წინაშე მდგარ ოსმალთათვის რეალური საშუალება

იყო ეროვნული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად (ო. გიგინეიშვილი, 1982, გვ. 143). კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში შექმნილი პოლიტიკური ვითარება ხელსაყრელი აღმოჩნდა ახალგაზრდა თურქთა ინტერესებისათვის. მათ მიეცათ შესაძლებლობა არა მარტო დაებრუნებინათ რუსეთის მიერ ოკუპირებული ანატოლიის ტერიტორიები, არამედ განემტკიცებინათ პოზიციები კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკურმა წრეებმა, თავისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, 1918 წლის 14 იანვარს ამიერკავკასიის მთავრობას ოფიციალურად შესთავაზეს მოლაპარაკების დაწყება, ხოლო პარალელურად ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე საზავო კონფერენციაზე დელეგაცია გაგზავნეს. საგულისხმოა, რომ თურქებისათვის ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება იქმნებოდა, რადგანაც ამიერკავკასიის სახით მათ ურთიერთობა უწევდათ სამხედრო თვალსაზრისით სუსტ, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით ნაკლებად მყარ გაერთიანებასთან. მათი შემდგომი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიისათვის ,,დამოუკიდებლობის" ფარდის შექმნა, რადგანაც ამ უკანასკნელთან მოლაპარაკება საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით კანონიერი ყოფილიყო (ო. გიგინეიშვილი, 1963, გვ. 158). ასეთ პირობებში ოსმალეთის იმპერია ადვილად შეძლებდა მისთვის ხელსაყრელ პირობებზე დაეთანხმებინა დამოუკიდებელი ამიერკავკასია, რომელიც უკვე სერიოზულ წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა.

1917 წლის 22 დეკემბრიდან 1918 წლის 3 მარტამდე ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარეობდა მოლაპარაკება, ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთსა და მეორე მხრივ, გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ოსმალეთსა და ბულგარეთს შორის, საბოლოო ზავის პირობების შესამუშავებლად. კონფერენციის პირველსავე სხდომაზე საბჭოთა რუსეთის დელეგაციამ გერმანიის ბლოკს სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძვლად შესთავაზა 6 მუხლისაგან შემდგარი პროგრამა. მესამე მუხლის თანახმად, ეროვნულ ჯგუფებს, რომლებიც ომამდე არ სარგებლობდნენ პოლიტიკური თვითმყოფადობით, ეძლეოდათ შესაძლებლობა თვითონვე გადაეწყვიტათ ამა თუ იმ სახელმწიფოსთან მიკუთვნების საკითხი, ან კიდევ რეფერენდუმის გზით გამოეცხადებინათ სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის ჩამოყალიბება. მეოთხე მუხლი ფორმულირებული იყო შემდეგი სახით: სხვადასხვა ეროვნებით დასახლებულ ტერიტორიებთან დამოკიდებულებაში უმცირესობის უფლებები დაცულია კანონებით, რომლებიც უზრუნველყოფენ უმცირესობის კულტურულ და ეროვნულ თვითმყოფადობას და შესაძლებლობის ფარგლებში ადმინისტრაციულ ავტონომიასაც (დიპლომატიის ისტორია, 1965, გვ. 75-76). ამ პროგრამიდან გამომდინარე ამიერკავკასია და სახელდობრ, საქართველო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონების დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, რადგანაც კონფერენციაზე თურქები შეეცდებოდნენ გადაეჭრათ თავიანთი ტერიტორიული პრეტენზიები სამხრეთ კავკასიაში.

ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენცია დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. გერმანიისა და მისი ბლოკი სახელმწიფოების ულტიმატუმით (9 თებერვალი) საბჭოთა რუსეთს უნდა დაეცალა ოკუპირებული ტერიტორიები (ბალტიისპირეთის ქვეყნები). 23 თებერვალს საბჭოთა მხარეს წარუდგინეს ახალი ულტიმატუმი, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელს უნდა დაებრუნებინა თურქებისათვის ანატოლიის პროვინციები. თურქები ამით არ დაკმაყოფილდნენ და სცადეს ზავის პირობებში შეეტანათ არა მარტო მიმდინარე ომის დროს რუსეთის ჯარის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნება, არამედ 1877-

1878 წლების ომამდე არსებული რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის აღდგენაც (ო. გურგენიშვილი, 1963, გვ. 177). საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ლ. ტროცკის განცხადებიდან გამომდინარე, რომელიც ადასტურებდა რუსეთის შემადგენლობაში ბათუმის ოლქის დარჩენას, ტერიტორიული პრეტენზიები, რომლებიც თურქებს წაეყენებინათ, მოეკითხებოდა ბოლშევიკურ რუსეთს (ტრაპიზონის კონფერენცია, 1918, გვ. 15). კონფერენციის საწყის ეტაპზე გერმანიის დელეგაცია მოითხოვდა ოსმალეთისათვის ანატოლიის პროვინციების დაბრუნებას, ხოლო შემდეგ ოსმალეთის დელეგაციამ, ისარგებლა რა შექმნილი ვითარებით, რუსეთის მხარის ინიციატივით, წამოაყენა თავისი პრეტენზიები სამხრეთ კავკასიის ტერიტორიებზე, რასაც მხარი დაუჭირეს გერმანელმა დიპლომატებმა. 1 მარტს სამშვიდობო ხელშეკრულების ტექსტის საბოლოო ვარიანტის წაკითხვისას აღმოჩნდა, რომ ოსმალეთის სასარგებლოდ შეტანილი იყო ცვლილებები (ნ. ზოსიძე, 1995, გვ. 18). კერძოდ, რუსეთს ჯარები უნდა გაეყვანა არა მარტო ანატოლიის პროვინციებიდან, არამედ ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებიდანაც და ამ ოლქების შემდგომი ბედი თვითგამორკვევის გზით უნდა გარკვეულიყო.

საჭიროა, მოკლედ შევეხოთ საკითხს, თუ რამ განაპირობა ოსმალეთის პოლიტიკის გააქტიურება კავკასიაში, კერძოდ საქართველოში. 1913 წლის ბოლოსთვის ოსმალეთის იმპერიაში დამყარდა ახალგაზრდა თურქთა დიქტატურა. ახალგაზრდა თურქთა პროგრამა თურანიზმი, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებენ — პანთურქიზმი, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში, ხოლო ოსმალეთის სახელმწიფოს წარმმართველ იდეოლოგიად ქცეულა პირველი მსოფლიო ომის წინ. თურქებმა თანდათანობით დაკარგეს ინტერესი ყველა იმ ტერიტორიის მიმართ, რომელიც მათი წარმოდგენით არ იყო თურქული და არ იმყოფებოდა თურქული მოდგმის ხალხების დამაკავშირებელ ხაზზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს საკითხი თურქიზმის თეორიის პრაქტიკული რეალიზაციისათვის პრიორიტეტული აღმოჩნდა. ოსმალეთის საზავო პირობების პროექტი, რომლის მიღებასაც ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე ითხოვდა ოსმალეთის დელეგაცია, მთლიანად გამოხატავდა თურანის ინტერესებს. იგი ითვალისწინებდა არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქების დაბრუნებას, ანუ 1878 წლამდე არსებული რუსეთ-ოსმალეთის საზღვრების აღდგენას, ბათუმის სახელმწიფო დამოუკიდებლობის ცნობას, ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის გავრცელებას რუსეთში მცხოვრებ მუსლიმ ხალხებზე (ო. გიგინეიშვილი, 1963, გვ. 168]. ნიშანდობლივია, რომ ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე ბათუმისა და ბათუმის ოლქის საკითხი სწორედ ოსმალეთის დელეგაციამ დასვა და მოითხოვა რეგიონის ოსმალეთისათვის გადაცემა.

ცხადია, ამიერკავკასიის დელეგაცია შეძლებდა კონფერენციაზე თურქების პრეტენზიების უსაფუძვლობა დაესაბუთებინა, მაგრამ კომისარიატმა ოფიციალური დელეგაცია ბრესტში მიმდინარე მოლაპარაკებაზე არ გაგზავნა. ბოლშევიკური რუსეთის მთავრობამ, რამდენადაც ამიერკავკასიას განიხილავდა რუსეთის განუყოფელ ნაწილად და არ ცნობდა ამიერკავკასიის ხელისუფლებას, არ მიიწვია მისი დელეგაცია კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად (ალ. ბენდიანიშვილი, 2001, გვ. 289]. ვეჰიბ-ფაშამ მოწვევა გამოუგზავნა ამიერკავკასიის ხელისუფლებას ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებაზე მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ უკანასკნელმა ეს მოწვევა უპასუხოდ დატოვა (იქვე). ბრესტ-ლიტოვსკში ამიერკავკასიის დელეგაციის ჩაუსვლელობამ უმძიმესი შედეგი გამოიღო. მართებულად აღნიშნავს ალ. ბენდიანიშვილი, რომ საზავო კონფერენციაზე ამიერკავკასიის მთავრობას არ უცდია თავისი ინტერესების დაცვა, ,,არც

საბჭოთა მთავრობას, მის დელეგაციას გამოუდგია თავი ძველი რუსეთის ამ სამფლობელოების შენარჩუნებისათვის, დასაშვებად მიაჩნდა მისი დათმობა თურქეთისათვის“ (ალ. ბენდიანიშვილი, 2001, გვ. 91]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციის მსვლელობას თვალყურს ადევნებდა ,,საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“. რადგანაც ამიერკავკასიის ოფიციალური დელეგაცია არ ესწრებოდა მოლაპარაკებას, ამიტომ დამკომმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა, რათა არ დაეშვა საქართველოს ძირძველი ტერიტორიების დაკარგვა. ბათუმის ოლქის საკითხის წამოჭრისთანავე, რომელიც მხოლოდ კონფერენციის მეორე ეტაპზე გადაიქცა განხილვის თემად, კომიტეტის წევრებმა წერილობით მიმართეს გერმანიისა და მისი მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობებს, სადაც ასაბუთებდნენ, რომ ბათუმის ოლქი წარმოადგენდა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას და, ამდენად, მასზე საუბარი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად აღიქმებოდა (მ. სიორიძე, 1998, გვ. 103). მიუხედავად ასეთი აქტიურობისა, ,,საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ წევრების ცდა, დაეცვათ საქართველოს ინტერესები ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე, უშედეგოდ დამთავრდა (მ. სვანიძე, 1996, გვ. 299].

1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილი ბრესტის ზავის მე-4 მუხლში ნათქვამი იყო: ,,რუსეთის ჯარები დაუყოვნებლივ ტოვებენ ყარსის, ბათუმის და არტაანის ოლქებს. რუსეთი არ ჩაერევა სახელმწიფო სამართლისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთობათა ახალ ორგანიზაციაში, პირიქით, მისცემს საშუალებას ამ ოლქების მოსახლეობას მეზობელ სახელმწიფოებთან და განსაკუთრებით თურქეთთან თანხმობით ახალი წყობილება დაამყაროს“ (დოკუმენტები.., 1957, გვ. , 121). მაშასადამე, ხელშეკრულების თანახმად, ამ ოლქების შემდგომი ბედი თვითგამორკვევის გზით უნდა გარკვეულიყო მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით ოსმალეთთან შეთანხმებით. თუმცა ამ ფორმულას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს იყო ფრაზა პირდაპირი ანექსიის შესანიღბად, რაც გერმანია-ოსმალეთის ბლოკს სჭირდებოდა (ო. გიგინეიშვილი, 1963, გვ. 179). იმავე დღეს გაფორმდა რუსეთ-ოსმალეთის დამატებითი შეთანხმება, რომლის ძალითაც რუსეთი ვალდებული იყო გამოეყვანა თავისი ჯარები ოკუპირებული ტერიტორიებიდან. შეთანხმება ითვალისწინებდა იმასაც, რომ რუსეთ-ოსმალეთის საზღვრები უნდა აღდგენილიყო 1877-1878 წლების ომამდე არსებული სახით.

ამიერკავკასიის ხელისუფლებამ საპროტესტო ნოტებით აცნობა ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციას და მასში მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობებს, რომ არ სცნობდა ბრესტის ხელშეკრულებას. ამიერკავკასიის მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ ოსმალეთთან დიპლომატიური მოლაპარაკებით შეძლებდა სადავო საკითხების მოგვარებას. თუმცა პროტესტი დაგვიანებული აღმოჩნდა, რადგანაც თურქებმა, მოადგნენ რა ამიერკავკასიის საზღვრებს, მოითხოვეს ყარსის, ბათუმისა და არტაანის ოლქების დაუყოვნებლივი დაცლა.

1918 წლის 15 მარტს, რუსეთის საბჭოების მეოთხე ყრილობამ მოახდინა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების რატიფიცირება. ამრიგად, კონფერენციაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა რეალური საფრთხე შეუქმნეს როგორც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე ბათუმის ოლქის შემდგომ პოლიტიკურ სტაბილურობასაც.

დამოწმებული ლიტერატურა

ა. სილაგაძე, ვ. გურული, 1998 - ა. სილაგაძე, ვ. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1917-1918, თბ., 1998.

ალ. ბენდიანიშვილი, 2001 - ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბ., 2001.

ო. გიგინეიშვილი, 1963 - ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963.

ო. გიგინეიშვილი, 1982 - ო. გიგინეიშვილი, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982.

დიპლომატიის ისტორია, 1965 - История дипломатии, Т. III, М., 1965.

დოკუმენტები.., 1919 - Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тф., 1919.

დოკუმენტები.., 1957 - Документы внешней политики СССР, Москва, 1957.

ნ. ზოსიძე, 1995 - ნ. ზოსიძე, პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში, ბათუმი, 1995.

მ. სვანიძე, 1996 - მ. სვანიძე, ბრესტის ზავი და საქართველო, ქართული დიპლომატია, წელიწდეული, ტ. 3, თბ., 1996.

მ. სიორიძე, 1998 - მ. სიორიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, ბათუმი, 1998.

ტრაპიზონის კონფერენცია, 1998 - ტრაპიზონის საზავო კონფერენცია (დოკუმენტების კრებული), გამოსცა და წინასიტყვაობა დაუართო ნ. ზოსიძემ, ბათუმი, 1998.

IRMA GOGOLIDZE

BREST-LITOVSK PEACE TREATY AND THE QUESTION OF BATUMI ADMINISTRATIVE UNIT

The situation that developed after the Russian revolution of 1917 in the geo-political region of the Caucasus turned out favorable for Turkey. It faced the reality that offered a unique opportunity not only to claim back the Russian occupied Anatolia territories but also to strengthen its positions in the Caucasus and the Central Asia. At the Brest-Litovsk conferences (held in 22nd December, 1917 and in 3d March 1918) the Ottoman delegation took advantage of Russia's weakness and put forward the claims for the territories of the Southern Caucasus. According to Brest Treaty Russia was to withdraw its military forces not only from Anatolia territories but from Qars, Artaani and Batumi administrative units as well; as for fate of these administrative units it should be resolved by way of self-determination of their populations.

Obviously, the delegation of the Trans-Caucasus could prove the groundlessness of the Turkish claims at the conference, but the commissariat did not consider it necessary to send its representative at the negotiation; in other words, the Trans-Caucasus government made no efforts to defend Georgia's interests at the official surrender conference.

In the 15th, March, 1918 the Fourth Congress of the Russian Council ratified the Brest-Litovsk Treaty. The decision made in Brest-Litovsk put Georgia's territorial integrity at stakes and threatened the stsbility of the Batumi administrative unit.

თამარ გუმბერიძე

მითი - მარადიული აწმყო და ეროვნული ცნობიერების საყრდენი კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში

თანამედროვე ლიტერატურის კვლევის პრინციპი მრავალწახნაგაა. მეცნიერებისა და ხელოვნების საოცარმა განვითარებამ და წინსვლამ მოითხოვა არათუ პრობლემათა, არამედ მეცნიერების დარგთა სინთეზირებაც და განსხვავებით საბჭოთა პერიოდის ლიტერატურული კვლევის ტრადიციებისაგან, თანამედროვე ლიტერატურული მსოფლმხედველობა მეტად მრავალფეროვანია. მითოლოგიური კრიტიკა, ანუ მითოლოგიური კვლევის სისტემა რომელიც უკვე ქართველმა მკვლევარებმა ს. სიგუამ, ა. ბაქრაძემ და სხვებმა შექმნეს, წინაპირობაა მითოლოგიური კრიტიკის ქართულ-ლიტერატურულ სივრცეზე მორგებისა და გავრცელებისა. ის იმდენად საინტერესოა, რამდენადაც თავისთავად ამ სისტემას ქართული ეროვნული ცნობიერების სივრცეში გავყავართ.

მითოსში აისახებოდა სულის წარმოშობა და ევოლუცია, ადამიანური ცნობიერების ევოლუცია დედამიწაზე და სიკვდილის შემდეგ.

მითოსი შეიცავს დაფარულ საზრისს, ფანტასტიკური სახეებისა და წარმოდგენების მიღმა არსებულს.

„როგორც არ უნდა იყოს, ადამიანის ცნობიერება ერთსა და იმავე დროს სამი განზომილებისაკენ არის მიმართული: იგი ცხოვრობს და უშუალოდ აღიქვამს აწმყოს, მაგრამ მისი ყველა მიზანი და იდეა მომავალში არის განხორციელებადი, რომლის ასაგებად, არქიტექტონიკის გადმოსაღებად ის მიმართავს წარსულს. ადამიანი „ვერ ეტევა შემოსაზღვრულ დროში. მომავალი მისთვის პრინციპულად ღიაა, ამიტომ „სივიწროვის“ განცდის გამო დროის საზღვრის გადალახვის ინტენცია მასში წარსულისკენ მიიმართება“ (დალაქიშვილი, 2001, გვ. 51). ამდენად, ადამიანს წარსული მომავლისათვის ჰირდება, მაგრამ სად არის აქ აწმყოს ადგილი? ამ სამეულში აწმყო დომინანტობს, რაკი იგი მუდამ არის, წარსულივით არც „გამოხმობა“ ჰირდება და არც მომავალივით „გადატყორცნა“. სწორედ ამიტომ, ადამიანის ყოფიერების ამ გზაზე ერთადერთ დაბრკოლებად აწმყო გვევლინება. იგი ადამიანს მუდმივად თიშავს, ერთის მხრივ, მომავლისაგან, და, წარსულისაგანაც - მეორეს მხრივ. მაგრამ სწორედ აწმყოს აკისრია „ცენტრის“ ფუნქცია, მხოლოდ მას შეუძლია გააწონასწოროს და მოაწესრიგოს თავის ირგვლივ ყოფიერების ის ფორმა, რომელშიც ადამიანი მკვიდრობს. ამიტომ, მაშინ როდესაც წარსული აგებს მომავალს, აწმყო ერთსა და იმავე დროს წარსულად და მომავლად გვევლინება, ხოლო ამ კონტექსტში ადამიანური არსებობა არის „მარადიული განმეორებადობა“, რომელიც „მითის მარადიული კვლავდაბრუნების“ (მ. ელიადე) პირდაპირპროპორციულია. ჰაიდეგერის სიტყვით, „მუნყოფიერება „არის“ მისი წარსული თავისი ყოფიერების სახით, რაც, უხეშად რომ ვთქვათ, მუდამ მისი მომავლიდან „ხდება“ (ჰაიდეგერი, 1989, გვ. 4).

ამდენად, ადამიანი, რომელიც ცხოვრობს აწმყოში, მიმართავს წარსულს, რომ გადასწვდეს მომავალს. ამ გზაზე მითის, რიტუალისა და მაგიის როლი უნიკალურია. მათი საშუალებით, პირველმოვლენები, პირველარსებები,

პერსონაჟები კვლავდაკვლავ ცოცხლდებიან აწმყოში და მომავალში, რასაც ავტორმა „მითის მარადიული კვლავდაბრუნება“ უწოდა. ლევი-სტროსი საუბრობს „არაცნობიერ სტრუქტურაზე“, რომელიც ძევს თითოეული ტრადიციის, წესჩვეულებისა თუ სოციალური წყობის საფუძველში (ლევი-სტროსი, 2001, გვ. 31). „არაცნობიერი სტრუქტურიდან“ მომდინარე სახე-სიმბოლოები, რომლებიც ავტორისათვის „არქეტიპები“ ან „პირველყოფილი სახეებია“, გვევლინებიან ტრადიციებად „მოტივების ასეთი წარმოსახვების წარმოსაქმნელად. წარმოსახვები, რომლებიც შესაძლოა, მერყეობდნენ დეტალებში, მაგრამ ამასთანავე, არ ირყეოდნენ თავიანთ ბაზისურ სქემას“ (იუნგი, 1991, გვ. 65). მითიური წარსული ავტორისთვის არა მხოლოდ „პარადიგმულ“ მოთხრობად, არამედ, იგი არის ისეთი პირველსახეთა საღმრთო საცავი, ასევე საცავი მაგიური და სულიერი ძალებისა, რომლებიც რიტუალებისა და მითიური ეპოქის მოკვლევათა ინტერპრეტირების დახმარებით, სადაც შესაქმის რეციტაციებია ჩართული განაგრძობენ წესრიგის მხარდაჭერას“ (მელეტინსკი, 1976, გვ. 174). (ხ. თადუმაძირიძე, ქართული ფოლკლორი, 4(XX), 2008, გვ. 17).

კ. გამსახურდიას რომანებში მთებით, ზღაპრებით, ლეგენდებით იქმნება ისეთი სიმბოლო-ალეგორიები, რომელთა ახსნა-გაშიფვრა საშინელ სინამდვილეს ფანტაზიულად წარმოგვიდგენს, მაგრამ ყოველივე ამის ფონზე იკითხება ისიც, რომ ბუნებაში არაფერი იკარგება, ადამიანის სულის მთლიანობის მითი, მისი ხელუხლებლობის ლეგენდა, საუკუნეთა განმავლობაში ახალ ნაყოფს გამოიღებს და საქართველოს მომავალიც სათანადო სპექტრით წარმოჩნდება.

წარსულის რწმენასა და მითშია ჩადებული კოდი ჩვენი მომავლისა და ავტორიც ნაბუქოდონოსორის სიზმარი, ისე უნდა გაიშიფროს ყველა ლეგენდა ფანტასტიკური ეპოქებისა, რომელიც უდაოდ მოგვცემს გარკვეულ მინიშნებას მომავალზე, გამოკვეთს და სრულყოფს ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას, ჩვენს ეროვნულ პოზიციებს სხვა ერთა შორის.

„რაც უფრო ღრმად ჩავხედათ ერის ფსიქიკას, ისტორიას, ხასიათს - მით უფრო შეიმეცნება ზოგადი, რამდენადაც საკაცობრიო მოტივები საწყისი წერტილის უსასრულო, სფერული გავრცობაა. შიგნითკენ ჩვეული სწრაფვით ითება უძველესი მოდელი, პირველსაწყისი, არქეტიპის - წერს სოსო სიგუა და სათანადო შთამბეჭდავად გამოსახავს კონსტანტინე გამსახურდიას გმირების არქეტიპებს: სავარსამიძე - წმ. კონსტანტინე; თარაში - ერამხუტი; დავითი - დავით IV; მარიამი - გორგონა; არსაკიძე - იაკობი; თამარი - ღვთისმშობელი; ფეფისიმედი - აფროდიტე; გვანცა - არტემიდა; გიორგი II - ბახუსი; ვახტანგი - ჯამოთე და ა.შ. ეს არის მიმსგავსების და გაიგივების სურვილი. არსი უცვლელია, მაგრამ დრო ცვალებადი. ამიტომ, გმირი ვერ ეგუება თავის ეპოქას. ყველა ზედაპირიდან ცენტრისაკენ ჩაბრუნებული სხივი ერთ წერტილში ერთდება.“

სავარსამიძე ბავშვობიდანვე ეტრფის არგვეთის მთავარ წმ. კონსტანტინეს, ცდილობს თავის შორეულ წინაპარს დაემსგავსოს.

მთელი სიცოცხლე „წმ. კონსტანტინეს გმირობასა და მარტვილობას ეზიზღებოდა“. ეს უშიშარი და ფარშუბიანი რაინდი მუდამ წინ მიუძღოდა. სავარსამიძეს სულ ჰგონია, რომ მოელის მისი სეხნიასებრ „გმირული აღსასრული“.

თარაშის ცხოვრების გზას განსაზღვრავს მისი სულიერი არქეტიპი - ერამხუტ ემხვარი, რუსთ ხელმწიფის მოძულე, მასთან ბრძოლის მსხვერპლი.

„ამირანი ძველი საქართველოს მუდმივი ტანჯვის, ჭირთა თმენისა და ბრძოლის ხატია, თარაშის სულის სიმი შორეულად მას უერთდება, რადგან მისი არსება შთანთქმულია წარსულის მიერ. ერამხუტის სახით იგი ისტორიულ საქართველოს ეტრფის; როგორც გარდასულ საუკუნეთა შვილი, მსგავსებას პოულობს ამირანთან. ამირანი ხომ ქრისტესთან ჰიდილში დამარცხდა. თარაშიც ახალმა იდეოლოგიამ გაანადგურა."

დავითის არქეტიპად ბაგრატ IV გვევლინება, რომელმაც მთელი სიცოცხლე საქართველოს გარეშე და შინაურ მტრებთან ბრძოლას შეალია. დავითისათვის ბაგრატის სახელი აერთიანებს მშობლიურობის განცდასა და ეროვნულ იდეალებს, მათი სულიერი მსგავსება თავიდანვეა მინიშნებული - წერს სოსო სიგუა.

კონსტანტინეს გმირები თავიანთ სულიერ არქეტიპებს უახლოვდებიან სიკვდილით გადადიან აწმყოდან წარსულში, რათა მომავალში გაცხადდნენ. ენგურში იხრჩობა თარაშ ემხვარი. იღუპებიან თამარ შარვაშიძე, ლუკაია ლაბახუა, კაც ზვამბაია და სხვანი („მთვარის მოტაცება").

„დავით აღმაშენებელი" მთავრდება უკანასკნელი ომით - დავითის გარდაცვალებით. ამ წუთისოფელს ტოვებენ გიორგი ჭყონდიდელი, გვანცა, მარიამ დედოფალი, შამან ერისთავი და სხვანი.

კვდებიან ვახტანგ კორინთელი, სუსქია მინდელი, აბრია უჯირაული („ვაზის ყვავილობა"), კონსტანტინე არსაკიძე, შორენა, გიორგი I („დიდოსტატის მარჯვენა").

მართალია, აღწერილი არ არის კონსტანტინე სავარსამიძის („დიონისოს ღიმილი") ხორციელი სიკვდილი, მაგრამ რომანი სრულდება სიტყვებით:

„აღარც სიცილი შემიძლია, აღარც ტირილი...

და ერთადერთი ნატვრაა ჩემი: ყინულზე დავარდნილ ნაპერწკალივით გადნეს თუნდაც ჩემი სხეული.

ტაია შელია!

ჩემი ცხოვრების ნახევარგზაზე შემომაღამდა"!

კონსტანტინე გამსახურდია სიკვდილში სიცოცხლის ერთგვარ გაგრძელებას ხედავს.

აკაკი ბაქრაძე მიიჩნევს, რომ აქ „სიკვდილი გაგებულია, როგორც დედის წიაღში დაბრუნება. დედის წიაღში დაბრუნება კი, თავის მხრივ, ღმერთის წიაღში დაბრუნების ნაირსახეობაა". აგრეთვე, მკვლევარი კ. გამსახურდიას რომანებში სიკვდილს იაზრებს როგორც სატანის ნების გამოვლენას („სატანა" ძველებურად „მოწინააღმდეგეს" ნიშნავს. ფართო მნიშვნელობით „ანტიღმერთის" შინაარსი აქვს).

რით შეიძლება ადამიანი წინ აღუდგეს მას? მხოლოდ ღვაწლით, საქმიანობით, ქმედებით".

მართლაც, სამყაროში არაფერი არ შეიძლება ჩაითვალოს სატანის ნების გამოვლენად, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბოროტება შეზღუდულია. მას აქვს თავისუფალი მოქმედების უფლება. ეს უფლება კი უფლისგანაა მინიჭებული. მისი არსებობაც ღმერთის მიერაა დაშვებული. აქედან გამომდინარე, სატანის ნება არ არსებობს, რადგანაც მისი ნება შემოქმედისგანაა განსაზღვრული საბოლოოდ. მისი ნება მხოლოდ დროებითია. ბოროტის უდიდესი სურვილია

ადრეული ადამიანის სულიერი სიკვდილი, რასაც უნდა დაუპირისპირდე დაუღალავი ბრძოლებით „ქმნიდე, ნიშნავს მოკლა სიკვდილი“ - ესაა სატანის დამარცხების ერთადერთი და შედეგიანი გზა.

კონსტანტინე გამსახურდიას გმირები მითოსურ ფესვებზე არიან აშენებულნი, ისინი წარსულიდან მომავალნი და წარსულში მიმავალნი მომავლის შემსაქმებლები არიან. ამ წარსულში იკითხება ჩვენი ეროვნული შტრიხები, ის საწესჩვეულებო რიტუალები, თუ სხვადასხვა მახასიათებელთა მრავალფეროვნი სპექტრი, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას პერსონაჟთა უხვ გალერეაში ტრანსფორმირებს, ქართველთა ეროვნული სახის მხატვრული ასახვაა, რომელიც აღორძინებს და აფართოებს ჩვენს ეროვნულ ხედვას, გვინარჩუნებს თავისუფლების ძიების წყურვილს.

ადამიანი ნებისმიერ საუკუნეში ადამის ნაწილია, მისი შთამომავალია ამიტომ ყოველი მათგანი თავის თავში ატარებს პირველქმნილობას და ზოგჯერ ცხოვრებისაგან დაღლილი მითიურ სამყაროში პოულობს ნავსაყუდელს.

აქედან გამომდინარე მითი არ არის წარსული, არამედ მარადიული აწმყოა, რომელიც იარსებებს მანამ, სანამ ადამის მოდგმა არ შეწყვეტს სიცოცხლეს.

ყოველ ეპოქას საკუთარი რეჟისორი ჰყავს, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებს წარსულს, ნიჭს, რწმენას, რაც თითოეულის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს. ამის შემდეგ კი ისედაც ფერშეცვლილი ადამიანი კიდევ უფრო ხუნდება და საერთო ფონს უერთდება, რომლის დანიშნულება მხოლოდ სამსახურის გამომუშავებაა ერთადერთი „ნაცრისფერი“ მიზნისთვის, რასაც ცივილიზაცია ჰქვია და რაც ადამიანის სულს აუფერულებს და ანადგურებს.

„მითოსს მოკლებული დრო უნდა დაძლეული იქნეს.“

როგორც დედამიწა, კოსმიური კანონზომიერების შესაბამისად მოძრაობს თავისი ღერძის გარშემო და ამითაა განპირობებული ჩვენი მარადიული ყოფნა, ამით გვაქვს იმედი მარადიული აწმყოსა და მომავლისა, ასევე კაცობრიობის სული და აზროვნება ეროვნული აზროვნების ღერძის ირგვლივ განფენილი მარადიული აწმყოა, მარადიული რწმენა და არქეტიპული მხატვრული წარმოსახვაა, რომელიც კაცობრიული ცხოვრების ხის აღმოცენების, ზრდისა და ნაყოფის დასხმის რთულ და მრავალპლანიან პროცესს ერთი ასპექტით წარმოგვიდგენს.

ეროვნული ცნობიერების მხატვრული წარმოსახვა გამსახურდიასათვის მხოლოდ ნაწარმოებთა მხატვრული სპექტრის შექმნა არ იყო. მისთვის უმთავრესი იყო პრობლემა - როგორ გადავარჩინოთ ქართველობა ქართველში? სად მოვიძიოთ დაკარგული ფესვები? - კონსტანტინე გამსახურდიამ ეროვნული *ცნობიერება მითოლოგიური* მხატვრული სისტემით წარმოსახა. წარსულშიც მოგზაურობის ეძია და მითოლოგიით გაახმოვანა ქართული გენის გამოძახილი.

დამოწმებული ლიტერატურა

ა. ბაქრაძე, მითი მთვარის მოტაცებაში, მნათობი №12, 1967.
ა. ბაქრაძე, დიონისეს თვითმკვლელობა, მნათობი №12, 1968.
ა. ბაქრაძე, წარმავლობის მარადჟამულად ქცევა, სკოლა და ცხოვრება, 1983.
ზ. გამსახურდია, "ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება", თბ., 1991.
ლ. დალაქიშვილი, ისტორიულობა და მითის მარადიული კვლავდაბრუნება, კრებ. "ენა და ლიტერატურა", 2, თბ., 2001.
ხ. თავდგირიძე, "საწყისთან დაბრუნების" ქართული კოსმოგონიური მითო-რიტუალური მოდელები, კრებ. ქართული ფოლკლორი, 4 (XX), 2008.
ს. სიგუა, კონსტანტინე გამსახურდიას პროზის სტრუქტურა, თბ., 1997.

TAMAR GUMBERIDZE

MYTH-ETERNAL PRESENT AND NATIONAL CONSCIOUSNESS IN KONSTANTINE GAMSAXURDIA'S CREATION

Mythos features the origin of soul and her evolution, the evolution of the human life on earth and after death.

Human being is a part of Adam, his offspring. That is why each and every human being bears the mark of first-creation within oneself and sometimes, when tired of life finds its habour in the realm of mythos.

From this standpoint myth is not the past, as the spirit and mind of the humankind is the eternal present around the axle of the mythos' thought.

Mythic structure is in itself the basis of national consciousness and national thinking.

როზეტა გუჯეჯიანი.
როლანდ თოფჩიშვილი.
ტარიელ ფუტკარაძე.
ნოდარ შოშიტაშვილი.
გიორგი ჯეიშვილი

ეთნოგრაფიული ზედა მაჭახელი

2008 წლის განმავლობაში განხორციელდა საერთაშორისო პროექტის [illegible] ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის [illegible] საქართველოს ეროვნული კომისია): **"მაჭახლის ხეობის ეთნომუსიკალური მემკვიდრეობის შესწავლა, დაცვა და პოპულარიზაცია"** პირველი ნაწილი. პროექტის მენეჯერი ოსმან ოზჭეთი. პროექტის მონაწილეები: რ. გუჯეჯიანი, ნ. შოშიტაშვილი, რ. თოფჩიშვილი, გ. [illegible] (ეთნოლოგები), ნ. ვალიშვილი (ეთნომუსიკოლოგი), ტ. ფუტკარაძე (ეთნომეცნიერი)[1].

პროექტი მოიცავს მთელ მაჭახლის ხეობას, ანუ როგორც ქვედა (საქართველო), ასევე ზედა (თურქეთი) მაჭახელს. მაგრამ ამ ნაშრომში, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, **წარმოვადგენთ მხოლოდ ზედა მაჭახლის ეთნოგრაფიულ მასალას**[2]. ცნობილია, ეს მხარე ხანგრძლივი დროის მანძილზე [illegible] მკვლევართათვის მიუწვდომელი[3] იყო, რის გამოც შეუსწავლელია ზედა მაჭახლის თითქმის ასწლოვანი ტრადიციული ყოფითი რეალიები (1921 წლიდან), არსებობს მხოლოდ ტოპონიმებისა, მეტყველების თავისებურებებისა და ფოლკლორული მასალის მომცველი ნაშრომები (შ. ფუტკარაძე, 1993; ნ. [illegible]ძე, 2004).

მაჭახლის ხეობა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ-ლინგვისტური კუთხით საინტერესო მიკრორეგიონია. ეს მხარე ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობების [illegible] ძველთაგანვე მოიცავდა იმდროინდელი მსოფლიოს მთავარი სავაჭრო [illegible] ერთ მონაკვეთს: უძველეს ხანაში აჭარის ზღვის სანაპირო ზოლზე [illegible] გზა, რომელიც მოდიოდა სამხრეთიდან, რომისა და ბიზანტიის აღმოსავლეთი პროვინციებიდან. გზა ჭოროხის შესართავთან ორად იყოფოდა: [illegible] შტო ჭოროხს მიუყვებოდა ზევით, მეორე კი — ზღვის სანაპიროს. ანუ

---

[1] პროექტის მონაწილეები მადლობას გამოვხატავთ ბატონ *როინ მალაყმაძისა* და მისი [illegible]სადმი (ქვედა ჩხუტუნეთი), ბატონ *ჰალით ოზჭეთისა* და მისი ოჯახისადმი (ბორჩხა), [illegible] ყველა ზედა და ქვედა მაჭახლელისადმი, რომელთა ჭეშმარიტად ქართულმა [illegible]სთმოყვარეობამ მადლიერებითა და სიხარულით აგვავსო.

[2] [illegible]ობილია, რომ ქვედა მაჭახლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფის სხვადასხვა ასპექტი [illegible]შავად არის გამოვლენილი ქართველ ეთნოლოგთაგან (ნ. კახიძე, 1974); იხ. აგრეთვე, *ნ. კახიძე,* მაჭახლის ხეობის სამეურნეო ყოფა ტოპონიმიკის შუქზე, მაცნე ისტორიის... [illegible], I, თბ., 1966; *ნ. კახიძე,* ცეცხლსასროლი იარაღების დამზადების ისტორიიდან [illegible]ში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, II, თბ., 1974; *ნ. კახიძე,* [illegible]ნობა მაჭახლის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა და [illegible]ტურა, III, თბ., 1975; *ნ. კახიძე,* მესაქონლეობა მაჭახლის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ [illegible]ართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები. I, თბ., 1973 და სხვა.

[3] 1921 წლიდან ზედა მაჭახელი ქართველი მეცნიერებისათვის ჩაიკეტა და მხოლოდ საქართველოს [illegible]ალი გათავისუფლების შემდეგ საქართველოსა და თურქეთს შორის დამყარებული [illegible]მეზობლური ურთიერთობის შედეგად გახდა შესაძლებელი ამ მხარეში ექსპედიციის [illegible]თება.

მაჭახლის ხეობით გადიოდა სავაჭრო-სტრატეგიული გზა, რომლითაც შავშეთი შავ ზღვას უკავშირდებოდა (ნ. ლომოური, 1957; ი. სიხარულიძე, 1958).

მაჭახლის ხეობა აქტიურ როლს თამაშობდა საქართველოს პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

მაჭახელი ტბეთის ეპარქიაში შედიოდა. ამ ხეობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული "ტბეთის სულთა მატიანეში" ("სულთა მატიანე მიჭიხიანის ხევისა" — XII-XIII-XIV სს., ასე ერქვა ძველად მაჭახელს) (ტბეთის სულთა მატიანე, 1977). წყარო მოიხსენიებს მაჭახლის რამდენიმე სოფელს (ზედვაკე, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, ეფრატი, ჰერთვისი) და იქ მცხოვრებ საგვარეულოებს, რომელთა შთამომავლების დიდ ნაწილს დღესაც ახსოვს თავისი ძველი ქართული გვარი.

არსებობს XVI საუკუნის დასაწყისის დოკუმენტიც — სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სამწყსოების შესახებ, სადაც ხეობა კვლავ "მიჭიხიანის" სახელით იხსენიება (დ. ბაქრაძე, 1987).

გვიანშუასაუკუნეებში მაჭახელიც ოსმალთა უღელქვეშ აღმოჩნდა. აჭარის მოსახლეობა მუდამ ეწინააღმდეგებოდა დამპყრობელს. ეთნოგრაფიული მასალით, მაჭახელი, აჭარასთან ერთად, ყველაზე გვიან გამაჰმადიანდა. მაჭახლის ხეობის ლეგენდა-გადმოცემებს შემონახული აქვთ მრავალი გმირისა და მოწამის სახელი, მაგალითად, ამ მხარის აზნაურების — **ძნელაძეების** მოწამებრივი ცხოვრების ისტორია (ზ. ჰიჰინაძე, 2004, გვ. 51-56, 63-67).

1862 წლის ანტიოსმალურ გამოსვლებს მაჭახლის ხეობაც შეერთებია, აჯანყების ხელმძღვანელი მემედ ხინკილაძე ოსმალებს ვერ შეუპყრიათ და მას შავშეთისთვის შეუფარებია თავი (ა. სურგულაძე, 1978).

1878 წლიდან ამ მხარეზე ვრცელდებოდა რუსეთის იურისდიქცია და ცარიზმის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად ამ დროს და, აგრეთვე, 1921 წლიდან მაჭახელი დატოვა მრავალმა მუჰაჯირად წასულმა ქართველმა, რომელთა ერთი ნაწილი კომპაქტურად დასახლდა ინეგოლში.

დღეისათვის ზედა მაჭახლის მოსახლეობა ეთნიკურად ქართულია[4], აქ ადგილობრივი, მაჭახელი ქართველები ცხოვრობენ; კერძოდ, მთხრობელთა გადმოცემით, საზღვრისპირა ორ სოფელში — აკრიასა და მინდიეთში ჭარბობს აჭარიდან გადმოსახლებული, ცხადია, ასევე ქართული მოსახლეობა, ხოლო ზედვაკეში ცხოვრობს, რამდენიმე, ასევე ქართველი — ლაზი, რომლებსაც აქ ჰანებს ეძახიან, გვარად ჰაჯიოღლები.

აკრიასა და მინდიეთში და აგრეთვე, ადმინისტრაციულ ცენტრ ჰერთვისში შესვლა ამჟამადაც სპეციალური ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ზედა მაჭახელში დაახლოებით 420 ოჯახია. არის ექვსი სოფელი (**აკრია, მინდიეთი, ჰერთვისი, ეფრატი, ჭუაბითავი, ზედვაკე**), რომლებიც რამდენიმე საკმაოდ დიდ და ერთმანეთისგან დაშორებულ უბნებად (მეჰელე) იყოფიან. სოფლების ოფიციალური სახელწოდებები 1928 წლიდან თურქულია, მაგრამ მოსახლეობა იყენებს ქართულ სახელებსაც.

ზედა მაჭახლის ადმინისტრაციული ცენტრი ჰერთვისია და იქვეა მეორე საფეხურის სკოლა, ხოლო სხვა სოფლებში დაწყებითი სკოლებია. სკოლებში, სამწუხაროდ, ქართულს არ ასწავლიან.

---

[4] გაქართველებულან არტაანიდან გადმოსახლებულთა შთამომავლებიც, რომლებიც ადგილობრივ მცხოვრებლებს შეუფარებიათ 200 წლის წინ: "ჩვენი პაპის პაპა ჭურთი ყოფილა, არდანოღლი, მუშად მოსულა. ახლა ქართველები ვართ".

ადმინისტრაციულად ხეობა ართვინის ვილაიეთში შედის.

მაჭახლელთა დიდი ნაწილი ცხოვრობს და მუშაობს ართვინსა და ბორჩხაში, აგრეთვე სტამბოლსა და იზმითში. მუჰაჯირობის დროს გადასული მაჭახლელები ძირითადად თავმოყრილნი არიან ინეგოლში.

ისტორიული საქართველოს სხვა მხარეებისგან განსხვავებით (იმერხევის, დევსქელის, მურღულის, პარხლისწყლის ხეობების ქართული სოფლები), ზედა მაჭახელში მიგრაციული პროცესები ნაკლებად შეინიშნება. აქ საზამთროდ უფრო მეტი (320) ოჯახი რჩება, ვიდრე ყველა სხვა ეთნიკურად ქართულ მხარეში ერთად აღებული. დაახლოებით 100-მდე ოჯახი კი შემოდგომის დადგომამდე გადადის ქალაქებში საცხოვრებლად.

ზედა მაჭახელში სამანქანო გზა ადის მხოლოდ თურქეთის მხრიდან, ეშუალო საზღვარი საქართველოსთან (ქვედა მაჭახელი, ხელვაჩაურის რაიონის სოფელი ზედა ჩხუტუნეთი) ჯერჯერობით ჩაკეტილია, მაგრამ ამ ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე ეს საკითხი უთუოდ მოგვარებადია.

ჯერჯერობით, ზედა მაჭახელში ავდივართ ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი მხარის — ნიგალის//ლიგანის ხეობის გავლით. კარჩხალის განშტოების მაწამთის გადმოლახვის შემდეგ სამანქანო გზა მიუყვება ფიქალთიქედს, შემდეგ — ურთხლიქედს, ხიდითავს, ნაველებს და შევდივართ **ზედვაკეში** (შეჰელეები: სამარი, ხორგიანი, შავლიეთი, ქობათლუმი, პარასკუეთი, გოხინავრი, კორდენი, ჰასანიეთი, ჯაფარეთი, სურვანა).

ზედვაკის პირდაპირ, შედარებით ჩაღრმავებულ ადგილას **ეფრატი** მდებარეობს, რომელსაც ზემოდან გადმოჰყურებს **ქუაბითავი.**

ყველაზე დაბლა, ზედა ჩხუტუნეთის (საქართველო) მახლობლად **ბერთვისია,** მდ. მაჭახლის აყოლებით — **მინდიეთი** და **აკრია.**

ზედა მაჭახლის ტრადიციულ ყოფაში მრავალი პრობლემატური საკითხი იკვეთება: განსაკუთრებით დამძიმებული ჩანს ზედა მაჭახლელთა ყოფა 1921 წლის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ. ორ ნაწილად დაყოფილ — ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა (სსრკ და თურქეთი) შორის დანაწილებულ მაჭახლის ხეობაში მოიშალა ტრადიციული სოციალური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები.

1921 წლამდე ზედა მაჭახლისთვის ბართან, ქალაქთან ურთიერთობის მარშრუტს **ქვედა მაჭახლის გავლით ბათუმთან კავშირი და, აგრეთვე, მარადიდის ცნობილი ბაზრობა წარმოადგენდა**. რადგანაც ეს გზები ზედა მაჭახლისათვის ჩაიკეტა, ამიტომ აქაურები იძულებულნი გახდნენ სხვა გზები ეძებნათ. მათ თანდათანობით გზები გაკვალეს ლიგანის ხეობისაკენ, თუმცა ეს გზა უფრო რთულია და ზამთრობით დღესაც კი 7-8 თვითაა ჩაკეტილი, თანაც იმ დროის ართვინი, მით უმეტს, ბორჩხა და ხოფა, ასევე ორიენტირებული იყო ბათუმზე და არა ადგილობრივ წარმოებაზე ან თურქეთის ქალაქებზე.

ამავე დროს, თავი იჩინა სხვა არანაკლებ მტკივნეულმა პრობლემამ: ფაქტიურად გაიხლიჩა ოჯახები, დედმამიშვილები მოწყდნენ ერთმანეთს, ნათესავებს აეკრძალათ მისვლა-მოსვლა და ურთიერთობა. ექსპედიციამ ჩაწერა ასეთი ტრაგიკული ისტორიები. ხშირი ყოფილა ერთი მაჭახლიდან მეორეში გადაპარვის შემთხვევები, რის გამოც მრავალი მაჭახლელი ხანგრძლივად დაუპატიმრებიათ. საყურადღებოა, რომ განსაკუთრებული სისასტიკით საბჭოთა მესაზღვრეები გამოირჩეოდნენ. საბჭოთა სისტემამ აყარა და ნასოფლარებად აქცია მაჭახლის

საზღვრისპირა სოფლები: **ქავთარეთი, გორგაძეთი, საფუტკრეთი.** თურქეთის მხარეს კი მსგავსი დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ სამწუხაროა, რომ ძველი ინერციით, საზღვრისპირა აკრია, მინდიეთი და ჰერთვისი კვლავაც ჩაკეტილ ზონად რჩება. ვიმედოვნებთ, რომ ეს დროებითი მოვლენაა.

ჩავწერეთ მასალა ისტორიული საქართველოს მხარეების — ზედა მაჭახლის, ნიგალის//ლიგანის და შავშეთის (დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკა) — ტრადიციული სამეურნეო-ეკონომიკური კავშირების შესახებ; ამ ეთნიკურად ქართული მხარეების ერთმანეთთან გადასასვლელი გზა-ბილიკების მარშრუტები და ტოპონიმიკა, აგრეთვე აკრიიდან და მინდიეთიდან აჭარაში (საქართველო) გადმოსასვლელი ბილიკები.

მაჭახლიდან შავშეთში (იმერხევში) კარჩხლის მთის გადასასვლელებით გადადიან. "ინაწმიდაიდან გადევიართ, ლეკობანში ჩევალთ, იქიდან ბაძგირეთ, გამიშეთ, ჩავლიეთ სულ ახლოშია, ერთ დღეში გახვიდოდი"; "კარჩხალ იქით შავშეთია: უბეა, ჩითიხევია, ბაძგირეთია, ხევწვრილია, ივიეთია", რამდენიმე ბილიკია, ერთი ხევწვრილსა და ბაძგირეთში ჩადის, მეორე — ივეთში, რომელსაც მაჭახელში ივიეთს უწოდებენ. "აკრიის მთიდან ივიეთამდე (იმერხევი) ერთი კილომეტრის გზაა", "აკრიადან მერეთი გადაივლება იმერხევში, ივიეთია, იმფხრევლი, წყალსიმერი, დიობანი". არის გადასასვლელები ლიგანის ხეობის ქართული სოფლების მთებშიც: "თეთრიწყლიდან გადახვალ შუახევ, დევსქელ, იქიდან — ბორჩხას".

აკრიას მთიდან (ჭურიპირაღ) აჭარაში გადასასვლელი ბილიკია: "ახლოა, საქონელი გადაერევა ერთმანეთსა". "იქ ზემოთ არი ორი სოფელი, თეფეს უკანიდან, აჭარა არი. ნისლები რომ გადავლიან, აჭარა ჩანს. ჩვენებს იქ იაილები უნახვენ, ჩამოსულან, დამჯდარან", "აჭარაში წინ-წინ მინდიეთიდან იარებოდნენ. გათხუებული იყვნენ ბევრი გოგოები, იმაზე მიდიოდნენ-მოდიოდნენ. ჩემი სიდედრიც დუმბაძე იყო, აჭარელი".

ზედა მაჭახლის სოფლებიდან შედარებით ახლად მოშენებული ზედვაკეა. მთხრობელთა ინფორმაციით, აქაური მოსახლეობა მტერს ამოუწყვეტია. "150 წლის წინ აქ მარტო 2 კვამლი იყო, მემიშ ბაირახტაროღლის ეტყოდნენ, სხვები მერე მევიდნენ".

ზედვაკის ტოპონომები: ჯაფარეთი, ხორგიანი, უსტალიანთი, გოხინავრი, შავლიეთი, ქუნთელეთი, სამანი, ბარაჯგინა, წამალევი, ასანეთი, ბასხურეთი, ვარდაწყარო, მრგვალყანა, თხილნარა, მორცინალი ქედი, ნადირავი, ურთხლი ქედი, პირითავი, ჭურაი, გორგა ტყე, დათვი ტყე, ტყემლიანი, სამანი, ზვარითავი, კოდაველიანი, ბაღასკურეთი, გუნდიღელე...

ეფრატი:

ქუაბითავი: ნაგომვარი, ქუედა ქუაბითავი, სასაამო ქედი, სანადურული, ვაკენთი, ზეგანთი...

ჰერთვისი: თევთიეთი, მალაყმიეთი, ყულე, ყულიქედი, ღობალური, მალაყმიეთი, ქათაბო, ქვაბისული, წითელკილდე...

აკრია: ველი, უკანატყე, მელასათიბი, ჯამიკარი, კონკალათი, ნაფეტუარი...

მინდიეთი: გუჯარეთი, ირემეთი, ზეკალეთი, ქავთარეთი, კორტანეთი, ოსანეთი, გივიეთი, ქვაბნარი, შარაქვეში, ცეცხლეთი, ციხნარეთი, ზემტყისი, ზემზვარე, ველი...

გზად მინდიეთისკენ: ჯორიეთი, გივიეთი, ველიტყე... "მინდიეთი დიდი სოფელია, აქედან ისტანბულში გეიფანტნენ, დეიფანტნენ".

მდინარეები: მაჭახელი, მინდიეთის ღელე, ეფრატის ღელე, გოხინავრის ღელე, ფესვიწყალი, ტეკუწვერი ღელე...

ზედა მაჭახლის დასახლების ტიპი ტრადიციულ-ქართულია, ხევისპირული. ადმინისტრაციულ ჭრილშია განთავსებული სოფლები და საცხოვრებლები. სოფლები ერთმანეთისაგან დაყოფილი.

ზედა მაჭახლური საცხოვრებელი ნაგებობა ხისაა, ქვის საძირკვლებზე და ფერდობზე. ჩარული ტრადიციული სახლის ერთ, ლოკალურ ნაირსახეობას წარმოადგენს, მაგრამ ისიც ქვედა მაჭახლის სახლებისა, ვინაიდან ეს ერთი ეთნოგრაფიული მიკრორეგიონია. განსხვავება ზოგადად აჭარულ სახლებსა, მაგალითად, დიდაჭარის სახლებსა და მაჭახლის სახლებს შორის თვალსაჩინოა 2 მიმართულებით:

1. ზომები. მაჭახლური სახლი ბევრად უფრო მცირე ზომისაა, ხშირად ერთსართულიანიც. დაგეგმარების მხრივ კი იმეორებს აჭარული სახლის ტიპს.

2. მაჭახლის სახლი მხოლოდ საცხოვრებელი დანიშნულებისაა და სამეურნეო ნაგებობები ცალკეა განთავსებული. მაჭახელი, ისევე როგორც საერთოდ აჭარა, ტყით მდიდარია და ხის მასალა ადვილად მოსაპოვებელია. ძველად სამშენებლო ხეები ნადის დახმარებით ჩამოჰქონდათ სოფელში, რასაც თან ახლდა "ჰელესას" შოძახილი: "ჰელესას ხის დასაწიკებლად ვმღეროდით".

ყველაზე ადრეული სახლი, რომლის დაფიქსირებაც ამ მოკლე ხანში შეიძლებელი, XX საუკუნის 40-იან წლებშია აშენებული. სახლი ქვის საძირკველზეა აგებული წაბლის ხისაგან, გადახურულია ნაძვის ხისაგან გამოხდილი ყავრით, ორსართულიანია, პირველ სართულს საცხოვრებლად არ იყენებენ, იქ სხვადასხვა საოჯახო-სამეურნეო ნივთები და სამეურნეო იარაღი აწყვია. მეორე სართულზე ასასვლელი მთავარ ოთახში (მუთვაღი), სადაც ოჯახის უფროსი ადგილის საძინებელიცაა. ამ ოთახიდან არის გასასვლელი დერეფანში, რომლის გასწვრივ სამზარეულო, სასტუმრო ოთახი (მუსაფირ ოდა), ორი სხვა ოთახი (დასაწოლი ოდიები) და ბოლოში საკუჭნაოა მოწყობილი. მთავარ ოთახში შესვლებური სექვების ადგილზე ორი ტახტია. ერთი ხისაა, ძველებური სექვის მაგიერი, მეორე თანამედროვე, რბილი ტახტია. შეშის ღუმელის უკან კედელში ორი ნიშია. ცნობილია, ძველად ამ ნიშებში (მუსანდარები) ქვეშაგებელს ინახავდნენ, ზოგან კი ერთ-ერთ მათგანში ე. წ. აბანო-ჰამამიც იყო მოწყობილი. იქ სითბოც ტრიალებდა და ხის ჯამიც იდგა, რომელსაც უერთდებდა ხის ღარი, რითაც ნაბანი წყალი გარეთ იღვრებოდა. მთხრობელის ინფორმაციით, მის მეზობლობაში (XX საუკუნის 30-40-იან წლებში) ასეთი აბანო-ჰამამი ყველა სახლში იყო (ზედვაკე, მეჰელე გოხინავრი).

ეთნოგრაფიული კუთხით საყურადღებოა ახალი სახლების ტიპები. მაჭახლური სახლი თუკი იგი XX საუკუნის 80-იან წლებშია აგებული, ძირითადად ე. წ. ბელეტაჟის ტიპისაა. გზიდან სახლში შევდივართ ქუჩისკენ მდებარე რამდენიმე საფეხურიანი კიბით აივანზე. კიბესთან ვტოვებთ ფეხსაცმელს, კიბის ბოლოში წყლის ე.წ. ავაზანია გაკეთებული, სხვათაშორის, ხით ხუროობის შესანიშნავი ნიმუშები. აივანზე კედლის გასწვრივ ერთი ან ორი ტახტი დგას. აივნიდან შევდივართ ოთახებში, რომელთაც შუაში დერეფანი მიუყვება. დერეფნის ორივე მხარეს კი ოთახებია განთავსებული. ოთახებში ტრადიციული სექვების ადგილზე ამჟამადაც ტახტებია გამართული, შედარებით შეძლებულ ოჯახებში, ღუმელის (ბუხარი აქ იშვიათობაა) გასწვრივ, ორ მოპირდაპირე კედელთან ტახტები დგას (ფაბრიკული ნაწარმი), ხოლო ნაკლებად შეძლებულ ოჯახებში

ადგილობრივ დამზადებული ხის ტახტებია განლაგებული, რომლებზეც ქვეშაგები აწყვია, ზემოდან კი შინნაქსოვი ფარდაგებია გადაფარებული. ღუმელი შეძლებულ ოჯახებში ნახშირისა აქვთ, სხვაგან — შეშისა. იატაკზე ყველგან ხალიჩები აფენია, ასევე, დერეფნებშიც, ხალიჩები, ძირითადად, ნაყიდია, ქალაქიდან ჩამოტანილი, ფარდაგები კი ადგილზეა დამზადებული. დერეფნის ბოლოში საკუჭნაოა, სადაც ბევრი ეთნოგრაფიული ნივთია თავმოყრილი (ძველებური თიხის დერგები, ხის სადღვებლები, კროჭები, კოლოფები, კოდები, ხოკერები...), რომელთაც უკვე თითქმის აღარ იყენებენ, მაგრამ მათი დამზადების ტექნიკა ჯერ კიდევ შემონახულია. ტრადიციული კულტურის სიცოცხლისუნარიანობის დასტურია ახალი სახლები, რომლებიც კვლავ ძირითადად ხისა შენდება, იმეორებს ტრადიციულ ტიპს, იმ განსხვავებით, რომ ორსართულიანი სახლების ინტერიერში აუცილებლადაა შიდა კიბე და თანამედროვე წყალგაყვანილობისა და გათბობის სისტემები, ხოლო სამეურნეო ნაგებობები კვლავაც უცვლელი სახით მეორდება. კარმიდამოში განთავსებულია რამდენიმე სამეურნეო ნაგებობა: საბძელი, ნალია, საფუტკრე. ზოგიერთ ორსართულიან სახლში პირველ სართულზე სამეურნეო იარაღს ინახავენ, იქვეა საშეშე კუთხეც.

შემონახულია ტერასული მეურნეობის კულტურა.

მეურნეობის ტრადიციული დარგებიდან კვლავ მისდევენ **მიწათმოქმედებას** (ხორბლის კულტურა თითქმის გამოდევნილია სიმინდით) და **მესაქონლეობას** (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, თხა, ცხვარი).

ყველაზე მეტად მესიმინდეობას მისდევენ. სიმინდი რამდენიმენაირი აქვთ: თეთრი ალთუნაჲ, ჭრელაჲ, წვიტაჲ, წითელაჲ. ხორბალს "პურს" უწოდებენ: "ზირათის პურს, ქაბრიჯაპურს დავნაყეცდით ქვაში, მერე გობზე დავკაზმებდით, წევლებდით წისქვილში, გახდებოდა პური. 5-10 მოსახლეს ერთი წისქვილი[5] გვაქვს, ყველა თავისას ფქვავს, მეწისქვილე არ იყვენ". ძველად უთესიათ ქერი, ჭვავი, პური...

ბოსტნებში მოჰყავთ ტომათაი (პამიდორი, კიტრი, ხახვი, ნიორი, ქონდარაჲ, პიტნა, ბოლოკი, მაკიდო (ოხრახუში), პრასი, ჭინძი. ლობიოც რამდენიმე სახისაა: ძირავლი (დაბლარი), ხაშარი (მაღლარი, სარს აუყვება), თეთრი, შავი... მოჰყავთ კარტოფილი (ფათათეი/მიწიხაპაი/მიწივაშლაი), ხაპი (შავი, თეთრი, ტკბილი), ყარფუზი.

სცოდნიათ ნადი: "მერმე მარგვლას რომ დევიწყებდით, თოხნაში, ნადში, ვფაჭავდით 20-25 კაცი, სიმღერის ხმა გავარდოდა, ყველა იქ მივიდოდა, დეეხმარებოდა". თოხნას "ფაჭვა"-ს უწოდებენ.

თითქმის ყველა ოჯახს აქვს ბაღ-ბოსტანი. ბაღებში ძირითადად ვაშლი (ბაღვაშლაჲ, მურღულაჲ, აჭარულაჲ, წვიტაჲ, დიდვანაჲ, თეთრი ვაშლი, ყირმიზი ვაშლი, ნაბაშტაჲ...), მსხალი (მსხალწვენაჲ, მსხალთაფლაჲ, ყაანუსხაფი, ჭანუფურაჲ, გონიურაჲ, ხეჭეჭურაჲ, წრიაპაჲ, ქვასხალაჲ, დიდსხალაჲ, ბათმანაჲ, ფიჯისხალი — "ფიჯი დუუმყნელია", თევრეჯულაჲ...), ლელვი, ქლიავი და ბალია. ბოლო ათწლეულის მანძილზე დაურგავთ თხილის ბუჩქები, რაც განსაკუთრებით შემოსავლიანია. სახლების წინ და გზისპირებზე კაკლის და წაბლის ხეებია გაშენებული.

---

[5] ზედა მაჭახლის წისქვილების შესახებ ნაშრომს ამზადებს ნ. შოშიტაშვილი.

მესაქონლეობა ზედა მაჭახელშიც ისევეა მეურნეობის წამყვანი დარგი, როგორც ქვედა მაჭახელში. ზედა მაჭახელშიც, მსგავსად ქვედა მაჭახლისა*, ყოველ სოფელს აქვს თავისი **"თა"** — მთა, სადაც მიერეკებიან საქონელს ზაფხულიდან შემოდგომამდე. **იაილები//იაილუმები** გამართულია **კარჩხლის მთაზე**. კარჩხლის მთის ტოპონომები: ლეკობანი, საირმე, თავკალო, ზიარეთი, ინწმინდა ("ინეწმიდაიდან თუ კარგი ამინდია, ბათუმი ჩანს"), დიდვაკე, მერეთა, ჭურიპირა, ფაფართი, ფიქალთი, წითლობი ("მიწა წითელია, უბალახო"), ქუჩუკია თა ("იქ ხარებ ვაწვენდით"), გოლები, კავტარა, ბლანძა, დამწვარა, ჭიშკარაჲ, ნაფუქრაჲ ("აქ ათასი წლის თოვლია, არ გამშრალა, იქვე ნაქურთვალია, იმათი საძვალეებია"), ქოხივაკე, კურკაპანი, ყალივაკე, ნაყორავი, ცივთაწყალი, გელიბუდე, გაალვებული, ჯანჯღი, გათხრილთავი, საბარგულა, გაბენილი, ზიარეთი, დიდი იათალი, გაგრძელებულა, ქვექაცაჲ, პურიყანაჲ (ეს ტოპონიმი თამარ მეფესთან არის დაკავშირებული), შავგორაჲ...

"თა" განაწილებულია სოფლებს შორის: არის გორგაძეთის მთა, ჩიქუნეთის მთა, ზედვაკელების, ჰერთვისელების და ქვაბითაველების მთა ლეკობანია.

დღემდე შემონახულია ქვედა მაჭახლელთა იაილები//იაილუმები. მთხრობელები დანანებით გვიყვებოდნენ ქვედა მაჭახლელთა იაილებში მდგომი ნაგებობების გავერანების შესახებ.

იაილებს ქვემოთ **ყიშლებია,** სადაც დიდი მთიდან ჩამოივაკებენ, რამდენიმე კვირით, სანამ ჩამოთოვს. ყიშლები: ბახბარო, გორგითა, პაწამთა...

მზადდება რძის ნაწარმის ტრადიციული პროდუქცია: რამდენიმე სახის ყველი, იაღი, ყაიმაღი.

დაწინაურებულია მეურნეობის დამხმარე დარგი მეფუტკრეობა. მეფუტკრეობას ბევრი ოჯახი მისდევს და უკვე მთელ თურქეთსა და ასევე, ევროპაშიც განთქმულია მაჭახლის თაფლი. მეფუტკრეობის პროდუქტებს ყიდიან დიდ ქალაქებში, სადაც სპეციალური მაღაზიებია გახსნილი. იქ ძირითადად მაჭახლელები არიან დასაქმებული. სკები ეზო-კარმიდამოში აქვთ განთავსებული. ასევე, მახლობელ ტყეებში — ხეებზე გადგმული.

ძველად გარეული "ხე-ფუტკარიც" ყოფილა. ასეთ ხეებს არ ჭრიდნენ, "ცოდვა არისო, იტყოდნენ". ასეთი ხის მახლობლად "ადრე 10 ცარიელი სკა რომ შეგედგა თხმელაზე, 5-6 სკა მაინც გაცოცხლდებოდა, ხე-ფუტკარი ფუტკარს გამოუშვებდა, ცარიელ სკაში შეფრინდებოდა, და ცოცხლდებოდა სკები. მერე წელიწადში ერთხელ მიხვიდოდი, სკებს მოიხილავდი, თოვლივით თეთრი თაფლი იყო". "ტყის თაფლი თეთრი იყო თეთრი შქერის, წაბლის, წყავის, თხმელას ყვავილებისა".

სკის ფორმა და სახეობა უკვე შეცვლილია, ახლანდელ სკებს "რამკებს" ეძახიან. ძველს ერქვა "ყოვანი". არჩევენ კარგ და მავნე თაფლს ("ფუჭა"). "მავნე თაფლი თიბილ-თიბილი არ იჭმის, უნდა დადგა, გაწურო, ჯამზე დადგა, მერე შეჭამო. ძილში ვდგივარ, მაწყინა თაფლმა".

ნადირობა ("ავგაჭი") (მგელზე, დათვზე) აკრძალულია ("ტყეში დათვია, მგელი, ტურა, კვერნა, მაჩვი, ღორი, გარეული თხა, დოდოფალაჲ, თათარძენა, შაშვია, ჩხიკვი, ყურდღელი").

* მაჭახლის ორ ნაწილად გაყოფის შემდეგ, ქვედა მაჭახლელთა "მთა" თურქეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა, რის გამოც ქვედა მაჭახლელებს საბჭოთა ხელისუფლებამ საძოვრები გამოუყო ზემო აჭარაში.

ხელოსნობის ტრადიციული დარგებიდან შემონახულია მხოლოდ **ხითხუროობა** და ფრაგმენტულად, **მჭედლობა**[7]. ცნობილია, მაჭახლის ზედა ნაწილში რამდენიმე ცნობილი სამჭედლო სახელოსნო არსებობდა. ერთი მათგანი იყო ჰერთვისში, ქავთარეთის უბანში. ქავთარაძეთა გვარში ეს ხელობა მემკვიდრეობით გადადიოდა. ამჟამად კი ქავთარაძეები ქართული ხალხური სიმღერების ცოდნითა და სიყვარულით გამოირჩევიან. დიდი სამჭედლო სახელოსნოები უკვე აღარ არსებობს. "ბიჭი რომ დეიბადებოდა, თოფებ სროულობდენ, ლივერ-მივერ, დაბანჩას, იმი გამკეთებლები, დიდი ხანია — ოხტურ"; "გუგუმის მოკალვა იცოდნენ".

მეთუნეობას აღარ მისდევენ. თუმცა გვიჩვენეს ადგილები, სადაც ძველად სამეთუნეო თიხას, რომელსაც აქ ძველი ქართველებივით კვლავ თიჯას უწოდებენ, მოიპოვებდნენ დერგების, კეცებისა და საწყლე ჭურჭლისათვის. ჯერ კიდევ ახსოვთ ხოკერის დამზადების წესი და ერთმა ჩვენმა მასპინძელმა ხოკერი საჩუქრადაც გამოგვატანა. ხოკერი წაბლის და თელისაგან კეთდება, ტკეჩიც წაბლისა აქვს. შემონახულია ძველებური საოჯახო და სამეურნეო სამეურნეო ინვენტარი (თოჯი, ბარი, მანგალი, ფიწალი, კიდობანი, გოდორი, გობი, კეცი, კროჭი, ლიტრა, კოდი, ხოკერი, კოლოფი, ხიზეკი, ჯილღაი, უღელი, საბნისი, ტაბიკები, საბელი, წირეხი, თოკვები...).

ტრადიციული კვებითი კულტურა ყველაზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და მცირედით თუა შეცვლილი (ლობიოფხალა, ლობიო, ფხალი, ფილავი, ჩილბური, ყიზართმა, შორვაი, მჯავე, ქოფთე, ჰაშლამა, ქებაბი, ტაბუსუნა, ყაურმა...).

შემონახული აქვთ ძველი ქართული გვარების ხსოვნა: ქავთარაძე, ფუტკარაძე, ძნელაძე, მალაყმაძე, კახიძე, მოფრინაძე, კირკიტაძე, კორტიძე, ქოქოლაძე, დუმბაძე, გუნდარიძე, ჯინჭარაძე, გორაძე, გვიანიძე, კიბორიძე, თევთიძე, ვასაძე, დოლოღნიშვილი, გვარიშვილი, ფაშიაშვილი, ცივნარიძე, ფაღავა, ქათამაძე...

დაფიქსირდა ახალი წლის აღნიშვნის წმინდა ქართული წესი. იგი ახსოვთ შუახნის ადამიანებს. საგულისხმოა, რომ ახალ წელს ჩვენებური ე. წ. ძველი სტილით, 14 იანვარს ზეიმობდნენ. "13 იანვრის ღამით თეთრ ხაპ შევწვავდით, სიმინდ მოვხარშევდით, ღამით კარგ დაცდილ მეზობელს დუუძახებდით. იმის უკანიშვე აშურაჲ გავაკეთებდით. აშურაჲ 7 თანეა: სიმინდი, ქერი, ლობიო, ჭენდიმე, პური, ლობიო, ფეტვი, ჩავყრიდით, შაქარ დუუმატებდით, წყალ დავასხამთ, მოვხარშავთ, ვანელიას ჩავყრით, გემრიელ სუნ მივცემთ. დილით ბიჭი, უმზრახად, დუულაპარაკებლად, ახორს სამჯერ გარს შემოუვლიდა, ახორში შევიდოდა, საქონელ, ჭარებს მიულოცევდა. მერე თეთრ ხაპს წევიღებდით, ძროხას გუუგორებდით, რომე არ გაგორდეს". "დილას კარგი მლოცავი კაც მოვიყვანთ, არ დაიძახებდა, მარჯვენა ფეხ შემოადგამდა, ღმერთმა ლამაზად გამყოფათო — იტყოდა. ის კაი ფეხის გამოგვიდგებოდა, იმაჲ შექერს მივცემდით, თაფლ, კაკალს მივართმევდით. ახორს შემოუვლიდა, დალოცვიდა"[8].

ხანდაზმულ ქალებს ახურავთ ლეჩაქი. ახალგაზრდებს, რომლებსაც მაჭახელში ასვლა მხოლოდ ზაფხულობით უწევთ და ძირითადად ქალაქებში ცხოვრობენ, თავსაბურავები არ ახურავთ. ზოგიერთ ხანდაზმულ მამაკაცს ახურავს ფესი.

---

[7] ცნობილია, მაჭახლის ხეობაში უძველესი დროიდანვე მოიპოვებდნენ და ამუშავებდნენ რკინას, ფოლადს და სხვა მეტალებს. მჭედლობას მაჭახელში მასობრივი ხასიათი ჰქონდა *(ნ. კახიძე,* 1974)

[8] პარალელებისათვის იხ. *სოსო სტურუას* ფილმი "საახალწლო ჩვეულებანი" (ბათუმის ტელევიზია, 2005 წ.), რომელშიც ნაჩვენებია *შავშური* საახალწლო რიტუალი.

ყველა სოფელში აღმართულია მუსულმანური საკულტო ნაგებობა — ბაში. ზოგიერთგან ჯამე ეკლესიის ნანგრევზეა აშენებული. ეს ადგილები სოფლების შუაგულს წარმოადგენს, სადაც მოსახლეობის თავშეყრის ადგილი (ჯამიკარი) იდებარეობდა.

ჩავიწერეთ ეთნომუსიკალური მემკვიდრეობის ცოცხალი ნიმუშები ("ბაგუნა", "აბა დელა", "ვოსრადა სი ვარადა", "ჰელესა", "ვოსა", "ვოს რადი ვარადა", "დიელო", "მაყრული"...). მაჭახლის ხეობაში ქართული ხალხური მუსიკალური ფოლკლორი საკმაოდ კარგადაა ჩვენამდე მოღწეული. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ზედა მაჭახლის ეთნომუსიკალური ფოლკლორი. იმის გარდა, რომ აღნიშნული რეგიონი ერთადერთი ადგილია თურქეთის შემადგენლობაში შემავალი ისტორიული ქართული მიწებიდან, სადაც შემორჩენილია მრავალხმიანობა, აქ ქართული ფოლკლორი ზუსტად იმ სახითაა ჩვენამდე მოღწეული, როგორითაც ის ძველად არსებობდა. ანუ ზედა მაჭახელში ხალხური სიმღერა წარმოადგენს ყოფის ელემენტს. აქ სიმღერას, ესთეტიური სიამოვნების მიღების ფუნქციაზე მეტად, წმინდა პრაქტიკული და პრაგმატული დატვირთვა აქვს. მაგ., ნადური (ყანური) სიმღერა წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების გაზრდის საშუალებას და ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება.

ზედა მაჭახელში გავრცელებულია ორხმიანი, ხოლო ქვედა მაჭახელში — როგორც სამხმიანი, ისე ორხმიანი სიმღერები. იბადება კითხვა, არის თუ არა ორხმიანობა ოსმალური კულტურის ზეგავლენის შედეგი? და თუ ასეა, რატომაა, ნაწილი სიმღერებისა ორხმიანია, ნაწილი კი — სამხმიანი? ორხმიანი სიმღერების არსებობა თუ თურქული ზეგავლენითაა გამოწვეული, მაშინ სიმღერების მეორე ნაწილში რატომ არ დაიკარგა სამხმიანობა? ორხმიანობა თურქული კულტურის ზეგავლენით რომ იყოს გაპირობებული, მივიღებდით არა ზედა ხმის ჩამოშორებას, არამედ ზედა ხმისა და ბანის დაკარგვას, რისი მაგალითებიც გვაქვს ამჟამად საქართველოს საზღვრებს გარეთ მოქცეული სხვა ისტორიული მიწების ეთნიკურად ქართული მოსახლეობის მუსიკალურ ფოლკლორში. მაგალითად გამოგვადგება ლაზური სიმღერა. იმის მიუხედავად, რომ ლაზები ქართული ენის ზანურ დიალექტზე საუბრობენ, აჭაური (ლაზური) მუსიკალური ფოლკლორი შეტ ნათესაობას აჭარულ-შავშურ სიმღერებთან ამჟღავნებს. ლაზური სიმღერა ერთხმიანია, თუმცა ფაქტობრივად წარმოადგენს ქართული ხალხური სამხმიანი სიმღერის დისფუნქციონალიზებულ შუა (მეორე) ხმას, ანუ დროთა განმავლობაში მრავალხმიანობა დაიკარგა, მაგრამ სიმღერის ქართულმა მელოდიურმა და მეტრო-რიტმულმა წყობამ დღემდე მოაღწია. მაჭახელში გავრცელებულ სიმღერებში კი ასეთ ფაქტს ვერ ვხვდებით. ჩვენი დაკვირვების მიხედვით ჩანს, რომ მაჭახლის ხეობას საერთოდ ახასიათებდა ორხმიანი სიმღერები. რადგანაც ზედა მაჭახელი საკმაოდ იზოლირებული იყო გარესამყაროსგან (გეოგრაფიული პირობების გამო) და მით უმეტეს, დანარჩენი საქართველოსგან, სიმღერებმა შეინარჩუნა არქაული//ძველქართული სახე, ხოლო ქვედა მაჭახელი საქართველოს ერთიან კულტურულ სივრცეში განაგრძობდა არსებობას. საბჭოთა პერიოდში ფოლკლორმა დაკარგა თავისი ნამდვილი, პირვანდელი ფუნქცია, მოიწყდა საყოფაცხოვრებო კონტექსტს და უფრო აკადემიური სახე შეიძინა. შეიქმნებოდა ხალხური სიმღერის კოლექტივები, სადაც სპეციალურად ხდებოდა ისწავლასვა კუთხის სიმღერების შესწავლა, რამაც განაპირობა ქვედა მაჭახელში სამხმიანობის გავრცელება. ადვილად შესამჩნევია, რომ სამხმიანი სიმღერები,

რომლებიც აქ სრულდება, გვიანდელია და არავითარი საერთო არა აქვს მთელს მაჭახლის ხეობაში გავრცელებულ სიმღერებთან და მით უმეტეს არ წარმოადგენს მათ გვიანდელ ფორმას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ არ გვხვდება არც ერთი ისეთი სიმღერა, რომელიც ზედა მაჭახელში ორხმიანია და ქვედა მაჭახელში — სამხმიანი. აბსოლუტური უმრავლესობა სიმღერებისა, რომლებიც საერთოა ზედა და ქვედა მაჭახლისათვის, ორხმიანია. **აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხეობისთვის დამახასიათებელი იყო ორხმიანი სიმღერა.** იმის გამო, რომ ზედა მაჭახელი სრულიად იზოლირებული იყო, იქ ორხმიანობა შენარჩუნდა. ქვედა მაჭახელში კი სამხმიანობა გავრცელდა, თუმცა სიმღერები, რომლებიც ოდითგანვე სრულდებოდა ხეობაში (როგორებიცა არის: "მაყრული", "ჩაგუნა", "ყანური" და სხვ.), ისევ ორ ხმაში იმღერება. ვვარაუდობთ, რომ **ზედა მაჭახელში შემორჩენილი სიმღერები ქართული მუსიკალური ფოლკლორის ერთერთი ყველაზე არქაული ნიმუშებია.** ფაქტობრივად XVI საუკუნის შემდეგ (როდესაც ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ოსმალეთის საზღვრებში მოექცა) ხეობის იზოლაციის გამო აქაურ სიმღერას არავითარი ცვლილება არ განუცდია[9].

ექსპედიციის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მონაპოვრად წარმოგვიდგება თამარ მეფესთან დაკავშირებული ლეგენდა-გადმოცემების შემონახულობა ამ მხარეში. ეს გადმოცემები ძირითადად ზ. ჭიჭინაძის მიერ XIX საუკუნის მიწურულს დაფიქსირებული ლეგენდების ვარიაციებია, მაგრამ მათი დღემდე არსებობა ტრადიციული ქართული კულტურის სიცოცხლისუნარიანობის ერთერთი საყურადღებო გამოვლინებაა.

მაჭახლელთა ღრმა რწმენით, ეს მიდამოები მაჭახლელებს თვით თამარ მეფემ უბოძა ერთგული სამსახურისთვის. სხვადასხვა გადმოცემით, თამარი ზაფხულობით ხშირად სტუმრობდა მაჭახელს. იგი ხან ქვედა მაჭახლიდან (სადაც **გვარას ციხეში** ბინავდებოდა) ამობრძანდებოდა, ხან კი **შავშეთიდან** გადმოდიოდა კარჩხალის მთის გადმოსასვლელებით, სადაც იმ დროს **"ქალაქი"** ყოფილა გაშენებული. ერთხელაც თამარ მეფეს კოშკიდან გადმოუხედავს და დაუნახავს სასწაულებრივი ცეცხლი//სხივი ეფრატის მთაზე. მეფეს განუსაგებია ჯარისკაცები ექვსი საათის სავალზე და გაუყვანია საიდუმლო მიწისქვეშა გზა ქვედა მაჭახლის ციხიდან ზედა მაჭახლამდე და იმ ღვთისაგან მინიშნებულ ადგილზე დიდი ეკლესია აუგია, იქვე აუშენებია ციხე-კოშკიც. შავშური და ზედა მაჭახლური გადმოცემებით კი თამარ მეფეს კარჩხალის მთაზეც ჰქონია ციხე და სასახლე ("ნაქალაქევი") და სწორედ აქედან დაუნახავს სასწაულებრივად ანთებული ცეცხლი//მოკაშკაშე სხივი ეფრატის ეკლესიასთან. მეფეს ეფრატის ეკლესია მალევე მოუნახულებია, თუმცა მაინცდამაინც არ მოსწონებია და ახალი ეკლესიის აგება უბრძანებია მეზობელ სოფელში — ჰერთვისში. დაუწყიათ მშენებლობა, მაგრამ მშენებლებს სამუშაო იარაღები დილაობით ადგილზე აღარ ხვდებოდათ, რაც მეფისთვის მოუხსენებიათ. მეფე დაფიქრებულა და უთქვამს: თუ ასეა, შეწყვიტეთ ახალი ეკლესიის შენება, ისევ ეფრატის ეკლესია დარჩეს ამ ხეობის ქართველების დედა ეკლესიად, თუმცა იგი ღარიბად არის ნაშენი, მაგრამ მე გავამდიდრებ, მე შევმოსავ მას ყოვლის სამკაულებითო (ზ. ჭიჭინაძე, 2004, გვ. 22).

---

[9] მაჭახლის ეთნომუსიკალური მემკვიდრეობის შესახებ მზადდება *ნ. ვალიშვილისა* და *გ. ჭეიშვილის* ნაშრომი.

მენტალური კუთხით საინტერესოა ამ ტაძართან[10] დაკავშირებული სხვა ლეგენდაც: "ის სხივი ეკლესიის აღშენების შემდეგაც ჩნდებოდა ეკლესიის ერთს კედელზე, რომელ კედელიც გაკეთებულ იყო იმ ჭვის ალაგას, სადაც პირველად ჩნდებოდა უჭრობელი ლამპარი. ეკლესიის დასრულებისა და შემკობის შემდეგ... წმიდა-კრულვა დაუდვიათ, რომ ეს ეკლესია არამც და არამც არავინ დააქციოს, თუ თავისით დაიქცეს ოდესმე, მაშინ ეს კედელი მაინც დარჩეს საშვილიშვილოდო" (ს. ჯიჭინაძე, 2004, გვ. 22-23).

ლეგენდის სიუჟეტით, აქ შუასაუკუნეების მენტალობის ერთ საგულისხმო მომენტთან, ცნობილ მითოლოგიურ ფაბულასთან — სასწაულებრივი ცეცხლის თვითჩენასთან გვაქვს საქმე, რაც ამ შემთხვევაში ღვთიური მადლის გარდამოსვლის მაუწყებელია და ერთგვარი მინიშნებაცაა იმისა, თუ სად უნდა აგებულიყო ტაძარი. ამგვარი პასაჟები ქრისტიანულ სიმბოლიკასთან ჰპოვებს აშკარა პარალელებს და ჩვენთვის, ბუნებრივია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი საერთოქართული მენტალური მახასიათებლების არსებობა ზედა მაჭახლის ისტორიულ ყოფაში.

ანალოგიურ ქართველებში დღემდეა შემონახული რწმენა თამარის სასწაულთმოქმედების შესახებ. ასეთი მენტალური მოტივები უნივერსალურია მთელი საქართველოსათვის, მათ შორის თურქეთის სახელმწიფოში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისთვისაც (ტ. ფუტკარაძე, 2007), რადგან თამარ მეფე ეთნიკური ისტორიო და საეკლესიო ტრადიციით, წმინდანი, შესაბამისად, სასწაულთმოქმედი იყო.

განსაკუთრებით მსგავსი მაჭახლური და სვანური ლეგენდებია: მაჭახლური გადმოცემით, **"სანამ თამარაჲ კარჩხალის მთაზე, ნაქალაქევში ცხოვრობდა, ამ მხარეში ზამთარი არ სცოდნია, შვიდ წელიწადს მაღრი კარჩხლის მთაზეც მოჰყავდათ ჩვენს დიდ დედეებს, თამარ მეფე რომ წასულა, ზამთარი მერე დაწყებულა"**; ასევეა სვანური გადმოცემითაც, **"თამარ მეფის დროს სვანეთში ზამთარი არ ყოფილა, აქ სულ გაზაფხული იყო"** (რ. გუჯეჯიანი, 2006). ლეგენდის მასალით, თამარ მეფის რეზიდენცია "ნაქალაქევში" უნდა ყოფილიყო. "ნაქალაქევი გამიგია, ვიცი, იქეთ არის მთაზე, ინეწმიდისაკენ, იქ თამარაჲ იყო." სოფელი მხარში უდგას ერთმანეთს ჭირსა და ლხინში (მოგვიბოდიშეს: "დღეს სოფელში მკვდარია, მხიარულება არ არის") ისევე, როგორც მთელ საქართველოში.

ზედა მაჭახელში შემონახულია ნაეკლესიარები ეფრატში, ქუაბითავში, ინეწმიდის მახლობლად ("შავშეთისკენ შუაგორა არის, ინაწმიდაზე გადვიართ, სადაცაჲ არის, იქ ნაქილისარი არი"), რამდენიმე ძველებური თაღოვანი ხიდისა და ციხის ("იქით გორაზე ყულე იყო, იქ წინ რაცხა ყოფილა საცავი იშთე") ნანგრევი. არქეოლოგიური გათხრები ამ მხარეში, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჯერ არ ჩატარებულა.

ეთნოგრაფიული კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა გოხინავრის ხის ხიდი. ნაგებობა გადაბურულია და ერთი მხრით ამოშენებული აქვს კედელი. მსგავსი უნიკალური კონსტრუქციის ხის ხიდები დამახასიათებელია ზემო აჭარისთვისაც, მაგალითად, ასეთია ს. ხაბელაშვილების ხის ხიდი.

---

10 მაჭახლელთა დედა-ეკლესია — ეფრატის ტაძარი დღეს უკვე აღარ არსებობს, ნაეკლესიარზე ახალი აგებული.

ზედა მაჭახელი საინტერესოა ენობრივადაც.

ბოლო დრომდე სამეცნიერო მიმოქცევაში ნაკლებად იყო ზემო მაჭახლური ტექსტები, თუმცა დღეს უკვე არსებობს კარგი საანალიზო მასალა[11]. სამეცნიერო ლიტერატურაში მაჭახლური მეტყველება მიჩნეული იყო აჭარული კილოს ნაწილად; მასზე საგანგებოდ არავის უმსჯელია პროფ. შუშანა ფუტკარაძემდე. ამ მკვლევარის არგუმენტირებული მსჯელობით (სადოქტორო დისერტაცია, 1995) მაჭახლური ცალკე კილოდაა მისაჩნევი. სხვა მოსაზრების მიხედვით, მაჭახლური და იმერხეული კილოკავებია შავშური დიალექტისა (მ. ფაღავა, 2004, გვ. 809; გ. გოგოლაშვილი, 2007, გვ. 105).

აღვნიშნავთ, რომ ფაქტობრივი მასალა მხარს უჭერს შ. ფუტკარაძის მოსაზრებას; გარდა ამისა, უფრო საფუძვლიანი იქნება მაჭახლურის განხილვა აჭარულის ნაირსახეობად (კილოკავად), ვიდრე იმერხეულისა და მაჭახლურის ერთ კილოდ გამოცხადება: მაჭახლურსა და იმერხეულს შორის დიდი სხვაობაა, ვიდრე აჭარულსა და მაჭახლურს შორის.

მაჭახლურ დიალექტში გამოიყოფა ორი კილოკავი: **ზედა მაჭახლური და ქვედა მაჭახლური** (რომელსაც საზიარო ფორმები აქვს ლივანურთან და ქვემო აჭარულთან). თქმის ფარგლებს არ სცილდება მაჭახლის ხეობიდან თურქეთის შიდა პროვინციებში გადასახლებულ მუჰაჯირ მაჭახლელთა შთამომავლების მეტყველება. მათგან ქართული ენა და ტრადიციები ყველაზე უკეთ შემონახული აქვთ ბურსის ვილაიეთის, ინეგოლის რაიონის მცხოვრებლებს (შ. ფუტკარაძე, 1995, გვ. 23).

ძირითადი ფონეტიკური მოვლენები. ზედა მაჭახლურში დაცულია ჴ ბგერა: ჴერთვისი, ჴევდიდი...

პარალელურად გამოიყენება უმარცვლო ჳ და უ ხმოვანი; ხმოვანთან მეზობლად ძირითადია ჳ (იშვიათად, ვლინდება კბილბაგისმიერი ალოფონიც): ჩჳენ, თჳალი, თჳელი...

დამახასიათებელია რ ბგერის დაკარგვა (ხმოვანთა მეზობლობაში): ჩოობა < ჩორბა "სუპი", ხოოცი < ხორცი, კოოდი < კორდი... ლაპაიკი < ლაპარიკი, რიალობს < ტრიალობს... სიტყვის დასაწყისში: კინა < რკინა, ქა < რქა, ბილი < რბილი...

ხმოვანთკომპლექსთა ცვლილებანი აჭარულის მსგავსია: აუ>უუ: დუუყვირა (<დაუყვირა)... აი>ეი: წეიყვანებენ (<წაიყვანებენ)... ოი>ეი: მეიგონებდა (<მოიგონებდა)... ოე>ეე: მეეფერება (<მოეფერება)... აე<ეე: გეეჭენა (<გაეჭენა)... აი>იი: გიგიხარდეს (<გაგიხარდეს), გიმიცხადდა (<გამიცხადდა)... ეე>იე: ცინცაძიები (<ცინცაძეები)... ოე>უე>ჳე: კალჳები/კალვები < კალუები < კალოები, წყარჳები < წყაროები < წყაროები...

სახელთა ბრუნება. ხმოვანფუძიანი სახელები სახელობით ბრუნვაში დაირთავენ ჲ/ი-ს.

დაცულია ემფატიკური ხმოვნები: კბენა თითის-ა, ცილდება სახლს-ა...

-ვით თანდებული წარმოდგენილია -ვეთ სახით: ბორბალსა-ვეთ, ჯინჭველასა-ვეთ... -თვის გვხვდება -თვინ/-თინ ვარიანტებით: საქმის-თვინ, კაცის-თინ... მიცემითი ბრუნვის ფორმას თანდებულის ფუნქციით დაერთვის ზმნიზედა "უკან" და აღნიშნავს "შემდეგ": ერთ თვეს უკან (=ერთი თვის შემდეგ), სადილობა უკან (=სადილობის შემდეგ).

---

[11] ლიტერატურის სიაში იხ.: შ. ფუტკარაძის, ნ. ცეცხლაძის, მ. ცინცაძის, მ, ფაღავას, მ. შაჰინისა და სხვათა ნაშრომები.

ზმნიზედები **აქ, იქ** დაირთავენ თანდებულებს: აქ-ში, აგ-ზე, იქ-ში, იგ-ზე...

ზმნური თავისებურებანი. შე, შემო ზმნისწინები ა გახმოვანებით ვდებება: შა, შამო: შამო-დგამ, შამო-ხედავ, შა-გინახო... ზოგან ზმნისწინისეული ა>ო: წოველით, წოვდა, დოვკარქებოდით (შდრ. ინგ.).

ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად გამოიყენება სუბიექტის ნიშნები (-ენ, -ან): მოგაგონდები-ან "მოგაგონდებათ", მიჰყავდ-ენ "მიჰყავდათ"...

ხშირია თემის ნიშანთა მონაცვლეობა: გაგაკეთებიავს (გაგაკეთებინებს), ცნობილავს (ცნობილობს)...

უთემისნიშნო ზმნები თემის ნიშნითაა გაფორმებული: მოკრიფ-ავ, წერ-ილ-და, ამოგლიჯ-ვ-ენ... ზოგიერთი ორთემიანი ზმნა უთემისნიშნოდ გვხვდება: დეინახდა, ჩამოვკიდდით...

პრეფიქსიანი ვნებითები არქაული ფორმითაა წარმოდგენილი: იყიდვ-ი-ს, იქმ-ი-ს, ითიბვ-ი-ს... ასეა მყოფადშიც: გეიხარვ-ი-ს, დეირგვ-ი-ს, ისამვ-ი-ს...

ზედა მაჭახლურში, ტაოურის მსგავსად, ერთმანეთის გვერდით გვხვდება -ვდ/-ემდ და -ვიდ/-მიდ ტიპის წარმოება: ვსუნ-ევ-დ-ი, კერ-ევ-დ-ი-თ... ვასხ-მ-იდ-ი-თ, ვაბ-მ-იდ-ი-თ, იც-მ-იდ-ა...

ზედა მაჭახლურში დასტურდება უწყვეტლის ხოლმეობითისა და მეორე ხოლმეობითის ფორმები: დათვებსა ვკლ-იდ-ი-თ, ხარით ვხნ-იდ-ი-თ... ხარი შაბ-ი-ს, ულელი შაადგ-ი-ს ქედზე...

წყვეტილის I-II პირში ე დაბოლოებას ენაცვლება -ევი: დაანგრი-ევ-ი, დაწყალდ-ევ-ი... II კავშირებითის ე>ო: დადგონ, დავრჩოთ, წოვდოთ...

სინტაგმა. თანხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი საზღვრულს უთანხმდება ფუძის სახით: ჩემ ნესტან-მა, დიდ ძმ-ით, ლამაზ სიტყვ-ით... სუბსტანტიური მსაზღვრელი კარგავს ბრუნვის ნიშნის თანხმოვნით ნაწილს: თოფი ხმაზე, ჯილი ტარი...

კრებითი სახელით გადმოცემული ქვემდებარე შემასმენელს ითანხმებს რიცხვში: ხალხმა წამოვდენ, ხალხი ადიან შუამთობაზე...

გარდაუვალი ზმნის II სერიის ფორმებთან ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დგას: დათვმა გამომესხრიკა, იმანაც გარიგდა... იშვიათად, გარდამავალი ზმნის I სერიის ფორმებთან დამატება სახელობითშია: წყალი ჩაასხმიდი; მაკიდო, ხრასა ვურთავთ საჭმელში...

სინტაქსური კალკები: ბადანა ქნეს "შეათეთრეს", "შეღებეს" (თურქ. badana - შეთეთრება, შეღებვა), ღმერთმა ემრი გვიყო "დაგვიკანონა", "გვიბრძანა" (არაბ. emri - ბრძანება).

ზედა მაჭახლურში თვლის არქაული სისტემის ნაშთები გვხვდება. კერძოდ, ოც კავშირი წარმოდგენილია როგორც ოცეულებთან, ისე ასის შემდეგაც (როგორც ეს ძველ ქართულშია): ასდაოცი, ასდაექვსი...

ზედა მაჭახლურში ბევრია თურქულ-არაბული წარმოშობის ნაწილაკები: ფენა, დაჰა: ენ ლამაზი "ულამაზესი", ფენა კაი "ძალიან კარგი", დაჰა ცივი "ცივესი"... ქი "რომ", ია "ან", მეგერ "თურმე", ბე "გაკვირვება-აღტაცების შემთხვევაში"... -ჯა/-ჩა "-ულ, -ურ"[12].

[12] მაჭახლის ხეობისა და მაჭახლური მეტყველების შესახებ მზადდება რამდენიმე ნაშრომი (ი. ვეკუა, ნ. ვალიშვილი, რ. თოფჩიშვილი, ტ. ფუტკარაძე, ნ. შოშიტაშვილი, გ. ხუციშვილი), რომლებშიც უფრო დეტალურად იქნება წარმოდგენილი საქართველოს ამ ისტორიული კუთხის ეთნოგრაფიული და ლინგვისტური თავისებურებები.

დამოწმებული ლიტერატურა

დ. ბაქრაძე, 1987 - დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში (ატლასითურთ), ბათუმი, 1987.

გ. გოგოლაშვილი, 2007 - გ. გოგოლაშვილი, ქართველური ენები თუ დიალექტები (არატრადიციული პოლემიკა ტრადიციულ თემაზე): კრებ. ქართველური ენები და დიალექტები, თბ., 2007.

რ. გუჯეჯიანი, 2006 - რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან (თამარ მეფის ხატება სვანეთის ტრადიციულ ყოფაში), — კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, XII, თბ., 2006.

ვახუშტი, 1941 - ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941.

რ. თოფჩიშვილი, 2002 - რ. თოფჩიშვილი, ქართველთა ეთნიკური ისტორია და საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბ., 2002.

ნ. კახიძე, 1973 - ნ. კახიძე, მესაქონლეობა მაჭახლის ხეობაში, — სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები. I, თბ., 1973.

ნ. კახიძე, 1974 - ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი), ბათუმი, 1974.

ნ. კახიძე 2005 - ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობის ისტორიული წარსულიდან: ჟურნ. ხერთვისი, 2005, №1.

ნ. ლომოური, 1957 - ნ. ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. შრომები, IV, ნაკვ., I, 1957.

ი. სიხარულიძე, 1958 - ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წ. I, ბათუმი, 1958.

ა. სურგულაძე, 1978 - ა. სურგულაძე, განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში XIX საუკუნის 30-70-იან წლებში: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VI, თბ., 1978.

ტბეთის სულთა მატიანე, 1977 - ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ.ენუქიძემ, თბ., 1977.

მ. ფაღავა, 1998 - მ. ფაღავა, მ.ცინცაძე, სამხრული დიალექტების ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება V-XVII სს. სამწერლობო ენასთან მიმართებით: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, თბ., 1998.

მ. ფაღავა, 2004 - მ. ფაღავა, ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა, ავტორეფერატი, 2004.

შ. ფუტკარაძე, 1993 - შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

შ. ფუტკარაძე, 1995 - შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1995.

ტ. ფუტკარაძე, 2007 - ტ. ფუტკარაძე, იმერჯევის მეტყველი მიწა-წყალი, ქუთაისი, 2007.

მ. შაჰინი, 2005 - მ. შაჰინი, მაჭახლური თქმანი: ჟურნ. ხერთვისი, 2005, №1.

მ. ცინცაძე, მ. ფალავა, 1998 - მ. ცინცაძე, მ. ფალავა, სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს.), ბათუმი, 1998.
ნ. ცეცხლაძე, 2004 - ნ. ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან, ბათუმი, 2004.
ზ. ჭიჭინაძე, 2004 - ზ. ჭიჭინაძე, ქართველთა გამუსლიმება, თბ., 2004.

ROZETA GUJEJIANI, ROLAND TOPCHISHVILI, TARIEL PUTKARADZE, NODAR SHOSHITASHVILI, GIORGI CHEISHVILI

ETHNOGRAPHY OF ZEDA (UPPER) MATCHAKHELI

International project for the study of the Matchakheli valley population with the title *the study of musical legacy of the Matchakheli Valley, its preservation and popularization* was being implemented during the year 2008. The project encompasses the entire Matchakheli valley. However, because of the actuality of the issue, and because of the objective reasons yielded from the fact that the territory is located within the Turkish borders; the place had not been studied at all. In the present paper we provide only the part of the investigation of the ethnographic materials of Upper Matchakheli.

Matchakheli Valley with its stretch of ancient world trading route used to play a great role in the cultural and economic life of the south-west Georgia.

Annals of the Tbeti souls (Annals of the Mitcikhiani(=Matchakheli) *Valley)* provide interesting materials of 12th-13th-14th cc. life of Matchakheli valley. A part of the names and place names referred to in this manuscript are attested to the present Matchakheli.

The Matchakheli valley is a sort of exception in the historical territories of Georgia of the present day Turkey in the sense that as different from the other Georgian historical territories in Turkey its population is mono-ethnic, being inhabited only by Georgians and they speak Georgian but because of the underlying reasons they are left without Georgian literacy.

Within the project framework we have featured the traditional house of the upper Matchakheli, which presents a local variety of the traditional Acharian abode.

Upper Matchakheli whets interests in that respect that among the historical Georgian provinces under the jurisdiction of the modern Turkey Georgian folklore polyphonic musical arts has survived only in here. The people of Matcakheli have had the ensemble performing ancient Georgian songs. Moreover, the province has survived two-voice Georgian songs attesting one more times the archaic origin of these songs.

It is an important and encouraging fact that the varieties of legends about Queen Tamar, recorded in the 19th c. by Sakaria Chichinadze are alive to the present and we have recorded them as well.

We are preparing and will soon present several other papers about various historical, ethnographic and linguistic aspects of the region.

ეკა დადიანი,
მაია მიქაუტაძე

ქართულ-თურქული ენობრივ-კულტურული ურთიერთობებისათვის იმერხეულში

(დალოცვა-წყევლის ფორმულების მიხედვით)

საქართველოს ისტორიული პროვინცია - იმერხევი ოთხ საუკუნეზე მეტია მოწყვეტილია დედასაქართველოს და თურქულენოვანი სახელმწიფოს შემადგენლობაში უხდება არსებობა. თურქულ ენობრივ ველში ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში იმერხეულში დღემდე შენარჩუნებებულია ქართული ენა და ტრადიციები, თუმცა თანდათან განსხვავებულ ელფერს იძენს; ხდება ქართული და თურქული ენების, ზოგადად, კულტურათა ინტერფერენცია. სხვადასხვა ენის, მრწამსის, ტრადიციების მჭონე ქართველი და თურქი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა აისახა არა მხოლოდ იმერხეველთა სოციალურ თუ ეთნოგრაფიულ ყოფაზე, არამედ მათ მეტყველებაზეც.

იმერხეულ დიალექტში, მიუხედავად თურქული ენის ძლიერი გავლენისა, საკმაოდაა შემონახული არქაული ქართული სიტყვაფორმები. ამავდროულად თანდათან მკვიდრდება თურქული სიტყვები და გამოთქმები. თურქულის გავლენა მეტ-ნაკლებად ყველა დონეზე შეიმჩნევა: ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკაში... თურქული ენობრივი ელემენტების მოძალება განსაკუთრებით ლექსიკაში იგრძნობა; ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ქრისტიანული ტერმინოლოგია. სარწმუნოებრივ ცვლილებას, ბუნებრივია, მოჰყვა ახალი რიტუალებისა და მათი შესაბამისი სიტყვა-გამოთქმების გაჩენა. ქრისტიანულ ლექსიკას თანდათან ისლამთან დაკავშირებული სიტყვაფორმები ენაცვლება. ბიბლიური სიტყვები თუ ფრაზები, ხშირ შემთხვევაში დამახინჯებული ფორმით, მაგრამ მაინც დღემდე ცოცხლობს; ისინი ძირითადად სწორედ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში გვხვდება. ზოგმა ქართულმა სიტყვა-გამოთქმამ განსხვავებული შინაარსიც შეიძინა, თუმცა ამოსავალ ვითარებასთან ფორმობრივი კავშირი არ დაუკარგავს.

ზოგადად, ენობრივ ელემენტებს შორის შედარებით მდგრადობას ინარჩუნებენ მყარი ფრაზეოლოგიური ერთეულები, იდიომატური გამოთქმები, რომლებშიც ნათლად ჩანს ერის ენობრივი ხედვა თუ ცნობიერება. ისინი, სხვა სიტყვებისა თუ თავისუფალი სიტყვათშეხამებებისაგან განსხვავებით, უცხო ფორმებთან ურთიერთობისას უფრო გამძლენი არიან და ნაკლებად ემორჩილებიან გავლენებს. ამგვარ გამოთქმებს მიეკუთვნება: ლოცვა-დალოცვის, წყევლა-გინების, ფიცილის, მისალმება-დამშვიდობების... ფორმულები (ლ. ხაჭაპურიძე, 2005).

ამ ტიპის გამოთქმებში ქართულ და თურქულ ფორმათა ჰიდილი დღესაც გრძელდება; კონსტრუქციაში გვერდიგვერდ გვხვდება დალოცვის (ან წყევლის) შინაარსის შემცველი ქართული და თურქული ვარიანტები, რაც ქართულ-თურქულ ენათა მჭიდრო კონტაქტის მაჩვენებელია.

ნაშრომში შევეხებით ქართულ-თურქულ ენობრივ კონტაქტებს იმერხეველთა ქართულ მეტყველებაში გამოყენებულ დალოცვა-წყევლის სემანტიკის შემცველ სიტყვა-გამოთქმათა მიხედვით.

კვლევისას ვეყრდნობოდით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ

ზელმძღვანელი პროფ. ტ. ფუტკარაძე) 2006-2007 წლებში იმერხევში (სოფლები: იფეთი, ბზათა, ქოქლიეთი, იმფხრევლი, იმნიეთი, წყალსიმერი, სურევანი, დავითეთი, ზიოსი, ბაზგირეთი, ფარნუხი...) მოწყობილი ექსპედიციის პერიოდში მოპოვებულ დიალექტურ მასალას; გამოყენებული გვაქვს აგრეთვე ნ. მარისა (1911) და შ. ფუტკარაძის იმერხეული ტექსტები (1993).

ზოგადად, დალოცვა-წყევლის შინაარსის გამოთქმები დიფერენცირებულია ასაკის, ნათესაური დამოკიდებულების, სიტუაციის... მიხედვით. მათი სტრუქტურა, შინაარსი იმერხეულში ძირითადად მსგავსია ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში გავრცელებული ფორმულებისა. ხალხური დალოცვის ფორმებში აუცილებელ კომპონენტად წარმოდგენილია **ღმერთი** (დასტურდება ფონეტიკურად სახეცვლილი "მერთი" ან მისი სინონიმები: გამჩენელი, ღმერთგამჩენელი...). მასთან დაკავშირებული ზმნა-შემასმენელი უმთავრესად კავშირებითის მწკრივით გადმოიცემა. იშვიათია წყვეტილის ფორმა. ქართულ მასალასთან ერთად დასტურდება თურქული ენისათვის დამახასიათებელი სიტყვაფორმები (**ალლაჰ, ინშალლაჰ**...).

I დალოცვის ფორმულები

იმერხეველი ქართველი ხშირად ლოცავს ახლობელს, მოყვასს და უსურვებს: **განმრთელობას, დღეგრძელობას, ხვავს**:

ბევრი იცოცხლე, ღმერთმა კარგობაჲ მოქცეს; ამას ბევრი დღე მისცეს ღმერთმა... რომე მოხუელ და გვნახე, მოგვიკითხე, ღმერთმა სალამეთობა მოქცეს (შ. ფუტკ., 610); ჩუენ სანახავად რომ მეიცალე, ღმერთმა სისაღე მოქცეს! (შ. ფუტკ., 610).

სოფ. ქოქლიეთის მკვიდრმა, 70 წლის ქალბატონმა ხატიჯე დემირმა ასე დალოცა: "გაგახაროს, შვილო, ღმერთმა მოქცეს ბევრი დღეჲ, ჯანი საღი, თემჭა ყური უგდეით, ვარიოღა (=ყველანაირ) საქმეს ნუ იქთ, ვარიოღა ინსან ნუ ჩეებით ფეხში, ვარიოღა ბორჯში (=ვალი, გადასახადი) ნუ შეხვალთ..."

დალოცვისას ხშირად უსურვებენ **გამრავლებას, ხვავსა და ბარაქას**:

ღმერთმა გაგახაროს, შვილები მოქცენ... ღმერთმა სახლში ორფეხი გამრავლოს და ახორში - ოთხფეხი (შ. ფუტკ.); ღმერთმა ბერექეთი მიცონ! (შ. ფუტკ., 397).

დალოცვა სხვადასხვა საქმიანობის დროს:

ღმერთმა ჰუქუმეთმა (=მთავრობამ) მაამატოს ფული და ფარა-ფასი ამატებიოს... ღმერთმა ჯელები იგიყუავოს, ჯელები (შ. ფუტკ., 216).

კაი მუშაობა თქვენა! ღმერთმა ბევრი ხარმანობა მაგუასწრას - ასე დალოცა სოფ. მანატბაში საქმიანობის პროცესში, კერძოდ, კალოობის დროს მურის მლეწავები შემოსწრებულმა (შ. ფუტკ., 480) (სპ. harman - კალოობა, მურის ლეწვა).

მგზავრის დალოცვა:

ღმერთმა შვიდობით წიგიყვანოს, მოგიყუანოს; ღმერთმა გზა-კვალი გაგიჩინოს; ღმერთმა შვიდობით გიდიგიყვანონ... ღმერთმა გამშვიდობოს; სელამეთით (=სიკეთე, უსაფრთხოება) მიგიყუანოს ღმრთმა სახლში, სელამეთით გამცხოვროს იქში (შ. ფუტკ., 225).

დალოცვა ზოგადად:

ღმერთმა კარგა გამყოფნოს, ღმერთმა კარგობა მოგცეს, ღმერთმა კარგათ გაცოცხლონ; ღმერთმა გაგახაროს; ღმერთმა გიგიგონოს; ღმერთმა მთქმელი

და დამწერავი სეფა აღირსოს (ნ. მარი); ღმერთმა ბეთარიდამ (=ცუდი) შიგვიბრალოს (შ. ფუტკ., 396); ღმერთმა ჯენეთი (=სამოთხე) მოქცეს, იშიღები (=სინათლე) მოქცეს (ანუ: ღმერთმა სამოთხეში დაგვამკვიდროს და გაგვანათლოს). დალოცვის ამგვარ ვარიანტს ქრისტიანი ქართველები, როგორც წესი, მიცვალებულის მიმართ ვიყენებთ: ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს, ღმერთმა გაანათლოს მისი სული...

მიცვალებულის მოხსენიებისას დავადასტურეთ თურქულენოვანი დალოცვა: **ალლა გუნანი აფერსინ!** რესპონდენტმა ტექსტი ასე გვითარგმნა: მერთმა ცოდვები ემექნასო (ანუ: შეუნდოს, მიუტევოსო).

დასტურდება ისეთი სამადლობელი ფრაზები, რომლებიც დალოცვის გამომხატველიცაა: **ალლაჰ რაზი ოლსუნ,** გადმოხუელ და გვნახე, მოგვიკითხე (არაბ. allah razi olsun - ღმერთი მადლობელი გაგიხდება, ღმერთი გადღეგრძელებს) (შ. ფუტკ., 378).

II. **წყევლის ფორმულები**

იმერხეულ მეტყველებაში არცთუ იშვიათია წყევლის ნიმუშები. იმ შემთხვევაში, "თუ ინსანი არ უყვართ, სიყვარული არ არი, დასწყევლიან". აქაც კონსტრუქცია ძირითადად ქართულია, მაგალითად:

ღმერთმა დაგსხრუკოს (=დაგკრუნჩხოს), რა იჯები, რას?! (შ. ფუტკ., 610); **ღმერთმა გაგაწყნაროს,** რატომ გააჩეჩე (=დაყარე) ფირინჯი?! (შ. ფუტკ., 609); ჩემ ინსნობას (=ადამიანობას) რომე ვერ ხედავ, **ღმერთმა თუალები ჩეგიქოროს** (=დაგიბრმაოს) (შ. ფუტკ., 610); **შენი უინსნობა** (=არაადამიანობა) **ღმერთმა მოგკითხოს** (შ. ფუტკ., 610)...

მერთმა არ მიგიყუანოს სახში; მეხი დეგეცეს თავზე; ღმერთმა გაწყვიტოს მაგათი სინსილა; ღმერთმა დილა აღარ გიგითენოს; ღმერთმა ჯანი შიგიწუხოს! ღმერთმა დაგხარჩოს (ანუ: ღმერთმა იმქვეყნად ჯოჯოხეთის ცეცხლში, მდუღარეში მოგხარშოს)...

ღმერთმა არ გაგახაროს; ღმერთმა ჰკითხოს (მოჰკითხოს); ღმერთმა ორი კეტი ჩიგისოს (საფლავზე ორი სარი ჩაგირჭოს - როცა სიკვდილს უსურვებენ); **ღმერთმა ხელები გაგიხმოს; ღმერთმა თუალები დაგიქოროს** (=დაგიბრმაოს)... (მასალა მოგვაწოდა იმერხევის მკვიდრმა შოთა ჯაფარიძემ).

წყევლის სემანტიკის შემცველ გამოთქმებში, განსხვავებით დალოცვის ფორმულებისაგან, იშვიათად მოიხსენიება **ალაჰი**; მაგ.:

ღმერთი იწშალაჰ გააფაქებს მაგასა ამ დუნიდამა (შ. ფუტკ.). ე. ი. ღმერთი გააქრობს (დაკარგავს) მას ამქვეყნიდან. მოყვანილ ნიმუშში **ღმერთი** და **ალაჰი** გვერდიგვერდ იხსენიება.

წმინდა თურქულენოვანი წყევლის ნიმუშები არ შეგვხვედრია.

ამგვარად, იმერხეველი ქართველის ცნობიერებაში მყარია ლოცვა-დალოცვისა და წყევლის ტრადიციული, **ღმერთის** შემცველი ქართული ფორმულები. ამასთან, თურქულ ენობრივ-კულტურულ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტის შედეგად არქაულ გამოთქმებს ემატება **ალაჰის** შემცველი მუსლიმანური ლოცვების ფორმულები; მუსლიმანთა წმინდა წიგნებში მოცემული **ალაჰის** შემცველი ლოცვები მყარი შესიტყვებების სახით ზეპირ მეტყველებაში გადადის და თანდათან დალოცვის ფორმულებშიც მკვიდრდება, თუმცა ამ უკანასკნელის ხვედრითი წილი შედარებით მცირეა. თურქულენოვანი სიტყვა-გამოთქმები ჯერჯერობით სრულფასოვნად ვერ ცვლის შესაბამის ქართულ ფორმულებს.

დამოწმებული ლიტერატურა

ნ. მარი, 1911 - Марр Н.Я., Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию: «Георгий Мерчуле. Житие св. Григория Хандзтийского», С.- Петербургъ, 1911.

შ. ფუტკარაძე, 1993 - შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

შ. ფუტკარაძე, 1995 - შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1995.

ლ. ხაჭაპურიძე, 2005 - ლ. ხაჭაპურიძე, ბიბლიური ფრაზეოლოგიური ერთეულები ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველებაში, ქუთაისი, 2005.

EKA DADIANI, MAIA MIKAUTADZE

ON THE GEORGIAN-TURKISH CULTURAL RELATIONSHIPS IN IMERKHEVIAN DIALECT
(According to blessing and curse patterns)

In spite of the strong influence of the Turkish language on the Imerkhevian dialect the latter still preserves archaic Georgian word forms. At the same time Turkish words and expressions have gradually been encroaching and establishing in it. Turkish language forms are felt intensely tangible in the vocabulary; of particular interest in this respect is the terminology related to Christian religion. Religious conversion obviously resulted in the emergence of the new rituals with their concomitant verbal expressions. Biblical words and phrases, although often with distorted forms, are still alive in the language, chiefly in the phraseology units.

In general, bound phraseology units, idiomatic expressions, convey visions of the speaking community reflected in the language forms... the struggle between the Turkish and Georgian language forms in the blessing and curse patterns continues to these days. Language patterns are found side by side in the parallel structures of the Georgian and Turkish variants that can, by and large, be viewed as the consequence of the close contacts of the Georgian and Turkish languages and of cultural interferences.

In general the structure of the blessing and curse contents conveyance are basically analogous in Imerkhevian and the Georgian literary language and of other Georgian dialects. The permanent component of the phrase is *ghmerti* (god) or its synonyms, like *gamcheneli* (creator), *ghmertgamcheneli* (god-the-creator...). Alongside the Georgian patterns Turkish variants (comprising *Alah*) are also in use; however, they are less frequent and cannot substitute yet its Georgian parallel forms with the same degree.

დარეჯან დვალი-დემეტრაძე

ვაჟა-ფშაველასა და იოჰან ვოლგანგ ფონ გოეთეს შეხედულებები ბუნებაზე

შეიძლება პარალელი გავავლოთ ბუნების შესახებ გოეთესა და ვაჟა-ფშაველას შეხედულებებს შორის.

ვაჟა-ფშაველა ბუნების მესაიდუმლეა. იგი ბუნების დახატვას მიუდგა სავსებით ორიგინალურად. ქართული ლიტერატურის მკვლევარებმა რა ცნება არ იხმარეს, რომ გაერკვიათ ვაჟასეული გაგება ბუნებისა. მას არაერთგზის უწოდეს სიმბოლისტი, პანთეისტი, პილომიოისტი, ანიმისტი, ანთროპომორფისტი და სხვ.

ბუნების გრანდიოზული სახე ვაჟა-ფშაველას ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა. ხშირ შემთხვევაში იგი ბუნებას ითვისებს მარტოოდენ მხედველობით, რეალისტურად, ღრმად ხედავს, უშუალოდ ითვისებს ბუნების მრავალნაირობას. მაგრამ ვაჟა-ფშაველას ყურადღებას იპყრობდა არა მარტოოდენ ბუნების გარეგნობა, მომაჯადოებელი იერი, არამედ მისი სული, შინაარსი. იგი ბუნების ყოველ გამოვლინებაში სიცოცხლეს ხედავს. მისთვის ბუნება დიადი უზარმაზარი არსებაა, რომელიც ცხოვრობს, განიცდის; ბუნებაში ყველაფერი ცოცხალია: მთები, მცენარეები, კლდეები, მდინარეები. ვაჟა-ფშაველა იზიარებს შეხედულებას სიცოცხლის ერთიანი სულის შესახებ, რომელიც, მისი წარმოდგენით, გაბნეულია მთელ სამყაროში. ბუნება ბრძენი და გონიერია. ამ თვისებებით ის ხშირად ადამიანსაც სჯობნის. „ვხედავთ კარგად, ბუნებას რომ თვალები არა აქვს, არც თავი აბია და ტვინი სად ექნება? მაგრამ მისი წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა ჩვენ გვაოცებს". იგი ბუნების ანალოგიას ხედავს ადამიანთა ცხოვრებაში. „ჩვენი ცხოვრება სრული გამომხატველია ბუნებისა. ყველა ის, რაც ბუნებაშია: დამოკიდებულება ცხოველთა შორის, მცენარეთა, ცასა და დედამიწას შორის, წყალსა და ჰაერთა, ყველა ეს ჩვენ კაცთა შორის ხდება - ვაჟა-ფშაველასათვის ეს აზრი მთავარია.

ვაჟა-ფშაველა არის ბუნების საიდუმლოებათა გამგები და მისი ჰარმონიის მომღერალი. იგი თავის ლექსებსა და პოემებში ბუნების ყოველ მოვლენას ადამიანური თვისებებით და განცდებით წარმოგვიდგენს. ამავე დროს თავის გმირთა სულიერ მღელვარებას როგორ უპირისპირებს ბუნებას, რომელიც ასახავს როგორც ბედნიერებას, ისე უბედურებას. ვაჟა-ფშაველამ გვაგრძნობინა ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა, ბუნების, როგორც სულიერი არსების, ხასიათი.

გოეთე თავის ძირითად შეხედულებებს მხოლოდ გონებით კი არ ჭვრეტდა, არამედ მან ისინი, უპირველეს ყოვლისა, ემპირიულად, ბუნებაში და საზოგადოებაში ცალკეულ მოვლენათა დაკვირვებით, გამოცდილებით მოიპოვა. „ფიქრი ცოდნაზე მეტად საინტერესოა, მაგრამ არა ნახვაზე" — ამ აზრით შექმნა მან თავისი მრავალისმომცველი საბუნებისმეტყველო ნარკვევები.

გოეთეს ნაშრომი „ბუნება" გამოხატავს მის 1780 წელს ჩამოყალიბებულ აზრებს ბუნებაზე, რომელიც მან ხანდაზმულმაც აღიარა და სწორად მიიჩნია. ნაშრომში გოეთე ღრმად სწვდება იმ აზრს, რომ კავშირი ბუნებასა და ადამიანს შორის მეცნიერულად არასაკმარისად არის ახსნილი. ამას გარდა, ის

ეპოქის მექანიკურ მატერიალიზმსაც უარყოფს. ბუნებრივი მოვლენა მისთვის არაა საათის მექანიზმი, ის არაა იოლად განსახილველი მიზეზობრიობის მექანიკური შედეგი; და ხდება ისე, რომ ახალგაზრდა გოეთე ბუნებას შეიგრძნობს და აფასებს ნაწილობრივ როგორც კეთილგანწყობილ ფენომენს და ნაწილობრივ როგორც მტრულს, განუჭვრეტელს.

გოეთეს მისწრაფება იყო, როგორც ხელოვანს, შეეცნო სამყარო. როგორც ბუნებისმეტყველი კი, გოეთე უწინარესად იყო ხელოვანი და მან, როგორც ხელოვანმა და პოეტმა, ნაშრომში ჩადო თავისი წარმოდგენები ბუნების შესახებ.

იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე

ბუნება (ფრაგმენტი)

ბუნება! ჩვენ ის გარს გვაკრავს და შემოგვხვევია — უძლურნი ვართ მისგან თავის დასაღწევად და ასევე უძლურნი — მასში ღრმად შესაღწევად. უცერემონიოდ და გაუფრთხილებლად გვრთავს ის თავის ფერხულში და ჩვენთან ერთად განაგრძობს მას, სანამ არაჭათგაცლილნი არ დავუსხლტებით მის მკლავებს.

ის გამუდმებით ქმნის ახალ სახეებსა და ფორმებს: რაც ახლა არის, არასოდეს არსებულა, ხოლო რაც იყო — აღარასოდეს იქნება; ყველაფერი ახალია და მაინც მუდამ ძველი!

ჩვენ მასში ვცოცხლობთ და მისთვის უცხონი ვართ. ის განუწყვეტლივ ელაპარაკება, საიდუმლოს თავისას არკი გვიმხელს. ჩვენ მასზე მუდამ ვზემოქმედებთ, მაგრამ მასზე მაინც ვერ ვმბრძანებლობთ...

თითქოს ყველაფერი ინდივიდუალობისათვის შეუქმნია, თვითონ კი ინდივიდუუმისაგან არაფერი სჭირდება. ის გამუდმებით აგებს და ანგრევს, მისი შემოქმედებითი „სახელოსნოები“ ჩვენთვის მიუღწევადია — ვერსად მიაგნებ!

ის მხოლოდ შვილებში არსებობს, მაგრამ დედა? — სადაა დედა?! ის ერთადერთი შემოქმედია, შეუძლია როგორც მარტივი მასალის, ასევე უდიდესი კონტრასტების შექმნა. დაძაბულობის გამოუვლინებლად შეუძლია შექმნას უდიდესი სრულყოფილება და უზუსტესი კონკრეტულობა, რომელიც ყოველთვის რაღაც რბილითაა შებურვილი.

თითოეულ მის შედევრს საკუთარი არსი აქვს, ყოველ მის მოვლენას — იზოლირებული ცნება, მაგრამ ყველაფერს ის ერთი — ბუნება აგვარებს.

ის სპექტაკლს თამაშობს: თვითონ უყურებს თუ არა ამ სპექტაკლს, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ის ჩვენთვის მაინც თამაშობს, ჩვენ კი კუთხეში ვდგავართ.

ის მარადიული სიცოცხლეა, მასში მოძრაობაა, მაგრამ წინ მაინც არ იწევს. ის მუდმივ გარდაქმნაშია და არც ერთი წუთით არ მშვიდდება. ცნება „შეჩერებას“ ის არ სცნობს, მშვიდად ყოფნა მას შეჩვენებული აქვს. ის მტკიცეა, მისი ნაბიჯი — მოზომილი, გამონაკლისები მისთვის იშვიათობაა, კანონები მისი — შეუვალი!

ფიქრობდა და ფიქრობს მარად, მაგრამ არა როგორც ადამიანი, არამედ როგორც ბუნება. მას შენარჩუნებული აქვს საკუთარ ყოვლისმომცველ აზრზე დარჩენის უფლება, რომელსაც ვერავინ შეაცვლევინებს.

ყოველი ადამიანი მასშია და ის ყველაშია. ყველასთან კეთილგანწყობით თამაშობს და ხარობს, რაც უფრო მეტი მოუგებს მას. ბევრთან ის ბოლომდე საიდუმლოდ თამაშობს მანამ, სანამ არ მიუხვდებიან.

ბუნება არაბუნებრივიცაა, ყველაზე უფრო უხეშ ფილისტერიასაც აქვს რაღაც მისი გენიიდან.

საკუთარი თავიც უყვარს ბუნებას და გამუდმებით იჯაჭვავს თვალითა და გულით უამრავს. ის ჰარმონიაში მოსულა, რათა თვითტკბობა განიცადოს, თან ახალ ტკბობის მოყვარეთაც ხარბად ეძიებს, რათა მიენდოს და გული გაუხსნას.

ილუზიების მოყვარულია და ვინც ილუზიას თავის თავში ან სხვებში ჩაკლავს, მას უმკაცრესი ტირანივით დასჯის. ვინც მას მიენდობა, ბავშვივით გულში ჩაიკრავს.

მას უთვალავი შვილი ჰყავს, არავისთვის არაფერს იშურებს, მაგრამ ჰყავს რჩეულნიც, რომელთათვისაც ბევრს გასცემს და მეტსაც სწირავს. ბუმბერაზი პიროვნებებისათვის მფარველობა მიუნიჭებია.

ის ადამიანურ ქმნილებებს არარაისგან შობს და არ ეუბნება, თუ საიდან მოდიან და საით მიდიან. მათ მხოლოდ უნდა ირბინონ, გზა კი მან — ბუნებამ იცის!

მას ცოტაოდენი გულისწადილი და მამოძრავებელი ძალა აქვს, მაგრამ არასოდეს გაცვეთილი, ყოველთვის ქმედითი და მრავალფეროვანი.

მისი სპექტაკლი მუდამ ახალია, რადგან გამუდმებით ახალ მაყურებელს ქმნის. სიცოცხლე მისი ყველაზე საუკეთესო გამოგონებაა, სიკვდილი კი — ოსტატური ხერხი, რათა კვლავ მრავალი სიცოცხლე შვას.

ის ადამიანს ბურუსში ახვევს და უბიძგებს მარადიული სინათლისაკენ, ხდის მას დედამიწაზე დამოკიდებულს, ზანტსა და მძიმეს, მაგრამ გამუდმებით კი ანჯღრევს.

ის იძლევა მოთხოვნებს, საჭიროებებს, რადგან მოძრაობა, მოქმედება უყვარს. საკვირველი კია, რომ ყველა ამ მოძრაობას ის ცოტაში თუ აღწევს. ყოველი მისი მოთხოვნა მადლი და წყალობაა, რომელიც მას სწრაფად აკმაყოფილებს, მაგრამ სწრაფადვე კვლავ მოითხოვს. თუკი ვინმეს უფრო მეტს მისცემს, ეს მისთვის სიხარულის ახალი წყაროა, მაგრამ მალევე კვლავ წონასწორობაში მოდის.

ის თვით პატივმოყვარეობაა, მაგრამ არა ჩვენთვის, ჩვენთვის ის უფრო მნიშვნელოვანი რაიმესთვის არსებობს.

თითოეულ თავის შვილს ჭკუა-გონებაზე ძალას ატანინებს, ყოველ უგნურს საკუთარი თავისკენ მიახედვინებს, ათასობით ადამიანს კი საკუთარ თავზე გადააბიჯებინებს და არაფერს დაანახვებს, და ყველა მათგანში თავისთვის სიხარულსა და ანგარიშგებას პოულობს.

მის კანონებს მისდევენ, მისდევენ იმ დროსაც, როცა მათ ეწინააღმდეგებიან; მოქმედებენ „მასთან“ (ბუნებასთან) ერთად მაშინაც კი, როცა მის საწინააღმდეგოდ სურთ მოქმედება.

მას არც ენა (Sprache) აქვს და არც მჭევრმეტყველება, მაგრამ ქმნის (ფიზიკურ) ენებს და გულებს, რითაც ის გრძნობს და საუბრობს.

მისი გვირგვინი სიყვარულია, მხოლოდ სიყვარულის გზით შეიძლება მასთან დაახლოება. ის ყოველ არსებას შორის უფსკრულს ქმნის, ყველაფერს იზოლაციას უკეთებს, რათა ყოველივემ კვლავ ერთად მოიყაროს თავი. ის თავის ძალისხმევას და შრომას სიყვარულის თასიდან რამდენიმე ყლუპით ინაზღაურებს.

ის ყველაფერია, თავს იჯილდოვებს და ისჯის კიდეც, ხარობს და იტანჯება. ის მკაცრიცაა და ლმობიერიც, საყვარელიცაა და საძულველიც, უძლურიცაა და ყოვლისშემძლეც. მასში მუდამ არის ყველაფერი. ის არ სცნობს წარსულსა

და მომავალს, აწმყო მისი მარადიულობაა. ის კეთილია, მე ვადიდებ მას თავისი ყველა ქმნილებით. ის ბრძენია და მშვიდი. მისგან ვერ მიიღებ სხეულის და სულის შესახებ ახსნა-განმარტებას, მას ვერ წაგლეჯ ჯილდოს, რომელსაც წუწაფლობით არ იძლევა. ის ცბიერია, მაგრამ კარგი მიზნებისათვის და ყველაზე უკეთესია, თუ მის ეშმაკობას არ შევამჩნევთ.

ის ერთიანი, მთლიანია, მაგრამ ყოველთვის უსასრულო. ისე, როგორც ის ახლა მოქმედებს, მას ყოველთვის შეუძლია იმოქმედოს.

თითოეულში ის საკუთარი სახით და ფორმით ვლინდება, ის ათასობით სახელსა და ტერმინში იმალება და მაინც სულ ერთი და იგივეა.

მან მომავლინა ამქვეყნად და ისვე წამიყვანს აქედან. მე ვენდობი მას. მას სურს განმკარგავდეს, ის თავის ქმნილებას არ შეიძულებს.

ეს მე არ ვსაუბრობდი მის შესახებ. არა, რაც ჩემს ნათქვამში ჭეშმარიტება და სიცრუეა — ეს ყველაფერი მან ილაპარაკა. ყველაფერი მისი ბრალია, ყველაფერი მისი დამსახურებაა!

დამოწმებული ლიტერატურა

ი. გოეთე, 1978, - ი. გოეთე, მშვენიერი ნაწარმოებები ბუნებაზე, ხელოვნებაზე და ხალხთა შესახებ, ბერლინი. 1978.

შ. რადიანი, 1967 - შ. რადიანი, მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა, თბ., 1967.

DAREJAN DVALI-DEMETRADZE

VAZHA-PSHAVELA AND GOETHE'S VIEWS ABOUT THE NATURE

Vazha-Pshavela depicts the Nature with an original method. In most cases he sees it realistically in the sense that his attention is captured by the spirit and content of the Nature. He makes the reader feel the relationship between the human being and the Nature.

On the other hand Goethe was aimed at revealing the truth about the Nature and the society and conveys it through his amassed experience. Goethe reflects various differing sensations of the Nature by the man. In his theoretic views he provides novel ideas about something which he terms as "nature" and identifies it with the concept of "reality". According to Goethe human being is an indispensable part of the Nature.

ლუკა დვალიშვილი.
ვლადიმერ წვერავა

ქართული რომანის ტრადიციები და საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხები ნ. გაბაონის რომანში "აივნიანი ქალაქი"

მეოცე საუკუნის ქართული რომანი დღევანდელი, XXI საუკუნის დასაწყისის გადასახედიდან დაბეჯითებით შეიძლება შეფასდეს, როგორც ქართული სამწერლო ტრადიციების ღირსეულად გამგრძელებელი. მეოცე საუკუნის ქართულმა რომანმა, შეიძლება ითქვას, ეროვნულმა რომანმა, ძალდაუტანებლად, ბუნებრივად გაითავისა მსოფლიო რომანისტიკის როგორც ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკა, ასევე ჟანრულ-სახეობრივი მრავალფეროვნება, მხატვრულ-ესთეტიკური სახესხივიანობა, პლასტიკურობა და დინამიურობა (ამ უკანასკნელთა გამორიცხვის შემთხვევაში ცხოვრებასა და ხელოვნებაში არაფრის წინსვლაზე არ შეიძლება საუბარი — ლ. დ.). თუ თავის დროზე ქართველმა პოეტებმა ქართული ლექსი სავსებით დროულად და მიზანმიმართულად გამართეს ,,ევროპული რადიუსით", ქართული რომანისტიკის განახლების საძირკველი ლექსის მოდერნიზაციის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე დაიდო. ქართულმა რომანმა, როგორც ეპიკური გამოხატვის ფორმამ, თვალნათლივ დაგვანახა ამ ჟანრის უსაზღვრო უნიკალური შესაძლებლობანი და ცხოველმყოფელობა. დღესაც, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალ-ეკონომიკური ფონისა, იგი მასშტაბურად მდიდრდება როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მაჩვენებელ-მახასიათებლით. შეიძლება ითქვას, ასეთი ჰარმონია ქართულ მწერლობას იშვიათად ჰქონია. თანამედროვე ქართულ რომანში შთამბეჭდავად აისახა როგორც დღევანდელობის ურთულესი, ნაირგვარი პრობლემები, ისე წარსული ცხოვრების სუსხიანი ქარტეხილები.

თანამედროვე ქართული რომანის მამოძრავებელ-მასტიმულირებელი გახლავთ ტრადიციული მადლისა და სიკეთის ქმნის პრინციპი. ოდნავ მოჭარბებული უნაპირო, უანგარო მსახურება ჰუმანური იდეებისა. თუმცა უკანასკნელ პერიოდში ქართულ რომანსა და დრამატურგიაში აშკარად იმატა გადაჭარბებულმა ჰეროიკულ-იდიალისტურმა ასახვამ შავი სამყაროს წარმომადგენლებისა, როგორც სიმართლისათვის მებრძოლი, დაქცეული ციხე-კოშკის ბოლო რაინდ-მეგობრებისა. მომრავლებული შეფუთული ლიტერატურული სუროგატებისგანაც უკვე კარგა ხანია დაიღალა მკითხველი საზოგადოება. ხვალინდელი დღე ალბათ დოკუმენტური რომანების იქნება და, საერთოდ, რეალურს, ,,ნატურს,'' ,,ბუნებრივს", ვფიქრობთ, უფრო მიეტანება გაპრაქტიკულებული სამყარო და საზოგადოება. ბოლოდროინდელი ქართული რომანი ახლებური კუთხით წარმოაჩენს რომანისტიკის თითქმის ყველა გავრცელებულ სახეს.

ამ საკმაოდ ვრცელი შესავლის შემდეგ მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო იმ ფაქტზე, რომ ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებას თუ არ ჩავთვლით, მცირე გამონაკლისს თითქმის ყურადღებამიუქცეველი დარჩა საყურადღებო რომან-ეპოპეა — ნიკოლოზ გაბაონის ,,აივნიანი ქალაქი". ეს რომანი გასული საუკუნის 70-იან წლებში ჟურნალ ,,მნათობში'' გამოქვეყნდა. წიგნის ავტორი გახლავთ ცნობილი ისტორიკოსი და აღმოსავლეთმცოდნე

ულურიან გაბაშვილი. ,,აივნიანი ქალაქი", დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის ახლავთ ქართული რომანისტიკის რიგითი მოვლენა. მისი გამოქვეყნებიდან ითქმის ოთხი ათეული წელი გავიდა და, ამდენად, ლიტერატურის თეორეტიკოსებსა და მკითხველ საზოგადოებას ქართული კულტურის ისტორიაში შესაბამისი ადგილი უნდა მიეჩინათ მისთვის. თუმცა სამწუხაროდ, ვფიქრობთ, დღემდე ასე არ მოხდა. იშვიათად, მაგრამ სხვა მაღალი კულტურის მქონე ქვეყნებში არცთუ ცოტა ყოფილა მსგავსი შემთხვევები, როცა თაროზე შემოდებულ ამა თუ იმ შედევრს გვიან გამოჩენია პატივისმცემელ-დამფასებელი. მაგრამ თუ ასეთი ქვეყნების წარმომადგენლებს მეტ-ნაკლებად ეპატიებათ ასეთი ფაქტების ,,მიყურისძირება", იქ წელიწადში იმდენი პოეტური თუ პროზაული ძეგლი იქმნება, შეუძლებელიც კია მათი მყისიერი ფიქსაცია. ჩვენ, ქართველებს, ვფიქრობ, არ გვაქვს ასეთი ფუფუნების უფლება და ვალდებულებიც ვართ წასაბალისებელი დროულად შეიქოს, ხოლო მისათითებელს დელიკატურად მივანიშნოს. ,,აივნიანი ქალაქი", არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ეპოქალური რომანია, უაღრესად მრავალკომპონენტიანი, მრავალშრიანი და მრავალპლანიანი. მიუხედავად იმისა, რომ ავტორის მიერ გადმოცემული ამბავი ხშირად სასიცოცხლო კაპილარებივით მრავლად იტოტება – იშლება, მაგრამ საბოლოოდ ფუძე ძარღვს არ შორდება, ისევ მას უბრუნდება. თითქოს მკითხველს საშუალება ეძლევა გვერდით, მეორეხარისხოვან, ეპიზოდურ ამბავთან ერთად თვალი მიადევნოს და მოისმინოს კიდეც ძირითადი ამბის სისხლის მიმოქცევა. სათქმელი არსოდეს შედის მხატვრული აზროვნების ,,დელტაში", რაც ხშირად ასე დამახასიათებელია ფართოპლანიანი რომანებისთვის. მწერლისთვის, და არა მარტო მისთვის, მთავარზე მთავარი გახლავთ, ზუსტად განჭვრიტოს გადმოსაცემი ამბის ფორმათშესატყვისი კილო და ტონი. თუ მთხრობელმა ეს მოახერხა და ზემოთქმულთან ერთად ნაფიქრი შეამკო შესაბამისი რეალურ-წარმოსახვითი ატმოსფეროთა და ზომიერი ვარაყ-ჩუქურთმით - ეს უკვე სრულყოფილი გამარჯვებაა.

რომანში თხრობა მიმდინარეობს დინამიურად, თუმცა თვალშისაცემია ზომიერი შეყოვნებებიც, რაც გარკვეულ სისადავეს, თავისებურ მიკროკლიმატსა და სიდარბაისლეს მატებს მთლიანად სათქმელს.

,,აივნიან ქალაქში" გადმოცემულია საქართველოს ისტორია მხატვრულად, ამის ქრონოლოგიური სიზუსტით. მე-19 საუკუნის საქართველოს რეალური ყოფის ამსახველი დოკუმენტური მასალები საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია. მაგრამ ისინი გაბნეულია ამ პერიოდის სახელმწიფო საქმეების განკარგულებებსა თუ საარქივო მასალებში, იმდროინელ პრესასა თუ ცალკეულ საზოგადო მოღვაწეების პირად საქაღალდეებში. ცნობილ ისტორიკოსთა და ლიტერატურისმცოდნეთა წერილები და სამეცნიერო გამოკვლევებიც ზემოხსენებულ საქართველოს ცხოვრების შესახებ მრავლად მოგვეპოვება. მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ვერცერთი ასახავს ისტორიული თუ ეპოქის კულტურული ცხოვრების ღრმაშინაარსიანი გამოკვლევა, ჩვენი აზრით, მიახლოებული სიზუსტითაც ვერ წარმოადგენს ეპოქის სულს, თუ კონკრეტული დროითი მონაკვეთის შესახებ არ შეიქმნა მრავალპლანიანი რომანი. დიახ, მხოლოდ დიდი მწერლის კარგ რომანს ძალუძს ეპოქის სული წარმოაჩინოს მრავალმხრივ - მრავალწახნაგოვანი სპექტრით, პოეტიკური მრავალფერადოვნებით, ურთულეს-უფაქიზესი შუქ-ჩრდილებით, ისე, რომ მკითხველმა საუკუნეების შემდეგ, დიდი დისტანციიდან, ამბის მსმენელად

კი არ უნდა იგრძნოს თავი, არამედ თვითონაც მძაფრად უნდა განიცდიდეს, მიუხედავად დროითი და სივრცითი სიშორისა, ცალკეული გმირის ტკივილსა თუ სიხარულს. ამ შემთხვევაში მკითხველი ფაქტებსა და მოვლენებს აღიქვამს არა ინდიფერენტულად, არამედ იგი მოვლენების შუაგულშია. რეალობას განიცდის, როგორც აღწერილი ამბების თანამედროვე. ფაქტების დინამიკას აკვირდება შიგნიდან და ამავდროულად დროითი და სივრცითი დაშორების გამო დადინჯებულად აანალიზებს წარსულში მომხდარ, თუმცა ამავდროულად თითქოსდა მის თავს გადახდენილ ამბებს. კარგ რომანს უეჭველად შეუძლია ასეთი განცდა და განწყობილება შეუქმნას მკითხველს. ასეთ რომანთა რიცხვს მიეკუთვნება, ჩვენი აზრით, ნიკოლოზ გაბაონის ,,აივნიანი ქალაქი".

თხზულება იწყება 1832 წლის ერთ ავდარ-დელგმიანი ღამის აღწერით. ვფიქრობთ, ასეთი დასაწყისი ნიშანდობლივია და აქ ავტორი საგანგებოდ უსვამს ხაზს ამ ფაქტს. ბუნება ბუნებრივად, თავისებურად კი არ მრისხანებს და ბობოქრობს, არამედ ამ მოჩვენებითი ,,ბუნება მბრძანებელიას" ქვეშ იგიც გმინავს, ოხრავს, ქვითინებს, 1832 წლის მონაკვეთში სხვანაირი ვერ იქნებოდა რეალობის სარკე ქართლის ბუნება. მრავალსაუკუნოვანი ომებით მოუძლურებული, ფიზიკურად იავარქმნილი საქართველო ფაქტიურად უბრძოლველად ხელში ჩაუვარდა ერთმორწმუნეობის ნიღბით მოსულ მტერს, რუსეთს. 1832 წელი ბევრი სხვა რამითაცაა მნიშვნელოვანი ქართველი ერის ყოფიერებაში. ეს წელი გახლავთ ერთ დროს ერის მესვეური, ამ დროს კი გვარიანად დაღლილ-მოუძლურებული თავად-აზნაურული სისხლის ბოლო ამბოხი თუ გაჩქროლება, მტრისადმი ოცდაათწლიანი ბოღმის მსუბუქი ამოხეთქვა, რომელსაც თან მოჰყვა ოცდაათი წელი, შეიძლება ითქვას, საქართველოს საოცარი მოდუნება ინდიფერენტიზმი, ხელჩაქნეულობა, სხეულობრივ-ზნეობრივი გადაგვარება. 1832 წელი მრისხანე გზაჯვარედინია თავის გათავისუფლების მცირედი იმედიდან სრულ უიმედობამდე. ამბოხის სულიჩამდგმელ მამულის გათავისუფლების მოწადინე ახალგაზრდა ქართველ თავად-აზნაურებს რუსულმა იმპერიამ დიდი ფსიქოლოგიური დივერსია მოუწყო. მარგალიტივით სრულყოფილი პატარა ქვეყნის შვილებს, რომლებსაც ალბათ იმდროინდელი სწავლების ფონზე რუსეთის ურჩხულისებრი იმპერიის უკიდეგანობა ვერ წარმოედგინათ, გადასახლების დროს გადაატარეს იმპერიის უკიდურესი სამხრეთ წერტილიდან უკიდურეს ჩრდილოეთამდე. ჩვენი აზრით, დამპყრობელმა სანახევროდ მიაღწია მიზანს. ამბოხებულებს დაანახა, როგორ უკიდეგანო მონსტრთან ჰქონდა საქმე. შიშს მართლაც დიდი თვალები აქვს. ახალგაზრდა მეამბოხეთა ერთმა ნაწილმა, როგორც ჩანს, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და გულსგარეთ თუ გულწრფელად რუსული მუნდირი მოირგო.

რომანიდან ირკვევა, რომ რუსეთის იმპერიამ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით ფაქტიურად რეალური ბერკეტების გარეშე დატოვა ქართველი სჯულისა და სულის მოძღვარნი. მაგრამ ისინი, ხშირად სასიკვდილო საფრთხის მიუხედავად, სიმართლის, ერის ფიზიკური და სულიერი აღორძინების ავანგარდში არიან. რომანის ავტორი კალმის ერთი მოსმით ხატავს სულიერად და ხორციელად ვაჟკაცი მოძღვრის სახეს. „მღვდელი შუახნის მამაკაცი, ღონიერიც ჩანდა, ღვთისნიერიც და წარბშეუხრელიც. ისეთივე მეტყველი სახე ჰქონდა, როგორც იოანე ნათლისმცემელს, რომლის თავიც საყდრის გადმონგრეული კედლის თავზე ეკიდა და ჩამოვარდნაზე იყო" (გვ. 5). პავლე მღვდელი ქართველი

სტულის კანონის მცოდნე კაცთა უკეთესი ნაწილის წარმომადგენელია. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან იგი იდეურად ეხმიანება 10 საუკუნის წინ მოღვაწე საქართველოს დიდ სულიერ მამას, გრიგოლ ხანძთელს, რომელიც საქვეყნო ზნეობრივი ნორმების დარღვევას მეფესაც კი არ პატიობს და ღვთის წმინდა და თავისი შეუდრეკელობით სასურველ მიზანსაც აღწევს.

ნიკოლოზ გაბაონი შთამბეჭდავად ახარატებს სასულიერო პირის ფიქრთა მდინარებას. ვაჟს დავითს - მღვდელს ახლაც უბეში ჰქონდა გადამალული ფალადელფოს კიკნაძის წერილი, რომლის შინაარსს მხოლოდ სანდო აზნაურებსა და თავადებს უკითხავდა" (გვ.7).

რომანიდან ნათლად ჩანს, რომ ქართული ეკლესიის ღირსეული წარმომადგენლები საქართველოს მოსახლეობის სხვა ფენისაგან განსხვავებით ყველა რეალურად ასიგრძეგანებდნენ ერთმორწმუნე რუსეთისაგან წამოსულ საფრთხეს, მტრის მზაკვრულ ბუნებას. ამიტომ არცთუ შეფარვით წინააღმდეგობისაკენ მოუწოდებდა ქართველების უკეთეს ნაწილს. ამიტომაც ჰქონდა პავლე მღვდელს საგულდაგულოდ გულთან შენახულ-დავანებული ფალადელფოს კიკნაძის წერილი. ამიტომაც ეძებს სიფრთხილითა და გულისყურით სანდო აზნაურებსა და თავადებს".

„აივნიან ქალაქში" მრავატანჯული ქართული ქვეყნის პრობლემათა რთული სპექტრია წარმოჩენილი. თავისუფლებადაკარგულ ივერიას უდიდესი უბედურება ხორს. რუსული ჩექმის ქვეშ გმინავს საქართველო. ქვეყნის უბედურებით კი, ორაკლეს რუსებისა, სარგებლობენ ქართული პურით გამოკვებილი სხვა ერებისა და მისიების წარმომადგენლები. ისინი ცდილობენ ქვეყნის შეჭირვებული მდგომარეობით თავისებურად იხეირონ. საქართველოს ავბედითი ისტორიული ბედის გამო უცხო ტომის წარმომადგენლები ცდილობენ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას და არცთუ უშედეგოდ. ყოველივე ეს იშვიათი დოკუმენტური დამაჯერებლობითა და მხატვრული ოსტატობითაა წარმოდგენილი რომანში.

ცარიზმმა ყოველგვარი უფლებები ჩამოართვა რა ქართულ ეკლესიას, ამით თავისდა უნებურად თუ მიზანმიმართულად ხელი შეუწყო დაპყრობილ მხარეებში გააქტიურებულიყო სომხური და კათოლიკური ეკლესიების წარმომადგენლები. რუსთა ორმოცწლიანი ბატონობის შემდეგ აპათიურ მდგომარეობაში მყოფი, გაჭირვებული და ზოგჯერ ახალი დროის გამოისობით დაცდენილი ადამიანთა ნაწილი იოლად ემორჩილება სიხარბეს და სხვადასხვა ფერადი კონფესიების მრევლი „ხდება" (შეადარეთ დღევანდელობას - ლ. დ).

ბატონს გამოქცეული, ქალაქში გაცბიერებულ-გაკინტოებული გლეხი გიორგი ზანდარაშილი, რომელიც ფირუზას სახელით იმალება, თავისებურად ცდილობს სარგებელი ნახოს არამართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურებისგან. უფრო მეტიც, თავის მხრივ იქით მოატყუილოს ისინი. გზაზე მიმავალი ფირუზა შეხვედრებულ ქუჩაში მოიხელთა „სუფ-სარქისის ეკლესიის მნათემ... ჩვენს ეკლესიაში მოიბათლე და ქისას ფულით გაგივსებთ". ცბიერმა კინტომ, რომლისთვისაც რწმენა და უფლის სიყვარული არაფრისმომცემი მცნებებია, წამსვე აუღო სიტუაციას ალღო. იგი ხუთ თუმნად დათანხმდა „რჯულის გამოცვლას", თან დაატანა: ათი თუმანი მომეცი და ცოლსაც „თქვენებურად" მოვნათლავ. საწუხაროდ, გარიგება შედგა. ფირუზას მშიერი ცოლი სანოვაგისა და საჩუქრის ხილვის ხიბლით იოლად დაეთანხმა სჯულის გამოცვლას. ცოტა ხნის შემდეგ სომხურ რჯულზე მონათლული ფირუზა „კათოლიკეთა საყდართან პატრმა

გააჩერა" და ,,ფრანგად გადანათვლისთვის" ფული შეთავაზა. ფირუზამ სასწრაფოდ აუღო ალღო სიტუაციას და პატრს გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ თანხმობა განუცხადა, ოღონდ ცოლი ვერაფრით დაითანხმა მესამედ ,,ფრანგად" მონათლულიყო.

რომანში ხაზგასმულადაა მითითებული არსებული რეალობა - რუსის მთავრობა სომხურ ეკლესიას აშკარად სასათბურე პირობებს უქმნის, ხოლო ,,კათოლიკე პატრებს ეჭვის თვალით უყურებდა, ავიწროებდა და დევნიდა" (გვ. 54). თუმცა კათოლიკური ეკლესიების წარმომადგენლები სხვადასხვა რეალური ბერკეტების გამოყენებით ყოველთვის ახერხებდნენ წართმეული ქონების დაბრუნებასა და ამასთანავე რუსთა საქართველოში დამკვიდრებამდე ქართველ მეფეთა დიდსულოვანი შემოწირულობის ბოროტად გამოყენებასა და საქართველოს ყვლეფას (ამასთან დაკავშირებით იხ. საინტერესო წერილი: გაზ. ,,დროება," 1883 წელი, №70).

მოგვიანებით გაქორვაჭარებულმა ფირუზამ, პრაქტიკული ჭკუის გამოისობით, კარგად იცის, რომ ,,ძალა სომეხი ვაჭრების ხელშია... ამიტომ უფრო ხშირად სომეხ ვაჭრებთან ტრიალებდა... კათოლიკეებთან კი წყალობის მისაღებად დადიოდა" (გვ. 54).

საარქივო, ისტორიულ-დოკუმენტური მასალების შეჯერების საფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ,,აივნიან ქალაქში" მწერალი იშვიათი სიზუსტით წარმოადგენს ქართველი ხალხის ეროვნული და, საერთოდ, ყოველგვარი უფლებების საოცარი უდიერებით გათელვის ფაქტებს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მშველელ-გამკითხავი არავინაა - ქართული სახელმწიფო იავარქმნილია, თავად-აზნაურობა ჯერ სანახევროდ გადაგვარებული, ხოლო ქართული ეკლესიის წარმომადგენლები ყოველგვარ უფლებაჩამორთმეულნი მცდელობას არ აკლებენ საქმის სასიკეთოდ შემოტრიალებას, მაგრამ, რეალურ ძალას მოკლებულნი, ხშირად ამაოდ.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ნიკოლოზ გაბაონი რომანში ჰეშმარიტი ჟამთააღმწერლის სიზუსტით, გულისტკივილით აფიქსირებს წარსულ მწარე, მაგრამ რეალურ ისტორიას. მწერალი ამ უსიამოვნო ამბის გადმოცემით, ჩვენი აზრით, იმიტომ დაშვრა, რომ დეზორიენტირებულ ქართველებს შეუნიღბავ მტრებთან ერთად ფარულად მოქმედი, არანაკლებ საზიფათო, ქვეყნის შიგნით არსებული ,,ვითომ მეგობარი" მცირერიცხოვან უცხოტომელთა საქმიანობაც დაანახოს.

,,აივნიანი ქალაქის" პრობლემათა სპექტრი საკმაოდ მრავალფეროვან-მრავალრიცხოვანია. მაგრამ ამ სიმრავლიდან, ვფიქრობთ, მწერალი საგანგებოდ მიგვანიშნებს ერთ-ერთზე, ყველაზე უმთავრესზე. ჩვენი აზრით, ეს გახლავთ რუსეთის მიერ წაქეზებული სომეხი საულიერო პირების, ვაჭრებისა და მოგვიანებით ბურჟუაზიის ,,ჰარმონიული" გალაშქრება საქართველოში, ქართველებისგან ნაშოვნი ფულით, ქართველების წინააღმდეგ. რომანში ეს ფაქტი არაერთგზისაა ნაჩვენები დამაჯერებლად და სარწმუნოდ. საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ,,საქართველოს ისტორიის ნარკვევებში", რომელშიც არის მაქსიმალური მცდელობა, რაც შეიძლება ჰარმონიულად წარმოაჩინონ ერთა შორის ურთიერთობები, გვერდი ვერ აქვს ავლილი სომეხი ერის წარმომადგენელთა მიერ ქართველების შეგნებულ ჩაგვრას. ,,აივნიანი ქალაქი" ქართველების კიდევ ერთი გაფრთხილებაა. "აივნიანი ქალაქი" ჩვენი დედაქალაქი

თბილისია, რომელიც სამწუხარო მიზეზების გამო საქართველოს დედაქალაქობას თამარის ეპოქის შემდეგ ფაქტიურად ვერ ასრულებდა. წინათ ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო აქ მცხოვრები უცხო ერის წარმომადგენელთა სიჭარბე, დღეს კი ქალაქის მოსახლეობით გადატვირთვაა, რომლის გამო მას უჭირს გაუმკლავდეს საკუთარ პრობლემებს და შესაბამისად გვერდით რჩება საქვეყნო საქმეების გადაწყვეტა, სადედაქალაქო ფუნქციის შესრულება. თავის დროზე თურქეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ბრაზილიამ ანალოგიური პრობლემა გადაწყვიტეს დედაქალაქის უფრო სტრატეგიულ ადგილზე გადატანით. როგორც მოგახსენეთ, აივნიანი ქალაქი თბილისია, მაგრამ რადგანაც ქვეყანაა უგულავნო და უპატრონო, ამიტომაც აივნებიც და ვერანდებიც, ჭარვასლებიცა და მოედნებიც, კარგი და არაუშავს ადგილები სულ უცხოტომელთა საკუთრებაა. რომანის მიხედვით, აბორიგენ მოსახლეობას ქალაქში ხშირად სარდაფიც კი სანატრელი გახდომია საცხოვრებლად. სომეხთა ვაჭრებს ერთმანეთთან პირი შეკრული, მტკიცედ უდგანან გვერდით ერთმანეთს, ნაციონალური მონოლითია აქვთ მოპოვებული ქვეყნის ვაჭრობა-ეკონომიკაზე და მტკიცედ აკონტროლებენ სიტუაციას, რათა ქართველთა წარმომადგენელი არ ,,შეიჭრას" ფეოდალ-ბარაქის ამ მოჯადოებულ წრეში. გაფაციცებულია სომხური სასულიერო წოდებაც. მათი ერთმანეთთან თანადგომა და კაპრიზები ხშირად უდიდეს დესპერსობამდეც მიდის. ბოლოს ისე გაკადნიერდნენ, მე-19 საუკუნის მიწურულს ანტიკათოლიკასიის მეფისნაცვალ გოლიცინს მკვლელიც კი მიუგზავნეს, რამეთუ ეს უკანასკნელი ვერ დაიყოლიეს დაებრუნებინა სომხური ეკლესიისთვის წართმეული მიწები. ქართულ ეკლესიას მიწები უკვე კარგა ხნის წართმეული ჰქონდა.

როგორც რომანშია ნაჩვენები, ქართველი ვაჭარი ზემოარსებული ვითარების ფონზე როგორი შრომისმოყვარე, გაბედული, ანგარიშიანი, დაუღალავი და გამრჯეც არ უნდა ყოფილიყო, ვაჭრობით იგი ჭონებას ვერ დააგროვებდა. ფიზიკურადაც ვერაფერს გახდებოდა, რადგან უზარმაზარი კაპიტალის მფლობელი სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენლები ერთმანეთთან მტკიცე შეთანხმებით ასეთი ქართველის ბიზნეს-საქმიანობას უმოკლეს დროში ,,დაძირავდა." ამის მაგალითები რომანში საკმაოდ უხვად და დამაჯერებლადაა წარმოდგენილი. ქალაქელ ვაჭარ ფირუზასთან თავშეფარებული, იარალ ჩამოართმეული ოსმალოზიშვილზე შურისმაძიებელი ფანდურაანთ იოსები ვაჭრობით საკმაოდ გამდიდრდა, მაგრამ მას კიდევ უფრო წინსვლაში, ფართოდ მხრების გაშლაში ხელს უშლის თავისი ქართველობა. და ეს ხდება ავნიან ქალაქში, საქართველოში. ველს დახარბებული პრაქტიკული ჭკუის კაცი იოსებ ფანდურაშვილი გრიგოლ ბანდაროვი გახდა და ,,პრობლემაც გადაწყდა". ცალკე საუბრის თემაა ბატონ გაბაონის ხელოვნური ოსტატობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ თხზულება საკმაოდ მოცულობითია (640 გვერდი), იგი თავიდან ბოლომდე ერთი ამოსუნთქვით, დიდი ინტერესით იკითხება. უზუსტესადაა შერჩეული და გადმოსაცემ ამბავთან მაქსიმალურადაა მისადაგებული სათქმელის ფორმა და სტილი. რომანის ფრაზა პლასტიკურია, დინამიური და მოქნილი, ზომიერი და ექსპრესიული, დროითი ეგზოტიკით დაყურსული. ,,აივნიანი ქალაქის" დროითი სივრცე საკმაოდ ლოკალურია: მოქმედება იწყება 1832 წლიდან და სიუჟეტურად გრძელდება 25-30 წლის განმავლობაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს რომანი დააკმაყოფილებს ამ ჟანრის თხზულებისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშანდობლივ მოთხოვნას. ამასთანავე, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ამ დიდებულმა, მრავალმხრივ საინტერესო თხზულებამ უაღრესად დიდი მისია

შეასრულა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, რადგანაც, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არ გვქონდა ამ პერიოდის ამსახველი ასეთი, მონუმენტური რომანი, რომელიც ამ ეპოქის საქართველოს მხატვრულ მატიანობას გასწევდა.

ბოლოს, სამწუხაროდ, დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ამ მშვენიერ რომანში დასმული პრობლემები საქართველოსათვის დღესაც ისევ გადაუჭრელია. ამის გამო კიდევ უფრო იზრდება ამ თხზულების მნიშვნელობა, რამეთუ ის გახლავთ სიფრთხილისაკენ მოწოდება, რადგან მტერი გალავნის იქითაც დგას და აქეთაც; მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ქვეყანას გალავანი საერთოდ არ შემორჩენია, მისი კონტურები ილანდება მხოლოდ. ყველაზე სახიფათო მაინც შიდა მტერია, ნახევრად ხილული და ნახევრად უხილავი, ციხექალაქის ციხის კარის შიგნიდან გამღები.

ქუთაისი, 2008 წელი, 28 აგვისტო.

LUKA DVALISHVILI, VLADIMER TSVERAVA

TRDITIONS OF THE GEORGIAN NOVEL AND TROUBLESOME QUESTIONS OF GEORGIA'S HISTORY IN *THE CITY WITH BALCONIES* BY NIKOLOZ GABAON

The Georgian novel of the 20th century can be referred to as the national novel that had quite naturally and with effortless ease familiarized general problems, as well the aesthetic varieties and peculiarities, flexibility and dynamic nature of genres of the world literature. The Georgian novel, as the means and form of epic expression, has exposed limitless and unique capacity and vivacity of the genre. Modern Georgian novel has impressively featured the most compound problems of modern times as well as the severe tempests of history.

The City with Balconies features the history of Georgia with complete masterly and almost with chronological precision. I admit that none of the deeply comprehensive cultural studies of the epoch is able to convey the spirit of the period unless there is a multi-dimensional artistic creation in the form of novel about the particular time-span. *The City with Balconies,* as a historic-artistic-documental saga can easily be assigned to such creations.

ნინო ეჯიბაძე

ფშავური დაქადაგება და არაბული ზარი

სრულიად სხვადასხვა ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების მქონე ხალხში აღმოჩნდება ხოლმე ფოლკლორის, წეს-ჩვეულებათა და ხალხურ რიტუალთა მსგავსი მოტივები და ელემენტები. ამგვარ მსგავსებათა საფუძველი, იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემულ ერებს ერთმანეთთან რაიმე სახის მჭიდრო ისტორიული კავშირი არ ჰქონიათ, უნდა იყოს იმ საერთო პრობლემების, საერთო ინტერესებისა და წარმოდგენების არსებობა, რომლებიც განვითარების გარკვეულ ეტაპზე შეიძლება ახასიათებდეს ზოგადად ადამიანთა მოდგმას განურჩევლად რელიგიური თუ ეროვნული კუთვნილებისა, მათი სასიცოცხლო გარემოს თავისებურებების მიუხედავად. არაა მკითხველისთვის უცნობი ის ფაქტიც, რომ თითქმის ყველა ერის (თუ არა ყოველი ერისა) შემეცნებაში ფესვგადგმული იყო უძველესი დროიდან წარმოდგენები, რომ არსებობს ბუნებაში ძალები, რომლებიც არეგულირებენ ისეთ მოვლენებს, რომლებზე გავლენაც ადამიანს არ ხელეწიფებოდა. სხვადასხვა ეპოქისა და ერების ფოლკლორი და არქაული რელიგიური წარმოდგენები იცნობენ ღმერთებსა თუ სულებს, რომლებიც ფლობენ ბუნების, ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის, კეთილდღეობის, ნაყოფიერებისა და სხვა საიდუმლოებებს. გასაგებ მიზეზთა გამო, საერთოა სხვადასხვა ერების წარმოდგენაში ისიც, რომ ამ ძალების, სულებისა თუ ღმერთების ნაწილი კეთილია, ნაწილი — ბოროტი. თუმცა, თვით ყველაზე კეთილი ძალებიც კი ხშირად სჭირდებიან ადამიანს გარკვეული შეცდომებისთვის, ადამიანისგან მოითხოვენ პატივისცემას, განსაზღვრული წესების მიმართ შეწირულებასა და, ასევე, შესაწირს.

მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტეს სხვადასხვა დროში ქართული წარმოშობის მმართველებიც ჰყავდა მამლუქების სახით, ასევე მუჰაჯირობის პერიოდში საქართველოდან ეგვიპტეში გადასახლებული ქართული ძირის ტომებიც არსებობენ, ძნელად თუ შეიძლება ითქვას, რომ არაბულ, ეგვიპტურ და ქართული მთიანეთის მოსახლეობას შორის რაიმე მჭიდრო კულტურული კავშირები ყოფილიყო განვლილი საუკუნეების მანძილზე. ამისდა მიუხედავად, არის ტრადიციები, რომლებიც საქართველოს მთიანეთსა და ეგვიპტეში გარკვეულ მსგავსებას ავლენენ.

დაქადაგებას ფშავში უწოდებენ მდგომარეობას, როდესაც ადამიანს, უმეტესად ქალს, ხატის წინაშე ჩადენილი რაიმე დანაშაულისთვის ეს ხატი სჯის. დასჯა, ძირითადად, გამოიხატება ადამიანის დროებითი ფსიქიკური აშლილობით. დაქადაგებული ადამიანი თავის საქციელს ვერ აკონტროლებს, მკვეთრ შორაობებს ასრულებს, გაუგებრად ბოდავს. იმისთვის, რომ დაქადაგებული ადამიანი გამოჯანმრთელდეს, ხატს გულის მოსალბობად მსხვერპლი უნდა შესწიროს.

მსგავსი წარმოდგენა, რომლის საფუძველიცაა ადამიანზე გარკვეული საკრალური ძალების ზემოქმედების რწმენა, ეგვიპტისა და ზოგი სხვა არაბული ტრადიციებისთვისაცაა ცნობილი. ეს გახლავთ ზარის რიტუალი. ითვლება, რომ არიან სულები, ჩვეულებრივ, უსხეულო გონიერი არსებები, რომლებიც

ორ ჯგუფად იყოფიან: ჯინები და საიდები.[1] ამათგან, ჯინები უფრო ბოროტები არიან, ვიდრე საიდები. ორივე მათგანი გაუწყრება ადმიანს, თუ ის აკრძალულს ჩაიდენს. აკრძალულად ითვლება: ღამით ან კარის ზღურბლზე წყლის დაქცევა, უწმინდურ ადგილას დაბიჯება და მსგავსი მოქმედებები (ფატიმა ალ-მისრი, 1975, გვ. 18). სულთა გაწყრომა იწვევს ადამიანის ავადმყოფობას, ძირითადად ფსიქიკური ან ფსიქოლოგიური ხასიათისას. თუ საქართველოში ასეთი პრობლემების ადამიანებს შეპყრობილებს უწოდებენ, ეგვიპტურ ტრადიციაში მათ ეძახიან "მამსუს"-ს, ანუ "ას, ვისაც (ჯინები და საიდები) შეეხნენ". გარკვეული მსგავსება მოცემულ ლექსემებშიც თვალსაჩინოა. სულთა გაწყრომამ ქალის სოციალურ სტატუსზედაც შეიძლება გავლენა მოახდინოს, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი ვერ თხოვდება. სულების გამოისობით ხდება ხოლმე ისიც, რომ ქალი სულ დროზე ადრე მშობიარობს ან მკვდარ ნაყოფს შობს.

ზარის ტრადიციის მიხედვით, არის საშუალება მსგავსი პრობლემების გადაწყვეტისა. ავადმყოფი მიდის ადამიანთან, რომელსაც სულებთან კავშირის დამყარება შეუძლია, ესაა "ქოდია". ქოდია ავადმყოფს გამოართმევს ტანსაცმლის ნაწილს, ე.წ. ატრს. შეასრულებს რიტუალურ განწმენდას, წაიკითხავს სპეციალურ შელოცვებს და ატრს სპეციალურად ამ შემთხვევისთვის განკუთვნილი ავგაროზით შეამკობს, რომელსაც ჰირზი ან ჰიჯაბი ჰქვია. ეს გახლავთ ქაღალდის ნაკუწზე დაწერილი ტექსტი, რომელსაც ადრე აუცილებლად ზაფრანის ნაყენით ასრულებდნენ (ადილ ალ-ალიმი, 1993, გვ. 156), დღეს ამ საქმისთვის წითელი ან მწვანე მელანიც გამოდგება. ქოდია ავგაროზით შემკულ ქსოვილს შვიდჯერ გაატარებს ნელსურნელებაში და ბალიშის ქვეშ დაიდებს. იმ ღამეს მას დაესიზმრება საიდი ან ჯინი, რომელიც ამ ადამიანს გაწყრომია. მეორე დილით ქოდია მზადაა განაცხადოს, რა შესაწირია საჭირო სულის შემოსარიგებლად და ნიშნავს ზარის რიტუალის თარიღს. საქმე რთულდება, როცა გამწყრალი სული ჯინია. ჯინები, როგორც აღინიშნა, უფრო ავები არიან, მისით შეპყრობილი ადამიანი განწირულია. საიდების შემორიგება შესაძლებელია გარკვეული მუსიკის, ტექსტების — საიდის მიმართ მიძღვნილი სადიდებელი ოდებისა და რიტუალურ ღონისძიებათა მთელი ჯაჭვის მეშვეობით, რაც წარმოადგენს კიდეც ზარს. ზარის წარმმართავთა მიზანია, ავადმყოფი მიიყვანონ ტრანსის მდგომარეობამდე, რადგან მხოლოდ ამის შემდეგაა მისი გამოჯანმრთელება მოსალოდნელი.

ზარის სულების რიცხვი 44-ს აღწევს. ტრადიციულად ითვლება, რომ ზოგი მათგანი მუსლიმია, ზოგი ქრისტიანი, ზოგიც კერპთაყვანისმცემელი; ზოგი მათგანი არაბია, ზოგიც — ბერძენი ან ჩინელი (იხ.: ფ. ბეჰმანი, 1953; ს. უოქსი, 1984; ს. კენიონი, 1999; პ. შინერლი, 1983). თითოეულ მათგანს თავისი ჩვევები აქვს. მაგალითად, ე.წ. წითელ სულტანს წითელი მამალი ან დედალი უნდა დაეკლას, მისი ზარის დროს წითელი ფერი უნდა სჭარბობდეს ტანსაცმელსა და აქსესუარებში; ალ-გინდის ნაცრისფერი კრავი უნდა შეეწიროს, მისი საყვარელი ფერი ნაცრისფერია და ა.შ. ნიშანდობლივია, რომ სულებსა და საიდებში არსებული იერარქია სულაც არ იმეორებს მუსლიმური სამყაროსთვის

1 ზარის ჯინები განსხვავდებიან არაბულ ფოლკლორსა და ყურანში ცნობილი ჯინებიდან. ეგვიპტეში სიტყვა "ჯინი", როგორც ეპითეტი, ცუდს, ბოროტს ნიშნავს (იხ. აჰმად ამინი, 1999, გვ. 212). ზარის ჯინები არ უნდა განვიხილოთ ყურანისეული ჯინების ზუსტ ანალოგიად, თუმცა, ისინიც ასევე უსხეულო გონიერ არსებებს წარმოადგენენ (ნ. ფურცელაძე, 1969, გვ. 375; ყურანი, 55, გვ. 14; გ. ლობჟანიძე, 2006, გვ. 329).

დამახასიათებელ პატრიარქალურს. სუ — წითელი სულტნითურთ, ამასთან, დიდი ქალბატონი უფრო ძლიერ და გავლენიან საიდად ითვლება. თუმცა, ყველაზე კიდევ უფრო ძლიერი სულია ამ წყვილის ქალიშვილი **რუქუში** — ბატარა გოგონა-ჯინი, რომლის გაჯავრებას ადამიანისთვის ფატალური შედეგი მოაქვს.

როდესაც გამწყრალი სულის მიმართ ოდები შესრულდება, ავადმყოფი ტრანსს განიცდის, შესაწირი დაიკვლება და მისი სისხლით ავადმყოფის შუბლი და ამ რიტუალისთვის საგანგებოდ შერჩეული ტანსაცმელი შეიღებება, გამოსაჯანმრთელებლად ავადმყოფს რამდენიმე დღე ეძლევა. ამ დროის მანძილზე მასთან არავინ შედის, გარდა მომვლელისა, რომელიც უხმოდ აწვდის საკვებს. „ამდენი დღე უნდა გაატაროს ავამდყოფმა მარტო, ამასაც ქოდია წყვეტს სულებთან შეთანხმებით“. ამ პერიოდის გავლის შემდეგ განწმენდილი ავადმყოფი ტირიდან გამოდის და ახალ ცხოვრებას იწყებს.

ერთი შეხედვით, თითქოს ფშაურ და ეგვიპტურ ტრადიციებს შორის დიდი მსგავსება არ შეიმჩნევა. მაგრამ, მეორე მხრივ, მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი: ფშაურ და, ზოგადად, საქართველოს მთიანეთის ამ და სხვა ტრადიციებში ღრმად არის აღრეული ქრისტიანული რელიგია და ქრისთაფვანისმცემლობის პერიოდის ელემენტები. გამოდის, რომ ქრისტიანობის მიღებით ხდება ზოგი ისეთი ძველთაძველი ტრადიციის პრაქტიკა, რომელიც ქრისტიანობიდან პირდაპირ არ გამომდინარეობს და თავისი ასაკით ქრისტიანობაზე ხნიერიც შეიძლება იყოს. ერთ-ერთ ასეთ მოვლენად, ალბათ, უნდა განვიხილოთ დაქადაგებაც. შესაძლებელია ეგვიპტურ ტრადიციასთან ერთგვარი პარალელის გავლება: ზარის პრაქტიციონერები მუსლიმებად თვლიან თავს, მაგრამ ზარის რიტუალი, რომელშიც დასტურდება მუსლიმური მოტივები, წმინდა მუსლიმურ ღონისძიებად არანაირად არ შეიძლება იქნეს განხილული. თუთ ზარი თავისი ასაკით უძველესი დროიდან არსებული რიტუალი უნდა იყოს, თუმცა ეგვიპტის ტერიტორიაზე იგი მოგვიანებით გამოჩნდა. სუდანელი და ეთიოპიელი მონების საშუალებით XIX საუკუნეში შევიდა ეგვიპტეში (ლ. ბეჰმანი, 1953, გვ. 2). მისი ხანმოკლე ისტორიის მიუხედავად, ამ ქვეყანაში მოსახლეობის გარკვეულმა ფენამ იგი კარგად აითვისა და საკუთარი ელემენტებითაც გაამდიდრა. მუსლიმური საზოგადოება, ისევე როგორც, ქრისტიანობაში, ჭართულიც, მაინც პატრიარქალურია. ამ ფონზე, საინტერესოა, რომ ორივე რიტუალის მთავარ მოქმედ პირად ქალი გვესახება. ამას გარკვეული მიზეზები უნდა ჰქონდეს. ისევე, როგორც ფშავში (ვაჟა-ფშაველა, 1986, გვ. 582-583). ეგვიპტეშიც ქალი მიმართავს საკრალურ ძალებს, რათა გარკვეულ მოვალეობებს თავი დააღწიოს. ორივე საზოგადოებაში მამაკაცისთვის გაცილებით მარტივია თავი აარიდოს ცოლ-ქმრული მოვალეობის შესრულებასაც, გარკვეულ ფიზიკურ სამუშაოსაც, თუ მას ეს არ სურს. მამაკაცი, როგორც ოჯახის უფროსი, თვითონ წყვეტს, როგორ მოიქცეს. ქალი მამაკაცის წინაშე ხშირად დუმილია. ამიტომ, იმისთვის, რომ საწადელს მიაღწიოს, ფშაველი ქალი თავს ავადმყოფებს და ხატს აბრალებს, "მაწმინდებსო“ — ე.ი. მამაკაცთან წოლას მოერიდავსო (ვაჟა-ფშაველა, 1986, გვ. 582-582). ამ "ეშმაკობით“ იგი ახერხებს, თავი დააღწიოს არასასურველ მამაკაცს. ეგვიპტეში ქალი, რომელსაც ქმარი ამის საოჯახო საქმეების გაკეთებას აიძულებს, ასევე თავს იავადმყოფებს და „სულებს“ აბრალებს, ისინი მიკრძალავენ მუშაობასო. შედეგად უნდა მოეწყოს

ზარი. შემდეგ, ქოდიას დახმარებით, სულებთან დაიდება კონტრაქტი, მოხდება შეპირება, რომ ეს ქალი ამა თუ იმ საქმეს აღარ შეასრულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სულები უარესად გაწყრებიან. ამგვარი მიზეზით გამართულ ზარს, როგორც წესი, მოსდევს ოქროს სამკაულის ან ახალი ტანსაცმლის შესყიდვაც ქალისთვის (ფ. ბეჰმანი, 1953, გვ. 11), რაც ასევე სულებისგანაა ნაბრძანები. გამოდის, რომ ქალი, რომელიც თავს დაჩაგრულად გრძნობს და მოცემულ საზოგადოებაში დამყარებული წესების გამო თავს თვითონ ვერ იცავს, იძულებული ხდება, მიმართოს გარკვეულ ძალებს, რომლებიც ადამიანზე მაღლა დგანან. ერთ შემთხვევაში ეს არის ხატი, მეორეში — საიდები და ჯინები, და მათ ნაბრძანებს გადააბრალოს საკუთარი სურვილი. შემდეგ კი - ეწიოს საწადელს, როგორც აუცილებელ ვალდებულებას. ამ შემთხვევაში ფშაველ მამაკაცს, ისევე, როგორც ეგვიპტელს, ხატებისა და სულების მორჩილების მეტი არაფერი დარჩენია. და, ალბათ არის კიდევ ერთი პარალელის გავლების საშუალებაც. ორივე შემთხვევაში არის შუამავალი ადამიანი, რომელსაც ენდობიან: ერთ შემთხვევაში მეტი ხელისუფლებისა და ფუნქციების მქონე ხევისბერი, მეორე შემთხვევაში ნაკლები ძალაუფლების მქონე ქოდია, რომელთაც საერთო ის აქვთ, რომ მათ იციან მეტი, ვიდრე უბრალო ადამიანებმა. ასევე, ორივე შემთხვევაში ავადმყოფობა, ძირითადად, ფსიქიკური ხასიათისაა, რომლის სიმულაცია შედარებით ადვილია. ამასთან, ისიც უფრო მარტივადაა შესაძლებელი, რომ ადამიანი, რომელსაც ცხოვრება უწევს თავისთვის არაკომფორტულ პირობებში, მართლაც შეიძლება დაავადდეს გარკეული ფსიქიკური მოშლილობით, რომელიც მოსალოდნელია განიკურნოს გამაღიზიანებელი ფაქტორის არარსებობის შემთხვევაში. მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ ორივე მოცემულ საზოგადოებაში ტრადიციული წეს-ჩვეულებების მიმართ რწმენის ფაქტორს.

დამოწმებული ლიტერატურა

عادل العالیمی، الزار ومسرح الطقوس، القاهرة، - ადილ ალ-ალიმ,1993

أحمد أمین، قاموس العادات والتقالید والتعابیر المصریة، القاهرة، - აჰმად ამინი, 1999

ფ. ბეჰმანი, 1953 - F. Behman, The Zar in Egypt, project for the Bachelor's degree, Cairo, 1953.

ვაჟა-ფშაველა, 1986 - ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1986.

გ. ლობჟანიძე, 2006 - ყურანი, გ. ლობჟანიძის თარგმანითა და შესავალი წერილით, თბ., 2006.

فاطمة المصری، الزار،القاهرة، - ფატიმა ალ-მისრი, 1975

ს. უიქსი, 1984 - S. Weeks, Silver Zar Amulets, in Cairo Today, February, 1984.

ნ. ფურცელაძე, 1969 - 1001 ღამე, თარგმანი და კომენტარები ნ. ფურცელაძისა, თბ., 1969.

ს. ქენიონი, 1999- S. M. Kenyon, The Case of the Butcher's Wife, in: Spirit Possession Modernity and Power in Africa, Madison, 1999.

القرآن الکریم، تهران، ١٤١٣ هـ - ყურანი, 1413 (ჰ)

პ. შინერლი, 1983 - P. W. Schienerl, Amulets in Modern Egypt, in: Ornament, 6, 1983.

NINO EJIBADZE

PSHAVIAN *DAKADAGEBA* AND ARABIC *ZAR*

It happens, that in folk arts and traditions of an absolutely different people turn out similar motives and elements. The base of these similarities could be existence of the same problems, interests and ideas, which characterizes people in general on a definite stage of them development independent of them nationality or inhabitation environment. There are interesting resemblance between the Pshavi ritual of *Dakadageba* and Arabic *Zar*. In the present article are discussed some similarities of these traditions which confirms in life of these two absolutely different nations and present itself as some kind of mix, on a one hand of Christianity and idolaty, and on the other hand – Islam and idolaty. The resemblances occur in the following points: the principal heroes of the both rituals are women, which are punished by sacral powers. The both of societies are patriarchal, where women feel her self oppressed. In both of the rituals presents mediators between the human and the sacral powers. And, finally, in the both of the cases sickness of the human is, on the whole, of a mental, psychic or psychological character.

ია ვაშაკიძე

ეროვნული თვითობის აღორძინების საკითხი აჭარაში ფრიდონ ხალვაშის რომანის - "ომრის" მიხედვით

ჯერ კიდევ აგიოგრაფიულ მწერლობაში განმტკიცებული აზრის თანახმად, ენა და სარწმუნოება ურთიერთგადაჯაჭვულ ფაქტორებს წარმოადგენენ ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების განსაზღვრისათვის. ამ თვალსაზრისით, საინტერესო მასალას გვაწვდის ცნობილი ქართველი მწერლის — ფრიდონ ხალვაშის ავტობიოგრაფიული რომანი "ომრი", რომელშიც ასახულია ოსმალეთის იმპერიის ბატონობისაგან განთავისუფლებული აჭარის ვითარება საბჭოთა რეჟიმის ფონზე.

ბ-ნი ფრიდონის ბავშვობისდროინდელი მოგონებებიდან აშკარად ჩანს, თუ რა უარყოფითად იმოქმედა ძირძველ ქართველთა ეროვნულ ფსიქიკაზე იმპერიულმა პოლიტიკამ, რომელიც ძირითადად რელიგიის ძალდატანებით შეცვლაში გამოიხატა; კერძოდ, "ქართველი ვარო, — ამის თქმა ცოდვად ითვლებოდა (გვ. 33). "გაქართველება" და "გაგიაურება" სინონიმურ სიტყვებად იქცა; როდესაც მწერალმა მოწაფეობის ადრეულ წლებში, ხოჯასთან უსიამოვნო შემთხვევის გამო, თავი დაანება მედრესეში სიარულს, სოფლის ერთი დიდინენესგან საყვედური მიიღო. ვიმოწმებთ ნაწყვეტს:

— რა ქენ, ნევ, გაგიაურდი? გაქართველდი?!... შენ მაი არნა ქნა. ჰო, ნევ, ჰო...

არადა, გაგიაურება, რომლის სინონიმადაც, ჩვენდა საუბედუროდ, "გაქართველებაც" იქცა, მართლაც მეწადა (გვ. 9).

ზემოთქმულთან მჭიდრო კავშირშია ბ-ნი ფრიდონის დაკვირვება კუთხის მეტყველებაში დადასტურებულ სიტყვებზე: "გადამ(ი)ქართულდა" და "ნაქართლი":

"გადამიქართულდა" — ამ სიტყვით გამოხატავენ იქაური ჩვენები გადავიწყებას (გვ. 178);

"გადამქართულდა. ესე იგი — გადამავიწყდა, გადამელია, გადამეკარგა ჩემს ქართველობასავითო"(გვ. 44).

"მამაჩემი, ხანდახან ამა თუ იმ ... ისტორიულ ადგილს "ნაქართლს" ეძახოდა. ნაქართლი! ესე იგი, ქართველების ნამყოფი, ქართველთ ნამოსახლარი ადგილიო" (გვ. 44).

— ისინი, — ქართველები...ჩვენ, ჩვენ ვინა ვართ, ბაბი? — შევკითხივარ.

— ვინ ვართ? რა ვიცი, ვინ ვართ, — მუსლიმანები! (გვ. 44).

კითხვაზე: " ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ვართ ქართველები თუ არა?" მწერალი პასუხად იღებს:

— ვიყავით ქართველები, მარა მემრე მუსლიმანები გავხდით (გვ. 45).

წარმოდგენილი მასალა აშკარად მეტყველებს, როგორი ღრმა კვალი დატოვა თურქ დამპყრობელთა მცდელობამ, რელიგიის ძალით ეროვნება წაერთმიათ დაპყრობილი კუთხის მოსახლეობისათვის. ბ-ნი ფრიდონი მიუთითებს: "დღესაც ვერ გამოსულა აჭარა მთლიანად იმ უბედურებიდან, რამაც მას თავისი თავის ცნობის გრძნობა და ეროვნულობის მოთხოვნილება წაართვა" (გვ. 44).

"ქართულ მუსლიმურ ოჯახში აღზრდილი" და "ნებასურვილით ქართულ მართლმადიდებლობაში დაბრუნებული" მწერალი შენიშნავს, რომ საქართველოს სიყვარული მუსლიმანმა ნენემ ასწავლა, რომელიც ქართული სიტყვით მიმართავდა ღმერთს, ამიტომ "მის ლოცვას მარტო ქრისტე თუ გაიგონებდა" (გვ. 170). მოყვანილი ამონარიდი მოწმობს, რომ, მიუხედავად ოსმალთა ხანგრძლივი

სტორობისა, მუსლიმანობამ ისე მაინც ვერ გაიდგა ფესვი აჭარაში, რომ ეთნობრივი და ენობრივ-ეთნიკური იდენტობა წაეშალა.

სწორედ ენამ გადაარჩინა იძულებით გამუსლიმანებული ქართველი და შეინარჩუნა ფსიქოლოგიური ერთობა ქრისტიან საქართველოსთან.

აქვე, ინტერესმოკლებული არ იქნება, გავიხსენოთ მწერლის მოგონება: როდესაც თურქეთის საქართველოდან მომავალმა პოეტებმა წყაროსთან შეისვენეს, მათ საუბარს ყური მოჰკრა პატარა ჩვენებურმა და იქვე მაღლა, ყანაში მომუშავე დედას გასძახა: "ნენე, ისე გავ (ისე ჩანს), ჩვენებურა ლაპარიკობენო"; დედა თავსაბურავი შეისწორა და მორიდებით მიიპატიჟა პოეტები: "მობრძანდით ჩვენთან, ჩვენც თქვენი ვართო" (გვ. 198).

1978 წელს, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნება-შემოერთების 100 წლისთავთან დაკავშირებით, ბ-ნმა ფრიდონმა გამოსცა ლექსების კრებული ასოთურით: "ასი მზე დედის გულისა", რომელშიც დროთა უკუღმართობით დაბეჭდილი, მაგრამ "ქართული ენით შეკრული" სამშობლოს სახე წარმოადგინა (გვ. 265-266). ქართულ სიტყვას მონატრებული ჩვენებურის სევდიანი და მოლოდინიანი განცდაა გამოხატული მის ლექსში: "მითხარ, როგორაა მემლექეთი..." ქართულმა სკოლამ, ქართულ კლასიკურ მწერლობასთან ზიარებამ სასიკეთო ნაყოფი იქონია ახალი თაობის ეროვნული შეგნების ჩამოყალიბებაზე. როგორც ცნობილია, ფრიდონი იხსენებს, რუსთაველის 800 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, აჭარის სკოლების უფროსკლასელებმა სოფელ-სოფელ დაიწყეს ჩაწერა-შეგროვება, თუ ადგილობრივ სამეტყველო ცოცხალ დიალექტში ვეფხისტყაოსნური რომელი სიტყვები იყო შემორჩენილი. დადგინდა, რომ "ყველა კუთხესთან შედარებით, რუსთაველის მიერ გამოყენებული სიტყვები (ახლანდელ მეტყველებაში) ყველაზე მეტი აჭარულში აღმოჩნდა" (გვ. 69). ცნობილი ფაქტია, რომ რამდენიმე საუკუნით საერთოქართველურს მოწყვეტილმა აჭარულმა დიალექტმა თურქულენოვან გარემოცვაში დააკონსერვა და თითქმის უცვლელად შეინახა ადრინდელი პერიოდის ენობრივი ვითარება, თუმცა, ამავე დროს, თავიდან ვერ აარიდა თურქული ლექსიკური ნასესხობანი, რაზეც ავტობიოგრაფიული რომანის ავტორი წოდების წარმომავლობაც მეტყველებს ("ომრი" — შ. ნიჟარაძე).

ეროვნული მწერლობის ცოცხალ კლასიკოსებთან ურთიერთობამ და განსაკუთრებისთან სიახლოვემ "კიდეც უფრო შეაყვარა" პოეტს თავისი "დარდიანი ქვეყანა" (გვ. 48), შთააგონა, "აჭარაში გადარჩენილი ქართული სიტყვით" ეროვნული ემსახურა ერის გამაერთიანებელი იდეალებისათვის" (გვ. 46). მისი სიმბოლიკა გამოხატულია ახალდაარსებულ გაზეთ "მთიელების" შეფასებაში: "ეს გაზეთი... ძალიან თანადროული(აქტუალური) უნდა იყოს. მან უნდა ჩვენებურთ უფრო ნათლად, სიყვარულით, უფრო მშობლიურად... მოუთხროს და აუხსნას, თუ რა მადლი და ხიბლი ძევს ჩვენს წინაპრულ რწმენაში, რომლის ძეგლიც მშვენდა და რომელმაც შეინახა ქართული ეროვნულობა — ჩვენი კაცობის საბოლოო ბეჭედი" (გვ. 225).

ბ-ნი ფრიდონი საგანგებოდ მსჯელობს მშობლიური კუთხის სიყვარულზე, როგორც ზოდადეროვნული ცნობიერების საფუძველზე, ერის მთლიანობის შეგრძნების ფუნდამენტზე, კერძოდ, ავტორის აზრით, მშობლიური სოფლის თუ კუთხის (ამ შემთხვევაში — აჭარის) სიყვარული სრულიად საქართველოს სიყვარულად ზოგადდება. "შენი კუთხური, ერთი ჭაჭვი (პეშვი) სიკეთე ეროვნულში ასლად თუ ჩაუმატე, სამშობლო თავისი ხალხის მთლიანობის მადლით ძალიან მდიდრდება, მაღლდება, ლამაზდება. შენც შენი კუთხიდან შემატებული ცრემლით და ერთგულებით მემლექეთის ბატონ-პატრონი ხარ" (გვ. 31). პოეტი "ქედაში

გეგელიძეებელია (სოფელი ქედის რაიონში), ბათუმში — ქედელი, თბილისში — ბათუმელი, ყველგან — ქართველი“ (გვ. 30).

მზარდი ეროვნული თვითობის ამსახველია აჭარაში “მოულოდნელად“ გაჩაღებული სახელების გამოცვლა, “ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, სახელების დაბრუნება-აღდგენა“ (გვ. 50), რასაც კვალდაკვალ მოსდევს მამუდ/მამია ვარშანიძის მრავლისმთქმელი პოეტური სტრიქონი: “ჩემი სახელი სამას წელიწადს ტყვედ ჰყავდათ თურქებს...“ (გვ. 51).

მოსკოვში ყოფნისას თურჩი პოეტის — ნაზიმ ჰიქმეთის შეკითხვაზე, რატომ იცვლით სახელებს აჭარაშიო? ბ-ნ ფრიდონს უპასუხია: — კი არ ვიცვლით, სახელებს ვიბრუნებთო (გვ. 100), რითაც გამოხატა სწორი საზოგადოებრივი პოზიცია ძირეული ქართული და ქრისტიანული მრწამსის ამსახველი სახელების აღდგენის საკითხში.

ამაღლებული ქართველური სულისკვეთების გამომხატველია ქვეყნის ერთიანობის განცდა, რომ აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილია. მწერალს მოსვენებას არ აძლევს სადღაც ამოკითხული სიტყვები აჭარა-მესხეთის ერისთავის, სელიმ ხიმშიაშვილისა, სიკვდილის წინ რომ უთხრა ჯალათს: “ჩემს სხეულს რომ ჩემი თავი მოაცალოთ, ეს ძნელი არაა, მაგრამ საქართველოს სხეულს აჭარა არასოდეს არ მოსცილდებაო! (გვ. 90). ბ-ნი ფრიდონი ასევე არ ივიწყებს პოეტ გიორგი ლეონიძის სევდანარევ სიტყვებს თურქეთის საზღვრებში დარჩენილ “გაღმეთზე“, ათასჭირგამოვლილ ტაო-კლარჯეთზე: “ისე დავბერდი, ველარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...“ (გვ. 142). საზოგადოებისათვის ცნობილი ფაქტია, რომ გოგლა თავს ძველ იმერხევლად თვლიდა.

თურჩი მესხების შესახებ მსჯელობისას ბ-ნი ფრიდონი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საკუთარი ქვეყნის წარსულისა და ისტორიის არცოდნა მიზეზი ხდება ქვეყნის ეროვნული ტრაგედიისა: “მუსლიმ ქართველს, სამწუხაროდ, ქრისტიანი მოძმე ხშირად თათარს ეძახის... მდაბიოთა ამ საბედისწერო მიმართვამ (როცა უწიგნურნი რელიგიას, ე. ი. ისლამს, შეცდომით, ეროვნებადაც თვლიან) ტრაგიკული ცოდვა გამოიწვია (გვ. 240).

მოსაზრებას, თუ რამ გადაარჩინა აჭარლები, მესხებისგან განსხვავებით, მწერალი ხსნის ამ ორი კუთხის განსხვავებული რელიეფით; კერძოდ, აჭარის “მთიან-ტყიან-წყლიანი მხარე“, რომელიც აქაურებისთვის სანუკვარია (მუჰაჯირმა ქართველებმაც ასეთი ადგილები აირჩიეს საცხოვრებლად), უვარგისი აღმოჩნდა ბუნებით მწყემსი, “გაშლილი ველ-მინდვრების“ მოყვარული თურქისთვის, “აჭარაში სწორედ ამიტომ და არა აჭარელთა წინააღმდეგობის გამო, თითქმის არ დამკვიდრებულა თურქი“; მესხეთის რელიეფი კი უფრო მისაღები აღმოჩნდა მისთვის (გვ. 240).

ფრიდონ ხალვაშის ავტობიოგრაფიულ რომანში აშკარად გამოკვეთილია ავტონომიის, როგორც ერთიანი ეროვნული ცნობიერების დამშლელი წარმონაქმნის, დამღუპველი გავლენა. ავტონომიის არსებობა ხელს უშლის საზოგადოებაში სწორი ორიენტირის შემუშავებას. ამის გამოძახილია 1957 წლის გაზაფხულზე თბილისში გამართულ “აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე“ “სტუმრად მოწვეული“ პოეტის საპროტესტო განწყობილების გამომხატველი ლექსი — “მე არ ვიქნები შენი სტუმარი“.

არანაკლებ მტკივნეულად განიცდის ფესვით ერთი, მაგრამ სარწმუნოებრივად განსხვავებული ქართველებისათვის ერთდროულად ორი “ჰუქუმეთის“ (მთავრობის) არსებობას თბილისსა და ბათუმში დიდი ჩვენებური — ახმედ მელაშვილი, რომელიც 1980 წელს მოკლეს “ქართულის მოძულეებმა“ (გვ. 173, 188).

ბ-ნი ფრიდონი აჭარის ეროვნულ თუ ისტორიულ არასწორ განსაზღვრებათა მიზეზს სამართლიანად ეძიებს "ისევ ერთი ხალხის ორი პოლიტიკური სტატუსით ყოფაში" (გვ. 317-318), რაც თავიდანვე რუსეთის იმპერიული ჩანაფიქრის შედეგი იყო (ისევე როგორც ე.წ. "სამხრეთ ოსეთისა" და აფხაზეთის ავტონომიური სტრუქტურების შექმნა), შემდეგ კი საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისათვის, მუსლიმანობის აღორძინების მცდელობით "გაამყარეს" ერთიანი ქართველური ცნობიერების მოწინააღმდეგეებმა.

აჭარის ავტონომიური წარმონაქმნის არსებობამ სირთულე შეიტანა მეცნიერებაში კუთხის ქართველთა ურთიერთობაში. პოეტისთვის ერთდროულად სამშობლოებაც მოუგვრია და წუხილის განცდაც თბილისელი კოლეგის ნათქვამს, "აჭარაში ლიტერატურული ცხოვრება უფრიდონოდ ვერ წარმომიდგენიაო". პოეტის პასუხი:

"თქვეს ჩემზე თურმე, — ჭირს **აჭარის** ცნობა უმისოდ.
მე რას ვგულისხმობ? — სჯობს გულისხმას ჩემს დაუჯერონ,
— გაჭირვებოდეთ **საქართველოს** ცნობა უჩემოდ!" (გვ. 289)

არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება თბილისში დამკვიდრებული მეორე კოლეგის უხეში მიმართვა ბ-ნი ფრიდონისადმი: "შენ აჭარელი მწერლების ტრიბაზე იორატორე, რამდენიც გინდაო", იგი "აჭარელ მწერლად", ანუ "ერთ ეთნოსელად" ჩათვალა და არა "მთლიან საქართველოელად" (გვ. 283). ანალოგიურია ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლის (გვ. 329), ასევე, გემ "ვეფხისტყაოსნის" ეკიპაჟის წევრის არაკორექტული დამოკიდებულება პოეტისადმი (გვ. 329, 328) და სხვა. ეს გამოიწვია არა მხოლოდ ზემოხსენებულმა მიზეზმა, არამედ — საქართველოს ისტორიის სრულმა არცოდნამაც, რაც პირდაპირი შედეგი იყო წინასწარ გამიზნული საბჭოთა საგანმანათლებლო პოლიტიკისა,

არანაკლებ მტკივნეულია ჩვენი ქვეყნის წარსულში სრულიად ჩაუხედავ უცხოელთა პოზიციაც. ჩრდილოკავკასიურ სანატორიუმში დასასვენებლად ჩასულ პოეტს თანაპალატელმა, შორეული აღმოსავლეთიდან ჩამოსულმა გარუსებულმა ოფიცერმა თუ თათარმა, როცა მისი ბათუმელობა გაიგო, უთხრა თურმე: "აბ, ადჟარეც ზნაჩიტ, და? ადჟარეც ნიკოგდა გრუზინომ ნე ბუდეტ" (გვ. 126). ანალოგიურია აზერბაიჯანელი პოეტის — ნაბი ხაზრის კითხვა: "...ინტერესნო, ქაგდა, ვი, ადჟარცი, სტალი გრუზინამი?.. რა უყავით აჭარლებმა თქვენს მშობლიურ ენას? თქვენი ენა ხომ თურქულია?..." (გვ. 316-317).

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა მოგვეჩვენოს, ლვოველმა პოეტმა ბ-ნი ფრიდონის ლექსების თარგმანს, რომელიც გაზეთში უნდა დაბეჭდილიყო, ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენელი ავტორის გამო, მიაწერა "აჭარული ენიდან თარგმნილი", რაც მოგვიანებით გაასწორა (გვ. 210); ამავე, 1968 წლის ივლისზე ერთი ბათუმელი პოეტის წიგნს მოსკოვის გამომცემლობამ, "სოვეტსკა", "პერევოდ ს ადჟარსკოგო" დააწერა (გვ, 210); ბუდაპეშტიდან მწერალთა აჭარის ორგანიზაციას მოსწერეს, შანდორ პეტეფის აჭარული თარგმანი, ერთი ეგზემპლარი გამოგვიგზავნეთო (გვ. 210)...

ბუნებრივია, ასეთი შემთხვევები ქართველთა მხრიდან უპასუხოდ არ დარჩენილა, მაგრამ თავად ფაქტი მიგვანიშნებს, რა წინააღმდეგობით აღსავსე ეპოქა გამოიარა საქართველომ დაშლილ-დანაწევრებული ეროვნული სხეულის გასამთლიანებლად. ამას, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგებოდნენ კავკასიაში გავლენის გასაძლიერებლად მებრძოლი მეზობელი იმპერიები. ამის მაგალითია ქართველ მწერალთა ჯგუფის სტამბულში ჩასვლასთან დაკავშირებული შემთხვევა, როცა მწერლებს — მოსკოველი "ლიტერატორი", ხოლო დამხვდურ თურქეთელ ქართველს

რუსულის მცოდნე თურქი ადევნებდნენ თვალყურს: "...ასე რომ, თურქი და რუსი მაშინ გაერთიანდნენ, რათა არ დაეშვათ თურქეთის ქართველებთან საქართველოდან ჩასული ქართველების შეხვედრა" (გვ. 176).

ბ-ნი ფრიდონი არაერთგზის შენიშნავს, რომ დღესაც აჭარაში გაჩაღებული მასობრივი ქრისტიანული ნათლობის პარალელურად, "დასისინებენ... მთის სოფლებში ჩვენი მუსლიმანი მეზობლის ფულიანი ემისრები გროშებად ყიდულობენ უქონელი, გაჭირვებული აქაურებისგან სახლებს მედრესეებად. უღარიბეს ოჯახებიდან შერჩეულ ათობით ბიჭს სტამბულს მუსლიმანურ სკოლებში აგზავნიან "უფასოდ" განათლების მისაღებად.

მწერალი განსაკუთრებით აღაშფოთა სტამბულის უნივერსიტეტის (წარმოშობით ჩვენებური) "თეოლოგ-ლექტორის" შემარცხვენელმა საუბარმა იმაზე, "თუ როგორ ატყუებენ აჭარლებს ქართველები და უკან, ქრისტიანობაში აბრუნებენ..." (გვ. 173).

საქართველოს ვაიგულშემატკივართა საპირისპიროდ, მწერალი წინ წამოწევს ქვეყნის ერთიანობისთვის მებრძოლ მამულიშვილებს: სელიმ ხიმშიაშვილს, ჰაიდარ აბაშიძეს, ახმედ ხელაშვილსა და სხვებს, რომელთა ღვაწლიც ფასდაუდებელია ქართველური ცნობიერების გადარჩენის საქმეში.

"ოსმალურ-ისლამურ სამყაროში აღზრდილი, გულით, სისხლით, სხეულით ქართველი" ჰაიდარ აბაშიძის წერილი ცხადად მოწმობს ცნობილი მოღვაწის ეროვნულ შეგნებას. იგი გულისტკენას გამოხატავს, პავლე ინგოროყვას მტკიცებით, რუსთაველის არა მესხეთიდან, არამედ ჰერეთის რუსთავიდან წარმომავლობის გამო. მიზეზი ისაა, რომ "გადაღმეთ ისლამეთში ჩარჩენილ თანაკუთხელებს "თავი რუსთაველით მოსწონთ, ...ქართველობისკენ მათი მოხედვა-მოსვლა შოთა რუსთაველის ჩვენებურად დაგულებით უფრო გაადვილდებაო" (გვ. 69). ბ-ნი ფრიდონი ეთანხმება ჰ. აბაშიძეს, რომ ისტორიული ბედუკუღმართობითა და რელიგიის ძალით ორად გახლეჩილი ქართველობის ეროვნული მეობის გადარჩენისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვაა საჭირო, რომ "წმინდა მეცნიერული მსჯელობით" მიღებულმა დასკვნებმა "თავზე არ დაგვამხოს" ქართველთა ეროვნული მთლიანობა (გვ. 69).

განსაკუთრებულია ბ-ნი ფრიდონის დამოკიდებულება "მთელ დუნიაზე ცნობილი ასტრონომისა და მწერლის", წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელისადმი. 1979 წლის ზაფხულში ხიხაძირში გამართული შეხვედრის მონაწილეებს მან პირველმა შესთავაზა, ეს შეხვედრა ტბელობის დამფუძნებელ კრებად ჩაეთვალათ და ყოველი წლის სექტემბრის პირველ შაბათს ტბელობის აღნიშვნა დაეწესებინათ, რაც მთელი საქართველოსათვის დიდი სახალხო ზეიმი იქნებოდა. ასეც მოხდა. ბ-ნი ფრიდონი იხსენებს, რომ ტბელობა სულ შვიდჯერ ჩატარდა, რასაც შემდეგ 90-იანი წლების არეულობამ შეუშალა ხელი.

ზემოთქმულით არ ამოიწურება ფრიდონ ხალვაშის ავტობიოგრაფიული რომანის მიხედვით წამოჭრილი საჭირბოროტო საკითხები, მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენი ცდა გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს საბჭოთა პერიოდის საქართველოში, კერძოდ კი აჭარაში მიმდინარე პროცესებზე ეროვნული თვითობის განმტკიცების საკითხში.

საქართველოს დედაქალაქში მკითხველის წინაშე "ომრის" ოფიციალური წარდგენის დღეს ბ-მა ფრიდონმა ერთი ფაქტი გაიხსენა, რომელსაც თავად შეესწრო: თურქეთელმა ქართველებმა თხოვეს უწმინდეს და უნეტარესს ილია მეორეს: მართალია, მუსლიმანები ვართ, როგორც ქართველებს, ქომაგი არ გვყავს და თქვენ იყავით ჩვენი პატრონიო...

ჩვენს წერილს კი დავასრულებთ წმინდა ილია მართლის სიტყვებით: "...თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, — მაგრამ მაინც რღვეულთა შორის... იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ საყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს... დაძინებულმა ისტორიამ და ერისულობამ... თავისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო".

დამოწმებული ლიტერატურა

მ. ტაბიძე, 2005 - მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქაერთველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005.
ტ. ფუტკარაძე, 2005 - ტ. ფუტკარაძე, ქართველები, I, თბ., 2005.
ი. ჭავჭავაძე, 1987 - ი. ჭავჭავაძე, ოსმალოს საქართველო, პუბლიცისტური წერილები, თბ., 1987.
ფ. ხალვაში, 2007 - ფ. ხალვაში, ომრი, თბ., 2007.

IA VASHAKIDZE

THE QUESTION OF RESTORING THE NATIONAL IDENTITY IN ACHARA ACCORDING TO 'OMRI,' PRIDON KHALVASHI'S NOVEL

In his autobiographical novel – *Omri,* Pridon Khalvashi, an eminent Georgian writer, tells about the situation in Achara after the liberation of the province from the Turkish rule on the background of the Soviet regime.

The childhood memories of the author reflect the negative influences on the Georgian mentality caused by the forceful conversion to Islam. In spite of the long period under the Ottoman rules Islam could not find footing in Achara to the degree that would have expunged the language and ethnic identity of Acharians.

Pridon Khalvashi pays special attention to the love of the birthplace as the basis for the survival and the credit for the integrity of the common national consciousness, generalized through the prism of the love of Achara.

The novel puts forth the idea about autonomy as the artificial formation aimed at disintegration of the national awareness and sensibility. The author seeks the reason of the incorrect historical definitions of Achara in the imposed political division of around the same people into two entities that had been nourished with imperial scam towards its power (in the same methods as having been done with relation to Abkhazia and Javakheti regions); and later on, under the pretext of restoring of Islam, invigorating falsehood by the opponents of the Kartvelian consciousness.

Pridon Khalvashi's novel *Omri* stirs readers' lively imagination about the people's efforts to intensify the sense of national identity under the squalid conditions of the Soviet rule.

ნინო ვაშაყმაძე

პირველი საბჭოთა არჩევნები ჭუთაისის მაზრაში
(1922 წლის თებერვალი)

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობით ბოლშევიკურმა რუსეთმა სამხრეთ კავკასია კვლავ თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. დასავლური ორიენტაციისა და გარკვეული დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები ყალიბდება.

საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადებული საქართველო მხოლოდ სიმბოლურად წარმოადგენდა დამოუკიდებელი სტატუსის მფლობელს. ისეთივე ძალაუფლების მქონე იყო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოები — რევოლუციური კომიტეტები. „რევკომების სისტემა, რომელიც საქართველოში წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მმართველობის გარდამავალ ფორმას, ძალისმიერი მეთოდებით იკაფავდა გზას. მისი მოქმედების ორგანიზაციული ფორმები და მეთოდები ატარებდა ბრძანებით ხასიათს, რომელთა შესრულება სავალდებულო იყო როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის“ (მ. ნათმელაძე, ალ. დაუშვილი, 2004, გვ. 21).

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აღიარებული თვალსაზრისით რევკომების შექმნა და მათი უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივება ადგილობრივი სპეციფიკით იყო გამოწვეული. „რევკომებმა მოამზადეს ნიადაგი და შექმნეს ყველა პირობა იმისთვის, რომ საბჭოებს, როგორც ქვეყნის უშუალო ბატონ-პატრონებს, დაეკავებინათ თავიანთი ადგილი და მუშათა კლასის დიქტატურას მიეღო თავისი უფლებრივი და კანონიერი გამოხატულება“ (უ. ბახტაძე, 1960).

რევკომებმა მართლაც მოამზადეს „ნიადაგი“ ოკუპირებულ საქართველოში ხელისუფლების გადასაცემად ფასადური ლეგიტიმაციის მქონე ორგანოებისთვის — საბჭოებისთვის. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის მომენტში ქვეყანაში საბჭოები არ არსებობდა. „1917 წელს შექმნილი საბჭოები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში გაუქმებულ იქნა და მათი ადგილი დაიკავა ხელისუფლების კონსტიტუციურმა ორგანოებმა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე“ (ვ. გურული, 2003, გვ. 111). რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ჯერ ამიერკავკასიის მასშტაბით და შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეალობაშიც, ქართველმა მენშევიკებმა არამიზანშეწონილად მიიჩნიეს საბჭოების წამომადგენლებისგან შედგენილი ერთგვაროვანი სოციალისტური მთავრობის შექმნა. „თავის დროზე ჟორდანიამ დაარწმუნა მუშათა საბჭოები, რომ მათ პრეტენზია არ უნდა ჰქონოდათ პოლიტიკურ ხელისუფლებაზე. მიუხედავად ამისა, თავად თბილისის მუშათა საბჭოს დიდი გავლენის მაუწყებელი იყო ის, რომ პარლამენტმა ჟორდანია აირჩია საბჭოს თამჯდომარედ“ (ალ. ბენდიანიშვილი, 2001, გვ. 106).

შეცვლილ პოლიტიკურ ვითარებაში არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა საბჭოების არჩევნების დაუყონებლივ მოწყობის იდეა წამოაყენეს. კერძოდ, საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარების შემდეგაც ყველაზე უფრო გავლენიანმა მენშევიკურმა პარტიამ შეცვალა პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკა და 10 აპრილს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ

გაფართოებულ თათბირზე მთავრობისაგან მოითხოვა დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური პარტიების წარმომადგენლების ერთობლივი, საქართველოში თავისუფალი არჩევნების ჩატარება (გაზ. „კომუნისტი", 1921 წ. 14 აპრილი).

უცხო ქვეყნის სამხედრო ძალაზე დაყრდნობით, ხელისუფლების სათავეში მოსულ ბოლშევიკურ პარტიას კარგად ესმოდა, რომ მისი გავლენა მოსახლეობაში იყო მინიმალური. ქართულ რეალობაში ინტელიგენცია და ე.წ. წვრილბურჟუაზიული ფენები წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან ძალას. ბუნებრივია, მათი მხრიდან მხარდაჭერის იმედი ხელისუფლებას არ უნდა ჰქონოდა. ამიტომ, დროებითი რევკომებიდან ლეგიტიმურ ორგანოებზე — საბჭოებზე გადასასვლელად მან სათანადო მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა შესაბამისი საარჩევნო ბაზის შექმნით.

საქართველოში დანიშნულ საბჭოების არჩევნებს მენშევიკებმა, მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტებმა და მათმა მხარდამჭერმა ჯგუფებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი" არჩევნებისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში წერდა: „საბჭოებში უნდა მოხვდნენ მხოლოდ კომუნისტები, მემარცხენე ფედერალისტები და პატიოსანი წევრები უპარტიო მასებისა" (რ. გრძელიძე, 1998, გვ. 222).

სოციალიტ-ფედერალისტთა მეორე ფრთამ, მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა ცალკე პარტია შექმნა და ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზა აირჩია. იგი აქტიურად ჩაება საარჩევნო პროცესში, თავისი წარმომადგენელი ჰყავდა როგორც ცენტრალურ, ისე სამაზრო და სათემო კომისიებში, სადაც კი მას შესაძლებლობა ჰქონდა. საქართველოს რევკომის მიერ დამტკიცებული საარჩევნო დებულება უკრძალავდა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ძირითადად არაკომუნისტური პარტიების დასაყრდენ სოციალურ ფენებს, კონკრეტულად:

„ა. იმ პირთ, რომლებიც მოგების მიზნით დაქირავებულთა შრომას მიმართავენ; ბ. იმ პირთ, რომელნიც ცხოვრობენ არაშრომით შემოსავლით, მიწათმფლობელობით, კაპიტალის პროცენტით, წარმოების მოგებით, ქონების შემოსავლით; გ. ცერძო ვაჭრებს, სავაჭრო და კომერციულ შუამავალთ; დ. ბერ-მონაზონთ, ეკლესიებისა და სარწმუნოებრივი კულტის სასულიერო მსახურთ; ე. მოსამსახურეთ და აგენტებს ყოფილი პოლიციისა და ჟანდარმთა ცალკე კორპუსისა, საჯაშუშო (ოხრანნოე) განყოფილებისა და განსაკუთრებული რაზმისა" (იქვე. ფ. 296, საქ. 82, ფურც. 1).

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამკვიდრებული „საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული" წესით არჩევნებში მონაწილეობის მიღებიდან მკვეთრი უკანდახევა იყო თვითონ ფორმაც: არჩევანის გაკეთება ხელის აწევით მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, თუ მას ესწრებოდა ამომრჩეველთა 2/3.

საქართველოს რევკომის დებულების თანახმად, შეიქმნა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია, სამაზრო და სათემო საარჩევნო კომისიები. არჩევნები თავდაპირველად ჩატარდა თბილისსა (3-8 დეკემბერი) და ბათუმში (8-10 დეკემბერი). 1922 წლის თებერვლის პირველ ნახევარში საქართველოს რეგიონებშიც არჩეულ იქნა საბჭოები. 1921 წლის 9 დეკემბრიდან 1922 წლის 22 თებერვლამდე ერთდროულად არსებობდნენ

საბჭოები და რევკომები. ხელისუფლების ორგანოთა მუშაობის კოორდინაციისა და ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრის მიზნით 1922 წლის 10 იანვარს რევკომმა გამოსცა სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმად ხელისუფლების ყველა ორგანო საბჭოთა ყრილობის მოწვევამდე ექვემდებარებოდა რევკომს. მაზრების, ქალაქების, ბათუმის მხარისა და სამხრეთ ოსეთის რევოლუციური კომიტეტის შინაგან გამგებლობაზე, პირად შემადგენლობაზე, მათ მიერ აღძრულ საკითხებზე და მოქმედებების საჭიროებაზე ზედამხედველობა ეკისრებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს (ქცა, ფ. 296, ანაწ. 1, საქმე 1, ფურც. 22). საარჩევნო კომისიები კომპლექტდებოდა რევკომის წევრებიდან. ამგვარად, არჩევნებისთვის მზადების პროცესში ჩართული იყო მთელი ადმინისტრაციული რესურსი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ფართო უფლებამოსილების თანხლებით. იგივე უწყება აკონტროლებდა თემის საბჭოს დეპუტატებისა და ქალაქების საბჭოების აღმასკომის წევრთა შემადგენლობას. ამის ნათელი ილუსტრაციაა 1922 წლის 16 მაისს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ქუთაისის სამაზრო აღმასკომისადმი გაგზავნილი მიმართვა: „ამა წლის იანვარში ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ საგანგებო რწმუნებულის საშუალებით სამაზრო საარჩევნო კომისიისთვის იყო გადაგზავნილი საანკეტო ფურცლები (ოქმები) თემის საბჭოსა და აღმასკომის ყოველი წევრებისთვის, აგრეთვე სამაზრო ყრილობისა და სამაზრო აღმასკომის ყოველ წევრთათვის. იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც მათ ზემოთაღნიშნულ მასალებთან ერთად გადაეგზავნათ, აუცილებელი იყო ამ საანკეტო მასალების შევსება და წარდგენა საარჩევნო კომისიაში. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ ამ საქმის შესასრულებლად საკმარისი დრო იყო, სამაზრო კომისიის განკარგულებაში აღნიშნული ანკეტები ჯერაც არ არის წარმოდგენილი, რაც აფერხებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოველდღიურ სამეთვალყურეო საქმიანობას“ (ქცა, ფონდი 296, ანაწ. I, ფ. 82, ფურც. 186).

საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, არჩევნებისთვის აქტიური მზადება დაიწყო ქუთაისის მაზრაში. 1921 წლის 31 დეკემბერს ქუთაისის სამაზრო რევკომმა გამოსცა ბრძანებულება: „თანახმად ინსტრუქციისა დამტკიცებული ცენტრალური საარჩევნო კომისიისა ს.ს.ს.რ საბჭოთა ყრილობის მოწვევის შესახებ, ქუთაისის სამაზრო რევოლუციურმა კომიტეტმა დაადგინა, შექმნილ იქნეს სამაზრო საარჩევნო კომისია ქუთაისის სამაზრო რევკომის თავჯდომარის ამხ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით, შემდეგი შემადგენლობით: წევრნი — წარმომადგენელი ს.კ.პ. ქუთაისის სამაზრო კომიტეტისა ამხ. კ. ქაცარავა; ს.ვ.კ.კ. ქუთაისის სამაზრო კომიტეტისა ამხ. ნ. ცინცაძე; წითელი არმიისა ამხ. გონჩაროვი; მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისა ამხ. მ. გავაშელი“ (ქცა, ფ. 296, ანაწ. 1, საქ. 1, ფურც. 1). იმავდროულად 1922 წლის 4 იანვარს ქუთაისის სამაზრო რევოლუციური კომიტეტის ბრძანებით სამაზრო საარჩევნო კომისიისთვის მუშაობის გაადვილების მიზნით შეიქმნა საარჩევნო საქალაქო კომისია რევკომის წარმომადგენლის ადამსკის თავმჯდომარეობით (ქცა, ფ. 296, ანაწ. 1, საქ. 34, ფურც. 4).

3 იანვარს არჩევნების მოსამზადებლად თემის რევკომებს დაეგზავნათ სათანადო ცირკულარები, რომელიც ავალდებულებდა რევკომის თავმჯდომარეს სამკაციანი კომისიის შექმნას მისივე თავმჯდომარეობით, ასევე მიზანშეწონილად მიიჩნეოდა კომისიაში მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენლის შეყვანა (ქცა, ფ. 296, ანაწ. 1, საქ. 51, ფურც. 27).

საარჩევნო დებულების თანახმად, კომისიების მუშაობაზე ზედამხედველებსა და მოსახლეობას შორის აგიტაცია-პროპაგანდის გასაწევად გაიგზავნა სათანადო დოკუმენტებით აღჭურვილი ინსტრუქტორები. მათი ინფორმაციით, განსაკუთრებულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული საარჩევნო სიების შედგენა. 1917 წლის აღწერის მასალები პრაქტიკულად გამოუსადეგარს წარმოადგენდა, ხდებოდა მოსახლეობი ხელახალი აღწერა და შემდეგ ამ სიის გადაცხრილვა ხმის უფლების მქონე პირებად. ქუთაისის მაზრა მოიცავდა ქ. ქუთაისს, სამრეკლოსა და 48 თემს. რევკომის დადგენილებით, რაიონი, როგორც ერთ-ერთი სახე ადმინისტრაციული ერთეულისა, გაუქმდა. საბოლოო მონაცემებით მაზრის მოსახლეობათა საერთო რიცხვი 274.709, აქედან ამომრჩეველთა 89.949 (ქცა, ფ. 296, ანაწ. 1, საქ. 82, ფურც. 189).

საარჩევნო უფლების მქონე პირთა სიის შედგენისას ხშირად ადგილი ჰქონდა დარღვევებს. საარჩევნო დებულების სასურველად ინტერპრეტირების საფუძველზე ხდებოდა პოლიტიკურად არასაიმედო პირების სიის გარეშე დატოვება: „ამწერებს შეაქვთ ზოგიერთი მოქალაქე ცხრილებში თავის შეხედულებისამებრ, არის ისეთი შემთხვევები, რომ რეგისტრატორი ეკითხება მუშა-მოქალაქეს, თუ მას ხელებზე „მაზოლები“ აქვს, ის უსათუოდ კომუნისტი იქნება და ასეთები შეაქვთ ცხრლებში“ (ქცა, ფ. 296, ანაწ. 1, საქ. 51, ფურც. 42) — აცნობებდა სამაზრო საარჩევნო კომისიას სამტრედიაში გაგზავნილი ინსტრუქტორი. მუშაობას ართულებდა ისიც, რომ საარჩევნო კომისია რევკომის წევრთაგან იყო დაკომპლექტებული, რომელთაც პარალელურად ადმინისტრაციული ხასიათის საკითხების მოგვარებაც უხდებოდათ. ამის შესახებაც აღნიშნავდა თავის პატაკში ზემოთ ხსენებული ინსტრუქტორი: „სიები, რასაკვირველია, გამზადებული არ იყო, არც საერთო სიის შედგენაა მოსწრებული, საერთოდ მუშაობის უსისტემობის გამო მუშაობა ირევა. რევკომის წევრებს ეთმობა და იმავე დროს უხდებათ რევკომის საქმეებზე სირბილი — მოსულ ხალხთან ანგარიშის გასწორება და სხვა მრავალი, რის გამოც კომისიის წევრები და თავმჯდომარე ცუდ მდგომარეობაში არიან. გადამწერებად მოწვეულია კომისიიდან ახალგაზრდები, რომელთაც სასწავლებელში სიარულის გამო მოსაცლობილი აქვთ საშუალება ნორმალური მუშაობისა“ (ქცა, ფ. 296, ანაწ. 1, საქ. 51, ფურც. 42).

საბჭოების დეპუტატთა პირადი ბარათების გაცნობისას ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ აბსოლუტური უმრავლესობა გაუნათლებელია. სოციალური მდგომარეობით ეკუთვნიან მუშათა და გლეხთა კლასს, ინტელიგენცია ძირითადად განზე იდგა საარჩევნო პროცესისგან, თუმცა ცალკეულ თემებში (ზანა) ჩანს მათი თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან.

სამაზრო საარჩევნო კომისიების მიერ თემებში გაგზავნილი ინსტრუქტორები აქტიურ პროპაგანდას აწარმოებდნენ მოსახლეობაში საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. მათ საქმიანობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სვირის თემში გაგზავნილი ინსტრუქტორის პატაკი სამაზრო საარჩევნო კომისიისადმი: „22 იანვარს სვირის თემში მოვაწყვე მიტინგი. დილით კრებას ესწრებოდა დიდი მოხსენება გავუკეთე. ხალხმა ცუდი შთაბეჭდილება მომგვარა: შეიარაღებულობა, ერთი მხრივ, კონტრევოლუციონური კულაკობა და ინტელიგენცია მეორე მხრივ, ღატაკი და ბეცი გლეხობა. თემი უწინ მენშევიკებისა და ესერალისტების ბუდე ყოფილა.

საღამოს მოვაწყვე თახამგრძხობთა კრება... საარჩევნო კომისიაში დავნიშნეთ ნ. კაკაურიძე, მ. კამლაძე, გრ. თუთარაშვილი, რომელიც შემდგომ საიდუმლოდ მიღებული ცნობით, უწინ ნაც-დემოკრატი ყოფილა, ამის გამო გადავაყენე და მის მაგიერ დავნიშნე სვირის თემში ახლადდანიშნული რევკომის თავმჯდომარე" (ქცა, ფ. 296, ანაწ. 1, საქ. 51, ფურც. 36).

ბოლშევიკური რეჟიმის მხრიდან ტერორისა და დაშინების მიუხედავად, არჩევნებისადმი ერთგვარ პროტესტს მაინც ჰქონდა ადგილი, რასაც ძირითადად არაკომუნისტური პარტიების აქტიურობა კვებავდა. მაგალითად, მაღლაკის თემში მოსახლეობამ უარყო კომუნისტების მიერ წამოყენებული დეპუტატების სია და საერთოდ არჩევნების წესი, ასევე აქტიურობდნენ მენშევიკები ქ. ქუთაისში, ხრესილში და რიონში (ქცა, ფ. 296, ანაწ. 1, საქ. 82, ფურც. 189), მაგრამ მათმა ცდამ — ჩაეშალათ არჩევნები, შედეგი ვერ გამოიღო. 14 თებერვალს ქ. ქუთაისში და მთლიანად მაზრის თემებში ჩატარდა არჩევნები. 16 თებერვალს კი ქ. ქუთაისის თეატრის შენობაში გაიხსნა საბჭოების I ყრილობა. ქუთაისის მაზრის საბჭოების I ყრილობას ესწრებოდა 230 დეპუტატი, მათ შორის: კომუნისტი — 159, თანამგრძნობი — 32, უპარტიო — 25, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი — 10. დეპუტატთა სოციალური შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლეოდა: მუშა — 58, გლეხი — 70, ინტელიგენტი — 77 (ქცა, ფ. 296, ანაწ. 1, საქ. 82, ფურც. 150).

ქალაქებისა და ცალკეული თემების საბჭოებში გამარჯვებულ დეპუტატთა სიაც ადასტურებს, რომ არჩევნებიც ფაქტიურად ერთპარტიული იყო. საკანონდებლო ორგანოს ფუნქციის მქონე საბჭოებს პროლეტარიატის, რეალურად კომუნისტური პარტიის დიქტატურის შესალამაზებელი ფასადის ფუნქცია ჰქონდა მხოლოდ. ბოიკოტის ტაქტიკა არაკომუნისტური პარტიებისთვის პოლიტიკურად წამგებიანი სვლა აღმოჩნდა, მაგრამ ძნელი სათქმელია, საოკუპაციო ხელისუფლების განტკიცების მიზნით მოსკოვის მიერ ჩატარებულ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში რამდენად შესაძლებელი იყო მათი გამარჯვება. მით უმეტეს, რომ მთლიანად არჩევნებისთვის მზადების პროცესი, საარჩევნო კანონმდებლობა, „უმკაცრესი ტერორის, ანტირუსული და ანტისაბჭოთა ძალების დევნის პირობებში" (ვ. გურული, 2003, გვ. 111) მიმდინარე არჩევნები არაკომუნიტურ პარტიებს წარმატების შანსს არ უტოვებდა.

დამოწმებული ლიტერატურა

უ. ბახტაძე, 1960 - უ. ბახტაძე, რევკომები საქართველოში, 1921-22 წწ., ჟურნ „მნათობი", 1960, №12.

ალ. ბენდიანიშვილი, 2001 - ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921), თბ., 2001.

რ. გრძელიძე, 1998 - რ. გრძელიძე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია, (1910-1924 წწ.), თბ., 1998.

გაზ. „კომუნისტი", 1921, 14 აპრილი.

მ. ნათმელაძე, ალ. დაუშვილი, 2004 - მ. ნათმელაძე, ალ. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004.

ქცა - ქუთაისის ცენტრალური არქივი.

NINO VASHAKMADZE

THE FIRST SOVIET ELECTION IN KUTAISI MAZRA (ADMINISTRATIVE DISTRICT), IN FEBRUARY 1922

In February-March 1921 the Bolshevik Russia invaded the Democratic Republic of Georgia and extended its influence on the South Caucasus one more times. By that period the Democratic Republic of Georgia had managed to develop certain institutions of western orientation but now it was bound to accept the institutions characteristic to authoritative regimes.

Though the country was proclaimed as the Soviet Socialist Republic of Georgia, the Soviet councils, formed in 1917, had been already abolished by the Democratic Government having replaced them with constitutional organizations. Thus, there were no soviets to hold the power. The Soviet government organized revolutionary committees (*Revkoms*) in the centre so in peripheries as the transitional form of political governance who should prepare the foundation for the delivery of power to councils. New regulation, specially cut out for carrying out the election campaign, and the administrative resources were to grant the victory of the non-popular Bolshevik party. Moreover, in this condition the non-communist parties chose to boycott the elections and only the leftist, Social-Federalist party decided on collaborating with the government. Social-Federalists were welcomed by the government as the admissible option for that period.

I have shown the process of the first Soviet election campaign on the example of Kutaisi administrative district. In spite of the specific cases the given situation was analogous for the country reflecting its general picture: Under the most severe terror and persecution of anti-Soviet and anti-Russian groups the election provided the victory for the Communist Party. The Soviets formally were granted the legislative authority but in fact its real function was to mask the dictatorship of the proletariat and the communist party.

გოდერძი ვაჭრიძე

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია რუსული მმართველობის მიერ
(XIX საუკუნის 70-80-იანი წლები)

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო ქონება მნიშვნელოვანად გაიზარდა ხაზინის საკუთრებაში საეკლესიო მამულებისა და შემოსავლების გადაცემის შედეგად. რუსეთის მთავრობამ ეს ჯერ კიდევ XIX საუკუნის 10-იან წლებში სცადა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებასთან დაკავშირებით. ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის ინიციატივით, დაწყებულმა გარდაქმნებმა, რომელთა ერთ-ერთ ძირითად მიზანს საეკლესიო ქონების აღწერა და სამართავად ხაზინისათვის გადაცემა შეადგენდა, აღმოსავლეთ საქართველოში გარეგნულად მშვიდობიანი ხასიათი მიიღო, დასავლეთ საქართველოში კი მძლავრი სახალხო აჯანყება გამოიწვია (1819-1820 წწ.) (აქტები, 1874). აჯანყება, მართალია, სისხლში ჩაახშვეს, მაგრამ მძიმე საშინაო და საგარეო ვითარების გამო მთავრობა იძულებული გახდა ამჯერად დაეთმო და საეკლესიო ქონების ხაზინისათვის გადაცემა დროებით გადაევადებინა. მაგრამ თავის განზრახვაზე ხელი არ აუღია. საეკლესიო ქონება აღწერეს 1811 წელს (ნ. მახარაძე, 1942; ქსცა, ფ. 21, აღწ. 1, გვ. 418-421), რომლის მონაცემები 1825 წელს ახალი კამერალური აღწერით შეამოწმეს (ქსცა, ფ. 2, აღწ. 1, საქ. 1455, ფურ. 28).

1852 წ. 5 ნოემბერს გამოქვეყნდა იმპერატორის ბრძანებულება — აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო ქონების სამართავად ხაზინისათვის გადაცემის შესახებ (ს. ესაძე, გვ. 180), ხოლო 1869 წ. 13 ნოემბრის კანონით იგი ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა და სახელმწიფო ქონების შემადგენლობაში ჩაირიცხა (იქვე, გვ. 84).

1852 წ. 5 ნოემბრის დებულება იმერეთსა და გურიაზეც უნდა გავრცელებულიყო, მაგრამ დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ქონების აღრიცხვის საქმე იმდენად მოუწესრიგებელი იყო, რომ პრაქტიკულად ამის განხორციელება შეუძლებელი გახდა. ამიტომ დაავალა იმპერატორმა 1857 წ. 24 ოქტომბერს უმაღლესად დამტკიცებულ სპეციალურ დროებით კომისიას (1858-1862 წწ.), რომელსაც ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონება უნდა აღერიცხა, მუშაობა საეკლესიო მამულებისა და შემოსავლების აღწერით დაეწყო (ქცსა, ფ. 18, აღწ. 1, საქ. 2571, ფურ. 134). ქუთაისის გენერალ-გებერნატორი, თავადი გ. ერისთავი 1860 წ. 30 იანვარს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნავდა: საეკლესიო ქონება გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე სახელმწიფო, ამიტომ მისი აღწერა-მიმოხილვა ხანგრძლივ დროსა და დიდ შრომას მოითხოვსო. გუბერნატორი აყენებდა კომისიის მუშაობის ვადის გაგრძელების საკითხს (ქცსა, ფ. 45, აღწ. 1, საქ. 1, ფურ. 122-123, 173).

გარდა ამისა, სერიოზული უთანხმოება წარმოიშვა საეკლესიო და სამოქალაქო უწყებებს შორის საეკლესიო გლეხების (იმჟამად არსებული რაოდენობის მიხედვით) ნატურალურის ნაცვლად გადიდებული ფულადი გადასახადით დაბეგვრის საკითხზე. საეკლესიო უწყება, ამასთან ერთად,

მოითხოვდა საეკლესიო აზნაურებზე გავრცელებულიყო 1864 წ. 21 მაისს უმაღლესად დამტკიცებული დებულება იმერეთისა და გურიის თავადების აზნაურებისაგან ქონებრივი გამიჯვნის შესახებ (ქიმ, 6417/6718, ფურ. 1-9; ქცსა, ფ. 45, აღწ. 1, საქ. 2462, ფურ. 71-72), იმგვარად, რომ შემოსავლები საეკლესიო აზნაურების იმ მამულებიდან, რომლებიც ეკლესიას მიეკუთვნებოდა, მთლიანად მის განკარგულებაში დარჩენილიყო.

ამასთან დაკავშირებით, მეფისნაცვალმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, თავად დიმ. სვიატოპოლკ-მირსკის 1866 წ. აპრილში დაავალა — სამოქალაქო გუბერნატორის თავმჯდომარეობით სპეციალური კომისია შეექმნა. მასში შევიდნენ: მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სახელმწიფო ქონების დეპარტამენტის, სინოდიო და საეკლესიო უწყებების წარმომადგენლები (ქსცა, ფ. 45, აღწ. 1, საქ. 10, ფურ. 57-58; სცსა, ფ. 240, აღწ. 1, საქ. 601, ფურ. 76, 85, 99).

კომისიის მუშაობის შედეგად დიდძალი მასალა დაგროვდა, რომელიც განზოგადებული სახით წარმოდგენილია კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარისადმი კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ნიკოლოზის ძის მიერ 1871 წლის 31 იანვარს გაგზავნილ მიმართვაში. მასში ნაჩვენებია იმერეთისა და გურიის საეკლესიო ქონების მდგომარეობის სურათი და ჩამოყალიბებულია მისი ხაზინისათვის საკუთრებაში გადაცემის ძირითადი საფუძვლები (ქცსა, ფ. 18, აღწ. 1, საქ. 3063, ფურ. 340-342).

დასახელებული საბუთის მიხედვით, XIX ს. 70-იანი წლების დასაწყისისათვის იმერეთისა და გურიის ეკლესიების მამულები შედგებოდა დასახლებული და დაუსახლებელი მიწებისაგან, რომლებიც ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ეკლესიის სრულად საკუთრებაში და მემამულეებთან საერთო მფლობელობაში მყოფ მიწებად.

იმერეთის ეკლესიის დაუსახლებელი მამულები — საღალო მიწები და სხვა შემოსავლები — 2699 ე. წ. საღალო მუხლს შეადგენდა. გურიის ეპარქიას, 1865 წლის აღწერით, 639 კომლი გლეხი ჰყავდა, მათგან 40 კომლს საეკლესიო მიწა არ ჰქონდა. გლეხთა მფლობელობაში იყო 300 დესეტინა მიწა, 56 დესეტინა ტყე, 1704 — ბაღი და ვენახი (საბუთში ფართობი მითითებული არაა.). საეკლესიო უწყებას რჩებოდა მის საკუთრებაში მყოფი სულ 104 საღალო მუხლი (მ. კელენჯერიძე, 1906, გვ. 326-327).

საეკლესიო ქონების საერთო ღირებულების განსაზღვრისას ანგარიშში არ შეუტანიათ ტყეები, აგრეთვე ის შემოსავლები, რომლებსაც ეკლესია ფულადებითვალდებულ და საეკლესიო აზნაურთა გლეხებისაგან იღებდა. ამასთან ერთად, ხაზგასმით აღინიშნა — **ეკლესია სამუდამოდ კარგავდა საკუთრების უფლებას თავის ქონებაზე და იგი სახელმწიფოს განკარგულებაში გადადიოდა.** საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის აზრით, იმერეთისა და გურიის ეპარქიათა ქონების ეს შეფასება, მართალია, ძალზე ზომიერი და ეკლესიისათვის არახელსაყრელიც კი იყო, მაგრამ იგი ამ თანხას ყოველწლიურად უნდა, საეკლესიო გლეხებისაგან გადასახადების აკრებასთან დაკავშირებული ხარჯებების გარეშე მიიღებდა.

იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ბრძანებულებას იმერეთისა და გურიის საეკლესიო ქონების ხაზინის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ხელი მოაწერა 1871 წ. 4 აგვისტოს.

დოკუმენტის მიხედვით, იმერეთისა და გურიის საეკლესიო ქონება ხაზინას გადაეცემოდა საკუთრებაში, ხოლო საეკლესიო უწყებას, ხაზინაში გადასაცემი ყველა მამულის ღირებულების ასანაზღაურებლად, მათგან შემოსავლების შეფასების შესაბამისად, **ხაზინიდან დაენიშნებოდა ყოველწლიურად, უცვლელად და სამუდამოდ 30.000 მანეთი.**

1871 წ. 4 აგვისტოს ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ, კავკასიის სამხარეო ადმინისტრაცია ჩქარობდა, რაც შეიძლება მოკლე ვადებში და სრულად ჩაებარებინა საეკლესიო ქონება. თავის მხრივ, საეკლესიო უწყების წარმომადგენლები ცდილობდნენ ეს პროცესი ყოველმხრივ გაეხანგრძლივებინათ.

საეკლესიო ქონების ხაზინისათვის გადაცემის პროცესში წარმოიშვა, ერთი მხრივ, ეკლესიისათვის შეწირული მამულებისა და გლეხების უკან დაბრუნების და, მეორე მხრივ, საეკლესიო მიწების მითვისების (რამაც მიწების გამიჯვნის დროს ფართო ხასიათი მიიღო) ტენდენცია. დავამ კაცხის მონასტერსა და საეკლესიო გლეხებს შორის ფართო გამოხმაურება ჰპოვა პრესაში. კაცხის მონასტრისადმი შეწირული გლეხების მხარდასაჭერად ნ. ნიკოლაძემ 1873 წ. 16 ნოემბრის გაზეთ „დროებაში“ (№45, გვ. 1-2) ვრცელი წერილი გამოაქვეყნა. ამ საკითხს საქართველოს პრესაში კიდევ რამდენიმე სოლიდური სტატია მიეძღვნა (ი. ანთელავა, 1962, გვ. 158-160).

საეკლესიო მამულებისა და შემოსავლების ხაზინისათვის გადაცემა იმერეთსა და გურიაში ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, რომ **სამეგრელოს ეპარქიის ქონების საკითხი დადგა.**

სამეგრელოს ეპარქიას მამულები ჰქონდა ზუგდიდის, სენაკისა და ლეჩხუმის მაზრებში. 1858-1859 წლებში სამეგრელოს დროებითი მმართველობის საბჭოს წევრის, თავად აბაშიძის ხელმძღვანელობით და საეკლესიო უწყების ორი დეპუტატის მონაწილეობით ეს მამულები აღწერეს (ქცსა, ფ. 18, აღწ. 1, საქ. 1510, ფურ. 70) და შემოსავლებიც გამოიანგარიშეს, რაც, კომისიის მონაცემებით, წლიურად 13.548 მანეთს შეადგენდა (ს. ესაძე, 196). 1861 წელს თავად ა. ბარიატინსკის განკარგულებით, **სამეგრელოს საეკლესიო მამულების მზრუნველის თანამდებობა დაარსდა (Попечитель над церковными имениями в Мингрелии)** (იხ.: ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივში დაცული სამეგრელოს საეკლესიო მამულების მზრუნველის ფონდი (№187), რომელიც საინტერესო მასალებს შეიცავს XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასავლეთ საქართველოში აგრარულ ურთიერთობათა ისტორიის შესასწავლად.).

1869 წელს ქუთაისის გუბერნატორი და სახელმწიფო ქონების საგუბერნიო სამმართველო სამეგრელოს საეკლესიო მამულების მზრუნველისაგან მოითხოვდნენ საინვენტარო აღწერის მასალების წარმოდგენას, რადგან განიხილებოდა ამ მამულების ხაზინისათვის გადაცემის საქმე (ქცსა, ფ. 187, აღწ. 1, საქ. 146, 159, 171).

სამეგრელოს ეპარქიის ქონების ხაზინისათვის გადაცემის საკითხი მეფისნაცვლის ცენტრალურ დაწესებულებებში 1873 წლიდან განიხილებოდა. 1878 წელს მეფისნაცვლის საბჭომ მოისმინა მოხსენება სამეგრელოს საეკლესიო მამულების ხაზინისათვის გადაცემის შესახებ (სცსა, ფ. 241, აღწ. 1, საქ. 932). საეკლესიო და სამოქალაქო უწყებები შეთანხმდნენ. 1880 წლის 22 მაისს იმპერატორმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის მიხედვით სამეგრელოს ეპარქიის ქონება ხაზინას გადაეცემოდა იმავე წესით, როგორც აღმოსავლეთ

საქართველოში, იმერეთსა და გურიაში — საეკლესიო უწყებას ხაზინაში დადაცემული ქონების ასანაზღაურებლად ყოველწლიურად და უცვლელად მოუცემოდა 20.000 მანეთი. საარქიერო სახლის, მონასტრებისა და ეკლესიების საკუთრებაში რჩებოდა სპეციალურ ორ სიაში შეტანილი საღალო მიწები და 432 ე. წ. საღალო მუხლი.

ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ, სამეგრელოს საეკლესიო მამულების მფარველის თანამდებობა გაუქმდა, საეკლესიო ქონება გადაეცა სახელმწიფო ქონების ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს (სცსა, ფ. 241, აღწ. 1, საქ. 1190; ქცსა, ფ. 130, აღწ. 1, საქ. 157, ფურ. 1; ქცსა, ფ. 18, აღწ. 1, საქ. 3037, ფურ. 9-20, 21).

რუსული მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები ქართული ეკლესიის მარტო ეკონომიკური გაძარცვა როდი იყო. იგი მიზნად ისახავდა, უფრთვე, ეკლესია ეკონომიკურად სახელმწიფოზე დამოკიდებული გაეხადა და მისი კოლონიური პოლიტიკის სამსახურში ჩაეყენებინა. მთავრობის ვარაუდი არ გამართლდა. ქართული ეკლესია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად ძალად გადაიქცა.

დამოწმებული ლიტერატურა

ი. ანთელავა, 1962 - И. Антелава, Госадарственные крестьяне Грузии в XIX в., т. II, Тб., 1962.

აქტები, 1874 - Акты, собранные Кавказской археографической комиссией, Издание Архива Главного Управление Наместника Кавказа, под ред. А. П. Берже, т. VI, ч. I, Тиф., 1874.

ს. ესაძე - С.Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. II.

მ. კელენჯერიძე, 1906 - М. Келенджеридзе, Правда об автокефалии Грузинской церкви (Ответ г. Самуилову и К), Кут., 1906.

ნ. მახარაძე, 1942 - Н. Махарадзе, Восстание в Имеретии 1819-1820 гг., Кут., 1942, ნაკვ. I, თბ. 1942.

სცსა - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

ქიმ - ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; კირილე ლორთქიფანიძის საბანკო არქივი; გელათის მონასტრის ფონდი 6466/374.

ქცსა - ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

GODERDZI VACRIDZE

SECULARIZATION OF THE CHURCH PROOERTY OF WESTERN GEORGIA BY THE RUSSIAN RULE (1870s-80s)

In the 1870s-80s, the state property in Western Georgia significantly grew as a result of the transference of church estates and incomes to the treasury. Back in the 1810s, the Russian government attempted to do it, but the government had to postpone these activities. At last, by the law of November 13, 1869, it was declared the property of the treasury, and was incuded into the state property.

The 1852 Decree should have also embraced Imereti and Guria, but, in Western Georgia, the registration of the church property was not completed, and, hence, its realization was practically impossible. Therefore, the Emperor ordered an ad hoc commission (1858-1862), aimed at registrating of the state property in Kutaisi Province, to start with the registration of church estates and incomes.

The Decree concerning the transference of the church property of Imereti and Guria to the treasury was signed by Emperor Alexander II on August 4, 1871. As for the property of Samegrelo Diocese, it was transferred to the trasury by the Decree of May 21, 1880.

With these activities, the Russian government aimed at making the Georgian Church economically dependent upon the state, and at including it in the confines of its collonial policy.

მზია თადუმაძე

საბჭოური დებულებების შარქოფა და „დროის ხარკი" მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტიკაში

მდიდარი და მრავალფეროვანია მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა. ამოუწურავია მისი შემოქმედებითი შესაძლებლობები. ღრმა და თავისთავადია მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური სამყარო. ნათელი და გამორჩეულია მისი ადამიანური ყოფიერების წესი, მისი ცხოვრების საზრისი. ყველაზე წმინდა ღირებულებებმა განსაზღვრა მისი ცხოვრება, მისცა მას დიდი სულიერი ენერგია. ყველაფერმა ერთად კი შექმნა გენიალური შემოქმედი.

ქართული ლიტერატურის ისტორია მიხეილ ჯავახიშვილს იცნობს უპირველესად როგორც ბილეტრისტს, ქართული სიტყვიერი ხელოვნების ოსტატს. მაგრამ იგი ამავდროულად შესანიშნავი პუბლიცისტი, სიღრმისეულად მოაზროვნე და მახვილსიტყვიანი კრიტიკოსიც იყო. ამ სფეროს მან საკმაოდ დიდი დრო და ენერგია შეალია.

რთულ ვითარებაში მოუხდა ცხოვრება მწერალს. **XX** საუკუნის დასაწყისის წმფოთვარე მოვლენებმა, რევოლუციური ბრძოლების შედეგად ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ ქართული საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი დილემის წინაშე დააყენა. მათ უნდა უარეყოთ ეროვნული მწერლობის ტრადიციები და გადათავისებინათ სრულიად ახალი, მათთვის უჩვეულო და უცხო შეხედულებები. ამ დრამატული მოვლენების ფონზე გამოიკვეთა მებრძოლი მწერლების სახეები, რომლებიც სიცოცხლის ფასადაც კი ცდილობდნენ თვითმყოფადობის, თავისთავადობის შენარჩუნებას, ეროვნული და ზნეობრივი იდეალების გადარჩენას.

რთულმა ეპოქალურმა მდგომარეობამ, ქვეყნის ინტერესებისთვის ბრძოლის შეგნებამ მიიყვანა მიხეილ ჯავახიშვილი იმ გადაწყვეტილებამდე, რომ შემოქმედებითი გზის გარიჟრაჟზე გვერდით გადაედო მწერლის კალამი და მთელი არსებით ქვეყნის ყველაზე მტკივნეულ და სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებს შესჭიდებოდა. ამ საქმეს დიდი სულიერი სიმტკიცე და ურყევობა სჭირდებოდა. ამ მხრივ მწერალმა გასაოცარი გამბედაობა გამოიჩინა. „იმხანად მხატვრული სიტყვის არაერთმა ოსტატმა მიმართა ფართო პუბლიცისტურ ველს და ცხოველი დაინტერესება გამოიჩინა ეროვნული პრობლემატიკით. ეს იყო ქართული მწერლობის ეროვნულ-პატრიოტული მოვალეობის ახალი გამოვლენა, ერის ინტერესების სადარაჯოზე ფხიზელი დგომა" (ა. ნიკოლეიშვილი, 1992).

XX საუკუნის 10-20-იანი და შემდგომი წლების პერიოდული პრესის გაცნობა საკმაო საფუძველს გვაძლევს გამოვყოთ მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში ორი ნაკადი — წერილები 20-იან წლებამდე და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც თემატურ-პრობლემური თვალსაზრისით, ისე რაოდენობის მხრივაც. ასეთი სხვაობა მოვლენათა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა განაპირობა.

მიხეილ ჯავახიშვილის ადრინდელი პუბლიცისტიკა უაღრესად საინტერესოა. საუკუნის დასაწყისში ძველი იდეებისა და შეხედულებების გადაფასებამ და ახლებურად აზროვნების შესაძლებლობამ ნიჭიერ მწერალს ერთმანეთის მიყოლებით შეაქმნევინა ისეთი საგაზეთო პუბლიკაციები, რომლებშიც

იმდროინდელი აქტუალური პრობლემებია განსჯილ-შეფასებული. მათი ავტორის ინტერესების სფერო აშკარად შემოუსაზღვრავია. პუბლიცისტი ერთნაირი ინტერესით აშუქებს ეროვნულ პოლიტიკას თუ მძიმე სოციალურ ცხოვრებას, სახელმწიფო მმართველობის საკითხებს თუ უცხო სახელმწიფოთა მდგომარეობას, მსოფლიო კატაკლიზმებს თუ ქართულ ენასთან, თეატრთან დაკავშირებულ პრობლემებს. მყარი ეროვნული და პოლიტიკური შეხედულების მქონე მწერალი თითოეულ მათგანში ღიად, მკაფიოდ აფიქსირებს თავის პოზიციას, არ მალავს ეროვნულ მრწამსს.

სამწუხაროდ, 20-იანი წლების შემდეგ შექმნილ პუბლიკაციებს ნაკლებად ეტყობა ამგვარი შემართება. მიზეზი ცხადი და ნათელია. მიხეილ ჯავახიშვილს და ზოგადად საზოგადოების მოაზროვნე ნაწილს დაჭინებით თხოვდნენ ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნაში აქტიურ მონაწილეობას, მათი იდეოლოგიის უყოყმანოდ მიღებას, მანამდე არსებული მსოფლმხედველობის კატეგორიულად შეცვლას, რაც საკმაოდ რთული საქმე იყო. ძნელი მისაღები აღმოჩნდა იგი მიხეილ ჯავახიშვილისთვისაც.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ 1923 წლიდან მიხეილ ჯავახიშვილი „ნამდვილ მწერლობას“ დაუბრუნდა და გასაოცარი ძალისხმევით შეუდგა თავისი დიდი შემოქმედების შექმნას. ის წლები, რომელიც უხვი იყო მხატვრული მოღვაწეობის თვალსაზრისით, დუმილის წლებად არის მიჩნეული ჟურნალისტური საქმიანობის მხრივ. თუმცა „დუმილის წლები“ მთლად უნაყოფო არ ყოფილა. მწერალი თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, ბეჭდავდა რეცენზიებს, პუბლიკაციებს, მონაწილეობდა მძაფრ პოლემიკურ გამოსვლებში. და მაინც, 20-30-იან წლებში დაწერილ საგაზეთო წერილებში ნაკლებად იგრძნობა ადრინდელი შემართება, ცეცხლოვანება. მასალების უმრავლესობა აშკარად ერთსახოვანია და მოქცეულია იდეოლოგიურ ჩარჩოებში. მიუხედავად ამისა, ნიჭიერი შემოქმედის ღირსების მაჩვენებელია ის, რომ ზოგჯერ მწერალი არ ნიღბავს საკუთარ შეხედულებებს და ჩვეული პირდაპირობით აფიქსირებს საღ აზრს.

მწერლის ქალიშვილი — ქეთევან ჯავახიშვილი არაერთგზის მიუთითებს, რომ „ციხეებსა და გადასახლებებში ყოფნამ აიძულა იგი ახალი ცხოვრებისათვის ანგარიში გაეწია და დროის მოთხოვნებს დაჰყოლოდა. უფრო თავშეკავებული გახდა ეროვნული გრძნობების გამჟღავნების დროს. მაგრამ ადვილი არ აღმოჩნდა სისხლში გამჯდარი იდეებისა და აზრების იოლად დათმობა. მე ვფიქრობ, წლების მანძილზე დიდად არ შეცვლილა მისი სულიერი სამყარო. ჩემი აზრით ყველაფერი ისევ ისე დარჩა.

„დროის ხარკი“ — შეიძლება ასე ვუწოდოთ სოციალისტური იდეოლოგით შთაგონებულ წერილებს: „14 წელიწადი“, „ახალი მიჯნა“, „დიადი ეპოქა“, „ჩავდგეთ სოციალიზმის მშენებელთა რიგებში“, „ყველაზე უფრო სრულყოფილი დემოკრატია“ და ა.შ. აღნიშნულ პუბლიცისტურ მასალებში შეუძლებელია დავინახოთ მათი ავტორის ნამდვილი სახე. და თუ მაინც იწერებოდა ხოტბად აღვლენილი სტრიქონები, ამან არ უნდა დაგვაბნიოს. სხვანაირად შეუძლებელი იყო თავის გადარჩენა. უბრალოდ, შეუძლებელი იყო ცხოვრება. „არის დრო, როცა მთელი ერი მიეცემა სასოწარკვეთილებას, აღარავის სჯერა სამართლიანობის, კეთილსინდისიერების და მხოლოდ საკუთარ ტყავს უფრთხილდება. ასეთია კომუნისტური დიქტატურის ეპოქა. ამ ეპოქაში გაბატონებულმა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპმა ჩამოაყალიბა მწერლის ახალი ტიპი — მწერალი

ფლუგერი, რომელიც პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალებს და ცხოვრობს დევიზით — აბა, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“ (ა. ბაქრაძე, 1990).

მაშინდელ ეპოქაში ბევრმა მწერალმა შეასრულა ე.წ. „მწერალი-ფლუგერის“ როლი. მიხეილ ჯავახიშვილმა ვერ შეძლო პოლიტიკური ქარის მიმართულებით ტრიალი. ეცადა სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, მაგრამ არ გამოუვიდა. მის ცნობის წიგნაკში ჩაწერილ სიტყვებს მივადევნოთ თვალი: „რევოლუცია ჩემთვის საშინელი ტრაგედიაა, ვინაიდან ჩემს თვალწინ კვდება ჩემი ქვეყანა—დედა. ზოგისთვის კი ეს უზენაესი სიხარულია, ვინაიდან იბადება შვილი—ახალი ქვეყანა. ამიტომაც არის მგლოვიარედ გუშინდელი პოეტი, ამიტომაც ხარხარებს გუშინდელი ჭაბუკი—კომკავშირელი. სჯობდა, ან უფრო ადრე გავჩენილიყავ, ან უფრო გვიან...“

30-იან წლებში ხელისუფლების დაჟინებულ მოთხოვნას — რევოლუციის თანამგზავრობის პრინციპის დაცვას მიხეილ ჯავახიშვილი ასე გამოეხმაურა: „ის, ვინც დღეს ცხოვრობს, მას აუცილებლად უნდა ახასიათებდეს თანადროულობა. სერვანტესი, შექსპირი, გოეთე და მრავალი სხვა დიდი მწერალი დიდნი არიან იმიტომ, რომ ყოველი მათგანი თანადროული იყო თავისი ეპოქისათვის. ვისაც ეს არ ახასიათებს, ის სახელს ვერ მოიხვეჭს, ყოველ შემთხვევაში თავის დროში ვერ იპოვის სახეს.“

სხვა საგაზეთო წერილში მწერალი აღნიშნავს: „მე მომხრე ვიყავი ცნობილი „დისტანციის“ თეორიის, რომელიც გულისხმობდა მწერლის დაშორების აუცილებლობას თანამედროვე თემებიდან.“

რომელ წერილზეა ავტორი ზნეობრივად პასუხისმგებელი? თუ კარგად დაუკვირდებით აღნიშნულ ფრაზებს, იოლად შევამჩნევთ მწერლის შეხედულებათა არასწორხაზობრიობას, არსებული ხელისუფლებისადმი შეფარულ ირონიას. ამ ნაწყვეტებიდან კარგად ჩანს, რომელია მწერლის გულიდან წამოსული სიტყვები და რომელი მისი პრინციპებისთვის მიუღებელი.

ნებისმიერი მწერლის პუბლიცისტიკა ყოველთვის არის ღია ან ფარული. მიხეილ ჯავახიშვილი თავისი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში ღია, მებრძოლი პუბლიცისტის ნიმუში იყო. მოგვიანებით შექმნილ საგაზეთო წერილებში მისი ბრძოლა გარკვეული პოზიციის მოსაზრების დასამკვიდრებლად ფარულია, განპირობებულია მაშინდელი იდეოლოგიური წნეხის ზემოქმედებით. თუმცა მათში მაინც შეიცნობა მწერლის ნამდვილი სახე.

მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტიკას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და ინტერესი. სამწუხაროდ, ფართო საზოგადოებისთვის ისინი თითქმის უცნობია. მწერლის რჩეულ თხზულებათა VI ტომში საერთოდ არ არის 1915-1920 წლებში შექმნილი პუბლიცისტური მასალები. ისინი სხვადასხვა პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზეა გაბნეული. სამაგიეროდ, მასში უხვადაა თავმოყრილი მოგვიანებით დაწერილი პუბლიკაციები: „ჩავდგეთ სოციალიზმის წინა რიგებში“, „ოქტომბრის წიგნის ახალი ფურცელი“ და მრავალი სხვა.

დამოწმებული ლიტერატურა

ა. ბაქრაძე, 1990 - ა. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, 1990.
ა. ნიკოლეიშვილი, 1992 - ა. ნიკოლეიშვილი, მ. ჯავახიშვილის პუბლიცისტიკა 1917-920 წლებში, ჟურნ. განთიადი, №9-10, 1992.
ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, №5-6, 1932.
„სალიტერატურო გაზეთი“, №16, 1932.
ქ. ჯავახიშვილი, 1989 - ქ. ჯავახიშვილი, მ. ჯავახიშვილი ბელეტრისტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, 1989.

MZIA TADUMADZE

REJECTION OF THE SOVIET STATEMENTS AND THE DEMAND OF TIME IN MIKHEIL JAVAKHISHVILI'S PUBLICISTIC PAPERS

Mikheil Javakhishvili occupies important place in the history of the social thought of 20th century Georgia. He created most of his masterpieces in the most turbulent years of the country. Naturally enough complex problems characterized of this epoch found their reflection in his social and political papers and essays. There is hardly any actual question of the period that M.Javakhishvili did not deal with. In fact, the discussion of the social and political problems that had been judged by such a great thinker means that we should reconsider those questions to find answers for modern problems that in some way or another resemble the old ones and are distinguished with great influential forces.

Mikheil Javakhishvili was the man of strong standards of values and developed his artistic principles in accordance with his worldviews. He had to work in the compounded atmosphere saturated with political and revolutionary struggles. However, he could not reconcile his social and political creed with the revolutionary life that would have meant the digression from his philosophy of the social development. His publicistic words had only one course: to serve for the country and his people. His newspaper articles,

severe criticism of the government, and fearless speeches that divulged the hapless existence of his fellow countrymen and the reasons inflicting their conditions, daring exposure of the problems led his life to the tragic end of the Soviet purge. Together with his literary masterpieces Mikheil Javakhishvili's publicistic works is the part of his legacy that is destined to eternal life.

როლანდ თოფჩიშვილი

ეთნიკური ურთიერთობები კავკასიაში (წოვა-თუშები)

საქართველო, ისევე როგორც ევროპის მთელი რიგი ქვეყნები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეებისაგან შედგება, რომელთა მკვიდრნი ქართული ენის სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობენ. ამ თვალსაზრისით საქართველოს, არაერთი სხვა ქვეყნის მსგავსად, კიდევ ერთი თავისებურებაც ახასიათებს: რამდენიმე ეთნოგრაფიულ ჯგუფს ქართული სალიტერატურო ენისაგან ერთგვარად დაშორებული მეტყველება ახასიათებს. საუბარია მეგრულ და სვანურ მეტყველებაზე, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ ოჯახში სალაპარაკოდ იყენებენ. ამდენად, ეს მეტყველებები სოციოლინგვისტური, ეთნოლოგიური და ისტორიული თვალსაზრისით ფაქტობრივად ქართული ენის დიალექტებს წარმოადგენდნენ (ახლაც ასეა!). მეგრელთა ეთნოგრაფიული ჯგუფი შავიზღვისპირეთში მკვიდრობს, სვანები — კავკასიის მთების სამხრეთ კალთებზე, ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ისტორიულად იგივე შეიძლება ითქვას დვალების შესახებაც, რომლებიც ცენტრალური კავკასიონის მთებში ცხოვრობდნენ. სავარაუდოა, რომ დვალებსაც საკუთარი საოჯახო მეტყველება ჰქონდათ, რომელიც სვანურსა და ზანურს შორის იდგა, უფრო მეტ სიახლოვეს კი ზანურთან იჩენდა. დვალების ნაწილი XV-XVI საუკუნეებში საქართველოს მთისწინეთსა და ბარში გაიფანტა, ნაწილი კი ოსების მიერ იქნა ასიმილირებული. რაც შეეხება მეოთხე, ჩვენთვის საინტერესო ჯგუფს — წოვა-თუშებს, ანუ როგორც მათ სამეცნიერო ლიტერატურაში მოიხსენიებენ — ბაცბებს, ისინი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთ ვაინახურ ენაზე ლაპარაკობენ; წოვა-თუშები (ბაცბები) საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში — თუშეთში ცხოვრობდნენ, დღეს კი აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — კახეთში მკვიდრობენ. წოვა-თუშები ქართველი ხალხის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

ამრიგად, ქართული ეთნოსი, რომელიც საუკუნეების მიღმა ჩამოყალიბდა, სალიტერატურო ენასთან ახლოს და შედარებით შორს მდგომი ეთნოგრაფიული, ტერიტორიულ-ლოკალური ერთეულებისაგან შედგებოდა. გამონაკლისი მხოლოდ წოვა-თუშების ეთნოგრაფიული ჯგუფი იყო, თუმცა მათი მეტყველება ქართული ლექსიკური ერთეულებით იყო გაჯერებული. ზოგად ეთნოლოგიურ და საენათმეცნიერო ლიტერატურაში მათი მეტყველება სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ქართული ენის სხვადასხვა დიალექტებთანაა გათანაბრებული (ს. არუთინოვი, 1989, გვ. 45; ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 20; ალ. ონიანი, 1997; მ. ქურდიანი, 1997). საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე მეგრელებისთვისაც, სვანებისთვისაც, დვალებისთვისაც და წოვა-თუშებისთვისაც ქართული ენა იყო სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო ენა. ისინი პასიურნი არასოდეს ყოფილან ქართულ ეთნიკურ სტრუქტურაში და სათანადო წვლილი შეჰქონდათ ქართული ენისა და კულტურის განვითარებაში. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ დასახელებული ეთნოგრაფიული ჯგუფები უფრო მჭიდროდ იყვნენ ერთიან ქართულ კულტურასთან, ეკონომიკასთან, სოციალურ სისტემასთან ინტეგრირებულნი, ვიდრე სალიტერატურო ენასთან

უფრო ახლოს მდგომი ზოგიერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი. იგივე შეიძლება ითქვას რელიგიურ-სარწმუნოებრივ ასპექტზეც. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ სვანეთში XIII-XIV სს-ში შედგენილი ყველა დოკუმენტი ძირითადად ადგილობრივი მკვიდრების მიერაა შედგენილი და ამის დამადასტურებელი არგუმენტი ენათმეცნიერებს არაერთი აქვთ.

სვანებისა და წოვა-თუშების შესახებ რუსი ეთნოლოგი ს. ა. არუთინოვი შემდეგს წერდა: «В горной Грузии базбийцы и сваны по всем этнографическим меркам должны бы считаться особыми народами, со своими особыми обычаями, совершенно обособленными языками, но и те, и другие требуют, чтобы их считали грузинами» (ს. არუთინოვი, 2002, გვ. 437). სწორია ავტორი, როდესაც წერს, რომ სვანებიც და წოვა-თუშებიც ქართველებად მიიჩნევენ თავს. რაც შეეხება იმას, რომ ისინი თურმე ითხოვენ ქართველებად ჩათვლას, სინამდვილეს არ შეესაბამება. საკითხი სვანების და წოვა-თუშების ქართველობა-არაქართველობის შესახებ მოსახლეობაში არც არასოდეს დამდგარა. მხოლოდ რუსეთის იმპერიის ინტერესებში შედიოდა სხვადასხვა ეთნოსებად მათი გამოცხადება. XIX საუკუნეში, რა თქმა უნდა, წოვა-თუშებიც და სვანებიც მოითხოვდნენ, რომ ქართველებად მიეჩნიათ ისინი. ს. არუთინოვი იმასაც აღნიშნავს, რომ ეთნოგრაფიული ნიშნით როგორც სვანები, ისე წოვა-თუშები განსაკუთრებულ ხალხად უნდა ჩაითვალონ. დავძენთ, რომ სწორედ ეთნოგრაფიული თვალსაზრისით არ შეიძლება სვანებისა და წოვა-თუშების განსაკუთრებულ ხალხებად მიჩნევა. ეთნოგრაფიული ყოფით ისინი თითქმის არაფრით განსხვავდებიან ქართველთა სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფებისაგან. ესა თუ ის განმასხვავებელი ნიშანი განპირობებულია ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოთი. წოვა-თუშები ეთნოგრაფიული თვალსაზრისით (სამეურნეო ყოფა, მატერიალური კულტურა, სოციალური ურთიერთობები, სულიერი კულტურა) თითქმის არაფრით განსხვავდებიან იმავე ქართულენოვანი თუშებისაგან და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფებისაგან.

წოვა-თუშები დღეს აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეში — კახეთში, უფრო სწორად, მის ერთ-ერთ დიდ სოფელში — ზემო ალვანში (ახმეტის რაიონი) მოსახლეობენ. ისტორიულად კი მათი საცხოვრისი კახეთის მთიანეთის ერთ-ერთი კუთხე — თუშეთი იყო. თუშეთი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობს. თუშეთი, რომელიც ეთნოგრაფიული თვალსაზრისით საქართველოს მთიანეთის ერთგვაროვანი მხარე იყო (ახლა ის თითქმის მთლიანად დაცლილია მოსახლეობისაგან), თავისებურებით გამოირჩეოდა და ეს თავისებურება ენობრივ სიტუაციაში მდგომარეობდა.

წერილობითი მონაცემებითა და ეთნოგრაფიული მასალებით, თუშეთი ოთხი თემისაგან ანუ ტერიტორიული ერთეულისაგან (უფრო ადრე, რვა თემისაგან) შედგებოდა: წოვა, გომეწარი, ჩაღმა, პირიქითი. გომეწრის, ჩაღმის და პირიქითის თემებში (ტერიტორიულ ერთეულებში) მცხოვრები თუშები ქართული ენის თუშურ დიალექტზე მეტყველებდნენ და მეტყველებენ. რაც შეეხება წოვათის თემში მცხოვრებ თუშებს, ისინი ორენოვანნი არიან. მათი საშინაო-საოჯახო ენა იყო წოვური (წოვა-თუშური), ანუ როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია დამკვიდრებული — ბაცბური. გარეთ კი ქართული ენის კახური დიალექტის მსგავს კილოზე მეტყველებენ. თუშების ეს ორი ჯგუფი სხვა მხრივ არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ბუნებრივია, ქართულენოვანი თუშების მსგავსად, წოვა-თუშებიც ეთნიკურ ქართველებად მიიჩნევენ თავს.

არცთუ ისე დიდი ხნის წინანდელ 1886 წლის სტატისტიკურ მონაცემებს თუ ერთმანეთს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ თუშეთში სულ 49 სოფელი იყო. აქედან წოვა-თუშები მხოლოდ ოთხ სოფელში (ინდურთა, საღირთა, წარო და ეტელთა) არიან აღრიცხულნი. რაც შეეხება ქართულენოვან თუშებს (რომლებსაც წოვა-თუშებისაგან განსასხვავებით ზოგჯერ ჩაღმა-თუშებს უწოდებენ), ისინი 45 სოფელში მკვიდრობდნენ. ეს უკანასკნელნი 830 კომლს შეადგენდნენ და 4.174 კაცს ითვლიდნენ. წოვა-თუშურ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა 1533 კაცი იყო. ეს რაოდენობა 337 ოჯახზე იყო განაწილებული. წოვა-თუშების ერთ ოჯახში საშუალოდ 4,54 სული ცხოვრობდა. 1886 წლისათვის ქართული ენის თუშურ დიალექტზე მოლაპარაკენი თითქმის 2,7-ჯერ მეტნი იყვნენ წოვა-თუშურ ენაზე მოლაპარაკე თუშებზე. 1873 წლის მონაცემებით წოვა-თუშების რაოდენობა ოდნავ მეტი იყო (1571 სული). 1831 წლისათვის კი წოვა-თუშების 278 კომლი იყო აღრიცხული, სულთა რაოდენობა კი 1531-ს შეადგენდა. ასე რომ, XIX საუკუნეში დაახლოებით 55 წლის განმავლობაში წოვა-თუშების რაოდენობა თითქმის არ შეცვლილა, ის 1500 კაცის ფარგლებში მერყეობდა. დღეს წოვა-თუშების რაოდენობა დაახლოებით 2000-ის ფარგლებში მერყეობს (ა. შავხელიშვილი, 2001, გვ. 10).

წოვა-თუშების ზემოთ დასახელებული ოთხი სოფლის გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაში კიდევ ოთხი სოფელია დასახელებული — ნაზართა, ნადირთა, მოზართა და შავწყალა, რომლებიც საკმაოდ ადრე იქცა ნასოფლარებად. თუშების მკვიდრებს შორის წოვები პირველნი იყვნენ, რომლებიც კახეთის ბარში ჩამოსახლდნენ. სამეცნიერო ლიტერატურაში მათი მიგრაციის შესახებ სხვადასხვა თარიღია დასახელებული, მაგრამ რეალობასთან ყველაზე ახლოსაა 1830-იანი წლები. 1831 წლის მოსახლეობის აღწერით, წოვა-თუშები წოვათის ოთხ დასახლებულ სოფელში (საგირთა, ინდურთა, ეტელთა, წარო) კვლავ არიან აღრიცხულნი. მხოლოდ ნაკვეთაურის გვარის ორი ოჯახის შესახებაა მინაწერი, რომ ისინი კახეთის ბარში, სოფელ ბახტრიონში (ბახტრიონი წოვა-თუშების დღევანდელ სამკვიდრებელთან, სოფელ ზემო ალვანთან ახლოს მდებარეობს) ცხოვრობენ. მთიდან აყრილი წოვა-თუშები დღევანდელ საცხოვრებელში — სოფელ ზემო ალვანში მაშინვე არ ჩამოსახლებულან. საბაბი წოვა-თუშების მამა-პაპათა საცხოვრისიდან აყრისა სტიქიური უბედურება ყოფილა. 1830 წელს სოფელი საგირთა ღვარს და მეწყერს წაულეკავს. დანარჩენი სოფლების მოსახლეობა კი იმავე პერიოდში შავ ჭირს გაუნახევრებია. ეთნოგრაფიული მასალებით, წოვა-თუშების აყრის და ბარში გადასახლების მიზეზი სტიქიასთან ერთად შავი ჭირიც ყოფილა.

ზემოთ ვნახეთ, რომ 1831 წელს წოვა-თუშები ისევ წოვათის სოფლების მკვიდრად არიან აღრიცხულნი. მაგრამ არა მხოლოდ 1831 წლის, არამედ 1841, 1873 და 1886 წლების საარქივო მონაცემებითაც იგივე მდგომარეობა გვაქვს. უფრო მეტიც, 1910 წლის «Кавказский календарь»-ის მიხედვით, წოვა-თუშები ბარში, სოფელ ალვანში ოფიციალურად არ არიან რეგისტრირებულნი (სოფელთა ნუსხაში ალვანი საერთოდ არაა შეტანილი). ისინი კვლავ წოვათის ოთხ სოფელზე (წარო, ეტელთა, ინდურთა, საგირთა) არიან მიწერილები. 1907-1908 წლების მონაცემებით, მათი რაოდენობა 1904 კაცს შეადგენდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით, XIX საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ წოვა-თუშები მხოლოდ ზაფხულობით ადიოდნენ მთაში (აღწერებიც ამ დროს ტარდებოდა). დროებითი სადგომი კი მათ ტბათანასთან ჰქონდათ, რომელიც მდ. ალაზნის ხეობის

სათავეში მდებარეობს. შემდეგ თანდათან ტბათანა წოვა-თუშების მხოლოდ საზაფხულო სადგომად იქცა, ზამთარში კი დაიწყეს თუშების კუთვნილ საზამთრო საძოვრებზე — დღევანდელი სოფლების ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის ტერიტორიაზე, მთების ძირში, დროებითი საზამთრო ბინების აშენება. ზემო ალვანში დასახლებამდე, ზამთრობით თუშები კახეთის ბარის რამდენიმე სოფელში ცხოვრობდნენ: ბახტრიონის, ხორხელის, ქისტაურის მიწებსა და პანკისის ხეობაში.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, წოვა-თუშები ნახევრად მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდნენ, რასაც განაპირობებდა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში მათ შორის მეცხვარეობის განვითარების მაღალი დონე. მომრავლებულ ცხვარს კი როგორც საზამთრო საძოვრები (ბარში), ისე საზაფხულო საძოვრებიც (მთაში) ესაჭიროებოდა. წოვა-თუშები ცოლ-შვილთან ერთად არ მომთაბარეობდნენ. მეცხვარეობით მხოლოდ მამაკაცები იყვნენ დაკავებულნი. ამიტომაცაა, რომ მეცხვარეობის აღნიშნულ ფორმას სამეცნიერო ლიტერატურაში ნახევრადმომთაბარულს უწოდებენ. ასე რომ, სტიქიურ უბედურებასთან ერთად, წოვა-თუშების მთიდან აყრის მიზეზი მათი სამეურნეო საქმიანობა — ნახევრად მომთაბარული მეცხვარეობაც იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში წოვა-თუშების წოვათიდან აყრის სხვა მიზეზიცაა დასახელებული. ერთ-ერთ მიზეზად მეზობელი არაქართული ეთნიკური ერთეულის — ქისტების (ჩაჩნების) თავდასხმებს ასახელებენ (გ. ბოჭორიძე, 1993, გვ. 14).

სახლების მშენებლობა ალვანის ველზე წოვა-თუშებს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაუწყიათ და მათი ნახევარი ამ დროისათვის ზამთარს უკვე აქ ატარებდა. მიუხედავად იმისა, რომ წოვა-თუშებისათვის უკვე დიდი ხნის განმავლობაში წამყვანი დარგი მეცხვარეობა იყო, არასოდეს უთქვამთ უარი მიწათმოქმედებაზე. საყურადღებოა, რომ ბარში, სოფელ ზემო ალვანში, მიგრირებული წოვა-თუშები გვარების მიხედვით სახლდებოდნენ. მთაში განსახლების პრინციპი არც ბარში მოიშალეს.

თუშეთი და თუშები პირველივე ქართულ საისტორიო წყაროში გვხვდება. ლეონტი მროველი მოგვითხრობს რა IV საუკუნის დასაწყისში საქართველოს გაქრისტიანების ამბებს, აღნიშნავს, რომ ჭართველ მთიელთა ერთმა ნაწილმა — ფხოველებმა ქრისტიანობა არ მიიღეს. მეფის მოხელეს (ერისთავს) კი იარაღი გამოუყენებია. წარმართი ფხოველები კი თუშეთში გადასახლებულან (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 125). თუშები მეორედ ისტორიკოს ჯუანშერთან არიან მოხსენიებულები VIII საუკუნეში არჩილის მეფობის დროს (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 243). უფრო ადრე თუშებს ტუსკების სახელით კლავდიის პტოლემეოსი (ახ. წ. II ს.) ახსენებს.

რაც შეეხება წოვა-თუშებს, პირველად ისინი XVIII ს. პირველი ნახევრის ავტორთან, ვახუშტი ბაგრატიონთან არიან დასახელებულნი. ვახუშტი წოვა-თუშების ენობრივი თავისებურებების, ე.ი. ორენოვნების შესახებაც საუბრობს. ქართულ საისტორიო საბუთებში კი წოვა-თუში პირველად 1754 წლის სამართლის ერთ-ერთ ძეგლშია დასახელებული. მასში საუბარია იმაზე, რომ თუშეთის მოურავი (სახელმწიფო მოხელე) ზურაბი გარე კახეთის სოფელ საგარეჯოს მივიდა, რათა გაერკვია ადგილობრივი მაცხოვრებლის, ვინმე ელიზბარის მიერ წოვა-თუშის ანთა აუაშვილის დაჭერის ამბავი (ქსძ, 1972, გვ.425). ამავე საბუთში, ანთა აუაშვილსა და მისი ძმის ჩუმას გარდა, სხვა წოვა-თუშებიც (უთი შვილაშვილი, სანდაურ მუშთრყალიშვილი, უჯი ბერუკაშვილი, საღირ უჯიშვილი) არიან

დასახელებული. ამავე დოკუმენტში ქართული ენის თუშურ დიალექტზე მოლაპარაკე სხვა ორი თუშიცაა დასახელებული (დოჭველი გოთა გოთაძე და შენაქოელი დავით ხელიძე). არც უცხოელ ავტორებს დარჩენიათ თუშები უურადღების გარეშე. მაგალითად, 1771 წელს საქართველოში იმოგზაურა გერმანელმა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა. მან წოვა-თუშების შესახებ აღნიშნა, რომ ისინი ქართულ-ნარევ ქისტურად ლაპარაკობენო.

წოვა-თუშების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობაა. ვინ არიან ისინი? ადგილობრივი მკვიდრნი არიან თუ მიგრირებულნი? რატომაა ერთი ხალხის (ეთნოსის) ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფი ენობრივად ორ სხვადასხვა ნაწილად გაყოფილი? რატომ არიან წოვა-თუშები ორენოვანნი? ზოგიერთი მკვლევარი, პირველ რიგში, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთაში (თუშეთში) მცხოვრები წოვა-თუშები მხოლოდ გვიან, XVIII ს-დან გვხვდებიან საისტორიო წყაროებსა და დოკუმენტებში. ეს ფაქტი სულაც არ მიუთითებს იმაზე, რომ მათ გვიან და თანაც აღნიშნული პერიოდიდან დაიწყეს თუშეთში ცხოვრება. თუ მოსული და მიგრირებული არიან ჩრდილოეთ კავკასიიდან (როგორც ზოგიერთი ფიქრობს, ინგუშეთიდან), როდის უნდა მომხდარიყო ეს? ამავე დროს ისმის კითხვა: როდის გახდნენ ორენოვანნი? ფაქტია, რომ საქართველოს ბარში ჩამოსახლებამდე, ჯერ კიდევ მთაში (თუშეთში) ცხოვრებისას, წოვა-თუშები ორენოვანნი იყვნენ. ამას ვახუშტი ბაგრატიონისა და გერმანელი მეცნიერის გიულდენშტედტის ცნობებიც ადასტურებენ. თუშეთში წოვა-თუშები ქართულ ენაზე მეტყველი თუშების გარემოცვაში ცხოვრობდნენ. თუშეთის მოსახლეობის ძირითადი, 2/3 ნაწილი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ქართული ენის თუშურ დიალექტზე მეტყველებდა. წოვა-თუშების ცხოვრება წარმოუდგენელი იყო მათთან ურთიერთობის გარეშე. ამას ისიც ამტკიცებს, რომ წოვა-თუშებსა და დანარჩენ თუშებს ეთნოგრაფიული ყოფა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები მსგავსი აქვთ. ორივე ჯგუფს ისტორიულად ინტენსიური კონტაქტები და სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ ბართან. უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც წოვა-თუშები ორენოვანნი არიან. წოვა-თუშების ურთიერთობას ქართულენოვან თუშებთან და შემდეგ საქართველოს ბარის მოსახლეობასთან, როგორც ჩანს, დიდი ხნის ტრადიცია აქვს, რადგან მათ ენაში ლექსიკის 2/3 შეღწევას ქართული ენიდან ხანგრძლივი დრო დასჭირდებოდა. აბრამ შავხელიშვილი წერს: "Грузинский язык всегда был родным языком цова-тушин. Это еще раз подтверждается той огромной духовной литературой, которая хранится в краеведческом музее села Алвани. Население одинаково владело и грузинским и цова-тушинским языками» (ა. შავხელიშვილი, 2001, გვ. 155). XX საუკუნის 30-იან წლებში ეთნოგრაფი ს. მაკალათია კი აღნიშნავდა, რომ „წოვა-თუშები წოვურ ენაზე მეტყველებენ. მათი ენა წარმოშობით ღილღურია (ე.ი. ინგუშური — რ.თ.) და ქისტურის მონათესავე. მაგრამ ამ წოვურ ენაში მრავლადაა ქართულიდან ნასესხები და შეთვისებული სიტყვებიც. წოვებს უყვართ თავიანთი წოვური ენა და შინ და გარეთ ერთმანეთში წოვურად საუბრობენ. ოჯახში წოვური ყველამ იცის; მისი უცოდინრობა სირცხვილია. ბავშვები ენას ამ წოვურით იდგამენ და შემდეგ ქართულს სწავლობენ“ (ს. მაკალათია, 1983, გვ. 109).

ახლა ისევ უნდა დავუბრუნდეთ წოვა-თუშების აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დასახლების საკითხს. იმის გამო, რომ სათანადო წერილობითი

წყაროები, საბუთები არ გაგვაჩნია, ამ პრობლემის შესახებ მსჯელობისას ერთადერთი წყარო გადმოცემები და ენობრივი მონაცემებია. ამთავითვე უნდა ვთქვათ, რომ მეცნიერები, რომლებიც წოვა-თუშების საკითხს ეხებიან, ორ ჯგუფად იყოფიან: ერთნი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათი წინაპრები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჩრდილოეთ კავკასიიდან, ინგუშეთიდან არიან მოსულები და, მეორენი, რომლებიც ასევე ამტკიცებენ, რომ წოვა-თუშების წინაპრები თავიდანვე აქ მკვიდრობდნენ და ისინი არსაიდან არ არიან მიგრირებულნი. არსებობს მესამე შეხედულებაც, რომელიც ავრცობს მეორე შეხედულებას. ამ მოსაზრების ავტორი ასკვნის, რომ წოვა-თუშები თუშეთის ოდინდელი მკვიდრნი არიან და სწორედ ისინი არიან ძველ წყაროებში მოხსენიებული თუშები და თუშეთის ქართულენოვანი მოსახლეობა შედარებით გვიანაა მოსული აქ საქართველოს ბარიდან; მოსული ქართულენოვანი მოსახლეობის წოვა-თუშებთან ასიმილაცია, მათი გაქართველება და ადგილობრივი მკვიდრი თუშების მეტყველება მხოლოდ თუშეთის წოვათის თემს შემორჩა. ამ შეხედულების ავტორია ყიზილაშვილი, რომელიც განათლებით არც ისტორიკოსია და არც ლინგვისტი.

წოვა-თუშების აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში — თუშეთში ჩრდილოეთ კავკასიიდან (ინგუშეთიდან) გადმოსახლების შესახებ მონაცემები ჯერ კიდევ XIX საუკუნის პრესაში იბეჭდებოდა, რაც გაგრძელდა და აისახა XX საუკუნის სამეცნიერო ლიტერატურაში. ძირითადი არგუმენტი იყო გადმოცემები და წოვა-თუშური ენის მსგავსება ვაინახურ ენებთან. ერთ-ერთი პირველი, ვინც ეს მოსაზრება XIX საუკუნის პრესაში დაბეჭდა, იყო ივანე ცისკარიშვილი, წარმოშობით წოვა-თუში (ი. ცისკაროვი, 1843). ამ მოსაზრებას იზიარებდა ლინგვისტი აკაკი შანიძე. მისი აზრით, ქართულენოვანი თუშების „მამა-პაპანიც წოვა-თუშურად ლაპარაკობდნენ და შემდეგ თანდათან გადმოვიდნენ ქართულზე“ (ა. შანიძე, 1972, გვ. 109). ამდენად, ის ქართულ ენაზე მოლაპარაკე თუშებს ნარევ, ქართულ-ვაინახური წარმოშობის მოსახლეობად მიიჩნევდა. წოვა-თუშების ვაინახური წარმოშობის შესახებ წერდნენ: პ. უსლარი, ვ. ლაგაზიძე, თ. უთურგაიძე, ჯ. სტეფნაძე...

რუს მეცნიერთაგან აღნიშნული პრობლემით განსაკუთრებით დაინტერესდა კავკასიათმცოდნე ეთნოგრაფი ნ. ვოლკოვა (ნ. ვოლკოვა, 1977, გვ. 84-89; ნ. ვოლკოვა, 1973, გვ. 161; ნ. ვოლკოვა, 1974, გვ. 153-156). არსებული სამეცნიერო ლიტერატურის და მის მიერ მოპოვებული გადმოცემების საფუძველზე (როგორც წოვა-თუშებში, ისე ჩრდილოეთკავკასიელ ინგუშებში), ის ერთმნიშვნელოვნად ასკვნიდა, რომ წოვა-თუშები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში — თუშეთში ჩრდილოეთ კავკასიიდან, ინგუშეთიდან არიან გადმოსახლებულნი. ნ. ვოლკოვას მიერ ჩაწერილი გადმოცემებით, ინგუშეთიდან წოვა-თუშების გადმოსახლების მიზეზი სარწმუნოება ყოფილა. მათ ქრისტიანობის უარყოფასა და ისლამის მიღებას აიძულებდნენ. მაჰმადიანობა რომ არ მიეღოთ, ამის გამო წამოვიდნენ და საქართველოს მთებში ჩამოსახლდნენ. სხვა გადმოცემით, ინგუშეთში, სადაც წოვა-თუშების წინაპრები ცხოვრობდნენ, მიწა ძალიან მცირე და მწირი იყო. ამიტომ მათ გადაწყვიტეს ახალი მიწა ეძებნათ დასასახლებლად. ადგილს, საიდანაც ისინი გადმოსახლდნენ, ვაპი (ვაბი) ეწოდება.

წოვა-თუშების ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლების შესახებ გადმოცემები ნ. ვოლკოვას თვით წოვა-თუშებისაგან ჩაუწერია: “წოველი

ქართველები ვართ, მაგრამ წარმოშობით ქისტები და ენაც ქისტურის მონათესავეა. დღეისათვის წოვები თუშების ნაწილი ვართ, მაგრამ ჩვენ მოვედით სხვა მხრიდან, დასავლეთიდან, ღალღას (ღალღაის) ქვეყნიდან. როდესაც შაჰ-აბასს უნდოდა ჯველას მუსლიმანურ სარწმუნოებაზე მოქცევა, მაშინ ღალღელები გადმოსახლდნენ საქართველოს მთებში“ (ნ. ვოლკოვა, 1974, გვ. 84). ნ. ვოლკოვა უთითებს კიდევაც იმ ადგილს, საიდანაც წოვა-თუშების წინაპრები გადმოსახლებულან. ესაა არმხის (ჯეირახის) ხეობის სოფელ ერზის მახლობლად ადგილი, რომელსაც ვაბი (ვაპი) ჰქვია. ინგუშური გადმოცემებით, წოვა-თუშების ინგუშეთიდან ადრა-გადასახლების მიზეზი მცირემიწიანობა ყოფილა. ამავე დროს **ინგუშეთში დაფიქსირებული ეთნოგრაფიული მონაცემებით, ინგუშეთიდან საქართველოში გადმოსახლებული წოვა-თუშების წინაპრები თავის დროზე ინგუშეთში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინციიდან — ხევსურეთიდან ყოფილან გადმოსახლებულნი, ხევსურების მონათესავენი ყოფილან** (ნ. ვოლკოვა, 1973, გვ. 169). სხვა ნაშრომში იგივე ავტორი წოვა-თუშურ გვართა ნაწილის ხევსურეთის არხოტის თემიდან გადმოსახლებაზე მიუთითებს. ასეთ გვარებს შორის ის ისტორიული გადმოცემებით პირველ რიგში ცისკარიშვილების დიდ გვარს ასახელებს (ნ. ვოლკოვა, 1974, გვ. 152). აქ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გადმოცემა იმის შესახებ, რომ ხევსურეთის ლიქოკის ხეობაში ცხოვრობდნენ ბაციონნის გვარისანი, რომლებიც აქედან გაურკვეველი მიმართულებით გადასახლებულან. ამ თვალსაზრისით იქნებ ისიც იყოს მნიშვნელოვანი, რომ ხევსურეთში ერთ-ერთ სოფელს „ბაცალიგო“ ჰქვია. რუსი ეთნოგრაფი ნ. ვოლკოვა იმასაც აღნიშნავდა, რომ ჩაჩნეთის მაისტის თემის მოსახლეობა ოდესღაც ენითა და კულტურით ქართველებთან ახლოს იდგა და წარსულში ქრისტიანობას აღიარებდა. უფრო მეტიც, ჩაჩნეთის სოფელ როშნიჩუში ნ. ვოლკოვას ჩააწერინეს გადმოცემა, რომ ჩაჩნეთის მალხისტის თემის მკვიდრი ჩაჩნები ქართველ მთიელთა — ხევსურთა შთამომავლები არიან. მას საქართველოდან (ხევსურეთიდან) გადმოსახლებულთა შთამომავლებად ჰყავს მიჩნეული ინგუშეთის მეცხალის ხეობის სოფელ შუანის მკვიდრნიც (ნ. ვოლკოვა, 1973, გვ. 166, 168). სხვათა შორის, ვაინახები (ჩაჩნები) ხევსურთა მეზობელ ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფს ფშავლებს „შუო“-ს უწოდებენ.

ახლა ისევ დავუბრუნდეთ ნ. ვოლკოვას წიგნში მოყვანილ ინგუშურ გადმოცემას ინგუშეთიდან საქართველოს მთაში გადმოსახლებული წოვა-თუშების ქართველ მთიელებთან (ხევსურებთან) ნათესაობის შესახებ. თითქმის ანალოგიური გადმოცემა ჩავიწერეთ ჩვენც 2005 წელს ძველი ამბების, გადმოცემების შესანიშნავი მცოდნისაგან ადამ ალექსის ძე ჩარხოშვილისაგან (დაბადებული 1928 წელს), რომელიც მას ბავშვობაში ღრმად მოხუცებისაგან მოუსმენია: საქართველოს რამდენიმე სოფელში მცხოვრები ექვსი მეცხვარე (ხუთი ჭიზიყის მხრიდან და ერთიც სოფელ მატნიდან — გვარად ტურაშვილი) კარგი საძოვრების ძებნაში ფშავის გომეწრის ხეობაში საკმაო ხანს გაჩერებულა. ფშავში მათ შეუერთდათ კაცი, გვარად **შველური. ამ უკანასკნელს მეცხვარეებისათვის შესანიშნავი საძოვრებით მდიდარი ინგუშეთის ჯარიახის ხეობა მიუსწავლებია. ამ შვიდი გვარის ქართველი მეცხვარე თავისი ცხვრით და ცოლ-შვილით მართლაც გადასულა ინგუშეთში. აქ მათ ერთი ადგილობრივი მკვიდრიც შეჰმატებიათ. ასე გაჩნდა ინგუშეთის ერთ-ერთ სოფელში რვა გვარი, რომელთა**

წევრებიც შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობაზე დაჭორწინდნენ. ქართული წარმომავლობის მეცხვარეთა შთამომავლებისათვის ინგუშური მშობლიურ ენად იქცა. ინგუშეთში კარგა ხნის ცხოვრების შემდეგ საქართველოდან მიგრირებულთა შთამომავლებს ადგილობრივი ინგუშები ავიწროებდნენ, რადგანაც ისინი აქ საძოვრებით სარგებლობის პირობით მოვიდნენ და არა დასასახლებლად. შევიწროვებული მეცხვარეები და მათი ოჯახები იძულებული გახდნენ ინგუშეთიდან აყრილიყვნენ და ახლა ჩაჩნეთში გადასულიყვნენ. ჩაჩნეთში რამდენიმე ადგილი გამოუცვლიათ და ბოლოს ითონხალეში დასახლებულან. ითონხალეში გარკვეული ვადით ყოფნის შემდეგ, წოვა-თუშების წინაპრები თუშეთის პირიქითის თემის სამ სოფელში — გირევში, ჭონთიოში და ჭეღოში დასახლებულან. ამ სოფლებში შეკედლებულნი შემდეგ წოვათაში გადასახლებულან და რვა გვარი სხვადასხვა სოფელში დამკვიდრებულა. პირველი ადამიანი, რომელიც წოვათის თემში დასახლებულა, ჭეიჭენის გვარის წარმომადგენელი წოე ყოფილა. მაგრამ მას არც ოჯახის წევრები და არც სხვები გაჰყოლიან. წოვათაში წოვა-თუშების საბოლოო დასახლება სათუშო ყრილობის გადაწყვეტილებით მომხდარა, რადგან პირიქითა თემის სამი სოფლის (გირევის, ჭონთიოს, და ეღოს) მოსახლეობას თვითონ არ ჰქონდა საკმარისი მიწა. ამიტომ იყო, რომ თავდაპირველად მიცვალებულები წოვა-თუშებს დასაკრძალავად თუშეთის პირიქითის თემის სოფელ ჭონთიოში მიჰყავდათ. პირველი დასახლებული ადამიანის სახელის „წოას“ გამო ეწოდა თემს წოათას (წოვათს) სახელი. მათ ქრისტიანობა შენარჩუნებული ჰქონდათ, მაგრამ შენარჩუნებული ჰქონდათ თუ არა ქართული ენა, გადმოცემებით არ დასტურდება. ფაქტია, რომ XVIII საუკუნეში წოვა-თუშები ორენოვანნი იყვნენ. წოვა-თუშურ ენასთან ერთად ისინი ქართულ ენასაც ფლობდნენ. **ამ თვალსაზრისით არანაკლებ საყურადღებო უნდა იყოს იმავე ნ. ვოლკოვას მიერ ღრმა მოხუცებულებისაგან ჩაწერილი სოციალური ხასიათის მასალა, რომ ღალღები (ინგუშები) ვაბიელებზე (საიდანაც გადმოსახლებულნი იყვნენ წოვა-თუშები) მაღლა აყენებდნენ თავიანთ თავს. მათ წესად ჰქონდათ დადგენილი, რომ ერთი ღალღის (ინგუშის) მოკვლისათვის სამაგიეროდ ორი ვაბიელი მოეკლათ** (ნ. ვოლკოვა, 1973, გვ. 169). **ამ მასალით აშკარაა, რომ ვაბიელები, როგორც მოსულები, უცხონი იყვნენ ინგუშებისათვის და, ამის გამო, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, მიგრირებულებზე თავს მაღლა იყენებდნენ.**

გადმოცემით, საქართველოდან ინგუშეთის სოფელ ვაბში გადასული შვიდი მეცხვარის შთამომავლები აქ ორი-სამი თაობის განმავლობაში დარჩნენ; აქ შეითვისეს ადგილობრივი მოსახლეობისაგან ინგუშური ენა.

ნ. ვოლკოვას მიერ ჩაწერილი გადმოცემებით წოვა-თუშთა წინაპრები ინგუშეთიდან თუშეთში შაჰ-აბასის დროს გადმოსახლდნენ, თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ შაჰ-აბასს ინგუშეთში არასდროს არ ულაშქრია. საერთოდ დასახელებულ მკვლევარს წოვა-თუშების მიგრაციის დროის განსაზღვრა რთულ საქმედ მიაჩნდა. თვით წოვა-თუშებში ჩაწერილი გადმოცემებით ისინი ბახტრიონის ბრძოლაში (1659 წელი) აქტიურად იბრძოდნენ. ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით

ამ დროს წოვა-თუშები თუშეთის პირიქითი თემის ზემოთ დასახელებულ სამ სოფელში ცხოვრობდნენ და წოვათის მკვიდრნი ჯერ არ იყვნენ. ეთნოგრაფიული მასალებით, სათუშო ყრილობამ წოვათში წოვა-თუშები ბახტრიონის ბრძოლის შესამე წელს, ე. ი. 1662 წელს დაასახლა. რამდენ ხანს ცხოვრობდნენ მათი წინაპრები თუშეთის პირიქითის ხეობაში, გადმოცემებით ამის დადგენა ერთობ ჭირს. ჩვენი აზრით, ეს დროის მცირე მონაკვეთი არ უნდა ყოფილიყო, რადგან წოვათში გადმოსახლების შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში მათ მიცვალებულები დასაკრძალად პირიქითში გადაჰყავდათ.

წოვა-თუშებს ქართული გვარსახელები აქვთ. მათი გვარსახელების როგორც ძირები (ფუძეები), ისე სუფიქსები ქართულია. ისინი ბოლოვდება -ძე, -შვილი და -ურ სუფიქსებით. თუმცა, როდესაც წოვა-თუშები საუბრობენ წოვა-თუშურ ენაზე, ისინი თავიანთ გვარებს თავისებურ ფორმას აძლევენ. როგორც შენიშნულია, „ერთი ჯგუფი იწარმოება -ღარ ელემენტის დართვით, მეორე კი -ურ ელემენტს დაირთავს. ამ მეორე ჯგუფის გვარებს ბოლოში დაერთვის კიდევ -ი სუფიქსი, რომელიც მრავლობითობას გამოხატავს“ (კ. ჭრელაშვილი, 2002, გვ. 292). მაგალითად, აფშინაშვილი წოვა-თუშურად არის აფშინა-ღარ, ქავთარაშვილი — ქოვთარ-ღარ, ჭრელაშვილი — ჭრელა-ღარ, შველაშვილი — შველა-ღარ, ვეშგურიძე — ვეშგურ-ღარ, ხაჩირიძე — ხაჩირ-ღარ, და სხვ. სამართლიანადაა შენიშნული, რომ -ღარ ელემენტი კრებითობას, კუთვნილებას გამოხატავს (კ. ჭრელაშვილი, 2002, გვ. 293). მეორე რიგის გვარები წოვა-თუშურ ენაში იწარმოება -ურ, -რ (/- ურ) ელემენტის დართვით (კ. ჭრელაშვილი, 2002, გვ. 294). მაგალითები: მეოტიშვილი — მევტ-ურ-ი, მჭედლიშვილი — ჭედლ-ურ-ი, შალაფიშვილი — შალფ-ურ-ი, ქადაგიძე — ქადგ-ურ-ი, დინგაშვილი — დინგ-რ-ი, წოტოიძე — წოტ-რ-ი, ლაგაზიძე — ლაგზ-ურ-ი და ა.შ. -ურ სუფიქსს წოვა-თუშურ ენაში კ. ჭრელაშვილი ქართული ენის სუბსტრატად მიიჩნევს.

თავდაპირველად ყოველ წოვა-თუშურ სოფელში ერთი გვარის ხალხი მკვიდრობდა. ეთნოგრაფიული მონაცემებით ეს გვარებია: **ფეშკროუ, შუირთლოუ (შურთლობი), ჭეიჭენი, შველური, ბეიხური, წარბი, ბღუჯრობი და უედღარა**. ამ გვარებს შემდეგ სხვადასხვა გვარები გამოეყო, ე.ი. ხდებოდა ახალი გვარების წარმოქმნა. ეს პროცესი ძირითადი გვარისაგან ახალი გვარების გამოყოფით მიმდინარეობდა, როგორც მთაში ცხოვრების, ისე ბარში გადმოსახლების შემდეგაც. ბევრია შეძმავებული, ხარით შეყრილი გვარი (ანუ ხელოვნურად დანათესავებული გვარი), რომელთა წინაპრებიც უმეტეს შემთხვევაში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსული დაჭირავებული მწყემსები იყვნენ. გვარსახელებს საფუძვლად გამორჩეული წინაპარი მამაკაცის სახელი ედებოდა. ეს გვარები, როგორც ახალი, ისე ძველი, ერთ სანათესაო წრეს წარმოადგენდა.

წოვა-თუშური გვარების შესახებ საინტერესო სურათი იხატება. მაგალითად, სოფელ საგირთის ერთ ნაწილში წარმოშობით გომეწრელი ფშაველის **შველურის** მოდგმისანი დასახლდნენ. შველურთა გვარიდან არიან გამოსულები დინგაშვილები და ცისკარაშვილები. შემდეგ ცისკარაშვილების გვარს რამდენიმე ახალი გვარი გამოეყო. სოფელ საგირთის მეორე ნაწილში (მას ძველად „წოეთას“ უწოდებდნენ) **ჭეიჭენის** გვარისანი მკვიდრობდნენ. ეს გვარი დაახლოებით 12 გვარს მოიცავს: შავხელიშვილი, ბაბოშვილი, ბასილაშვილი, მიქელაძე, ბაჩულაშვილი, ჯიმშერიშვილი, იტოშვილი, ჭრელაშვილი, ფილიშვილი, ციხელიშვილი. ჭეიჭენის

გვარის ძირითადი ნაწილი ამოწყვეტილა. მათ უშუალო მემკვიდრეებად საგიშვილები ითვლებიან. თუმცა სხვა მონაცემებით ისინიც ხევსურეთიდან მიგრირებული ბერდიშვილების შთამომავალნი არიან. დანარჩენი გვარები შეყრილ, ხელოვნურად დანათესავებულ გვარებად მიიჩნევა.

თავდაპირველად სოფელ ეთელტაში **ფეშკროუს** გვარისანი ცხოვრობდნენ. ოფიციალურად დღეს ასეთი გვარი აღარ არსებობს. ამ გვარში გაერთიანებულია: ჩარხოშვილები, მუშტარაულები, ბახტარიშვილები, ბაინდურიშვილები, ბაძოშვილები, ჯიხოშვილები, ბაიაძეები, პაპაშვილები, ბუქურაულები, ბეგუმიშვილები, ხადიშვილები, ნაკვეთაურები, ჭარელაშვილები, ღალიშვილები, შანქიაშვილები, ოჟილაურები. ფეშკროუს გვარის უშუალო შთამომავლად მხოლოდ ბაძოშვილები ითვლებიან. დანარჩენი გვარები შემმავებული, ხარით შეყრილი (ხელოვნურად დანათესავებულნი) არიან. მიუხედავად იმისა, რომ სოფელ ეთელტის მკვიდრ 16 გვარს ერთმანეთთან სისხლისმიერი ნათესაობა არ აკავშირებდა, ისინი ერთმანეთზე არ ქორწინდებიან.

სოფელ ინდურთის ძირითადი გვარი **შორთიანი (შორთიულები)** ყოფილა. დღეს ისინი შორთიშვილის გვარს ატარებენ. ინდურთის დანარჩენი გვარები ძირითადად ხელოვნურად არიან ერთმანეთთან დანათესავებულნი. მაგალითად, ლაგაზიძეები ფშავიდან მოსულან.

სოფელ წაროში მკვიდრობდნენ: უჯირაულები, სულხანაურები, დათოიძეები, ხაჩირიშვილები, ქოდურიშვილები. მათ თავდაპირველ გვარად **წაროელი (წოვა-თუშურად — წარბი)** მიიჩნევა. მაგრამ სინამდვილეში წაროელების უშუალო შთამომავალი არც ერთი დასახელებული გვარი არაა. სოფელ წაროს თავდაპირველი მკვიდრნი შავ ჭირს გაუწყვეტია. მთაში არსებული ტრადიციით, წაროელთა ნასახლარზე პირველად სულხან ახალაური დაუსახლებიათ და რადგან ის მათ მემკვიდრედ გამოაცხადეს, წაროელის გვარიც მიუღია. მართლაც, დღეს სულხან ახალაურის შთამომავალთა ოფიციალური გვარი (როგორც მთხრობელები ამბობენ — „დასაწერი გვარი“) სულხანაურია, მაგრამ მოსახლეობა მათ დღესაც წაროელებს (წოვურად — წარბი) უწოდებენ.

წოვა-თუშეთის სოფლებში წოვა-თუშების გარდა ცხოვრობდნენ ფშავიდან, ხევსურეთიდან, ქისტეთიდან მიგრირებულებიც. მოსული გვარები ადგილობრივი გვარების მფარველობის ქვეშ იყვნენ, როგორც ადგილობრივები იტყოდნენ, „შეძმავებულები“ იყვნენ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უცხოს მიღების, გათავისების წესი ტრადიციული იყო. ეს იყო მოსულის (მიგრანტის) ხელოვნურად დანათესავება. ამ უკანასკნელსა და მის შთამომავალთ სისხლისმიერი ნათესავისაგან არავინ ასხვავებდა. უცხო, მოსული ადამიანი ტერიტორიული თემის (სოციუმის) სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა. ეს კი, როგორც შენიშნულია, განამტკიცებდა სოციალურ ერთობას. მთიელებისათვის კი ეს ერთობა ერთ-ერთი უმაღლესი ფასეულობა იყო (მ. კანდელაკი, 2001).

სოფელ მოზვერთას ძირითადი გვარია **ბაიხოიძე**. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ **ინგუშეთიდან თუშეთში მოსული რვა გვარიდან შვიდი ქართული წარმოშობის იყო (ხუთი ქიზიყელი, ერთი სოფელ მატნელი და ერთიც გომეწრელი ფშაველი). ინგუშური წარმოშობის ერთადერთ გვარად სწორედ ბაიხოძეების (ბეიხური) გვარი ითვლება. შემდეგ ბაიხოძეების გვარში ათზე მეტი გვარი შესულა. ძირად ბაიხოძეები კი, სიავკაცის გამო, თუშებს ამოუწყვეტიათ. ბაიხოძის მხოლოდ ერთი კოჭლი კაცი დაუტოვებიათ ცოცხალი, რომლის შთამომავლნიც ახალდიშვილები**

და თორღვაშვილები არიან. მთხრობელთა თქმით, ახლაც არიან ბაიხოძეები, მაგრამ ისინი სინამდვილეში დიდოელი შარმადინოვნების შთამომავლები არიან.

ჩვენი ეთნოგრაფიული მასალებით **დღეს სულ 86 წოვა-თუშური გვარი ითვლება, რომლებიც რვა ძირითად გვარში არიან გაერთიანებული. რვა ძირითადი გვარიდან შვიდი გვარი ქართული წარმომავლობის იყო და მხოლოდ ერთი გახლდათ ინგუშური წარმომავლობის. ინგუშეთის ჯარიახის ხეობაში (ადგილი ვაბი) ცოლ-შვილით გადასული შვიდი ქართველი მეცხვარის შთამომავლები ორი-სამი თაობის განმავლობაში დარჩნენ ინგუშეთში, სადაც მათ ძირითად სალაპარაკო ენად ინგუშური იქცა, რადგან საქართველოდან გადმოსულთა შთამომავლები ადგილობრივ ინგუშებთან შევიდნენ საქორწინო ურთიერთობაში. შვიდ წარმოშობით ქართველ გვარს ინგუშეთში მერვე, ინგუშური გვარიც დაემატა, რომლებიც შემდეგ თუშეთში დასახლდნენ. თუშეთში დასახლების შემდეგ წოვა-თუშებს როგორც მთაში, ისე მთიდან გადმოსახლების შემდეგ ფშავიდან, ხევსურეთიდან და სხვა კუთხეებიდან მოსული არაერთი გვარი შეუერთდა. წოვა-თუშებთან ხელოვნურად დანათესავებულები ძირითადად დაქირავებული მწყემსები იყვნენ, რომლებიც დროთა განმავლობაში ცხვრის საკმაო რაოდენობის გაჩენის შემდეგ აქვე დარჩენის სურვილს გამოთქვამდნენ.** საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ცალკეული გვარების მიგრაცია XIX საუკუნის მოსახლეობის კამერალური აღწერის დავთრებითაც დასტურდება.

ამრიგად, ქართველთა ეთნოგრაფიული ჯგუფის – წოვა-თუშების რვა ძირძველი გვარიდან მხოლოდ ერთ გვარს ჰქონდა არაქართული წარმომავლობა. ისინი ფაქტობრივად საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები არიან. წოვა-თუშების ეთნოგრაფიული ჯგუფის ფორმირება რთული სოციალური, კულტურული და სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგად მოხდა. მათი ორენოვნება კი ინგუშეთში, სოფელ ვაბში რამდენიმე თაობის განმავლობაში ცხოვრებამ განაპირობა. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით წოვა-თუშები არ განსხვავდებოდნენ დანარჩენი ქართველებისაგან. მათი ქართული მეტყველება უფრო ახლოს იდგა ქართულ სალიტერატურო ენასთან, ვიდრე მეზობლად მცხოვრები სხვა ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფებისა.

დამოწმებული ლიტერატურა

ს. არუთინოვი, 1989 - Арутюнов С.А., Народы и культуры, М., 1989.

ს. არუთინოვი, 2002 - Арутюнов С.А., Судьба малых народов в III тысячелетии христианской эры; Встреча этнических культур в зеркале языка, М., 2002.

გ. ბოჭორიძე, 1993 - გ. ბოჭორიძე, თუშეთი, თბ., 1993.

ნ. ვოლკოვა, 1974 - Волкова Н.Г., Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII – начале XX века, М., 1974.

ნ. ვოლკოვა, 1979 - Волкова Н.Г., Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973.

ნ. ვოლკოვა, 1977 - Волкова Н.Г., Басбийцы Грузии: этнографические заметки: Советская этнография, №2, 1977.

მ. კანდელაკი, 2001 - მ. კანდელაკი, ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან, თბ., 2001.

ს. მაკალათია, 1983 - ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983.

ა. ონიანი, 1997 - ა. ონიანი, საქართველო და ქართული ენები: ქუთაისური საუბრები, IV, 1997.

ტ. ფუტკარაძე, ზ. კიკვიძე, 1997 - ტ. ფუტკარაძე, ზ. კიკვიძე, ეროვნული სოციოლინგვისტური პროფილის ფორმაციის კომპონენტებისათვის: ქუთაისური საუბრები, IV, 1997.

ქართლის ცხოვრება, 1955 - ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1955.

ქსძ, 1972 - ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1972.

მ. ქურდიანი, 1997 - მ. ქურდიანი, ენა და ერი: ქუთაისური საუბრები, IV, 1997.

ა. შავხელიშვილი - Шавхелишвили А.,Тушины: Историко-этнографическое исследование цова-тушин, Тб., 2001.

ა. შანიძე, 1972 - ა. შანიძე, თუშები: მნათობი, 1972, №2.

ი. ცისკაროვი, 1848 - Цискаров И., Записки о Тушетии: Кавказ, 1848, №7-12

კ. ჭრელაშვილი, 2002 - კ. ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბ., 2002.

ბ. ჯორბენაძე, 1995 - ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.

ROLAND TOPCHISHVILI

TSOVA-TUSHS

Tsova-Tushs are one of the ethnographic groups of Georgians. They are speaking as well as tsova-tushian and Georgian. There are several views in the scientific literature on the problem of the origins of Tsova-Tushs. According to one veiw they have been migrated from the North Caucasus – Ingushetia. There is another idea, that Tsova-Tushs are aborigines population and the gaorgian lingual Tushs are here the migrants. According to our data nowadays there are existing only 86 Tsova-Tushian surnames, which are united into eight Kinship groups. Among these eight groups seven re of Georgian origins and only one is of ingushian origin.

Two-three generation of seven Georgian sleepers moved to Ingushetia with their families lived in Jairakh gorge (place Vab). There the ingushian language became their colloquial language, while they have marital relations with the native Ingushs. To the these seven Georgian Kinships later was added one ingushian Kinship group and they moved to Tushetia. After the settling in Tushetia to these groups were also added the migrants from Pshavi, Skevsureti etc. There were also hired sheepers entered in related to Tsova-Tushs, who stayed together with them after earning some account of sheep. The migration of several surnames from the different parts of Georgia is proved also by the data of cameral census of population in the XIXth century.

თინათინ თურჭია

ერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ნორმობრივი საკითხისათვის ქართულში

თანამედროვე ქართულში მეშველზმნიანი ფორმები აქტიურია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ აწმყოში მეშველზმნიანი ფორმების გამოყენება ზმნათა მაინცდამაინც დიდი რაოდენობისათვის იყოს დამახასიათებელი. ამგვარ ფორმათა სიმრავლის შთაბეჭდილებას ქმნის, უპირველეს ყოვლისა, III სერიის ფორმათა ხმარების ინტენსიურობა (მათი დრო-კილოური სპეციფიკის გამო), ბოლო ხანებში აღწერილობითი ფორმების გააქტიურება ევროპული ზმნური მოდელების გავლენით და, ამასთან, იმ არცთუ მრავალრიცხოვან ზმნათა სემანტიკური აქტივობა, რომლებიც აწმყოში ამჟამად მეშველ ზმნებს მიმართავენ I და II პირის გასაფორმებლად.

სალიტერატურო ენას, მიუხედავად დიდი მდგრადობისა და ნორმობრივი შემოსაზღვრულობისა, ახასიათებს მუდმივი აქტიურობა და ცვალებადობა. სალიტერატურო ენა მუდმივად მარაგდება ახალი ენობრივი ფორმებითა და უკვე არსებული ლექსიკის ახალი შინაარსობრივი ნიუანსებით. ენაში სისტემატურად ხდება: 1. ახალი სიტყვების შექმნა, 2. არსებული ლექსიკის გადააზრება; 3. ნასესხობათა "მოქართულება", 4. არანორმობრივ პარალელურ ფორმებს შორის ფუნქციათა (ან შინაარსთა) გადანაწილება და სხვ.

ჩვენთვის სწორედ ეს ბოლო ტიპია საინტერესო. ჩვენი მსჯელობა ეხება დღევანდელ სალიტერატურო ენასა და სასაუბრო მეტყველებაში გავრცელებულ ერთი სახის სტატიკურ ზმნათა პარალელურ ფორმებს: თრთიხარ და თრთი, ვძრწივარ და ვძრწი, ტირიხარ და ტირი, შენატრიხარ და შენატრი, ტყუიხარ და ტყუი, ვფიცავარ, ფიცავხარ და ფიცავ, ბრწყინავხარ და ბრწყინავ, ჩასძახიხარ და ჩასძახი, მღერიხარ და მღერი, კვნესიხარ და კვნესი, მიჭრიხარ და მიჭრი, გორავხარ და გორავ, დავხარივარ და დავხარი, მიუძღვიხარ და მიუძღვი, უკივიხარ და უკივი...

ჩვენი მასალა აჩვენებს, რომ დასახელებული პარალელიზმები დასტურდება მხატვრულ ლიტერატურაშიც და მასმედიაშიც. თითქმის სისტემატურია მათი პარალელური ხმარება ზეპირ მეტყველებაში, ამასთან, სასაუბრო ენაში უფრო ხშირად სწორედ მეშველზმნიანი ფორმები გვხვდებოდა. ამ ტენდენციის ახსნის მიზნით, ჩვენ სტატიკურ ზმნათა ის ჯგუფი, რომელიც მეშველზმნიანი წარმოებისკენ აღმოჩნდა მიდრეკილი, შემდეგი პრინციპით დავალაგეთ: ა) ზმნები, რომლებიც მხოლოდ მეშველზმნიან ფორმებს აწარმოებენ და ბ) ზმნები, რომლებიც პარალელური ფორმების სახით გვხვდებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ მეშველზმნიან ფორმას აწმყოში იყენებენ ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნები.

საერთოდ, პირველი და მეორე პირის ფორმათა მოძიება მხატვრულ ლიტერატურაში, მით უფრო, კონკრეტულად ერთი მწკრივისათვის (ჩვენს შემთხვევაში, აწმყოსათვის) იოლი არ აღმოჩნდა, სამაგიეროდ, ეს ფორმები ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა ზეპირ მეტყველებაში, ე.წ. "ყვითელ პრესასა" თუ ნაუცბათევად თარგმნილ სერიალებში. ამიტომ ჩვენი მაგალითები

სალიტერატურო ტექსტებიდან მოხმობილ მასალასთან ერთად ამგვარი ნიმუშებითაცაა გაჯერებული. მეშველზმნიან-უმეშველზმნო პარალელურ ფორმებში ფურძნობა მცირედი სემანტიკური სხვაობაც — ზმნით გადმოცემული მოქმედების დინამიკური ან სტატიკური მიმდინარეობის თვალსაზრისით (ამ პარალელური ფორმებისათვის საერთო III პირი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ტრატომეულში გარდაუვალ სტატიკურ ზმნებადაა კვალიფიცირებული).

ჩვენ საანალიზოდ ავიღეთ 100-მდე ერთეული (თუმცა, თუ ამ ფორმათა ცხვადასხვა ქცევის და განსხვავებული ზმნისწინებით ხმარების საფუძველზე წარმოქმნილ სემანტიკურ მრავალფეროვნებას გავითვალისწინებთ, მათი რაოდენობა გაცილებით დიდია).

სპეციალურ ლიტერატურაში აწმყო დროის მეშველზმნიან ფორმებთან დაკავშირებით მითითებულია, რომ ეს ფორმები გვიანდელი მოვლენაა სალიტერატურო ენისათვის, ძველ ქართულში მეშველზმნიანი ფორმები არ დასტურდება. ამ საკითხს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა ლ. ბარამიძემ. ამ საკითხს არაერთხელ შეხებია: ბ. ჯორბენაძე, ზ. სარჯველაძე და სხვ. (ბ. ჯორბენაძე. 1980, გვ. 175-182; ზ. სარჯველაძე, 1997, გვ. 144).

დ. მელიქიშვილი აღნიშნავს:

"რაც შეეხება S1 და S2 პირის მეშველზმნიან ფორმებს (დავუწერი+ვარ, დაუწერი+ხარ), სალიტერატურო ენის ძეგლებში ისინი უფრო გვიან, X საუკუნის წერილობით ძეგლებში ჩნდებიან, თუმცა სალაპარაკო ენაში გაცილებით ადრე არიან საგულვებელნი.

ამგვარად, ახალ ქართულში მივიღეთ ფორმები

სტატიკური აწმყო (პირდაპირ)	გარდამავალი I რეზულტატივი
ვ-უწერი-ვარ	და-ვ-უ-წერი-ვარ
უწერი-ხარ	და-უ-წერი-ხარ
უწერი-ა	და-უწერი-ა

"...რაც შეეხება მეშველზმნიანი ფორმების გაჩენას I და II პირში, ეს პროცესიც თავდაპირველად I რეზულტატივის ფორმებში უნდა ჩასახულიყო: მეშველი ზმნის დართვამ ხელი შეუწყო ამ ფორმათა გადინამიკურებას. შემდეგ, უფრო გვიან, მეშველი ზმნის დართვის ტენდენცია შეეხო სტატიკურ ზმნებსაც, რამაც ამ ზმნებს ზმნისათვის ყველაზე უფრო ტიპური თვისება — მოქმედების პროცესის გამოხატვის შინაარსი შესძინა. შდრ.:

ვზი — ვზივარ	(ვ)უპყრივე — ვუპყრი-ვარ
ზი — ზიხარ	უპყრივე — უპყრი-ხარ

აშკარაა, რომ შინაარსით მეშველზმნიანი ფორმები უმეშველზმნო ფორმებს უპირისპირდებიან სტატუსის კატეგორიის მიხედვით. მართალია, ორივე რიგის ფორმა **ვზი//ვზივარ** მდგომარეობას გამოხატავს, მაგრამ II ფორმაში ვარ მეშველი ზმნის დართვამ, თუ შეიძლება ითქვას, სტატიკურ **ვზი** ფორმას მობილური შინაარსი შესძინა (დ. მელიქიშვილი, 2001, გვ. 53-55).

მოხმობილი ციტატის სასარგებლოდ მეტყველებს ჩვენ მიერ მოძიებული კონტექსტებიც:

"დამდაბლებულის ოჯახს ვგლოვობ და *დავტირივარ*"... (კორნელი, "ჰორაციუსი", თარგმ. რ. დოდაშვილისა და ლ. ჭუბაბრიასი, გვ. 148.)

"მიტომაც *ვსტირი* განაწირი ვაჰ თუ ვესწრა ვერ".

"შენ შეურაცხყოფ და *დასცინი* ჩემს ცრემლს და სევდას"... (კორნელი, "ჰორაციუსი", თარგმ. რ. დოდაშვილისა და ლ. ჭუბაბრიასი, გვ. 166).

რას დამცინიხარ (ზეპირ. მეტყვ.).

"*ტირიხართ*, შვილო? პირს მარიდებთ? რატომ? რა მოხდა?

ეგებ თქვენ მითხრათ, ქალბატონო? თქვენც, თქვენც *ტირიხართ*?" (ჟან რასინი, "იფიგენია", გვ. 339.)

"ჩუ, ნუ *სტირი*, გენაცვალე..."

"ყველას *გაურბი*, ერიდები და ძველებურად არ დააგელვებ ეტლს ტოლებში..." (ჟან რასინი, "ფედრა", თარგმანი ოთარ ჭილაძისა, გვ. 370).

"როცა ჩემთან ხარ — *გაგირბივარ*, არ ხარ და გეძებ,

ტყეთა წიაღშიც თვალწინ მიდგას შენი სახება

და მეც ამოდ *გავურბივარ* შენს სილამაზეს..." (ჟან რასინი, "ფედრა", თარგმანი ოთარ ჭილაძისა, გვ. 386).

"ჩვენ *გავურბით* დაპირისპირებას პოლიტიკურ ძალებს შორის" (გაზ. "ახალი თაობა").

"წმინდაო ტაძარო, დაემხე, დაემხე,

დაემხე! მეუფეს აღარა *სურხარ*!" (ჟან რასინი, "გოთოლია", თარგმანი დავით წერედიანისა, გვ. 480).

"თუ მოგისურვებს, კიდეც დაგიმონებს" (თარგმანი).

"არაზამ პირზე ხელი მიაფარა ფინდღას, *ნუ ჰყვირიხარ*, თარუზამ თავის ფეშჭაში მიიღო და გზაზე წავიდაო" (აკა მორჩილაძე, გადაფრენა მადათოვზე და უკან, 1998, გვ. 35).

"ამოდ *ყვირით* სადღეისო გასაჭირზე, გამგონი არავინაა" (გაზ. "ახალი თაობა").

ჩვენი მასალა ორ ძირითად ჯგუფში განაწილდა: ოდენმეშველზმნიანთა და პარალელურფორმიანთა.

I. პარალელური ფორმები:

ვ-თრთ-ი-ვ-არ/ვ-თრთ-ი, ვ-ი-ძვრ-ი-ვ-არ/ვ-ი-ძვრ-ი, ვ-ი-ბრძვ-ი-ვ-არ/ვ-ი-ბრძვ-ი, ვ-ძრწი-ვ-არ/ვ-ძრწ-ი, ვ-შფოთ-ა(ვ)-ვ-არ/ვ-შფოთ-ავ, ვ-ტირ-ი-ვ-არ/ვ-ტირ-ი, ვ-ნიშნ-ა-ვ-არ/ვ-ნიშნ-ავ, შე-ვ-ნატრ-ი-ვ-არ/შე-ვ-ნატრ-ი, ვ-ტყუ-ი-ვ-არ/ვ-ტყუ-ი, ვ-ფიც-ა(ვ)-ვ-არ/ვ-ფიც-ავ, ვ-ი-ცინ-ი-ვ-არ/ვ-ი-ცინ-ი, ვ-შველ-ი-ვ-არ/ვ-შველ-ი, ვ-ფრინ-ა(ვ)-ვ-არ/ვ-ფრენ//ვ-ფრინ-ავ, ვ-ღრინ-ა(ვ)-ვ-არ/ვ-ღრენ//ვ-ღრინავ, ვ-ხვრინ-ა(ვ)-ვ-არ/ვ-ხვრინ-ავ, და-ვ-ძრწ-ი-ვ-არ/და-ვ-ძრწ-ი, ვ-ბრწყინ-ა(ვ)ვ-არ/ვ-ბრწყინ-ავ, ჩა-ვ-ძახ-ი-ვ-არ/ჩა-ვ-ძახ-ი, ვ-მღერ-ი-ვ-არ/ვ-მღერ-ი, ვ-კვნეს-ი-ვ-არ/ვ-კვნეს-ი, ვ-ცეკვ-ა(ვ)-ვ-არ/ვ-ცეკვ-ავ, მი-ვ-ქრ-ი-ვ-არ/მი-ვ-ქრ-ი, მო-ვ-ძახ-ი-ვ-არ/მო-ვ-ძახ-ი, ვ-გორ-ავ-ვ-არ/ვ-გორ-ავ, ვ-ი-ჩქარ-ი-ვ-არ/ვ-ი-ჩქარ-ი, და-ვ-ბობღ-ავ-ვარ/და-ვ-ბობღ-ავ, შე-ვ-ხარ-ი-ვ-არ/შე-ვ-ხარ-ი, და-ვ-ხარ-ი-ვ-არ/და-ვ-ხარ-ი, ვ-ი-ძვრ-ი-ვ-არ/ვ-ი-ძვრ-ი, მი-ვ-უ-ძღვ-ი-ვ-არ/მი-ვ-უ-ძღვ-ი, ვ-უ-კივ-ი-ვ-არ/ვ-უ-კივ-ი...

II. ზმნები, რომლებსაც არ მოეპოვებათ პარალელური უმეშველზმნო ფორმები:

ვ-გავ-არ, ვ-ყა-ვ-არ, გადა-ვ-ყავ-არ, ვ-წერ-ი-ვ-არ, ვ-გდ-ი-ვ-არ, ვ-ა-ხსო-ვ-არ, ვ-ჯობ-ი-ვ-არ, ვ-ჭუხ-ვ-არ, ა-ვ-ყა-ვ-არ, ვ-ა-ფარ-ი-ვ-არ, ვ-ა-კლ-ი-ვ-არ, ვ-უ-ზი-

ვ-არ, ვ-უ-ბი-ვ-არ, გა-ვ-რბ-ი-ვ-არ, ვ-უ-ჩან-ვ-არ, ვ-უ-სხედ-ვ-არ-თ, ვ-უ-პყრ-ი-ვ-არ, ვ-უ-კავ-ივ-არ, ვ-ა-ხვევ-ი-ვ-არ, ვ-უ-ღირ-ვ-არ, ვ-ღირ-ვ-არ...

სულ 100 ერთეულამდე დაგროვდა. აქედან ნაწილი შეგვხვდა პარალელური მეშველზმნიანი და უმეშველზმნო გაფორმებით. ეს პარალელიზმი განსაკუთრებით ზეპირმეტყველებაში იჩენდა თავს. 34 ერთეული ოდენმეშველზმნიანი ფორმით დადასტურდა. 23 ერთპირიანი ზმნა პარალელური წარმოებით შეგვხვდა. 8 ორპირიანიდან 7 ი-თემისნიშნიანია (ი- თემისნიშნიანების სიმრავლეა).

ოდენ მეშველზმნიან ფორმებში 9 ერთპირიანი ზმნა აღმოჩნდა, 21 კი — ორპირიანი. ცხრილებში წარმოდგენილი ზმნიდან ყველა გრდუვალი სტატიკურად კვალიფიცირდა (ქეგლის საფუძველზე).

მეშველზმნიანი აწმყოს სემანტიკურ თავისებურებაზე მსჯელობისას ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს: "...ჯდ-ენ-, წვ-ენ-, დგ-ენ- ფუძეები მოქმედებითი გვარის ფორმებიდან არის გადმოსული სტატიკურ ფორმებში. მოქმედებითი გვარის ხსენებული ფუძეები სტატიკურ ზმნათა სისტემაში გამოყენების დროს მეშველზმნიან წარმოებას გვიჩვენებენ.. ასე რომ, აქაც მტკიცდება ენის ტენდენცია მეშველზმნიანი წარმოებით დაუპირისპიროს სტატიკური ფორმები დინამიკურს: დინამიკური ზმნის ფუძე მეშველი ზმნით გაფორმების შემდეგ სტატიკურობის ფუნქციის გამოხატვის უნარს იძენს:

დინამიკური გაგებით:	სტატიკური გაგებით:
ვ-ჩივი (მე მას)	ვ-ჩივი-ვარ (მე)
ვ-ტყუი	ვ-ტყუი-ვარ
ვ-მღერი	ვ-მღერი-ვარ.

ქართულში ცნობილი ფაქტია ზმნათა ერთი ნაწილის სინტაქსური ლაბილურობა: გამოიყენებიან ხან ორპირიანი, ხან ერთპირიანი ზმნების ფუნქციით; პირველ შემთხვევაში მოქმედებითი გვარის დინამიკურ ზმნებს უტოლდებიან ისინი, მეორე შემთხვევაში — სტატიკურებს.

მორფოლოგიური სხვაობა კი არ იყო არც ძველ ქართულში, მაგრამ დიალექტებმა სცადეს განსხვავების მორფოლოგიური გარჩევაც და ამ მიზნით სტატიკურობის ფუნქციით გამოყენებულ ფორმებს მეშველი ზმნა დაურთეს. მეშველი ზმნის გამოყენება ამ ფორმებთან ახალი ქართულის თავისებურებაა, ძველი ქართულისათვის მეშველზმნიანი წარმოება უცხო იყო.

ამისდა კვალობაზე, ვ-ჯდენ-ვარ, ვ-წენ-ვარ ტიპის ფორმები, წარმოების პრინციპის თვალსაზრისით, არ შეიძლება გამონაკლისებად მივიჩნიოთ. ენაში ანალოგიური ტენდენცია ოდითგანვე არსებულა და ეს ტენდენცია სხვადასხვა დიალექტმა სხვადასხვა ინტენსივობით გამოავლინა: ამიტომაც თითქოსდა "კერძო შემთხვევები" ისევე სრულად ასახავენ ენის ზოგად ტენდენციებს, როგორც ენაში საყოველთაოდ ხმარებული ფორმები (ლ. ბარამიძე, 1964).

ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ მხატვრული ლიტერატურის ენაც და განსაკუთრებით, ზეპირმეტყველება მეშველზმნიანი აწმყოთი უფრო დინამიკურ მოქმედებას აღნიშნავს, ვიდრე უმეშველზმნოთი (რომელიც უფრო სტატიკური შინაარსისაა).

აწმყოს მწკრივში დასმულ ზმნათა მეშველზმნიან ფორმებს შემდეგი თავისებურებები აღმოაჩნდა:

მეშველზმნიან-უმეშველზმნო პარალელური ფორმები გვიჩვენებენ სხვადასხვა სემანტიკას:

• მოქმედების დინამიკა:

"შენ სხვის ჩაგონებით *სჩადიხარ* მაგას" (მოლიერი, გვ. 845).

"*ტირიხართ*, შვილო? პირს მარიდებთ? რატომ? რა მოხდა ეგებ თქვენ მითხრათ, ქალბატონო? თქვენც, თქვენც *ტირიხართ*?" (რასინი, გვ. 339).

"თქვენივე თავის სიყვარულით *ჩადიხართ* ამას" (რასინი, გვ. 843).

"გაიმართოს კონკურსი-ვიქტორინა დევიზით: "მაშა, რაისათვის *ვცოცხალვართ*!" (ახალი ეპოქა, ჩვენი მწერლობა, 22 თებერვალი-1 მარტი, 2002, გვ. 5).

• აწმყო ზოგადი (ინდეფინიტური):

რად ტირი? რას სჩადი? რისთვის ვცოცხლობთ? შენთვის ვსულდგმულობ...

ჩვენი დაკვირვებით, ენაში (განსაკუთრებით სასაუბრო ენაში) პარალელური ფორმები არცთუ მთლად სტიქიურად იხმარება: უმეშველზმნო ფორმები და მეშველზმნიანი ფორმები მცირეოდენ სხვაობას ყოველთვის აჩვენებენ;

"შიშისაგან ვძრწივარ, გგონია? რა, სიცივისაგან ვძრწივარ, შენც ხომ ძრწიხარ?"

და: "ჩვეულებრივ, მის წინაშე ვძრწი და ვკანკალებ".

"ჩუ, ნუ ტირიხარ და ნუ მიშლი ნერვებს!"

და: "არასოდეს არ ვტირი ასეთ რამეებზე".

"ტყუიხარ და არც კი გრცხვენია".

და: არასოდეს ტყუი თუ რა?!"

"დედას ვფიცავარ, არ მინახავს არაფერი."

და: "რასაც იფიცავ, იმას უნდა უერთგულო."

"მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ".

"ისე ლამაზი ხარ, რომ ვარსკვლავივით ბრწყინავხარო".

და: "იმ ვარსკვლავებში ვბრწყინავთ მე და ჩემი დაქალი".

"არც მშურს და არც შევნატრივარ იმის ბედს".

და: შევნატრი ამათ და ყოველდღე ვცდილობ გავახარო".

"ადე ფეხზე, ნუ გორავხარ ამ ჭუჭყში".

და: ყოველდღე მის ფეხქვეშ გორავ და არ გაწუხებს თავმოყვარეობა".

"ქვეყანას წინ მიუძღვიხართ, ყველაზე საშიშ დავალებებს ასრულებთ".

და: "საითაც მივუძღვი, იქით მომყვებიან".

დასახელებულ მაგალითებში, ჩვენი აზრით, მეშველზმნიანი ფორმები ამწუთიერ მოვლენებს გადმოსცემენ, ხოლო უმეშველზმნონი — ისეთ მოქმედებებს, რომლებიც ჩვეულებრივ ხდება, მეორდება.

მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთს კი ვიტყვით: ვტირი, კვნესი, ვკივი, კივი, კივის, ფიცავ, ჩავსძახი, ჩავსცქერი/ჩავცქერი, ძრწი, ვთრთი, თრთი და სხვ. (რომელთაც ორთოგრაფიული ერთადერთ მისაღებ ვარიანტად ასახელებს), შინაარსობრივად გაცილებით "უძრავია", სტატიკურია, ვიდრე ორთოგრაფიული ლექსიკონის მიერ დაწუნებული ვტირივარ, ვკვნესივარ, ვფიცავარ, ჩავძახივარ, ჩავცქერივარ, შევხარივარ, ვძრწივარ, ვთრთივარ, ცქმუტავხარ და სხვ. ამ ფორმებში მოქმედების პროცესი უფრი ამჟამიერი და დინამიკურია. ცალკეულ ზმნებზე დაკვირვებაც და ამ ზმნათა შემცველი კონტექსტებიც გვიჩვენებს, რომ ეს პარალელური ფორმები სრულად არ ფარავენ ერთმანეთს (შინაარსობრივად) და ისინი ან პარალელური არსებობისათვის

სემანტიკური არეალის გადანაწილებას ესწრაფვიან, ან ერთმანეთს ეცილებიან არსებობისათვის ბრძოლაში; ზოგჯერ მეორე პირის ფორმა უფრო მიდრეკილია მეშველი ზმნის დართვისაკენ, ვიდრე პირველისა (მაგ., შფოთავხარ, ბრწყინავხარ, ცქმუტავხარ, იძვრიხარ, გორავხარ, ნიშნავხარ და სხვ.); ამგვარი პარალელური წარმოებისაკენ ზეპირი მეტყველების მიდრეკილებას კარგად ამჩნევს ორთოგრაფიული ლექსიკონიც, რომელიც "საორჭოფო სიტუაციაში" ამჯობინებს მხოლოდ მესამე პირის ფორმების მართლწერა განიხილოს (შენატრის, ბრწყინავს, ბზუის, იღვწის, იძვრის) და თავი აარიდოს ისეთი ფორმების აკრძალვას, როგორიცაა: იბრძვიხარ, იღვწიხარ, ბზუიხარ, ვბრწყინავარ და სხვ.

და ბოლოს, ვფიქრობთ, "დიალექტურ მორფოლოგიას" გზა აქვს გადაკეტილი თითქმის მთელი საუკუნე, ხოლო უცხო ლექსიკას (მხოლოდ ფონეტიკური კორექტივებით) უხვად ვიღებთ, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ქართული ენის მასალის იმპროვიზირებასა და ბუნებრივ დენადობას სალიტერატურო ქართულში ვაბრკოლებთ და მხოლოდ უცხოურ მოდელებს ვუშვებთ, როგორც "გალიტერატურულებულ" სიახლეს?!

დამოწმებული ლიტერატურა

ლ. ბარამიძე, 1964 - ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, 1964.

დ. მელიქიშვილი, 2001 - დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 2001.

ზ. სარჯველაძე, 1997 - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

ბ. ჯორბენაძე, 1980 - ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

TINATIN TURKIA

ON THE QUESTION OF THE NORM OF ONE TYPE OF FORM WITH AUXILIARY VERBS IN THE GEORGIAN LANGUAGE

The paper discusses a type of static verbs with parallel forms presently used in the literary language and speech: trtixar/trti, tirixar/tiri, shenatrixar/shenatri, tquixar/tqui, vpicavar/vpicav, kvnesixar/kvnesi, mik'rixar/mik'ri , goravxar/gorav, davxarivar/davxari, ukivixar/ukivi ets.

The study of these verbs and the observation within the surrounding contexts reveals that they do not cover each other and each member of the pair aspires for the distribution of the semantic domains in their parallel existence or vies between each other for the survival. Sometimes the second person form is more inclined to take the auxiliary than the first person form (e.g. shpotavxar, goravxar, nishnavxar) etc. The compiles of the orthographic dictionary of the Georgian language are well aware of the oral language tendencies to make use of the parallel forms. That is why in the 'vague' situation they prefer to discuss the third person verb form spellings (as shenatris, bzuis, ibrdzvis) and avoid banning the forms like: ibrdzvixar, bzuixar etc.

რუსუდან კაშია

ქართლ-კახეთის სამეფოს სავაჭრო ურთიერთობა ირანთან XVIII საუკუნის II ნახევარში
(სავაჭრო ამხანაგობები)

XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლისა და კახეთის სამეფოების გაერთიანების შედეგად აღმოსავლეთ საქართველო საგრძნობლად გაძლიერდა. შესამჩნევად გააქტიურდა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება.

პოლიტიკური თვალსაზრისით აღმოსავლეთ საქართველო აღნიშნულ პერიოდში კვლავ ირანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. საგარეო ვაჭრობით ქართლ-კახეთი ძირითადად ირანთან ან ირანის დაქვემდებარებაში მყოფ ამიერკავკასიის ქალაქებთან იყო დაკავშირებული (მ. სამსონაძე, 1980, გვ. 96). XVIII ს. შუა წლებში გაიხსნა რუსეთთან სავაჭრო-სამიმოსვლო გზა, რომელიც „რუსეთის", იგივე „დარიალის" გზის სახელითაა ცნობილი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პერიოდის „ქართულ დოკუმენტებში აღმოსავლური საქონელი ჭარბობს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან XVIII ს. დასასრულამდე გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა" (დ. კაციტაძე, 1973, გვ. 55).

ქართლ-კახეთს, ამიერკავკასიის ქალაქებსა და ირანს შორის ინტენსიური სავაჭრო მიმოსვლის ნათელ სურათს იძლევა საბაჟო ნუსხები: „ურუმიდან რომ ჭალაბმან გაიაროს თუ განჯისკენ, თუ ერევნისაკენ..." ვკითხულობთ სომხით-საბარათიანოს და ყაიყულის ბაჟების იჯარის წიგნში (ნ. ბერძენიშვილი, 1953, №377).

„ქალაქის ბაჟის და ციხის კარის შართლამა"-ში ვკითხულობთ: „რა მოქალაქემ განჯიდამ აბრეშუმი მოიტანოს და აზრუმისაკენ წაიღოს, აქლემისა და ცხენისა, თუ ჯორისა საპალნეზედ — 2 მინალთუნი" (ი. დოლიძე, 1965, გვ. 392). საგარეო-სავაჭრო სარბიელზე წამყვანი ადგილი დაიკავეს ახალმა ეკონომიკურმა გაერთიანებებმა — სავაჭრო ამხანაგობებმა. XVIII ს. „ამხანაგობათა" შიგნით ურთიერთობები შემდეგნაირად განაწილდა:

ძირითადი თანხის (სარმია ანუ თავნი) მფლობელს საქმეში ძირითადი საბრუნავი თანხა შეჰქონდა. ვაჭარი (ასეთ სოციალურ ფენას შ. მესხია „სავაჭრო აგენტებს" უწოდებს — შ. მესხია, 1959, გვ. 139) საქმეში ნაკლებ თანხას დებდა და უშუალოდ აწარმოებდა სავაჭრო ოპერაციას. დასტურად მოგვყავს 1797 წლით დათარიღებული „საამხანაგო წიგნი", სადაც ვკითხულობთ, რომ თბილისელ ვაჭარს ნაზარბეგიშვილ გიორგის საქმეში დაბანდებული აქვს 80 თუმანი, ხოლო საქონელი ერევანში სავაჭროდ გააქვს გიჭუას, მას საქმეში შეტანილი აქვს თანხის ნახევარი — 40 თუმანი (ცსა, ფონდი 1450, საქმე 48, ფურცელი 42).

გვიანფეოდალურ ხანაში, „ამხანაგობის" ძირითადი თანხა ხშირად ფეოდალური წრის იმ ნაწილს ეკუთვნოდა, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ქვეყნის ფულად-სასაქონლო საქმიანობაში.

XVIII საუკუნის II ნახევარში ცნობილ საქმოსანს, მდივან მანუჩარ თუმანიშვილს მთელი „სავაჭრო ქსელი" ექვემდებარება. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია მანუჩარ თუმანიშვილისა და მისი სიმამრის, იმავდროულად საქმიანი პარტნიორის სტეფან ტერ-შამოვანოვის მიმოწერა. ისტორიული

საბუთები იძლევა ნათელ სურათს ირანსა და ამიერკავკასიის ქალაქებში სავაჭრო ამხანაგობების საქმიანობის შესახებ. თუმანიშვილის თანხით წარგზავნილი ვაჭრების (სტეფანა, შაროანთ გასპარა, გარსევანა და ა. შ.) სამოქმედო არეალია ქალაქები: თავრიზი, გილანი, ერევანი, განჯა, ხოი. შესაძლოა თბილისელ ვაჭრებს ამ ქალაქებში თავიანთი დუქნებიც ჰქონდათ გახსნილი. აღნიშნული პერიოდის გაცნობითა და შესწავლით იკვეთება საყურადღებო საკითხი: ირანსა და ამიერკავკასიაში შეძენილი საქონელი ქართველ ვაჭრებს, ამხანაგობის წევრებს რუსეთში „დარიალის გზით“ გააქვთ. დასტურად მოგვყავს ასტრახანიდან გაგზავნილი სტეფან ასლანოვის საქმიანი ანგარიში მანუჩარ მდივნისადმი (ხელნაწერთა ინსტიტუტი — Hd-7316). დოკუმენტიდან ჩანს, რომ თბილისელ ამხანაგებს ხოიში ნაყიდი ბეწვეული და ჩითი მოზდოკში მოგებით გაუყიდიათ. იქ შეუძენიათ ავეჯი და ჭურჭელი თბილისში გასაყიდად. სხვა საბუთით (Hd-7092) გილანში შეძენილი საქონელი თბილისელ ვაჭარ გარსევანას (სათავნო თანხა მანუჩარ თუმანიშვილს ეკუთვნის) მოზდოკში მიაქვს.

ამდენად, თბილისელი ვაჭრები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ამიერკავკასიასა და რუსეთს შორის აღებ-მიცემობის განვითარებაში. ამ მხრივ საყურადღებო მასალას გვაწვდის 1794 წ. დაწერილი წერილი მანუჩარ თუმანიშვილისა მერაბ-აღასადმი (მერაბ ენოქაშვილი): „კაკალა რომ აშტრახანიდამ ამდგარა ბაქუს წასასვლელად. აშტრახანიდამ... სამოცდათორმეტი თუმანი ვალი გაჰყოლია და პირობა ასე მიუცია, რომ ბაქოდამ გამოგიგზავნიო... აბელა წამოვიდა თავრიზს...“— ვკითხულობთ საბუთში (დ. უჩანეიშვილი, 1967, №113). სავაჭრო ამხანაგობების საქმიანობის შესასწავლად და ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური კავშირების გასაცნობად მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის „ჯულაბაშვილების დავთარი“. დავთრის (შემოსავალ-გასავლის წიგნი) მიხედვით, გორელი ვაჭრების — ჯულაბაშვილების „სამოქმედო არე საკმაოდ ფართო ჩანს, ისინი აღებ-მიცემობას აწარმოებდნენ ირანში: ისპაჰანი, თავრიზი, გილანი, მაშათი (მეჰმედი), რეშთი. მთელს კავკასიაში: შემახა, დარუბანდი, ყიზლარი, თურქეთში: სტამბოლი, რუსეთში — ასტრახანი. ჯულაბაშვილები ხშირად სავაჭრო ოპერაციებს „ფსონებთან“ და „ამხანაგებთან“ ერთად ატარებენ. მაგალითად, თუ პაპუნა ჯულაბაშვილი, ერთის მხრივ, თავრიზში „ფსონად“ არის ხოჯაბეგთ დათუნასთან, მეორე მხრივ, იგი „ქალაქს“ ხოჯაბეგთ დათუნასშვილ იარალისთან საქონელს გზავნის სარეალიზაციოდ. სხვა შემთხვევაში კი თვითონ პაპუნას მიაქვს სხვისი (რომელიმე „ფსონისა“ ან „ამხანაგის“) საქონელი გასასაღებლად და ა. შ.“ (დ. მეგრელაძე, 1965, გვ. 209).

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ბაღდასარ და გოგია ჯულაბაშვილების წერილები — საქმიანი ანგარიშები, მიწერილი მანუჩარ მდივნისადმი (Sd — 850, 3053, 3777, 3770).

დავთრის მიხედვით, ქართველი ვაჭრები ირანში უცხოელ ვაჭრებთან ან მეწარმეებთან ამყარებდნენ კავშირს. ჯულაბაშვილების ერთ-ერთი პარტნიორია ირანში მილთონი. მკვლევართა (მ. ბერძნიშვილი, დ. მეგრელაძე) აზრით, მილთონი ფართლეულით მოვაჭრის ან ფაბრიკანტის გვარი იყო. XVIII ს. ბოლოს თბილისში არსებობდა „მილთონის ქარვასლა“ და იყიდებოდა „მილთონის ჩითი“ (დ. მეგრელაძე, 1965, გვ. 209).

როგორც აღვნიშნეთ, ჯულაბაშვილების საგვარეულო შემოსავალ-გასავლის წიგნი ნათლად მიუთითებს, რომ ჯულაბაშვილები გაცხოველებულ აღებ-მიცემობას

აწარმოებენ მთელ ამიერკავკასიაში, ირანსა და რუსეთში. მოგვყავს რამდენიმე ნაწყვეტი დავთრიდან, პაპუნა ჯულაბაშვილი წერს: ,,ტატოანთ ოთარამ ამანათი გამატანა ჰაშტარხანს... ესენი გავყიდე და გამოველ გილანს". მალე პაპუნა ისევ გილანში მიდის სავაჭროდ, საქმეში შეამხანაგებულ ნასყიდაშვილ ოსეფასთან ერთად. მომდევნო წელს იგი შემახიაში ვაჭრობს, თან ახლავს ამხანაგები — ალავერდა და გოგინა.

ამდენად, ჯულაბაშვილების დავთარი მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა ირანში ქართველი ვაჭრებისა და სავაჭრო გაერთიანებების — ამხანაგობების საქმიანობის შესახებ.

XVIII ს. II ნახევრის სავაჭრო საქმიანობის ამსახველ ისტორიულ საბუთებში ხშირად გვხვდება თბილისელი ვაჭრის — ხადაკოანთ კარაპეტას სახელი.

დოკუმენტის მიხედვით, კარაპეტას სავაჭრო-სამოქმედო არეალი მოიცავს როგორც ირანსა და ამიერკავკასიას, ასევე თურქეთისა და რუსეთის ქალაქებს: მოზდოკსა და ასტრახანს. მეტწილად კარაპეტა კომპანიონებთან — ამხანაგებთან ერთად ვაჭრობს. ერთ-ერთი საბუთით, კარაპეტა სათავნო თანხას მანუჩარ თუმანიშვილისაგან იღებს, ქ. ხოიში ნავაჭრი საქონელი მიაქვს მოზდოკში, ხოლო მოზდოკში შეძენილი ავეჯი — ,,განდიდური" ისევ ხოიში ჩააქვს და კარგი მოგებით ვაჭრობს.

ამ შემთხვევაში მოგების წილი სათავნო თანხასთან ერთად ერგება თუმანიშვილს. იმავე საბუთში ვეცნობით სტეფან ასლანოვისა და მისი ამხანაგის, დათოას სავაჭრო ოპერაციების ანგარიშს: მათ სამასი თუმნის ბეწვეული და ჩითი გაუყიდიათ ბაქოში. იქ შეუძენიათ ,,ხუთასი თუმნის ზარბაბი (აბრეშუმი)" (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-3516).

სამეფოს საგარეო ვაჭრობაში აქტიურადაა ჩაბმული ისაია ყორღანაშვილი, გვარჯილის საწარმოს მფლობელი. ისაია-აღასთან შეამხანაგებულ არუთინა ხარებოვსა და ასლანას ერევანში შეძენილი საქონელი მიაქვთ არზრუმში (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd - 732).

XVIII ს. ირანში სავაჭროდ ამხანაგობებში ერთიანდებიან თბილისელი მოქალაქეები. საამხანაგო პირობების თანახმად, მათ თანასწორი უფლებები და ვალდებულებები აკისრიათ. განსხვავდება საქმეში შეტანილი თანხა. თავნის მფლობელს საქმეში მხოლოდ თანხა შეაქვს, მეორე ,,ამხანაგი" კი უშუალოდ ეწევა სავაჭრო ოპერაციას. 1800 წელს შედგენილი დოკუმენტით ირკვევა, რომ თბილისის მოქალაქე მელქოა შეამხანაგებია ქარტაშიშვილ არუთინას, ამ უკანასკნელს ეკუთვნის ,,სათავნო" თანხა: ,,არუთინასთან ამხანაგათ ვიყავი... გარეთ აღებ-მიცემაში ერთხელ წაველ თავრიზს, რაც საქონელი მოვიტანე... ქალაქის წახდენაში დაგვეკარგა" — ვკითხულობთ საბუთში (ცსა, ფ. 1450, საქმე 25, ფურც. 49).

ქართველ ვაჭართა ირანში საქმიანობის გასაცნობად ყურადღებას იპყრობს 1797 წლის საამხანაგო წიგნი, რომლითაც უსტიანესშვილი ნაზარა უამხანაგდება ორ ძმას, ავეტიქასა და იოანეს. ,,როგორც ხეირათი ვნახო, გავყიდო. შარბაბი (თხელი, ძვირფასი ქსოვილი — სპ.) თუ ვაზი (ფასდაკლებით — სპ.) აბრეშუმი ვიყიდო... მაგრამ იქნება, რომ ხელდახელ გაიყიდოს [აბრეშუმი] და მაკარიას (რუსული ბაზრობა ნიჟნი-ნოვგოროდში — მაკარიევო) მივასწრობდე" — ვკითხულობთ საბუთში (ცსა, ფ. 1448 — 5315). ,,საამხანაგო წიგნები" გვაწვდის

ცნობებს იმ საქონლის რაობის შესახებ, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოში შემოდიოდა ირანიდან.

„თბილისში ხანდახან არის ყოველგვარი საქონლის შეძენის შესაძლებლობა, ეს საქონელი იქ მოდის განჯიდან, შემახიიდან, თავრიზიდან, ერევნიდან და არზრუმიდან... დრაფი წარმოადგენს სპარსეთის საქართველოს [ქართლ-კახეთი] ერთ-ერთ მთავარ საიმპორტო ობიექტს... მაუდი, აბრეშუმის მატერიები, ვენეციის და ხოის... იყიდება აგრეთვე მოგებით“ — ვკითხულობთ XVIII საუკუნის შუა ხანებში ფრანგი კონსულის პეისონელის ნაშრომში (ს. კაკაბაძე, 1940, გვ. 117, 118). ავტორი მიუთითებს, რომ „განჯიდან და შემახიიდან საქართველოში შეტანილი ირანული საქონელი ხშირად ახალციხის გავლით თურქეთში იყიდებოდა“ (ს. კაკაბაძე, 1940, გვ. 121).

ისტორიული დოკუმენტური მასალის შეჯერება ცხადყოფს, რომ სავაჭრო ამხანაგობების წევრ ვაჭრებს ირანიდან ძირითადად შემოჰქონდათ: აბრეშუმი, ბამბა, ჩითი, ქათანი (ნარმა), ბეწვეული, საღებავები და ა. შ. გადიოდა მეტწილად პროდუქტი.

ამდენად, XVIII საუკუნის II ნახევარში საგარეო ვაჭრობაში ძირითადად აქტიურობენ გაერთიანებები — სავაჭრო ამხანაგობები. აღნიშნულ პერიოდში ირანიდან და ამიერკავკასიიდან ქართლ-კახეთში საჭირო ნედლეული და საქონელი შემოდიოდა.

დამოწმებული ლიტერატურა

ნ. ბერძენიშვილი, 1953 - ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, თბ., 1953.

ი. დოლიძე, 1965 - ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965.

ს. კაკაბაძე, 1940 - ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, I, 1940.

რ. კაშია, 1990 - რ კაშია, სავაჭრო ამხანაგობები XVIII ს. საქართველოში: მაცნე (ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №2, 1990.

დ. კაციტაძე, 1973 - დ კაციტაძე, თურქეთ-საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები XVII-XVIII სს. ქართული დოკუმენტური წყაროების მიხედვით: მაცნე (ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია), №2, 1973.

დ. მეგრელაძე, 1965 - დ. მეგრელაძე, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, თბ., 1965.

Ш. Месхиа, 1953 - Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959.

მ. სამსონაძე, 1980 - მ. სამსონაძე, საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. პირველ მესამედში, თბ., 1980.

დ. უჩანეიშვილი, 1967 - დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, თბ., 1967.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი - Hd - 7092, 7316, 3516; Sd - 850, 3953, 3770, 3777; Qd - 732.

ცსა - ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1450, საქმე 25-49, ფურცელი 49; ფონდი 1448 - 531.

RUSUDAN KASHIA

TRADE RELATIONSHIP OF KARTLO-KAKHETI KINGDOM WITH IRAN IN THE LATE HALF OF THE 18TH CENTURY

(Trade associations)

The Kartlo-Kahketi kingdom of the 18th century had trade relations mainly with Iran and with towns in the Caucasus that were under Iran's domination. Newly formed economic associations – comradeships (guilds) involved in the extensive foreign trade relations in the second half of 18th century.

The area of activities of those merchants who were related to Manuchar Tumanishvili, a prominent businessman through the 'Comradeship' ties embraced trans-Caucasian towns as: Tabriz, Guilan, Ganja, Erevan, Khoi etc.

Merchant record book of Julabashvilis,' traders from Gori, provides considerable materials for the study of the foreign economic relations of the country.

Merchants associations who would import goods and raw materials from Iran to Kartli and Kakheti were founded in Tbilisi.

Books of those comradeships give interesting information about trade relationships in the 18th century. However, after opening the road through Dariali gauge Georgian merchants brought goods from Iran to Russian towns of Mozdok and Astrakhan

იგორ კაკალია

-ონ//-ონა სუფიქსისათვის სამეგრელოს ანთროპოტოპონიმიაში

-ან სუფიქსის ფონეტიკურ ვარიანტს ზანურში **-ონ//-ონა** სუფიქსი წარმოადგენს, რომლის უპირველესი და ძირითადი ფუნქცია კრებითობის გამოხატვაა. **-ონ//-ონა** კრებითობის სუფიქსი საკმაოდ პროდუქტიულია სამეგრელოს ტოპონიმიაში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ენაცვლებიან ერთი და იმავე ობიექტის პარალელური სახელწოდების მაწარმოებლად (პ. ცხადაია, 1985, გვ. 166).

-ონ//-ონა სუფიქსის მორფოლოგიურ ეკვივალენტად მიჩნეულია **-ეთ**. არნ. ჩიქობავას აზრით, ამ სუფიქსით ნაწარმოები სახელი ისეთი ადგილის აღმნიშვნელია, ,,სადაც (მრავლად) მყოფობს რაიმე მცენარე, ან ცხოველი თუ ფრინველი, ან რაიმე საგანი, ან მოსახლეობს გვარი თუ ტომი" (არნ. ჩიქობავა, 1926, გვ. 307). მაგალითად, **ბოგვერონი, ბოგვერონა და ბოგორონი** ადგილებია ზანათში, კეთილარში, ინჩხურში, ზემო ჭალადიდში, გეჯეთში, ნაჯახაოში, ნაკიანსა და სხვაგან, სადაც სარეველა ბალახი - **ბოგვერი** (იგივე გაჯაჯა, ჩე ტყა, ჩე ოდიარე, ქართული **ურო**) ხარობს. **ბულონა და ბულონი** ,,ბალნარია", **დონა//იდოენა --** ,,იელნარი", **(ვ)აკაციონა//(ვ)აკაციონი** — ,,სადაც აკაციის ხეებია", **ლულონა —** "ლელვნარი", **სხულონა//სხულონი, ჭყონა, ზაკალონა//ზაკალონი, თელონა**... შესაბამისად იმ გეოგრაფიულ ობიექტთა სახელწოდებებია, სადაც მსხლის, ვაშლის, თხმელის, ვერხვის, მუხის, ბზის, თელის ხეებია განაშენებული, ან ეს მცენარეები უხვად ხარობს (ტყეა). **ქუალონი და კაჟონა//კაჟონი** ქვიანი და კაჟიანი ადგილებია; **(ლ)ეტონა**, დაბალი, ნოტიო ადგილების აღმნიშვნელია. **კოლოშონა, ჩეშონა** და **უჩაშონა** ეწოდებათ ადგილებს, სადაც კოლოშის, ჩეშისა და უჩაშის ჯიშის ვაზი ჰქონდათ გაშენებული და ა.შ.

საინტერესოა ის გარემოება, რომ კრებითობის გარდა **-ონ//-ონა** სუფიქსები მქონებლობის აღმნიშვნელიცაა. სამეგრელოს სინამდვილეში იშვიათად გვხვდება ამ სუფიქსებით ნაწარმოები, ოდენ მქონებლობის, წარსულში კუთვნილების აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომელთა ფუძესაც ანთროპონიმისგან, კერძოდ, გვარისგან წარმოქმნილი საზოგადო სახელი წარმოადგენს.

პ. ცხადაიას ამის ერთი მაგალითი მოაქვს **ყალიჩონა// ც ალიჩონას** სახით. ესაა საძოვარი ფერდობები ლეფირცხელეში (გარახა, ჩხოროწყუს საკრებულო), ბუმის მარცხენა მხარეს, და გამოქვაბული, საიდანაც ბუმის მარცხენა შენაკადი — **ჭიჭე ბუმე** გამოედინება.

მ. კვირტია უარყოფს **ყალიჩონას** კავშირს გვარ **ყალიჩავა**სთან: ,,რატომ უნდა ერქვას ადგილს ცალიჩონა, როცა იქ ყალიჩავების მოსახლეობა არავის ახსოვს და არც ახლა სახლობს" (მ. კვირტია, 2001, გვ. 177). მისი ვარაუდით, ყალიჩონას ფერდობზე გარეული ხილნარის ტყე უნდა ყოფილიყო, რომელიც ,,იწოდებოდა ცაჩანც (ტოტმსხმოიარე), ცალიჩონა და თანდათან შეიგუა ყალიჩონა... ამ ტყის მესაკუთრეს შეიძლებოდა რქმეოდა ყაჩაშ მინჯე

(ხილნარის მეპატრონე) და ყალიჩავას გვარი ტოპონიმმა განაპირობა" (იქვე, გვ. 220-221). ე. ი. მ. კვირტიას ვარაუდით, გვარ ყალიჩავას ფუძედ დასდებია ამ ადგილის სახელი. ტოპონიმისა და გვარ-სახელის ასეთი განმარტება შორს დგას მეცნიერული ობიექტურობისაგან.

პ. ცხადაიას დასაშვებად მიაჩნია **ალიჩონა//ყალიჩონა**ს გააზრება ყალიჩავას (ან ყალიჩავების) გვარისათვის ამ ადგილის წარსულში კუთვნილება-მფლობელობა, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ ტოპონიმი შესაძლოა გადააზრიანების შედეგად იყოს მიღებული და ამოსავალს მცენარის სახელი **ალიჩა** ,,ალუჩა" წარმოადგენდეს: ალიჩა > ალიჩონა > ყალიჩონა ,,სადაც ბევრი ალუჩის ხეა".

რა კავშირი აქვს პიროვნების გვარისგან **-ონა** სუფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმს თვით პიროვნებასთან, ამჯერად ძნელი სათქმელია. რაიმე გადმოცემა ინფორმატორებისგან ვერ მივიღეთ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტოპონიმი „ალიჩონა" იმ ვითარების ამსახველია, როცა ბუმის მარცხენა ნაპირზე მდებარე ფერდობებს ოდესღაც მართლაც ფლობდნენ ყალიჩავები. შესაძლოა ამოსავალი ფუძით აღნიშნული გვარის პიროვნებას წინათ ეცხოვრა ამ ადგილზე, ან არც ეცხოვრა, მაგრამ სახელდებულ ობიექტთან მაინც რაღაც აკავშირებდა.

ცნობისათვის: ყალიჩავები ცხოვრობენ ჩხოროწყუში, სოფ. ნაკიანში, ახუთსა და მოიდანახეში (ხაბუმის საკრებულო). ლეყალიჩე უბნებია სოფ. ახუთსა და ლეახალეში (ნაკიანის საკრებულო). ნაკიანის ცენტრის სამხრეთით მდებარე ყალიჩავების უბანი სამ მიკროუბნად იყოფა: შქედიშ ლეალიჩე, კადარიშ ლეალიჩე და სუკიშ ლეალიჩე (პ. ცხადაია, 2007, გვ. 195).

ხვიჩარონი//ხვიჩარული სახნავისა და ტყეებუჭქნარიანი ფერდობის სახელწოდებაა მეორე ლესიჭინეში (ჩხოროწყუს რ.), ოწყარიეს მარცხენა ნაპირზე. გადმოცემით, ამ ადგილის მფლობელი ხვიჩა სიჭინავა ყოფილა. შესაძლებელია ტოპონიმის ამოსავალი ფუძე იყოს გვარი ხვიჩავა, რომელიც ძირითადად გავრცელებულია ზუგდიდისა და წალენჯიხის სოფლებში (საჩინო - 25 კომლი, ზუარია - 11 კომლი, ლია - 4 კომლი). 1995 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით, პასპორტო მონაცემებისა და მეტრიკული ამონაწერის მიხედვით, ჩხოროწყუში ოთხი სული დაფიქსირდა (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, 1997, გვ. 239). ,,ხვიჩარონი" ადგილის სახელწოდებაა აგრეთვე სოფ. ფოცხოში (სენაკის რ). ტოპონიმი დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე შეტანილია გ. ელიავას წიგნში, სადაც **ხვიჩარონი** განმარტებულია როგორც ,,ხვიჩნარი" (გ. ელიავა, 1989, გვ. 120).

ანთიმონი — ადგილი გურძემის თემში. ტოპონიმს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე ასახელებს გ. ელიავა (გ. ელიავა, 1997, გვ. 160). გადმოცემით, ანთიმონი მაღლარზე მიშვებული ვაზის ჯიში ყოფილა (იქვე). ვფიქრობთ, რომ ანთიმონის ფუძეს გვარი **ანთია** ან პირსახელი **ანთიმოზი** წარმოადგენს, ე.ი. ანთიმონი ,,ანთიასეული" ან ,,ანთიმოზისეული".

იაზარონი — მიკროტოპონიმი ჩაწერილია სალხინოში (იქვე, გვ. 169). გ. ელიავას წიგნში სწორი განმარტებაა მოცემული: ,,იაზარიების (გვარია) ნასახლარი" (იაზარია/ჲაზარია გვარ ლაზარიას ადგილობრივი ვარიანტია). ლაზარიები დღესაც ცხოვრობენ ჟინოთასა და დიდ სალხინოში (2 კომლი). ამავე თემში დამოწმებული ტოპონიმი "ჲაზარონიც" (იქვე, გვ. 84). ლაზარიას ვგონია სახელდებულ ობიექტზე მფლობელობის მიმანიშნებელია.

ბაკურონი — ტოპონიმი დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე შესულია გ. ელიავას წიგნში (იქვ, გვ. 94). ესაა ტყეებუჩქნარიანი და ხევხუვებიანი ბორცვი ლეგაგუეში (აბედათის საკრებულო), ჯიხაწყარის მარცხენა ნაპირზე, ნაგულუს ქვემოთ. ბაკურიები ცხოვრობენ მარტვილის რაიონის სოფ. ხუნწში. ერთ-ერთ უბანს ლეციცხვაიეში (ხუნწის თემი) **ლებაკურიე** ჰქვია. ამ გვარის აბედათში მოსახლეობაზე მეტყველებს ტოპონიმი ,,ბაკურიაშ ჰაე" - სახნავი ტარჩენის ჭალაში (ი. კეკელია, 2007, გვ. 17).

ბაკურონი ,,ბაკურიასეული, სადაც ბაკურია ცხოვრობდა, ან სადაც ეს გვარი ფლობდა ტყეს, სახნავს ან საძოვარს".

გაბისონა — ტოპონიმი დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე შესულია გ. ელიავას წიგნში (გ. ელიავა, გვ. 42). ასე ეწოდება ადგილს მენჯის საკრებულოში. მკვლევარი აღნიშნავს: ,,გაბისონა" ზემოთ ჩამოთვლილ ტოპონიმთა რიგს შეიძლება მივაკუთვნოთ და განვმარტოთ, როგორც ,,გაბისონიას ნაქონი, გაბისონიასეული".

შამგონა — სოფლის საკრებულო ენგურის ხეობაში, თაგილონის საზღვართან, ზუგდიდიდან მე-12 კმ-ზე. ზუგდიდის მუზეუმში დაცულ საბუთებში გვხვდება **შანგონას** ფორმითაც. კ. სამუშიას მიერ შ. წყაროზიასგან ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, აქ გაუვალი ტყე ყოფილა, სადაც ბერებს მეურნეობა გაუმართავთ და ეკლესიაც აუგიათ. ეკლესია ადიდებულ ენგურს წაულეკავს. ბერებისგან მიტოვებულ მეურნეობას შემდეგ შანგუ წყაროზია პატრონობდა. აქ ხარობდა ვაზი, რომელიც შანგუს გადაურჩენია და გაუმრავლებია. მოსახლეობას ვაზისთვის "შანგუს ვაზი", ხოლო სოფლისთვის "შანგუნა" უწოდებია (კ. სამუშია, 1990, გვ. 134).

ზოგიერთი გადმოცემით, **შანგუ** იგივე ადესაა. შანგონა ,,სადაც ადესის ჯიშის ვაზია" (შდრ. ტოპონიმი ,,ადესონი").

სოფლის სახელწოდება შესაძლოა მართლაც ვაზის ჯიშს შანგუს, შამგოს უკავშირდებოდეს, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ამოსავალი პირსახელი შანგუ, შანგულე, შანიგია (ა. ჭანტურია, 2006, გვ. 74), ან სულაც გვარი შამუგია (ადგ. ვარიანტი **შამგია**) იყოს.

ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ **შამუგიები** დღესაც ცხოვრობენ შამგონაში. მათ დასახლებას **საშამუგიო** ეწოდება, რომელიც ენგურის ნაპირზე მდებარეობს. ჩვენი აზრით, **შამგონა** თავდაპირველად მხოლოდ პატარა გეოგრაფიული ობიექტის – სახნავის, მინდვრის, ტყის ან საძოვრის სახელი უნდა ყოფილიყო და გარკვეული მიზეზების გამო განივრცო სახელდებული ობიექტის უშუალოდ მომიჯნავე ობიექტზე, რაც უცხო არაა სამეგრელოს ტოპონიმიისათვის.

ქვარცხონა სუკი — დაბალი სერია ჭყონის თემში. **ლექვარცხე** ქვარცხავების უბანია პატარა ჟინოთაში. ქვარცხავების 18 კომლი აღირიცხა სოფ. დიდიჭყონში. ქვარცხონა სუკი შეიძლება გავიაზროთ, როგორც ,,ქვარცხავების სერი".

ცხვიტიონი//ცხვიტონი — ადგილი უშაფათის თემში, მეტერიის ჭალაში, ცხემურონსა და პაპაშ გიოლაფუს შუა. გ. ელიავას მიხედვით, საჯარო, თავშესაყრელი ადგილი ყოფილა (გ. ელიავა, გვ. 103). ცხვიტავა, ცხვიტაია, ცხვიტარია და ცხვიტია სამეგრელოში გავრცელებული გვარებია. ცხვიტავების

15 კომლი ცხოვრობს უშაფათში, 4 კომლი - მენჯში. **საცხვიტაო** სოფელია ცის თემში, მდ. ცივის მარჯვენა მხარეს. გადმოცემით ცხვიტავები, იგივე ცხვიტარიები ამ სოფლის ძირძველი მოსახლენი არიან (პ. ცხადაია, 2000, გვ. 157). ცხვიტაიას ორი კომლი დაფიქსირებულია სენაკში, ცხვიტარიების სამი კომლი — თეკლათში (პ. ცხადაია, გვ. 157). მიკროტოპონიმი **ცხვიტოონი// ცხვიტონი** ჩამოთვლილ გვართაგან ერთ-ერთის ამ ტერიტორიის წარსულში მფლობელობაზე მეტყველებს.

ჯოლოხონი — მიკროტოპონიმს დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მოიუთითებს გ. ელიავა აბაშის რაიონის სოფ. პირველ მაისში (გ. ელიავა, 1977, გვ. 48). ჯოლოხავა/ჯოლიხავას გვარი ცხოვრობს ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონის სოფლებში. **ლეჯოლიხე** სოფელია ფუჩის თემში, მდ. სქურჩის მარჯვენა ნაპირზე. **ჯოლოხონი** ზემოთ ჩამოთვლილ **-ონ//-ონა** სუფიქსიან მიკროტოპონიმთა რიგში შეგვიძლია განვიხილოთ და ავხსნათ, როგორც "ჯოლოხავას (ან ჯოლიხავას) ყოფილი, მის მფლობელობაში არსებული".

დამოწმებული ლიტერატურა

გ. ელიავა, 1977 - გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977.

გ. ელიავა, 1989 - გ. ელიავა, სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989.

ი. კეკელია, 2008 - ი. კეკელია, აბედათის ტოპონიმია, თბ., 2008.

მ. კვირტია, 2001 - მ. კვირტია, კვიმატი, თბ., 2001.

კ. სამუშია, 1990 - კ. სამუშია, კოლხეთის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი ზეპირსიტყვიერებაში: ,ქართული ზეპირსიტყვიერება (მეგრული ნიმუშები), თბ., 1990.

ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, 1997 - ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997.

არნ. ჩიქობავა, 1926 - არნ. ჩიქობავა, -ონ სუფიქსი მეგრულში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, ტფ., 1926.

პ. ცხადაია, 1985 - პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985.

პ. ცხადაია, 2000 - პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000.

პ. ცხადაია, 2007 - პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, ხობის რაიონი, IV, თბ., 2007.

ა. ჭანტურია, 2006 - ა. ჭანტურია, მეგრული სახელები და გვარები, თბ., 2006.

IGOR KEKELIA

ON *-ON//-ONA* SUFFIXES IN THE ANTHROPONOMY OF MEGRELIA

Suffixes *-on//-ona* represent phonetic varieties of Zan suffix *-an,* whose primary function is to express collectiveness. It is interesting that apart from the collectiveness, the *-on//-ona* suffixes can have the meaning of *a possessor, owner.* In Megrelia, although quite rarely, there are place names derived from the names of their possessors in the past, the roots of which were derived from family names, which in their part had been formed from common names.

სულხან კუპრაშვილი,
მადონა რობაქიძე

რუსეთის იმპერიული პოლიტიკა და ქართული ავტოკეფალური ეკლესია 1801-1811 წლებში

1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორის ხელმოწერით გამოიცა მანიფესტი, რომელზეც მომდევნო წლის 12 აპრილს რუსის ჯარით გარშემორტყმულ სიონის ტაძარში ქართველ წარჩინებულთ იძულებით მოაწერინეს ხელი. ცარიზმმა გააუქმა ბაგრატიონთა სამეფო პრეროგატივა. დავითი, რომელიც გიორგი XII-მ თავის სიცოცხლეშივე რუსეთის სამეფო კარის დასტურით მემკვიდრედ დაამტკიცა, ცარიზმმა რუსეთს გადაასახლა. რუსეთში გადასახლება გადაუწყვიტეს საქართველოს უკანასკნელ დედოფალს - გიორგი XII-ის მეუღლეს მარიამსაც. მოგვიანებით 1810 წელს ქართლ-კახეთის ხვედრი იმერეთის სამეფომაც გაიზიარა, რუსეთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი საქართველოში.

რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში მხოლოდ სახელმწიფოებრიობის გაუქმებით არ დასრულებულა, საქმე ქვეყნის სულიერ და კულტურულ სფეროს ეხებოდა. ცარიზმი აშკარად ერეოდა ქართული ეკლესიის საქმეებში და ცდილობდა იგი დაექვემდებარებინა რუსეთის სინოდისადმი. ეს დაქვემდებარება იყო პირველი ნაბიჯი მძლავრი ქართული სულიერ-კულტურული ცენტრის მოშლისა და ქართველი მღვდელთმსახურების რუსეთის სამსახურში ჩაყენებისა. საქართველოში საეკლესიო რეფორმის დროულად გატარებას მთავრობა სახელმწიფო მნიშვნელობას ანიჭებდა. რეფორმა ითვალისწინებდა აქ სასულიერო დიკასტერიის შექმნას, რომლის საქმიანობაზეც იმპერიის სასარგებლოდ თვითმმართველობა დიდ იმედებს ამყარებდა. მისი შექმნით უნდა დაწყებულიყო ქართლ-კახეთის ეკლესიის „მოწესრიგება“, რომელიც, მეფის მოხელეთა აზრით, ძალზე ქაოსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დიკასტერიას უნდა ეხელმძღვანელა სასულიერო-საგანმანათლებლო სამუშაოებისათვის; მისი პირველი ამოცანა იყო ეკლესია-მონასტრების ქონების აღწერა და შემოსავლის დაზუსტება, სასულიერო პირთა რაოდენობის დადგენა და სამრევლოების მოწესრიგება. ამ საქმის განხორციელება წილად ხვდა გენერალ ტორმასოვს, რომელსაც თეიმურაზ ბატონიშვილი შემდეგნაირად ახასიათებს: „კაცი ესე იყო მძვინვარე, ამპარტავანი და უწყალო“ (თეიმურაზ ბატონიშვილი, 1983, გვ. 74-75).

ტორმასოვმა მიმართვა გაუგზავნა უწმინდესი სინოდის ობერპროკურორს თავად გოლიცინს „საეკლესიო მამულთა შესახებ“. ობერპროკურორმაც ისარგებლა ამ საბუთით და იმპერატორს შესაბამისი მოხსენება წარუდგინა. 1810 წლის 28 სექტემბერს თავადმა გოლიცინმა დავალება მისცა ტორმასოვს: „ამ შემთხვევისა გამო, იმპერატორმა მიაქცია ყურადღება იმას, რომ უწმინდეს სინოდს გავლენაც არა ჰქონია და არც ცნობები მოეპოვება ქართული სამღვდელოების საქმეთა თაობაზე. იმპერატორი ავალებს თქვენს მაღალმატებულებას, რათა უმჯობესად მოსაზრებული იქმნენ ამ საქმეთათვის განზრახული დადგენილებანი, საჭირო არს მიჰმართოთ საქართველოში მყოფ მთავარეპისკოპოსს ვარლამს და ადგილობრივ გარემოებათა მიხედვით წარმოდგენილ იქმნეს მოხსენება, რა სახითა და რაგვარ საფუძველზე მოეწყოს ქართველი სამღვდელოების მმართველობა, რომ ის დაექვემდებაროს უწმინდეს სინოდს“ (აქტები, 1871, გვ. 157-161).

ჯერ კიდევ 1801 წლის თებერვალში რუსეთის იმპერატორის ბრძანებულებით კათალიკოს ანტონ მეორეს დაევალა შეედგინა ქართული ეკლესიისა და სამღვდელოების რეალური მდგომარეობის ზუსტი აღრიცხვა. მას უნდა აღეწერა საეკლესიო მმართველობა და წარედგინა თავისი მოსაზრება ამ მმართველობაში სასურველი ცვლილებების შეტანის შესახებ. ვინაიდან კათალიკოსს ქართული ეკლესიის კეთილმოწყობა მისი ნება-სურვილის მიხედვით კი არ მიანდეს, არამედ მხოლოდ ცვლილებების პროექტის წარდგენა შესთავაზეს, ანტონ მეორე მიხვდა, რას მოითხოვდნენ მისგან და დროის მოგების მიზნით ამ ბრძანებულების შესრულებას საერთოდ უგულებელყოფდა. რუსული ხელისუფლება კი თავისი მიზნების განხორციელების ხანგრძლივი ვადით გადადებას სულაც არ აპირებდა. კათალიკოსი ანტონ მეორე დიდი გავლენით სარგებლობდა ეკლესიის მსახურებსა და მოსახლეობაში და, რაღა თქმა უნდა, ასეთი პირის ეკლესიის მეთაურად ყოფნა არ აწყობდა მთავრობას. ამიტომ 1811 წელს, ათი წლის ლოდნის შემდეგ „დააკმაყოფილა“ მთავარმართებელის მოხსენება იმის შესახებ, რომ კათალიკოსს არ ძალუძს ქართულ ეკლესიაში წესრიგის აღდგენა არა მარტო თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, არამედ უმთავრესად მთავარმართებლის იმ მიზეზით, რომ იგი თვითნებურად ბრძანებულობს და უპასუხისმგებლობას არის მიჩვეული, რის უფლებასაც მას ადგილობრივი ადათ-წესების მიხედვით მისი მეფური წარმოშობა აძლევს (აქტები, 1871, გვ. 162-163).

ტორმასოვმა 1810 წლის 3 ნოემბერს რუსეთში გადასახლდა კათალიკოსი ანტონ II, ხოლო 1811 წლის 10 თებერვალს თავად გოლიცინს წარუდგინა საქართველოს ეკლესიის მმართველობის პროექტი, რომელიც პატივმოყვარე, რუსეთის ერთგულ ვარლამ ერისთავთან ერთად იყო შემუშავებული. ამ პროექტით საქართველოს ეკლესიის სათავეში უნდა მდგარიყო მცხეთისა და ქართლის მღვდელთმთავარი, რომელსაც მიენიჭებოდა უფლება წოდებულიყო მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტად და სინოდის ეგზარქოსად, საქართველოში ის უნდა ჩარიცხულიყო უწმინდესი სინოდის უწყებაში, რომლის სახელზე ვალდებული იყო საგანგებო შემთხვევაში ეგზავნა პატაკები და ეწარმოებინა საზოგადო მიწერ-მოწერა“ (იქვე).

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა 1811 წლის 1 აპრილს უბრძანა უწმინდეს სინოდს განეხილა აღნიშნული პროექტი. სინოდმაც მოამზადა მოხსენება, რომელიც 21 ივლისს წარუდგინა მეფეს. ეს მოხსენება უკან დაბრუნებულ იქნა მეფის რეზოლუციით „იქმნეს ამისაებრთ“ (იქვე, გვ. 166-169).

აქ, ვფიქრობთ, საყურადღებოა იმის გარკვევა, თუ რატომ არ გაუქმდა საქართველოს ანექსიისთანავე ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. იმ ათი წლის განმავლობაში, როცა პრაქტიკულად უპრეცენდენტო შემთხვევა ფიქსირდება ქართული ავტოკეფალური ეკლესიის ისტორიაში, საკმაოდ ბევრი პრობლემა გადაიჭრა ცარიზმის სასარგებლოდ. 1804 წელს შეუერთდა გურიის სამთავრო, ხოლო 1810 წლისთვის იმერეთის სამეფო. ასე რომ, 1811 წლისათვის პრაქტიკულად რუსეთის იმპერიის იდეოლოგიურმა ნიღაბმა - მესამე რომის თეორიამ - თავისი როლი პრაქტიკულად ამოწურა. ამდენად, სწორედ 1811 წლისთვის ცარიზმის საიმპერატორო კარისათვის სრულიად ზედმეტი გახლდათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია.

საქართველოში გაუქმდა მრავალსაუკუნოვანი კათალიკოს-პატრიარქის ტახტი. ნიჟნი-ნოვგოროდში გადასახლებულ კათალიკოს ანტონ მეორეს საფლავიც კი არ აღირსეს სამშობლოში, რაც ამ ღირსეული და ღვაწლმოსილი ადამიანის უკანასკნელი თხოვნა იყო. ამაზე მკაცრად განაცხადა საქართველოს „კოლორიტულმა“ მთავარმმართებელმა ერმილოვმა: „სამშობლოს საზღვრებთან ახლოსაც კი არ გაბედოს განსვენებაო“ (აქტები, 1874, გვ. 280).

1811 წლიდან კათალიკოსის ნაცვლად სინოდის დიკასტერიისადმი დაქვემდებარებული ეგზარქოსი დანიშნეს და პირველ ეგზარქოსად რუსეთში განსწავლული პატივმოყვარე ეპისკოპოსი ვარლამ ერისთავი გამოგზავნეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არქიეპისკოპოს ვარლამისა და გენერალ ტორმასოვის ხელმძღვანელობით მოხდა საქართველოს ეკლესიის მმართველობის რეორგანიზაცია და რუსეთის ეკლესიასთან მისი ურთიერთობის განსაზღვრა, რაც საეკლესიო კანონების უხეში დარღვევა იყო და რასაც შემდგომში სავსებით სამართლიანად მიანიშნებდა ავტოკეფალიის დაბრუნებისათვის მებრძოლი ქართული ეკლესია, რომელიც ამ აქტს ანომალიურ, ანტიკანონიკურ და ანტიეკლესიურად აცხადებდა.

„საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება არის არა ნებაყოფლობითი შეერთება ერთმორწმუნე რუსეთთან, არამედ ნამოქმედარი ძალადობა ქვეყნის უფროსთან“. ხოლო თქვენს უწმინდესობას კარგად მოეხსენება, რომ საეკლესიო საქმეებში „სოფლიურ უფროსთა“ ჩარევას ღვთაებრივი კანონები არ ეგუებიან, მოციქულთა კან. 30. 4 მსოფლიო კრება, 12. 7 მსოფლ. კრება, [illegible]“ — წერდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი უწმინდესი ლეონიდე 1919 წლის 5 აგვისტოს მოსკოვის პატრიარქს.

ამდენად, 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ახალი, სრულიად განსხვავებული ეტაპი დაიწყო.

დამოწმებული ლიტერატურა

აქტები, 1871 - Акты собранные Кавказской археографической комисии под редакцией А Берже, том IV, 1871.

აქტები, 1874 - Акты собранные Кавказской археографической комисии под редакцией А Берже, том VI, 1874.

თეიმურაზ ბატონიშვილი, 1983 - თეიმურაზ ბატონიშვილი, ახალი ისტორია, [illegible] 1983.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესი ლეონიდეს [illegible] მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს უწმინდესი ტიხონის [illegible] (1919 წლის 5 აგვისტო).

SULKHAN KUPRASHVILI, MADONA ROBAKIDZE

RUSSIA'S IMPERIAL POLICY AND THE GEORGIAN CHURCH AUTOCEPHALY IN 1801-1811

In the late half of the 19th century Tsarist Russia waged consistent fight for trapping the Georgian Church into her ideological grips.

In September 12, 1801 the Emperor signed a manifest by force of which on April 12th of the next year, in the Tbilisi Sioni Cathedral surrounded by Russian troops, Russia imposed the representatives of the Georgian nobility to sign the document of abolishing Bagrationi House prerogatives. David who had been proclaimed the heir of Giorgi XII by Russia when the king was still alive was sent in exile. The same fate shared Mariam, the last queen of Georgia, wife of Giorgi XII. Some eight years later the lot of Kartlo-Kakheti kingdom extended on Imereti kingdom that accomplished Russia's footing in Georgia.

The establishment of the Tsarist government in Georgia would not complete only with the abolishment of the Georgian statehood. Now Russia began to interfere in the affairs of the Georgian Church for its subjugation. The government issued a reform anticipating organization of religious diskateria which would be entitled to lead Religious-educational activities. The primary task of the diskateria was to count and register the property of the Georgian Church to figure out all incomes and determine the number of clergy and make order in the parishes. The government appointed General Tormasov with personal responsibilities for the implementation of the reform.

Earlier to these events, in February 1801, Russian Emperor issued the order obliging Catholicos Anton II to draw up the complete data of the real situation of the Georgian Church and its clergy. The latter did not carry out the task. In November 3, 1810 Tormasov sent Catholicos Anton II in exile and in February 10, 1811 he presented Golitsin new project of organizing the Georgian Church. According to the project the bishop of Mtskheta and Kartli should be at the head of the Georgian Church who would be given a title of Metropolitan of Mtskheta and Kartli and the Exarches of the Synod.

In 1811 the institution of Catholicos was replaced by Exarches, subordinated to diskateria. The first exarches of Georgia became Bishop Varlam Eristavi, a man educated in Russia. The abolishment of autocephaly of the Georgian Church marked the new and different stage of Georgia's occupation by Russia.

მარინე კუხალაშვილი

"მოგერისება" ტერმინისათვის ქართულში

მოგერისება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა ახსნილი: „ხბოსთვის მცირე ხნით ძუძუს მოწოვინება წველის დაწყების წინ"... (ქეგლ).

მოგერისება დასტურდება ქართული ენის დიალექტებშიც:

ქართლ. (ქსნის ხეობ.): ძროხის მიერ ხბოსათვის შენახული რძე. ძროხას ხბოს რომ მოაშორებენ და რძეს აღარ იძლევა, წინ ხბოს ტყავის გუდას დაუდებენ. როცა მას უყურებს, ძროხა რძეს იძლევა. ამას **მოგერისებას** ეძახიან; **მოგერისე** - მეზობლისაგან რძის სესხად წამომღები (ვ. სომხიშვილი, 1968).

ხევსურებს უფრო მოხერხებული საშუალება ჰქონიათ მოგერისებისა: „უდგამ ფურს საგერებს ხის პატარა ჯამით და ასე გამოსტყუებენ რძეს" (ალ. ჭინჭარაული, 1960). **საგერები** ის მარილია, რომელსაც აძლევენ ძროხას, რომელიც რძეს არ იძლევა ან ხბოს არ აწოვებს (შდრ.: ქართლ. **გეროზით**, ფშ. **საგირებელი**).

მარილით მოგერისების წესი შემდეგდროინდელი უნდა იყოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ძროხისთვის რძის გამოტყუების ახალმა წესმა ძველი ტერმინი ვერ განდევნა და მარილს სახელად **საგერები** შერჩა, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ამ შემთხვევაში.

თითქმის ამგვარადვე სცოდნიათ მოგერისება გარე-კახეთსა და პანკისის ხეობაში, სადაც ჩვეულებრივი მოგერისების გარდა მარილწაყრილ პურს იყენებენ ან წყლით აგერებენ, ჯიქანს წყლით ასველებენ და მერე იწყებენ წველას. გარე-კახეთში ამ პროცესს **დაგერება** ჰქვია, ხოლო პანკისში - **მოგირება** (სტ. მენთეშაშვილი, 1943).

მოგერისების ჯავახური ნაირსახეობაა **გერება** (მითითება). იმერეთში ანალოგიური მნიშვნელობით გამოიყენება **გენვა** - "ხბოსგან ძროხის მოწოვა გამოწველამდის" (ვ. ბერიძე, 1912); შდრ. მეგრ. მო-**გან**-უა - მოგენვა, მოწოვა ძუძუსი (ხბოს მიერ) (ო. ქაჯაია, 2002).

მოგერისება გეხვდება გურულშიც; ჩოხატაურის რაიონის სოფ. ქვენობანის მკვიდრთა განმარტებით, სანამ „**მოუგერისებენ**", ძროხას ნაგროვები რძე ჯიქნიდან „ზევით აქვს აწურული, ხბოს უნახავს", ხბოს მიშვებისას კი ჩამოუშვებს და მერე, როცა ხბოს ძალით მოაცილებენ, რძეს ველარ იკავებს და თავისუფლად იწველება. ზოგჯერ ძროხა მიხვდება მწველავის ეშმაკობას და შუა წველაში ახერხებს რძის კვლავ აწურვას. ასეთ შემთხვევაში ხბოს მეორედ მოატყუებენ და მეორედ მიუშვებენ ძროხასთან, „**წაუგერისებენ**".

როგორც ვხედავთ, ქართულ კილოებში ერთი და იმავე მნიშვნელობით დადასტურებულია: **მოგერისება** (ქართლ., გურ.), **დაგერება** (კახ.), **გერება** (ხევს., ჯავახ.), **მოგირება** (პანკ.), **გენვა** / **გამოგენვა** (იმერ.), **მოგანუა** (მეგრ.)...

არნ. ჩიქობავა ერთმანეთთან აკავშირებს მეგრ. **გენი/გინი,** ჭან. **გენი/ჯენი/ნჯენი,** სვან. **ღუნ** "ხბო" ფორმებს; იმერ. **გენვა** ზანიზმადაა ჩათვლილი (არნ. ჩიქობავა, 1938, გვ. 84). იქვე აღნიშნავს: „ქართულში შესატყვისი ძირი არ გაგვაჩნია ამჟამად (ხბო სულ სხვა ძირია)".

ბევრი რამ, რაც ახლა ჰანურსა და მეგრულში გვხვდება, მაგრამ სალიტერატურო ქართულში არ ჩანს, შეიძლება დადასტურდეს ქართული დიალექტების ლექსიკური საგანძურის შესწავლისას.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ზანური **გენ-/გინ-** და ქართ. **გერ** ძირთა ნათესაობისა და იგივეობის შესახებ.

ალ. ჭინჭარაული წერს: "როცა მოზვრის მოხმობა უნდათ, ხევსურები **"გერი!-გერი!**-ს ეძახიან მას. დედა ძროხა რომ რძეს არ იძლევა, მას აძლევენ მარილს, რომელსაც **საგერებს** უწოდებენ (სა-გერ-ებ-ი); ეს იგივე ძირი ჩანს, რაც ჰანური გენ-ი // ჯენ-ი // ნ-ჯენ-ი, მეგრ. გენ-ი // გინ-ი და სვანური ღუნ („ხბო")" (ალ. ჭინჭარაული, 1960, გვ. 194).

ხევსურები მოზვრის მოხმობისას ამბობენ: **"ნწა-გერო! გერი-გერი!"** ხოლო როცა გარეკვა უნდათ, **"აგერი!, გერ!"**

ხევსურული **გერი** და **ნწა-გერო** იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ „გერი" ოდესღაც მოზარდს და შესაძლოა შვილსაც ნიშნავდა. ამ ვარაუდს აძლიერებს ცოლ-ქმარში ერთ-ერთის შვილის სახელად **გერი**-ს არსებობა ქართულში.

გერი ერთ-ერთი მშობლის შვილია (შდრ. ხევს.: გერი "მოზვერი, შვილი")...

საგულისხმოა ასევე ქართულ კილოებში გავრცელებული სიტყვა **ნაგერალი**, რაც წინა წელს მიწაში ჩარჩენილს და შემდეგ აღმოცენებულს ნიშნავს.

ნაგერალი, ანაგერაი, ნანგრე - დაბალი ამონაზარდია, რომელიც "დაგვალულს მოცდენილს" ნიშნავს. **ნაგერალად** (ქიზიყ., ზ. აჭარ.) - "დაუთესავად, შარშანდელ ნათეს მიწაზე თავისით ამოსული მცენარეულობა (ს. მენთეშაშვილი, 1943; ალ. ღლონტი, 1984).

შდრ. მეგრ. **ნაგერე/ნანგერე** - "ნაგერალი, დაუთესავად ამოსული (ო. ქაჯაია, 2002).

ხევსურული გერის (მოზვერის) მნიშვნელობას აზუსტებს შემდეგი ცნობა: მოზვერს **გერი** მანამდის ქვია, სანამ დაკოდავენ. დაკოდილ მოზვერს უღელში აბამენ. დაუკოდველი ბუღაა, სანაშენოდ სტოვებენ. ასე რომ, გერის ცნება დაკავშირებული უნდა იყოს ნაყოფიერებასთან, მოდგმის გამრავლებასთან.

ხევს. **გერი** - მოზვრის გასარეკი შეძახილი (შდრ. ფშ.: **გერი-გერი!** ლ. კაიშ.: **საგერობელი, წაგერება,** ვ. სომხიშვ.; გ. შატბერ.: **მოგერისება,** სტ. მენთეშ.: ძუძუგწაგერება). აგრეთვე: **გამაგერი! მაგერი! საგერები, საგერებიანი, სასაგერებე** (ალ. ჭინჭარაული, 2000).

მაგერი! - ეძახიან მოზვერს, როცა აქეთკენ გამორეკვა უნდათ;

გამაგერი! - მოზვრის შიგნიდან გარეთ გამოსაგდები შეძახილი (ალ. ჭინჭარაული, 2000).

შესაძლოა ოდესღაც ქართული ენაში არსებობდა ტერმინი: **გენ/გინ, გერ გირ-ი, ღუნ-ი,** რაც პატარას, მოზარდს აღნიშნავდა, ანდა ადამიანთა და ცხოველთა შვილის ზოგადი გამომხატველი ცნება იყო. დროთა განმავლობაში მისი მნიშვნელობა გაცვდა და ჩვენამდე ფორმობრივ-სემანტიკური ცვლილებით მოაღწია.

დამოწმებული ლიტერატურა

ვ. ბერიძე, 1912 - ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, ტფ., 1912.

ლ. კაიშაური, 1978 - ლ. კაიშაური, მთიულური ტექსტები, თბ., 1978.

სტ. მენთეშაშვილი, 1943 - სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

ვ. სომხიშვილი, 1968 - ვ. სომხიშვილი, ქსნის ხეობის ქართლური, ცხინვალი, 1968.

ო. ქაჯაია, 2002 - ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.

ქეგლ, 1990 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1990.

ალ. ღლონტი, 1984 - ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ღლონტი, მეორე გამოცემა, თბ., 1984.

გ. შატბერაშვილი, 1964 - გ. შატბერაშვილი, „ჭაშნიკი“, თბ., 1964.

არნ. ჩიქობავა, 1929 - არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, თბ., 1929.

არნ. ჩიქობავა, 1936 - არნ. ჩიქობავა, ჭანურ მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1936.

ნ. ჩუბინაშვილი, 1961 - ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

ალ. ჭინჭარაული, 1960 - ალ. ჭინჭარაული, ხევსურული თავისებურებანი, თბ., 1960.

ალ. ჭინჭარაული, 2005 - ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, 2005.

MARINE KUKHALSHVILI

ON THE TERM *MOGERISEBA* IN GEORGIAN

The word *mogeriseba* is attested in the literary Georgian and dialects. The Explanatory Dictionary of the Georgian Language defines *mogeriseba* as ‘allowing the calf to suck the cow for a short period before beginning to milk’. The same meaning of the word is used in Kartlian and Gurian dialects. Somewhat modified forms of the word with the aforesaid meaning occurs in other dialects as *dagereba* Kahkian, *mogireba* Pankisi, *gereba* Javakhian, *genva/gamogenva* Imeretian, *moganua* Megrelian etc.

In the specialists’ literature Megrelian *geni/jeni*, Chan *geni/jeni/njeni* Svan *ghun* “calf” are related stems. Imeretian *genva* is considered a Zanism (Arn. Chikobava).

Some authors also speak about the relation and sameness of the Zan *gen-/gin-* and the Georgian *ger-* roots (A. Chincharauli).

The forms as *na-ger-ali, na-ngere* are interesting to this respect, as they denote ‘a plant that grows wild, without prior sowing by the man’.

მიხეილ ლაბაძე

ლაზური კილოების ხმოვანთა სისტემა

1. ზოგადი ცნობები. ლაზური კილოების ხმოვანთა სისტემა მარტივია. სალიტერატურო ქართულის მსგავსად, აქაც ხუთი სადა ხმოვანი ფონემა გამოიყოფა: **ა, ე, ი, ო, უ**. ესენი წარმოდგენილია სამივე ლაზურ კილოში.

ხუთი სადა ხმოვნის გარდა, ათინურ-ართაშენულ კილოში სპორადულად დაჩნდება ასევე, ნეიტრალური **გ**-ს უმარცვლო ვარიანტი, რომელიც **უ, ო** სავრცობის ალოფონად რეალიზდება (**ჰინდოსუ** > // **ჰინდოსგ** „იმ დროს“, **იქუმსო** > // **იქუმსგ** „იქმს“...). რასაკვირველია, უმარცვლო ვარიანტი დამოუკიდებელი ფონემა არ არის.

ლაზურ კილოთა ზოგი მკვლევარი (ნ. მარი, ს. ჟღენტი, ნ. ქუთელია...) გამოყოფს აგრეთვე, ე.წ. **დოტიზებულ** ანუ პალატალიზებულ ხმოვნებს: **და, დე, დო, დუ**; ჩვენი აზრით, ესენი ჩვეულებრივი აღმავალი დიფთონგებია და არა ხმოვნები. მით უმეტეს, როგორც სამართლიანად მიუთითა გ. კარტოზიამ, ლაზურ კილოებში მოიპოვება **დი** დიფთონგიც, რომელსაც სხვა ავტორები არ აღნიშნავენ (გ. კარტოზია, 2006, გვ. 19).

ს. ჟღენტის აზრით, ლაზურში მოიპოვება „ფშვინვიერშემართვიანი“ **ჰა, ჰე, ჰი, ჰო, ჰუ** ფონემები (ს. ჟღენტი, 1953, გვ. 16); ჩვენი აზრით, ფშვინვიერი შემართვა ლაზურ მეტყველებაში, ისევე როგორც სხვა ქართველურ ენობრივ ერთეულებში, დამოუკიდებელ ფონემებს არ წარმოქმნის.

ს. ჟღენტი ასევე, დამოუკიდებელ ფონემებად გამოყოფს „მაგარშემართვიან“ **ʻა, ʻე, ʻი, ʻო, ʻუ** ხმოვნებს (ს. ჟღენტი, 1953, გვ. 16). ნ. ქუთელია მათ ფარინგალიზებულ ხმოვნებს უწოდებს, თუმცა სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ფონოლოგიური ღირებულება არ გააჩნიათ“ (ნ. ქუთელია, 2005, გვ. 21).

ჩვენ მსგავსი “შეფერილობის“ **ხმოვნები** დადასტურებული გვაქვს მხოლოდ ვიწურ-არქაბული კილოს ზოგიერთ თქმაში. ოღონდ, ვფიქრობთ, რომ მათი ფარინგალიზებულობა არის **ყ**-ს რეფლექსი, მაგ.: **მოყონაფუ** (ხოფ.) > **მოᲦონაფუ** (არქ.) > **მო'ონაფუ** (ორჭ.) „მოყვანა“, ანდა: **ყვილუფს** (ხოფ.) > **ილომს** (ვიწ.) > **'ილომს** (მზუღ.). ამ ტიპის „ფარინგალიზებული ხმოვნები“ გვხვდება ძირითადად მთიელი ლაზების მეტყველებაში.

ამდენად, ლაზური კილოების ხმოვანთა სისტემა მარტივია.

2. ა, ე, ი, ო, უ ხმოვნები. წარმოებისა და რაგვარობის მიხედვით, ლაზურ კილოთა **ა, ე, ი, ო, უ** შემდეგნაირად შეიძლება დავახასიათოთ:

ა მაქსიმალურად ღია (ფართო), დაბალი აწეულობის, შუა (ანდა უკანა) რიგის, არალაბიალური ხმოვანია;

ე პალატალური ანუ მაგარსასისმიერი, წინა რიგისა და საშუალო აწეულობის, არალაბიალური ხმოვანია;

ი ასევე პალატალური (მაგარსასისმიერი) და წინა რიგის, ოღონდ მაღალი აწეულობის არალაბიალური ხმოვანია;

ო უკანა რიგის, საშუალო აწეულობის ლაბიოველარული ხმოვანია;

უ უკანა რიგის, მაღალი აწეულობის ლაბიალური ხმოვანია.

აწეულობისა და რიგის მიხედვით ამ ხმოვნების დაპირისპირება სქემატურად ასეთ სახეს მიიღებს:

	რიგი		
აწეულობა	წინა	შუა	უკანა
მაღალი	**ი**		**უ**
საშუალო	**ე**		**ო**
დაბალი		**ა**	

ასე რომ, **ლაზური კილოების ა, ე, ი, ო, უ იდენტურია სალიტერატურო ქართულის ა, ე, ი, ო, უ ხმოვნებისა**.

საარტიკულაციო აპარატის (ზესადგამი მილის) ღიაობის მიხედვით სალიტერატურო ქართულის ბგერათა მიმართებას ტ. ფუტკარაძე ასე წარმოგვიდგენს: **ა > ე/ო > ი/უ** (ტ. ფუტკარაძე, 2006, გვ. 157). ხმოვანთა მიმართება სწორედ ამგვარი იქნება ლაზურ კილოებშიც.

სალიტერატურო ენის მსგავსად, ლაზურ კილოებშიც **ა, ე, ი, ო, უ** ხმოვნები რეალიზდებიან ყველა პოზიციაში; რაიმე დისტრიბუციული შეზღუდვა მათ არ გააჩნიათ; მაგალითად, შდრ.:

ა: ნცა (ხოფ., ათინ.-ართ.)// **მცა** (ვიწ.-არქ.) „ცა“, **ტორა** „კინაღამ“, **ალანი** „თანატოლი“, **რაკანი** „მთა“, **ჭალანა** „კიბორჩხალა“,“...

ე: თე „სინათლე“, **ხე** „ხე ლი“, **ებზა** (ვიწ.-არქ.) „ასანთი“, **ნენა** „ენა“, **ბერე** „ბავშვი“, **მალთე** (არქ.) „კარის მეზობელი“, **მოლე** „გამოღმა“...

ი: პი „ვქენი“, **თი** „თავი“, **იხი** „ქარი“, **ირი** „ყოველი“, **რინცი** (ხოფ.) „ცისარტყელა“, **ინჭირი** „ანწლი“, **მჩირე** „ფართო“, **ხინჯი** „ხიდი“...

ო: მწკო (ხოფ., ვიწ.-არქ.) „წყავი“, **ჰო** „ჰო, დიახ, კი“, **ორდო** „მალე; ჩქარა“, **ოხორი** „სახლი“, **კოჩი** „კაცი“, **თოლი** „თვალი“, **ფალო** „უბრალო“, **ეშო** (ხოფ.) „ისე“...

უ: მწუ (ათინ.-ართ.) „წყავი“, **შუ** „სველი“, **უფი** „ოფლი“, **უჩა** „შავი“, **ბურჭული** „წალდი“, **გური** „გული“, **წულუ** (ათინ.-ართ.) „პაწია“, **ჭინუ** (ხოფ., ვიწ.-არქ.) „ქაფშია თევზის საჭერი ერთგვარი“...

3. ჲ ბგერა ლაზურ კილოებში. **ჲ** პალატალური, ანუ მაგარი სასისმიერი, მჟღერი ბგერაა. ის ახლოსაა, ერთი მხრივ, წინა რიგისა და მაღალი აწეულობის პალატალურ **ი** ხმოვანთან და, არაიშვიათად, მასთანაც მონაცვლეობს; შესაბამისად, **ი / ჲ** შეიძლება განვიხილოთ სონანტად.

ი / ჲ მონაცვლეობის ფაქტები ყველაზე ხშირად დასტურდება ლექსებში, სადაც ჩვეულებისამებრ, დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლების რაოდენობას. შესაბამისად, ერთსა და იმავე ფორმებში **ი** გვაქვს მაშინ, როცა ეს მარცვალთა რაოდენობას ესაჭიროება, **ჲ** კი - როცა არ ესაჭიროება; მაგ.:

ნდღა ნიჩოდუ დო მჟუათი **გეილუ** “დღე მიიწურა და მზეც ჩავიდა,
სერიჟ გვერდის დიდი ხარბიზ **გეიჭკუ**... “შუაღამისას დიდი ომი დაიწყო...“

შდრ.:

მჟუა **გეჲლუ**, ხვალა ბდგი თეფელუღის „მზე ჩავიდა, მარტო ვდგავარ გორაკზე“

ოროფათე **გეჲჭკასენ** სევდალუღის! “სიყვარულისგან იწყება მოწყენილობა!“

როგორც ვხედავთ, პირველ მაგალითში გვაქვს ფორმები **გეილუ, გეიჭკუ**, ხოლო მეორეში კი - **გეჲლუ, გეჲჭკასენ**. საუბარში,

ჩვეულებისამებრ, ჲოტიანი ფორმები იხმარება, მაგრამ მარცვალთა რაოდენობიდან გამომდინარე, ლექსში **ჲ** გვაძლევს სრულხმოვან **ი**-ს.

ახლა განვიხილოთ საპირისპირო შემთხვევა - როცა სრულხმოვანი **ი**, მარცვალთა რაოდენობიდან გამომდინარე, გვაძლევს **ჲ**-ს:

მენჯელი ღორმოთიქ მექჩას, ჩქიმი ნანიკო „ძალღონე ღმერთმა მოგცეს, ჩემო დედიკო“,

იჲჲაგვალი **გუჲი** კაპეტი **ქომჲონუტიკო**! “მუდამჟამს გულ-მაგრად მყოლოდე!“

...გუი-სქანის დერდ ვა ბძირა, იჲჲა იბირას “შენს გულში დარდი არ ვნახო, სულ იმღეროს,

ჰაწიშქულე შვი, იქეჲფი, **სეი კაი განჯჲას**![4] “აწი სვი, იქეიფე, ღამით კარგად გეძინოს!“

ამგვარად, ამ ლექსში გამუქებულია ჩვენთვის საინტერესო ფორმები, სადაც **ი** > **ჲ**; შესაბამისად, საუბარში, ჩვეულებრივ, იხმარება ხოლმე: **გუი** (< // **გური**), **ქომიონუტიკო**, **სეი** (< // **სერი**), **კაი**, **განჯიას** (< // **განჯირას**) და ა.შ.

მეორე მხრივ, **ჲ სხვა ქართველური კილოების მსგავსად, რეალიზდება უ, რ, ლ, ს, შ, ქ თანხმოვნების ალოფონებადაც**; კერძოდ:

ჲ ვიწურ-არქაბულ და ათინურ-ართაშენულ კილოებში სისტემებრ ენაცვლება ხოფურის უკანანუნისმიერ, ჩქამიერ ნაპრალოვან მჟღერ **ჟ** თანხმოვანს **გეჟო-**, **გოჟო-**, **ეჟო-**, **მეჟა-**, **მოჟო-** ზმნისწინებში; შესაბამისად, ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში გვექნება: **გეჲო-** (ვიწ.-არქ.) // **ჯეჲო-** (ათინ.-ართ.), **გოჲო-**, **ეჲო-**, **მეჲა-**, **მოჲო-**; ამოსავალი ვითარება ხოფურს დაუცავს, ვინაიდან ამ ზმნისწინებში **ჟ** ნაშთია **ჟინ** „ზედ“ თანდებულისა, რომელიც ვიწურ-არქაბულშიაც ამავე სახით გვხვდება, ათინურ-ართაშენულში კი **ჯინ** (< **ჟინ**) ფორმა გვაქვს. ლაზურ მეტყველებაში დასტურდება აგრეთვე, საპირისპირო - **ჟ** < **ჲ** პროცესიც: **ჟური** < ***ჲური** „ორი“, **ჟერინე** // < **ჲერინე** „მაგივრად“ (ს. ჟღენტი, 1953, გვ. 64-65), თუმცა ამის მაგალითები ცოტაა.

სამივე ლაზურ კილოში **ჲ** მეტ-ნაკლები სიხშირით შეიძლება შეენაცვლოს შუანუნისმიერ **რ** სონორს. ლაზურ კილოებში **რ** არავიბრანტი ბგერაა: **გური** // **გუჲი** „გული“, **ირი** // **იჲი** „ყოველი“, **რაკანი** // **ჲაკანი** (ღვანდ.-ძღემ.) „მთა“, **რენ** // **ჲენ** „არის“, **ირრაგვალი** // **ირჲაგვალი** // **იჲჲაგვალი** „მუდამ“... დასტურდება ასევე საპირისპირო პროცესიც - **ჲ** > **რ**, უმეტესად - ვიწურ-არქაბულში. მაგ.: **ღოლგვარონენ** // < **ღოლგვაჲონენ** „ჩაჰყვება“, **ორორე** // < **ოჲორე** „კვახი“, **მერემიხთუ** // < **მეჲემიხთუ** „[ზედ] გადამხდა“ და ა.შ. (ს. ჟღენტი, 1938).

ათინურ-ართაშენულ კილოში დადასტურებულია აგრეთვე წინანუნისმიერი **ლ**-ს გადასვლა **ჲ**-ში, თუმცა ეს ხდება მხოლოდ ერთ სიტყვაში - **უკალე** // > **უკაჲე** „შემდეგ“; მეგრული კილოსაგან განსხვავებით, ლაზურ კილოებში **ლ** მაგარი წარმოებისაა.

წინანუნისმიერი ჩქამიერი **ს** თანხმოვნის **ჲ**-ში გადასვლაც ათინურ-ართაშენულში დასტურდება. ამ მხრივ ხსენებული კილო რამდენადმე ახლოს დგას კახურ კილოსთან — ათინურ-ართაშენულშიაც სისტემებრ **ჲ**-დ იქცევა ხოლმე მიცემითი ბრუნვის ნიშანი **-ს** (**შკაჲ გორტუნ** < // **შკას გორტუნ** „წელს არტყია“, **ხეი უკაჩუნ** < // **ხეს უკაჩუნ** „ხელში უჭირავს“...), ნამყო დროებში მესამე პირის მრ. რიცხვის **-ეს**, ასევე - კავშირებითის დროებში მესამე პირის მხ. რიცხვის **-ს** სუფიქსები გვაძლევს, შესაბამისად, **-ეჲ** (**მოხტეჲ** < // **მოხტეს** „მოვიდნენ“, **დოხენამტეჲ** < // **დოხენამტეს** „აკეთებდნენ“) და **-ჲ** (**ნოწედაჲ** < // **ნოწედას** „შეხედოს“, **უშქურტაჲ** < // **უშქურტას** „იცოდეს“) სახეობებს.

გარდა ამისა, ათინურ-ართაშენულში **ჲ**-დ იქცევა აწმყო დროის მხ. რიცხვის **-ს** სუფიქსიც. თანაც, ამ დროს უკვალოდ ქრება თემის ნიშნის (ან, თუ ზმნა უთემისნიშნოა - ზმნური ფუძის) თანხმოვნური ელემენტი: **ჭოფუჲ < // ჭოფუმს** „იჭერს“, **გამიღაჲ < // გამიღამს** „გამოაქვს“, **იმჩიჲ < // იმჩირს** „ცურავს“, **იხაპაჲ < // იხაპარს** „ლაპარაკობს“ და ა.შ.

ოფური კილოს ჩხალური კილოკავში ნათესაობითი ბრუნვის **-შ** ნიშანი სისტემებრ იქცევა **ჲ**-დ. ამ მხრივ ჩხალური მეტყველებაც ქართლურსა და კახურ კილოებს მოგვაგონებს: **ლაზუტიჲ მჭკიდი** „სიმინდის მჭადი“, **დაჲ ბერე** „დის შვილი“, **ე ბოზოჲ ბაბა** „იმ გოგოს მამა“, **ემუჲ ოხორი** „იმისი სახლი“, **ბერეფეჲ მანჯე** „ბავშვების პატრონი“... ჩხალურ კილოკავში ხსენებული მოვლენა ძალიანაა გავრცელებული და თითქმის ნორმადაც კია ქცეული.

ათინურ-ართაშენულში **ჲ** ენაცვლება უკანაენისმიერ ჩქამიერ **ქ** თანხმოვანს, რომელიც ჩვეულებისამებრ მოთხრობითი ბრუნვის მაწარმოებელია: **ხასანიჲ ტკუ** „ჰასანმა თქვა“, **ბოზონთაჲ ოხორი დოქოსუ** „გოგონამ სახლი დაგავა“... ამასთან, მსგავს ფორმებში **ჲ**, შესაძლოა, დაიკარგოს კიდევაც და, შესაბამისად, მოთხრობითის ფორმა დაემთხვეს სახელობითისას.

4. უმარცვლო უ. ლაზურ კილოებში ძალზე იშვიათად გვხვდება აგრეთვე, **უ** ბგერა, რომელსაც ამჟამად დამოუკიდებელ ფონემად ვეღარ მივიჩნევთ. **უ** თანამედროვე ლაზურ მეტყველებაში თითქმის ყოველთვის თავისუფლად მონაცვლეობს **უ** ხმოვანთან: **კაუ̆ლი // კაული** „სანაძლეო“, **დაუ̆ლი // დაული** „დოლი“, **დაუ̆ // დაუ** „აუჰ! (შორისდებული)“, **ბრეუ̆ლი // ბრეული** (ჩხალ.) „მრავალი“... მეორე მხრივ კი ის ბაგისმიერი სონორი **ვ** თანხმოვნის ალოფონად გვევლინება ლაბიალიზებულ კომპლექსებში: **გვაბღუ // გუ̆აბღუ** „შემოესია“, **თქვანი // თქუ̆ანი** „თქვენი“, **უმჰვას // უმჰუ̆ას** „დაუჩქაროს“ და ა.შ.

უ/უ̆ ლაბიალური ანუ ბაგისმიერი, მჟღერი სონანტი ბგერაა.

5. ხმოვანთა შემართვა. ლაზურ კილოებში დასტურდება ხმოვანთა ორგვარი შემართვა: მაგარი და ფშვინვიერი. ამასთანავე, შემართვით ხმოვანი წარმოითქმის ძირითადად სიტყვის თავში.

ხმოვანთა მაგარი შემართვა უმეტესად დამახასიათებელია ათინურ-ართაშენული და ხოფური კილოებისთვის, ნაწილობრივ - ვიწურ-არქაბულის ვიწური კილოკავისთვისაც. ფშვინვიერი შემართვა, ძირითადად, ვიწურ-არქაბულს და ათინურ-ართაშენულს ახასიათებს; თუმცა, ერთეულ შემთხვევებში ხოფურ კილოშიაც გვხვდება.

მაგარი შემართვა გვაქვს მაშინ, თუკი სიტყვის აბსოლუტურ თავში, ან სიტყვის შიგნით - ხმოვნის მომდევნოდ, ნებისმიერი ხმოვნის წარმოთქმისას დამატებით ხდება სახმო სიმების დაჭიმვა. ამ დროს, ჩვეულებრივ, ხმოვნის წინ მოისმის სუსტი ყელისმიერი ხშული ბგერა, რომელიც ტრანსკრიფციაში **ღ** ნიშნით აღინიშნება. ამასთან, სიტყვის შიგნით, ანუ ინლაუტში ხმოვნების მაგარი შემართვით წარმოთქმის მაგალითები თანამედროვე ლაზურ მეტყველებაში იშვიათია, თუმცაღა საკმაოდ დასტურდება ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩაწერილ ტექსტებში.

სიტყვის თავში ხმოვანთა მაგარი შემართვით წარმოთქმა არც სასაუბრო-ლიტერატურული ენისთვისაა უცხო: მაგალითად, წარმოითქმის: **„ღენა“**, **„ღერთი“**, **„ღიქ“**... მაშინ როდესაც იწერება: „ენა“, „ერთი“, „იქ“ და ა.შ. აღსანიშნავია,

რომ მაგარი შემართვა განსაკუთრებით საგრძნობია შორისდებულებში: „ყაჲტ!“, „ყეუჳ!“ და მისთ.

ცხადია, ქართველურ კილოებში ხმოვანთა მაგარი შემართვა კიდევ უფრო მეტად შესამჩნევი და გავრცელებულიც შეიძლება იყოს. ამის ნათელ მაგალითად გამოგვადგება ჩაღმათუშური კილო, რომელშიც ხმოვნები მაგარი შემართვით წარმოითქმის არა მარტო სიტყვის თავში, არამედ სიტყვის შიგნითაც და, ამასთან, არსებობს მაგარი დამართვაც; მაგ., შდრ.: **ყეამბუ** „ესაუბრა“, **წვერაყიზე** „წვერაიძე (გვარია)“, **გე̄ყკიდ** „გაეკიდა“ და სხვ.

ლაზური კილოები ამ მხრივ სალიტერატურო ენას უფრო უახლოვდება, თუმცა ათინურ-ართაშენულში მაგარი შემართვა ზოგჯერ, ჩაღმათუშურის მსგავსად, ძლიერ შესამჩნევიცაა. ეს კარგად ჩანს, სხვათა შორის, ი. ყიფშიძის, არნ. ჩიქობავასა თუ ს. ჯიქიას მიერ გასული საუკუნის პირველ ნახევარში ჩაწერილ ტექსტებში, სადაც ანლაუტში ხმოვნის მაგარი შემართვა, უმეტეს შემთხვევაში, საგანგებოდაა აღნიშნული. შესაბამისად, გვაქვს ფორმები: **ყარ** „ერთი“, **ყეგაზდენ** „აიტან“, **ყიმტუ** „გაიქცა“, **ყოშ** „ასი“, **ყუოხუ** „დაუძახა“... ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა საგანგებოდ აღნიშნავს: „**ყარ** ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ათინურ ტექსტებში გვაქვს. თავკიდური ყ აბზაცის (ე.ი. მაგარი შემართვის - მ. ლ.) აღმნიშვნელია და ფონემის მნიშვნელობა არა აქვს“ (არნ. ჩიქობავა, 1938, გვ. 212).

ჩვეულებრივ, ტრანსკრიფციაში სიტყვის თავკიდურ ხმოვანთა მაგარი შემართვა აღნიშვნას არც საჭიროებს, ვინაიდან თავისთავადაც იგულისხმება; სიტყვის შიგნით კი მაგარი შემართვა მხოლოდ ვიწურ-არქაბულ და ათინურ-ართაშენულ კილოებს ახასიათებს. ხსენებულ კილოებში ეს **ყ** თანხმოვნის ერთ-ერთი რეფლექსია. მაგალითად, შდრ.: **დიყუ** (ხოფ.) და **დიცუ** (ათინ.-ართაშ.) „იქნა“, ანდა - **გიყონუნ** (ხოფ.) და **გიცონუნ** (ვიწ.-არქ.) „გყავს“... რასაკვირველია, მსგავს შემთხვევებში მაგარი შემართვა ტრანსკრიფციაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს.

ამასთანავე, ათინურ-ართაშენული მასალის ჩაწერისას მაგარ შემართვას, როგორც წესი, სიტყვის თავშიაც აღვნიშნავთ, თუ ის ძლიერ შესამჩნევია.

ფშვინვიერი შემართვა, როგორც ითქვა, უმეტესად ვიწურ-არქაბულ და ათინურ-ართაშენულ კილოებს ახასიათებს, თანაც მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრულ ფორმებში; ასეთ დროს სიტყვის თავში ხმოვნის წარმოთქმისას, დამატებით, ფილტვებიდან ამოიტყორცნება ჰაერის ნაკადი და, შესაბამისად, ხმოვნის წინ მოისმის სუსტი **ჰ**-ს მსგავსი, ყრუ ფშვინვიერი ბგერა.

ჩვეულებრივ, ლაზური მეტყველების ტრანსკრიბირებისას ფშვინვიერ შემართვას **ჰ** ნიშნით აღნიშნავენ. მართლაცდა, ხსენებული მოვლენა ისტორიულად სწორედ ხორხისმიერი **ჰ** თანხმოვნის ერთ-ერთი რეფლექსია. სხვაგვარად თუკი ვიტყვით, ლაზურ კილოებში ეს თანხმოვანი იმდენად შესუსტებულა, რომ ფონემატური მნიშვნელობა დაუკარგავს და მომდევნო ხმოვნის შემართვის ელემენტად ქცეულა.

ხოფურ კილოში ამჟამად ფშვინვიერი შემართვა რამდენიმე ფორმაშიღა გვაქვს: **ჰო** „დიახ, კი“, **აჰა** „აგერ“, **ეჰე** „ეგერ“, **ჰელე** „აბა“, **ჰაადე** „ჰაიდა“... სხვაგან მას მაგარი შემართვა ენაცვლება. მაგალითად, შდრ.:

ვიწ.-არქაბ.	ათინ.-ართაშ.	ხოფური	
ჰაშო	ჰაშო	აშო	„ასე; აქეთ“
ჰექო	ჰიქო	ექო	„იქა“

ჰემკელე	**ჰიმკალე**	**ემკელე**	„იქითკენ“
ჰეკო	**ჰიკუ**	**ეკო**	„იმდენი“
ჰაგაგა	**ჰაგაგა**	**აგაგა**	„ქარაფშუტა“
ჰემუში	**ჰიმუში**	**ემუში**	„იმისი“
ჰაფალა	**ჰაფალა**	**აფალა**	„მურწა“

ამასთან, ფშვინვიერი შემართვა სიტყვის შიგნით სამად-სამ ფორმაში ვლინდება: **აჰა** „აგერ“, **ეჰე** „ეგერ“, **ეჰო** „დიახაც, სწორედაც“; სამივე ნაწარმოებია და არა პირველადი - **ა** და **ე** აქ ჩვენებითი ნაწილაკებია.

ვიწურ-არქაბული კილოს არქაბულ კილოკავში ფშვინვიერი შემართვა ხანდახან ისეთ სიტყვებშიაც კი გვაქვს, სადაც ეტიმოლოგიურად **ჰ** თანხმოვანი არ ივარაუდება; მაგალითად, იტყვიან: **ჰემთუმანი** „აღმართი“, **ჰეშქია** „უაჩაღი“, **ჰფეი** „საკმარისი“... მაშინ, როცა სხვაგან ყველგან დაცულია ამოსავალი **ემთუმანი**, **ეშქია**, **ეფეი**... ფორმები.

შენიშვნა: ნ. ქუთელია ყურადღებას ამახვილებს აკად. არნ. ჩიქობავას მიერ ათინელ ისქანდერ ციტაშთან (ციტაიშვილთან) საუბრისას დაფიქსირებულ **ჰჯით** (=**ჰჩით**) „ათი“, **ჰჯითოში** (=**ჰჩითოში**) „ათასი“... ფორმებზე და მათ „ასპირირებული ანლაუტის“ (ანუ ფშვინვიერი შემართვის) საინტერესო მაგალითებად მიიჩნევს (ნ. ქუთელია, 2005, გვ. 47). ხსენებული ფორმები მართლაც საინტერესო და, ამავდროულად, სრულიად უჩვეულოა არამარტო ათინურ-ართაშენული კილოსათვის, არამედ მთლიანად ლაზური მეტყველებისათვის და, ჩვენი აზრით, იდიოლექტური თავისებურება უნდა იყოს.

სხვა ქართველური კილოებიდან ფშვინვიერი შემართვა ახასიათებს ინგილოურს: **ჰუთქომ** „უთქვამს“, **ჰემანდ** „ემანდ“, **ჰადულ** „ადვილი“... აქ ხსენებული მოვლენა იმგვარი სახისა ჩანს, ვიწურ-არქაბული კილოს არქაბულ კილოკავში რომ დასტურდება.

ფშვინვიერი შემართვის მაგალითები მრავლად მოიპოვება აგრეთვე, ბალსზემოურში, ბალსქვემოურში, მესხურ-ჯავახურსა და სხვა კილოებში. ამასთანავე, მეგრულ კილოში ხსენებული მოვლენა მხოლოდ თითო-ოროლა სიტყვაშიღა შემორჩენილა - ხოფურის მსგავსად.

ს. ჟღენტი თავის ნაშრომში „მეგრულ-ჭანურის ფონეტიკა“ მაგარ და ფშვინვიერ შემართვიან ხმოვნებს დამოუკიდებელ ფონემებად მიიჩნევს (ს. ჟღენტი, 1953, გვ. 16). ჩვენი აზრით კი, ასეთი თვალსაზრისი მცდარია, ვინაიდან შემართვა ფონემის განმსაზღვრელ მთავარ ნიშნად ვერ ჩაითვლება.

სხვათა შორის, ლაზურ კილოებში ხმოვანთა შემართვის შესახებ საინტერესო მოსაზრებას ავითარებს ნ. ქუთელია: „ლაზურს მიდრეკილება აქვს ანლაუტის გართულებისაკენ, თუ შეიძლება ასე ითქვას. მარტივხმოვნიან ანლაუტს ლაზური ერთგვარად გაურბის“ (ნ. ქუთელია, 2005, გვ. 45); ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ანლაუტის ამგვარი გართულება დამახასიათებელია არა მარტო ლაზური კილოებისთვის, არამედ საერთოდ, ქართველური ენობრივი სისტემისათვის.

6. პალატალიზებულ ხმოვანთა საკითხისათვის ლაზურ კილოებში. ლაზურ კილოთათვის უცხოა ხმოვნების პალატალიზაცია. თურქულად მეტყველების დროსაც ლაზები თავს არიდებენ ӧ და ӱ ბგერათა წარმოთქმას; მათ ჩვეულებრივ, ცვლიან ო, უ, ი ხმოვნებით. თურქული ӧ და ӱ ხმოვნები დო და დუ დიფთონგებით გადმოიცემა მხოლოდ მაშინ, თუ ისინი მოსდევს

უკანაენისმიერ გ, ქ ხშულებს. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტიც, ჩვენ მიერ ხოფაში ჩაწერილი ლექსიდან, რომელიც შერეული მეტყველების საინტერესო ნიმუშია:

არ სიფტერი ოპჭოფი, "ერთი მიმინო დავიჭირე,
დოღან ჯაზიდენ კარა, შავზე უფრო უშავესი,
ბანა სოზი ვერმესსან, სიტყვას თუ არ მომცემ,
დოფხედა დო ვიმგარა... დავჯდები და ვიტირებ...
გინძე მჩოხა ვოჭაფა, გრძელ ჩოხას შევაკერვინებ,
დუგმელერი გჯუმიშთენ, ვერცხლის ღილებიანსა,
მემოწკედი, დამთირე, შემომხედე, სიდედრო,
გჯუზელ მიჯმ ჯენიშთე? კარგი სიძე თუ ვარ?"

ამ ლექსის თურქულ სტროფებში გამუქებულია ის სიტყვები, რომლებშიც პალატალიზებული ხმოვნები უნდა გვხვდებოდეს. როგორც ხედავთ, მათ მაგივრად აქ წარმოდგენილია უბრალო ხმოვნები და აღმავალი ჯუ დიფთონგი; შდრ.: სოზი < თურქ. **Sözü**; **დუგმელერი** < თურქ. **Dügmeleri**; გჯუმიშთენ < თურქ. **Gümüşten**; გჯუზელ < თურქ. **Güzel**; დავძენთ იმასაც, რომ გ, ქ ხშულთა მომდევნო პალატალიზებული ხმოვნების აღსანიშნავად დიფთონგები გამოიყენება იმიტომ, რომ ხსენებული ხშულები თურქულში პალატალიზდებიან. ამდენად, ჯ გრაფემა სწორედ თანხმოვნის პალატალიზაციას გადმოსცემს, უ ან ო კი პალატალიზებულ ხმოვანს. აქედან ცხადად ჩანს, რომ ლაზური მეტყველებისთვის უცხოა პალატალიზებული ხმოვნები, მაგრამ ჩვეულებრივია უკანაენისმიერ ხშულთა პალატალიზაცია პალატალური ე, ი ხმოვნებისა და ჯ ნახევარხმოვნის წინ. ამიტომ ლაზები თურქული გ, ქ ხშულების პალატალიზაციას აღიქვამენ უპირატესად, პალატალიზებული ხმოვნები კი, როგორც მშობლიური მეტყველებისათვის შეუსაბამო ბგერები, აღუქმელი რჩებათ.

შენიშვნა: პალატალიზებული ხმოვნები არ გვხვდება რიზელ ურუმთა თურქულ მეტყველებაში - ამაზე საგანგებოდ მიუთითებს თურქულ დიალექტთა ცნობილი ფინელი მკვლევარი მ. რჯასჯანენი (M. Räsänen, 1932, გვ. 12); მისი ცნობით, პალატალიზებულ ხმოვნებს რიზეში ჩვეულებრივი ხმოვნები შეესატყვისება; ამავე დროს, გ და ქ დეპალატალიზებული ხმოვნების წინაც ისევე გვაძლევს ჯ-სა და ჩ-ს, როგორც ეს პალატალური ე და ი ხმოვნების წინ ხდება; მაგალითად, გვაქვს: გელ > ჯელ "მოდი", გით > ჯით "წადი", ქენდი > ჩენდი "თვითონ", ქითაფ > ჩითაფ "წიგნი" და გუნ > ჯუნ "დღე", გოზ > ჯოზ "თვალი", ქუმე > ჩუმე "ჩურჩხელა", ქოჯ > ჩოჯ "სოფელი"... ანუ ურუმთა დიალექტში სალიტერატურო თურქულის პალატალიზებულ გ, ქ ხშულებს ყოველთვის ჯ, ჩ აფრიკატები შეესაბამება. რჯასჯანენის ცნობას იმოწმებს ა. ვექილოვიც (А. Векилов, 1973, გვ. 19); ჩვენი მხრივ, დავძენთ, რომ ხსენებული მოვლენა ქართველური მეტყველების სუბსტრატია - ათინურ-ართაშენურ კილოში გ, ქ, კ ხშულები პალატალური ე, ი ხმოვნების წინ სისტემებრ გადადის ჯ, ჩ, ჭ აფრიკატებში, ანუ უკანაენისმიერ ხშულებს პალატალიზებული ალოფონები არ გააჩნია. ამასთან, ათინელი და ართაშენელი ლაზებიც თურქულად თითქმის ისევე მეტყველებენ, როგორც რიზელი ურუმები.

საინტერესოა, რომ ლაზურ კილოთა მკვლევრებს, "პალატალიზებულ" ანდა "ოტიზებულ" ხმოვნებზე საუბრისას მაგალითებად მოჰყავთ ან თურქულიდან შემოსული ის სიტყვები, რომლებშიც თურქულის პალატალიზებული ხმოვნები აღმავალი დიფთონგებით გადმოიცემა, ანდა ზმნური ფორმები. არსებითად, აღმავალი დიფთონგები აქაც ანალოგიურადაა წარმოშობილი: კერძოდ,

მხედველობაში გვაქვს გე- ზმნისწინიანი ის ფორმები, რომლებშიაც ზმნისწინს უშუალოდ მოსდევს -ო-, -უ- და -ა- ქცევის ნიშნები. ამ დროს გე- ზმნისწინის ე ხმოვანი და ქცევის ნიშანი დიფთონგად წარმოდგება: გდოჭკუ < *გე-ო-ჭკ-უ დაიწყო“, გდუდუ < *გე-უ-დ[ვ]-უ დაუდო“, გდაკარბუ < *გე-ა-კარბ-უ აებლანდა“ და ა.შ. თუ ზმნისწინსა და ქცევის ნიშანს შორის პირის ნიშანი ჩაერთო, დიფთონგი აღარა გვაქვს: გევოჭკი, გევუდვი, გემაკარბუ... შდრ.: ათინურ-ართაშენულში, სადაც ხოფურისა და ვიწურ-არქაბულის გ, ქ, კ ხშულთა [illegible] ვარიანტებს ჯ, ჩ, ჭ აფრიკატები შეესაბამება და, გე- ზმნისწინიც, [illegible], ჯე- ფორმითაა წარმოდგენილი, გვაქვს: **ჯოჭუ** < *გე-ო-ჭუ < *გე-ო-ჭკ-უ, **ჯუდუ** < *გე-უ-დ-უ < *გე-უ-დ[ვ]-უ... ფორმები; შდრ.: [illegible] < *გე-ვ-ო-ჭ-ი < *გე-ვ-ო-ჭკ-ი, ჯევუდვი < *გე-ვ-უ-დვ-ი და ა.შ.

ეს ფაქტი მიანიშნებს, რომ “**გდოჭკუ**“ ტიპის ფორმებშიც დ-ს პოვნიერება [illegible] პალატალიზაციით შეიძლება აიხსნას.

საინტერესოა, რომ ზოგ სახელურ ფორმაშიაც, პალატალიზებული გდ ან [illegible] გვაქვს ხოლმე იქ, სადაც ეტიმოლოგიურად დი // დდ კომპლექსი ივარაუდება. [illegible]თად, ხოფურ და ვიწურ-არქაბულ კილოთა სიტყვა **გდარი** “საჭმელი“ [illegible]მოლოგიურად სვანურ კილოთა **დიარ** (*დიარ-ი) “პური“ და მეგრულის [illegible] “ლხინი, პურობა“ ფორმებს უკავშირდება. ათინურ-ართაშენულში მას [illegible]საბამება **ჯარი** ფორმა, რომელიც სვანურ კილოთა დარად, პურის“ [illegible]შვნელია. ეჭვგარეშეა, რომ ლაზურ კილოებში ამოსავალი ფორმა იქნებოდა [illegible]; იო კომპლექსის დიფთონგიზაციით მივიღეთ **დდარი**, საიდანაც მიღებულია ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში დადასტურებული გდარი. ეს კი, თავის მხრივ, [illegible]სავალია ათინურ-ართაშენულის **ჯარი** ფორმისათვის.

ასე რომ, ლაზური მეტყველებისათვის არაბუნებრივი დდ კომპლექსის დაძლევა [illegible]და დდ > გდ გზით. პალატალიზებული გდ-სგან კი, როგორც წესი, ათინურ-ართაშენულში მოგვიანებით ჯ მივიღეთ.

შენიშვნა: დდ ბგერათკომპლექსი ხოფურსა და ვიწურ-არქაბულ კილოებში შესაძლოა წარმოიქმნას მორფემათა შეერთების ზღვარზე - სხვათა სიტყვის -და ნაწილაკის დოტის გავლენით მჟღერდება მრ. რიცხვში პირველი და მეორე პირის -თ სუფიქსი: ვიდადდა < // ვიდათდა “წავიდეთო“, ყვიდდა < //ყვითდა “ჰქენითო“ და ა.შ. თუმცა, ამ დროს დ არ პალატალიზდება. იმ მაგალითებში, სადაც დდ > გდ, ამოსავალი დ-ს პალატალიზებას უთუოდ ხელი შეუწყო დ-ს მომდევნო მახვილიანმა ხმოვანმაც: *დდარი > გდარი “საჭმელი“, *მეროდდა > *მეროგდა > მეროგდა // მერგდა “ოხრახუში“ (შდრ. ბერძნ. Μεροδιά “მწვანილი“). ბოლო მაგალითი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იქ დდ > გდ პროცესის შემდეგ მომხდარა მახვილის გადანაცვლება.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. კარტოზია, 2006 - გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2006.

ს. ჟღენტი, 1938 - ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები. არქაბული კილოკავი, თბ., 1938.

ს. ჟღენტი, 1953 - ს. ჟღენტი, მეგრულ-ჭანურის ფონეტიკა, თბ., 1953.

ტ. ფუტკარაძე, 1998 - ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.

ტ. ფუტკარაძე, 2006 - ტ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამეტყველო ბგერები და სატრანსლიტერაციო სქემა: ქართული ენის ისტორია, ქუთაისი, 2006.

ნ. ქუთელია, 2005 - ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბ.ი, 2005.

არნ. ჩიქობავა, 1938 - არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

А. Векилов, 1973 - Афрасияб Векилов, Турецкая диалектология, Ленинград, 1973.

M. Räsänen, 1932 - Miikka Räsänen, Chansons popoulaires de Nord-Est d'Anatolie, Helsinki, 1932.

MIKHEIL LABADZE

VOWEL SYSTEM OF LAZ DIALECTS

Laz dialect vowel system is simple. Like literary Georgian the three identified Laz dialects have five cardinal vowel phonemes: /a/, /e/, /i/, /o/, /u/. In addition to this Athin-Artashen sub-dialect has neutral which is realized as an allo-phoneme of /u/, and /o/ vowel extension that has not a phoneme status.

Some students of Laz dialects (N.Marr, S.Zhgenti, N.Kutelia,..) identify palatalized vowels: /ja/, /je/, /jo/, /ju/. These, I think, are ordinary rising diphthongs and not vowels.

S.Zghgenti also identifies vowels with aspirated rise: /ha/, /he/, /hi/, /ho/, /hu/ . Neither in Laz speech nor in any other Karvelian language unit vowels with aspirated rise do not function as independent phonemes.

In addition to S.Zghgenti thinks that vowels with palatalized rise: /'a/,/'e/, /'i/, /'o/, /'u/ are separate individual phonemes. N.Kutelia calls them pharyngeal vowels but supplies with comment that 'the distinction does not involve any phonological value'.

I have observed the vowels with the similar coloring in some speeches of Vits-Arkabian dialect. However, I think that their pharyngeal coloring results from / q/ reflex, which is mainly characteristic of mountainous region Laz speech.

თამარ მამარდაშვილი

ბრუნებადი მეტყველების ნაწილები ანტონ I-ის ქართულ გრამატიკაში

ანტონ I-მა გრამატიკის პირველი ვარიანტი 1753 წელს დაწერა, რომელშიც ცნებათა განსაზღვრებები ლათინურ-სომხურ ტრადიციას მისდევდა. მეორე რედაქციაში (1767 წ.) კი დამატებითაა გათვალისწინებული ბერძნული, ლათინური, ფრანგული, იტალიური, გერმანული და რუსული ენის მონაცემები, რაზედაც თავად მიუთითებს ავტორი.

ცნობილია, რომ ძველ ქართულ გრამატიკებში დღევანდელი მეტყველების ნაწილები გაგებული იყო, როგორც სიტყვის ნაწილები, ამიტომ ანტონის გრამატიკაშიც მეტყველების ნაწილთა შესახებ მოძღვრება სწორედ სიტყვის სახეობათა ჩამოთვლა-განსაზღვრას მოსდევს. მიღებული ტრადიციისდაგვარად ანტონიც 8 მეტყველების ნაწილს გამოყოფს: სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, თანდებული, ზმნიზედა, კავშირი, შორისდებული.

სახელის განმარტება ანტონს ორგან აქვს მოცემული: „ჰნიშვნენ ნიადაგ რაობასა ანუ ვითარებასა ნივთისასა ერთი ნაწევროანი ოხვრითა. მაგალითებრ: ცხოველი, კაცი, სხეული, თეთრი, დიდი... ხოლო ლექსნი ესე გვარნი იწოდებიან სახელად“ (ანტონ I, 1881, გვ. 120) და მეორე: სახელი არს ნაწილი სიტყვისა გამრჩევი წოდებით თვითოისა მყოფთა არსებისა. ამისათვის ვითარმედ სახელი მყოფისა რაიმესა, რომელისაცა არს სახელი, არსებასა მისსა არა განსაზღვრებით და შინაგან საცნაურობით განარჩევს, არამედ წოდებით ანუ ზედწოდებით“ (იქვე, გვ. 124).

მაშასადამე, სახელი გადმოგვცემს არა ნივთის არსს, მის შინაგან შედგენილობას, რაც ქმნის ცნების შინაარსს, არამედ არის მისი დასახელება განუსაზღვრელად. აქ ხაზგასმულია, რომ სიტყვა საგნის პირობითი ნიშანია და არა მისი არსის დამახასიათებელი. პირველ განსაზღვრაში ყურადღებას იქცევს მითითება იმაზე, რომ ის არის „ერთი ნაწევრობითი ოხვრის“ შედეგი. საყურადღებოა, რომ ეს განსაზღვრა ანტონთან ყველა მეტყველების ნაწილს ახლავს. ვფიქრობთ, აქ მინიშნებაა იმაზე, რომ სიტყვა სამეტყველო სუნთქვის ერთი რგოლია, ფონეტიკურად ერთ მთლიან ოდენობას წარმოადგენს იმ სტრუქტურულ ერთეულში, რომელსაც წინადადება ეწოდება.

საყურადღებოა, რომ ავტორი ხედავს სხვაობას საგნის რაობასა და მის თვისებას შორის: „სახელი უკუე იწვალების ორად, ე.ი. არსებისა მიმართ და ზედშესრულისა. არსებითი არს თავით თვისით მდგომარე საუბარსა შინა და წერილსა, ხოლო ზედშესრული არს არა თავით თვისით მდგომარე, არამედ მოსრული არსებასა ზედა და ჰნიშვნენ რაოდენობასა ანუ ვითარებასა არსებისასა“ (იქვე). ამ განსაზღვრიდან სწორად ჩანს ურთიერთობა არსებითსა და ზედსართავს შორის და ზუსტადაა დახასიათებული სახელის ეს ორი ჯგუფი, რომელთაგან მოგვიანებით ორი მეტყველების ნაწილი მივიღეთ. სახელის განსაზღვრის შემდეგ მოცემულია მისი ჯგუფები:„სახელი არსებითი იწვალების სამთა მიმართ საქმეთა, ე.ი. მხოლოობითისად, საზოგადოისად და შემკრებლობითისად“. მხოლოობითში (რომელიც სათვითოოდაც იწოდება), ავტორი საკუთარ სახელებს გულისხმობს: ფარნავაზ, მირიან, მცხეთა, მტკვარი... მიუთითებს, რომ ისინი დაჰნიშნავენ

"ბრუნვაჲ"და "ბრუნვებაჲ", ხოლო ბრუნების ტიპს "სქესს" უწოდებს (II რედაქციაში სქესი შეცვალა კანკლედობით). ავტორი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ქართულში ბრუნება არის ერთი და სახელები ერთნაირად იბრუნვიან; მას ზოგიერთი ენის მსგავსად არ ახასიათებს წესი, რომლის მიხედვითაც ზოგი სახელი თავის ბრუნვას მიიღებს და სხვა სახელს აღარ შეუძლია მისი მიღება: „ხოლო სათანადო უკვე არს თქმად ვითარმედ მებრ რომელთამე ენათა არა არს ქართულებრ რამე თვითომან სახელმან განითვისოსმცა საკუთრად ბრუნვაი და იგი სხვამან არღარა მიიღოსმცა" (გვ. 6). ბრუნვათა რიგი იწყება წრფელობითით, ამას მოჰყვება ბრუნვათა ჩამოთვლა შემდეგი რიგით: ნათესაობითი, მიცემითი, შემასმენლობითი, დაწყებითი, მოთხრობითი, მოქმედებითი, წოდებითი. "ქართული ენის სახელის ბრუნების პარადიგმას დღევანდელი გაგებით აკლია მხოლოდ ვითარებითი ბრუნვის ცალკე გამოყოფა (მიცემითის სახელით ის მაინც არის პარადიგმაში), ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანტონის მიერ შედგენილი სახელთა ბრუნების პარადიგმით არსებითად სწორად ხდება ქართული ენის სახელთა ბრუნება" (თ. უთურგაიძე, 1999, გვ. 154). მოცემულია ბრუნების ნიმუში და ბრუნვის ნიშნები. საყურადღებოა, რომ ნათესაობითი ბრუნვისთვის გამოყოფილია შვიდი ნიშანი: -ისი, -ისა, -სა, -ჲ, -ის, -სი. ანტონი მრავლობითის ორივე ფორმას იცნობს, თუმცა პარადიგმაში რატომღაც არ გვხვდება თანიანი ფორმების ნიმუშები.

ბრუნვის პარადიგმათა განმარტებისას ანტონი ერთმანეთისგან ასხვავებს ზოგადო და საკუთარ სახელებს. საკუტარ სახელთა ბრუნების პარადიგმა განსხვავებულია I და II რედაქციების მიხედვით, მაგ.: I რედაქციაში *მარიამი* წოდებით ბრუნვაში (მხ. რ.) წარმოდგენილია *მარიამ* ფორმით, ხოლო II რედაქციაში გვაქვს *მარიამ-ო* ფორმა. მარიამ-ო სამეტყველო ენის ფორმა ჩანს, ხოლო მარიამ - წიგნური ფორმა. ასევე განსხვავებულია მარიამ სახელის ბრუნება მრ. რიცხვში: I-II რედაქციებში წრფელობითსა და წოდებითში წიგნური ფორმებია წარმოდგენილი (მარიამ-ნ-ი, მარიამ-ნ-ო), ხოლო დანარჩენ ბრუნვებში - ხალხური სამეტყველო (-ებ სუფიქსიანი) ფორმები: I რედაქცია: მარიამებისა (ნათ.), მარიამებთა (მიც.), მარიამებნი (შემასმ.), მარიამთაგან (დაწ.) — შდრ. II რედაქცია: მარიამებისა, მარიამებს, მარიამნი, მარიამებისაგან... (თ. უთურგაიძე, 1999, გვ. 165-166). ბრუნვათა თავისებურებებზე მსჯელობისას ყურადღების გარეშე არ დარჩენია კუმშვაც: „რამეთუ სახელსა რაივესაცა ბოლოჲსა ხმოვანი ი, ამას ოდესმე, თუ სადმე აქვს საზოგადოსა სახელსა ბოლოჲ ხმოვანი რაივე მიმღე არს იგი ბრუნვათა შინა მერყეობისა. მაგ.: ნათელი, ნათლისა, ნათლისაგან, ნათლითა." სხვაგან იგი ასახელებს სამივე ხმოვნის (ა, ე, ო) კუმშვის მაგალითებს: ნათელი, ტაძარი, გოდოლი, ნათლისა, ტაძრისა, გოდლისა.

ანტონისთვის დღეს სახელობითი ბრუნვის ნიშნად გაგებული -ი ხმოვანი ფუძისეულია. იგი საგანგებოდ ჩერდება -ი ფუძიან სახელთა ბრუნებაზე და აღნიშნავს, რომ თუ წრფელობითის ი-ს ჩამოვაშორებთ სახელს, იგი მაინც მიუთითებს საგანზე, რასაც ადრე აღნიშნავდა. აშკარადაა ნათქვამი, რომ ი-ხმოვნის მიუხედავად წრფელობითის ფორმა მიუთითებს საგანზე, ფუძეა და ამიტომ. ერთი სიტყვით, შემჩნეულია მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: სიტყვის საგნობრივი მნიშვნელობა დაკავშირებულია ფუძესთან. სწორად აქვს წარმოდგენილი მას -ო და -უ ფუძიან სახელთა ბრუნება, რომლებიც არც

იკუმშება და არც იკვეცება. თუ ნათქვამს შევაჯერებთ, სახელთა ბრუნება შემდეგ ჯგუფებს იძლევა: 1. თანხმოვანფუძიანები (კუმშვადები და უკუმშველები); 2. ხმოვანფუძიანები (კვეცადები - ა და ე ხმოვანზე დაბოლოებულნი და უკვეცელები - ო და უ ხმოვანზე დაბოლოებულები).

გრამატიკის სახელმძღვანელოში ცალკეა გამოყოფილი „კერძოობით" სახელთა (გამონაკლისთა) ბრუნება, რომელთაც წოდებითი არ ეწარმოება: რომელი-მე, ვინ-მე, რაი-მე... ანტონი ახდენს კითხვითი ნაცვალსახელების დაჯგუფებას. მისი აზრით, კითხვა **რა**? იხმარება უსულო საგნების მიმართ, ხოლო ვინ? რომელიმე? — სულიერების მიმართ. იქვე დასახელებული მაგალითები ზუსტად წარმოგვიდგენს საქმის ვითარებას. **ვინ** ნახმარია ადამიანთან, რომელი — ლომთან და რაიმე — ქვასთან, ე.ი. ადამიანი გათიშულია დანარჩენებისაგან.

რიცხვით სახელთაგან ანტონი აბრუნებს „ერთს" და ბრუნვათა პარადიგმის მოცემის შემდეგ განმარტავს: „იქმნების უკვე სახელებრ ბრუნვა რიცხვთაცა" (გვ. 15). მომდევნო პარაგრაფში განხილულია „ბრუნვა საკითხავთა სახელთა" და მაგალითად დასახელებულია ვინ, რომელი. საქმე ისაა, რომ ეს სიტყვები ადრე რატომღაც არსებით სახელთა ჯგუფში აქვს შეტანილი. წესით ისინი უნდა მოხვედრილიყო პარაგრაფში, სადაც ნაცვალსახელთა ბრუნებაა მოცემული. აღნიშნულის გარდა, ანტონი ნაცვალსახელთა ბრუნებას საკმაოდ კარგად აშუქებს და განიხილავს შემდეგ ნაცვალსახელებს: მე, შენ, თქვენ, იგი, იგინი, ეს, ესენი, ეგე, ეგენი, იმას, იმათ, ჩემი, ჩუენი, მისი, მათი, თვისი, თავიანთი... როგორც ვხედავთ, ძირითადად სამი ჯგუფია: პირის, ჩვენებითი და კუთვნილებითი, მაგრამ სწორედ ეს ჯგუფები ქმნის სირთულეს ნაცვალსახელთა ბრუნებაში, რაშიც ავტორი სწორედ გაერკვა. შენიშნულია, რომ **მე** ნაცვალსახელი ფუძემონაცვლეა და მას ნათესაობითში **ჩემ** შეესატყვისება.

სწორადაა მინიშნება გაკეთებული მესამე პირის ნაცვალსახელებისა და ჩვენებითების მონაცვლეობაზე, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა მას ყველგან არასწორად აქვს მოცემული. კერძოდ, ურევს პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ფორმებს კუთვნილებითში და ამიტომაცაა, რომ ნათესაობითმა მასთან ასეთი სახე მიიღო: ჩემი, შენი, თქუენი, მისი, მათგანი და სხვა. ასეთია ანტონის მოსაზრება ქართული ენის გრამატიკის პირველ ნაწილში. როგორც ვხედავთ, აქ რიცხვზე საგანგებოდ ლაპარაკი არაა, სამაგიეროდ, ამ საკითხს საგანგებო თავს უძღვნის მეორე ნაწილში, სადაც ლაპარაკია სახელთა რიცხვზე ზოგადად. შემჩნეული აქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ფორმა მრავლობითია, მაგრამ გაგება მხოლობითისაა: დავითნი, ხორცნი... საგანგებოდ მიუთითებს, რომ ზოგ ენას, მსგავსად ქართულისა, არა აქვს ორობითი რიცხვი.

საინტერესოა ანტონის მოსაზრებები ბრუნვათა ფუნქციების შესახებ. ამ ნაწილს იგი ბრუნვის განსაზღვრითა და ბრუნვათა რაოდენობის დადგენით იწყებს: „ბრუნვა არს ცვალება მიმოხრითი სხვისა და სხვისა მიმართ მდგომებისა და ერთისა და მისივე სახელისა" (გვ. 134). ე.ი. ბრუნვა არის სახელის ერთი და იმავე ფუძის სხვადასხვანაირად მიმოხრითი ცვლა. ანტონი ყურადღებას ამახვილებს ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციებზე და აღნიშნავს, რომ ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სახელი გვხვდება მსაზღვრელად ისე, რომ იგი თავის ფორმასაც არ კარგავს და შეეთანხმება კიდეც სიტყვას მრავლობითში, მაგ.: ძენი ლევისნი. აქვე მოცემულია მსჯელობა შებრუნებული წყობის შესახებ.

ნათესაობითის შემდეგ განხილული აქვს მიცემითი ბრუნვა, რომელიც აგრეთვე არ ნიშნავს „არსისა არსებასა, არამედ მისთა მიმართებასა და რაიმესა, ესეიგი საწადსა, ანუ სახედველს, ანუ მისაცემელსა, რომლისა ძლით ითქმის მიცემითად“ (გვ. 138). მიცემითის ნიშნებია: -ს, -სა, -დ, -ად, -და, -დად, -მი, -მიმართ, -მდე. მიუხედავად ასეთი სიმრავლისა, ანტონმა შესანიშნავად იცის, რომ მიცემითი ბრუნვის ნიშნად მხოლოდ პირველი ოთხი გამოიყენება. რა თქმა უნდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მასთან მიცემითში გაერთიანებულია თანამედროვე ვითარებითიც. მითითებულია ისიც, რომ მიცემითში სახელი არც იკვეცება და არც იკუმშება.

საინტერესოდაა წარმოდგენილი შემასმენლობითი ბრუნვის განსაზღვრა-დახასიათება. როგორც ცნობილია, ანტონს ყველაზე დიდ შეცდომად ამ ბრუნვის შემოტანას უთვლიდნენ. თუმცა მიუთითებს, რომ შემასმენლობითი ბრუნვა ქართულისთვის ბუნებრივი არაა: „არა არს ჩვენთა შინა პოვნილ ბრუნვა ესე რომელა შემასმენლობითი და არც იპოვების გვარი რაიმე... ვითარ იგი ვცანით იტალიანთა და ფრანცისთამებრ ენისა და ოდესმე ლათინურისამებრცა“. მოქმედებითის ფუნქციაზე კი მიუთითებს, რომ იგი გადმოგვცემს არა „არსისა არსებასა, არამედ საშუალო რაიმეს ერთისა რისთვისმე დასასრულისასა და მისი ნიშნებია -ითა, -თა, -თ, -მიერ“.

შემდეგია მოთხრობითი, რომელიც ქვემდებარის ბრუნვაა (ეს შენიშვნა მეტად ზუსტია და ფასეული), მას ნიშნად აქვს ნაცვალსახელი -მან. მოთხრობითი ბრუნვის მრავლობით რიცხვს ორივე ფორმით იცნობს ავტორი: „ჰსთქვით ქართველთა, კაცებმან“. ქართული ენის პირველ გრამატიკაში მოთხრობითი ბრუნვის შემოტანა, მისი ფორმისა და ფუნქციის დადგენა უდიდეს მიგნებად უნდა ჩაითვალოს. განსაკუთრებით დიდია ეს აღმოჩენა იმ პირობებისათვის, რომელშიც ანტონს უხდებოდა მოღვაწეობა. იგი ხელმძღვანელობდა იმ ენათა გრამატიკული ლიტერატურით, რომელთაც ეს ბრუნვა არ გააჩნდათ. საინტერესოა, რომ მოგვიანებით აკად. მარი ბროსემ, რომელმაც ქართული ენის გრამატიკა დაწერა ფრანგულად, ბრუნვათა რიგიდან ამოიღო მოთხრობითი, ძირითადად ევროპულ ენათა გრამატიკების გავლენით. ამავე ბრუნვის შემოტანის წინააღმდეგი იყო დ. ჩუბინაშვილიც. მერვე ბრუნვად ანტონს დასახელებული აქვს წოდებითი, რომლის ნიშანია -ო.

ნაცვალსახელებზე ანტონი თავის პირველ გრამატიკაში ზოგადად მსჯელობს. სხვაგან კი, სადაც მეტყველების ნაწილთა ფუნქციებს ეხება, ფართოდ განიხილავს მათ: „არიან იგინი, რომელნიცა ერთითა ნაწევროვანი ოხვრითა დაჰნიშნენ პირობითადრე განრჩეულად არსებასა: მე, შენ, იგი, ესე, ეგ, ისი და სხვანი. ხოლო ესენი იწოდებიან ნაცვალსახელად“ (გვ. 120). მეორეგან ნაცვალსახელი ასეა განმარტებული: „ნაცვალსახელი ნაცვლად სახელისაცა მიიღების“ (გვ. 148). ამ განსაზღვრებებიდან ყველაფერი ნათელია: ნაცვალსახელი არსების პირების მიხედვით განირჩევა და მას ეს სახელი ჰქვია იმიტომ, რომ იხმარება ნაცვლად სახელისა, რომელიც არის სახელდება-ნიშანი (გარჩევა) ყოველი არსებისა. როცა ვამბობთ — მე, შენ, იგი, პირების მიხედვით გამოვხატავთ არსებას და გასაგებს ვხდით არსების (ანუ საგნის, მოვლენის) სამობით მყოფობას, იმას, რომ საგანი შეიძლება წარმოვადგინოთ სამ სხვადასხვა პირში.

ანტონი გამოყოფს ნაცვალსახელთა შემდეგ ჯგუფებს: 1. ნაცვალსახელი არსებითი — მე, შენ, იგი, ჩვენ, თქვენ, იგინი. 2. მოგებითი — ჩემი, შენი, მისი,

თქვენი, მათი. 3. ჩვენებითი — ეს, ეგ, ის, ანუ, ესე, ეგე, ისი. 4. კვლამოღებითი — რომელი. „მდევარნი ვიეთნიმე ნაცვალსახელთანი რიცხვთა შინა არიან ექვს: ნაკვეთი (მარტივი, რთული, ზერთული), სახე (პირველსახე, სხმითგარდასვლითი), პირი, რიცხვი (მხოლოობითი და მრავლობითი), ნათესავი (საზოგადო, უმეშვეობითი და მდედრობითი), ბრუნვა“ (გვ. 150). ამათგან ხუთი ნაცვალსახელს საერთო აქვს სახელებთან, განსხვავებაა მეექვსეში, ესაა პირი. უნდა აღინიშნოს, რომ ნაცვალსახელის პირის მიხედვით ცვალებად მეტყველების ნაწილად წარმოდგენა დიონისე თრაკიელიდან მოდის და მას იმეორებს ყველა შემდგომი დროის გრამატიკოსი. ანტონთან ხშირად აღრეულია ნაცვალსახელთა ჯგუფები მნიშვნელობის მიხედვით (განსაკუთრებით პირის და ჩვენებითი), ასევე ხარვეზებია ნაცვალსახელთა ბრუნების დროსაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მეტ-ნაკლებად გაართვა თავი სახელთა შორის ამ ყველაზე რთულ მეტყველების ნაწილის დახასიათებას და მისი ფორმაცვალების საკითხი ძირითადად სწორად წარმოგვიდგინა. ნაცვალსახელების ბრუნებასთან ერთად განიხილავს ანტონი რიცხვითი სახელის ბრუნებასაც და ნიმუშად მოაქვს რაოდენობითი რიცხვითი სახელი ერთი, რომელსაც აბრუნებს როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში.

ამდენად, ანტონ ბაგრატიონის ქართულ გრამატიკაში მოცემულია ფრიად საყურადღებო და ღირებული ცნობები ბრუნებადი მეტყველების ნაწილების შესახებ. მართალია, არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელები გაერთიანებულია სახელის ცნების ქვეშ და მოიაზრება ერთ მეტყველების ნაწილად, ხოლო ნაცვალსახელი დამოუკიდებლადაა გამოყოფილი, მაგრამ უდაოდ ფასეულია ის ფაქტი, რომ გრამატიკაში დაწვრილებითაა განხილული სახელის კატეგორიები და მათი ფორმაცვალების წესები.

დამოწმებული ლიტერატურა

ანტონ I, 1881 - ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, ტფ., 1881.

ე. ბაბუნაშვილი, 1970 - ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

თ. უთურგაიძე, 1999 - თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999.

ა. ფოცხიშვილი, 1979 - ა. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979.

TAMAR MAMARDASHVILI

PARTS OF SPEECH WITH DECLENSIONS IN ANTON I'S *THE GRAMMAR OF GEORGIAN LANGUAGE*

Anton Bagrationi is the author of the first fundamental linguistic work of the Georgian language. In this context he is founder of the Georgian thought concerning the grammar of the language. His work gives account of the parts of speech that are declined through case forms. Anton's grammar does not distinguish between noun, adjective and numerals; those are unified into one term as 'nominal parts' and only pronouns are ascribed independent existence. However, Anton carries out invaluable work by identifying them and giving meticulous descriptions of nominal categories and observing rules of their inflexion.

The author clearly points out that as different from some other languages Georgian has only one form of declension and nominal parts of speech change according to a single case pattern.

Among many of his observations the introduction of the *narrative case i.e. ergative* and determination of its form and function should be regarded as his great finding.

The author also distinguishes five properties (*mdevari*) of the nominal parts: gender (*natesavi*), stem (*nakveTi*), derivation (*sakhe*), number and case.

Anton was the first to indicate degrees of comparison of Georgian adjectives. With more or less precision he coped with the description of pronouns that is particularly difficult among nominal parts of speech. In fact he chiefly managed to provide pronoun inflexion correctly.

მაია მაჭავარიანი,
ჰარუნ ჩიმქე

შე-+ჰ/ს+R მიმდევრობისათვის

იმისათვის, რომ განხორციელდეს ზმნისწინისა და ზმნის ფუძის სინთეზური მორფოსინტაქსური წარმოქმნა, საჭიროა, გამოიყოს სემანტიკური ველები ზმნისწინებთან შერწყმულ ზმნათა ფუძეებისთვისაც.

ჩვენი აზრით, **შე-+ჰ/ს+R** ყალიბი წარმოადგენს ერთ-ერთ სინთეზირებულ სემანტიკურ ველს, რომლის ზოგადი შინაარსობრივი მახასიათებელია: მოქმედება, პროცესი, მდგომარეობა სხვის მიმართ (მ. მაჭავარიანი, 1980, გვ. 44). განსახილველ საკითხს ახლავს ერთი დამატებითი ნიუანსი: მოცემული მოდელი, გარდა ლექსიკური სემანტიკური ნიშნებისა, მოიცავს ოდენ თანხმოვნით წარმოდგენილ მესამე პირის ნიშანს **ჰ/ს**-ს. ამდენად, გასარკვევია, რა შინაარსობრივ-ფუნქციური როლი ეკისრება მას ამ სემანტიკურ ველში.

განვიხილავთ მოცემული ზოგადი ველის (სხვის მიმართ მოქმედება, პროცესი, მდგომარეობა) შინაარსობრივ განფენას, რომელიც წარმოდგენილია კონკრეტული ლექსიკური დონის საქცევი მნიშვნელობების სახით. ამისათვის საჭიროა გავაანალიზოთ მოდელში შემავალი ზმნათა ფუძეების მნიშვნელობები და **შე-+ჰ/ს**-ს ფუნქციები თითოეული საქცევის მიმართ.

პირველი საქცევი: ხმის გამოცემა სხვის მიმართ: ამ შემთხვევაში ერთპირიანი აქტიური ზმნის ამოსავალ ფუძეზე (ძირზე) **შე-+ჰ/ს**-ს დართვით იწარმოება ორპირიანი გარდაუვალი ზმნა მიცემით ბრუნვაში დასმული ირიბი დამატებით. ვნახოთ, რა შინაარსის ფუძეები (ძირები) შედის ამ საქცევში, დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს: *ბზუის ის > შე-ჰ-ბზუის ის მას; კნავის ის > შეჰკნავის ის მას; კივის ის > შეჰკივის ის მას* (სულ 18 ზმნა). ამ ტიპის ზმნებს ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი: ა) აქვთ **ი-** თემის ნიშანი, რომელიც, ჩვენი აზრით, გამოხატავს ხმის პერმანენტულობას, მის გაბმულ ხასიათს; ბ) ქეგლ-ის მიხედვით, ისინი დასტურდება ოდენ აწმყოს წრეში; გ) მათი ზოგადი ასპექტური მახასიათებელია — სტატიკურობა. ამდენად, ისინი ვერ აწარმოებენ ასპექტურ კონკრეტულ ოპოზიციებს და პირობითად შეიძლება დახასიათდნენ, როგორც უასპექტო ზმნები. ამ ტიპის ყველა ზმნა გარდაუვალია.

***პირველი საქცევის ქვესაქცევი**: მისი შინაარსობრივი საქცევია* აგრეთვე **ხმის გამოცემა სხვის მიმართ**. ზმნები იმავე ფუძეებს შეიცავენ, ოღონდ განსხვავებულად იწარმოებიან ამოსავალი გარდამავალი ორპირიანი ზმნებისაგან, ამიტომ მათი ფუძე გავრცობილია. შდრ: *ა-ბზუვლ-ებ-ს ის მას* (სახ. ბრ.) < *შე-ჰ-ბზუვლებს ის მას* (მიც. ბრ.). ასევე იწარმოება სხვა მსგავსი ზმნები: *ა-კნავლებს>შეჰკნავლებს; აკივლებს>შეჰკივლებს* (სულ 18 ზმნა). ამგვარი ტრანსფორმაციის შედეგად გარდამავალი ზმნა ხდება გარდაუვალი, ანუ, ველის საზრისის შესაბამისად, პირდაპირი ობიექტი გარდაიქმნება ირიბად. ამავე ქვესაქცევში შემოდის წარმოების მიხედვით განსხვავებული, რედუპლიცირებული ფუძეებიანი ზმნებიც: მათი ამოსავალია აგრეთვე ორპირიანი გარდამავალი ზმნები *ა-გუგუნ-ებ-ს* ტიპისა: *შეჰგუგუნებს, შესტიკტიკებს, შეჰყაყანებს, შეჰყროყინებს ის მას* (მიც. ბრ.). *შეჰბზუვლებს* ტიპის ზმნებთან ერთად ასპექტური თვალსაზრისით მათ ზოგი საინტერესო თავისებურება ახასიათებს

კონტექსტის მიხედვით ეს ფორმები შეიძლება გამოხატავდნენ სხვადასხვა ტიპის ასპექტს: ა) მოქმედების ან პროცესის დინამიკურობას და ნამყო-მყოფადში სრულ ასპექტს: *შეჰფრუტუნებს* (სრული მყოფადი) — *შეჰფრუტუნა* (სრული წარსული) — *შეუფრუტუნებია* (სრული თურმეობითი). ზმნა ტრანსფორმირდება დროდაუვლად და პირდაპირის ნაცვლად წარმოქმნის ირიბ დამატებას; ბ) იგივე ფორმა სხვა კონტექსტში შეიძლება გავიგოთ როგორც სტატიკური, უასპექტო, ოდენ აწმყო მწკრივში (პირველი საქცევის საზრისის მიხედვით); *შეჰფრუტუნებს ის მას* = ფრუტუნით ეხმიანება ის მას; გ) თუ კონტექსტის მიხედვით იმავე ტიპის ზმნას მოსცილდება ირიბი დამატება და ის ერთპირიანი გახდება, მაშინ ის ავტომატურად შეიცვლის როგორც სემანტიკურ ველს (და არა მხოლოდ საქცევს), ისე ასპექტურ მახასიათებელს: *შეჰფრუტუნებს ის* + *ფრუტუნს დაიწყებს:* ერთპირიანი, დინამიკური, პროცესის საწყისი მდგომარეობის გამომხატველი ფორმა (ინჭოატივი). სემანტიკური ველი: მოქმედება, პროცესის, მდგომარეობის პარტიტულობა.

შე- ზმნისწინიც ველის საზრისის შესაბამისად აქტუალიზებულია მეორე დიფერენციალური მნიშვნელობით: არა მიჯნასთან მიახლოება/დამთხვევა, არამედ მოქმედება, პროცესის, მდგომარეობის პარტიტულობა. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში ზმნა სხვაგვარად აწარმოებს თურმეობითს: *შეუფრუტუნია* (*შეუფრუტუნებია*-ს ნაცვლად).

მეორე საქცევი: სხვის მიმართ ცქერა (ანუ მიმართული ხედვა). ესენია სტატიკური, უასპექტო, მხოლოდ აწმყოს წრეში ხმარებული ზმნები: *შეჰფოფინებს, შეჰყურებს, შესციცინებს ის მას* (სულ 6 ზმნა). ამოსავალია მედიო-სტატიკური ერთპირიანი ზმნები. დადასტურდა მხოლოდ ერთი სტატიკური ზმნა განსხვავებული წარმოებისა: *შესჩერებია ის მას*. თავისებურია ამ მხრივ ხედვა ზმნა. საკუთარ სემანტიკურ ველში ის მიმართულების მიხედვით არამარკირებულია და ველის არამარკირებულ საწყის წყაროს წარმოადგენს. ჩვენი აზრით, სწორედ ამის გამო კონტექსტის მიხედვით ის სხვადასხვა მნიშვნელობას იღებს და სხვადასხვა ველში შეიძლება აღმოჩნდეს. შდრ., ერთი მხრივ: *ხედავს ის მას, ნახავს ის მას* (სახ. ბრუნვა), *ნახა მან ის, უნახავს ის მას.* ეს არის მიუმართავი, გარდამავალი, სუპლეტური ზმნა, სრული/უსრული ასპექტისა (ბ. ჯორბენაძე, 1985, გვ. 124). **შე-** ზმნისწინს საერთოდ არ დაირთავს; მეორე მხრივ: *ხედავს ის მას, შე[ჰ]ხედვს ის მას, შე[ხ]ედა მან მას* — გარდაუვალი (სხვის მიმართ ხედვა), ოდენ სრული ასპექტისა. აქ სრულიად აშკარაა სხვისკენ მიმართული მოქმედების ველის საზრისისეული დაწოლა.

მესამე საქცევი: სხვის მიმართ მოძრაობა ან რომელიმე სახის სხვა აქტივობა: ფუნქციურად ეს ტიპი ჰგავს ზემოგანხილულ საქცევებს. დავასახელებთ რამდენიმე ნიმუშს: *შეჰბრუნავს, შესტრიალებს, შესთამაშებს ის მას* (თამაშით გარს ევლება). ამოსავალი ზმნები ერთპირიანი სტატიკური, უასპექტო ზმნებია. შეიცავს დამატებით ნიშანს "გარშემო"; *შესდევს* (ალმართს), *შეჰფართხალებს ის მას*. ზმნები გარდაუვალი, სტატიკური, უასპექტოა (სულ 8 ზმნა).

რა შეიძლება ითქვას ამ სამი საქცევის მიხედვით ზოგადად **შე-+ჰ/ს** ველის საზრისისეული ფუნქციის შესახებ? აშკარაა, რომ მოცემულ მოდელში სემანტიკური დომინანტი არის **შე-** ზმნისწინის ძირითადი დიფერენციალური სემანტიკური ნიშანი: მოქმედების, პროცესის, მდგომარეობის მიჯნის მარკირება, მასთან მიახლოება-მიჯრა/დამთხვევა. **შე-** ზმნისწინი უზრუნველყოფს ამ ტიპის

ზმნების სპეციფიკურ, მიზნისკენ მიმართულ ხასიათს და ახდენს **ჰ/ს**-ს შესაძლებელ ფუნქციათა შორის სწორედ ამ კონკრეტული მნიშვნელობის აქტუალიზაციას, განაპირობებს კიდეც **ჰ/ს**-ს წარმოქმნას ირიბი ობიექტის (მიზნის) მარკირების ფუნქციით, ამოსავალი ფუძის მნიშვნელობით გაუთვალისწინებელი ზოგადი როლით.

მეოთხე საქცევი: გრძნობა-აღქმის საზრისის განმცდელ პირთან მიმართების მარკირება. ამ საქცევის სტატიკური ვარიანტებია: *შესტკივა მას გული, შესწევს (ძალუძს) მას ის; შესჭირს მას ის* ("*ყველასი შეგ-ჭირს, შენი თავი კი დაგვიწყებია*"). როგორც ვხედავთ, ნიშანი "სხვის მიმართ" აქაც არ არის უგულებელყოფილი. ადამიანის გულისტკივილი, ძალა, ჭირი და სხვა განცდა სხვის მიმართ განიცდება, ოღონდ ამ ტიპის ზმნებში ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: სტატიკური ზმნები პირველსა და მეორე პირში ოდენ მანის რიგს ჰგუობენ: *შემტკივა* (შეუძლებელია *შევტკივა*), *შემწევს* (შეუძლებელია *შევწევ*), *შემჭირს* (შეუძლებელია *შევჭირ*). რით შეიძლება ამის ახსნა? ჩვეულებრივ ამ ზმნებს ინვერსიულს უწოდებენ, მაგრამ ეს არის ფორმალური სუბიექტ- ობიექტის პოზიციის შენაცვლების დაფიქსირება და არა ახსნა. ზმნა კი ამ შემთხვევაში სრულიად სხვა საზრისს გამოხატავს. საქმე ეხება არა სუბიექტს ან ობიექტს, არამედ გრძნობის ან აღქმის განმცდელს, პირს, რომელიც ჩაძირულია ამ პროცესში, და სწორედ ამ მხრივ არის მარკირებული, ამიტომ ამის დასაფიქსირებლად აგრეთვე გამოყენებული უნდა ყოფილიყო მარკირებული პირის ნიშანი, ისეთი პირის ნიშანი, რომელიც ინტროვერტულ ინაგენტურ პროცესს გამოხატავს და არა ნებელობით, აგენტურ, მის მიერ კონტროლირებად საგანს. ასეთი პირი კი მხოლოდ მანის რიგით შეიძლება იყოს გამოხატული (მ. მაჭავარიანი, 1980). ეს კარგად ჩანს ამ ტიპის დინამიკური ზმნების მაგალითზე: *შეჰბრალდება (შეჰბრალდა, შეჰბრალებია) მას ის; შესცივდება (შესცივდა, შესცივებია) მას ის, შესცხვება (შესცხვა, შესცხომია) მას ის*, ოდენ სრულასპექტიანი ფორმებით (სულ 9 ზმნა). აღსანიშნავია, რომ თუ **ჰ/ს**-ს არ ვიხმართ, ზმნა სრულებით სხვა შინაარსს გამოხატავს: *შეცივდება, შეცივდა, შეცივებული* ნიშნავს ოდნავ შეცივებას და ავტომატურად პარტიტივის ველს მიეკუთვნება. აგრეთვე, თუ ამ ზმნათაგან რომელიმე ვინის რიგს შეეგუება, ისევ ავტომატურად სრულიად სხვა მნიშვნელობას მიიღებს, სხვა ველში აღმოჩნდება: *შევწევ* = "რაღაცას შიგ გადავაადგილებ". საინტერესოა, რომ ამ ტიპის დინამიკური ზმნები ზოგჯერ ეგუებიან ვინის რიგს, მაგალითად: *შევბრალდები მე მას, შევჯავრდები, შევძაგდები მე მას* და მისთ. მაგრამ ამ შემთხვევაში ნეიტრალური, მიუმართავი ვინის რიგი გამოხატავს არა სემანტიკურად მარკირებულ განმცდელს, არამედ განცდის საგანს, რაც აგრეთვე ადასტურებს ჩვენს ვარაუდს. მაგრამ მაშინ ჩნდება ლოგიკური კითხვა: რა მიმართულებაშია თქმული სხვის მიმართ მოქმედების ან პროცესის ძირითად საზრისთან? მანის რიგი ხომ არ შეიძლება იყოს "სხვა"? საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში პროცესის მიჯნა, ტელიკური წერტილი სწორედ **განმცდელია**, მანის რიგითა და ირიბი, მიცემითი ბრუნვით მარკირებული აქტანტი, ამიტომ მისკენ არის მიმართული **შე-+ჰ/ს**- მოდელით ნაგულისხმევი პროცესი. თუკი ინვერსიის ცნებას რაიმე მნიშვნელობა ენიჭება, ის სწორედ ამას გულისხმობს: მიჯნა შემოტრიალებულია განმცდელისკენ და არა განცდის საგნისკენ.

მეხუთე საქცევი: სხვადასხვა სახის მოქმედება სხვის მიმართ. ამ ტიპის ზმნათა ამოსავალი ფორმა გამოხატავს სხვადასხვა სახის გარდამავალ

ზმნების სპეციფიკურ, მიზნისკენ მიმართულ ხასიათს და ახდენს **ჰ/ს**-ს შესაძლებელ ფუნქციათა შორის სწორედ ამ კონკრეტული მნიშვნელობის აქტუალიზაციას. განაპირობებს კიდეც **ჰ/ს**-ს წარმოქმნას ირიბი ობიექტის (მიზნის) მარკირების ფუნქციით, ამოსავალი ფუძის მნიშვნელობით გაუთვალისწინებელი ზოგადი როლით.

მეოთხე საქცევი: გრძნობა-აღქმის საზრისის განმცდელ პირთან მიმართების მარკირება. ამ საქცევის სტატიკური ვარიანტებია: *შესტკივა მას გული, შესწევს (ძალუძს) მას ის; შესჭირს მას ის* (*"ყველასი შეგ-ჭირს, შენი თავი კი დაგვიწყებია"*). როგორც ვხედავთ, ნიშანი "სხვის მიმართ" აქაც არ არის უგულებელყოფილი. ადამიანის გულისტკივილი, ძალა, ჭირი და სხვა განცდა სხვის მიმართ განიცდება, ოღონდ ამ ტიპის ზმნებში ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: სტატიკური ზმნები პირველსა და მეორე პირში ოდენ მანის რიგს ჰგუობენ: *შემტკივა* (შეუძლებელია *შევტკივა*), *შემწევს* (შეუძლებელია *შევწევ*), *შემჭირს* (შეუძლებელია *შევჭირ*). რით შეიძლება ამის ახსნა? ჩვეულებრივ ამ ზმნებს ინვერსიულს უწოდებენ, მაგრამ ეს არის ფორმალური სუბიექტ- ობიექტის პოზიციის შენაცვლების დაფიქსირება და არა ახსნა. ზმნა კი ამ შემთხვევაში სრულიად სხვა საზრისს გამოხატავს. საქმე ეხება არა სუბიექტს ან ობიექტს, არამედ გრძნობის ან აღქმის განმცდელ პირს, რომელიც ჩაძირულია ამ პროცესში, და სწორედ ამ მხრივ არის მარკირებული, ამიტომ ამის დასაფიქსირებლად აგრეთვე გამოყენებული უნდა ყოფილიყო მარკირებული პირის ნიშანი, ისეთი პირის ნიშანი, რომელიც ინტროვერტულ ინაგენტურ პროცესს გამოხატავს და არა ნებელობით, აგენტურ, მის მიერ კონტროლირებად საგანს. ასეთი პირი კი მხოლოდ მანის რიგით შეიძლება იყოს გამოხატული (მ. მაჭავარიანი, 1980). ეს კარგად ჩანს ამ ტიპის დინამიკური ზმნების მაგალითზე: *შეჰბრალდება (შეჰბრალდა, შეჰბრალებია) მას ის; შესცივდება (შესცივდა, შესცივებია) მას ის, შესცხვება (შესცხვა, შესცხომია) მას ის*, ოდენ სრულასპექტიანი ფორმებით (სულ 9 ზმნა). აღსანიშნავია, რომ თუ **ჰ/ს**-ს არ ვიხმართ, ზმნა სრულებით სხვა შინაარსს გამოხატავს: *შეცივდება, შეცივდა, შეცივებულა* ნიშნავს ოდნავ შეცივებას და ავტომატურად პარტიტივის ველს მიეკუთვნება. აგრეთვე, თუ ამ ზმნათაგან რომელიმე ვინის რიგს შეეგუება, ისევ ავტომატურად სრულიად სხვა მნიშვნელობას მიიღებს, სხვა ველში აღმოჩნდება: *შევწევ* = "რაღაცას შიგ გადავაადგილებ". საინტერესოა, რომ ამ ტიპის დინამიკური ზმნები ზოგჯერ ეგუებიან ვინის რიგს, მაგალითად: *შევბრალდები მე მას, შევჯავრდები, შევძაგდები მე მას* და მისთ. მაგრამ ამ შემთხვევაში ნეიტრალური, მიუმართავი ვინის რიგი გამოხატავს არა სემანტიკურად მარკირებულ განმცდელს, არამედ განცდის საგანს, რაც აგრეთვე ადასტურებს ჩვენს ვარაუდს. მაგრამ მაშინ ჩნდება ლოგიკური კითხვა: რა მიმართულებაშია თქმული სხვის მიმართ მოქმედების ან პროცესის ძირითად საზრისთან? მანის რიგი ხომ არ შეიძლება იყოს "სხვა"? საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში პროცესის მიჯნა, ტელიკური წერტილი სწორედ **განმცდელი** მანის რიგითა და ირიბი, მიცემითი ბრუნვით მარკირებული აქტანტი, ამიტომ მისკენ არის მიმართული **შე-+ჰ/ს**- მოდელით ნაგულისხმევი პროცესი. თუკი ინვერსიის ცნებას რაიმე მნიშვნელობა ენიჭება, ის სწორედ ამას გულისხმობს. მიჯნა შემოტრიალებულია განმცდელისკენ და არა განცდის საგნისკენ.

მეხუთე საქცევი: სხვადასხვა სახის მოქმედება სხვის მიმართ. ამ ტიპის ზმნათა ამოსავალი ფორმა გამოხატავს სხვადასხვა სახის გარდამავალ

მოქმედებას, რომელიც ბუნებითად შეიცავს როგორც პაციენსს, ისე იმ პირს, რომლისკენაც არის მიმართული მოქმედება, ანუ ვინის რიგის მიმართ სხვა პირს, ამიტომ **შე-** ზმნისწინის გარეშეც ხორციელდება სემანტიკური ველით ნაგულისხმევი შინაარსი: *ჰგვრის ის მას, სძღვნის ის მას, სთავაზობს ის მას, ჰყიდებს ის მას* და მისთ. (სულ 36 ზმნა). ეს ზმნები თავისუფლად აწარმოებენ ასპექტს და განარჩევენ სრულ/უსრულ სახეობებს. აქ ერთი თავისებურება შეინიშნება: **ჰ/ს** ყოველთვის წარმოქმნის ოდენ ირიბ დამატებას, მაგრამ მას ზოგადი როლის გარდა (სხვა) ზმნის შინაარსის მიხედვით დამატებით აქვს სხვადასხვა კონკრეტული აქტანტური როლებიც: ადრესატის (*ჰგვრის*), მიზნის (*სტყორცნის*), ლოკატივის (*ჰყიდებს*) ფუნქციით. მაშინ რა ფუნქცია აკისრია ამ შემთხვევაში **შე-** ზმნისწინს?

ცხადია, რომ მას დომინანტური სემანტიკური ფუნქცია აღარ ეკისრება, აქას იტვირთებს ზმნის ფუძე. თუმცა ამ შემთხვევაშიც აქტუალიზებულია ზმნისწინის პირველი დიფერენციალური ნიშანი — მიჯნასთან მიახლოება. სამაგიეროდ, ამ საქცევში მჟღავნდება ზმნისწინის ძალა — დაუპირისპიროს ერთმანეთს სრული და უსრული ასპექტური ფორმები და ამაშია მისი დომინანტური როლიც. ენამ თითქოს დაიცვა ეკონომიის პრინციპი და სემანტიკური ფუნქციები პროპორციულად გაანაწილა; სადაც სემანტიკურად დომინანტურია ზმნის ფუძე, იქ განთავისუფლდა ზმნისწინის ასპექტის მაწარმოებელი ძალა.

იშვიათად გვხვდება ველების გადაკვეთის შემთხვევებიც. მაგალითად, *შეჰბერდება* მიეკუთვნება როგორც სხვის მიმართ მოქმედების ველს, ისე ურთიერთმოქმედების ველსაც: *ერთმანეთს შეჰბერდნენ.*

ხშირად ცალკე აღებული ზმნა ვერ ითავსებს **ჰ-/ს-**ს და მაშინ **შე-** ზმნისწინი თვითონ წარმოქმნის მას ირიბი ობიექტის შესაბამისი როლებით. მაგალითად: *შეჰბერავს, შეჰბუზუნებს, შესთამაშებს,* შესციცინებს და სხვა მრავალი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ იმავე ფუნქციას ზოგჯერ **შე-** ასრულებს **ჰ-/ს-** გარეშეც. მაგალითად: *შეკედრებს, შეხოცავს, შეღიღინებს...*

ამრიგად, **შე-+ჰ/ს+R** ყალიბში სემანტიკური დომინანტი არის **შე-** ზმნისწინის ძირითადი დიფერენციალური ნიშანი: მოქმედების, პროცესის, მდგომარეობის პროქსიმალური მიჯნა, მასთან მიჯრა-დამთხვევა.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. გოგოლაშვილი.., 1989 - გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბ., 1989.

მ. მაჭავარიანი, 1980 - მ. მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის საკითხისათვის: იქვე, ტ. XXII, თბ., 1980.

ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბ., 1962.

ბ. ჯორბენაძე, 1985 - ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

ბ. ჯორბენაძე.., 1988 - ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, , თბ., 1988.

მოქმედებას, რომელიც ბუნებითად შეიცავს როგორც პაციენსს, ისე იმ პირს, რომლისკენაც არის მიმართული მოქმედება, ანუ ვინის რიგის მიმართ სხვა პირს, ამიტომ **შე-** ზმნისწინის გარეშეც ხორციელდება სემანტიკური ველით ნაგულისხმევი შინაარსი: *ჰგვრის ის მას, სძლვნის ის მას, სთავაზობს ის მას, ჰკიდებს ის მას* და მისთ. (სულ 36 ზმნა). ეს ზმნები თავისუფლად აწარმოებენ ასპექტს და განარჩევენ სრულ/უსრულ სახეობებს. აქ ერთი თავისებურება შეინიშნება: **ჰ/ს** ყოველთვის წარმოქმნის ოდენ ირიბ დამატებას, მაგრამ მას ზოგადი როლის გარდა (სხვა) ზმნის შინაარსის მიხედვით დამატებით აქვს სხვადასხვა კონკრეტული აქტანტური როლებიც: ადრესატის (*ჰგვრის*), მიზნის (*სტყორცნის*), ლოკატივის (*ჰკიდებს*) ფუნქციით. მაშინ რა ფუნქცია აკისრია ამ შემთხვევაში **შე-** ზმნისწინს?

ცხადია, რომ მას დომინანტური სემანტიკური ფუნქცია აღარ ეკისრება, ამას იტვირთებს ზმნის ფუძე. თუმცა ამ შემთხვევაშიც აქტუალიზებულია ზმნისწინის პირველი დიფერენციალური ნიშანი — მიჯნასთან მიახლოება. სამაგიეროდ, ამ საქცევში მჟღავნდება ზმნისწინის ძალა — დაუპირისპიროს ერთმანეთს სრული და უსრული ასპექტური ფორმები და ამაშია მისი დომინანტური როლიც. ენამ თითქოს დაიცვა ეკონომიის პრინციპი და სემანტიკური ფუნქციები პროპორციულად გაანაწილა; სადაც სემანტიკურად დომინანტურია ზმნის ფუძე, იქ განთავისუფლდა ზმნისწინის ასპექტის მაწარმოებელი ძალა.

იშვიათად გვხვდება ველების გადაკვეთის შემთხვევებიც. მაგალითად, *შეჰბერდება* მიეკუთვნება როგორც სხვის მიმართ მოქმედების ველს, ისე ურთიერთმოქმედების ველსაც: *ერთმანეთს შეჰბერდნენ.*

ხშირად ცალკე აღებული ზმნა ვერ ითავსებს **ჰ-/ს-**ს და მაშინ **შე-** ზმნისწინი თვითონ წარმოქმნის მას ირიბი ობიექტის შესაბამისი როლებით. მაგალითად: *შეჰბერავს, შეჰბუზუნებს, შესთამაშებს,* შესციცინებს და სხვა მრავალი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ იმავე ფუნქციას ზოგჯერ **შე-** ასრულებს **ჰ-/ს-** გარეშეც. მაგალითად: *შეევედრებს, შეხოცავს, შეღიღინებს...*

ამრიგად, **შე-+ჰ/ს+R** ყალიბში სემანტიკური დომინანტი არის **შე-** ზმნისწინის ძირითადი დიფერენციალური ნიშანი: მოქმედების, პროცესის, მდგომარეობის პროქსიმალური მიჯნა, მასთან მიჯრა-დამთხვევა.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. გოგოლაშვილი.., 1989 - გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის ზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბ., 1989.

მ. მაჭავარიანი, 1980 - მ. მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის საკითხისათვის: იკე, ტ. XXII, თბ., 1980.

ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბ., 1962.

ბ. ჯორბენაძე, 1985 - ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

ბ. ჯორბენაძე.., 1988 - ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, , თბ., 1988.

HARUN CHIMKE, MAIA MACHAVARIANI

THE FOLLOWERS OF SHE-S AND H-S+R

Like other prepositions, "**she-**" expresses the following relationships: a) semantic features of a preposition "**she-**" and a verb root coinside with each other. b) Semantic features of a preposition "**she-**" and a verb root are not identical (don't coinside with each other). c) the features of prepositionsand directives don't coinside with each other and in the cause of it we get general semantic characteristics: the change in action and process.

The order of "**she-**"+**h/s**-ch is depended on the verb and its surroundings.

Preposition "**she-**" activate the function of **h/s** from the angel of syntax it produces indirect object with actions, which perform the general ectantive role in the direction of a subject. If **h/s** acts without a preposition "**she-**" in this case the function of "**she-**" and **h/s** coinside and enrich each other.

მამუკა მენაბდე,
დავით მინდიაშვილი

ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობების ისტორიიდან XVI საუკუნის დასაწყისში

XVI საუკუნის დასაწყისში საქართველო მძიმე მდგომარეობაში იყო. ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შედეგად წარმოქმნილი სამეფო-სამთავროები ერთმანეთს ეჭიშპებოდნენ, რაც არსებულ დაშლის პროცესს კიდევ უფრო აღრმავებდა. რთული იყო საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობაც.

XVI საუკუნის დასაწყისში ქართული სამეფო-სამთავროები ჩართული აღმოჩნდნენ ირანის ტერიტორიაზე მიმდინარე დაპირისპირებაში. ამ დროს შიდაბრძოლებით დასუსტებული აღ-ყოინლუს სახელმწიფო ორად იყო გაყოფილი უზუნ-ჰასანის შვილიშვილებს ალვენდსა და მურადს შორის, რომელთაც ხელისუფლების მოსაპოვებლად უპირისპირდებოდა არდებილის შეიხი სეფიანი ისმაილი. ალვენდთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ ისმაილის და აღმოსავლეთ საქართველოს მეფეებსა და მთავარს შორის სამხედრო კავშირი დამყარდა. ქართლისა და კახეთის მეფეებმა და სამცხის ათაბაგმა ისმაილს 3-3 ათასი მხედარი გაუგზავნეს - სულ 9 ათასი მეომარი. თავად ისმაილს 7 ათასიანი ჯარი ჰყავდა. 1501 წელს შარურთან მომხდარ ბრძოლაში ალვენდ აღ-ყოინლუს ლაშქარი განადგურებულ იქნა, ისმაილი ზეიმით შევიდა თავრიზში და თავი შაჰინ-შაჰად გამოაცხადა. 1503 წელს ისმაილმა მურად აღ-ყოინლუც დაამარცხა. ამგვარად, სეფიანების სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში საქართველოს პოლიტიკურმა მესვეურებმაც შეიტანეს თავიანთი წვლილი (გ. გუჩუა, 1973, გვ. 89-91).

იმ პირობებში, როცა ოსმალეთის უძლიერესი სახელმწიფოს გავლენა ახლო აღმოსავლეთში ყიზილბაშთა ძლიერი სახელმწიფოს წარმოქმნით გარკვეულწილად გაწონასწორდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ქართულ სამეფო-სამთავროებს ურთერთშორის მშვიდობა და თანხმობა დაემყარებინათ, რათა ერთობლივად დაეცვათ თავიანთი საგარეო პოლიტიკური ინტერესები, თუმცა ქართულმა სამეფო-სამთავროებმა ურთიერთშორის მშვიდობის დამყარება ვერ მოახერხეს.

1500-1515 წლებში სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II-ის ძე მზეჭაბუკი იყო. მზეჭაბუკ ათაბაგს თავდაპირველად ქართლის სამეფოსთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა: „ესე მზეჭაბუკ დაეზავა მეფესა კონსტანტინეს და პატივსცემდა და უსმენდა“ (ვახუშტი, 1973, გვ. 710-711). გერასიმე კუმურდოელი მთავარეპისკოპოსი ქართლის კათალიკოს ევაგრეს წინაშე აცხადებს, რომ როდესაც მზეჭაბუკმა „კუმურდოსა საყდარი და ჴელი მიბოძა“ მაშინვე მცხეთაში „თქუენსა წინაშე საკურთხეველად გამოგუგზავნა“ (ქსძ, III, 1970, გვ. 238). ამის შემდგომ მზეჭაბუკ ათაბაგის დამოკიდებულება ქართლის მეფისა და საქართველოს კათალიკოსის მიმართ შეიცვალა. მზეჭაბუკი თავისი სახელგანთქმული წინამორბედის — ყვარყვარე II-ის საეკლესიო სეპარატიზმის იდეას დაუბრუნდა და სამცხის ეკლესიის მცხეთის საკათალიკოსო ტახტიდან ჩამოშორება განიზრახა.

მზეჭაბუკის პოლიტიკის ცვლილების მიზეზის ახსნა დიდ ინტერესს იწვევს: „რა გარემოებამ და მიზეზმა გამოიწვია ასეთი ძლიერი ცვლილება, ჯერჯერობით საკმაო სიცხადით ვერ ირკვევა“ (ივ. ჯავახიშვილი, 1982, გვ. 386-387).

ჩვენი აზრით, მზეჭაბუკის პოლიტიკის ცვლილების მიზეზის ასახსნელად ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ყვარყვარე II XV საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ცდილობდა საეკლესიო სეპარატიზმის იდეის ცხოვრებაში გატარებას, ჯერ კიდევ არ იყო „ტფილისის ტახტიდან“ სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობით აღჭურვილი და ისიც მნიშვნელოვანია, რომ იმ დროს სამცხის ათაბაგის გვერდით რომელიმე უცხოელი მღვდელმთავარი არ ყოფილა. მაშინ ყვარყვარე II-ის საელესიო სეპარატიზმის იდეა მცხეთის, როგორც კულტურულ-იდეოლოგიური ერთიანობისა და მთლიანობის მატარებელი სიმბოლოს და მისი მესაჭის კათალიკოს-პატრიარქის დიდი ავტორიტეტის წყალობით დამარცხდა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ XV საუკუნის 50-იან წლებში საეკლესიო სეპარატიზმის იდეა სამცხე-საათაბაგოში სრულიად აღმოიფხვრა. ამის შემდეგ დროთა განმავლობაში სამცხის სეპარატისტული ძლიერება ერთთავად იზრდებოდა, ხოლო XV საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სამცხის სამთავრომ „ტფილისის ტახტიდან“ თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარებაც მოიპოვა. ამიტომ გასაკვირი არ იქნებოდა, თუ სამცხის მმართველ წრეებში საეკლესიო სეპარატიზმი ისევ აქტუალური გახდებოდა. მაგრამ აქ ჩნდება კითხვა: რატომ მაინცდამაინც მზეჭაბუკ ათაბაგი, იმ დროს, როცა სამცხე-საათაბაგოს ქართლის სამეფოსთან ნორმალური ურთიერთობა ჩამოუყალიბდა, დაუბრუნდა ამ იდეას? საქმე იმაში უნდა იყოს, რომ ამ დროს სამცხეს ეწვია ანტიოქიის პატრიარქი დოროთეოსი. ანტიოქიის პატრიარქი ფინანსურ სარგებელს ეძებდა, რაც მზეჭაბუკისგან შეეძლო მიეღო და საკუთარი ბოროტი ზრახვების აღსასრულებლად იგი თავის მხრიდანაც არ მოერიდებოდა გზააბნეულ ქართველ მთავარზე მავნე ზემოქმედების მოხდენას. მზეჭაბუკ ათაბაგსაც განსაკუთრებული წაქეზება არ ჭირდებოდა და ქართულ სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებში ისევ გაჩნდა საეკლესიო სეპარატიზმის პრობლემა.

ამასთანავე, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი მომენტი იქცევს ყურადღებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, XVI საუკუნის დასაწყისში ქართლი და სამცხე ყიზილბაში ისმაილის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ამ დროს ისმაილისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის, კახეთისა და სამცხის ერთობლივ დახმარებას; მის ინტერესებში შედიოდა, რომ ამ სამეფო-სამთავროებს ერთმანეთში ნორმალური ურთიერთობა ჰქონოდათ. ასეთი ურთიერთობა ქართლსა და სამცხეს შორის მართლაც ჩამოყალიბდა. თუმცა სულ მალე შაჰ-ისმაილი ძლიერ ხელისუფლად შეიქმნა და ქართლის, კახეთისა და სამცხის მიმართ პოზიცია შეცვალა. ყიზილბაშ მმართველს სურდა ამ სამეფო-სამთავროთა დაპყრობა, აგრეთვე, ქართლი, სამცხე და კახეთი ერთმანეთს დაპირისპირებოდნენ და ურთიერთთანხმობა არ ჰქონოდათ. თავისთავად ცხადია, რომ შაჰ-ისმაილი ყოველნაირად შეუწყობდა ხელს ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ურთიერთობების დაძაბვას. მდგომარეობიდან გამომდინარე, ქართლის და სამცხის ურთიერთობის „ძლიერი ცვლილების“ განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება ქართლის, კახეთისა და სამცხის მიმართ შაჰ-ისმაილის პოლიტიკის ცვლილებების ზეგავლენაც ვივარაუდოთ.

დოროთეოს პატრიარქმა სამცხის საეკლესიო სეპარატიზმის იდეის პრაქტიკულად განსახორციელებლად საგანაგებო დოკუმენტი შეადგინა (წიგნი ანტიოქიის პატრიარქის დოროთეოსისა მაწყუერელისათვის ეპისკოპოსის ცურთხევის უფლების მინიჭების შესახებ, XVI ს. დასაწყისი) (ქსძ, 1970, გვ. 240-241). ანტიოქიის პატრიარქმა სამცხის ათაბაგს ახლებური წოდებულება მოუნახა და მას „დიდისა პატრონის“ და „დიდსა მეფისა ჩუენისა და ყოვლისა ალმოსავლეთისა ჴელმწიფისა, პატრონისად“ იხსენიებს (ქსძ, 1970, გვ. 240). აღსანიშნავია, რომ ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც წყაროებში სამცხის ათაბაგს მეფისა და ხელმწიფის წოდებულება აქვს მიკუთვნებული (ივ. ჯავახიშვილი, 1982, გვ. 331).

მზეჭაბუკ ათაბაგის დიდი მცდელობის მიუხედავად, საბოლოოდ სამცხის ეკლესიამ მცხეთის საკათალიკოსოდან დამოუკიდებლობის მოპოვება ვერ მოახერხა. საეკლესიო სეპარატიზმის იდეამ თავად მზეჭაბუკის კარიერაც ცუდად წარმართა: „საფიქრებელია, რომ მზეჭაბუკის ქართლის მეფესთან და საქართველოს კათალიკოსთან საეკლესიო ბრძოლაში დამარცხებამ გამოიწვია მისი შემონაზონება იაკობის სახელით და შესაძლებელია ამ მთავრობის მოყვარე ძლიერი პოლიტიკური მოღვაწის სიკვდილიც დააჩქარა“ (მასალები, 1961, გვ. 137).

უკვე 1518 წელს ათაბაგ ყვარყვარე III-ის გაცემული სიგელი აჩვენებს, რომ სამცხე საეკლესიო განკერძოებაზე ხელს იღებს (ქრონიკები, 1897, გვ. 335). ამ ეტაპზე სამცხის მმართველი სეპარატისტი წრეები იძულებული იყვნენ საქართველოს კათალიკოსის ავტორიტეტის წინაშე ქედი მოეხარათ.

ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობები მას შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა, რაც ქართლის სამეფო ტახტზე კონსტანტინე II შეცვალა დავით X-მ (1505-1525). დავით X-ის მეფობის პირველ წლებში ქართლის ხელისუფლება დასუსტებულია. 1503-1505 წლებში ქართლის სამეფო კარზე დაპირისპირება იყო, რის შემდგომ კონსტანტინე II ბერად აღიკვეცა: დავით X-მ, მართალია, გამეფება მოახერხა, მაგრამ სამეფო ტახტზე მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე თავისი ძმა გიორგი მას ოპოზიციაში ედგა და საბოლოოდ აიძულა კიდეც, რომ 1525 წელს ბერად შემდგარიყო (გ. საითიძე, 1997, გვ. 24-27). დავით X-ის არამყარი პოზიციები სამეფო კარზე ხელს უწყობდა იმას, რომ სხვა ქართული სამეფო-სამთავროები, რომელთა წინამძღოლნიც ერთიანი საქართველოს მეფის დროინდელი ტიტულატურით იყვნენ აღჭურვილი, დავითის მეფობის პირველ ეტაპზე სამხედრო ოპერაციებს აწარმოებენ ქართლის სამეფოს წინააღმდეგ.

ჩვენ აქვე გვინდა შევეხოთ ქართველი მეფეების ტიტულატურის მნიშვნელობის საკითხს, რომელიც უაღრესად საინტერესო ასახვას ჰპოვებს ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებზე XVI საუკუნეში.

ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის კახეთის მეფეები დიდი გულმოდგინებით ცდილობენ თავიანთი პატივმოყვარე ზრახვების ტიტულატურაში ასახვას. 1511 წლის სიგელში ავგიორგი საკუთარ თავზე გვეუბნება: „განმაერთებელმან ლიხთიმერისა და ლიხთამერისამან ორისავე ტახტისა და სამეფოსამან მტკიცედ მპყრობელმან აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან... პატრონმა მეფეთა-მეფემან გიორგი“ (ს. კაკაბაძე, 1913, გვ. 44-45). კახეთის სხვა მეფეებიც XVI საუკუნეში დაახლოებით ანალოგიურ ტიტულატურას ატარებენ.

დოროთეოს პატრიარქმა სამცხის საეკლესიო სეპარატიზმის იდეის პრაქტიკულად განსახორციელებლად საგანგებო დოკუმენტი შეადგინა (წიგნი ანტიოქიის პატრიარქის დოროთეოსისა მაწყუერელისათვის ეპისკოპოსის კურთხევის უფლების მინიჭების შესახებ, XVI ს. დასაწყისი) (ქსძ, 1970, გვ. 240-241). ანტიოქიის პატრიარქმა სამცხის ათაბაგს ახლებური წოდებულება მოუნახა და მას „დიდისა პატრონის“ და „დიდსა მეფისა ჩუენისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ჴელმწიფისა, პატრონისად“ იხსენიებს (ქსძ, 1970, გვ. 240). აღსანიშნავია, რომ ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც წყაროებში სამცხის ათაბაგს მეფისა და ხელმწიფის წოდებულება აქვს მიკუთვნებული (ივ. ჯავახიშვილი, 1982, გვ. 331).

მზეჭაბუკ ათაბაგის დიდი მცდელობის მიუხედავად, საბოლოოდ სამცხის ეკლესიამ მცხეთის საკათალიკოსოდან დამოუკიდებლობის მოპოვება ვერ მოახერხა. საეკლესიო სეპარატიზმის იდეამ თავად მზეჭაბუკის კარიერაც ცუდად წარმართა: „საფიქრებელია, რომ მზეჭაბუკის ქართლის მეფესთან და საქართველოს კათალიკოსთან საეკლესიო ბრძოლაში დამარცხებამ გამოიწვია მისი შემონაზონება იაკობის სახელით და შესაძლებელია ამ მთავრობის მოყვარე ძლიერი პოლიტიკური მოღვაწის სიკვდილიც დააჩქარა“ (მასალები, 1961, გვ. 137).

უკვე 1518 წელს ათაბაგ ყვარყვარე III-ის გაცემული სიგელი აჩვენებს, რომ სამცხე საეკლესიო განკერძოებაზე ხელს იღებს (ქრონიკები, 1897, გვ. 335). ამ ეტაპზე სამცხის მმართველი სეპარატისტი წრეები იძულებული იყვნენ საქართველოს კათალიკოსის ავტორიტეტის წინაშე ქედი მოეხარათ.

ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობები მას შემდეგ კიდევ უფრო დაიძაბა, რაც ქართლის სამეფო ტახტზე კონსტანტინე II შეცვალა დავით X-მ (1505-1525). დავით X-ის მეფობის პირველ წლებში ქართლის ხელისუფლება დასუსტებულია. 1503-1505 წლებში ქართლის სამეფო კარზე დაპირისპირება იყო, რის შემდგომ კონსტანტინე II ბერად აღიკვეცა: დავით X-მ, მართალია, გამეფება მოახერხა, მაგრამ სამეფო ტახტზე მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე თავისი ძმა გიორგი მას ოპოზიციაში ედგა და საბოლოოდ აიძულა კიდეც, რომ 1525 წელს ბერად შემდგარიყო (გ. საითიძე, 1997, გვ. 24-27). დავით X-ის არამყარი პოზიციები სამეფო კარზე ხელს უწყობდა იმას, რომ სხვა ქართული სამეფო-სამთავროები, რომელთა წინამძღოლნიც ერთიანი საქართველოს მეფის დროინდელი ტიტულატურით იყვნენ აღჭურვილი, დავითის მეფობის პირველ ეტაპზე სამხედრო ოპერაციებს აწარმოებენ ქართლის სამეფოს წინააღმდეგ.

ჩვენ აქვე გვინდა შევეხოთ ქართველი მეფეების ტიტულატურის მნიშვნელობის საკითხს, რომელიც უაღრესად საინტერესო ასახვას ჰპოვებს ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ურთიერთობებზე XVI საუკუნეში.

ჩვენთვის საინტერესო ხანისათვის კახეთის მეფეები დიდი გულმოდგინებით ცდილობენ თავიანთი პატივმოყვარე ზრახვების ტიტულატურაში ასახვას. 1511 წლის სიგელში ავგიორგი საკუთარ თავზე გვეუბნება: „განმაერთებელმან ლიხთიმერისა და ლიხთამერისამან ორისავე ტახტისა და სამეფოსამან მტკიცედ მპყრობელმან აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან... პატრონმა მეფეთა-მეფემან გიორგი“ (ს. კაკაბაძე, 1913, გვ. 44-45). კახეთის სხვა მეფეებიც XVI საუკუნეში დაახლოებით ანალოგიურ ტიტულატურას ატარებენ.

არც იმერთა მეფეები ერიდებიან დიდ ტიტულატურას. ალექსანდრე I და მისი ძე ბაგრატ VI ორივე ტახტის მპყრობელებად წარმოგვიდგენენ თავს (ე. ხოშტარია, 1978, გვ. 197). ამათი მემკვიდრეებიც არ უარობენ დიდ ტიტულატურას.

ამ მეფეების მიერ ასეთი სახის ტუტულატურის საკუთარ თავზე მიკუთვნების საფუძველზე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა მოსაზრება, რომ ის ქართველი მეფეები, რომლებიც ამ ტიტულატურას ატარებდნენ, არ ურიგდებოდნენ ქვეყნის დაშლას და გაერთიანების სულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალული. ამ მოსაზრების სისწორე საეჭვოა. სახარების ერთ-ერთი ფუძემდებლური სენტენციაა: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“. ჩვენთვის საინტერესო ხანის იმერეთისა და კახეთის მეფეთა „საქმენი“. არ აჩენს ქვეყნის ერთიანობისათვის მათ სწრაფვას. ქვეყნის ერთიანობა მეფის რანგში მათ არსებობას გამორიცხავდა. პრაქტიკულად, ეს მეფეები დაინტერესებული იყვნენ ქვეყნის დაშლით.

იმერეთისა და კახეთის მეფეებისათვის ამ ტიტულატურის ქონის საფუძველი რეალურად სულ სხვა რამ უნდა იყოს, ვიდრე ქვეყნის გაერთიანების სურვილის ქონაა. ეს იყო პოლიტიკური სპეკულაცია. ის მეფე, რომელიც საკუთარ თავს ტრადიციულ ტიტულატურას აკუთვნებდა, ქართლის მეფეზე თუ სხვა რომელიმე ქართველ მეფე-მთავარზე „გალმა შეედავე, გამოლმა შეგრჩება“ პრინციპის შესაბამის ზემოქმედებას ლამობდა და თავისი უშუალო საბრძანებლის განუყოფელ მფლობელობაზე ზრუნავდა.

ახლა რაც შეეხება „ტფილისის ტახტის“ მპყრობელი ქართლის მეფეებისათვის ტრადიციული ტიტულატურის ქონის ფაქტს. ამ შემთხვევაში, მართლაც შეიძლება ითქვას, რომ ერთიანობის იდეა ტიტულატურაში ცოცხლობდა. ამას ისევ ქართლის მეფეთა გაკეთებული საქმენი აჩენს. ქართლი მთავარი მემკვიდრე იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოსი და მისი მეფენი განსაკუთრებით კი ლუარსაბ I და სიმონ I, თავდადებით იბრძოდნენ საერთო ქართული ინტერესებისათვის. მათი გამარჯვება საბოლოოდ ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენაში უნდა გამოხატულიყო და თუ ეს ასე არ მოხდა, ამის მიზეზი ძლიერ მავნე საგარეო ფაქტორის ზემოქმედებასთან ერთად თანამოძმე სეპარატისტების პოზიციაც იყო.

ქართლის სამეფო ხელისუფლების სისუსტის თავის სასარგებლოდ გამოყენება პირველად იმერთა მეფე ალექსანდრე II-მ სცადა და 1509 წელს ქართლის სამეფოს წინააღმდეგ ლაშქრობა მოაწყო. ქართლის ტერიტორიაზე გადასული იმერეთის მეფე გორს მიადგა ასაღებად. ეს დავით X-ს შეატყობინეს. მაგრამ ქართლის მეფემ საბრძოლველად მოსვლა არ ინება და ალექსანდრე II-მ გორი აიღო (ვახუშტი, 1973, გვ. 392).

ამასობაში, ვიდრე ალექსანდრე II ქართლში იყო, 1510 წელს ოსმალეთის ჯარი ტრაპიზონის ფაშის სელიმის მეთაურობით სამცხეში შემოვიდა. მზეჭაბუკათაბაგმა ოსმალებს მორჩილება გამოუცხადა. ოსმალთა ჯარმა გზა მზეჭაბუკის მეგზურობით განაგრძო და იმერეთში შევიდა. ოსმალებმა იმერეთი დაარბიეს, დიდი ზიანი მიადგა ჭუთაისს, მტერმა დაანგრია გელათის ეკლესია და ბაგრატის ტაძარი. ამ დროს ალექსანდრე II-ს ხმა მიაწვდინეს იმერეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მაგრამ სანამ იმერთა მეფე უკან დაბრუნდებოდა, ოსმალებმა დატოვეს იმერეთის ტერიტორია და სამცხის გავლით საქართველოს გაეცალნენ (ახალი ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 487; ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა), 1980, გვ. 40; ვახუშტი, 1973, გვ. 711, 810; ივ. ჯავახიშვილი, 1967, გვ. 210-212; მ. რეხვიაშვილი, 1989, გვ. 25).

ბაგრატის ტაძარი საქართველოს წარსულის და აწმყოს უნიკალური ფენომენია. „ტაძარი საქართველოს ერთიანობის სიმბოლო-ემბლემა! აი, რა არის ბაგრატი. მისი აგებით აღინიშნა საქართველოს პოლიტიკური გამთლიანება... ბაგრატ III-ის მიერ შექმნილი საქართველოს საბოლოო დაშლას მოჰყვა შედეგად ქუთაისის კათედრალის დანგრევაც. დანაწევრებულმა ქვეყანამ ტაძარს ვერ მოუარა, ვერ შეინარჩუნა“ (გ. მჭედლიძე, 1996, გვ. 5-6).[1]

XVI საუკუნის დასაწყისში ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის ნორმალური ურთიერთობა სუფევდა. მაგრამ XVI საუკუნის 10-იანი წლების დამდეგისათვის ამ ურთიერთობამ მშვიდობიანი ხასიათი დაკარგა. ქართლისა და კახეთის დაპირისპირების უშუალო ინიციატორი ალექსანდრე კახთა მეფის ფეოროსი ძე გიორგი იყო, რომელმაც მამისა და უმცროსი ძმის დიმიტრის წინააღმდეგობის მიუხედავად ქართლის მიმართ ლაშქრობების განხორციელებას მიჰყო ხელი. კახეთის სამეფო ოჯახში არსებული დაპირისპირება საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ 1511 წელს საფურცლეს გიორგიმ მამა ალექსანდრე სიცოცხლეს გამოასალმა, ხოლო უმცროს ძმა დიმიტრის თვალები დათხარა (ახალი ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 487; ბერი ეგნატაშვილი, 1959, გვ. 350; ვახუშტი, 1973, გვ. 350).

სისხლიანი აქტის ორგანიზატორი თანამედროვეებმა და შთამომავლობამ ავგიორგად შერაცხა. ავგიორგი ამ დროიდან კახეთის სამეფოს წინამძღოლი გახდა და ქართლის წინააღმდეგ თავისი ლაშქრობების ინტენსივობა გაზარდა.

დავით X-მ ავგიორგის პრობლემა თავისი უმცროსი ძმის ბაგრატის მხარდაჭერით გადაჭრა. ბაგრატმა მოითხოვა, რომ მისთვის მუხრანი გადაეცათ და ის დაპირდა, რომ ავგიორგის თარეშს ბოლოს მოუღებდა. დავით X-მ ბაგრატის მოთხოვნა შეასრულა, ასე შეიქმნა 1512 წელს ქართლის შუაგულში ახალი სათავადო - სამუხრანბატონო. ამიერიდან ბაგრატი თავადია. მისი აქტიურობა ავგიორგის მიმართ საერთოდ უანგარო არ აღმოჩნდა, თუმცა თავად მის წინააღმდეგ ბაგრატს თავი არ შეუურცხვენია. 1513 წელს ავგიორგი ქართლზე თავისი მორიგი ლაშქრობის შემდეგ უკან ბრუნდებოდა, როცა მას ბაგრატი ძალისის ხევში ჩაუსაფრდა და დაატყვევა. ავგიორგი მტკვრის ციხეში მოათავსეს, საიდანაც ცოცხალი აღარ გამოსულა (ახალი ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 498; ბერი ეგნატაშვილი, 1959, გვ. 489; ვახუშტი, 1973, გვ. 394).

ავგიორგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრადიციულ ტიტულატურას ატარებდა და მისი ქართლის მიმართ წარმოებული კამპანია ე. ხოშტარიას და მ. კაპანაძეს აძლევთ იმის საფუძველს, რომ ეს ქმედება ტიტულატურაში არსებული ერთიანობის იდეის პრაქტიკულ რეალიზაციად მიიჩნიონ (ე. ხოშტარია, 1978, გვ. 196; მ. კაპანაძე, 2005, გვ. 11). ჩვენთვის ასეთი პოზიცია მიუღებელია და ვფიქრობთ, რომ ყველაზე მკაფიოდ სწორედ ავგიორგის მოღვაწეობის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ სეპარატისტი მეფეებისათვის ტიტულატურა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური სპეკულაციის საგანი იყო.

ამგვარად, XVI საუკუნის დასაწყისში ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია დაპირისპირება

1. ნიშანდობლივია, რომ ბაგრატის ტაძარი დღემდე არ არის აღდგენილი, თუმცა სულ ახლახან ტაძრის აღსადგენად სამუშაოები დაიწყო. ბაგრატის ტაძრის აღდგენა უცილობლად ქართველი ხალხის საუკუნოვანი ოცნებისათვის ფრთების შესხმა იქნება.

და დაძაბულობა. ამ ურთიერთობების ცენტრში ქართლის სამეფო იყო, რომელიც როგორც ერთიანი ქართული სახელმწიფოს მთავარი მემკვიდრე სეპარატისტული სამეფო-სამთავროების სხვადასხვა სახის შემოტევებს განიცდიდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ქართლის მეფის ხელისუფლება ძლიერი არ იყო, ქართლმა სეპარატისტული სამეფო-სამთავროების შემოტევებს გაუძლო, რადგან ქართლზე შეტევისას მოწინააღმდეგეებმა ერთურთთან დაკავშირება ვერ შეძლეს და დამოუკიდებლად, უცხო ძალის დახმარების გარეშე მათთვის ქართლის დამარცხება შეუძლებელი აღმოჩნდა. იმ ვითარებაში, როცა ოსმალეთისა და ირანის სახელმწიფოები საქართველოს სრული დაპყრობით ემუქრებოდნენ, ქართული სამეფო-სამთავროების ურთიერთდაპირისპირება დაშლის პროცესს აღრმავებდა და საქართველოს ეროვნულ ინტერესებს დიდ საფრთხეს უქმნიდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ახალი ქართლის ცხოვრება, 1959 - ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959.

ვ. გუჩუა, 1973 - ვ. გუჩუა, ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.

ბერი ეგნატაშვილი, 1959 - ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი: „ქართლის ცხოვრება“ , II, თბ., 1959.

ვახუშტი, 1973 - ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა: „ქართლის ცხოვრება“ , IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

ს. კაკაბაძე, 1913 - ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, ტფ., 1913.

მ. კაპანაძე, 2005 - მ. კაპანაძე, ქვეყნის გაერთიანების ეპიზოდური მცდელობანი XVI საუკუნის პირველ მესამედში, ქუთაისი, 2005.

მასალები, 1961 - სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI ს.ს.) ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებელი, ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961.

გ. მჭედლიძე, 1996 - გ. მჭედლიძე, ბაგრატ მესამის საქართველო, ქუთაისი, 1996.

მ. რეხვიაშვილი, 1997 - მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.) თბ., 1989.

გ. საითიძე, 1997 - გ. საითიძე, კონსტანტინე ყოფილი კირილე (XVII საუკუნის ქართლის სამეფოს ისტორიიდან): „არტანუჯი“, 6, 1997.

ქრონიკები, 1897 - ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი ი. ჟორდანიას მიერ, II, ტფ., 1897.

ქსძ, 1970 - ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ., 1970.

ცხოვრება საქართველოჲსა, 1980 - ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.

ე. ხოშტარია, 1978 - ე. ხოშტარია, საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის იდეის ასახვა ქვეყნის დაშლილობის ხანის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში: „მრავალთავი", VI თბ., 1978.

ივ. ჯავახიშვილი, 1967 - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV თბ., 1967.

ივ. ჯავახიშვილი, 1982 - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, ნაწილი მეორე (XV ს.): თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ., 1982.

MAMUKA MENABDE, DAVID MINDIASHVILI

FROM THE HISTORY OF THE INTERNAL POLITICAL RELATIONSHIPS BETWEEN GEORGIAN KINGDOMS AND PRINCIPALITIES IN THE BEGINNING OF THE16TH CENTURY

In the beginning of the 16th c. Georgia witnessed a very grave political situation in the country. Small kingdoms and principalities formed as a result of disintegration of the unitary state. The crumbling process was compounded by vying between the units. Foreign policy was painful. Ottoman Turks and Iran threatened with the invasion of the country. Mzechabuki, Atabag of Samtskhe (1500-1515) tried to take advantage of the troublesome situation and cut off the Samtkhe dioceses from the Mtskheta Catholicosate, however, owing to the great honour of the Patriarch Mzechabuki could not succeed in his attempts.

During the years 1505-1525 Kartli was ruled by David X. He did not exercise strong authority of the initial years of his reign. Using David X's weakness for their own benefit Kings of Imereti and Kakheti carried out military raids against the Kartli Kingdom. More than that Kings of Imereti and Kakheti retained the same titles as those of the King of united Georgia as a political speculation to justify their actions. In fact they were separatist kings who undermined the idea of the unitary state. They failed to ally themselves with each other against Karli and their independent attempts proved insufficient to subjugate the kingdom without the assistance from the alien forces. *In this state of affairs when Ottoman Turks and Iran gathered* [illegible] clouds over the country for its complete occupation, the animosity between [illegible] and principalities greatly endangered the common national

მამუკა მენაბდე,
დავით მინდიაშვილი

იმერეთისა და სამცხის ურთიერთობის ისტორიიდან XVI საუკუნის 30-40-იან წლებში

გვიანი შუასაუკუნეების მთელ მანძილზე საქართველოს ძლიერი სამხრეთელი მეზობლის - ოსმალეთის აგრესიისაგან თავის დაცვა უწევდა. ოსმალეთის საქართველოზე შეტევის ერთ-ერთი მთავარი გზა სამცხე-საათაბაგოზე გადიოდა. XVI საუკუნის 30-იან წლებში იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565) შეეცადა სამცხეზე თავისი ხელისუფლება გაევრცელებინა, რაც საქართველოს მიმართ ოსმალეთის აგრესიის შენელების წინაპირობა უნდა გამხდარიყო. ბაგრატის იდეა, რომ ამ მხარეზე თავისი ძალაუფლება გაევრცელებინა, დიდი რისკის შემცველი იყო, რადგან ოსმალეთი სამცხეს თავისი საქართველოზე შეტევის მთავარ პლაცდარმად განიხილავდა, სამცხის მმართველ წრეებთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა და მოსალოდნელი იყო, რომ სამცხის მიმართულებით გააქტიურებულ იმერთა მეფეს ოსმალეთიდან მკაცრი რეაქცია მიეღო.

ბაგრატ III-მ, ვიდრე ის სამცხის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის ჩასატარებლად გადავიდოდა, გურიის მთავარ როსტომ გურიელს (1534-1564) და ოდიშის მთავარ ლევან დადიანს (1533-1572) სამხედრო ძალით დახმარებისაკენ მოუწოდა. იმერთა მეფემ "აღუთქვა გურიელსა რომელიცა ეპყრა პირველ სამცხისანი. ესე განიხარა გურიელმან და მიერთო ბაგრატს. ხოლო დადიანი უნებლიეთად შიშისათჳს მოერთო იგიცა ბაგრატს" (ვახუშტი, 1973, გვ. 712). გურიელს ბაგრატ III ყვარყვარე III ათაბაგის (1515-1535) დამარცხების შემთხვევაში აჭარისა და ჭანეთის გადაცემას შეპირდა, რასაც მოვლენათა შემდგომი განვითარება ადასტურებს.

ბაგრატ III-ის, როსტომ გურიელისა და ლევან დადიანის გაერთიანებულ ლაშქარს ყვარყვარე III თავისი ლაშქრით ახალქალაქის ახლოს მურჯახეთთან დაუხვდა, სადაც 1533 წლის 12 აგვისტოს შედგა ბრძოლა, რომელშიც სამცხის ლაშქარი დამარცხდა. ყვარყვარე III როსტომ გურიელის მერიქიფე ისაკ ართუმელაძემ შეიპყრო და გურიელს მიჰგვარა, გურიელმა კი სამცხის ათაბაგი ბაგრატ III-ს გადასცა. ყვარყვარე III ბაგრატის ტყვე გახდა და მალე ამის შემდგომ იმერეთში პატიმრობაში გარდაიცვალა. როსტომ გურიელმა მურჯახეთის ბრძოლის შემდგომ ბაგრატ იმერთა მეფისაგან აჭარა და ჭანეთი მიიღო (ახალი ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 487; ბერი ეგნატაშვილი, 1959, გვ. 354; ცხოვრება საქართველოსა, 1980, გვ. 42; ვახუშტი, 1973, გვ. 712-713, 811; ქრონიკები, 1897, გვ. 381).

ამ დროიდან გარკვეული ხნით სამცხის სეპარატისტულმა სახელმწიფოებრიობამ არსებობა შეწყვიტა. სამცხის თავადური რეაქცია არ აპირებდა შექმნილ მდგომარეობასთან შერიგებას, საათაბაგოს დიდმა თავადმა ოთარ შალიკაშვილმა ყვარყვარე III-ის ძე ქაიხოსრო სტამბოლს წაიყვანა და სულთანს დახმარება თხოვა (ვახუშტი, 1973, გვ. 713; ვ. გუჩუა, 1973, გვ. 104).

ოსმალეთის ხელისუფლებამ სამცხის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის ჩატარება გადაწყვიტა. 1536 წლის 4 ივლისს არზრუმის ბეგლარბეგი მეჰმედ ხანი თავისი ლაშქრით სამცხის მიმართულებით დაიძრა. სამცხეში ოსმალთა

ათის შემოჭრას, ტაოსა და კლარჯეთის დაპყრობილ ტერიტორიაზე ოლთისის, ...ის, კისკიმისა და ნარმანის სანჯაყების დაარსება მოჰყვა. ეს ფაქტი იმაზე ...ებს, რომ ოსმალებმა სამცხეში დაპყრობილ ტერიტორიაზე დაიწყეს ... მმართველობისა და წესების დანერგვა - ქვეყნის გაოსმალება (მ. ..., 1971, გვ. 57).

საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილზე უცხო ქვეყნის, კერძოდ, ...ეთის მმართველობისა და წესების დანერგვა უდიდესი უბედურების ...ებელი იყო და საქართველოს ამ ნაწილში ქართველობის აღმოფხვრისა ... გადაგვარების წინაპირობას წარმოადგენდა. ამ დროს იმერთა მეფისაგან ...ირო კონტრზომების მიღების შესახებ ჩვენ ცნობები არ მოგვეპოვება. ...ოდ კი, 1536 წლის არზრუმის ბეგლარბეგის მეჰმედ ხანის სამცხეში ...ორციელებულმა ლაშქრობამ ქაიხოსროს ათაბაგობა ვერ მოუტანა და ... შემდგომ ბაგრატ III ერთხანს კიდევ ცდილობდა სამცხის მიმართულებით ... პოზიციების დაცვას.

ამასობაში საქართველოს წინააღმდეგ თავისი ლაშქრობების სერიის ...ორციელებას შეუდგა ირანის შაჰი თამაზი (1524-1576). შაჰ-თამაზმა ...ართველოს წინააღმდეგ ოთხი ლაშქრობა განახორციელა. ამ ლაშქრობებს ... გავლენა ჰქონდა ქართული სამეფო-სამთავროების შიდაპოლიტიკურ ...ურთიერთობებზე. ისე გამოვიდა, რომ ამ ლაშქრობათა შედეგად ქართლის ...ეფომ დაკარგა თავისი მოკავშირეები — კახეთისა და იმერეთის სამეფოები, ...ელთა მეფეებმაც მორჩილება გამოუცხადეს შაჰ-თამაზს (ვ. სილოგავა, კ. ...ველია, 2007, გვ. 170). საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ...ისა, რომ ქართლის სამეფო და მისი წინამძღოლი ლუარსაბ I (1527-1556), ...ერთა მეფე ბაგრატის და კახთ მეფე ლევანის (1518-1574) მიერ შაჰ-თამაზის ...ინააღმდეგ ბრძოლაში მარტო იყო მიტოვებული, თავად ლუარსაბი იმერეთისა ... კახეთის წინამძღოლებს, როცა მათ ქართლის მეფის დახმარება ჰირდებოდათ. ...ალოგიურად არ პასუხობდა და მტერთან ბრძოლაში მარტო არ ტოვებდა.

ოსმალებმა 1543 წელს კიდევ ერთხელ განახორციელეს ლაშქრობა ...ამცხის წინააღმდეგ. სამცხის თავადური რეაქცია ყოველნაირად უწყობდა ...ელს ოსმალთა ამ ლაშქრობას. ოსმალთა ლაშქრობა, რომლის შემადგენლობაში 22 ათასი მეომარი შედიოდა, არზრუმის მმართველი მუსა ფაშა სარდლობდა. ბაგრატ იმერთა მეფემ საჭირო ზომები მიიღო: შეკრიბა ლაშქარი, ციხეები ...ამაგრა და გურიელსა და დადიანს ერთიანი მოქმედებისაკენ მოუწოდა. ...ოსტომ გურიელი მეფის გვერდით დადგა, ხოლო ლევან დადიანმა ბაგრატს დახმარებაზე უარი განუცხადა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მურჯახეთის ბრძოლის შემდგომ გურიელმა ბაგრატისაგან აჭარა და ჭანეთი მიიღო. მოვლენების ასეთი განვითარებით დადიანი უკმაყოფილო დარჩა, ვინაიდან არც იმერეთის მეფის და არც გურიელის გაძლიერება მას არ სურდა. ამაში მან თავისთვის საფრთხე დაინახა და განდგომა გადაწყვიტა და მან ეს ახლა გამოამჟღავნა, როცა სამცხეში ოსმალთა ჯარი შემოიჭრა (მ. რეხვიაშვილი, 1989, გვ. 34).

ოსმალთა ლაშქარი, რომელიც ევროპული ზარბაზნებით იყო შეიარაღებული, ბრძოლით მიადგა ოლთისის ციხეს. ოლთისის ციხის მცველები სასტიკ უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ, მაგრამ მათ გამარჯვების მცირე შანსი ჰქონდათ, რომ ბაგრატ მეფეს თავისი სამხედრო ნიჭიერების დემონსტრაცია არ მოეხდინა. იმერთა მეფემ თავდაპირველად მუსა ფაშა თავისი ლაშქრის

ერთი ნაწილით ოლთისის ციხის მიდამოებიდან გაიტყუა, შემდგომ კი ჯერ ოლთისის ციხესთან დარჩენილი ოსმალთა ლაშქარი გაანადგურა, მერე კი მუსა ფაშას თანმხლებ ლაშქარს ჭარაღაჭთან დაეწია და იქ მოუღო ბოლო. თავად არზრუმის მმართველი მუსა ფაშა ბრძოლაში დაიღუპა (ახალი ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 498; ბერი ეგნატაშვილი, 1959, გვ. 358; ვახუშტი, 1973, გვ. 713, 812; იბრაჰიმ ფეჩევი, 1964, გვ. 26-27; ჰასან რუმლუ, 1966, გვ. 23-24).

მნიშვნელოვანია, რომ 1543 წელს სამცხეში შემოჭრილ ოსმალებს ბაგრატ III-ის ლაშქართან ერთად თავად სამცხის მოსახლეობა უპირისპირდებოდა და ეს ერთიანობა ერთ-ერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო იმისა, რომ ამ დროს ქართველებმა მტერზე გამარჯვება მოიპოვეს. ამასთანავე, იმის შესახებაც უნდა აღინიშნოს, რომ ოლთისი, როგორც უკვე ვიცით, ერთ-ერთი სანჯაყის ტერიტორიაზე მდებარეობდა და ოსმალიზაციის პროცესში იყო ჩათრეული და იქაურ მეციხოვნეთა გმირული ბრძოლა კარგად აჩვენებს იმ წინააღმდეგობას, რაც ოსმალეთის იმპერიას იქ გაოსმალების პროცესში ხვდებოდა და ასეთი წინააღმდეგობა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე ოსმალეთის მიმართ საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა.

ამის შემდგომ ოთარ შალიკაშვილმა და ქაიხოსრომ კვლავ ერთხელ თხოვეს დახმარება ოსმალებს. თუმცა ოსმალებს თხოვნა არც სჭირდებოდათ, ისინი შექმნილ მდგომარეობასთან შეგუებას ისედაც არ აპირებდნენ. 1545 წელს სამცხეში არზრუმსა და დიარბექირის ფაშების სარდლობით ოსმალთა დიდი ლაშქარი შემოვიდა. ბაგრატ III-მ ისევ თხოვა დახმარება გურიელსა და დადიანს. გურიელი თავისი ლაშქრით ბაგრატის გვერდით დადგა, ხოლო დადიანმა ბაგრატს დახმარებაზე ამჯერადაც უარი განუცხადა.

ბაგრატმა ქართლის მეფესაც თხოვა ოსმალების წინააღმდეგ სამხედრო ძალით დახმარება. ეს ფაქტი ძალიან საინტერესოდ აქვთ აღწერილი ქართველ ისტორიკოსებს, ისინი არა მარტო ფაქტს გადმოგვცემენ, არამედ იქვე ერთგვარად განაზოგადებენ კიდეც ლუარსაბის მთელ მოღვაწეობას. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, როდესაც ბაგრატმა შეიტყო დიდი ლაშქრის საქართველოში წამოსვლის ამბავი, მათ წინააღმდეგ საბრძოლველად დაჰპატიჟა მეფესა ქართლისასა ლუარსაბს... ხოლო მეფესა ქართლისასა ლუარსაბს დაღაცათუ არაერთ უშუელებოდა უსჯულოთა ზედა, არამედ თჯთ რაოდენ ძალ-ედვა არა დაზოგა თავი და წარვიდის და მიეშუელის, რამეთუ ეძღებოდა საქართველოსათჯს, ვითარცა მამასა შვილთათჯის, და შეიყარა სპა თჯისი და წარვიდა ბაგრატთან (ბერი ეგნატაშვილი, 1959, გვ. 358). მართლაც, როდესაც 1545 წელს ბაგრატის დასახმარებლად ლუარსაბის წასვლას აღწერენ, ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის ავტორი და ვახუშტი, ბერი ეგნატაშვილის მსგავსად აფასებენ ლუარსაბის პოლიტიკას ზოგადად (ახალი ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. ვახუშტი 1973, გვ. 403).

ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი ბასიანისაკენ გაემართა, სადაც დაბანაკებული იყო ოსმალთა ჯარი. ბრძოლის დაწყების წინ ქართველ შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. ქართველთა ბანაკში მყოფი მესხები მოითხოვდნენ, რომ წინამბრძოლობა აუცილებლად მათი ყოფილიყო. ლუარსაბის თანმხლებმა მეომრებმა წინამბრძოლობა არ დათმეს და მესხებმა ამის გამო ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღეს. ეს ბრძოლა კი 1545 წელს ბასიანში

სოხოისტას ველზე შედგა და ქართველთა დამარცხებით დასრულდა (ახალი ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 499-500; ბერი ეგნატაშვილი, 1959, გვ. 358; ვახუშტი, 1973, გვ. 403; ქრონიკები, 1897, გვ. 387).

სოხოისტას ბრძოლაში გამარჯვების შემდგომ ოსმალებმა ათაბაგად დასვეს ქაიხოსრო III (1545-1573). ამასთანავე, ოსმალებმა ამ დროიდან სამცხეში თავიანთი მმართველობისა და წესების დანერგვის პროცესი ძლიერ გააფართოვეს. ბაგრატ III შექმნილ მდგომარეობასთან შეგუებას არ აპირებდა და 1546 წელს თავისი ლაშქრით ისევ გადავიდა სამცხის ტერიტორიაზე, მაგრამ იმ პირობებში, როცა იმერთა მეფე მოკავშირეების გარეშე მოქმედებდა და ოსმალებს სამცხეში დიდი ძალები ჰყავდათ კონცენტრირებული, მის ლაშქრობას წარმატების პერსპექტივა არ ჰქონდა. ის კი აღსანიშნავია, რომ ამ ლაშქრობიდან უკან დაბრუნებისას ბაგრატ III-მ სამცხიდან იმერეთში აწყურის ღვთისმშობლის ხატი წაასვენა (ახალი ქართლის ცხოვრება, 1959, გვ. 500-501; ვახუშტი, 1973, გვ. 813).

ამის შემდგომ ქაიხოსრო II-ის ხელისუფლებას იმერთა მეფისაგან საფრთხე აღარ დამუქრებია და უფრო პირიქით ხდებოდა, ქაიხოსრო ათაბაგი ბაგრატ III-ის წინააღმდეგ მის ქვეშევრდომებს გურიელს და დადიანს აქეზებდა და ყოველნაირად უწყობდა ხელს მათი სეპარატისტული ზრახვების განხორციელებას.

ამგვარად, ბაგრატ III-ის 1535 წელს წამოწყებული კამპანია, რომელიც სამცხე-საათაბაგოს შემოერთებას ისახავდა მიზნად, მარცხით დამთავრდა. იმერთა მეფის გადაწყვეტილება, რომ სამცხე-საათაბაგოზე თავისი ხელისუფლება სამხედრო ოპერაციის გზით გაევრცელებინა, დიდი რისკის შემცველი იყო. ბაგრატ III-მ თავისი და მოწინააღმდეგეთა სამხედრო ძლიერება რეალურად ვერ შეაფასა. იმერთა მეფემ თავისი სამცხეში განხორციელებული შეტევითი ოპერაციით, რასაც მურჯახეთის ბრძოლა მოჰყვა, ოსმალეთი გამოიწვია. შემდგომ კი, როდესაც ოსმალეთმა სამცხეში თავისი მმართველობის და წესების დანერგვა დაიწყო და მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალების კონცენტრაცია გააკეთა, ბაგრატ III ოსმალეთის ღირსეული მოწინააღმდეგე ვერ აღმოჩნდა. ამიტომაც 1535-1546 წლებში ბაგრატ III-ის სამცხის მიმართ გამოვლენილი აქტივობა უარყოფით შეფასებას იმსახურებს. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმერთა მეფის და სამცხის მმართველი წრეებისა და ოსმალეთის იმპერიის დაპირისპირება 1545-1546 წლებში არ დასრულებულა და ეს დაპირისპირება ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ XVI საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს გურიისა და სამეგრელოს სამთავროებმა იმერეთის სამეფოსაგან სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ახალი ქართლის ცხოვრება, 1959 - ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი: „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II თბ., 1959.

ვ. გუჩუა, 1973 - ვ. გუჩუა, ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.

ბერი ეგნატაშვილი, 1959 - ბერი ეგნატაშვილი ახალი ქართლის ცხოვრება: „ქართლის ცხოვრება“, II, თბ., 1959.

ვახუშტი, 1973 - ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოჲსა: „ქართლის ცხოვრება“, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

მ. რეხვიაშვილი, 1989 - მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.), თბ., 1989.

მ. სვანაძე, 1971 - მ. სვანაძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბ., 1971.

ვ. სილოგავა, კ. შენგელია, 2007 - ვ. სილოგავა, კ. შენგელია, საქართველოს ისტორია, თბ., 2007.

იბრაჰიმ ფეჩევი, 1964 - იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნა დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964.

ქრონიკები, 1897 - ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი ტ. ჟორდანიას მიერ, II, ტფ., 1897.

ცხოვრება საქართველოჲსა, 1980 - ცხოვრება საქართველოჲსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.

MAMUKA MENABDE, DAVID MINDIASHVILI

FROM THE HISTORY OF THE RELATIONSHIP BETWEEN IMERETI AND SAMTSKHE IN THE 30- 40S OF THE 16TH CENTURY

In the 30s of the 16th century King Bagrat III (1510 - 1565) made efforts to expand his dominance over the Samtskhe principality. In 1535 he defeated Atabeg Kvarkvare III of Samtskhe in the battle of Mujakheti. After the defeat in the battle the separatist Samtskhe principality ceased its existence for a while. Ottoman authorities could not accept the existing state of affairs and launched an invasion in Samtskhe in 1536. From this time on Ottomans begin establishing their rules and governance here that meant creating prerequisites for the eradication of the Georgian element. King Luarsab I of Karli (1527-1556) supported the policy initiated by Bagrat III. However, the campaign mounted for the annexation of Samtskhe to Imereti ended up in the battle fought at Sokhoista where the united forces of Imereti and Kartli lost the battle against the Ottomans. After the Sokhoista battle Ottomans appointed Kaikhosro III (1545 - 1573), at the same time they enhanced the process of expanding their rules and form of governance.

The initiative exercised by King Bagrat III of Imereti with regard to Samtskhe in the 30s of the 16th century deserves negative assessment. In fact, beginning the military campaign in Samtskhe the king of Imereti undervalued adversary forces and eventually poured the oil for the activation of the Ottoman policy in the region. It is also noteworthy that the hostility between the King of Imereti and Samtskhe rulers with the Ottomans did not terminate in 1545. This conflict served one of the main reasons for the secession of Guria and Megrelia principalities and gaining complete political independence from Imereti Kingdom.

რუსუდან მიქაუტაძე

ქუთათური პრესა და ქართული ენის დაცვისათვის ბრძოლა XX საუკუნის 10-იან წლებში

XX საუკუნის დასაწყისში განათლების მდგომარეობა რუსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნებში, კერძოდ კი საქართველოში, სავალალო იყო. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ ამ სფეროში რუსიფიკატორული პოლიტიკის წარმატებით განხორციელება, სკოლებში ეროვნული ენის ამოძირკვა ერს გადააგვარებდა და მისი არსებობის ფესვებს გაანადგურებდა. სწორედ აქეთკენ იყო მიმართული ის რადიკალური ღონისძიებები, რასაც კავკასიის ოლქის მზრუნველები და მათი ჩინოვნიკები საქართველოს სკოლებსა და გიმნაზიებში ანხორციელებდნენ.

აქტიური შეტევა მშობლიური ენის წინააღმდეგ მე-19 ს-ის 70-იანი წლებიდან დაიწყო, როცა კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით (1873 წლის 21 დეკემბერი) გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში ადგილობრივი ენების და სხვა საეკლესიო აღმსარებლობის მასწავლებლები ამოღებულ იქნენ შტატიდან და მხოლოდ საათობრივი ანაზღაურების წესით იქნენ დატოვებულნი. ბრძანების IV პუნქტი ითვალისწინებდა ადგილობრივი ენების სწავლებას მხოლოდ მოსწავლეთა სურვილით (ტრ. ხუნდაძე, 1940, გვ. 19-25; ქცსა, ფ. 94, ს. 40, ფ. 135). მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან კი განათლების რუსიფიკაციას სათავეში ჩაუდგა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, რომლის მიზანი იყო ქართული ეროვნული განათლების განადგურება. ამ პოლიტიკის შედეგად 1881 წელს მიღებულ იქნა სასწავლო გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედო დაწყებითი სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნას.

მე-20 საუკუნის დასაწყისში კავკასიის სასწავლო ოლქმა შეიმუშავა ახალი გეგმები, რომლებშიც აქცენტი გადატანილ იქნა რუსული ენის უპირატეს შესწავლაზე მშობლიურ ენასთან შეფარდებით და მის ხარჯზე. კერძოდ, რუსული ენის შესწავლა იწყებოდა არა პირველი წლის მეორე ნახევრიდან, როგორც ეს ადრე იყო, არამედ ბავშვის სკოლაში შესვლისთანავე, ხოლო მშობლიური ენის შესწავლა მხოლოდ პირველი წლით იფარგლებოდა. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ზეწოლას განიცდიდნენ ქუთაისის გუბერნიის სკოლები. სახალხო სკოლების დირექტორმა ლევიტსკიმ და დეკანოზმა ვოსტორგოვმა სამონასტრო და სამრევლო სკოლებისათვის შეიმუშავეს ე. წ. მუნჯური მეთოდი. ამ მეთოდის იძულებითი დანერგვით მთავრობამ ქართული ენა უკუაგდო სკოლებიდან, მოგვიანებით კი, 1912 წლის ივნისის კანონით, მშობლიური ენა საერთოდ ამოიღო სავალდებულო საგანთა რიცხვიდან და ნებაყოფლობითი გახადა. საკითხის გადაწყვეტა საგნის სწავლების შესახებ პედაგოგიური საბჭოს კომპეტენცია გახდა. კანონში "ფრჩხილებში" მითითებული იყო, რომ საგნის სწავლების დროს უპირატესობა ენიჭებოდა "ბუნებრივ", "დედობრივ" ენას. ცარიზმი ამ პუნქტით კვლავ ცდილობდა განეახლებინა მე-19 საუკუნის ბოლოს სკოლებიდან ქართული ენის სწავლების ამოღება ადგილობრივი დიალექტების სასარგებლოდ (ტრ. ხუნდაძე. 1951, გვ. 91). მართალია, ეს კანონი მასწავლებელთა ძალისხმევით ნელა იკიდებდა ფეხს, მაგრამ ქუთაისში ამ მხრივ საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. 1912

წლის 5 ნოემბერს ქუთაისის სახალხო სკოლების I რაიონის ინსპექტორმა ერისთავმა მოითხოვა მასწავლებლებს, რუსული ენის შესწავლა მოსწავლეებს დაეწყოთ პირველი კლასის I სემესტრში და არა მეორეში, როგორც ეს ამამდე იყო. ქალაქის თვითმმართველობის სასკოლო კომისია დაუპირისპირდა დირექციის გადაწყვეტილებას და საკითხის გადასაწყვეტად კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ნ. ფ. რუდოლფს მიმართა. გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა ქართულმა პრესამაც. ქართულ საზოგადოებასთან ერთად იგი წინ აღუდგა განათლების სფეროში მიმდინარე დამარუსებელ პოლიტიკას.

მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის ქუთაისის პრესისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციების მუშაობის მთავარი მიმართულება ქართული ენის უფლებების დაცვისათვის ბრძოლა გახდა. გაზ. "იმერეთი" მოუწოდებდა ქართული ენის მასწავლებლებს, მოეწვიათ ყრილობა, შეემუშავებინათ საერთო პროგრამა როგორც დაბალი, ასევე საშუალო სასწავლებლებისათვის, ყოველი ღონე ეხმარათ, რომ კანონმდებლობით თუ უმაღლესი ნებართვით ქართულ ენას მინიჭებოდა სავალდებულო საგნის სტატუსი. პრესა მოუწოდებდა მასწავლებლებს სახელმწიფო ენად რუსულთან ერთად გამოცხადებულიყო ქართული ენა (გაზ. "იმერეთი", 1914, № 89). 1912 წლის 16 დეკემბერს მასწავლებელმა ე. ნაცვლიშვილმა (ლ. ბზვანელი) გაზ. "იმერეთში" გამოაქვეყნა წერილი, სადაც ამხელდა სახალხო სკოლების დირექციის თვითნებობას. ამის გამო იგი დაითხოვეს სამსახურიდან. ამან მასწავლებელთა აღშფოთება გამოიწვია და მათ უარი განაცხადეს გროზდოვის გეგმის შესრულებაზე. ამ უკანასკნელმა კი სასწავლო ოლქის ინსპექტორის წინაშე მოითხოვა პირველდაწყებითი კლასების ყველა მასწავლებლის სამსახურიდან დათხოვნა. ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლებმა აღნიშნული საკითხის დასმა სახელმწიფო სათათბიროში მოსთხოვეს დეპუტატ ვ. გელოვანს და აკ. ჩხენკელს. საკითხი მართლაც დაისვა სათათბიროში 1913 წლის 30 სექტემბერს, მაგრამ, როგორც გაზ. "იმერეთი" აუწყებოდა, დეპუტატი ჩხენკელი უფრო მეტად ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა და კონკრეტული საკითხები არ დაუყენებიაო" (გაზ. "იმერეთი", 1913, №№18, 29), ინცინდენტის აღმოსაფხვრელად ქალაქის თვითმმართველობამ მეფისნაცვალს მიმართა და რვა თვის ბრძოლის შემდეგ მასწავლებლები აღადგინეს თავიანთ უფლებებში.

სასკოლო დირექციასა და მასწავლებლებს შორის ასეთი დაძაბულობის დროს ქუთაისის პრესაში გამოქვეყნდა ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის გერშელმანის სტატია, სადაც ავტორი ასაბუთებდა მშობლიურ ენაზე პირველდაწყებითი სწავლის აუცილებლობას. "სხვა, უცხო ენაზე სწავლება გაუგებარი არის და სკოლისა და მეცნიერებისადმი ხალისს უკარგავს ყმაწვილებს, უკიდურესობამდე ართულებს სწავლის საქმეს. სკოლებიდან ქართული ენის განდევნა, ადგილობრივი ენისადმი უპატივცემულობა მხოლოდ სიძულვილს იწვევს ყოველგვარი რუსულისადმი (გაზ. "იმერეთი", 1913, № 111). დაპირისპირება საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ 1913 წლის ნოემბერში ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ახალმა დირექტორმა ვიშნევსკიმ გასცა ბრძანება, რომლის თანახმადაც ერთკლასიან და ორკლასიან სასწავლებლებში რუსული ენის არმცოდნე ბავშვებისათვის პირველ ნახევარ წელიწადში რუსულის სწავლება

არასავალდებულო გახდა. ეს იყო სახალხო სკოლების დირექციის მცირე დათმობა, მაგრამ ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა დიდი გამარჯვება ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში.

მე-20 საუკუნის 10-იანი წლების მეორე ნახევრიდან სახალხო განათლების სამინისტრომ შედარებით დაუთმო ადგილობრივ ერებს. 1915 წლის 21 თებერვალს ყრილობაზე ოლქის მზრუნველებს მოუწოდეს პირველდაწყებით სასწავლებლებში სწავლება დედა ენაზე ყოფილიყო, რაც შემდეგში მოსწავლეებს სახელმწიფო ენის შესწავლას გაუადვილებდა.

1915 წლის ნოემბერში ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის პედსაბჭომ მოითხოვა, გიმნაზიაში ქართველებისათვის ქართული ენა სავალდებულო საგნად გამოცხადებულიყო. ეს იყო პედაგოგიური კორპორაციის დიდი გაბედულება, მაგრამ სასწავლო ოლქმა იმხანად ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა (გაზ. "მეგობარი", 1915, №44).

მართალია, ქუთათური პრესა ყველას მოუწოდებდა, დაეცვათ ქართული ენის სიწმინდე, მაგრამ განსაკუთრებით მასწავლებლებს აკისრებდა დიდ როლს, თუმცა ზოგიერთი მათგანი "ჩაყოლის პოლიტიკას" ამჯობინებდა და უპრეტენზიოდ ასრულებდა სკოლის დირექციის მოთხოვნებს. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თანაუგრძნობდნენ განათლების სფეროში რუსიფიკატორულ პოლიტიკას. ისინი დადებითად აფასებდნენ განათლების სფეროს ქუთათურ ხელმძღვანელებს და მათ თანამშრომლებს, რომლებიც "გამსჭვალულნი არიან მისწრაფებით, რომ გააუმჯობესონ ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა და შეიტანონ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო ფხიზელი და გონიერი ურთიერთობები" (თ. საღარაძე, 1909, გვ. 109).

სასწავლო დაწესებულებებში ასეთი დაძაბული ატმოსფეროს არსებობის მიუხედავად, ქართველი მასწავლებლები მაინც ახერხებდნენ მოსწავლეებთან დაახლოებას, მათში ქვეყნისა და სამშობლო ენისადმი სიყვარულის გაღვივებას. კლასიკურ გიმნაზიაში ამ საქმეს ემსახურებოდნენ პეტრე მირიანაშვილი, მელიტონ ჩოგოვაძე, პარმენ თვალჭრელიძე (ცახელი). განსაკუთრებით დიდია ამ უკანასკნელის წვლილი კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. იგი მოსწავლეებს თავს უყრიდა ხან გიმნაზიის დარბაზში, ხან თავის სახლში და ესაუბრებოდა ერის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. მის გაკვეთილს "აღდგომის კვერცხივით ვუცდიდითო" — წერს ერთ-ერთი მოსწავლე (გაზ. "სამშობლო", 1915, №205). დიდი როლი შეასრულა პ. თვალჭრელიძემ შავრაზმელი კუსტინოვიჩის კლასიკური გიმნაზიიდან გაძევების საქმეში, როცა მან ქართულ ენას "ძაღლის ენა" უწოდა.

კლასიკურ გიმნაზიაში ქართულ ენას სხვებიც ეჭომაგებოდნენ. გიმნაზიის დირექტორმა კოტილევსკიმ იგი სავალდებულოდ გამოაცხადა და შემოიღო როგორც მე-8 კლასში, ისე მოსამზადებელ კლასებში. როცა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ერთ-ერთმა პედაგოგმა განაცხადა, რომ კლასიდან კლასში გადაყვანის დროს ქართულში მიღებული 2 არაფერს ნიშნავსო, დირექტორმა პედსაბჭოს სხდომაზე აღნიშნა: "რას ნიშნავს სავალდებულო არ არის? თუ ფრანგული, ნემეცური, ლათინური და სხვა ენები სავალდებულოა ქართველთათვის, ქართული ენა სავალდებულო არ არის? მე ვერ დაგეთანხმებით და ამიტომ ხელმეორედ ვუნიშნავ გამოცდებს აგვისტოშიო" (გაზ. "სამშობლო", 1915,

სწორედ მის დროს შეივსო კლასიკური და ქალთა გიმნაზიები ქართველი მასწავლებლებით იმგვარად, რომ კლასიკურში 2/3, ხოლო ქალთაში კი ყველანი ქართველები იყვნენ. ქართველებთან კარგი დამოკიდებულება გახდა მიზეზი მისი გადაყვანისა.

ქართული ენის სწავლების მხრივ უარესი მდგომარეობა იყო წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში. ერთი საწინააღმდეგო სიტყვა კმაროდა, რომ მასწავლებლის მმართველს დაეთხოვა მასწავლებელი. ცნობილი ბელეტრისტი ალ. ცინცაძე, რომელიც 1913-1917 წლებში ასწავლიდა აქ, შენიშნავდა: "ჩემს სიცოცხლეში ბევრჯერ არ განმიცდია ისეთი ტანჯვა, როგორ ზნეობრივ ტანჯვასაც აქ განვიცდიდიო". სასწავლებლის დირექტორი იახნენკო და მისი მოადგილე ბოლოვი დიდად მოძულენი იყვნენ ქართველი ერისა. აქ გამეფებული იყო ანტანიობა, მაბეზღარობა, მორჩილება, ქართული ენა საერთოდ განდევნილი იყო სასწავლებლიდან. სულ სხვა მდგომარეობა იყო სათავადაზნაურო გიმნაზიაში. აქ სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შვილები არა მარტო განათლების საქმეს, არამედ ყოველგვარ ეროვნულ წამოწყებას ედგა სათავეში. პეტრე და იოსებ ოცხელები, ილია მთავრიშვილი, გერასიმე ცაგარეიშვილი, სილოვან ხუნდაძე, იაკობ გოგებაშვილი, სიმონ ქვარიანი, დომენტი ოყრეშიძე, იაკობ ცინცაძე, ვასილ ბერეთელი, აკაკი ფაღავა, დიმიტრი უზნაძე და სხვები ცდილობდნენ სასკოლო დირექციასთან ფრთხილი, აწონდაწონილი მოქმედებებით აღეზარდათ მომავალი თაობა სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტებად.

ქუთაისის სასწავლებლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები პრესის საშუალებით აქტიურად ილაშქრებდნენ მთავრობის სამოსწავლო პოლიტიკის წინააღმდეგ, თუმცა ქართული ენის აბუჩად აგდების საქმეში ბრალს, უპირველეს ყოვლისა, თვით ადგილობრივ ინტელიგენციას და მათ ოჯახებს დებდნენ. სწორედ ისინი, ვისაც პირველ რიგში უნდა დაეცვა ქართული ენა, სირცხვილად მიიჩნევდნენ ქართულად საუბარს. ქუთათური პრესის ფურცლებზე არაერთი სტატია ეძღვნება ქართველი ინტელიგენციის "უნიადაგო" ცხოვრებას, მის უმოქმედობას და გადაგვარებას. მწვავე წერილებით პუბლიცისტები ცდილობდნენ ინტელიგენციის ფართო ფენების გამოღვიძებას, მათ შემობრუნებას საზოგადო პრობლემებისაკენ. უნდა შევნიშნოთ ერთი დეტალიც: კერძოდ, იმ სტატიების ირგვლივ, რომლებიც ეხება ქართველთა ჩამორჩენილობას, საკუთარი ენის დავიწყებას და ქართველი ერისათვის სხვა დამამცირებელი ფაქტების გამოაშკარავებას, ცენზურა დუმს და "ამ შემამკობელ მარგალიტებს" დეტალურად აწვდის მკითხველს, მაგრამ როცა საქმე ეხება მათი დაძლევის გზებსა და მოწოდებებს, იგი გულუხვად ჩეხავს სტატიების ამ ნაწილებს, რათა ხალხს და პუბლიცისტებს მოუსპოს ერთმანეთთან დაახლოებისა და საერთო ენის გამონახვის საშუალება.

ქართული ენის სწავლების პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გაზეთმა "კოლხიდამ", რომელიც რუბრიკით "შინაური მტრები" ბეჭდავდა სილოვან ხუნდაძის სტატიებს, სადაც იგი მოუწოდებდა ქუთაისის ინტელიგენციასა და ვაჭრებს, დაეცვათ დედა ენა ხელყოფისაგან და ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ქართველ ქალს, როგორც ოჯახის ბურჯს. ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილს კარგად ესმოდა, რომ სკოლის

გარდა სამშობლო ენის დამცველის ფუნქცია ოჯახს უნდა შეესრულებინა, სადაც მთავარი როლი დედას ენიჭებოდა. ამიტომაც ქართულმა პრესამ თავისი გულისწყრომა სწორედ ქართველი ქალებისა და დედების წინააღმდეგ მიმართა. ქუთაისის ეროვნულ-დემოკრატიულ პრესაში ჩნდება არაერთი სტატია, რომელიც მიმართულია მოკისკისე, ბანქო-ბაქარა-ფრაპის მოთამაშე "კარტველი კალების" წინააღმდეგ, რომელთაც ქართული არ იცოდნენ, უფრო მეტიც, სირცხვილად მიაჩნდათ დედა ენაზე საუბარი.

ვ. წერეთელი სტატიაში "ქუთაისის ქალების საყურადღებოდ" შენიშნავდა, რომ ერის გადაშენებასა თუ განვითარებაში ქალს დიდი როლი აქვს. "ჩვენი გადაგვარების მიზეზი ორგვარია: შკოლა და ოჯახი. შკოლის შესახებ ბევრი ითქვა და ითქმება, ოჯახზე კი ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას. გაუნათლებელ დედებს სასახელოდ მიაჩნიათ, თუ მათმა შვილებმა ქართული არ იციან. სწორედ ქალმა უნდა დაუდვას საფუძვლად შვილების აღზრდას დედა ენა" (გაზ. "კოლხიდა", 1911, №11). ამას დაემატა გაზ. "კოლხიდაში" ს. ხუნდაძის მთელი სერია წერილებისა "კარტველი კალები", სადაც ავტორი მკაცრად და მოურიდებლად აკრიტიკებდა თანამედროვე ქართველ ქალთა გაუნათლებლობას, ფუჭსავატობას, საზოგადოებრივი საქმეებისადმი ინდიფერენტულობას, მათ მიერ ქართული ენის უგულებელყოფას. იგი წერდა, რომ ქართველებს ეკარგებოდათ კულტურა, რომლის ბურჯს ოდითგანვე ქართველი ქალი წარმოადგენდა და რომ "რუსეთიდან ნასესხებმა კულტურამ დაამახინჯა ჩვენი ეროვნული თვისებები, უპ. ყოვლისა კი ენა, რომელიც საუკეთესო გამოხატულება იყო ერის გრძნობიერებისა". პრესაში დაიწყო ხანგრძლივი კამათი ინტელიგენციასა და ქართველ ქალებს შორის. სილოვანის სტატიებმა ისეთი აღშფოთება გამოიწვია ქართველ ქალებში, რომ მას "ქალთმოძულე" შეარქვეს და ბევრგან აღარ ესალმებოდნენ კიდეც. ამას მოჰყვა გაზ. "კოლხიდას" სარედაქციო წერილები, იპ. ვართაგავას, ნ. თავდგირიძის, აკ. წერეთლის და სხვათა სტატიები ქართველ ქალთა დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ისინი ცდილობდნენ თავიანთი მახვილი იუმორით, ხშირად კი მწარე გამონათქვამებით გამოეფხიზლებინათ ქართველი ქალები, გამოეყვანათ ისინი საზოგადოებრივ ასპარეზზე, მიეცათ მათთვის განათლება, რათა ისინი სათავეში ჩადგომოდნენ შვილების ეროვნულ ნიადაგზე აღზრდას, დაეარსებინათ ქალთა წრეები, სადაც განიხილავდნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ საკითხებს.

ქალთა შეგნებულმა ნაწილმა კრიტიკა სწორად გაიგო და შეა პრესაში გამოჩნდა ნ. დადიანის, "ჭიათურელი ქართველი ქალის", დ. ახვლე ქრ. დგებუაძის, "მგზავრი ქალის" და სხვათა წერილები, რომლებშიც დადასტურებული იყო გაზ. "კოლხიდაში" მოყვანილი ფაქტების სამართლია თუმცა ისინი ამ საქმეში თანაბარ პასუხისმგებლობას ანიჭებდნენ მამაკაც რადგანაც სწორედ მათ, განათლებამიღებულებმა ევროპასა და რუს შემოიტანეს ის ჩვევები და ფსევდოკულტურა, რომელმაც შეარყია ეროვნული თვითშეგნება, აბუჩად აიგდო ენა და ჩაცმულობა. რეაქ იზიარებდა ამ აზრს და შენიშნავდა, რომ ეროვნული ენის უცოდინ ეროვნული თავმოყვარეობის და ეროვნული თვითშეგნების არქონა იყო სენის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა დარაზმულიყვნენ ვაჟებიც და ქა ვისაც "სამშობლოს ბედნიერება საგულისხმოდ მიაჩნდა". 1911 წლის 7

ჟურნალ "კოლხიდაში" სილოვან ხუნდაძე წერდა, რომ მას შესრულებულად მიაჩნდა ის მიზანი, რისთვისაც დაიწერა სტატიები ე. წ. "კარტველი კალების" შესახებ: "საფიქრებელია, განათლებულ ქალებს როგორ არ ესმით, რომ მწერლობაში მოსაგები ხერხია იმისათვის, რომ მწერალმა მკითხველებზე გავლენა მოახდინოს, აუცილებელია მოვლენა ცხოვლად დაასურათოს და ამით ყურადღება მიიქციოს. ასეთი გონებადახშულ და ფუქსავატ არსებათათვის, როგორიც დღევანდელი ქართველი ქალების უმრავლესობაა. სილოვანის წერილის კილო სრულიად სამართლიანია, ფუქსავატთა ყოფაქცევა მხოლოდ დაცინვის ღირსია, რადგან ნამდვილი ადამიანი მხოლოდ საგრძნობელი ჩხვლეტით შეიძლება გამოვაღვიძოთ".

მიუხედავად ცენზურისა, ქუთათური პრესა მაინც ახერხებდა მოსახლეობაში ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას და მოუწოდებდა მათ ყოველი საშუალებით ებრძოლათ მშობლიური ენის დასაცავად და გადასარჩენად*.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

გაზ. "იმერეთი", 1913, №№ 18, 29, 111; 1914, № 89.

გაზ "კოლხიდა", 1911, № 11.

გაზ. "მეგობარი", 1915, № 44.

გაზ. "სამშობლო "1915, №№ 169, 205.

თ. საღარაძე, 1909 - Т. Сагарадзе, Культурно-историчесский очерк Западной Грузии, Кутаиси, 1909.

ქცსა - ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

ტრ. ხუნდაძე, 1940 - ტრ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, თბ., 1940.

ტრ. ხუნდაძე, 1951 - ტრ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1951.

---

* **მთავარი რედაქტორის შენიშვნა:**

XX საუკუნეში რუსეთის იმპერია ცდილობდა, დაემცრო ქართული ენის როლი და მოეშალა მისი, როგორც ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ფუნქცია; დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში ისევ ხდება ქართული ენის როლის გაუფასურება უკვე ინგლისური "ენის ხელოვნური დანერგვით". სამწუხაროდ, ქართველთა ნაწილი ისევ ინდიფერენტულია; ამ ფონზე გამორჩეულია ქუთაისის საზოგადოების პოზიცია: დღევანდელი ქუთაისი აქტიურად იბრძვის ქართულის, როგორც საერთოეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთიანობის განმსაზღვრელი ფაქტორის დასაცავად.

RUSUDAN MIKAUTADZE

GEORGIAN PRESS MEDIA AND THE EFFORTS MADE FOR THE PURITY OF THE GEORGIAN LANGUAGE

Georgian education and the purity of the Georgian language were the recurrent issues of the first two decades of the 20th century Georgian press. Kutaisi school teachers were among those people who revealed the reactionary course of the Tsarist Russia and its effort to eradicate Georgian language from schools and replace it with the Russian language. Newspapers provided broad coverage of the controversies taking place between the teachers and the educational board of the oblast authority. Georgian publicists did not spare most severe words in their assessment of some Russophiles intelligentsia and of so-called "**kart**veli **k**alebi", the majority of whom abused their native language. Such critical attitudes of Kutaisi press yielded its results. It made the intelligentsia think over the problem more seriously, which in its turn began to encourage the establishment of such public institutions that channeled their attention for the development of education on the national grounds and for the survival of the Georgian tongue as the language of instruction.

მალხაზ მურშუდია

ჭელიშის მონასტრის ისტორიიდან
(მონასტრის წინამძღვრები)

ჭელიშის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტერი მდებარეობს რაჭაში, მდინარე შარეულას ღრმა და ულამაზეს ხეობაში. მას, ერთი მხრივ, თავს დასცქერის ქვაყუნტულას აწოწილი მთა, მეორე მხრიდან კი აღმართულია საშევარდნოს კლდეები, სადაც მდებარეობს უძველესი ბერთა ქვაბულები და "სადაყუდებულო". "ამ უტეხ და მიუდგომელ მთებს შუა, როგორც ჩაშუქებული ნათელი, ობლად დგას პატარა მონასტერი" — წერდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე სოსიკო მერკვილაძე (გაზ. "ივერია", 1902, №211, გვ. 2). მონასტერს მარჯვნიდან ჩამოუდის მდ. შარეულა, რომელიც ოდითგანვე სავსე იყო კალმახით. აქვე მიწიდან ამოჩქეფს ბუნებრივი წყალი, რომელსაც "ბატონის წყაროს" ეძახდნენ.

უძველესი წერილობითი ცნობა, რომელშიც ჭელიშის მონასტერი იხსენიება, არის XI საუკუნის ოთხთავის ანდერძი. ეს წიგნი მაცხოვრის ხატთან ერთად მის გადამწერს მწირ ნიკოლოზს შეუწირავს ჭელიშის მონასტრისათვის: "...მე უნდომან და ყოველთა ქრისტიანეთა უნარჩევესმან... მწირმან ნიკოლოზ... მოვიგე ჩემითა ნამუშაკევითა, ხატი მაცხოვრისა მინაისა, ყოვლად შემკული თუალ-მარგალიტითა და მუნ შინა ძელი ჭეშმარიტი, და მევე დავწერე ჟამსა სიბერისა ჩემისასა ოთხთავი კამარითა და ხატითა და ზანდუკითა ყოვლითურთ სრული და მოვჭედე მინაითა და თუალითა. და... შევწირე და მოვაბსენე ყოვლად (წმიდისა) ღმრთის შობელისა მონასტერსა ჭელიშს..." (გ. ბოჭორიძე, 1994, გვ. 86). გ. ბოჭორიძის აზრით, ანდერძის ავტორი უნდა იყოს ნიკოლოზ მწირი, იგივე ნიკოლოზ სოხასტრელი, XI საუკუნის I ნახევრის მოღვაწე. იგი მოხსენიებულია ამავე ოთხთავის ყდის წარწერაში და 1047-1053 წწ. გელათის სახარების მინაწერში (იქვე, გვ. 84). ამრიგად, XI საუკუნეში ჭელიშში უკვე ჩვეულებრივი სამონასტრო ცხოვრებაა გაჩაღებული. ანდერძი იხსენებს აქ დამკვიდრებულ ძმებს - ე. ი. ბერებს და ჭელიშის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას, რომელსაც მწირი ნიკოლოზი ძვირფას ნივთებს სწირავს. გ. ბოჭორიძის სამართლიანი შენიშვნით: "თუ XI ს-ში აქ იწერება, იბეჭდება და იმკობა ასეთი შესანიშნავი ძეგლები, ცხადია, რომ მისი კულტურის დასაწყისი უფრო ადრინდელ დროს მიეკუთვნება" (იქვე, გვ. 53). მართლაც, იმავე მკვლევრის აზრით, აქ ყველაზე ადრინდელი ხანის უნდა იყოს მონასტრის გამოქვაბულები ბერთათვის და სადაყუდებულო (იქვე).

ამის შემდეგ ჭელიშის ეკლესია მოხსენიებულია გოგნია გარაყანიძის აღაპში, რომელიც ზემოხსენებული ოთხთავის 205 ფურცელზეა მოთავსებული. ამ მინაწერს გ. ბოჭორიძე XIV-XV სს-ით ათარიღებს (გ. ბოჭორიძე, 1994, გვ. 88). მე-16 საუკუნეში ჭელიშის დანგრეული ეკლესია აუშენებია ნიკორწმინდელ ეპისკოპოსს მელქისედეკ საყვარელიძეს. იმავე საუკუნეში, კერძოდ 1591 წელს კი ჭელიშის ეკლესია ლეონ იმერთა მეფემ ნიკორწმინდელ ამბროსი ბაქრაძეს უბოძა. 1637 წ. იმერეთის მეფემ გიორგი III-მ ჭელიში გელათის მონასტერს შესწირა. როგორც შუქრი ჭელიძე შენიშნავს, ჭელიშის ეკლესია ამ პერიოდში

გელათის მონასტრის განძთსაცავი უნდა ყოფილიყო (გაზ. "მადლი", 1996, №9-10, გვ. 12-13). მე-18 საუკუნეში ჭელიშის მონასტერს უნდა იხსენიებდეს ცნობილი მოგზაური გიულდენშტედტი. მართალია, იგი მის სახელს არ აკონკრეტებს, მაგრამ აღწერილობიდან აშკარაა, რომ აქ საუბარია ჭელიშის მონასტერზე: "...დღეს დილით (1772 წ. 5 აგვისტო) გავედი ნიკორწმინდიდან" — წერს გიულდენშტედტი" — გზა 1/2 საათი მიდიოდა დასავლეთისაკენ... კირქვიანი კლდეების ხეობაში... ამ ხეობის აღმოსავლეთ ციცაბო კლდეზე, აქ გამომდინარე წყალზე, რომელიც მდ. შაურულას სახელით მოედინება რიონისაკენ... არის განდეგილთა სადგომი (უდაბნო), რომელშიც 10 ბერი ცხოვრობს" (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 132-133).

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიის მიერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ჭელიშის მონასტერი შტატის მონასტრად იქცა, რომლის წინამძღვარიც იმერეთის ეპისკოპოსს ემორჩილებოდა. მას ხაზინიდან 400 მანეთი ჰქონდა დანიშნული ხელფასის სახით. მონასტერში 3 ან 4 მღვდელ-მონაზვნის შტატი არსებობდა. მათი ხელფასი 50-დან 80 მანეთამდე აღწევდა. თითქმის ასე გაგრძელდა მონასტრის გაუქმებამდე.

ჭელიშის მონასტრის მართვა-გამგეობას, ისევე როგორც სხვა მონასტრებში, წინამძღვარი ახორციელებდა. ჩვენ მიერ დადგენილი ჭელიშის მონასტრის წინამძღვართა სია ასეთია:

1. არქიმანდრიტი ზაქარია (გურგენიძე) - მე-XVIII ს-ის 80-90-იანი წწ. (ს. კაკაბაძე, 1921, გვ. 93).
2. წინამძღვარი დანიელი (XIX ს. დასაწყისი) (ქცსა, ფ. №21, ს. №14436, გვ. 28).
3. არქიმანდრიტი გრიგოლი - მე-XVIII ს-ის ბოლო - მე-XIX ს-ის დასაწყისი (ს. კაკაბაძე, 1921, გვ. 110).
4. არქიმანდრიტი სვიმონი (წულუკიძე) - 1811-1838 წწ. — 1845 წ. (ქცსა, ფ. №21, ს. №3330, გვ. 55).
5. არქიმანდრიტი იოანე (იოსელიანი) - 1846 წ. 11 დეკემბრიდან 1856 წ. 9 ივლისამდე (ქცსა, ფ. №21, ს. №3651, გვ. 10).
6. არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ნიჟარაძე) - 1852 წ. 11 დეკემბრიდან 1856 წ. 31 მაისამდე (ქცსა, ფ. №21, ს. №3898, გვ. 2).
7. არქიმანდრიტი ონიფანტე (ნადირაძე) - 1856 წ. 9 ივლისიდან 1860 წ. 31 მაისამდე (ქცსა, ფ. №21, ს. №8059, გვ. 211).
8. იღუმენი იოსები (ბაქრაძე) - 1860 წ. 31 ივლისიდან - 1866 წ. იანვრამდე (ქცსა, ფ. №21, ს. №8059, გვ. 191).
9. არქიმანდრიტი მაკარი (ჯანელიძე) - 1867 წ. 26 მაისიდან 1891 წლამდე (ქცსა, ფ. №21, ს. №10502, გვ. 13).
10. არქიმანდრიტი ნიკიფორე (კანდელაკი) - 1892 წ. 7 მაისი — 1897 წ. (ჭელიშის არქივი, №6474, გვ. 8).
11. არქიმანდრიტი დანიელი (ახვლედიანი) — 1/897 წ. 24 ივნისი — 1902 წ. 12 ოქტომბერი (ჭელიშის არქივი, №6474, გვ. 520).
12. არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) — 1902 წ. მარტი - 1903 წ. ("ივერია", 1891, №143; 1902, №211; 1903, №131).
13. არქიმანდრიტი გრიგოლი (ჩხაიძე) — 1903 წ. მარტი — 1906 წ. (ჭელიშის არქივი,)

14. არქიმანდრიტი კლიმენტი (ჩიქვანი) — 1906-1916 (ჭელიშის არქივი).
15. იღუმენი პავლე — 1916 წ. 31 აგვისტო - 1917 წ. (ქცსა, ფ. №21, ს. №26184, გვ. 29).
16. იღუმენი იოანე — 1917 წ. - 1918 წ. აპრილამდე წინამძღვრის მოვალეობის შემსრულებელი (ქცსა, ფ. №21, ს. №10502).
17. მღვდელ-მონაზონი დომენტი — 1918 წ. აპრილ-ივნისი (წინამძღვრის მოვლეობის შემსრულებელი) (ქცსა, ფ. №21, ს. №10502).
18. იღუმენი ლავრენტი — 1918 წ. ოქტომბრიდან მონასტრის გაუქმებამდე (1923 წ.) (ქცსა, ფ. №21, ს. №26184; გაზ. "ივერია", 1891, №143).

ჭელიშის მონასტრის წინამძღვართაგან დაწვრილებით შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე:

1846-1852 წწ. მონასტერს განაგებდა არქიმანდრიტი იოანე (იოსელიანი). მისი წინამძღვრობის ხანა საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა მონასტრისათვის. მან 1847-50 წწ. ჭელიშის მონასტერში დიდი სარემონტო სამუშაოები ჩაატარა. ამ დროს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ყოფილა. არქიმანდრიტი იოანე დავით ეპისკოპოსს სწერს: "...მდებარე რაჭას მეორე ხარისხოვანის ჭელიშის მონასტერი, ეკლესია ღვთის მშობლის მიძინებისა მოყვანილ არს ფ^დსა სიძველესა და დაცემასა შინა..." (ქცსა, ფ. №21, ს. №26184, გვ. 1).

იოანე არქიმანდრიტს გადაუწყვეტია ეკლესია თუნუქით დაეხურა. საამისოდ მას 200 მანეთის ღირებულების მასალა გამოუწერია რუსეთიდან. სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ეკლესიის შიგნითაც. ამ დროს ტაძრის კედლები თეთრად გაილესა, იატაკი კი გათლილი ქვის ფილებით დაიგო. ეკლესიას კანკელიც აღარ ჰქონდა. იოანემ მისი დამზადება თბილისში შეუკვეთა. მართლაც, 1848 წ. დამზადებულ იქნა ტილოს კანკელი, რომელიც მოუხატავს მხატვარ ანტონ გაგელიძეს. მასზე 33 სხვადასხვა წმინდანის ხატი იყო გამოსახული. მისი დამზადება და თბილისიდან ჩამოტანა მონასტერს 168 მან. დაჯდომია.

1866-1891 წწ. ჭელიშის მონასტერს განაგებდა არქიმანდრიტი მაკარი (ჯანელიძე). მან 1889 წ. მონასტერში ახალი ქვის სამრეკლოს აშენება წამოიწყო. საამისოდ მოწვეულ იქნენ ცნობილი მშენებლები — ვასილ და ივანე ბერეკაშვილები. სამრეკლოსათვის სამშენებლო ქვის მოპოვება წარმოებდა სოფ. ზნაკვის მახლობლად მდებარე კლდიდან. და აი 1889-90 წწ. ჭელიშის მონასტერში აშენდა ქვის ორსართულიანი სამრეკლო (იგი დღესაც ამშვენებს მონასტრის ეზოს), გახსნილია წმ. ამბროსი ხელაიას სახელობის ეკლესია, სადაც პერიოდულად აღევლინება წირვა. სამრეკლოს აგებისათვის დახარჯულ იქნა 840 მანეთამდე. აქედან მარტო 600 მანეთი ოსტატებმა ვასილ და ივანე ბერეკაშვილებმა მიიღეს თავიანთ გასამრჯელოდ (ქცსა, ფ. №21, ს. №26184, გვ. 1-9).

1897- 1901 წწ. ჭელიშის მონასტერს განაგებდა არქიმანდრიტი დანიელი (ახვლედიანი). მის სახელთან დაკავშირებულია ჭელიშის მონასტრისათვის ერთიანი ქვის გალავნის შემოვლება.

1891 წ. ჭელიშის მონასტერს თავს დაესხნენ მძარცველები. გაზეთი "ივერია" წერდა: "ავაზაკთა გუნდმა აქეთაც იჩინა თავი. 26 ივნისს, დაღამებისას, ჭელიშის მონასტერს დაესხნენ ავაზაკნი, რიცხვით სულ რვა კაცი, ყველანი ქვეითნი. გალავანში მაშინ გადამხტარან, როდესაც ბერები ეკლესიაში ყოფილან

ყველანი შესული სალოცავად და გადაუკეტნიათ გარედან კარები, გარედ მხოლოდ რამოდენიმე მოსამსახურეღა დარჩენილა. იმათთვის მოუთხოვიათ ფული, ნივთეულობა და ამას არ დასჯერებიან: რაც რამ სანოვაგე უგდიათ ხელში, ისიც თან წაუღიათ“ (გაზ. “ივერია“, 1891, №143, გვ. 13). ამიტომ იყო, რომ დანიელი ერთ-ერთ თავადს ურჩევდა იმ ხუთასი მანეთით, რომელიც მას ჭელიშისათვის სურდა შეეწირა, მონასტრისათვის ქვის გალავანი აეშენებინათ. მართლაც, 1898 წ. მონასტრის ირგვლივ დიდი ქვის ზღუდე აღიმართა. მისი სიგრძე 108 საჟენი ყოფილა, სიმაღლე — ერთი საჟენი და ერთი არშინი.

1902-1903 წწ. მონასტრის წინამძღვარი იყო არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) (ამჟამად წმინდანად შერაცხული). მისი მმართველობა ნაყოფიერი აღმოჩნდა არა მარტო მონასტრისათვის, არამედ მთელი ქართული კულტურისათვის. იგი ცდილობდა ჭელიშის მონასტრისათვის ოდინდელი სიცხოველე დაებრუნებინა. როგორც ცნობილია, ქართული სამონასტრო კერები რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის დაპყრობამდე წარმოადგენდნენ არა მარტო ღვთისმსახურების და განმარტოების ადგილს, არამედ დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებსაც, სადაც ახალგაზრდები სწავლობდნენ ქართულად წირვა-ლოცვას და გალობას, ეცნობოდნენ ჩვენი წინაპრების მიერ საუკუნეების მანძილზე რუდუნებით შექმნილ დიდ სასულიერო მემკვიდრეობას. ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისი არც ჭელიშის მონასტერი იყო. 1902 წ. გაზეთ “ივერიაში“ ს. ჭელიძე წერდა: „იყო დრო, როდესაც მთელს რაჭაში სასულიერო სამსახურის მოსურნე ჭელიშის მონასტერში იღებდა საღმრთო სწავლა-განათლებას. აქ შეხვდებოდით ურიცხვ ხალხს, რომელნიც ვარჯიშობდნენ საეკლესიო გალობაში და საღმრთო წერილის კითხვაში. ამ მონასტერში ნასწავლნი დღესაც მსახურებენ რაჭის ეკლესიებში და ატკბობენ მსმენელის ყურს საღმრთო წერილის მშვენიერის კითხვითა“ (გაზ. “ივერია“, 1903, №131, გვ. 2). ცხადია, რუსეთის ხელისუფლებისათვის ასეთი ვითარება მიუღებელი იქნებოდა, ამიტომ საქართველოს ეკლესია-მონასტრებს თანდათანობით ჩამოაცილეს ეს უდიდესი მისია და იგი ახლადდაარსებულ სასულიერო სასწავლებლებს გადასცეს, სადაც სწავლა-განათლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ბუნებრივია, აქ არავინ ზრუნავდა მომავალი სასულიერო პირებისათვის მშობლიურ ენაზე მიეცათ განათლება. ასეთი გაუკუღმართებული პოლიტიკის შედეგი კი ის იყო, რომ საქართველოს ახალგაზრდა სამღვდელოებას უკვე უჭირდა ქართულად წირვა-ლოცვის ჩატარება. ამ ნაკლის გამოსასწორებლად არქიმანდრიტი ამბროსი სემინარიის კურსდამთავრებულთ სთავაზობდა, გარკვეული ხნის მანძილზე საღმრთო წერილის კითხვაში ევარჯიშათ ჭელიშის მონასტერში.

1903 წ. 15 სექტემბერს ჭელიშის მონასტერში შეიკრიბა მთელი რაჭის სამღვდელოება. აქვე იყო იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდეც. თავყრილობა შეეხებოდა ხალხში განათლებისა და რწმენის გაძლიერების აუცილებლობას. საამისოდ გადაწყდა შექმნილიყო უფასო ბიბლიოთეკები, დაბეჭდილიყო პატარა-პატარა წიგნაკები წმ. მამათა და მოწამეთა შესახებ და ხალხში გაევრცელებინათ.

ამბროსი ხელაია უდიდეს ყურადღებას აქცევდა ჭელიშის მონასტერში დაცული ძველი ქართული ხელნაწერების მოვლა-შესწავლას. ამ მხრივ იგი ჭელიშის მონასტრის სიძველეთა პირველ მკვლევრად გვევლინება. მისი მონასტერში მისვლისას აღმოჩნდა, რომ უნიკალური ხელნაწერები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნდათ ქართული კულტურისათვის, ნესტიან და

მოუვლელ ადგილას იყო უპატრონოდ დაყრილი. ამ დაუდევრობის მიზეზს არქიმანდრიტი ამბროსი ძალზე კარგად გვიხსნის და ამიტომ ჯობია, თავად მას მოვუსმინოთ: "...ჰელიშის სიძველენი (საეკლესიო ნივთები, შესამოსლები და ხელთნაწერები) — 1902 წ... მიყრილი იყო კუთხეში და სინესტისაგან მეტათ დაზიანებულიყო. მონასტრის წინამძღვრებს არ ესმოდათ მათი მნიშვნელობა და არ აქცევდნენ მათ ჯეროვან ყურათღებას. ბევრი მათგანი, საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, სამუდამოთ დაკარგულია... რადგან... ამნაირი შინაარსის წიგნები ახალი რეჟიმის დროს არავის უნდოდა" ("განთიადი", 1915, №2, გვ. 13). ამბროსი ხელაიამ საგულდაგულოდ, ფურცელ-ფურცელ გამოაშრო ძველი ქართული ფოლიანტები და მათი პირველი მეცნიერული აღწერილობანიც გამოაქვეყნა. სწორედ ამ დროს მიაკვლია მან „მოქცევაი ქართლისაის" ახალ ე.წ. ჰელიშურ ვარიანტს, რომელიც მანამდე ცნობილ შატბერდულ კრებულზე გაცილებით სრული იყო. ამ აღმოჩენის ისტორიას საინტერესოდ მოგვითხრობს გრიგოლ ტურაბელიძე: „...ამბობენ, რომ მამა ამბროსი ერთხელ მიმოდიოდა ეკლესიის ეზოში თავისი განუშორებელი არგნით ხელში. მისი ყურთასმენა მიიპყრო რამ ყრუ ხმამ, რომელიც ამოდიოდა მიწის სიღრმიდან. მამა ამბროსიმ გაათხრევინა ის ადგილი და იქ აღმოჩნდა სახარება, რომელიც მიცვალებულისათვის საფლავში ჩაეტანებინათ (კათოლიკოსი ამბროსი ხელაია, 1994, გვ. 15).

ამბროსი არქიმანდრიტმა თავისი დაუღალავი და ნაყოფიერი მოღვაწეობით სულ მალე მოიხვეჭა ხალხის სიყვარული და პატივისცემა. სოსიკო მერკვილაძე მის შესახებ წერდა: „...ახლო-მახლო სოფელში ჩვენ იმისთანა კაცს არ შევხვედრილვართ, რომელიც წრფელი გულით არ იყოს გამსჭვალული მამა ამბროსისადმი... როგორია ძმობილო თქვენი უდაბნოს ახალი წინამძღვარი? — ვკითხავდით სოფლელებს.

ღმერთმან კარგი დაგმართოთ, კარგი რამა გვყავს მამა ამბროსი, რომ იტყვიან ღვთის ენა პირი ასხიაო, სწორედ ის არის, აგერ ამ ხნის კაცი გახლავთ და ჯერ მაგისთანა არავინ მოსულა და არც მაგ დალოცვისთანა ქადაგება გაგვიგონიაო..." (გაზ. "ივერია", 1903, №131, გვ. 2-3).

სახელგანთქმულ და მთელს რაჭაში პატივცემულ მონასტერს განსაკუთრებით გაუჭირდა რევოლუციის პერიოდში. ათეისტური შხამით მოწამლული საზოგადოება ათასნაირად ავიწროებდა ბერებს. 1918 წლის 10 მარტს მონასტრის წინამძღვრის თანამდებობის აღმასრულებელი იღუმენი იოანე ქუთათელ მიტროპოლიტს წერდა: „ცუდ მდგომარეობაში ვართ მონასტერში, მცველი არა გვყავს. მოჯამაგირე 700 მან. ღამით თხოულობს... ჩვენ არაფერი მოგვეძევა დღიური საზრდო. ამ მარხვის ხარჯი ძლივს არის, აბა ფული სადაა, თითქმის ამ მარხვის შემდეგ ზეთი, სანთელი, ზედაში, სებისკვერიც არ იქნება... ორიოდე ნამუშევარი ძლივს ამ მარხვის აქუს მონასტერს, იმასაც არ გვანებებენ, მოდიან ხალხი — გვასესხე ან მოგვეცით, ან ნუ ხართ აქაო. არაფერი გვაქუს, იმას არ ჯერათ, გვექადნიან, შიშქვეშ ვართ..." (ჰელიშის არქივი).

მონასტერს კარგი დღე არც მომდევნო წლებში დასდგომია, 1923 წლის *ანტირელიგიური კამპანიის დროს კი იგი საბოლოოდ დაიხურა.*

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

გ. ბოჭორიძე, 1994 - გ. ბოჭორიძე, გიორგი-რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994.

ჟურნ. "განთიადი", 1915, №2.

გიულდენშტედტი, 1962 - გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ორ ტომად, ტ. 1, 1962.

გაზ. "ივერია", 1891, 9 ივლისი, №143; 1902, 5 ოქტომბერი, №211; 1903 ,19 ივნისი, №131.

ს. კაკაბაძე, 1921 - ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. II, ტფ., 1921.

გაზ. "მაღლი", 1996, 10 დეკემბერი, №9-10.

ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, №6474 (ჭელიშის არქივი).

ქცსა - ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი №21, საქმე №3330, №3651, №3658, №8059, №10502, №18244, №26184, №27130, №27212, №14436, №3330.

კათოლიკოსი ამბროსი ხელაია, თბ., 1994.

MALKHAZ MURUSIDZE

FROM THE HISTORY OF TCHELISHI MONASTERY (MONASTERY HEADS)

Tchelishi monastery is located in the river Shareula valley in Racha province. The first written record about the monastery is found in the inscription of a 9th century gospel manuscript. However, the monastic life in this place seems to have begun much earlier. My conjecture is based on the presence of a cavern, *sadaqudeblo,* the rock shelter for hermit life.

The present paper discusses the lives and exploits of such eminent Tchelishi monastery superiors as were archimandrite Ioane (Ioseliani), archimandrite Makari (Janelidze), archimandrite Ambrosi (Khelaia), later Catholicos-Patriarch of Georgia, now canonized by the Georgian Church, and others. The institution of the head of the monastery was fairly important as his propensity greatly determined the normal functioning of the monastery. Hence, the study of the biographies of these fathers acquires great importance for the elucidation of particular questions of the monastery history.

მერაბ ნაჭყებია

თანჯ- ფუძის ისტორიულ-სემანტიკური ანალიზი

თანჯ- ლექსემა ი. ყიფშიძესთან განმარტებულია როგორც კედელი, ზღუდე, გალავანი, საზღვარი (ი. ყიფშიძე, 1994, გვ. 240). ასევე განმარტავს მას ო. ქაჯაიაც (2002, გვ. 37). ს. მაკალათიას მიხედვით, **თანჯ**-ი სასაზღვრო ნიშანი, სამანია (ს. მაკალათია, 1941, გვ. 235). ამდენად, **თანჯი** მეგრულში "სამანს, ნიშანს, დაღს" ნიშნავს (ა. ტუღუში, 1998, გვ. 205).

თანჯ- ფუძისაგანაა ნაწარმოები სახელი **თანჯუა** ("საზღვრის, ნიშნის დადება" - **თარჯვა**), ზმნა **თანჯუნს** (**დათანჯუნს** "დათარჯავს", **დოთანჯუ** "დათარჯა", **დოუთანჯუ** "დაუთარჯავს", **დონოთანჯუე(ნ)** "დათარჯავდა თურმე"), მოქმედებითი გვარის მიმღეობა — **მათანჯალი** "საზღვრის ნიშნის დამდები", ვნებითი გვარის მიმღეობა (მყოფ.) — **ოთანჯალი** "დასანიშნი, დასადამღი", ვნებითი გვარის მიმღეობა (წარს.) — **თანჯილი** "დადაღული, დანიშნული..."

ო. ქაჯაიას ლექსიკონის მიხედვით, **თანჯა (თანჯას)** იგივეა, რაც **თანჯი**, — საზღვარი, ნიშანი, დაღი (ო. ქაჯაია, 2002, გვ. 37); თუმცა გამოცემულ მეგრულ პროზაულ ტექსტებსა და ცოცხალ მეტყველებაში დასახელებული ლექსემა არ გვხდება; იგი დასტურდება ოდენ პოეზიაში, რაც, ჩვენი აზრით, რითმის საჭიროებითაა გამოწვეული.

თანჯ-ი სიტყვა, გარდა ძირითადი დანიშნულებისა, გადატანითი მნიშვნელობითაც გამოიყენება: ა) აღნიშნავს ბედნიერების ნიშანწყალს, შველას: ნგერი ნგერო დითმოსქგდგ დღას ვეცი კოჩიშ თანჯა "მგელი (ისევ) მგლად რჩება, კაცის შველა არ ექნება" (კ. სამუშია, 1979, გვ. 12); ბ) მეგრელთა უძველესი რწმენა-წარმოდგენებით **გეთანჯუა** გამიჯვნასაც ნიშნავს და გაჩხიბვასაც, ხოლო მჩხიბავს მაზაკვალთან (ქართ. მზაკვარი) ერთად **თანჯილსაც** ეძახიან; გ) **თანჯი, თანჯილი** ფორმები გამოყენებულია მოფერებით-ალერსობითი ფუნქციითაც: ჩქიმი თანჯი სქვამი სქუა "ჩემი ეშმაკი (ცელქი) ლამაზი შვილი."

თანჯი და **თარჯი** "საზღვრის, სამანის, მიჯნის" მნიშვნელობით გამოყენებულია ლევან დადიანის (1810-1846) მიერ 1819 წელს გამოცემული სიგელის ერთსა და იმავე გვერდზე:

"...ჩემს მდივანბეგს, სახლთუხუცესის ძეს ჩიქოვანს როსტომსა და ჩიქოვანს მანუჩარს და ჩემს მაგიერ კაცს ხვიტიას საბაიას კახათს საყანე მიწა **გავათანჯვინე** (ხაზი ჩვენია - მ.ნ.). ის საყანე ადგილიც თქვენთვის საკუთრად მოგვიცემია ყოვლის კაცის უსადეოთ და იმ ადგილის შემკვრე, ტყე, რომელიც არის ენგურის პირამდის, ის საერთოდ დაგვიძს, რომლის ტყე საბალახო ერთმანეთს არ მოუშალოთ ზუგდიდელსა და თქვენს საყმოს და რომელიც **შემოთარჯულია** (ხაზი ჩვენია - მ. ნ.) მოგართვით იმას შიგნით ყოვლის კაცის ხელშეუხებლად და საკუთრად მოგვიცემია" (ჯ. როგავა, 1981, გვ. 72-73).

თარჯი-შემოთარჯვა სულხან-საბას განმარტებით არის: "საზღვარსავით აქა-იქ დანიშვნა" (ს. ორბელიანი, 1993, გვ. 289), ხოლო ნ. ჩუბინაშვილის აზრით, **თარჯი** არის "ზღუდე, გალავანი გარემოს ქალაქისა" (ნ. ჩუბინაშვილი, 1984, გვ. 554).

აჭარულში დასტურდება **თაჯი** - "ნიშანი (ხეს დანიშნავენ). შდრ.: ასევე თურქ. **თაჯ-/თაჩ-** - "გვირგვინი"; "თავსამკაული"; "ქოჩორი"; "ხის გვირგვინი".

თანჯ- ფუძისაგან ნაწარმოებია ტოპონიმი **"სა-თანჯ-ო"**, რომელიც დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში, ორ ადგილასაა დაფიქსირებული: ა) აფხაზეთში, გალის რაიონის სოფ. დიხაზურგაში მთის და ამ მთის წვერზე აღმართული ციხე-სიმაგრის სახელწოდებად და ბ) ნაესაკოვოში ადგილის სახელად (გ. ელიავა, 1977, გვ. 52).

სა-თანჯ-ო//სა-თაანჯ-ო ი. ყიფშიძის ლექსიკონში განმარტებულია როგორც "гора и крепость с оградой в Самурзакано" (ი. ყიფშიძე, 1994 გვ. 240); უფრო ადრე ეს ტოპონიმი ნახსენებია XVIII საუკუნის ოსმალო ისტორიკოსის - ჩემში მუსტაფა ზადეს თხზულებაში **"საბანჯოს"** სახით (მუსტაფა ზადე, 1959, გვ. 6).

მკვლევართა (ს. მაკალათია, ჯ. როგავა, ა. ტუღუში...) აზრით, **სათანჯო** "სანიშნეს" ნიშნავს. მართლაც, ტოპონიმში დევს მინიშნების, მითითების სემანტიკა, რამდენადაც მაღალ მთაზე აღმართული კოშკი თითქმის მთელი ბარის სამეგრელოს გადაჰყურებს და აქ დანთებული კოცონის მეშვეობით იგებდა მთელი სამეგრელო გააფსარებული აფხაზების მოთარეშე რაზმების გამოჩენას და საომარ თადარიგს იჭერდა. ამავე დროს, **სათანჯოს** მთა დღემდე რჩება მოსახლეობისათვის ამინდის პროგნოზირების ერთგვარ საშუალებად, ბარომეტრად (თუ მთის წვერი კარგად მოჩანს, მზიანი ამინდია მოსალოდნელი, ხოლო თუ სათანჯოს მთას ღრუბელი დაადგება, მეორე დღეს აუცილებლად გაწვიმდება).

დამოწმებული ლიტერატურა

ი. ყიფშიძე, 1994 - ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო კ. დანელიამ, თბ., 1994.

ო. ჭაჯაია, 2002 - ო. ჭაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.

ს. მაკალათია, 1941 - სერგი მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941

ა. ტუღუში, 1978 - ა. ტუღუში, ერთი მეგრული ტოპონიმის საკითხისათვის თურქულ წყაროებში, ენგური, №1-2, ზუგდიდი, 1978.

კ. სამუშია, 1979 - კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1979.

ჯ. როგავა, 1981 - ჯ. როგავა, სათანჯოს სახელწოდების მნიშვნელობისათვის: ჟურნ. "ისტორია, გეოგრაფია სკოლაში", 1981, №4.

ს. ორბელიანი, 1993 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.

ნ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

გ. ელიავა, 1977 - გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1997.

მუსტაფა ზადე, 1959 - Gezmi-Zade Mustafa Res, Gezmi-zade Terihi, Hazizlayan bekir Kuntukoglu, Istambul, 1959.

MERAB NACHKEPIA

HISTORICAL AND SEMANTIC ANALYSIS OF TANJ- ROOT

In Megrelian *Tanj* lexeme means *limit; sign, hallmark. Tanjua* derived from *Tanj* means *to confine.* Place name *saTanjo* has a semantic component of *indication.* Apart from the basic semantic meaning *Tanji* occurs with other related meanings, as: a) *a touch of happiness, help; b) spell-casting; c)* a nuance of *caressing.*

Along with *Tanj* its parallel forms *Tarj* is also observed. *Tarj* can be found in Sulkan-Saba and Nikoloz Chubinashvili's dictionaries with the meaning of *fence, wall, boundary.*

In Acharian dialect *Taj* is used with the meaning *sign.* Compare also *Taj/TaC* in Turkish meaning *crown, headband, headpiece; crest (tuft)...*

ნორა ნიკოლაძე

თქმულება-გადმოცემები
(თერჯოლის რაიონის სოფლების - ჩხარისა და ახალი თერჯოლის მკვიდრთა გვარების შესახებ)

გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი ყურადღებას ამახვილებდა ქართული გვარების წარმოშობასა და მათ შესახებ თქმულება-გადმოცემებზე. პუბლიცისტურ წერილში „როგორ უნდა შევკრიბოთ ზეპირგადმონაცემები?“ აკაკი აღნიშნავს: „არჩეულმა პირებმა უნდა აგვიწერონ რა გვარის კაცები ცხოვრობენ ამა და ამ სოფელში, ან რა თქმულობაა დარჩენილი მათში იმათ ძველებზე“ (ა. წერეთელი, 1961 გვ. 177).

წერილობითი წყაროებით ირკვევა, რომ უძველესი ქალაქი „ჩხარი“ სავაჭრო ადმინისტრაციული ცენტრი ყოფილა და სავაჭრო-საქარავნო გზა “ძევრ-ჩხარსკანდაზე“ გადიოდა. ეს დანიშნულება ამ მხარეს არც ანტიკურ პერიოდში და არც შემდეგ, XVI-XVII საუკუნეებში დაუკარგავს. ამ მხრივ ჩხარის სახელი იმდენად ცნობილი და პოპულარული ყოფილა, რომ მისი ზეგავლენით მთელ მხარეს (თერჯოლის რაიონს) „ჩხარის ქვეყანას“ უწოდებდნენ.

რაც შეეხება ახალ თერჯოლას, ეს სახელი მას საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დაერქვა. ადრე კი მწუხარელა ერქვა.

სოფლის მკვიდრის, 82 წლის დავით აბჟანდაძის გადმოცემით: როდესაც ამ მხარეს თათრები შემოესია, მათ გაავერანეს ყველაფერი, არ ზოგავდნენ არც კაცს, არც ქალს, არც პატარა ბავშვებს, განსაკუთრებით ვაჟებს. ვინც გადარჩა, კლდე-ღრეს შეეხიზნა. ხალხი დამწუხრდა, შავებით შეიმოსა და ამიტომ დაარქვეს „მწუხარელა“.

ისტორიული ფაქტებით დასტურდება, რომ ამ კუთხესაც უწვნია მურვან-ყრუს, თემურ-ლენგისა და სხვათა სისხლიანი თავდასხმები. ამას თან ერთვოდა მკაცრი შინაფეოდალური ომები. ქართლის ცხოვრებაში და სხვა ისტორიულ წყაროებში აღნიშნულია, რომ XVI-XVII საუკუნეებში, სულ მცირე 40 წლის მანძილზე (1660-1700 წწ.) იმერეთში ჩვიდმეტჯერ გადააგდეს ტახტიდან მეფე. ამათგან 4 მოკლეს, ხოლო 13 გააძევეს. შინაფეოდალურ ომთა მსახვრალი ხელი შეეხო შუა იმერეთის ამ მშვენიერ მხარესაც, განსაკუთრებით ქალაქებს: „ჩხარს“, „სკანდეს“, „ჩიხორს“. ყოველივე ზემოთქმული, ასევე სოციალური დაპირისპირებანი და სხვადასხვა რამ, გამხდარა მიზეზი აქაურ ქართველთა მიგრაციისა, გვარის შეცვლისა, რომელიც აისახა ისტორიულ თუ ფოლკლორულ მასალებში.

„გვარი, დიდი სოციალური ერთობის აღმნიშვნელი სახელი, ერთ-ერთი ეჭვშეუტანელი და ტევადი წყაროა საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში. იგი გვამცნობს ქართველთა ცხოვრების ისტორიას, მათი ცხოვრების შინაარსსა და ფორმებს, გვაწვდის მასალას ქართველთა ურთიერთობებზე სხვა ეროვნებისა და კონფესიის ეთნოსთან; ვეცნობით საქართველოში მომხდარ საზოგადოებრივ, ეკონომიურ და სოციალურ-კულტურულ ცვლილებებს; ვადგენთ სხვადასხვა მიზეზთა გამო შეპირობებულ მიგრაციის მიზეზებს და მიმართულებებს, ყოფით მახასიათებლებს, რომლებიც იქმნებოდა საქართველოს სხვადასხვა თემის მკვიდრთა ურთიერთობების დროს“ (დ. შავიანიძე, 2007, გვ. 3).

ჩხარსა და ახალ თერჯოლაში ამჟამად მკვიდრ მოსახლეობას შეადგენენ აბულაძეები, ფანჩულიძეები, დიაკონიძეები, ბუცხრიკიძეები, გრძელიძეები, ვერულაშვილები, ნიშნიანიძეები, რობაქიძეები, სახელაშვილები, შოთაძეები, შეყილაძეები, ყვავაძეები, ძიძიშვილები, ჯიშიაშვილები, გოგიაშვილები, ნიკოლაძეები, გაბრიჭიძეები, დევიძეები, პატარიძეები, არაბიძეები, ფიფინაშვილები, ხარაზიშვილები, კაჭკაჭიშვილები, სირბილაძეები, გეწაძეები, ქაშაკაშვილები, ყიფიანები, გურულები, ტაბატაძეები, ჩიტიძეები, ცხადაძეები, გაფრინდაშვილები და სხვები.

ბუნებრივია, გვართა სიმრავლის გამო, მათზე თქმულება-გადმოცემებს და ისტორიულ წყაროებს ამ პატარა პუბლიკაციაში ვერ განვიხილავთ. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ზოგ მათგანზე თქმულება-გადმოცემა არც არსებობს. ამ მხრივ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე გვარ-სახელზე შევჩერდებით.

აბჟანდაძე: 79 წლის მელენტი აბჟანდაძე გადმოგვცემს: „ჩვენი წინაპრები ჩამოსახლებული ყოფილან დერბენდიდან XI საუკუნეში. ქისტები ყოფილან და აქ მიუღიათ ქრისტიანობა. როცა დავით მეფე ქუთაისთან გელათის მონასტერს აშენებდა, თურმე გელათის გუმბათის ერთი დიდი ქვა მარტო მას ოუტანია, იქიდან ჩამოვარდნილა და დამტვრეულა. მის გადარჩენას თურმე არავინ ამბობდა. მერე ვიღაცას უთქვამს, ამა და ამ ადგილზე არის ერთი კაი ექიმბაშიო. მეზობლებს იშხნელსა და კვინიხიძეს ფაიტონით ჩამოუყვანია ეს კაცი და მისი ცოლი, ჩვენი წინაპრები, რომლებსაც ირმის ჯოგი, ფურ-ირემი ყოლიათ მოშენებული. ის თურმე მეფეს ირმის რძეში და რაცხა ბალახ-ბულახებში სთხოვდა, პირში ბამბით რაცხა ნაყენს აწვეთებდა და მესამე დღეს თურმე ფეხზეც დაუყენებია. მეფეს უბოძებია სახელმწიფო წოდება — აზნაურიშვილობა. ადგილები: ჩრდილოეთით — „წინწკილა“, სამხრეთით — „ჩოლაბური“, დასავლეთით „ძერული“ და აღმოსავლეთით მდინარე „ძუსა“. უფლებაში მიუცია საყანე, საბალახე ადგილები და დასახლებულა ჩხარის მახლობლად. მეფის წყალობით და თავისი განთქმული ექიმბაშობით გამდიდრებულა. სასახლეც ოუშენებია. ხშირათ ამბობდა თურმე: აღმაშენებელმა მეც ამაშენა, გავმდიდრდი და ავშენდიო და დაარქვეს ავშანდაძე. მისი ცხოვრება შეშურებიათ. სასახლისთვის ცეცხლი წოუკიდებიათ, ავათმყოფთან რო ყოფილა წასული. ცოტა რამე გადოურჩენიათ, მათ შორის ის წოდების სიგელი, რომელსაც გვერდები ქონია მომწვარი. ის ახლაც ინახება თფილისში. ყველაფერი ეს მომიყვა ბაბუაჩემის მამამ“.

გადმოცემას ადასტურებს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული დ. აღმაშენებლისაგან გერბდასმული წოდების მიმნიჭებელი სიგელი. ასევე, მსგავსი გადმოცემა გამოუყენებია ლ. სანიკიძეს „უქარქაშო ხმლებში“ (ლ. სანიკიძე, 1990, გვ. 388).

შოთაძის გვარის შესახებ საინტერესო თქმულება არსებობს:

“როცა ჩვენ ქვეყანას მონღოლები შემოესივნენ, მათთან საბრძოლველად და გასადევნად ქუთაისიდან გამოემართა საქართველოს მეფის ლაშქარი, რომელსაც წინ უძღოდათ ერისთავები და შოთა რუსთაველი. შოთას ხელში ჭერია მეწინავე ბაგრატიანთა დროშა და თვალმარგალიტით, ოქროთი მოვარაყებული ჯვრის ძელი. ეს დროშა და ძელი აგერ აქამდის ინახებოდა „ჩხარის წმინდა გიორგის ეკლესიაში“. იმ ადგილას იყო დასვენებული, სადაც იმერეთის მეფის შვილის საფლავია. საბჭოთა წყობილების დამყარების მერე გაქრა. შოთას თან ახლდა თურმე მომხიბლავი ქალი, რომელსაც ბრძოლის დროს ამ დროშას და

ჯვარს გადასცემდა თურმე. ეს ქალი რაღაცა მიზეზით შემდეგ ფეხმძიმე მიუტოვებია, არ შეურთავს. ქალი „ჩხარის“ ბოლოს, იშხნელები რომ სახლობენ, იქ დასახლებულა, ვაჟი შეძენია, რომელსაც შოთას-ძეს ეძახოდენ. ადრე თურმე დიდებულიძეები ვყოფილვართ, ხაშურიდან, სოფელ „ატოციდან“ და ჩვენი წინაპარი ჯალალედინი რომ შემოსეულა აღმოსავლეთ საქართველოში, იქიდან გამოქცეულა დასავლეთში. „ჩხარში“ ვაჭარი ნათესავი ყოლია და იმას შეკედლებია“ (მთქმელი ბიქტორ შოთაძე, 87 წლის).

„ფერსათელი“ შოთაძეების გადმოცემით, „ჩხარში ყოფილა ვიღაც დეკანოზი შოთა, რომელსაც ხოტბა შეუსხამს თამარ მეფისათვის და ამის გამო უწოდებიათ მათთვის შოთაძეები“. მსგავსი გადმოცემა დაუმოწმებია ილია მაისურაძეს ბორჯომის სოფელ „სადგერში“ მცხოვრებ შოთაძეებში (ი. მაისურაძე, 1990, გვ. 194. იხ. აგრეთვე: დ. შავიანიძე, 2007, გვ. 39). შოთაძეების ძველიდან მემკვიდრეობის დასტურია ამ ადგილას ანთროპოტოპონიმები: „შოთაძის წყარო“, „შოთაძეების გორა“, „შოთაძეების მინდორი“.

აბულაძე: „ბაბუაჩემი იტყოდა, რომ თათრიანობის დროს თათარი აბდულ-ოღლი აღარ დაბრუნებულა თავის ქვეყანაში. აქ დარჩენილა. მის შთამომავლებს აბულაძეები ქვია (ნინა აბულაძე, 80 წლის).

პ. ცხადაიას აზრით, „აბულაძე საკუთარი სახელისაგან — „აბულა“ არის ნაწარმოები. ეს გვარსახელი 2000 წლისათვის საქართველოში სულთა რაოდენობის მიხედვით მეათე ადგილზეა, იმერეთში კი მეთექვსმეტეზე“ (პ. ცხადაია, 2000, გვ. 24, 30). გ. ბოჭორიძე აღნიშნავს, რომ „აბულაძეები სოფელ უდეს მაჰმადიან გვართა შორის მოიხსენებიან“ (გ. ბოჭორიძე, 1999, გვ. 67). ჩვენი შეხედულებით, აბულაძე ტრადიციული ქართული გვარია.

ბუცხრიკიძე: „ჩვენი გვარი ადრე ოქროცვარიძე ყოფილა, თავადიშვილები ვყოფილვართ. ასეთი გადმოცემა გვაქვს. თავადს თურმე თავისი თექვსმეტი წლის ვაჟიშვილი სანადიროდ წაუყვანია. დანიძლავებულან, ვინ რამდენ ფრინველს მოკლავდა და ცალ-ცალკე დაუწყიათ ნადირობა. საღამოს, სახლში როცა დაბრუნდენ და დაუთვლიათ ნანადირები, მის ვაჟიშვილს მეტი ყოლია მოკლული, მაგრამ ამ ნანადირებიდან ცხრა ბუ და ხუთი ჭოტი აღმოჩენილა. თავადს და მის ყმებს სიცილი აუტეხიათ. ერთს უთქვამს: ოქროცვარიძე კი არა ბუ-ცხრას -კი-ძე და ბუ-ჭოტი-შვილი ხარო და აქედან დაერქვა ბუცხრიკიძე და ბოჭორიშვილი“ (მთქმელი გერვასი ბუცხრიკიძე, 87 წლის).

საყურადღებოა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია ბოჭორიშვილების ადრინდელი გვარი — ოქროცვარიძე (გ. ბოჭორიძე, 1994, გვ. 292).

ვერულაშვილების გვარის შესახებ მოგვითხრობს 78 წლის თამარ ვერულაშვილი: „სამი თუ ოთხი საუკუნის წინ იმერეთში ისპანკა ჭირმა იმსხვერპლა თურმე ბევრი ადამიანი. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ერთ დღეს მოკლა. მათ შვიდი შვილი ყავდათ. აქედან ოთხი ერთ კვირაში დახოცა. დარჩა 3 ძმა; ორი-უფროსი, ერთი უმცროსი, ძუძუმწოვარა... უფროსი ძმები იმის შიშით, რომ სახადი ჩვენც არ შეგვხვდესო, აფხაზეთში გაქცეულან. იქ დასახლებულან, დაცოლშვილებულან და აქეთ პირი აღარ უქნიათ. სულ პატარა, ობლად დარჩენილი კი ქაქუჩა ბუცხრიკიძეს გაუზრდია. მეზობლები და კეთილ-ნათესავები იმ გაქცეულ ძმებზე ამბობდნენ: „ისე რავა გაველურდენ, რომ ძმაც არ მეიკითხესო და დეერქვა ეს გვარი — ვერულაშვილი“ (ველურაშვილი > ვერულაშვილი. — ნ.ნ.).

ისტორიული ცნობებით დასტურდება, რომ 1568 წელს იმერეთში დიდი ჟამი - შავი ჭირი ყოფილა. „ყოფილა დიდი შიმშილიც, ქვეყანა უკაცრიელად იყო დარჩენილი“ (თ. ჟორდანია, 1892 გვ. 441). ამას წინ უძღოდა ჯერ თემურ ლენგის (მე-15, მე-16 სს.), ხოლო შემდეგ ოსმალთა და ირანელთა განუწყვეტელი თარეში (მე-16, მე-18 სს.). ყოველივე ამან მოსახლეობის რიცხვი აქ საგრძნობლად შეამცირა. მარტო ამ უკურნებელმა სენმა (ჭირმა) 1811 წელს იმერეთში შეიწირა 52750 კაცი. ნ. ჯანაშიას შეხედულებით, „ქართველ ხალხში ამ პერიოდიდან უნდა იყოს შემოსული ხმარებაში სიტყვები: „პარტახტი“, „ნასოფლარი“, „ნაქალაქევი“, „ნამოსახლი“, „ნაფუძარი“ და სხვანი“ (საქართველოს ისტორია, 1946, გვ. 284).

ფრანგი მოგზაური შარდენი გადმოგვცემს, რომ მე-18 საუკუნეში „ჩხარში“ 59 კომლიღა იყო. ამის მომსწრე ნიკო დადიანი წერს: „წელსა ამას 1811-ს გაჩნდა იმერეთსა შინა, ოდიშსა და გურიასა საშინელი მომსვრელი სენი (ე.ი. ჟამი) და ამასთან საშინელი და საკვირველი სიყმილი, რომელ უთვალავნი მოისრნენ და მრავალი განიბნენ, კნინღა და შუა გაიყო ყოველნი ქვეყანანი ესე ზემოთ ხსენებული და მრავალი წარვიდენ აფხაზეთად, ვინათგან აფხაზეთსა შინ არა იყო წელსა მას სიყმილი და არცა იგი მომსვრელი სენი, და განგრძელდა ესევითარი რისხვა ღვთისა ორსა წელსა და შემდგომად გარდვდა“. ისტორიული მასალებისა და ზემოთქმული გადმოცემის გარდა, რეალობას არ უნდა იყოს მოკლებული ახალ თერჯოლაში მკვიდრი მიხეილ აბჟანდაძის ნაამბობი, რომელიც თავისი პაპისგან მოუსმენია: „იმ ადგილას, სადაც ვერულაშვილების წინაპრები სახლობდნენ, ცხოვრობდნენ აგრეთვე დათიაშვილები, სარალიძეები და აბჟანდაძეები. ჭირს 70 სული ადამიანი გაუწყვეტია. იმ დროს სამი წელი საშინელი გვალვა ყოფილა, მიწა ისე გამხმარი ყოფილა, რომ სასაფლაოები ვერ გაუჭრიათ. მიცვალებულები წყაროსთან ახლოს დაუმარხავთ. წყლის საშუალებით ალბობდნენ თურმე მიწას და ისე ჭრიდნენ სამარეებს. 1937 წელს, როდესაც ბიძაჩემი, მელენტი აბჟანდაძე სახლის საძირკველს ჭრიდა, ამ ადგილზე მრავალი ჩონჩხი აღმოჩენილა, მათ შორის პატარა ბავშვების“.

რობაჭიძეების გვარი ამავე რაიონის, სოფელ „გოგნიდან“ გადმოსულა და „ახალთერჯოლაში“ დამკვიდრებულა. 85 წლის შალვა რობაჭიძე გადმოგვცემს: „ჩვენ ადრე სხვა გვარი ვყოფილვართ. ჩვენი სალოცავი ისევ არის გოგნში — „კარუგდებელაში“. აქ ბატონის — დათა მესხის ყმები ვყოფილვართ. ასეთი რამე მომისმენია ბაბუაჩემიდან: ბატონს თურმე სტუმრები ყავდა და ნარდაობდენ. ბატონმა შინამოსამსახურე ქალებს უბრძანა, ჩქარა ვახშამი გაამზადეთო, ხოლო ჩვენ წინაპარ მამაკაცს კი, რომელიც ისლით თავის ქოხს ხურავდა, ქვემოდან ასძახა: ახლავე ჩამოდი, ჭურიდან ღვინო ამეიღე და დაგვისხიო! ის იყო ღამდებოდა, გლეხმა თხოვა, ცოტა ხანს მაცალე, უკვე ვამთავრებ გადახურვასო. ბატონი გაბრაზდა, ლანძღვა-გინება დოუწყო, ჩამეეთრიე, თუ არა მე ვიცი, რასაც გიზამო! რომ ბაქიობ, ჩამოვალ და მანდ გამოჩთება შენი ვაშკაცობაო! — უპასუხა თურმე გლეხმა და გააგრძელა მუშაობა. ბატონი წევიდა, მეიტანა დიდი ეკლის ჯოხი, მეეპარა გლეხს უკნიდან და რაც ძალი და ღონე ქონდა რტყმევა დოუწყო. გლეხი გამწარდა, სტაცა ბატონს ხელი, გადმოაგდო კიბიდან, თვითონაც გადმოხტა და სიკვდილამდე წალდის ყუით სცემა. ამის შემდეგ იქ აღარ ედგომებოდა. მიატოვა იქაურობა და საირმის გავლით გადევიდა ასპინძაში. იქ გაატარა თავისი სიცოცხლის წლები. მის შთამომავლობისათვის ამიტომ დოურქმევიათ „რომბაქიაძე“ — რობაჭიძე.

ისტორიულ საბუთებში ახალ თერჯოლაში (მწუხარელაში) მკვიდრი რობაქიძეები მესხის საბატონო გლეხებად მოიხსენებიან (იხ. მ. კეზევაძე, 2004, გვ. 111).

ნიშნიანიძეების გვარის შესახებ ასეთი გადმოცემა ჩავიწერეთ: მათი წინაპარი, რომელიც სხვა გვარს ატარებდა, ტყიბულის რაიონის სოფელ ნაძვადან ყოფილა და სახელად დათიკა რქმევია. დათიკასათვის საცოლედ ქალი უჩვენებიათ, რომელიც ძალიან ლამაზი ყოფილა. დაუნიშნავს კიდეც. ქორწილის დროს ქალი შეუცვლიათ. ლამაზი ქალის მაგივრად მახინჯი უნდოდათ შეეჩეჩებიათ. დათიკას ქალი ნიშნიანად მიუტოვებია. ქალის მამას ვინ არ მიუგზავნია, სასიძოსათვის ოქრო-ვერცხლიც შეუთავაზებია (რომ წიხლი არ დეეკრა მისი ოჯახისათვის), მაგრამ სასიძო ვერაფრით გადმოუბირებიათ. თურმე გაიძახოდა: მეტი რა უნდათ, ნიშანი ხომ დაუტოვეო! და იმის შემდეგ ნიშნიანიძე შეარქვეს. დათიკა ძალიან თავმოყვარე, ვაჟკაცი და მომლხენი კაცი ყოფილა. ასეთი სიმღერა სცოდნია:

არც არავის ყმა ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია,
ძველი ღვინო, ძველი პური
წლის წლობამდი გამყოლია.

დათიკას შემდეგ მართლაც ლამაზი და სათნო ცოლი შეურთავს. მისი უფროსი ვაჟი სასულიერო წრის წარმომადგენელი ყოფილა, ჯერ სოფელ „კურსებში“, შემდეგ კი გელათში დეკანოზად გაუმწესებიათ (მთქმელი იონა ნიშნიანიძე, 78 წლის).

მელქისედეკ გაენათელის მიერ 1548 წელს ივანე ცირღილაძისადმი მიცემულ წყალობის წიგნში მოწმედ იხსენება კურსების დეკანოზი მოჭივა დავითის ძე ნიშნიანიძე (ქსძ, 1970, გვ. 262). შესაძლებელია, იგი დათიკას ვაჟი იყოს.

ყიფიანის გვარი სოფელ ახალ თერჯოლაში რაჭიდან არის მიგრირებული. რაჭაში კი მათი წინაპარი სვანეთიდან ჩამოსულა. ვახტანგ ყიფიანის გადმოცემით, როდესაც რაჭის ერისთავს ომში დახმარება დაჭირდა, სვანეთის მთავარმა დასახმარებლად გამოუგზავნა თორმეტი კაცი. ერისთავმა იცოტავა და გაბრაზდა. ერთმა დაბალი ტანის ყმაწვილმა უთხრა: ჯერ გამოგვცადეთ და მერე გაგვლანძღეთო. მართლაც, მეომრებმა ბრძოლაში თავი გამოიჩინეს; განსაკუთრებით ამ დაბალი ტანის ჰაბუკმა. გახარებულმა ერისთავმა გადაკოცნა ომიდან დაბრუნებული ვაჟკაცი, რომელმაც გამარჯვების ამბავი მოუტანა მას. რაჭის ერისთავმა უთხრა: მართლაც რომ მყიფე, უდრეკი ყოფილხარო და დაერქვა „მყიფიანი“ (ყიფიანი). რაჭის ერისთავს მისთვის თავადაზნაურობა უბოძებია.

გვარსახელს საფუძვლად უნდა ედოს საკუთარი სახელი „ყიფი“. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ყიფი“ ამაყს ნიშნავს (სულხან-საბა, 1993).

რაჭაში, ხვანჭკარელ ყიფიანებში შემონახულია გადმოცემა მათი წინაპრის სვანეთიდან გადმოსახლების შესახებ: „ყიფიანი წინ უძღოდა თურმე ოცდაათკაციან რაზმს. რაზმელები წინამძღოლთან ძმადშეფიცული ჭარბაძეები ყოფილან. ყიფიანი თავისი ამალით რაჭის ერისთავს ხლებია და თავშესაფარი უთხოვია. ამ დროს იმერეთის მეფისაგან მალემსრბოლი მოსულა: მტერი შემომესია და ჯარი მომაშველეთო. ყიფიანს ერისთავისათვის მიუმართავს: ათი კაცი დამიმატე და

საომრად ჩემი რაზმით წავალო. ერისთავს ხიზნის თხოვნა დაუკმაყოფილებია. როცა იმერეთის მეფეს ასე ცოტა მეომრები უხილავს, გაბრაზებულა: — თქვენს ბატონს ხომ არ ეგონა ქორწილში ვპატიჟებდიო? — აუგი ომის შემდეგ ბრძანეთო! — შეჰკადრა თურმე პასუხად ყიფიანმა. მართლაც, ბრძოლაში ყიფიანის მამაცობის წყალობით გაუმარჯვიათ, რისთვისაც მეფეს შეუქია, ჯილდოდ კი თავადობა და სამფლობელო უბოძებია" (ლ. ფრუიძე, 1974, გვ. 228).

ამ მხარეში თქმულების უფრო გავრცელებული ვარიანტით, „სისხლის მაძიებელთაგან დევნილი ოთხი ძმა ყიფიანი სვანეთიდან რაჭას გაქცეულა. „ხვანჭკარაში" მეფეს უნახავს ახალგაზრდა ყიფიანი, რომელსაც ხელმწიფის საპატივცემულოდ გამართულ ყაბახსა და ჯირითზე დიდი სიმარჯვე და სიჩაუქე გამოუჩენია. მეფე მეტადრე მშვილდოსნობით მოუხიბლავს. ცალ ფეხს აიკაუჭებდა თურმე და ისარს ისე სტყორცნიდა, ციდან ფრინველს აგდებდა, კაცს წამწამს სწყვეტდა. — რა გიბოძოო? — ჰკითხა მბრძანებელმა. — მეტს არას გთხოვ, ციხე მომეციო. გულუხვმა მეფემ „ხვანჭკარის ციხე", მიწა-წყალიც უბოძა და თავადობაც დაუმტკიცა" (იქვე, გვ. 230).

ცნობილია, რომ რაჭაში მცხოვრები ყიფიანები განთქმული იყვნენ მეღვინეობით. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში „ყიფიანის ღვინომ" არა მარტო საქართველოში გაითქვა სახელი, არამედ საზღვარგარეთაც, კერძოდ პარიზში. მხცოვანი მთხრობლები მეღვინეობით დაინტერესებულ ყიფიანთაგან კონსტანტინეს და ქაიხოსროს ასახელებენ, შემდეგ მათი საქმიანობა გაუგრძელებია ლუარსაბ და დიმიტრი ყიფიანებს" (იქვე).

ახალ თერჯოლაში მცხოვრები პირველი თქმულების ავტორი — ვახტანგ ყიფიანი და მისი მამა გერონტი ყიფიანი ცნობილი მეღვინეები, ღვინის დაყენების დიდოსტატები გახლავთ. ეს ფაქტიც დასტურია იმისა, რომ ამ კუთხის მკვიდრი ყიფიანები, რომლებიც, თქმულება-გადმოცემების მიხედვით, წარმოშობით რაჭიდან არიან, დღესაც არ ღალატობენ მემკვიდრეობით გადმოცემულ ტრადიციას — მეღვინეობას.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, თერჯოლის რაიონის სოფლების - ჩხარისა და ახალი თერჯოლის მკვიდრთა გვარებზე თქმულება-გადმოცემებში ნათლად არის ასახული ამ კუთხის მცხოვრებთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფა, შიდამიგრაციული მიზეზები, ქართველთა სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ფაქტები, წესები, რაც მრავალმხრივ საყურადღებოა ქართული ფოლკლორისტიკისა და ისტორიოგრაფიისათვის.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. ბოჭორიძე, 1994 - გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994.

მ. კეზევაძე, 2004 - მ. კეზევაძე, ქართული გვარსახელები იმერეთში, ქუთაისი, 2004.

ი. მაისურაძე, 1990 - ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1990.

თ. ოჩიაური, 1959 - თ. ოჩიაური, ზოგიერთი ხალხური გადმოცემის შესახებ: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. X, 1959.

თ. ჟორდანია, 1892 - თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, თბ., 1892

ლ. სანიკიძე, 1990 - ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, I გამოცემა, თბ., 1990.

საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბ., 1962.

საქართველოს ტოპონომია, თბ., 2003.

ლ. ფრუიძე, 1974 - ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, წიგნი I, თბ., 1974.

ქსძ, 1970 - ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1970.

დ. შავიანიძე, 2007 - დ. შავიანიძე, ქართული გვარსახელები, ქუთაისი, 2007.

მ. ჩიქოვანი, ვ. მაცაბერიძე, 1964 - ხალხური სიტყვიერება, ტ. IV, თქმულებები და ლეგენდები. ლიტერატურა და ხელოვნება, თბ., 1964.

პ. ცხადაია, 2006 - პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახელებანი სამეგრელოში, თბ., 2006.

ა. წერეთელი, 1961 - ა. წერეთელი, როგორ უნდა შევკრიბოთ ზეპირგადმოცემები? თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. 11, თბ., 1961.

NORA NIKOLADZE

STORIES OF ORAL TRADITIONS ABOUT THE FAMILY NAMES OF RESIDENTS OF THE VILLAGES OF CHKARI AND AKHALI TERJOLA (Terjola region)

Tales of oral traditions abound in every locality of the Georgian provinces that represent one of the treasures of its people. Terjola region is distinguished with multitudes of folklore materials. Even to these days one can find villagers whose memories retain narrations of various genres of the oral traditions, among them are the stories about the local family names.

The paper discusses stories of oral traditions concerning to the family names of two villages Chkhari and Akhali Terjola. These names are: Abzhandadze, Abuladze, Butskhrikidze, Verulashvili, Nishnianidze, Robakidze, and Qipiani.

The collation of the ethnographic materials, written records and specialist literature confirms that the oral traditions and legends about the origin of these family names in many cases can serve to verify the real facts of the past. These oral stories give clear accounts of the historical and ethnographic reflection of the communities inhabiting the area, the reasons of the internal migrations, facts featuring social and political life. All these data whet interests of many faceted studies of the question in folklore and historiography.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ჰაზირა
(ციკლიდან: არაქართული წარმომავლობის ქართველი მწერლები)

XVII-XVIII საუკუნეების ქართულ პოეზიაში ნიშანდობლივად გამოვლინილმა და ბესიკისა და საიათნოვას მიერ უმაღლეს პოეტურ სიმაღლეზე აყვანილმა აღმოსავლურმა (სპარსულ-არაბულმა) ლიტერატურულმა ტენდენციებმა არსებითად განსაზღვრეს XIX საუკუნეში მოღვაწე იმ პოეტების შემოქმედების თვისებრივი ბუნება და არსი, რომლებიც ე. წ. ქალაქური პოეზიის შემოქმედთა სახელით არიან ცნობილნი (იეთიმ-გურჯი, ჰაზირა, გიორგი სკანდარნოვა, დავით გივიშვილი, ანტონ განჯისკარელი, ბეჩარა...). მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლური პოეტური ტენდენციები იმხანად მოღვაწე ჩვენი კლასიკოსების შემოქმედებაშიც გამოვლინდნენ საკმაოდ მძლავრად და ხელშესახებად (ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ა. წერეთელი...), მათი მწერლური ინდივიდუალობის განმსაზღვრელ და წარმომჩენ უმთავრეს მიმართულებად ზემოთ აღნიშნული ტენდენციები მაინც არ ქცეულან და მოვლენათა აღქმა-წარმოსახვის მათეული სტილი და მანერა უპირველეს ყოვლისა ეროვნული ლიტერატურული წიაღით საზრდოობს.

XIX საუკუნის თბილისში მოღვაწე ზემოთ დასახელებული ამ პოეტებისა და მათი თანამესიტყვეების ლექს-სიმღერების სახით პოეტური შედევრებით მდიდარ ქართულ ზეპირსიტყვიერებას იმხანად ერთი საკმაოდ მძლავრი ნაკადიც შეემატა ქალაქური პოეტურ-მუსიკალური ფოლკლორის სახით. მართალია, ამგვარი ფორმის ნაწარმოებები არც წინა საუკუნეების ქართული ლიტერატურისთვის წარმოადგენდნენ უცხო მოვლენას, მაგრამ XIX საუკუნის ქალაქური პოეტურ-მუსიკალური ფოლკლორი ზემოთქმული თვალსაზრისით მაინც განსაკუთრებით მდიდარია და მრავალფეროვანი.

მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელი ქართული ქალაქური პოეზიის ფართოდ პოპულარული ნიმუშების ავტორთა სახელები დაინტერესებულ მკითხველთათვის კარგადაა ცნობილი, რაც ფოლკლორული ჟანრის ნიმუშებად ამ ნაწარმოებთა მიჩნევას, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, საფუძველს უნდა აცლიდეს. სათქმელის გამოხატვის მხატვრული სპეციფიკით მათი დიდი ნაწილი პირველ ყოვლისა მაინც სწორედ ქალაქური პოეტური ფოლკლორის ნოყიერი წიაღით საზრდოობს. ზემოთქმული დასკვნის გამოტანას ხელს მნიშვნელოვნად წილად უწყობს ის ფაქტიც, რომ ხსენებული ლექს-სიმღერების საუკეთესო ნიმუშები ხალხში იმხანად უდიდესი პოპულარობით სარგებლობდნენ.

ნათქვამის დასტურად მკითხველი ბევრ უაღრესად საინტერესო მასალასა და დამაჯერებელ არგუმენტს იპოვის თბილისური პოეტური ფოლკლორის სწორუპოვარი მკვლევრის — იოსებ გრიშაშვილის უკვდავ წიგნში „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“ (ი. გრიშაშვილი, 1985).

მაგალითად, ი. გრიშაშვილის მართებული მოსაზრებით, „ხალხურ მწერლობად“ მარტო ისეთი შემოქმედება კი არ იგულისხმება, რომლის ავტორიც უცნობია, არამედ „ის შემოქმედებაც, რომელიც ხალხის შვილის გულიდან

ლად მომდინარეობს, უკოსმეტიკოდ, თავისი პრიმიტიული სახით და ავტორიც ნებისა, ცოტად თუ ბევრად, ცნობილია“ (გვ. 138).

XIX საუკუნის თბილისში მოღვაწე იმ აშუღ პოეტთა შორის, რომელთაც საგულისხმო როლი შეასრულეს ზემოთ აღნიშნულ პოეტურ ტენდენციათა კიდევ უფრო მეტად მომძლავრების საქმეში, ჰაზირა — ი. გრიშაშვილის მიერ „ძველი თბილისის ახალ საიათნოვად“ სახელდებული მგოსანი — ერთ-ერთი ფიგურაა. მიუხედავად იმისა, რომ მხატვრული ნაწარმოების ზოგადი ლიტერატურული კანონებით განმსჯელ-შემფასებელი მკითხველი ჰაზირას ლექსებში ბევრ ნაკლსა და ხარვეზს იპოვის, მის პოეზიაში ის მაგიური შინაგანი ენერგიაც ვლინდება საკმაოდ მძლავრი ფორმით, რომელიც არა მარტო პოეტის დროინდელი საზოგადოების დიდ ნაწილზე ზემოქმედებდა ანდამატური ძალით, არამედ დღესაც გვიზიდავს და აღგვაგზნებს.

ჰაზირა ფაქტობრივად პროფესიონალი პოეტი არც კი ყოფილა. იმის გათვალისწინებით, რომ მისი ლექსების უმრავლესობა სამღერლად იყო გამიზნული, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი სასიმღერო ტექსტების ავტორი უფროა, ვიდრე პროფესიონალი პოეტის მიერ დაწერილი ლექსებისა. თავად ჰაზირას მიერ შექმნილ მუსიკალურ მელოდიებს მისადაგებული მისივე სასიმღერო ტექსტებისთვის თანამდევ იმ ნაკლოვანებებს, რითაც ეს ტექსტები ხასიათდებოდნენ, ამ სიმღერების მსმენელი ნაკლებად გრძნობდა და პოეტის დროინდელ თბილისსა და მის ფარგლებს გარეთაც ფართოდ პოპულარულ ამ ლექს-სიმღერებს აღფრთოვანებით უკრავდა ტაშს.

გარდა მხატვრული სისადავისა და უბრალოებისა, ჰაზირას ამღერებული ლექსების პოპულარობას ისიც არსებითად განსაზღვრავდა, რომ მათში გამოხატული სათქმელი მსმენელთათვის მეტად ადვილი აღსაქმელი და გასააზრებელი იყო და ათასობით ადამიანის ჭირ-ვარამისა და საფიქრალ-სადარდებლის გამომხატველი ეს ლექს-სიმღერები საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ქეიფისა და მოლხენის განუყოფელ ნაწილად იყო ქცეული.

პირველ ყოვლისა სწორედ ამგვარი პოპულარობით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ჰაზირასა და მისი თანამედროვე აშუღი პოეტების სასიმღერო ლექსები პატარ-პატარა კრებულებად სისტემატურად გამოდიოდა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისში და მათ მოყვარული მკითხველი საკმაოდ მრავლად ჰყავდა.

საზოგადოების ფართო ფენებში ჰაზირასა და მისი თანამოკალმე აშუღი პოეტების ასეთი შემოქმედებითი პოპულარობა, წმინდა კომერციული მიზნებიდან გამომდინარე, მათი წიგნების გამომცემელთა დაინტერესებასაც არსებითად უწყობდა ხელს. სწორედ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში ხსენებულ პოეტთა პატარ-პატარა პოეტური კრებულები საკმაოდ ხშირად მიეწოდებოდა მკითხველს. აღნიშნულ მოვლენას აკაკი წერეთელი 1886 წელს გაზეთ „ივერიის“ 222-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში შემდეგნაირ შეფასებას აძლევდა: „ეს დაშვიდი წელიწადია, რაცა ვწერ და ჯერ კიდევ ჩემს ნაწერებს ცალკე წიგნად გამოსვლა არ ღირსებია, მაშინ, როდესაც სხვების, ჩემი თანამოკალმეების, მაგალითად, სკანდარნოვის, რიჟაოღლანის და მათი დამქაშების ნაწერები კი ცალ-ცალკე წიგნებად განმეორებით იბეჭდებიან.“

იმის გათვალისწინებით, რომ ჰაზირას შემოქმედებითი მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი დღეს არა მარტო მკითხველთა ფართო წრისთვისაა ძნელად ხელმისაწვდომი, არამედ თვით სპეციალისტებისთვისაც კი, მისი პოეტური ღვაწლის შესასწავლად და იმჟამინდელ ლიტერატურულ, ეროვნულ და სოციალურ მოვლენათა კონტექსტში გასაანალიზებლად ძალზე ცოტა რამაა გაკეთებული. ქვემოთ შევეცდები რამდენადმე მაინც წარმოვაჩინო ქართული აშუღური პოეზიის ამ საინტერესო წარმომადგენლის პოეტური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი უმთავრესი ტენდენციები და კონკრეტული მაგალითების მოშველიებით ვცადო მისი მწერლური ღვაწლის შეფასება ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში (წერილში განხილული ჰაზირას ლექსები დამოწმებული მაქვს შემდეგი წიგნებიდან: 1. ახალი ლექსები სხვადასხვა, შედგენილი ჰაზირასი, 1894 წ. 2. ყბედი ჰაზირას რჩეული სიმღერები, მუხამბაზები და სხვადასხვა ჰანგები, 1903 წ. 3. ბელადი, სხვადასხვა ახალი ლექსები და სიმღერები ჰაზირას თხზულება, 1904 წ. 4. ჰაზირა, გამგელებული ბატკანი ანუ ომი ბალკანეთისა, 1914 წ. 5. ქართული პოეზია, ტ. 16, ქალაქური პოეზია, 1985 წ. 6. შედევრები, შეადგინა და გამოსცა მ. ლებანიძემ, 1994 წ.).

* * *

თავისი დროის საზოგადოებაშიცა და ლიტერატურის ისტორიაშიც ჰაზირას სახელით ცნობილი აშუღი პოეტი აბრამ აბრამოვი (აბრამიშვილი), რომელიც ეროვნული წარმომავლობით სომეხი იყო, დაიბადა 1845 წელს ბორჩალოს მაზრის (ახლანდელი მარნეულის რაიონის) სოფელ შულავერში. გაზეთ „ივერიასა“ (1891 წლის IV და V ნომრებში) და ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ (1915 წლის პირველ ნომერში) დაბეჭდილ მოგონებებში ჰაზირა თავადვე ყველაზე უმთავრეს ეპიზოდებს საკუთარი ცხოვრებიდან.

პოეტის ინფორმაციით, პაპამისი, რომელიც ყარაბაღელი შეძლებული ვაჭარი ყოფილა, „ერთხელ საგარეჯოს წასულა, იქ ქართველი ქალი მოწონებია — გარეჯელი ყანდარელის ასული თამარი და ცოლად შეურთავს. წაუყვანია იქიდგან შულავერში და იქ დასახლებულა. დაჰბადებია იქ ვაჟი, მოუნათლავთ სომხურად და დაურქმევიათ დათია.“ ჰაზირას გადმოცემით, მომავალში სწორედ ეს დათია ყოფილა მამამისი. ერთი წლის შემდეგ დათიას შესძენია და, რომელიც უკვე ქართულად მოუნათლავთ და მარინე დაურქმევიათ. შვილების ასეთი განსხვავებული წესით მონათვლა, პოეტის თქმით, თურმე მაშინ ხდებოდა, როცა ქმარი სომეხი იყო, ცოლი კი ქართველი. ასე რომ, ფორმალური წესის მიხედვით, ჰაზირას მამა სომხად ითვლებოდა, მამიდა კი ქართველად („ივერია“, 1891, №4).

დათია მამამისის კვალს გაჰყოლია და შეძლებული ვაჭარი გამხდარა. შეუცოლად შეურთავს თბილისელი სომხის ქალი, რომელთანაც რვა შვილი შესძენია — ორი ვაჟი და ექვსი ქალი. ჰაზირა შვილებში ყველაზე უმცროსი ყოფილა. ბავშვების აღზრდის საქმეში დათიასა და მისი მეუღლისათვის უდიდესი დახმარება გაუწევია დათიას დედას — თამარს, რომელიც, როგორც ითქვა, ქართველი ქალი იყო. მას ბავშვები „სულითა და გულით ისეთ ქართველებად“ აღუზრდია, რომ „არც კი ვიცოდით, თუ სომხები ვიყავითო“, — წერს ზემოთ დამოწმებულ

ბოგონებაში პოეტი. მისი თქმით, მათ ოჯახში „სომხურის ლაპარაკის ჰაჰანებაც არ იყო, ვიდრე მათთან სომეხი სტუმარი არ მივიდოდა."

ჰაზირას მამას, როგორც შეძლებულ ვაჭარს, თურმე „მთელი შულავერი ხელში ჰქერია" და ისეთი დიდი სახლი დგმია, რომ მსგავსი საცხოვრებელი ქალაქში თვით მირზოევსაც არა ჰქონია." მიუხედავად ცხოვრების ამგვარი პირობებისა, ჰაზირას შესაფერისი განათლება არ მიუღია. პოეტის თქმით, ბიძის ნაცვლად, „ყმაწვილობიდან მისი საქმე ვენახში მუშაობა, ტყეში სიარული და გუთანზე მეხრეობა" ყოფილა. წიგნის კითხვა კი თურმე ძალზე ეჯავრებოდა და „არ სწავლობდა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი შულავერის ყმაწვილები მის სახლში სწავლობდნენ წიგნს, რადგან მისი უფროსი ძმა მასწავლებელი იყო" („ტატრი და ცხოვრება", 1915, №1).

როგორც ჰაზირას ერთ-ერთი ლექსიდან ვგებულობთ, პოეტის ოჯახს მისი ბავშვობის პერიოდში დიდი ტრაგედია დატყდომია თავს. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით თავად იგი:

მამა მოგვიკვდა, დავრჩით ობლადა,
დედა სხვას გაჰყვა პურის მცხობლადა,
ჩვენი საქმე ველარ მიდის მწყობრადა.
ბედი გაგვექცა, სახლი დაგვექცა,
ცხენი წაგვექცა, ველარ ადგება...
ახ, როდის იქნება დაგვიდგეს დარი,
გველირსოს ჩვენი სახლი და კარი.

15 წლის ასაკში მყოფი ჰაზირა დედას შულავერიდან თბილისში ჩაუყვანია და თავისი დის მეუღლისათვის, რომელსაც სამიკიტნო დუქანი ჰქონია გახსნილი, მოსამაგრებლად მიუბარებია, რისთვისაც წელიწადში თურმე 25 მანეთს უხდიდნენ დასაბრჭელოდ. იმავე დუქანში ერთი ხნიერი კაციც მუშაობდა თურმე, ჰაზირას მსგავსად, ისიც „ქონებიდგან დაცემული კაცის შვილი" და პოეტის დედის შორეული ნათესავი. ჰაზირას დედის თხოვნით, სწორედ მას უსწავლებია პოეტისთვის წერა-კითხვა. „სამი წლის შემდეგ, — განაგრძობს პოეტი თავისი მოწაფეობის თხრობას, — ჩამოვიდა დედაჩემი და იმ დროსვე ჩემს დეიდაშვილის ბიძას „ფერმაში" გაიღო დუქანი. გამომიყვანა იქიდგან და მიმცა მოჯამაგირედ სოფელში ათ თუმნად" (გაზ. „ივერია", 1891, №5).

ხსენებულ ადგილზე ჰაზირა სამი წლის განმავლობაში დარჩენილა. იქ ყოფნის პერიოდი მის ცხოვრებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმით გამოდგა, რომ პირველად სწორედ მაშინ გამოვლინდა მისი პოეტურ-მუსიკალური შემოქმედებითი ნიჭი. ამ ნიჭის გაღვივებისათვის ხელისშემწყობ უმთავრეს ფაქტორად პოეტი მაშინდელ თბილისურ ყოფას მიიჩნევს. კერძოდ, მისი ინფორმაციის მიხედვით, „ამ დროს ქალაქში აშუღებს ჩვეულებად ჰქონდათ ყველა კვირას მარაქას გამართვა. მეც ხშირად მივდიოდი საყურებლად. აი, სწორედ აქ ჩამენერგა გულში სიმღერის სიყვარული. ამ სიმღერებმა შემაყვარა შემდეგში წიგნის კითხვა. რადგანაც სიმღერები უნდა დამეწერა აშუღებისაგან და შემესწავლა, წერა ვისწავლე, მაგრამ ვაი იმ სწავლასა: ჩემს ნაწერს მე თვითონ უნდა გავყოლოდი, რომ წამეკითხა, თორემ სხვა ვერას გაიგებდა (ეხლაც ასეა)."

სიმღერით ჰაზირას გატაცებას სულ მალე იმდენად დიდი წარმატებები მოუტანია, რომ მისი დეიდაშვილის დუქანს, სადაც იგი მღეროდა, უამრავი სტუმარი მოწყდომია. პოეტის თქმით, მათი დიდი ნაწილი დუქანში თურმე

უფრო მეტად მისი სიმღერის მოსასმენად დადიოდა. თავად ჰაზირა მის ცხოვრებაში მომხდარ ამ გარდატეხას ასეთ შეფასებას აძლევს: „იქიდან დაიწყო ჩემი სიყვარული სიმღერებისა და საცა აშუღებსა ვხედავდი, მათ იმათზედ მიმდიოდა. სულ ჩემი ნატვრა და თხოვნა უფლის მიმართ ის იყო, რომ აშუღებისათვის სიმღერების ამომღები და მთქმელი ვყოფილიყავი“ (გაზ. „ივერია“ 1891, №5).

დეიდაშვილის დუქანში ამნაირად გატარებული სამი წლის შემდეგ ჰაზირას გადაუწყვეტია სიმღერა ხელობად გაეხადა და შემოსავლის წყაროდ ექცია. ამ ოცნებით გატაცებულმა, მან დეიდაშვილთან მუშაობას თავი დაანება, აშუღის ამხანაგები გაიჩინა და სუფრიდან სუფრაზე დადიოდა და მღეროდა. ჰაზირას პოპულარობას არსებითად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ იგი თბილისელი აშუღების მიერ დამკვიდრებული ტრადიციების უნიჭიერესი გამგრძელებელი გამოდგა.

კერძოდ, იგი არა მარტო საუკეთესო მომღერალ-შემსრულებელი ყოფილა, არამედ თავადაც წერდა სიმღერებსაც და მათ ტექსტებსაც. გარდა ქართული ენისა, ის ლექსებს თურმე სომხურადაც წერდა. ასე რომ, დეიდაშვილთან წასვლის შემდეგ, „ორიოდე წელიწადში, როგორც თავად ამბობს, ისეთი აშუღი შექმნილა, რომ სანაქებოდ დაყავდა ხალხს.“

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ჰაზირას პოპულარობა იმ ფაქტებსაც განაპირობა მნიშვნელოვანწილად, რომ თავიანთი სიმღერებით ის და მისი თანამომღერლები ხალხის ჭირ-ვარამსაც გამოხატავდნენ შეულამაზებლად და ემოციური სიმძაფრით. ასე რომ, პოეტის თქმით, ისინი მუდამ იქ იმყოფებოდნენ, „საცა ცხოვრებას ხალხისთვის კისერი მოეგრიხა, ტვინი და გული გაეცივებინა“.

ჰაზირას მომღერლობაზე საუბრის დროს აქ ერთ არსებითად მნიშვნელოვან გარემოებასაც მინდა მივაქციო ყურადღება: მის მიერ შედგენილ მომღერალთა დასში, როგორც წესი, თურმე ბრმა აშუღები იყვნენ გაერთიანებულნი. მიუხედავად ბევრი ადამიანის რჩევისა, ბრმა აშუღებს ჩამოშორებოდა და მის ირგვლივ თვალხილული მომღერლები შემოეკრიბა, რითაც გაცილებით მეტ ფულს იშოვნიდა. ჰაზირა მათ ამ რჩევას პრინციპულად არ ეთანხმებოდა.

ჰაზირას საყვარელი საკრავი დაირა ყოფილა. დღენიადაგ დუქნებსა და სამიკიტნოებში მოსიარულე, თურმე ნამდვილი ბოჰემური ცხოვრებით ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული წარმომავლობით სომეხი იყო, განსაკუთრებული სიყვარული მაინც ქართველებისა და საქართველოსადმი ჰქონია, რაც განსაკუთრებული სიმძაფრით არის გამოხატული მის შემოქმედებაში.

ჰაზირას ლექს-სიმღერები არა მარტო მოსახლეობის დაბალ ფენებში ყოფილა პოპულარული, არამედ საზოგადოების მაღალგანვითარებულ წრეებშიც კი. ამის დასტურად აქ თუნდაც იმ პატივისმცემლური დამოკიდებულების გახსენებაც იქნება საკმარისი, რასაც ილია იჩენდა მის მიმართ. კერძოდ, ილია ჰაზირას ვრცელი ბიოგრაფიული მონათხრობი და რამდენიმე წერილი მიუძღვნა რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა. თავის მხრივ, ჰაზირაც ხშირად გამოდიოდა ხოლმე ჩვენი კლასიკოსი პოეტების შემოქმედების პოპულარიზატორის როლში და სიმღერებს მათ ლექსებზეც ჰქმნიდა.

აქვე რამდენიმე სიტყვა იმ საგანმანათლებლო როლის შესახებაც უნდა ითქვას ხაზგასმით, რასაც ჰაზირასა და მისი დროის სხვა აშუღი პოეტების ლექსები ასრულებდნენ იმჟამინდელ საქართველოში. აი, რას წერს

პოეტი ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთგან: „რომელ ერთ მწერალს, რომელ ერთ მოძღვარს, რომელ ერთ ლექციას, რომელ ერთ მოქადაგეს შეეძლო საფიქრებინა ხალხისთვის ის, რასაც ჩვენ ვაგონებდით ჩვენი ტკბილი დაკვრით და სიმღერით."

ასე რომ, როგორც ი. გრიშაშვილი აღნიშნავს სავსებით მართებულად, ჰაზირას თავისი შინაარსიანი ლექსებით მეტად დიდი ღვაწლი მიუძღვის ხალხის კეთილთცნობიერების საქმეში. ვინ მოსთვლის მისი **ტკბილი სიმღერების** წყალობით რამდენი დაეწაფა კითხვას!" (ი. გრიშაშვილი, 1985, გვ. 322).

ჰაზირას ლექს-სიმღერების საერთო-სახალხო პოპულარობამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ თავის მომღერლებთან ერთად იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქართულ თეატრშიც ჰყოლიათ მიწვეული ანტრაქტების დროს მაყურებლის გასართობად. თავად პოეტი ამ ამბავს ასეთ შეფასებას აძლევს: „ჯერ ეხლა რა არის თეატრის საქმე, რომ მაშინ რა უნდა ყოფილიყო; მაგრამ მაინც, გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ დაბალი ხალხი თეატრში ჩემი სიმღერების გულისთვის დადიოდა. ერთი სიტყვით, თეატრს ბნელი ხალხით ვავსებდი, რომელმაც არ იცოდა, რა იყო თეატრი. ამავე დროს მე მყვანდა სამოცდათხუთმეტი შეგირდი — ქართველი, სომეხი, თათარი, ებრაელი; საქართველოს სხვა-და-სხვა მცხოვრებნი — გურული, თუში, ქისტი, ფშაური და სხვა. ყველამ ქართული წმინდათ იცოდა. შევჭურვე ესენი სასარგებლო და გამაღვიძებელი ლექსებით და მთელს საქართველოსა და კავკასიის ყოველ კუთხეში დავფანტე" („თეატრი და ცხოვრება", 1915, №1).

თეატრისადმი ჰაზირას სიყვარული იმითაც იყო განპირობებული, რომ მას რამდენიმე პიესაც ჰქონია დაწერილი („ჩვეულება", „ჯიბგირი", „აშუღი", „ბანაღი" და სხვ.). ერთ-ერთი მათგანი — „ჯიბგირი" 1880 წელს თბილისის სახალხო თეატრის სცენაზეც ყოფილა წარმოდგენილი.

1920 წელს თბილისელებმა საყვარელ აშუღს დიდი ზარ-ზეიმით გადაუხადეს მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. გარდა ქართველი საზოგადოების წარმომადგენლებისა (იოსებ იმედაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი...), საიუბილეო საღამოში ცნობილმა სომეხმა პოეტმა ოვანეს თუმანიანმაც და მხატვარმა ალორქ ბაშინჯაღიანმაც მიიღეს მონაწილეობა.

ჰაზირა გარდაიცვალა 1922 წელს. პოეტის მეგობრებმა მისადმი სიყვარული უჩვეულო ფორმით გამოხატეს. აი, რას გვიამბობს ამასთან დაკავშირებით ი. გრიშაშვილი: „მოკვდა ჰაზირა და მის საფლავზე არ ისმოდა თათრის ინსტრუმენტების სამგლოვიარო ჰიმნი, — ჰიანურს შესწირა თავისი ტკბილობა და ჰიანურებმა დაიტირეს უკანასკნელად. მისმა შეგირდებმა ქართველებულის საფლავზე გამართეს ლხინი — დიაღ, ლხინი და არა ქელეხი! და, როგორც ყარაჩოღელი ნეფე მიდის ხოლმე თავისი მამის საფლავზე და ზურნაზე ცეკვით გამოსთხოვს დალოცვას, ისეც ჰაზირას მოწაფეებმა მის საფლავზე დაუკრეს ჰაზირას საყვარელი ჰანგები, რომ მათი ოსტატის მადლიანი ნიჭი მის შეგირდებში გადასულიყო და ჰაზირასებურ ჰანგებს კვლავ დიდხანს ეცოცხლა. დაუკრეს „მასრაფი", წარმოსთქვეს ლექსები, შემდეგ, ძველი ჩვეულების თანახმად, მის საფლავზე დააწყეს საკრავები, უსიტყვოდ შეჰფიცეს მისი ანდერძის დაცვა და სანთელანთებულნი დაბრუნდნენ ჰაზირას ბინაზე, თითქოს ეს ხალხი ჰაზირას ეკრწილში ყოფილიყო და არა მის დასფლავებაზე.

ჰაზირას ოთახში, სადაც დალია მგოსანმა სული, ორმოცი დღის განმავლობაში მისი შეგირდები მორიგეობით ათევდნენ ღამეს, რომ გარდაცვალებულის კერა არ გაცივებულიყო და მის დაუდგრომელ სულს შეგირდების შემოქმედებაშიც ემარადა“ (ი. გრიშაშვილი, 1985, გვ. 329).

ჰაზირა დასაფლავებულია თბილისში, ხოჯევანქის სასაფლაოზე.

* * *

როგორც უკვე ითქვა, ჰაზირა ისე განუყოფელად იყო შეზრდილ-შესისხლხორცებული საქართველოსა და ქართულ ყოფას, პირველ ყოვლისა კი თბილისურ ყოველდღიურ სინამდვილეს, რომ სხვაგან ცხოვრება მას ვერც კი წარმოედგინა. მართალია, ეროვნებით სომეხი იყო, მაგრამ საქართველო მისთვის უმთავრეს ხატსა და საფიცარს წარმოადგენდა. ივანე გომართელის შეფასებით, „ჰაზირა საქართველოს ტარიელია. მას იმდენად უყვარს საქართველო, რომ სხვაგან ძვირფას სასახლეს საქართველოში საფლავი ურჩევნია. ამიტომაც იმის პოეზიას ახასიათებს პატრიოტიზმი.“

საქართველოსადმი ჰაზირას სიყვარულის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის დასტურად მისი შემოქმედებიდან მრავალ შთამბეჭდავი მაგალითის მოტანა შეიძლება. იგი თავისი ლექს-სიმღერებით ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, ჩვენი ქვეყნისადმი სიყვარულის ეს წმინდა გრძნობა მისი მკითხველებისა და მსმენელების გულშიც რომ განემტკიცებინა კიდევ უფრო მეტად. საქართველო მას იმდენად ძლიერ უყვარდა, რომ, როგორც ერთ-ერთ ლექსში წერს, სხვაგან ძვირფას სასახლეში ცხოვრებას ჩვენს ქვეყანაში დასაფლავება ერჩივნა:

ჰაზირ, კაი აზრები აირჩიე,
შენს მეგობარს, ძმას, მეზობელს მისდიე,
სხვაგან ძვირფას სასახლეზე ირჩიე —
საქართველოში საფლავი, სულოჯან!

ჰაზირას პოეზიაში მკვეთრი კონტრასტულობითაა ერთმანეთისაგან გამიჯნული რომანტიკულად განდიდებული წარსული და პოეტის დროინდელი ცხოვრებისეული სინამდვილისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებანი. მაგალითად, ლექსში „აღსდექ, თამარ დედოფალო!“ თავისი დროის ქართული ყოფის დეგრადაციის ეფექტური ფორმით წარმოსაჩენად ჰაზირა ამ პერიოდის სინამდვილეს კონტრასტული სახით უდარებს და უპირისპირებს თამარ მეფის ხანის საქართველოს სახელმწიფოებრივ ძლიერებას და ნაწარმოების ლაიტმოტივად ქცეული სიტყვების („აღსდექ, თამარ დედოფალო, შენთვის სტირის საქართველო“) მიზანმიმართული განმეორებით ყოველი სტროფის ბოლოს სათქმელს კიდევ უფრო მეტ შთამბეჭდაობასა და აზრობრივ სიმძაფრეს სძენს.

ჰაზირას შეფასებით, ჩვენი ქვეყნის დაცემისა და დაკნინების განმაპირობებელი უმთავრესი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ თამარ მეფის დროინდელი ქართველებისაგან განსხვავებით, მისი დროის ქართველები „მაბეზღარნი და ზარმაცნი“ იყვნენ, „ბოროტითა და ჭირით სავსენი.“ ამ პოეტის თქმით, თუ თამარის დროს „ზე ვიყავით, აწ ვართ ძირსა, ვხედავთ ჩვენსა გმირსა.“

წარსულისა და აწმყოს ამგვარი კონტრასტული გამიჯვნა ერთმანეთისაგან ჰაზირას პოეტური შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემად დამკვიდრებული, ამას მისი სხვა ლექსებიც ნათლად ადასტურებენ. მაგალითად,

ლექსში „საქართველოს გზაზე დამიდგა ცხენი“ პოეტი გულმდუღარე ცრემლებით გადმოსცემდა იმის გამო, რომ მისი დროის საქართველოს უკვე აღარ ჰყავდნენ მტრისთვის თავზარის დამცემი ისეთი გმირები, როგორებიც თამარ მეფე და მისი აღმაშენებელი იყვნენ:

საქართველოს გზაზე დამიდგა ცხენი,
არ ვიცი, რად გამიწყრა ჩემი გამჩენი,
მაშინ ვთქვი თუ, საქმე წამხდარა ჩვენი.
მას შემდეგ თვალთაგან მდის ცრემლის ღვარი,
ვიღა გვყავს, ვინ დასცეს მტერსა თავზარი,
სადღა გვყავს დავითი, დიდი თამარი!..

მიუხედავად თავისი ეროვნული წარმომავლობისა, ჰაზირა იმდენად ორგანულად იყო შეზრდილ-შესისხლხორცებული ქართულ ყოფასა და გარემოს, რომ მისი პატრიოტული თვალსაწიერი ფაქტობრივად მხოლოდ საქართველოთი და ქართველი ხალხისადმი სიყვარულის გრძნობის გამოხატვითაა შემოფარგლული. ნათლად და არაორაზროვნად ჩანს არა მარტო საქართველოსადმი მიძღვნილი მისი ლექს-სიმღერებიდან, არამედ იმ ნაწარმოებებიდანაც, რომლებშიც ავტორი საკუთარი თავისადმი მიმართვის ფორმით გამოხატავს ხოლმე თავისი მოქალაქეობრივი თვალთახედვის ამა თუ იმ მხარეს.

მაგალითად, ლექსში „ქართველი ხარ, მართალი ქართველთაგან“ პოეტი მას ღვიძლ თანამოძმედ ქცეულ ქართველ კაცს თხოვს, რომ მისი ქართველობა არაფერში გაცვალოს, „ქართველთაგან გზაკვალი არ იბრუნოს“ და თავის უმთავრეს მოქალაქეობრივ მოვალეობად გაჭირვებაში ჩავარდნილი „საწყალი ქართველის გაკითხვა“ და მისთვის თანადგომის აღმოჩენა დაისახოს. როგორც ნაწარმოებიდან თვალნათლივ ჩანს, ჰაზირას ამგვარი დიდაქტიკა პირველ ყოვლისა იმის რწმენას ემყარება, რომ ქართველი კაცისათვის თანამდგომ და საიმედოდ დამხმარე პიროვნება უწინარესად სწორედ მისი თანამოძმე შეიძლება იყოს და არა „უცხო გვარის“ მქონე გადამთიელი.

ჰაზირას „ქართული ცნობიერების“ გამოვლინების თვალსაზრისით ასევე ერთი მეტად საინტერესო ლექსია „ჩემო ივერო“. მასში პოეტმა კიდევ ერთხელ გამოხატა უღრმესი გულისტკივილი იმის გამო, რომ მისი დროის საქართველოს უკვე დაკარგული ჰქონდა წარსული დიდება. კერძოდ, თუ ადრე იგი იმდენად მძლავრ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომ მასზე ხელის აღმართვას ვერავინ ბედავდა და მისი შვილები საკუთარი სამშობლოს დასაცავად ყოველთვის მზადყოფნაში იმყოფებოდნენ სისხლს, პოეტის თქმით, მისი დროის საქართველოში სულ სხვა მდგომარეობა იყო და იგი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ძლიერების დამახასიათებელ ერს უკვე „ვეღარ ხედავდა“.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ხაზგასმით აღსანიშნავი აქვე ისიცაა, რომ ჩვენი ქვეყნისადმი ამგვარი სიყვარულისა და ერთგულებისკენ ჰაზირა მის ლექსებში აშუღ-მესტვირეებსაც ხშირად მოუწოდებდა ხოლმე. მაგალითად, ხალხური პოეტური სტილით დაწერილ ერთ-ერთ ლექსში („დარიგება“, 1892) იგი მეგობარ მესტვირეს ურჩევს, „უბრალო ყვირილს“ თავი დაანებოს და მისი სიმღერებით ხალხს „ქართველთა ლხენა და ჭირი ასმინოს“:

იმღერე, ძმაო მესტვირევ, უბრალოდ რასა ყვირიო,
ჩაჰბერე გუდას ღონივრად, გრძნობით აავსე სტვირიო,
ცნობისმოყვარეს ასმინე ქართველთა ლხენა-ჭირიო.

...აცნობე უცნობ ქართველსა, რაცა გვაქვს გასაჭირიო,
რომ ქართვლის ერმა დალოცოს შენი ენა და პირიო.

ქართლის ბედითა და ჭირ-ვარამით ჰაზირას ასეთი დაინტერესება პირველ
ყოვლისა იმ დიდი სიყვარულით იყო განპირობებული, რითაც იგი
საქართველოსთან იყო შესისხლხორცებული. სწორედ ამ სიყვარულის
გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის შეფასებები, რომელთაც იგი ჩვენს ქვეყანასთან
მისი პიროვნული დამოკიდებულების წარმოსაჩენად აკეთებდა. მაგალითად,
სამშობლოსადმი მიმართულ ერთ-ერთ ლექსში ჰაზირა წერს:

სულ ტყუილი, მაგრამ შენ ნამდვილი ხარ,
ჩემი სიცოცხლის დიდი ნაწილი ხარ,
დედაშვილურ სიყვარულზე ტკბილი ხარ,
ჩემო კარგო, საყვარელო მამულო!
მე ხომ ჩემთვის არა ვჩივი, მაგრამა
მან ინაღვლოს, ვისაც ქვეყნად აქვს რამა,
თუნდ არ იყოს ჰაზირა და აბრამა,
გენაცვალოს საძირკველო ქართულო!

საქართველოსადმი ჰაზირას სიყვარულზე საუბრის დროს აქ ხაზი
გარემოებასაც მინდა გავუსვა, რომ იგი ამ სიყვარულის გრძნობისადმი უღალატო
ერთგულებას თავის შვილსაც უტოვებდა ანდერძად და ლექსში „მოდი, შვილო,
ჩემთანა“ დაბეჯითებით თხოვდა, ჩვენი ქვეყნისადმი თავდადებული სამსახური
მასაც დაესახა მისი ცხოვრების უზენაეს იდეალად. ხსენებული ლექსი მეტად
საყურადღებო იმითაცაა, რომ ჰაზირა არა მარტო ზოგადად მოუწოდებს მის
მემკვიდრეს ყოველივე ზემოთქმულისადმი უღალატო ერთგულებისაკენ, არამედ
სახელდებულადაც უსახელებდა მას ამ სიყვარულის განმაპირობებელ უმთავრეს
ფაქტორებს: ქართულ ენას, როგორც ადამიანურ სამყაროსთან დამაკავშირებელს,
უმთავრეს საშუალებას და ჩვენი დიდი მამულიშვილების (თამარ მეფე, დავით
აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე...) საფლავების მიჩნევას უწმინდეს სალოცავ
ადგილებად. ჰაზირა თავის მემკვიდრეს დაბეჯითებით თხოვდა, საქართველოსადმი
მისი ამგვარი სიყვარული მას არა მარტო სიტყვით გამოეხატა, არამედ, ოდეს
საჭირო გახდებოდა, მისთვის თავის გაწირვაზეც კი არ ეთქვა უარი.

ჰაზირას პოეზიის ლირიკული გმირი სამშობლოსადმი მის სიყვარულს
არა მარტო სიტყვიერად გამოხატავს, არამედ იმისთვისაც არის მზად,
რეალურადაც რომ ჩადგეს საქვეყნო ინტერესების დამცველთა რიგებში.
მაგალითად, ლექსში „აჰა, დედავ, მე მოვდივარ“ (1904 წ.) პოეტის
განდიდებული ლირიკული გმირი დედას შემდეგი სიტყვებით აუწყებს თავის
გადაწყვეტილებას — მსხვერპლად შეეწიროს საკუთარი ქვეყნის დაცვას
მრავალრიცხოვანი მტრის აგრესიისაგან:

აჰა, დედავ, მე მივდივარ მამულისთვის მსხვერპლადა,
რომ არ დარჩეს მომავალში უპატრონოდ, ობლადა,
დედავ, ღმერთსა შეავედრე ჩემი თავი ლოცვითა,
არ გავძლები მტრისა სისხლით, არც თუ იმათ ხოცვითა.

ვფიქრობ, მკითხველი დამეთანხმება იმაში, რომ სამშობლოს
თავისუფლებისათვის თვითშესაწირად გამზადებული ამ იდეალიზებული გმირის
პატრიოტული თვალთახედვა ბევრი რამით პოულობს საერთოს XIX საუკუნის
მეორე ნახევრის დიდი ქართველი პოეტების მიერ განდიდებულ იმ პიროვნებათა

ეროვნულ იდეალებთან, რომლებიც თავიანთი ცხოვრების უმთავრესი მიზანსწრაფვის საგნად სამშობლოსთვის თავგანწირვას ისახავდნენ. ამ თვალსაზრისით ჰაზირას ლექსის ლირიკული გმირის ეროვნულ-მოქალაქეობრივი პოზიცია არაერთი ნიშნის მიხედვით შეიძლება შევუდაროთ თუნდაც ი. ჭავჭავაძის დრამატული პოემის — „ქართვლის დედის“ პერსონაჟთა რომანტიკულ პატრიოტულ თვითშეგნებას.

ჰაზირას პატრიოტულ ლექსებში გმობისა და კიცხვის საგნად ზოგჯერ ის ქართველებიც იყვნენ ქცეულნი, რომლებიც თავიანთ ქართველობაზე წინ „უცხო ენებს“ აყენებდნენ. ასეთ ადამიანს ჰაზირა ბრიყვულად თავმომწონე კაცს უწოდებდა და ამ სიბრიყვიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად განათლებასა და ქართულ მწიგნობრობას მიიჩნევდა.

ჰაზირას ლექს-სიმღერებში ხშირად ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ საქართველოს მსგავსი ქვეყანა მას მსოფლიოში სხვაგან არსად ეგულებოდა. საქართველოსადმი მის ამგვარ დამოკიდებულებას პოეტი ხალხურ-აშუღური პოეზიისადმი დამახასიათებელი პოეტური სიმარტივითა და უშუალობით გამოხატავდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სიყვარულის გამოხატვას, არცთუ იშვიათად სათანადო პოეტური გარანდვაც აკლია და სიტყვიერი ხელოვნებაც, ავტორისეული გრძნობები და ემოციები იმდენად გულწრფელია და უშუალო, რომ მათი ანდამატი მაინც საკმაოდ ძალუმად ზემოქმედებს მკითხველზე.

1914 წელს გამოცემულ თავის ერთ-ერთ პოეტურ კრებულს — „ნათარგმნები ბატკანი ანუ ომი ბალკანეთისა“ ჰაზირამ ყდაზე ასეთი ეპიგრაფი წარუმძღვარა:

ჩვენი ლამაზი ქვეყანა გააფუჭეს, გააველეს,
ჩემთვის მკვიდრი სახლი მჭონდა, დააქციეს, დაანელეს.
ცხვარი ვიყავ მშვიდი, წყნარი, სულ ყველასთვის უწყინარი,
არ მინდოდა გამგელება, მაგრამ ძალით გამამგელეს.

როგორც ვხედავთ, დამოწმებულ ლექსში პოეტმა განზოგადებული სახით ასახა ხაზი მისი შემოქმედებისათვის მკაფიოდ დამახასიათებელ პროტესტანტულ განწყობილებას. ძალმომრეობის, ადამიანის მიერ ადამიანის უსამართლოდ დამონების წინააღმდეგ მიმართული პროტესტანტი ჰაზირას ლექს-სიმღერებში ფილოსოფიური სწორხაზოვნებითაა გამოხატული, რაც ცხოვრებით დაბეჩავებული ადამიანების ინტერესს მისი პოეზიისადმი კიდევ უფრო აძლიერებდა.

მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული ჰაზირას რამდენიმე ლექს-სიმღერა დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. მაგალითად, ბევრმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ ფართოდ ცნობილ სასიმღერო მელოდიად ქცეული ქვემოთ დამოწმებული ლექსის ავტორი სწორედ ჰაზირაა:

არ მიყვარს, არა, არ მიყვარს, კაცი ორპირი, ცბიერი,
არ შევჭამ იმის პურს, არა, თუ გინდ ვკვდებოდე მშიერი!..

იგივე უნდა ითქვა სიმღერაზეც „სადაც არის, გათენდება, აღსდექ, მუშავ, სოციალურად დაჩაგრული მოქალაქეების გულს მალამოდ ედებოდა ემოციისეული მოწოდება იმისკენ, რომ ადამიანის უმთავრეს ამქვეყნიურ ფასეულობად გასაჭირში ჩავარდნილი მოყვასისთვის უანგაროდ დახმარება უნდა ჩაეთვალოთ:

განა კაცი იბადება მარტო თავის თავისთვისა?
მოვალეა, რომ იზრუნოს მოძმის კარგის, ავისთვისა...
გაზაფხული უხარიან, იმისთვის გალობს მერცხალი,
თუკი მოძმეს არას ვარგებ, რად მინდა თავი ცოცხალი!

ჰაზირა ცდილობს, სოციალურ თემებზე დაწერილ თავის ლექს-სიმღერებში სათქმელი ხშირად დიდაქტიკურ-დამოძღვრითი ფორმით გამოხატოს. პოეტის მიზანი იყო, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის გრძნობა ამ გზით მას არა მარტო იმ ადამიანების გულში გაემძაფრებინა კიდევ უფრო მეტად, ვინც ამ უსამართლობის მსხვერპლად იყო ქცეული, არამედ ისინიც დაეფიქრებინა ყოველივე ამაზე, ვინც თავადაც იყო ამ ბოროტების ნებსითი თუ უნებლიე თანამონაწილე.

ჰაზირას მუხამბაზებში კიდევ უფრო მეტად ღრმავდება და ძლიერდება სოციალური უსამართლობის მხილების ის ტენდენცია, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში დაამკვიდრეს „თერგდალეულებმა". ამ თვალსაზრისით იგი ბევრი რამითაა დავალებული მათი, პირველ ყოვლისა კი აკაკის, პოეზიით. თუმცა აქვე ხაზი იმ გარემოებასაც უნდა გაესვას, რომ ჰაზირას პოეზიაში რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების დამამკვიდრებელ ერთ უმთავრეს ფაქტორად XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში ფართოდ აღზევებული რევოლუციური მოვლენებიც იქცნენ.

როგორც ჰაზირას შემოქმედებიდან თვალნათლივ ჩანს, იგი ქვეყნად დამკვიდრებული სოციალური უსამართლობის მხოლოდ უბრალოდ მამხილებლის როლში კი არ გამოდის, არამედ ამ უსამართლობის განმაპირობებელი ფაქტორების წარმოჩენასაც ცდილობს და აქტიურად ეძებს გზებს მათ დასაძლევად. ბევრი მისი თანამედროვის მსგავსად, ჰაზირაც ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ქვეყნად დამკვიდრებული სოციალური ბოროტების დაძლევა რეალურად მხოლოდ ბრძოლის გზით იყო შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტენდენციამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები 1905 წლის რევოლუციის პერიოდში დაწერილ ლექსებში შეიძინა, ამგვარი სულისკვეთების გამომხატველი ნაწარმოებები მას მანამდეც საკმაოდ მრავლად აქვს დაწერილი.

მიუხედავად იმისა, რომ, ხელმიუწვდომლობის გამო, ჰაზირას შემოქმედების მემკვიდრეობის სრულყოფილად მოძიება ვერ მოხერხდა, ვფიქრობ, წერილში გაანალიზებული ნაწარმოებებიც სავსებით საკმარისია იმ პოეტური ღვაწლის წარმოსაჩენად და შესაფასებლად, რითაც ქართული აშუღური პოეზიის ეს საინტერესო წარმომადგენლმა დაიმკვიდრა თავისი მოკრძალებული ადგილი XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

დამოწმებული ლიტერატურა

ბელადი, სხვადასხვა ახალი ლექსები და სიმღერები, ჰაზირას თხზულება, 1904.
ი. გრიშაშვილი, 1985 - ი. გრიშაშვილი, თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, 1985.
გაზ. „თეატრი და ცხოვრება", 1915, №1.
გაზ. „ივერია", 1886, №62; 1891, №4, 5.
ქართული პოეზია, ტ. 16, ქალაქური პოეზია, 1985.
ცბედი ჰაზირას რჩეული სიმღერები, მუხამბაზები და სხვადასხვა ჰანგები, 1903.
შედევრები, შეადგინა და გამოსცა მ. ლებანიძემ, 1994 წ.
ჰაზირა, 1894 - ახალი ლექსები სხვადასხვა, შედგენილი ჰაზირასი, 1894.
ჰაზირა, 1914 - ჰაზირა, გამგელებული ბატკანი ანუ ომი ბალკანეთისა, 1914.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

HAZIRA

(From the series: Georgian writers of non-ethnic Georgian origin)

Among ashug poets of the 19th century Tbilisi who had substantially contributed to the strengthening of the Georgian language ashug poetry Hazira was one of the most prominent figures.

Considering the fact that most of his poems were written for singing purposes it would be more correct to say that he is rather an author of song texts than of poems composed by a professional poet.

In addition to the artistic simplicity the popularity of Hazira's sung poems was determined essentially by the contents of the lyrics that were easy for comprehension and expressed the concerns and troubles plaguing to the thousands of his listeners.

The fact that the great part of Hazira's poems is inaccessible for not only the general public but for the specialists as well my paper offers the discussion of his poems in the context of events of social and national importance and analyzes main tendencies characterizing to this prominent representative of the Georgian ashug poetry.

ოთარ ნიკოლეიშვილი

ალექსანდრე მანველიშვილი და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი

განსხვავებით საბჭოთა კავშირში მოღვაწე მეცნიერებისაგან, რომლებიც იძულებულნი იყვნენ შეზღუდულები იყვნენ ისტორიული მოვლენების ობიექტურად და მიუკერძოებლად შეფასების დროს, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი მამულიშვილები თავიანთ მოსაზრებებსა და შეხედულებებს ყოველგვარი შებოჭილობის გარეშე გამოთქვამდნენ. ეს, რასაკვირველია, იმას სულაც არ ნიშნავს, თითქოს საბჭოთა პერიოდში ჩვენში მხოლოდ კონიუნქტურული და ტენდენციურად იდეოლოგიზებული ნაშრომები იწერებოდა და მეცნიერული აზროვნების განვითარება ჩიხში იყო მოქცეული. იმის ნათელსაყოფად, ყველაფრის მიუხედავად, საბჭოთა ეპოქის ქართულ მეცნიერებას თვით ყველაზე იდეოლოგიზებულ დარგებშიც კი უაღრესად მნიშვნელოვანი წარმატებები რომ აქვს მოპოვებული, მოვლენათა არსში გარკვეულ მკითხველს არაერთი ფუნდამენტური ნაშრომის გაცნობა შეუძლია.

იმ მეცნიერებათაგან, რომლებიც ხელისუფლების მიერ საბჭოთა ეპოქაში ფართოდ დამკვიდრებული იდეოლოგიური ნორმატივების ზეწოლის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდნენ, უწინარესად ისტორია უნდა დავასახელოთ. უპირველეს ყოვლისა სწორედ ხსენებული იდეოლოგიური დიქტატორული პოლიტიკის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსების არცთუ მცირე ნაწილი ხშირად ტენდენციურად და შელამაზებულად წარმოაჩენდა მოვლენებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი შეცდომები იყო დაშვებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლის დროს.

აღნიშნული საკითხის მეცნიერული კვლევის საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ისტორიკოსები იძულებული იყვნენ რეალურად არსებული ვითარება ცალკეულ შემთხვევებში ტენდენციურად და კონიუნქტურულად წარმოეჩინათ და ისტორიული სინამდვილე პრორუსული თვალთახედვით შეეფასებინათ. თუმცა ამ სირთულეთა მიუხედავად, იმდროინდელ ქართველ ისტორიკოსთა არაერთმა წარმომადგენელმა, დიდი რისკისა და გაბედულების ფასად, მაინც შეძლო მართალი სიტყვის თქმა.

ზემოთქმულ გარემოებას ასე ხაზგასმით აქ კიდევ ერთხელ იმიტომ მივაპყრობთ განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ ამით გვინდა უფრო ნათლად და მკაფიოდ წარმოვაჩინოთ ის უმნიშვნელოვანესი დამსახურება, რაც საქართველოს ისტორიული ურთიერთობის მონოგრაფიულად შესწავლის ობიექტურად წარმოჩენის საქმეში მიუძღვის XX საუკუნის ქართველ ერთ-ერთ ისეთ უაღრესად თვალსაჩინო წარმომადგენელს, როგორიც ალექსანდრე მანველიშვილი იყო.

1931-1934 წლებში, ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში, დაწერილი და დიდმნიშვნელოვანი მონოგრაფიით, რომელიც 1951 წელს გამოიცა ამერიკაში სახელწოდებით "რუსეთი და საქრთველო" (I ტომი) და რომელშიც

შუასანს შორის არსებული ურთიერთობები უძველესი დროიდან მოყოლებული XIX საუკუნის 60-იან წლებამდეა მიმოხილული, ალ. მანველიშვილმა წარმატებით შეძლო საბჭოთა პერიოდის ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში არსებული დიდი ხარვეზი.

ალ. მანველიშვილის მონოგრაფიის პოზიტიურ მხარეებზე საუბრისას აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა რეალურად არსებული ისტორიული ვითარების შესწავლისა და გაანალიზების ფონის მკვლევარი, არცთუ ისე იშვიათად, პირველშემფასებლის როლშიც გამოდის ხოლმე. ხსენებული წიგნის გამოსვლის შემდეგ, განსაკუთრებით ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, ზემოთ აღნიშნული მიმართულებით წარმართული სხვადასხვა კვლევის შედეგად ალ. მანველიშვილის მონოგრაფიაში გამოთქმული ზოგიერთი შეხედულება კიდევ უფრო მეტად გაღრმავდა და ახალ-ახალი დოკუმენტური მასალებით გამდიდრდა, რამაც ხსენებული ნაშრომისადმი ინტერესი თითქოს დღემდე განელდა კიდეც. მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ ქართველი ემიგრანტი ისტორიკოსი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლას სწორი და არაკონიუნქტურული მიმართულება მისცა.

ალ. მანველიშვილის ნაშრომის მნიშვნელობას არსებითად ზრდის ის გარემოება, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია მასში ნათლად, შესაბამისი პერიოდების საერთაშორისო ვითარების კონტექსტშია წარმოდგენილი, იმ მოვლენებთან უშუალო კავშირში, რომელთაც საქართველო პირდაპირ გახადეს, აქტიურად დაეწყო ძიება რუსეთთან დამაკავშირებელი ხიდისა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს სახელმწიფოებრივი პრობლემების განსჯა-გაანალიზება იმ პოლიტიკურ-ეკონომიკური და სარწმუნეობრივი დაპირისპირებულობის ფონზე, რომელიც ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის მიმდინარეობდა გამძაფრებული ფორმით ადრეულ შუა საუკუნეებში.

ალ. მანველიშვილის მტკიცებით, XV-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიაში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, რაც საბოლოოდ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვით დამთავრდა, იმ ფეოდალურმა და ინერტულმა დამოკიდებულებამაც განსაზღვრა არსებითად, რომელიც იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოები იჩენდნენ კავკასიის, კერძოდ კი საქართველოს მიმართ. სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ლიდერების აქტიური და პერმანენტული მცდელობებისა, მაშინდელი ევროპის სახელმწიფოთა მმართველები და რომის კათოლიკური ეკლესიის საჭეთმყრობელები რეალურად მთლიანობაში საერთოდ არ დაინტერესებულან ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი პრობლემებით. ალ. მანველიშვილი არა მარტო უბრალოდ აფიქსირებს ამ ფაქტებს, არამედ მის არგუმენტირებულ ახსნასაც ცდილობს.

მისი აზრით, ადრინდელ საუკუნეებში ჩვენი ქვეყნისადმი, საერთოდ, მთელი წინა აზიისადმი და კავკასიისადმი, მსოფლიოში სრულიად განსხვავებული დამოკიდებულების არსებობა, რამაც საქართველოს სახელმწიფოებრივ განვითარებაზეც მოახდინა უდიდესი და მეტად კეთილისმყოფელი ზეგავლენა, იმით იყო განპირობებული, რომ ხსენებული რეგიონი "ევროპისა და აზიის

რასათა ჰიდილის მოედანი. აქ ჩაისახა და იშვა ადამიანის შემოქმედება და აქ
დაირწა აკვანი პირველი საკაცობრიო ცივილიზაციისა.

ეს იყო ორი ქვეყნის შეხვედრის ცენტრი; მისი საშუალებით უკავშირდებ
დასავლეთი აღმოსავლეთს" (გვ. 13).

საქართველო, საერთოდ კავკასია, ამ დიდ საერთაშორისო როლსა
მნიშვნელობას, ალ. მანველიშვილის შეფასებით, იმ დროიდან კარგავს
გამოდის ევროპის სახელმწიფოებრივი ინტერესების სფეროდან, რო
"ევროპიელნი აზიასთან მიმოსვლის ახალ გზებს აღმოაჩენენ (XV ს.). ამიერიდან
მისი ისტორიული როლი მცირდება" (იქვე). ევროპა-აზიის დამაკავშირებელ
ახალი სავაჭრო გზების აღმოჩენამ, მკვლევრის აზრით, საგრძნობლად დააკ
და შეასუსტა საქართველოს საერთაშორისო როლი. თუ მანამდე ამ რო
მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ის ფაქტი, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის
მთავარი გზა, ინდოეთისაკენ მიმავალი, სწორედ საქართველოზე მიდიო
ახლა ეს გზა უკვე ძალზე დაშორდა ჩვენს ქვეყანას, რამაც საბედისწერო
ზეგავლენა მოახდინა მის შემდგომ სახელმწიფოებრივ განვითარებაზე.
მანველიშვილის მტკიცებით, ევროპის სახელმწიფოთა დაინტერესება
საქართველოს მიმართ სწორედ ამ დროიდან იწყებს მკვეთრად შემცირებას.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორის მიერ გამოთქმულ საკმაოდ ორიგინალურ
ამ თვალსაზრისში ყველაფერი ბოლომდე მისაღები და გასაზიარებელი არ არის
(ვთქვათ, მტკიცება იმისა, თითქოს ქართველებს კულტურა მხოლოდ ზ
აღნიშნულ პერიოდში აქვთ შექმნილი), ავტორისეული თვალსაზრისის უმთავრესი
პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი არსი, ჩვენი აზრით, ძირითადად მაინც სწორია
და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი თავისუფლება და ძლიერება მართლაც
მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული იმაზე, რა საერთაშორისო რო
შესრულებაც უხდებოდა მას ისტორიული განვითარების ამა თუ იმ ეტაპ

ალ. მანველიშვილი არა მარტო უშუალოდ საქართველოში განვითარებული
მოვლენების აღმწერლისა და გამაანალიზებლის როლში გამოდის, არამედ
უმთავრესი გლობალური მიზეზების ახსნასაც და წარმოჩენასაც ცდ
რომელთაც საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების ჯერ დაკ
დასუსტება, შემდეგ კი მისი დამხობა განაპირობეს. სხვანაირად რომ ვთქვ
მისი სამეცნიერო კვლევის უმთავრესი მიზანია იმ გარემოებათა ობიექტ
ახსნა და გაცნობიერება, რამაც საქართველო საბოლოოდ რუსეთის კო
აქცია.

ქართველი მეფეების მიერ XV საუკუნის ბოლო წლებიდან დაწყებ
პრორუსული საქმიანობა, რაც შემდგომი სამი საუკუნის განმავლ
თანდათანობით იმდენად გაძლიერდა, რომ საბოლოოდ სახელმწიფ
დამოუკიდებლობის დაკარგვით დასრულდა, ალ. მანველიშვილის შეფ
ჩვენი სამშობლოს მესვეურთა მცდარი პოლიტიკის შედეგი კი არ იყო,
საერთაშორისო ვითარებით განპირობებული სახელმწიფოებრივი
მკვლევარი ღრმადაა დარწმუნებული იმაში, რომ აღნიშნული
ფაქტობრივად იმ პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური დაპირის
თავისებურ შედეგს წარმოადგენდა, რომელიც ევროპასა და აზიას
არსებობდა იმხანად.

ევროპის სახელმწიფოთა და რომის კათოლიკური ეკლესიის წინამ
ამგვარმა პასიურმა და მხოლოდ სიტყვიერ დონეზე გამოხატულმა

შეუნის სახელმწიფოებრივი და ფიზიკური გადარჩენის გზათა მაძიებელ ქართველ მეფეებს თვალი რუსეთისაკენ მიაპყრობინა, რასაც ალ. მანველიშვილი, თანამედროვე ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, სავსებით გამართლებულ მოვლენად მიიჩნევს. მისი შეფასებით, "რადგანაც ევროპა მისთვის მიუწვდომელი დარჩა", "მაჰმადიანი ქვეყნებისაგან განწვალებული და დაქანცული" საქართველო "ფსიქოლოგიურად ადვილად ურიგდება" ერთმორწმუნე "რუსეთთან დაახლოების ცდას."

ალ. მანველიშვილის მონოგრაფიის უმთავრესი მიზანია, პირველწყაროებსა და მდიდარ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს ობიექტურად, რამდენად შედეგიანი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის შექმნილი ისტორიული რეალობით ნაკარნახევი ამ გადაწყვეტილების მიღება.

ალ. მანველიშვილის წიგნში ამ ურთიერთობისთვის ფართოდ დამახასიათებელი ნეგატიური მხარეები, უპირველეს ყოვლისა, რუსული წყაროებიდან მოშველიებულ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობითაა წარმოჩენილი, რაც კიდევ უფრო ნათლად და დაუეჭვებლად გვარწმუნებს ავტორისეული მსჯელობის სიმართლესა და არატენდენციურობაში.

ალ. მანველიშვილის წიგნის ღირსება ისიც არის, რომ მასში იმ პრობლემატიკის ილუზიურობაცაა და სიყალბეცაა მდიდარ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით დამაჯერებლად ნათელყოფილი, რომლის მიხედვითაც ქართველი და რუსი ხალხების ერთმანეთთან შემაკავშირებელ მძლავრ ძალად ქრისტიანული სარწმუნოება იყო მიჩნეული. ისტორიული ფაქტების მოშველიებით, მკვლევარი ცდილობს არგუმენტირებულად დაგვარწმუნოს იმაში, რომ "ერთმორწმუნე" რუსები საუკუნეთა განმავლობაში გაცილებით უფრო მეტი სისასტიკითა და ბარბაროსობით იბრძოდნენ ქართველი ხალხის დასათრგუნად, ვიდრე სხვა სარწმუნოების მიმდევარი დამპყრობლები.

მიუხედავად იმ სამეცნიერო ღირსებებისა, რითაც ალ. მანველიშვილის განსახილველი ნაშრომი ხასიათდება და რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, იგი კლასიკური ტიპის მონოგრაფიულ გამოკვლევად მაინც ვერ ჩაითვლება. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ შესასწავლად აღებული პრობლემის მიზანმიმართულ კვლევა-ძიებასა და ახალ საარქივო და სხვა სახის დოკუმენტური მასალების მოპოვებაზე მეტად წიგნის ავტორი ზოგჯერ საქართველოს ისტორიის საყოველთაოდ ცნობილი ეპიზოდების მოთხრობითაა დატვირთული.

აღნიშნული მოვლენა, ჩვენი აზრით, ორი უმთავრესი ფაქტორითაა განპირობებული. პირველი იმით, რომ ავტორს, რომელიც ხსენებულ ნაშრომს ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში წერდა, ნაკლებად ან საერთოდ არ მიუწვდებოდა ხელი საქართველოში არსებულ საარქივო დოკუმენტებსა და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაზე და მეორეც, გარდა მკვლევარ-სპეციალისტებისა, მისი წიგნი მკითხველთა ფართო წრისათვის, უპირველეს ყოვლისა კი უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისათვის იყო გამიზნული, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ავტორისეული თხრობის სტილის სიტყვიერი ნაკადულექე და ერთგვარად ბელეტრიზებული ფორმა.

დამოწმებული ლიტერატურა

ალ. მანველიშვილი, 1951 - ალ. მანველიშვილი, რუსეთი და საქართველო, პარიზი, 1951.

ნარკვევები, 1973 - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973.

გ. შარაძე, 1993 - გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. II, თბ., 1993.

OTAR NIKOLEISHVILI

ALEXANDRE MANVELISHVILI AND SOME QUESTIONS OF RUSSO-GEORGIAN RELATIONSHIPS

Alexandre Manvelishvili wrote a monograph work *Russia and Georgia* in the emigration in the years 1931-34 (Paris, 1951). The author surveys the relations between the two countries from the ancient time to the 60s of the 19th century which he filled the gap caused by the Soviet period censorship.

Alexandre Manvelishvili gives the vast panorama of historical events in the context of the related issues in the world history. One of the merits of the book is that it provides convincing arguments to dispel illusions according to which the common Christian Orthodox confession had been considered a reliable basis for the tenacity of mutual relations. Referring to historical facts the historian tries to provide well-grounded argumentations that Russia, a country of the common Christian ideology, has harmed and oppressed Georgian people with far more perfidious atrocity and barbarity than any other invaders with non-Christian faith.

მაღონა კონსტანტინეს ასული ნიშარაძე

საქართველოს ავტონომიის საკითხი და ქართველი ინტელიგენცია

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელს [illegible] ისტორიას გასდევს, მაგრამ მან განსაკუთრებული სახე მიიღო XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა, ტახტი წაართვა ბაგრატიონთა ათასწლოვან სამეფო დინასტიას და საქართველო [illegible]-ნაწილ მიუერთა რუსეთს, აქცია მის გუბერნიებად.

ქართველი ხალხი არ შეურიგდა ეროვნული ჩაგვრის ახალ უღელს, რომელსაც განსაკუთრებულად სასტიკად მიიჩნევდა, რადგან საქართველოს რუსეთისაგან მეგობრობა, მოკავშირეობა სურდა მეზობელი მუსულმანი [illegible] წინააღმდეგ.

XIX საუკუნის II ნახევრიდან თერგდალეულთა ხელმძღვანელობით [illegible]-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მწვავე იდეოლოგიური, ფართო [illegible] ხასიათი შეიძინა. სწორედ ამ დროს ილია ჭავჭავაძის "ივერიამ" დასვა [illegible] ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი, თუმცა ძალზე [illegible], შეფარულად, მაგრამ მაინც ეს იყო პირველი ცდა ავტონომიის [illegible] რუსეთის ფარგლებში, რაც შემდეგში ილია ჭავჭავაძემ უფრო [illegible] განსაზღვრა ეროვნულ-დემოკრატთა პროგრამაში. "ივერიის" მოწინავე [illegible] შინაარსი იმაზე მეტყველებდა, რომ ილია ჭავჭავაძესა და მის [illegible] რუსეთის მრავალეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკურ-[illegible] ადმინისტრაციული მოწყობის საუკეთესო ფორმად ეროვნულ-ტერიტორიულ [illegible] ავტონომიათა ფედერაცია მიაჩნდათ (ალ. ბენდიანიშვილი, 1980, გვ. 147-148).

შემდეგში ეს პრობლემა დეტალურად დაამუშავეს და უფრო ენერგიული [illegible] საქმიანობა ავტონომია-ფედერაციის საკითხზე გააჩაღეს გაზეთების "ცნობის [illegible]" და "საქართველოს" პუბლიცისტებმა.

"ცნობის ფურცლისა" და "საქართველოს" ირგვლივ თავმოყრილი იყო ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, კერძოდ: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი [illegible]შვილი, სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ რცხილაძე, კიტა აბაშიძე, ალექსანდრე [illegible]ძე, ვლადიმერ ლორთქიფანიძე.

ამ ჯგუფმა, რომელიც შემდეგში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის [illegible] ინიციატორი იყო, თავისებური მიდგომა გამოამჟღავნა იმთავითვე [illegible] ავტონომიის იდეისადმი.

900-იან წლებში მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მიერ წამოყენებული [illegible] ავტონომიის იდეას მხარდაჭერა ჰქონდა თვით იმპერიული ხელისუფლების [illegible] მხრიდან. რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია იმ ეტაპზე ამ იდეას ფართო [illegible] პოპულარიზაციას აგანდას უწევდა. 1906 წელს რუსეთის სათათბიროში შეიქმნა ფრაქცია, [illegible] რომელიც საკანონმდებლო მხარდაჭერას უცხადებდა ავტონომია-ფედერაციის [illegible] პრინციპით რუსეთის მოწყობას, იმ ერებისთვის კულტურულ-ადმინისტრაციული [illegible] უფლებების მინიჭებას და ავტონომიური ფორმით არსებობის უფლებას, [illegible] რომლებიც იბრძოდნენ ამისათვის. შედეგად რუსეთი შეანელებდა ანტირეჟიმულ [illegible] აჯანყებებს, ცენტრიდანულ მმართველობას გააადვილებდა და იმპერიის კუთხეებს შორის კავშირს განამტკიცებდა. ეს ერები და ქვეყნები იყვნენ: პოლონეთი, [illegible] ფინეთი, ბალტიისპირეთი, ამიერკავკასიის ქვეყნები.

სათათბიროში შემავალ ავტონომისტთა ფრაქციაში შედიოდნენ მუშაობას წარმართავდნენ ცნობილი რუსი პროფესორები: ბოდუენ დე კურტენე ლუჩიცკი, ლედნიცკი, კოლუბიაკინი, შრაგი და სხვ. კავშირი აღიარებდა რუსეთის მთლიანობის პოლიტიკას და ითხოვდა ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიებს.

ფედერაციულ მოწყობას ეთანხმებოდნენ ცნობილი რუსი მეცნიერები, მწერლები, შემოქმედებითი ჯგუფები, პუბლიცისტები.

საქართველოს ავტონომიის ფარგლებში სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდებოდა, მაგრამ კანონმდებლობა უზრუნველყოფდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებათა ენების, კულტურის, ზნე-ჩვეულებების დაცვასა და თავისუფალ განვითარებას.

ავტონომიური საქართველოს პარლამენტი საშინაო პოლიტიკას წარმართავდა, მაგრამ საგარეო პოლიტიკის წარმართვის უფლება მას არ ექნებოდა. საქართველო თავის წვლილს შეიტანდა ფედერალურ ბიუჯეტში რუსეთის თავდაცვის ხარჯებში. რუსეთის ერთიანი ფედერაციული სახელმწიფო მართვა-გამგეობაში ავტონომიური საქართველო ცენტრალურ პარლამენტში მონაწილეობას მიიღებდა გაგზავნილი წარმომადგენლების მეშვეობით (ოქმები.., 1904, გვ. 176-183).

იმის გამო, რომ ავტონომიის საკითხში საზოგადოების მოწინავე ნაწილის აზრი ორად გაიყო: ერთნი ემხრობოდნენ რუსეთის ფედერაციაში საქართველოს შესვლას ავტონომიის სახით, მეორენი კი — სრულ დამოუკიდებლობას ითხოვდნენ და ყოველგვარი პოლიტიკური კავშირის გაწყვეტას რუსეთთან, საჭირო გახდა ამ ორი აზრის შეთანხმება. ამიტომ 1904 წლის აპრილში ჩატარდა პარტიათა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა წარმომადგენელთა კონფერენცია, სადაც უნდა მიღებულიყო საერთო რეზოლუციები განხილული საკითხებზე, რის გამოც სოციალ-დემოკრატებმა კონფერენცია დატოვეს. კონფერენციამ ყველაზე დიდი ადგილი ავტონომიის საკითხის განხილვას დაუთმო. ავტონომიის მოთხოვნას სოციალისტ-ფედერალისტებთან ერთად მხარი დაუჭირეს სოციალისტ-რევოლუციონერებმა და ანარქისტებმა. კონფერენციაზე "სეპარატისტებიც" გამოვიდნენ, თუმცა ისინი უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ეწერა: "ქართველ რევოლუციონერთა კონფერენცია უარყოფს სეპარატიზმს, რომელიც არ ჩაითვლება ერთა სოციალური განვითარებისა და ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცების თავდებად და აცხადებს, რომ განთავისუფლებული საქართველოსათვის საუკეთესო და უსაჭიროესი წყობილება უნდა იყოს ავტონომიური — საქართველო სხვა ერებთან ფედერაციულად შეკავშირებული" (ოქმები.., 1904, გვ. 176-183).

ამ კონფერენციის ორგანიზატორი და ცნობილი მოაზროვნე არჩილ ჯორჯაძე შემდეგში აღნიშნავდა, რომ იგი მალე მიხვდა უაზრობას: საერთაშორისო სამართალზე იმედის დამყარებით დამოუკიდებლობის აღდგენას დასავლეთ ევროპაზე დამყარებული იმედებიც მალე განელდა. ცხადი გახდა, რომ ამ იმედებით ქართველები ვერც საერთაშორისო ასპარეზზე გავიდოდით და ვერც ეროვნულ ავტონომიას მივიღებდითო (გაზ. "ცნობის ფურცელი", 1905 წ., 30 თებერვალი).

ქართული პრესა დიდ ადგილს უთმობდა სახელმწიფოებრივი მმართველობის სხვადასხვა ფორმებს: ფედერაციის, კონფედერაციის, უნიასშეკრულების ფორმებს, არჩევდა მათ, არგებდა ქართულ ინტერესებს.

ამ მხრივ საინტერესო იყო სამსონ ფირცხალავას წერილები "ცნობის ფურცელში", სადაც ის უპირატეს როლს ფედერაციის ფორმას ანიჭებდა.

საერთო დემოკრატიულ თვალსაზრისზე მდგარი ქართული პრესა მიიჩნევდა რუსეთის დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნის შესაძლებლობას და ავტონომიური მმართველობის განხორციელებისათვის ბრძოლაში თავდაზნაურობის გამოყენებასაც.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ, კახეთში, იმერეთში, თბილისის სათავადაზნაურო კრებებზე გამოჰქონდათ გადაწყვეტილება "ქვეყნის მმართველობის პრინციპად ავტონომიის დასადებად". საქართველოს ინტელიგენციას მიაჩნდა, რომ სასწრაფოდ უნდა მოწვეულიყო დამფუძნებელი კრება აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად.

მხოლოდ განახლებულ რუსეთს შეეძლო შეერიგებოდა ნაციონალური ავტონობის დაკარგვას და იმ აზრს, რომ განახლების გზაზე დამდგარ ერებს ეცხოებოდა თავისუფლება და თვითმმართველობა (გაზ. "ცნობის ფურცელი", 1905 წ. 31 მარტი).

1905 წლის 18 თებერვალს რუსეთმა გამოსცა იმპერატორის უმაღლესი ბრძანება სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის თაობაზე. ამას დიდ მიღწევად თვლიდა დავით კარიჭაშვილი, თუმცა საეჭვოდაც მიიჩნევდა, რომ ამ ორგანოში წარმომადგენლების არჩევის უფლება ქართველებს მისცემოდათ.

საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობაში ქართველ მეფეებს და ხალხს, დავით კარიჭაშვილის აზრით, სხვაგვარად წარმოედგინათ. რუსეთის დემოკრატიამ კი უარყო ქართველთა ეროვნული არსებობა და მისი სრული ასიმილაცია მოისურვა. თანამედროვე პირობებში დ. კარიჭაშვილი აყენებდა შემდეგ მოთხოვნებს. ესენი იყო:

1. სახელმწიფო (რუსულ) ენასთან ერთად ქართული ენის დაშვება სკოლებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში;
2. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა;
3. საქართველოს მოხელეებად ძირითადად ქართველების დანიშვნა;
4. ჩვენს ქვეყანაში საგუბერნიო ერობების ნაცვლად ერთი, ცენტრალური **საქართველოს ერობისა და მისი დაწესებულებების ჩამოყალიბება** ("ცნობის ფურცელი", 1905 წ. 18 მაისი).

ეს მოთხოვნები მეტად ზომიერი და შეზღუდული იყო, რაც მოწინავე ქართველ ინტელიგენციას და ქვეყნის პატრიოტულ ძალებს ამ დროისთვის მიუღებლად აღარ აკმაყოფილებდათ.

ეროვნული საკითხის დასმას, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას ამ შეხედულებას უმთავრეს მიზნად აცხადებდნენ ქართველი პუბლიცისტები: ანონიმი ავტორი სტატიაში "ერი და სახელმწიფო" იხილავდა სხვადასხვა თვალსაზრისს ამ საკითხზე. ის უარყოფდა და განხილვის ღირსადაც არ მიიჩნევდა ამ თვალსაზრისს, რომელთა თეორიით დიდ ერებს უნდა ჩაეყლაპათ პატარები.

ავტონომისტთა იდეას დაპირისპირებული ქართველი პოლიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ეს არ იყო ხალხის მოთხოვნა, რომ ეს ავტონომია მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესთა დამცველებმა მოიგონეს. სამსონ ფირცხალავა ამას

არასამართლიან განცხადებად თვლიდა. მისი აზრით, ხალხი ითხოვდა საერთო დემოკრატიულ გარდაქმნებს, არჩევნებს. ყველაფერი, რასაც ხალხი ითხოვდა, იყო ნამდვილი ავტონომიის შინაარსი. მოხელეთა არჩევნები, ქართულ ენაზე სასამართლო და სხვა ბიუროკრატიული დაწესებულებების მუშაობა შეიძლებოდა მხოლოდ ავტონომიური თვითმმართველობის მქონე ქვეყანაში, ხალხი დეცენტრალიზაციის გზით უნდა დაახლოვებოდა მართვა-გამგეობას.

გაზ. "ივერიასა" და "ცნობის ფურცელში" ხშირად იბეჭდებოდა რუსი მოაზროვნეების წერილები. ესენი უმთავრესად ის ავტონომისტები იყვნენ, რომლებმაც დამოუკიდებელი ფრაქცია შექმნეს რუსეთის საბჭოში, ან, თავიანთი დემოკრატიული აზროვნების გამო, მხარს უჭერდნენ ერთა თვითგამორკვევის პროცესს ავტონომიურ-ფედერაციულ სახელმწიფოში.

ვ. გოლუბაევის აზრით, ცარიზმი ხშირად ჰკიდებდა ერთმანეთს სხვადასხვა ერებს, მიმართავდა რა "დაჰყავ და იბატონეს" იმპერიულ პრინციპს, ამ გზით ცდილობდა თავის გადარჩენას (ვ. გოლუბაევი, 1905).

ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ეროვნულ-დემოკრატი ვასილ წერეთელი და სოციალ-დემოკრატი (ბოლშევიკი) ალექსანდრე წულუკიძეც. ავტონომიას წულუკიძე მიუღებლად თვლიდა: რუსეთში ბურჟუაზია უფრო გაძლიერდება და ჩვენში დიდ ბაჟებს შემოიტანსო, რაზედაც ვასილ წერეთელი პასუხობდა: მარტო ეგ თუა მიზეზი, მაშინ ჩვენი ბურჟუაზიაც საკუთარ ბაჟებს დააწესებს და ავტონომია უკეთესიც იქნებაო (ალაროიდელი, 1909).

საქართველოს ავტონომიას მხარს უჭერდა მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი. მისი პუბლიკაციები ხშირად წარმოადგენდა ავტონომისტთა ოპოზიციის სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებთან პოლემიკას.

ამ საკითხზე მსჯელობდნენ გაზეთები "შრომა" და "ლამპარი". "შრომა" ეროვნული მიმართულების იყო, "ლამპარი" კი - პრორუსული ორიენტაციის.

"ლამპარსა" და "შრომას" შორის გამართულ პოლემიკაში ჩანდა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი მხარს უჭერდა ავტონომიის იდეას, მას რამდენჯერმე მოუხდა თავისი თვალსაზრისის დასაბუთება (მ. ადამაშვილი, 1906).

სოციალისტ-ფედერალისტური "შრომა" თავგამოდებით იცავდა ეროვნულ ავტონომიასა და მსოფლიო ფედერაციას. მისი აზრით, უნდა მოსპობილიყო სახელმწიფოთა ამდროინდელი საზღვრები, რადგანაც ისინი "არ ეთანხმებოდნენ ეთნოგრაფიულ და ეროვნულ საზღვრებს" (გაზ. "შრომა", 1906, №4).

ავტონომიის მოთხოვნაში იგი იმოწმებდა რუსული დემოკრატიული პრესის ისეთ ორგანოს, როგორიც იყო პეტერბურგში გამომავალი გაზეთი "სტრანა".

"შრომა" თვლიდა, რომ სოციალ-დემოკრატებმა 1903 წლიდან დაკარგეს ეროვნული სახე, როცა რუსეთის სოციალურ-დემოკრატიულ პარტიაში აითქვიფნენ. გაზეთი იხილავდა 1903 წლის ყრილობაზე წარსადგენი პროგრამის პროექტის II მუხლს, სადაც ეწერა: "დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება ფედერაციული პრინციპის თანახმად (სახელმწიფოს სხვადასხვა ერის შეთანხმებული მოქმედების საფუძვლებზე), რუსეთის დაყოფა ოლქებად ეკონომიკური და ტერიტორიული პირობების მიხედვით" (გაზ. "შრომა", 1906, №5).

"შრომა" აკრიტიკებდა ცალკეულ მოსაზრებებს ავტონომიის შესახებ. ის მხარს არ უჭერდა ეროვნულ ავტონომიას, იმ მოსაზრებით, რომ ტერიტორიულ

ავტონომიაში ერთი ერის ჰეგემონია განხორციელდებოდა და მოხდებოდა პატარა ერების დაჩაგვრა, ეროვნული ავტონომიების შემოღება სწორი არ იყო.

"შრომა" გამორიცხავდა საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენას, ისეთი ტერიტორიულ მოთხოვნას, როგორიც იყო, მაგალითად, ზაქათალა, რომელიც "უკვე სხვა მოდგმის ხალხით" იყო დასახლებული, მაგრამ მტკიცედ იცავდა თვალსაზრისს, რომ ის ტერიტორია, რომელიც რეალურად წარმოადგენდა ქართველი ხალხის საცხოვრებელ ადგილს, საქართველოს ავტონომიაში უნდა შესულიყო, თუნდაც მის შიგნით, რამდენიმე რაიონში, კომპაქტურად ყოფილიყვნენ დასახლებულნი სომხები ან სხვა ერის ხალხი.

გაზეთის აზრით, ერთი ერის მეორეზე გაბატონება ვერ მოხდებოდა, რადგან ამას გამორიცხავდნენ სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტები.

სოციალისტ-ფედერალისტური "შრომის" ამგვარი თვალსაზრისი პროგრესული იყო ამ დროისათვის, თუმცა ბოლომდე მისაღები იგი ქართველი ხალხის მოწინავე მოაზროვნეებისათვის არ ყოფილა. ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკოსები ამგვარ ავტონომიაში ხედავდნენ ქართველი ერის ინტერესებისადმი წინააღმდეგობას, მათ ზაქათალა თუ სამაჰმადიანო საქართველოს ტერიტორიები მომავალი ქართული სახელმწიფოს ნაწილად მიაჩნდათ.

რუსეთის I რევოლუციის დროს გააქტიურებული ეს საკითხი რევოლუციის შემდეგ თითქოს მიივიწყეს, თუმცა ქართული პრესა მაინც არ ივიწყებდა ამ საკითხს, რუსეთის ავტონომია-ფედერაციული პრინციპებით მოწყობას და საიმპერიო ეროვნულ პოლიტიკას, კოლონიზაციის მიმდინარე პროცესებს ერთმანეთთან აკავშირებდა და აანალიზებდა, რათა სათანადო დასკვნები გამოეტანა.

ავტონომიის იდეას აყენებდა მიხაკო წერეთელი, ცნობილი ქართველი ანარქისტი გაზეთ "ერში" გამოქვეყნებულ ვრცელ პუბლიკაციაში — "ერის უფლება" მთავარ საკითხად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ერების უფლებათა დაცვას აყენებდა და არა ქვეყნების უფლებებისას (Гр. Чалхушян, 1905, с. 52).

ასევე საინტერესო იყო გიორგი ჟორდანიას ბროშურა "აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია." ეს ნაშრომი "გრაკხის" ფესევდონიმით დაიბეჭდა ქუთაისში 1907 წელს, მაგრამ ვერ გავრცელდა ცენზურის გამო. ნაშრომზე რეცენზია გამოაქვეყნა ცნობილმა ისტორიკოსმა გივი ჟორდანიამ.

I მსოფლიო ომის დროს რუსეთი ცდილობდა კვლავ ჩარეულიყო საქართველოს დემოგრაფიულ პროცესებში, აყრილი აჭარლების ნაცვლად აჭარის სოფლებში სხვა ეთნოსი ჩაესახლებინათ, რასაც ხელი შეუშალა ქართულმა ეროვნულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომელმაც შეძლო თანხის შეგროვება და იქ კვლავ აჭარლები დააბრუნა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიამ მართლაც მოიპოვა ავტონომიური ფედერაცია. მასში სამი ქვეყანა: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი გაერთიანდა. ამიერკავკასიის ფედერაციულ სახელმწიფოს ქართველი სოციალ-დემოკრატები, სომეხი დაშნაკ-ცუტუნები და აზერბაიჯანელი

მუსავატის პარტიები მართავდნენ. ცენტრი ფედერაციისა ქ. თბილისი იყო. მის მთავრობაშიც ძირითადად ქართველები ჭარბობდნენ.

მმართველი სოციალ-დემოკრატები იმედოვნებდნენ, რომ რუსეთში გაძლიერდებოდა დემოკრატიული ხელისუფლება და ამიერკავკასიის ფედერაციას მიიღებდა მის შემადგენლობაში. სოციალ-დემოკრატი ივანე გომართელი გაზეთში —"ჩვენი მეგობარი" იმედოვნებდა, რომ საქართველო ავტონომიის სახით შევიდოდა ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოში.

დამოწმებული ლიტერატურა

მ. ადამაშვილი, 1906 - მ. ადამაშვილი, პასუხად "კამპრის რედაქციას: გაზ. "შრომა", №57, 162, 1906.

ალაროიდელი, 1909 - ალაროიდელი, კავკასიის ერთობა: გაზ. "დროება", №251, 1909 წლის 11 ნოემბერი.

ალ. ბენდიანიშვილი, 1980 - ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წლებში, თბ., 1980.

ვ. გოლუბაევი, 1905 - ვ. გოლუბაევი, ეროვნება და ერები: გაზ. "ცნობის ფურცელი", 1905, 18 მაისი.

ეროვნული და ტერიტორიალური: გაზ. "შრომა", №11, 1906 წლის 16 აპრილი.

გ. ლასხიშვილი, 1934 - გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934.

ნაციონალური ავტონომია და მსოფლიო ფედერაცია: გაზ. "შრომა", №4, 1906.

ოქმები.., 1904 - ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენციისა, პარიზი, 1904.

გაზ. "საქართველო", 1903, №9.

საქართველოს ხალხთა მოძრაობა და ეროვნული ნიადაგი: გაზ. „შრომა", №5, 1906.

სცსა - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

გაზ. "ცნობის ფურცელი", 1905 წ. 25 თებერვალი, 29 მარტი, 31 მარტი, 16 აპრილი, 24 აპრილი; 18 მაისი, 29 ოქტომბერი.

დ. ჭუმბურიძე, 2003 - დ. ჭუმბურიძე, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX ს-ის დასაწყისში: "მემატიანე", თბ., 2003.

Гр. Чалхушян, 1905 - Гр. Чалхушян, Армянский вопрос России, Тиф., 1905.

Кариба, Красная книга, Тиф., 1920.

MADONA NIZHARADZE

THE QUESTION OF GEORGIA'S AUTONOMY AND THE GEORGIAN INTELLIGENTSIA

The question of restoring Georgia's statehood was first deposed in *Iveria,* edited by Ilia Chavchavadze. Later energetic polemics about the issues autonomy and federative systems appeared in the newspapers *Tsnobis Purtseli* and *Sakartvelo.*

The idea of autonomy was promulgated by Grigol Rtskhiladze, Mikheil Javakhishvili, Vasil Tsereteli, Kita Abashidze, Aleksandre Agladze, Vladimer Lortkipanidze and others. In 1900s even the Russia's imperialistic government supported the idea of Georgia's autonomy.

The chief point of publicists publishing in Georgian press was the demand of restoring the Georgian as the official language of the autonomy. As for the other ethnic groups living here they should be provided legal grounds for the preservation of their language, culture and customs, the a possibility for the unencumbered freedom of development.

მადონა აპოლონის ასული ნიშარაძე.
იზოლდა რუსაძე

პოეტი ანეტა გრიგოლის ასული კაპანაძე

რა ვიცით ამ პიროვნების შესახებ? სამწუხაროდ, თითქმის არაფერი.

"ქართული წიგნის" დახმარებით გაირკვა, რომ ა. კაპანაძის ლექსები მხოლოდ ორჯერ დაიბეჭდა: პირველად — 1902 წელს, ხოლო მეორედ — 1904 წელს. ორივე გამოცემულია ქ. თბილისში. პირველ წიგნს აწერია: "გამოცემა ანეტა კაპანაძისა, №I. ლექსები ანეტა კაპანაძისა (ავტორის სურათით) Типогр. "Гутенберг", кн. Гр. Диасамидзе, Дворцов ул... 1902". წიგნი მოიცავს 71 გვერდს, 20 x13.

ეს წიგნი დაცულია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში, ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში ("ქართული წიგნი", ბიბლიოგრაფია, ტ. 1, №2552).

რაც შეეხება 1904 წელს გამოცემულ ა. კაპანაძის ლექსების წიგნს "მოულოდნელი სიკვდილი ლექსით", ინახება საქართველოს ცენტრალურ არქივსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში ("ქართული წიგნი", ბიბლიოგრაფია, ტ. II, №2841). წიგნი დაბეჭდილია არ. ქუთათელაძის სტამბაში (15 გვერდი, 14 x 10).

საკითხით დაინტერესება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ პოეტი ქალის პირველი წიგნი აღმოჩნდა ქ. ქუთაისში, ამ სტატიის ავტორის — მ. ნიჟარაძის ოჯახში. წიგნი დაზიანებულია და მოიცავს მხოლოდ 64 გვერდს.

მუშაობის პროცესში "ქართული წიგნის" I, II და III ტომების გარდა შევისწავლეთ "დროების" 1900-1910 წლებისა და გაზეთ "ცნობის ფურცლის" 1901-1909 წლების მასალები. სამწუხაროდ, ა. კაპანაძის შესახებ ცნობები ძალიან მწირია.

ა. კაპანაძის პირველი წიგნის გამოცემა ცენზურის მიერ ნებადართულ იქნა 1902 წ. 27 აგვისტოს.

ამ გამოცემას თან ერთვის ავტორის ფოტოსურათი, რომელზედაც პოეტ ქალს 40-45 წლის შესახედაობა აქვს. საკმაოდ ლამაზი ქალბატონია, ტიპური ქართული სახით, ძვირფასი ჩიხტი-კოპით, მანდილითა და კავებით.

მეორე წიგნს, ტექნიკური მიზეზების გამო, ჯერჯერობით ვერ ვერ მივაკვლიეთ.

ა. კაპანაძის პოეზია თემატურად მრავალფეროვანია, თუმცა, ძირითადად, პესიმისტური განწყობა იგრძნობა. ჩვენთვის უცნობია მისი პირადი ცხოვრების დეტალები. ამიტომ ვერაფერს ვიტყვით ამ ლექსების პესიმიზმის მიზეზზე, თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი განწყობა იმ პერიოდის შემოქმედთათვის დამახასიათებელი იყო.

ა. კაპანაძეს პოეტის მოვალეობისა და დანიშნულების შესახებ დაწერილი აქვს ლექსები: "მუზას" და "კალამს". ავტორის აზრით, პოეტის ნიჭი ზეციური მადლია და მისი დანიშნულებაა ამქვეყნიური ცხოვრების ტკბილ-მწარე განცდა

"ჰე, მუზავ, მოდი, მომხედე,
შთამბერე ნიჭი ციური,
რომ ვიგრძნო მეც მწარე-ტკბილი
ცხოვრება ამქვეყნიური" ("მუზას").

ა. კაპანაძე ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ეპოქაში მოღვაწეობდა და, ცხადია, მისი პოეზია მათ გავლენას განიცდის. ა. კაპანაძის ჩონგური, აკაკის მსგავსად, სამშობლოს ბედზე წუხს, ხოლო ლექსი "კალამს", ილიას მიბაძვით, სიმართლეს ემსახურება:

"თუმც კი ხარ პაწაწკინტელა,
მაინც ხარ ღონიერიო,
ათასსა მკლავ-ღონიერსა
აჯობებს შენი წვერიო" ("კალამს").

პოეტის ლირიკა, ძირითადად, სატრფიალოა. ცხადია, არ ვიცით, ამ ლექსების ადრესატის ვინაობა, მაგრამ ავტორისეული განცდები რეალურია. სიყვარულის თემაზეა დაწერილი მისი ლექსები: "სატრფოს", "მუხამბაზი", "ტურფა", "საყვარლის ფანტაზია", "ყვედრება" და სხვ. პოეტი ქალი გრძნობამორევით, სიყვარულით ანთებული მიმართავს სატრფოს:

"შენი ეშხით აღვსილი მაქვს გუნება,
შენებრ კოხტა არვინ არ მეგულება,
გულს მეგზნება სიყვარულის ალები,
შენსკენ მზერით დამისუსტდა თვალები" (გვ. 63).

ა. კაპანაძის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემაა მშრომელი ხალხის მძიმე ცხოვრების ჩვენება. ლექსები: "ქართველი გლეხის შვილი ვარ", "საწყალი კაცის შვილი ვარ", "მუშა", "მოსამსახურის სურვილი" და სხვ. დაჩაგრულ ადამიანებს გვიხატავს, თუმცა ა. კაპანაძემ თავის პოეზიაში არ მოგვცა უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანთა სახეები. ამ ლექსების ლირიკული გმირები — მშრომელი გლეხები ღვთისაგან ერთხელ ბოძებულს სჯერდებიან და უკეთესი მომავლისათვის არ იბრძვიან. ცხადია, თუ მწერალი უსამართლობით შეწუხებული ხალხის ბრძოლას ასახავდა, ცენზურა დაბეჭდვის ნებას არ მისცემდა.

ა. კაპანაძის პატრიოტული ლირიკა სამშობლოსადმი სპეტაკი და ნაზი სიყვარულით აღვსილი სტრიქონებია. პოეტ ქალს აწუხებს ქვეყნის ბედი და დაუფარავად გადმოგვცემს თავის ემოციებს. ლექსში "ჩემს სურათს" გულმხურვალედ ლოცულობს და სამშობლოს კეთილდღეობას ევედრება ღმერთს.

ავტორი თავის პოეზიაში უმღერის ადამიანურ ზნეობასა და სპეტაკ სულს. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსი-ბალადა "ობოლი".

ა. კაპანაძის შემოქმედებაში საინტერესო თემებია: დედაშვილური სიყვარული, მოხუცთა და სნეულთა თანაგრძნობა, ბუნების სურათები, ქალაქური ცხოვრების ასახვა და სხვ.

ა. კაპანაძის პოეზია იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით თავისი ეპოქის დონეზეა, თუმცა რითმების მიხედვით მოისუსტებს. უფრო ხშირად გამოყენებულია ღარიბი, არაზუსტი რითმა. პოეტი ძირითადად მიმართავს დაქტილურ რითმას ემფატიკური "ა"-ს დახმარებით. იშვიათად შეიმჩნევა ზედაქტილური რითმებიც (ღონიერიო — შენი წვერიო; არ იწყებს — დაივიწყებს და სხვ.), საერთოდ არ იყენებს ერთმარცვლიან და ორმარცვლიან რითმას. ძირითადად, ლექსები

გაწყობილია ინტერვალიანი რითმებით, თუმცა ხანდახან გვხვდება პარალელური და ჯვარედინიც (გვ. 41, 61, 64).

გავაანალიზეთ ლექსები ენობრივი თვალსაზრისითაც. აქ წარმოვადგინეთ სურათი იმისა, თუ როგორია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაწერილი და გამოქვეყნებული ლექსების გრამატიკული ნორმები. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ იმას, თუ რა მსგავსებასა და განსხვავებას გვიჩვენებს ამ ლექსების ენა ძველ და ახალ სალიტერატურო ენასთან მიმართებით. ლექსები, ძირითადად, ახალი ქართული სალიტერატურო ენითაა დაწერილი, თუმცა აქა-იქ გვხვდება ძველისათვის დამახასიათებელი ნორმები.

ა. კაპანაძის პოეზიაში გამოყენებული ენა ჰრელია. სინამდვილეში, XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში ძველი საერთოდ არ უნდა იყოს, მაგრამ აქა-იქ მაინც ეხვდებით.

ზოგიერთი ენობრივი მოვლენა, რომელიც ამ ლექსებში წარმოჩინდა, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას არ ახასიათებს, რადგანაც იგი "განვითარების საერთო კანონზომიერების ძალით ან სულ დაიკარგა, ან ზოგ დიალექტურ ჯგუფს შემორჩა" (ივ. ქავთარაძე, 1964, გვ. VI).

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. სახელთა წარმოება; მოთხრობითი ბრუნვა: შავბედმან (გვ. 5), შეწუხებულმან (გვ. 14); ვითარებითი ბრუნვა: ხატათ (გვ. 19), მწარეთ (გვ. 36); თანდებული: საკლავზედ (გვ. 24), ტუჩზედ (გვ. 21); "იდან" ფორმას ხმარობს ასე: თვალიდგან (გვ. 26), საყდრიდგან (გვ. 20); ა. კაპანაძე იყენებს -მდე/-მდის თანდებულის დიალექტურ ფორმას: წლამდისინ (გვ. 11), დრომდინ (გვ. 19).

ა. კაპანაძის პოეზიაში ხშირია მსაზღვრელ-საზღვრულის გამოყენების შემთხვევები. პოეტი მიმართავს ატრიბუტულ მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციურ წყობას, მაგრამ გარდამავალ სახეობას: დაკოდილს გულის წყლულებსა (გვ. 6).

პრეპოზიციური წყობის დროს სუბსტანციური მსაზღვრელი ა. კაპანაძის ლექსებში საზღვრულთან ერთად ბრუნების დროს უცვლელია და დგას ნათესაობით ბრუნვაში. ძველ ქართულში ის ყოველთვის გავრცობილი იყო, გარდა ადამიანის სახელისა. საანალიზოდ აღებულ ლექსებში კი საზოგადო სახელებთან გაუვრცობელი ფორმითაა წარმოდგენილი: ოქროს გვირგვინი ძვირფასის თვლებით ადგიათ თავზე (გვ. 20).

ზმნა: პირველი სუბიექტური პირის ნიშანი უ ხმოვნის წინ ბევრ შემთხვევაში დაკარგულია: ჩაუვარდე (გვ. 32), დაუწყებდით (გვ. 53); მესამე სუბიექტური პირისათვის ზმნათა ნარიანი ფორმები: რცხვენიან, ეშინიან, უხარიან და მისთანები დღეს ქართლ-კახურს, მოხეურსა და ფშაურ დიალექტებს ახასიათებთ. ამ მხრივ, ამ დიალექტებში დაცულია ის ვითარება, რაც იყო XII-XIX საუკუნეების ქართულ ენაში. ა. კაპანაძე ზუსტად იცავს თავისი ეპოქის დროინდელ ნორმებს.

XIX საუკუნეში თანხმოვნით დაწყებული ზმნის ერთ ფორმაში თავს იყრიდა ორი პრეფიქსი — პირველი სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნები: ვჰკითხეთ, ვსთხოვე და სხვ. ეს წესი დაცულია ა. კაპანაძის ლექსებშიც. ზოგიერთ ერთპირიან ზმნას სუბიექტური პირის ნიშანთან ერთად ობიექტის პრეფიქსსაც ურთავს: სდგას (გვ. 20), სძგერდა (გვ. 9); ზოგჯერ მესამე პირდაპირ ობიექტურ პირსაც აფიქსით წარმოგვიდგენს: გამოსთქვი (გვ. 7)...

ა. კაპანაძის პოეზიაში შეგვხვდა ხმოვანშეცვლილი ზმნისწინების დიალექტური ფორმები: მამივიდა (გვ. 40), მამცემს (გვ. 64); ზოგიერთ ზმნისწინს პოეტი იყენებს ძველი ფორმით: განჭრა (გვ. 59), გარდმოგვაფარე (გვ. 37), შთაგბერა (გვ. 55) და სხვ.

ცნობილია, რომ აღ- ზმნისწინიან ფორმებში პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ- ზმნისწინის შემდეგ იწერება. ა. კაპანაძის ლექსებში შეინიშნება ძველი ნორმების გავლენა, როცა გამოყენებული იყო "აღვიარებ" ფორმა ზმნისა: უღვიაროო (გვ. 6), გიღვიარებ (გვ. 8) და სხვ.

პოეტი ქალის ლექსებში დადასტურდა -ავ და -ამ თემის ნიშნების მცდარად გამოყენების შემთხვევები: მოვრთამ (გვ. 11), დაგინახამთ (გვ. 56), ნახამ (გვ. 25).

ა. კაპანაძის ლექსებში გამოყენებულია ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის დიალექტური ფორმა.

სტატიაში შევეცადეთ წარმოგვეჩინა ა. კაპანაძის შემოქმედების ძირითადი მოტივები და იდეურ-მხატვრული ანალიზი. შევეხეთ მისი ლექსების ღირსება-ნაკლოვანებებს, განვიხილეთ გრამატიკული ფონი XIX საუკუნის სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით და საზოგადოებას მივაწოდეთ მასალა უცნობი ქართველი პოეტი ქალის შესახებ.

მკითხველს ვთხოვთ, თუ რაიმე ცნობა ან მასალა გააჩნიათ ანეტა კაპანაძის შესახებ, მოგვაწოდონ.

MADONA NIZHARADZE, IZOLDA RUSADZE

ANETA KAPANADZE – POETESS

Aneta Kapanadze published her books of poems in 1902 and 1904. The first one has the title *Aneta Kapanadze's Poems,* the other *Sudden Death with Poems.* The first book is found in the Tbilisi Public Library, in the Scientific Library of the Georgian Academy of Sciences and in and in Petersburg Saltikov-Schedrin Public Library. The second book is kept in the Central Archive of Georgia and in the Scientific Library of the Georgian Academy of Sciences. The first book was also found in the family library of Madona Nizharadze, an author of the present paper.

Apart from the three volume of the Georgian Book and the press of Aneta Kapanadze's time we could not find any other materials about the poetess. Main themes of her poetry are the role of poetry and a poet, love lyrics, motherland, compassion to the needy, hard life of the layman etc. It is noteworthy that Aneta Kapanadze did not write about the struggle of toilers against injustice. The censorship of the period made it impossible to do it.

The present paper discusses Aneta Kapanadze's poems from the point of literary studies: metrics, rhyme …as well as from their linguistic properties.

მადონა აპოლონის ასული ნიშარაძე

პორტრეტი - გამოსახვის აუცილებელი საშუალება

მწერალი პერსონაჟის დახასიათებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პორტრეტს. უმეტესწილად გმირის გარეგნობა და მისი სულიერი სამყარო ურთიერთმიმართებაშია. ხშირად გარეგნობის განმსაზღვრელი ადამიანის შინაგანი ბუნებაა.

პორტრეტში, ჩვეულებრივ, იგულისხმება პერსონაჟის აღნაგობა: სიმაღლე, სახე, თმა-წვერი, თვალ-წარბი, ტუჩ-კბილი და ჩაცმულობაც კი. შეიძლება მწერალმა გამოიყენოს პორტრეტის შემავსებელი სხვა ელემენტებიც: სიგარეტი, პორტსიგარი, ხელჯოხი, სათვალე და სხვ.

ზოგჯერ პორტრეტი მთლიანობაშია წარმოდგენილი, ზოგჯერ კი - ნაწილ-ნაწილ, ე. ი. მწერალი თანდათანობით აღწერს გმირის გარეგნობას.

ლიტერატურულ ძეგლებში გამოიკვეთა პორტრეტის ორი სახეობა: დადებითი და უარყოფითი. ამ კლასიფიკაციის საფუძველი მაინც პერსონაჟის შინაგანი სამყაროა. პორტრეტი გარეგნობაა, ხოლო თვისება და ხასიათი - ადამიანის ბუნება. მეორე განსაზღვრავს პირველს. ე.ი. პორტრეტიდან კი არ გამომდინარეობს დადებითი ან უარყოფითი გმირი, არამედ პირიქით - მოქმედ პირთა ხასიათებიდან. დადებითი თვისებები განსაზღვრავს პერსონაჟის გარეგნობასაც. სხვათა შორის, უძველესი სიბრძნეა, რომ ჯანსაღი, ლამაზი სული ადამიანს გარეგნობითაც ალამაზებს.

დადებითი პორტრეტის ნიმუშად ქართულ მწერლობაში ბევრი პერსონაჟის გახსენება შეიძლება. რუსთაველის გმირების - ტარიელის, ავთანდილის, ნესტან-დარეჯანის, თინათინისა და სხვა პერსონაჟების სილამაზე შეესაბამება ამ გმირთა მაღალზნეობრივ ბუნებას, ხოლო ამავე პოემაში გამოყვანილი ფლიდი და ორპირი ვაჭარი, ფიცისა და სიტყვის გამტეხი უსენი „მჭლე არის და თვალად ნასი". აგრეთვე, ბაში-აჩუკი, თორნიკე ერისთავი, ელგუჯა, ხევისბერი გოჩა და სხვები ქართულ მწერლობაში დაუვიწყარი ზნეობრივი სახეები არიან, შესაბამისად, მათი პორტრეტებიც დადებითია.

ა. წერეთელი აბდუშაჰილის შესანიშნავი პორტრეტის აღწერით თითქოს წინასწარ გვამზადებს მისი ფერისცვალებისათვის. ასეთი გარეგნობის ადამიანი არ შეიძლება ბოროტი, ურჯულო და სისხლისმღვრელი იყოს.

კ. გამსახურდია წერს: „შორენა ჩამოვიდა კედლიდან, ხატაური ფარჩის კაბა ეცვა შავი, ოქროსფერი თმები გადმოღვრილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყაყაჩოების ველზე, თავთუხის თაველებს ესროდა უტას, ყაყაჩოებსა და თავთუხის თაველებს" (კ. გამსახურდია, 1959, გვ. 792). ამ პორტრეტის შესაბამისად შორენა კოლონკელიძე სათნო, ნაზი და სპეტაკი ქალწულია.

უარყოფითი პორტრეტი უარყოფითი გმირის დასახასიათებლად გამოიყენება. ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ცუდი ხასიათი და ნიშან-თვისებები გავლენას ახდენს გარეგნობაზე და აისახება მის სახეზე. ბოროტ და უხამს ადამიანს უზნეო და ბოროტი გამომეტყველება აქვს.

ი. ჭავჭავაძის მიერ დახატული ლუარსაბის პორტრეტი ქართულ მწერლობაში ზარმაცი და უქნარა ადამიანის შესანიშნავი ნიმუშია. სულიერად

გადაგვარებული ლუარსაბ თათქარიძე სხეულითაც გადაგვარებულია. ამას ადასტურებს არა მარტო მისი აღნაგობა, არამედ - ჩაცმულობაც.

მ. ჯავახიშვილი ჯაყო ჯივაშვილის პორტრეტის დახატვისას მაქსიმალურად ცდილობს მისი ვულგარული გარეგნობის წარმოჩენას: „დედაბოძივით სქელი და გაჩაჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ უშნოთ და განივრად დადგმულ თეძოებსა და მხარ-ბეჭს“. „ჯაყომ ცალი ხელით დოინჯი შემოიყარა, ცხენის კბილები გააელვა და დაიჭიხვინა“. „რამდენიმე ნაჭრილობევით დასერილი თავი და პირსახე ისეთი შავის, ხშირისა და აბურძგვნილის ჯაგრით ჰქონდა შემოსილი, თითქო ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უზარმაზარი ზღარბი აცოცებულიყო“. „შავი ჯაგრის ბუჩქნარი თვალებამდე სწვდებოდა და იმ ჯაგნარიდან მხოლოდ ხარის თვალებს, წინ-წამოყრილ ცხენის კბილებსა და აჭყლეტილ ცხვირს ამოეყოთ თავი“. ასეთი პორტრეტით იწყებს მწერალი ჯაყოს დახასიათებას და მკითხველი ნაწარმოების პირველი გვერდიდან ხვდება, რომ უარყოფით პერსონაჟთან აქვს საქმე. ჯაყოს უსიამოვნო, შემზარავ გარეგნობას შეესაბამება მისი ქცევა-ხასიათიც. ის გაუნათლებელი და უზნეო ადამიანია, რაც გამოიხატება მისივე გარეგნობაში.

პორტრეტზე მსჯელობის დროს ყურადღების გარეშე ვერ დავტოვებთ არცთუ იშვიათ გამონაკლისებს. ზოგჯერ პერსონაჟის პორტრეტი და გმირის შინაგანი სამყარო ერთმანეთს არ შეესატყვისება. გარეგნობით მომხიბვლელი და ლამაზი პიროვნება აღჭურვილია უარყოფითი თვისებებით ან პირიქით, ცუდი უარყოფითი პორტრეტის მქონე პერსონაჟი სულიერად სპეტაკი და ამაღლებულია.

მსოფლიო კლასიკურ მწერლობაში უარყოფითი პორტრეტის შესანიშნავი ნიმუშია ვ. ჰიუგოს მიერ დახატული კვაზიმოდო. მისი სურათი ყველაზე დიდი სიმახინჯის განსახიერებაა: “როგორც არ უნდა ვეცადოთ, მივცეთ მკითხველს წარმოდგენა, ვერ შევძლებთ აღვწეროთ ეს ოთხწახნაგა ცხვირი, ცხენის ნალისებური პირი. პაწაწინა მარცხენა თვალს ჯაგრისებური მწითური წარბი ჩამოფარებოდა, მარჯვენა თვალი კი სრულიად გამქრალიყო. ვეება მეჭეჭს ქვეშ უსწორმასწორო, ჩამტვრეული და მეჩხერი კბილები კოშკის ქონგურებს უგავდა, გახეთქილ და დაკოჟრილ ტუჩებზე სპილოს ეშვისებური ღოჯი მოუჩანდა, ნიკაპი ორად ჰქონდა გაყოფილი. კიდევ უფრო ძნელია ამ საშინელი სახის გამომეტყველების გადმოცემა, რომელშიც გაბოროტება, გაოცება და სევდა იხატებოდა ერთდროულად“. მწერალი თანდათანობით ავსებს კვაზიმოდოს გარეგნობას: „მთელი მისი პიროვნება სიმახინჯეს წარმოადგენდა, ვეება თავს აბურძგვნილი, ჯაგრისებური მწითური თმა უფარავდა. ზურგზე ბეჭებს შორის ამოზრდოდა უზარმაზარი კუზი, რომელიც გაწონასწორებული იყო მეორე მოპირდაპირე კუზით მკერდზე. თეძოები ისე უცნაურად ამოვარდნოდა, რომ მის ფეხებს მხოლოდ მუხლებში შეეძლოთ ერთმანეთთან შეხვედრა და თუ წინიდან შეხედავდით, სახელურებით შეერთებულ ორ ნამგალს მოგაგონებდათ. ფართო ტერფები და ურჩხულის საზარელი ხელები ჰქონდა“ და ა. შ. (ვ. ჰიუგო, 1970, გვ. 71). მკითხველმა იცის რომ კვაზიმოდოს ბუნება მისი გარეგნობის სრულიად საწინააღმდეგოა. ამ მახინჯ სხეულში უაღრესად ნაზი, სევდიანი და გმირული სული იმალება. ე. ი. პორტრეტი და გმირის ხასიათი არ შეესაბამება ურთიერთს.

გარეგნობისა და სულიერი სამყაროს ურთიერთშეგუების ნიმუშად გამოდგება ილიას „გლახის ნაამბობში“ გლახის - გაბრიელის ბოლოდროინდელი პორტრეტი: „ისე მტკივნეულად შეიკრიბა წარბები და დაელმიჭა გაყვითლებული სახე... ის იყო სრულიად დათენთილი სნეულებისაგან. ყვითელი სახე, შიგა-და-შიგ ტყლაპსავით ჩაჩნეული, შეშუპებული ჰქონდა, როგორც წყალმანკის მქონეს, თმა და მოზრდილი ჰაღარა წვერი ჭუჭყისაგან ისე გასქელებოდა, თითქოს იმის თმას თავის დღეში არც წყალი მოხვედრიაო და არც სავარცხელი.“ ეს პორტრეტი ეკუთვნის ოდესღაც მშვენიერ, მაგრამ ბედისაგან დაჩაგრულ და გაუბედურებულ ადამიანს. მის ამჟამინდელ მდგომარეობას ასეთი სურათი სავსებით შეესაბამება.

მხატვრულ ლიტერატურაში არის შემთხვევები, როცა პორტრეტი დადებითია, მაგრამ პიროვნება - უარყოფითი. გავიხსენოთ ა. წერეთლის „გამზრდელიდან“ უმშვენიერესი ზია-ხანუმი:

„ზია-ხანუმ, შენც კი იცი,
რომ მშვენებით განთქმულია;
ბევრი კარგი ახალგაზრდა
მისი ეშხით დაბმულია!
მთვარესავით ხელუხლები,
სხივებს ჰფენს და არვის ათბობს;
მომხიბვლელად, შორეულად
თანასწორად ყველას ატკბობს!“ (ა. წერეთელი, 1989, გვ. 203).

როგორც მკითხველისათვის ცნობილია, ზია-ხანუმი უარყოფითი პიროვნებაა. იგი მზადაა, საკუთარი ახირებული სურვილების შესასრულებლად ვაჟკაცების სიცოცხლე გასწიროს და შეყვარებულებს უკადრისი საქციელი ჩაადენინოს.

აკაკის „თამარ ცბიერში“, რა თქმა უნდა, უარყოფითი პერსონაჟია იმერეთის დედოფალი თამარ ცბიერი. მისი პორტრეტი, გარეგნობის სრული აღწერა მწერალს არ მოუცია, მაგრამ შიგადაშიგ ცალკეული სტროფებით პოეტი გვიჩვენებს ამ ქალის მშვენებას. თავისი გარეგნობით მან ბევრი სახელოვანი ვაჟკაცი აცდუნა. დედოფალი თვითონ იხასიათებს თავს:

„როგორც რომ მთვარე თხუთმეტის დღისა,
ველარ შემძენი სინათლის კიდე,
მისცურავს ცაზე სხივმომფინარე
ამპარტავნებით კიდით-კიდემდე,
ისე მშვენება ჩემი სრულქმნილი,
ერთსა წერტილზე შეჩერებულა,
მაგრამ ჯერ კიდევ მისი დიდება
და სხივოსნობა არ დაკლებულა“ (ა. წერეთელი, 1989, გვ. 96).

სხვა ადგილას პოეტი ცბიერ დედოფალზე ამბობს: „თვით ციურ მნათობს, ქვეყნად ჩამოსულს“. პიესის მიხედვით, დედოფლის მშვენიერ სხეულში მოთავსებულია ბოროტი და ცბიერებით აღსავსე სული.

მაშასადამე, პორტრეტი დახასიათებისა და სახის შექმნის აუცილებელი საშუალებაა. უფრო ხშირად მწერლები პერსონაჟის დახასიათებას მათი გარეგნობის აღწერით იწყებენ.

დამოწმებული ლიტერატურა

კ. გამსახურდია, 1959 - კ. გამსახურდია, რჩეული, ტ. II, თბ., 1959.
მ. ნიჟარაძე, ზ. კიკვიძე, 2006 - მ. ნიჟარაძე, ზ. კიკვიძე, ლიტერატურისმცოდნეობის პროპედევტიკა, ქუთაისი, 2006.
ა. წერეთელი, 1989 - ა. წერეთელი, რჩეული, ტ. III, თბ., 1989.
ი. ჭავჭავაძე, 1985 - ი. ჭავჭავაძე, რჩეული, ტ. II, თბ., 1985.
ა. ჭილაია, რ. ჭილაია, 2002 - ა. ჭილაია, რ. ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებები, თბ., 2002.
მ. ჯავახიშვილი, 1959 - მ. ჯავახიშვილი, რჩეული, ტ. II, თბ., 1959.
ვ. ჰიუგო, 1970 - ვ. ჰიუგო, პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, 1970.

MADONA NIZHARADZE

PORTRAITURE – A NECESSARY MEANS OF EXPRESSION

Portraiture is a necessary means of characterizing a personage and creating literary images. In most cases the appearance of a character and his/her spiritual world are interrelated. Often the innermost nature of a human being determines the appearance.

Portraiture usually means the art of portrayal, the depiction in words of a personage's figure, eye and brows, moth and teeth, hair and beard, clothing etc. Writers can make use other complementary objects: a cigarette, cigar-case, cane, and beads etc.

Sometimes verbal portraits are provided in full-length at one time. In other cases authors develop the picture gradually furnishing it according to the plot line.

Traditionally literary studies distinguish two types of portraits: positive and negative. A personage with handsome appearance usually reveals positive characters and those of ugly appearance are associated with negative ones. It is noteworthy that inner qualities serve the decisive sign for the outward look and not the vice versa.

Various fictions have exemptions in which the portrait of the personage and his/her inner world are in contrast relationship. The handsome may have negative personality and the positive character can be wrapped up in the ugly appearance.

Portraits also may correspond to particular mood of a personage at the certain stage of its development i.e. at a certain period of his/her life this or that appearance can prove more necessary.

This paper discusses examples of the portraiture from the Georgian classics.

ნატო ნიჭაბაძე,
ეკატერინე კახიძე

გრიგოლ გიორგის ძე ვეშაპელი/ვეშაპიძე (1891-1926)

დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის დღევანდელ ეტაპზე, დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში შესაძლებელი ხდება, ჩვენი თანამემამულეების, გამოჩენილ ეროვნულ და პოლიტიკურ მოღვაწეთა სახელების დაბრუნება. ჩვენი ვალია შევავსოთ საქართველოს უახლესი ისტორიის „თეთრი“ ლაქები, არ დავუშვათ ისტორიული სინამდვილის ფალსიფიკაცია, დავიწყების სქელი საფარი მოვაშოროთ ყველა იმ მოღვაწეს, რომლებიც დღემდე ჩრდილშია მოქცეული.

პიროვნება, რომელზედაც გვინდა შევაჩეროთ ყურადღება, უაღრესად აქტიურ როლს ასრულებდა ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელზე.

გრიგოლ გიორგის ძე ვეშაპელი (ვეშაპიძე) დაიბადა 1891 წელს სოფელ საირხეში, შორაპნის მაზრაში (დღევანდ. საჩხერის რაიონი). მართალია, იგი ღარიბი გლეხის შვილი იყო, მაგრამ ბავშვობიდანვე სწავლისადმი გამორჩეულმა სურვილმა შეაძლებინა მას, ზემო იმერეთის ამ პატარა სოფლიდან გასულიყო და საზოგადოებრივ სარბიელზე წარმატებული მოღვაწეობისათვის შესაფერი განათლება მიეღო (უ. სიდამონიძე, 1970, გვ. 216).

გრიგოლ ვეშაპელი სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. იგი გამოირჩეოდა აქტიურობითა და კარგი სწავლით. გრიგოლ ვეშაპელმა გიმნაზია წარმატებით დაამთავრა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გაითვალისწინა ნიჭიერი ახალგაზრდის თხოვნა და იგი სპეციალური სტიპენდიით სასწავლებლად მოსკოვის უნივერსიტეტში გაგზავნა. მსოფლიო ლიტერატურის მოყვარული ჭაბუკი ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

გრიგოლ ვეშაპელმა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ყურადღება მიიპყრო, როგორც ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ორგანიზატორმა და ნიჭიერმა პუბლიცისტმა. იგი აქტიურად ჩაება 1915 წელს დაარსებულ გაზეთ „საქართველოს“ პუბლიცისტურ საქმიანობაში. ამ ორგანოში აგზავნიდა და ბეჭდავდა ყველაზე მწვავე და იმ დროისათვის აქტუალურ პოლიტიკურ პრობლემებზე. ეს პრობლემები ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო და მათ ეროვნულ ჭრილში განიხილავდა.

გრიგოლ ვეშაპელმა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაწერა რამდენიმე შრომა რუსულ და ქართულ ენებზე. მათ შორის აღსანიშნავია: „საქართველო და ლაზისტანი“ და „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ (გ. შარაძე, 2001, გვ-223).

საქართველოში დაბრუნებამდე ახალგაზრდა ფილოლოგმა გაზეთ „საქართველოს“ სახელით რამდენიმე ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც მოსკოვის ქართული საზოგადოების ინიციატივით გაიმართა. რუსი პოეტის კონსტანტინე ბალმონტის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე გრიგოლ ვეშაპელმა წარმოთქვა სიტყვა. თავის გამოსვლაში დიდი მადლობა გადაუხადა კ. ბალმონტს „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნისა და დიდი ქართველი გენიალური პოეტის რუსული საზოგადოებისათვის გაცნობის გამო (გრ. ვეშაპელი, 1916).

1916 წელს გრიგოლ ვეშაპელმა მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლა დაასრულა და 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. სხვა ქართველ ეროვნულ მოღვაწეებთან ერთად მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საქმიანობაში და ამ პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერთაგანი გახდა.

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ფუძემდებლებს თავიანთ უმთავრეს მიზნად საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მიაჩნდათ. მათი იდეალი იყო ერთიანი, განუყოფელი მამული და არა დასებად დაპირისპირებული და დაყოფილი საქართველო.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბების პროცესი თითქმის მეოთხედი საუკუნე გრძელდებოდა. სწორედ გრიგოლ ვეშაპელის სამშობლოში დაბრუნებას დაემთხვა ამ პარტიის დაარსება 1917 წლის ივნისში. პარტიის დაარსებამ ახალი იმპულსი შესძინა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ასპარეზზე გამოვიდა ერთიანი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის უმთავრესი მიზანი საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა იყო.

1917 წელს გრიგოლ ვეშაპელი არჩეულ იქნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სათათბირო ორგანოს - სეიმის წევრად. მისი ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის წევრიც გახდა გრიგოლ ვეშაპელი. იგი ყურადღებას იქცევდა თავისი გამოსვლებით ეროვნულ საბჭოსა და ამიერკავკასიის სეიმში, როგორც ნიჭიერი ორატორი და საუკეთესო პუბლიცისტი. ამიტომ იყო, რომ მას ყველა ეროვნულ საქმეში დიდი წილი ედო. როდესაც 1918 წლის 26 მაისს მთავრობის სასახლის თეთრ დარბაზში შეკრებილ ეროვნული საბჭოს წევრთა და საზოგადოების წინაშე ნოე ჟორდანიამ დამოუკიდებლობის აქტი წაიკითხა, მისი რუსული ვარიანტი გრიგოლ ვეშაპელმა წარმოადგინა (დ. ჯუმბურიძე, 2008, გვ. 90).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1918) გრიგოლ ვეშაპელი არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების წევრად - საქართველოს პარლამენტის დეპუტატად. პარლამენტში ის შევიდა, როგორც დამოუკიდებელი ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი, რომლის ორგანო იყო გაზეთი „კლდე“.

გრიგოლ ვეშაპელი აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ჟურნალისტურ საქმიანობაში. 1917 წლიდან რედაქტორობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდვით ორგანოს — „საქართველოს“, 1918-1920 წლებში გაზეთ „კლდეს“ (1919 წ. გაზეთი ზოგჯერ „სალი კლდის“, „პიტალო კლდის“ სახელით გამოდიოდა), 1920 წელს გაზეთ „ნაციონალისტს“, ხოლო 1920-1921 წლებში გაზეთ „მიწას“. იგი რასაც აკეთებდა, ყოველთვის გამოირჩეოდა საქმისადმი შეუპოვრობით და ეროვნული პრობლემებისადმი მწვავე დამოკიდებულებით.

გრიგოლ ვეშაპელის ანტირუსულ განწყობას და მის ეროვნულ სულისკვეთებას ნათლად ადასტურებს დამოუკიდებლობის მეორე დღესვე, 1918 წლის 27 მაისს გაკეთებული ჟესტი: თბილისის საქალაქო საბჭოს სხდომაზე გამოვიდა თბილისის ქალაქის თავი ხატისოვი, დეპუტატებიც უმეტესად არაქართველები იყვნენ, ამიტომ სამუშაო ენა რუსული იყო. როდესაც სიტყვაში გამოსულებმა თავიანთი აზრი რუსულად წარმოთქვეს, გრიგოლ ვეშაპელმა სიტყვა ქართულად წარმოთქვა. მან გააკრიტიკა ხატისოვის გამოსვლა, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობას ნაადრევი უწოდა.

გრიგოლ ვეშაპელის შეუპოვარი ხასიათი, მტკიცე ნებისყოფა, პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი კარგად ჩანს მის პუბლიცისტიკაში, რომელიც უხვად იბეჭდებოდა 1918-1921 წლების ქართულ ეროვნულ პრესაში. როცა 1921 წელს საქართველო რუსეთმა დაიპყრო, ამ ვითარებამ თავზარი დასცა ქართველ მამულიშვილებს და, რა თქმა უნდა, გრიგოლ ვეშაპელს.

იმედგაცრუებული გრიგოლ ვეშაპელი რამდენიმე თვე ბათუმში დარჩა, არ გაჰყვა ემიგრაციაში იმ მთავრობას, რომლის უნიათობასაც აბრალებდნენ ნაწილობრივ ამ დიდ ეროვნულ მარცხს. იგი ჯერ სტამბოლში წავიდა, შემოიარა ევროპის ქვეყნები და ბოლოს პარიზში ჩავიდა. ეწეოდა ფართო ანტიბოლშევიკურ პროპაგანდას როგორც დამოუკიდებლად, ისე ემიგრანტულ მთავრობასთან ერთად. გრიგოლ ვეშაპელისათვის თანდათანობით ცხადი გახდა სოციალ-დემოკრატიული მთავრობის საქმიანობის უშედეგობა, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატა იმაში, რომ მათ ვერ შეძლეს ევროპაში მოკავშირის პოვნა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამასთან, გრიგოლ ვეშაპელი კატეგორიული წინააღმდეგი იყო ემიგრანტული მთავრობის მიერ შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და განხორციელების ისეთ პირობებში, როცა ევროპის არც ერთი სახელმწიფო მხარს არ უჭერდა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. რადგან მათთვის ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საქართველო.

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ გრიგოლ ვეშაპელი დარწმუნდა, რომ ბოლშევიკური რეჟიმის დამარცხება საქართველოში შეუძლებელი იყო და ანტიბოლშევიკურ საქმიანობასაც ნიადაგი ეცლებოდა. იგი სასტიკად გმობდა სისხლისღვრის გაგრძელებას, გადაჭრით მოითხოვდა მის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და მშვიდობიანი ცხოვრების დამკვიდრებას თავის სამშობლოში.

1924 წლის 5 ნოემბერს გრიგოლ ვეშაპელმა პარიზში დააარსა გაზეთი „ახალი საქართველო“, რომელიც კატეგორიულად გამოვიდა იმ მოძრაობის წინააღმდეგ ევროპაში, რასაც აწარმოებდა სოციალ-დემოკრატიული მთავრობა და ლიკვიდაციით ემუქრებოდა ამ მთავრობის რესტავრაციის პოლიტიკას.

გრიგოლ ვეშაპელი პოლიტიკურ ასპარეზზე მეტეორივით გამოჩნდა და ისევ ჩქარა გაქრა უსაზღვრო სივრცეში. ხანმოკლე გამოდგა მისი სიცოცხლე და პოლიტიკური მოღვაწეობაც. მეტად ენერგიული, მებრძოლი და ნიჭიერი პიროვნება თავისი მოღვაწეობით მიუღებელი აღმოჩნდა მოწინააღმდეგისათვის, ამიტომ გადაწყვიტეს მისი ფიზიკური განადგურება. გრიგოლ ვეშაპელი 1926 წლის 10 ივნისს განსხვავებული აზრისათვის მოკლულ იქნა პარიზში. მის მკვლელობას დიდი გამოძახილი მოჰყვა როგორც ევროპაში, ისე საბჭოთა საქართველოში.

გრიგოლ ვეშაპელი დაკრძალეს პარიზში, მონპარნასის სასაფლაოზე 1926 წლის 14 ივნისს. მისი მშობლების თხოვნით, საბჭოთა ხელისუფლებამ გრიგოლ ვეშაპელის ცხედარი პარიზიდან საქართველოში ჩამოასვენა 1928 წელს, დაკრძალეს თბილისში დიდუბის პანთეონში. 1937 წელს ხელისუფლების განკარგულებით მისი ცხედარი დიდუბიდან ვაკის სასაფლაოზე გადაიტანეს და იქ დაკრძალეს.

გრიგოლ ვეშაპელის მსოფლმხედველობა ემიგრაციაში წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა, მისი აზროვნება გაორდა. ერთი მხრივ, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტი, მისი დამოუკიდებლობის ჭომაგი და მეორე მხრივ - საბჭოთა ხელისუფლებაზე ორიენტირებული. შექმნილმა უაღრესად რთულმა ისტორიულმა ვითარებამ, ეპოქამ, რომლის შვილიც ის იყო და რომელშიაც უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა, განაპირობა მისი გაორებული შეხედულებანი.

გრიგოლ ვეშაპელი ტრაგიკული ბედის ადამიანი იყო. მისი ცხოვრების გზა, პოლიტიკური მოღვაწეობა თუ ნააზრევი ერთობ რთული, მაგრამ საყურადღებო გამოცდილებაა, რომლისგანაც მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა ვერ ხერხდება. მისი ემიგრაციამდელი პერიოდისა და 1921-1923 წლების შეხედულებები გულწრფელი პატრიოტის, ქართველი ნაციონალისტის შეხედულებებია. 1924-1926 წლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში კი გრიგოლ ვეშაპელი საბჭოთა ხელისუფლების მომხრე და საქართველოში საბჭოთა პოლიტიკის გამზიარებელი ჩანს.

როგორც ჩანს, უკანასკნელ დროს გრიგოლ ვეშაპელი მოექცა საბჭოთა ხელისუფლების გავლენის ქვეშ, მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ თავის სამშობლოზე ფიქრობდა და მის უკეთეს მომავალზე ოცნებობდა.

დამოწმებული ლიტერატურა

გრ. ვეშაპელი, 1916 - გრ. ვეშაპელი, ბალმონტის მისალმება: გაზ. „საქართველო“, № 20, 1916.

უ. სიდამონიძე, 1970 - უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია (1917- 1921), თბ., 1970.

გ. შარაძე, 2001 - გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 1, თბ., 2001.

დ. ჯუმბურიძე, 2008 - დ. ჯუმბურიძე, ისტორიული პორტრეტები (დასაწყისი მე-20 საუკუნისა), თბ., 20081.

NATO NIKABADZE, EKATERINE KAKHIDZE

GRIGOL GIORGIS-DZE VESHAPELI/VESHAPIDZE (1891-1926)

Grigol Veshapeli was born in a poor farmer's family in the village of Sairkhe, Shorapani administrative region (now Sachkhere region). He studied at the Kutaisi Classical Gymnasium where he made good progress. The Society of Disseminating Literacy among Georgians awarded him a special scholarship to study at the philological faculty of the Moscow University.

During the studentship period Grigol Veshapeli distinguished himself as the head of the Georgian immigrant society and the gifted publicist. He wrote several works in Georgian and Russian languages during these years.

Grigol Veshapeli graduated from the University in 1916. In 1917 after the February Revolution he returned to Georgia.

In 1921 when the Soviet Russia occupied Georgia Grigol Veshapeli did not follow the Government in emigration. He went to Istanbul a few months later and then in Europe where he continued his intense anti-Bolshevik activities alone and in collaboration with the emigrated Government members.

After the failure of the rebellion of 1924 Grigol Veshapeli abandoned anti-Bolshevik activities, split from the emigrated Government and decided to go to Georgia. He was assassinated for his different views in 10th July1926.

ნატო ნიქაბაძე

დამოუკიდებლობის დაკარგვა და "ქართული საკითხი" საერთაშორისო პოლიტიკაში

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისი საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობის მთელ მანძილზე უაღრესად მძიმე საშინაო და საერთაშორისო ვითარებით აღინიშნა. საბჭოთა რუსეთი უკვე იღებდა გადამჭრელ ზომებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

1921 წლის 11 თებერვლიდან საბჭოთა რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ დაიწყო საომარი მოქმედება. 24 თებერვლამდე გრძელდებოდა სისხლისმღვრელი ბრძოლები თბილისის მისადგომებთან. ქართული ჯარის სიმცირემ და მოწინააღმდეგის რიცხობრივმა უპირატესობამ აიძულა მთავარსარდალი, დაეცალა თითქმის უკვე გარემოცული დედაქალაქი.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა არმია თბილისში შევიდა, მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, ანექსია და იქ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა.

ჩვენი აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის საქმეში ხელისუფლების მხრიდან დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები. ამ შეცდომებში ბრალი ჰქონდა არა მარტო ხელისუფლებას, არამედ ოპოზიციურ ძალებსაც.

სავსებით სწორი იყო კ. გამსახურდია, როდესაც წერილში „სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს" დამარცხების მიზეზებს ერთი რომელიმე პოლიტიკური პარტიის საქმიანობაში კი არ ეძებდა, არამედ ცდილობდა გლობალური პოზიციებიდან გაერკვია მისი წარმოშობის სათავე. ნურავინ ნუ დააბრალებს ამ კატასტროფას მარტოოდენ მეზობლებს, ნურც რომელიმე განსაზღვრულ პარტიას: „ქართველების უკანასკნელ პოლიტიკურ ეგზამენში — წერდა კ. გამსახურდია, — ჩვენ დავინახეთ, რომ ქართველი ხალხი, როგორც სახელმწიფო აღმშენებლობის მასალა ძლიერ კარგია, მაგრამ მისი მეთაური — ინტელიგენცია ბევრ შემთხვევაში უღირსი აღმოჩნდა ერის ბელადობისა" (ციტ. "საქართველოს რესპუბლიკა", 2002, 26 მაისი).

ზ. ავალიშვილის აზრით, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის დაპირისპირება მენშევიკური მთავრობის საგარეო პოლიტიკის ბრალი იყო, რომელმაც საქართველო სრულ იზოლაციაში მოაქცია როგორც მოსკოვის, ისე ანგორის მიმართ.

1921 წლის დამდეგს კი საქართველოს, — წერს ზ. ავალიშვილი, — თავისი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების სახით ჰყავდა პარტიული ორგანიზაციის კრეატურა, რომელნიც სახელმწიფოებრივ საქმეებში გამოუცდელობით დოქტრინორობით დაუღალავად და სიჯიუტით დღენიადაგ ამცროებდნენ თავისივე არსებობისა და მომავლის საფუძველს (ზ. ავალიშვილი, 1990, გვ. 7).

ზ. ავალიშვილის თქმით, საქართველოს მთავრობა გზის დასაწყისში ისეთ ვითარებაში აღმოჩნდა, რომ მისი ძირს გადაძახება ერთი წუთით გახდა შესაძლებელი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ემიგრაციაში ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ ეპოვა მოკავშირე ევროპის სახით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ემიგრანტულ მთავრობა

ნატო ნიქაბაძე

დამოუკიდებლობის დაკარგვა და "ქართული საკითხი" საერთაშორისო პოლიტიკაში

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისი საქართველოს დამოუკიდებლობის არსებობის მთელ მანძილზე უაღრესად მძიმე საშინაო და საერთაშორისო ვითარებით აღინიშნა. საბჭოთა რუსეთი უკვე იღებდა გადამჭრელ ზომებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

1921 წლის 11 თებერვლიდან საბჭოთა რუსეთმა დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ დაიწყო საომარი მოქმედება. 24 თებერვალს გრძელდებოდა სისხლისმღვრელი ბრძოლები თბილისის მისადგომებთან. ქართული ჯარის სიმცირემ და მოწინააღმდეგის რიცხობრივმა უპირატესობამ აიძულა მთავარსარდალი, დაეცალა თითქმის უკვე გარემოცული დედაქალაქი.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა არმია თბილისში შევიდა, მოახდინა საქართველოს ოკუპაცია, ანექსია და იქ საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა.

ჩვენი აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის საქმეში ხელისუფლების მხრიდან დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები. ამ შეცდომებში ბრალი ჰქონდა არა მარტო ხელისუფლებას, არამედ ოპოზიციურ ძალებსაც.

სავსებით სწორი იყო კ. გამსახურდია, როდესაც წერილში „სიტყვა ქართველი ერისადმი 26 მაისს“ დამარცხების მიზეზებს ერთი რომელიმე პოლიტიკური პარტიის საქმიანობაში კი არ ეძებდა, არამედ ცდილობდა გლობალური პოზიციებიდან გაერკვია მისი წარმოშობის სათავე. ნურავინ ნუ დააბრალებს ამ კატასტროფას მარტოოდენ მეზობლებს, ნურც რომელიმე განსაზღვრულ პარტიას: „ქართველების უკანასკნელ პოლიტიკურ ეგზამენში — წერდა კ. გამსახურდია, — ჩვენ დავინახეთ, რომ ქართველი ხალხი, როგორც სახელმწიფო აღმშენებლობის მასალა ძლიერ კარგია, მაგრამ მისი მეთაური — ინტელიგენცია ბევრ შემთხვევაში უღირსი აღმოჩნდა ერის ბელადობისა“ (გაზ. “საქართველოს რესპუბლიკა“, 2002, 26 მაისი).

ზ. ავალიშვილის აზრით, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის დაპირისპირება მენშევიკური მთავრობის საგარეო პოლიტიკის ბრალი იყო, რომელმაც საქართველო სრულ იზოლაციაში მოაქცია როგორც მოსკოვის, ისე ანგორის მიმართ.

1921 წლის დამდეგს კი საქართველოს, — წერს ზ. ავალიშვილი, — თავისი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების სახით ჰყავდა პარტიული ორგანიზაციის კრეატურა, რომელნიც სახელმწიფოებრივ საქმეებში გამოუცდელი დოქტრინორობით დაუღალავად და სიჯიუტით დღენიადაგ ამცრობდნენ თავისივე არსებობისა და მომავლის საფუძველს (ზ. ავალიშვილი, 1990, გვ. 7).

ზ. ავალიშვილის თქმით, საქართველოს მთავრობა გზის დასასრულს ისეთ ვითარებაში აღმოჩნდა, რომ მისი ძირს გადაძახება ერთი წკიპურტით გახდა შესაძლებელი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ემიგრაციაში ყოფნის ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ ეპოვა მოკავშირე ევროპის ქვეყნების სახით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას

საფრანგეთში ჩასვლისას პოლიტიკურ მოღვაწეთაგან არავინ დახვედრია, [illegible] მათ შორის კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

საფრანგეთის პოზიცია საქართველოს მიმართ ნათლად გამოიხატა 1921 [illegible] თებერვალ-მარტის ლონდონის კონფერენციაზე. საფრანგეთმა [illegible]ლობა გასწია ინგლისთან და ოსმალეთთან საქართველოს შესახებ. [illegible]ული აზრი გამოთქმულია საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის აკ. [illegible]ის მოხსენებაში — „მემუარი სრულუფლებიანი ელჩისა დიპლომატიური [illegible]ის შესახებ 1921-1922 წწ." (სცსა, ს. 872).

საშთავრობო დონეზე შეხვედრებიდან საყურადღებოა ნ. ჟორდანიას [illegible] საფრანგეთის პრეზიდენტ-მილეირანთან, რომელიც 1921 წლის 8 ივნისს [illegible]. საუბრიდან ცხადი ხდება, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს ნათელი [illegible]ება არ ჰქონდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე. ასეთი პოზიცია [illegible]ული იყო იმ საერთაშორისო ვითარებით, რომლისთვისაც ანგარიში [illegible] გაეწია მას, ვიდრე ქართული საკითხისათვის.

[illegible]ულისხმება ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულების საიდუმლო პუნქტი, [illegible]ც ხელ-ფეხს უხსნიდა ინგლისს რუსეთის საკითხში (ე. წ. Carte Blanche). [illegible]ელოდ საფრანგეთმაც დაიწყო მოსკოვთან დაახლოების კამპანია [illegible]არჩეული პრემიერ ერიოს ხელმძღვანელობით. 1924 წელს საფრანგეთმა [illegible]ლომატიური ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან (გ. ცხოვრებაძე, [illegible], გვ. 47).

საქართველო-საფრანგეთის კარგი ურთიერთობის მიუხედავად, [illegible]დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და საერთოდ ქართულმა [illegible]ტიკურმა ძალებმა ვერ მოახერხეს საფრანგეთის რეალურ მოკავშირედ [illegible]ობა.

საყურადღებოა, თუ როგორ შეხვდა ინგლისის მმართველი წრეები [illegible]ველოს ელჩს აკ. ჩხენკელს 1921 წლის 17 მარტს რწმუნების სიგელის [illegible]ისას. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდ კერზონმა, მართალია, [illegible]ება გამოთქვა საქართველოს დაპყრობის გამო, მაგრამ დამპყრობლის [illegible] არაფერი უთქვამს.

1924 წლის 2 თებერვალს ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარდა [illegible]ლომატიური ურთიერთობა. იმავე წელს აღნიშნულ გზას დაადგნენ ევროპის [illegible]ები: იტალია, ნორვეგია, ავსტრია, საბერძნეთი, დანია, საფრანგეთი და [illegible]ები. ე. ი. ინგლისის ძალისხმევით საბჭოთა კავშირმა თავის სრულ აღიარებას [illegible]ია ევროპაში (სცსა, ს. 1056).

საქართველოს 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი საქართველო-გერმანიის ურთიერთობა იყო. 1918 წელს გერმანიამ პირველმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და გახსნა [illegible]ელჩო თბილისში. პირველ მსოფლიო ომში (1914-1918) გერმანია დამარცხდა. [illegible] იძულებული გახდა მოკავშირე ეპოვა და ამ გზამ საბჭოთა კავშირთან [illegible]ყვანა. ეს მოხდა გენუის კონფერენციის დროს რაპალოში 1922 წლის 16 [illegible]ილს, როცა გერმანია-საბჭოთა რუსეთის ხელშეკრულება გაფორმდა. რაპალოს [illegible]ება გავრცელდა საქართველოზე 1922 წლის 5 ნოემბრის აქტით.

ამ მხრივ საყურადღებოა გერმანიაში საქართველოს წარმომადგენლის [illegible]. ახმეტელის წერილი ნ. ჟორდანიასადმი, რომელიც დათარიღებულია 1922 წლის 7 ნოემბრით: „გერმანიის მთავრობამ გადადგა საშინელი ნაბიჯი... რაპალოს

ხელშეკრულება გავრცელდა საქართველოზე. ამ აქტით გერმანიის მთავრობამ წაშალა საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა და მოსპო საქართველოს წარმომადგენლობა ბერლინში".

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა განისაზღვრა მოსკოვში 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით, რითაც რუსეთმა გააჩუქა საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიათა დიდი ნაწილი, რაც ავალდებულებდა თურქეთს ანგარიში გაეწია საბჭოთა რუსეთისათვის.

საქართველოს მისიის წარმომადგენელი კ. გვარჯალაძე ნ. ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილში აცნობებს მისი შეხვედრის შესახებ ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელთან — რეფეტ ფაშასთან. იგი აცხადებდა: ,,საქართველოს ბოლშევიკური მთავრობა ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, რადგან მათთან გვაქვს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ისინი ჩვენთან ტერიტორიულ და ეკონომიკურ საკითხებზე მორიგებულნი არიან, რომ ძველი მთავრობა დაბრუნდეს საქართველოში და მასთან ჩვენ ლაპარაკი დავიწყოთ. არ ვიცით, რას იზამს ის, შეიძლება ტერიტორიული საკითხი წამოგვიყენოს... ამიტომ ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი ბოლშევიკები არიან".

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, რომ ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა თავიანთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოკავშირედ საბჭოთა რუსეთი აირჩიეს და კარი მიუხურეს განსაცდელში მყოფ საქართველოს. საქართველო რეალური მოკავშირის გარეშე მარტოდმარტო თავისი ძალების ამარა დარჩა ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში.

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, XXI საუკუნის დამდეგს, დამოუკიდებელი საქართველო ისევ რუსეთის მხრიდან განიცდის უდიდეს ზეწოლას, რომელიც ცდილობს ძირძველი ქართული მიწების — აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის - ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების მიტაცებას.

,,ქართული საკითხი" დღესაც მწვავედ დგას საერთაშორისო პოლიტიკაში. იმ ფონზე, როცა რუსეთმა აფხაზეთში შეიყვანა დამატებითი შეიარაღებული ძალები და ღიად და აშკარად ცდილობს საქართველოს ჩამოაშოროს მისი კუთვნილი მიწები. საბედნიეროდ, დღეს ევროპის ყველა სახელმწიფო, აშშ და საერთაშორისო ინსტიტუტები აშკარად გმობენ რუსეთის აგრესიას საქართველოს მიმართ და ყველა ღონეს ხმარობენ, რომ დროულად აღკვეთონ რუსეთის უკანონო ქმედება საქართველოს ტერიტორიაზე.

დამოწმებული ლიტერატურა

ზ. ავალიშვილი, 1990 - ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990.

გაზ. ,,საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წლის 26 მაისი.

სცსა - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

გ. ცხოვრებაძე, 1996 - გ. ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბ., 1996.

NATO NIKABADZE

THE LOSS OF INDEPENDENCE AND INTERNATIONAL SIGNIFICANCE OF 'THE GEORGIAN ISSUE'

In the beginning of 20s of the 20th century the Democratic Republic of Georgia suffered from the hardest domestic and international conditions. In February 11, 1921 Soviet Russia began military intervention against the independent country. In February 25th the Red Army occupied Tbilisi capital city that proclaimed the Soviet authority in the country.

Democratic government went to emigration in France. The Georgian Menshevik government in exile made all efforts to find allies in Europe. However, Paris began negotiations with Moscow and the diplomatic relationship established between them in 1924.

In February 2, 1924 United Kingdom and the Soviet Union established diplomatic relations. In the same year the same course was taken by other European countries, as: Italy, Norway, Austria, Greece, Denmark, France etc. that is the Soviet Union gained her complete recognition through the efforts of the United Kingdom.

The agreement between Germany and the Soviet Russia was concluded in Rafalo in 16th April, 1922. This agreement extended on Georgia as well.

The relation between the Soviet Russia and Ottoman Turkey was regulated according to Moscow agreement of Marc 16, 1921 by force of which the Soviet Russia conceded considerable sizes of Georgia's and Armenia's territories to gain the support from Turkey.

European states were bound to decide on Russia as their political and economical partner slamming the door to hapless Georgia.

ბელა პაპავა

ტოპონიმთა ცვლა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიებში საბჭოთა პერიოდში

კოლონიური მმართველობის პირობებში მეტროპოლიის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე ისტორიულ ტოპონიმთა შეცვლა ერთ-ერთი უპირველესი ღონისძიებაა. სოციოლინგვისტიკა ამ მოვლენას ავტოქთონი მოსახლეობის კოლექტიური იდენტობის რღვევისაკენ მიმართულ ღონისძიებად განიხილავს და კონკრეტული ადგილისადმი მეხსიერებითი კავშირის წყვეტის მიზანმიმართულ აქტს უწოდებს.

ენობრივი კონტაქტების ისეთი ტიპის აღწერისას, როდესაც ერთი ენის მიერ მეორე ენის ფუნქციონირების სფეროთა ძალადობრივი შეზღუდვა ხდება, სოციოლინგვისტიკა იყენებს ტერმინებს: ,,ენობრივი აგრესია", ,,ენობრივი ექსპანსია", ,,ენობრივი შემოჭრა". ყველა ეს ტერმინი ერთი ენის მიერ მეორის შევიწროებაზე (და განდევნაზეც) მიუთითებს. ჩვეულებრივ, ენობრივი აგრესია პოლიტიკური აგრესიის ერთ-ერთი ფორმაა და განსაკუთრებულად მტკივნეულია მოსახლეობისათვის. ენობრივი აგრესია იწყება ენის ფუნქციონირების შეზღუდვით და თანდათან იჭენს თავს ენობრივი სისტემის ყველა დონეზე. ცხადია, ამ პროცესს ე.წ. მარეგულირებელი ჰყავს პოლიტიკურად დაინტერესებული მხარის (ქვეყნის, ორგანიზაციის, ჯგუფის) სახით. ,,საგანგებოდ დაგეგმილი პოლიტიკის შედეგად ძალზე თავისებური ეთნიკური და ენობრივი ვითარება შეიქმნა საქართველოს ისტორიულად განუყოფელ ნაწილში, აფხაზეთში, რომელიც გეოსტრატეგიული თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შავი ზღვის სანაპიროზე, სხვა სახელმწიფოს (თურქეთის) საზღვრიდან არცთუ ისე შორს მდებარეობის გამო" (თ. გვანცელაძე, 2000, გვ. 117).

აფხაზეთი და აჭარა, საქართველოს ზღვისპირეთის მნიშვნელოვანი კუთხეები, ხშირად ხდებოდა ზღვაზე გასვლის მოსურნე ტომთა და სხვადასხვა იმპერიათა სამხედრო ამბიციების ობიექტი. ამიტომაც იყო, რომ ამ რეგიონებში მოსახლეობას განსაკუთრებით დიდი გამძლეობის გამოჩენა უხდებოდა თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული მეხსიერების შესანარჩუნებლად. ამჯერად ამ კუთხეების ისტორიის ახალ პერიოდს, XX საუკუნეს განვიხილავთ რუსული იმპერიალიზმის მიერ ტოპონიმთა ცვლის პოლიტიკის თვალსაზრისით. "ჯერ კიდევ აფხაზეთის დაპყრობამდე იმპერიის იდეოლოგები გეგმავდნენ ამ ბიეთნიკური (ქართულ-აფხაზური) რეგიონის გარუსებას. გეგმის თანახმად, ზღვის მხრიდან (თურქეთის აგრესიის თავიდან აცილების მიზნით) აფხაზეთიდან უნდა აეყარათ ქართველები და აფხაზები, რომელთაც იმპერია არ ენდობოდა, ხოლო მათ ნასახლარებზე უნდა დაესახლებინათ იმპერიისადმი ლოიალურად განწყობილი რუსები, უკრაინელები, ანატოლიელი სომხები და ბერძნები, ბულგარელები, ესტონელები, გერმანელები. მდინარე ყუბანის შესართავიდან მდინარე ენგურის შესართავამდე ზღვის სანაპიროზე განზრახული იყო რუს კაზაკთა სამხედრო დასახლებების უწყვეტი ჯაჭვის შექმნა" (თ. გვანცელაძე, 2000, გვ. 118). ამგვარი პოლიტიკური ცარიზმი ცდილობდა აფხაზეთში მცირე რაოდენობით დარჩენილი ქართველები და აფხაზი მოსახლეობის ჯერ ეროვნული თვითშეგნების შეცვლას, შემდეგ კი — ამ მხარის საბოლოოდ გარუსებას. ამ თვალსაზრისით საბჭოთა რუსეთის მეფის რუსეთის ძირითადი მიმართულებები არ შეუცვლია.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური დაცალკევების მიზნით, ისტორიული საქართველოს სამეფოს ნაწილი აფხაზეთი (ისტორიული აფხაზეთის ზღვისპირეთის მხოლოდ ერთი მონაკვეთი) ცარისტული რუსეთის იმპერიის მემკვიდრე საბჭოთა რუსეთმა ცალკე ერთეულად გააფორმა და 1921 წელს შექმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. იმავე წლის დეკემბერში აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ხელშეკრულების საწყისებზე შეუერთდა საქართველოს სსრ-ს და 1931 წელს გარდაიქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად. აფხაზეთის ავტონომიური ოლქის (დედაქალაქი სოხუმი) ტერიტორია შედგა ყოფილი სოხუმის ოკრუგისაგან. იგი თავიდანვე გაიყო ხუთ მაზრად: კოდორის, (ცენტრი ოჩამჩირე), სამურზაყანოს (გალი), გუმისთის (სოხუმი), გაგრის (გაგრა), ბუდაუთის (გუდაუთა)" (ვ. ეზუგბაია, 1973).

აფხაზეთის ადმინისტრაციული სტატუსის ესოდენ რადიკალური და ხშირი ცვლა მიზნად ისახავდა მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის შეცვლას, მკვიდრი მოსახლეობის მთლიანობის დარღვევას, ისტორიული მეხსიერების წაშლას, მაკონსოლიდირებელი ენობრივი სიტყვა-სიმბოლოებისა და ტოპონიმური მარკერების ხმარებიდან ამოღებას. აფხაზეთში გატარებული რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად უკვე ოცდაათიან წლებში აშკარა გახდა მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე. 1930 წელს გამოცემულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის წიგნში წარმოდგენილია აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის ამსახველი ასეთი სურათი (1926 წლის აღწერის მიხედვით):

ქართველი	33. 5 %
სომეხი	12. 7 %
რუსი	6. 2 %
აფხაზი	27. 8 %
ბერძენი	6. 9 %
უკრაინელი	2. 3 %
დანარჩენი	10. 2 %

რუსეთის საბჭოთა იმპერიის ჩანაფიქრით საქართველოს მთლიანი ტერიტორიიდან უნდა ამოგდებულიყო აჭარაც. აჭარის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა კი, როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ნაწილი, შეიქმნა საქართველოს რევკომის 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, განსხვავებით აფხაზეთისაგან, არ შექმნილა ეროვნული ნიშნის მიხედვით. მისი შექმნისას გათვალისწინებული იყო მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის „საყოფაცხოვრებო თავისებურება", რაც განაპირობა მათთვის იძულებით თავსმოხვეულმა მაჰმადიანურმა რელიგიამ და საქართველოდან ხანგრძლივად ჩამოშორებამ. მისი შექმნა განაპირობა აგრეთვე საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის დადებულმა 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებამაც.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ძირითადად შეიქმნა ყოფილი ბათუმის ოლქისაგან და თავიდანვე დაიყო ხუთ მაზრად: ბათუმის, ქედის, ქობულეთის, აჭარისწყლის და ჭოროხის (დედაქალაქი — ბათუმი) (ვ. ეზუგბაია, 1973, გვ. 22).

ზემოთ დასახელებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის წიგნის მონაცემებით, 1926 წელს აჭარისტანის მოსახლეობას შეადგენდა:

ქართველი	15. 6 %
აჭარელი	52. 8 %
რუსი	7. 7 %
სომეხი	7. 9 %
ბერძენი	4. 2 %
ქურთი	2. 4 %
დანარჩენი	9. 1 %

(როგორც ვხედავთ, ამ ცხრილში აჭარლები და ქართველები გამოყოფილია ცალ-ცალკე).

იმპერიის მთელ ტერიტორიაზე გატარებული გამარუსებელი პოლიტიკა, როგორც აღვნიშნეთ, ხორციელდებოდა მრავალი გზითა და ხერხით. განსაკუთრებული სამიზნე კი მაინც ის ქვეყნები და რეგიონები იყო, რომელთაც ღრმა ისტორიული მეხსიერება ჰქონდათ და ძნელად ექვემდებარებოდნენ ასიმილაციასა და რუსიფიკაციას.

სპეციალისტები აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელთა ისტორიული ცვლილების მიძღვნილ შრომებში გამოყოფენ რამდენიმე პერიოდს; კერძოდ, პროფ. ო. მიქიაშვილის აზრით, მიზანმიმართული ცვლა იწყება ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ (ნ. ხრუშჩოვის დროს), ხოლო მეორე ეტაპად მიჩნეულია აფხაზეთის ომისშემდგომი პერიოდი. თუმცა პროფ. თ. გვანცელაძე, საუბრობს დამაჯერებლად, ამ პროცესში ხუთ ეტაპს გამოყოფს და ათვლას ფაქტობრივად შორიდან იწყებს. მისი აზრით, აფხაზეთში ტოპონიმთა ცვლა სტიქიურად ჩარევის გარეშე დაიწყო XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიიდან დაიწყო აფხაზური მოსახლეობის მიგრაციული პროცესები. XVII—XVIII საუკუნეებში აქა-იქ გაჩნდა თურქული გეოგრაფიული სახელწოდებებიც.

რადიკალურად განსხვავებული ვითარება შეიქმნა 1864 წლის შემდეგ, როცა ტოპონიმთა ცვლა მასობრივ ხასიათს ატარებდა, ასახავდა და ასაბუთებდა ცარიზმის, კომუნისტური იმპერიისა და აფხაზური სეპარატისტული ხელისუფლების მიერ წინასწარ დაგეგმილ და მიზანმიმართულ ეროვნულ პოლიტიკას. აფხაზეთში გეოგრაფიულ სახელთა დაგეგმილი მასობრივი ცვლის პირველი ეტაპი განხორციელდა 1864-1918 წლებს შორის და მჭიდროდ იყო დაკავშირებული ცარიზმის კოლონიალისტურ და რუსიფიკატორულ პოლიტიკასთან.

აფხაზთა მუჰაჯირობის წლებში (1866-1879) აფხაზეთის რუკიდან გაქრა აფხაზური და ქართველური წარმოშობის ტოპონიმების "მასა" და მისი ადგილი უპირატესად რუსულმა გეოგრაფიულმა სახელებმა დაიკავა. რუსული ტოპონიმები ორ მთავარ ჯგუფს ქმნიდა: ერთი ნაწილი ნაწარმოები იყო რომანოვების სამეფო დინასტიის, სამეფო ოჯახის წევრთა სახელებისაგან, ხოლო მეორე ნაწილს საფუძვლად დაედო რუსეთის არმიის გენერალთა, მსხვილ ჩინოსანთა თუ მემამულეთა გვარები (თ. გვანცელაძე, 2000, გვ. 44-46). ამ დროიდან ჩნდება ისეთი ტოპონიმები, როგორიცაა: **ალექსანდროვკა, ანდრეევკა, ანასტასიევკა, ეკატერინოვკა, მიხაილოვკა, ნიკოლაევკა, პილენკოვო, პოლტავო-ალექსანდროვსკოე** და სხვ.

ტოპონიმთა მასობრივი ცვლის მეორე ეტაპი განხორციელდა XX საუკუნის 20-30-იან წლებში და ჰქონდა კომუნისტურ-იდეოლოგიური ხასიათი. უპირველეს

ეწოდებოდა რელიგიური მსოფლმხედველობის, ცარიზმის პერიოდთან დაკავშირებული ან ამა თუ იმ ხალხის ეროვნულ თავისებურებებთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელწოდებები. მათ ადგილას კი ჩნდებოდა კომუნისტური პარტიის ლიდერების გვარებთან ან რევოლუციურ ცნებებთან დაკავშირებული ხელოვნური სახელები. საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა რესპუბლიკაში დამკვიდრდა **ლენინის, სტალინის, ბუდიონის, ორჯონიკიძის...** გვარებიდან მომდინარე სახელები, ასევე, **,,საბჭო", ,,კომუნა", ,,ოქტომბერი", ,,გამარჯვება", ,,განახლება"** და მსგავს ცნებათა მიმანიშნებელი ტოპონიმები.

ტოპონიმთა მასობრივი ცვლის ახალი, მესამე ეტაპი მოიცავდა XX საუკუნის 40-იან წლებს მთლიანად და 50-იანი წლების პირველ ნახევარს. 1940-1954 წლებში აფხაზეთში უპირატესად გაუქმდა ცარიზმის დროს შემოღებული რუსული და უფრო ადრინდელი თურქული წარმოშობის ტოპონიმები, მათ მაგიერ კი დაინერგა ქართული ან აფხაზური სახელები. მაგალითად, **ანასტასიევკა — განახლება, ბეშკარდაში — მთისუბანი, ლიდაზი — ველი, ეკატერინოვკა — კელასური, კაზარმა — სალხინო.**

ტოპონიმთა მასობრივი ცვლის მეოთხე ეტაპი რადიკალურად განსხვავდება წინა ეტაპისაგან. ეს ეტაპი დაიწყო 1954-55 წლებში და გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის საბოლოო დაშლამდე, 1991 წლამდე. განსაკუთრებით აქტიურ პერიოდად კი უნდა მივიჩნიოთ 1954-68 წლები, როცა გაუქმდა ქართული ტოპონიმების დიდი ნაწილი და მათი ადგილი კვლავ რუსულმა სახელებმა დაიკავა (თ. ლომაია, 2000, გვ. 47-49). ამ პერიოდს უკავშირდება შემდეგი სახის ტოპონიმთა ცვლა: **ბაღნაშენი — ესტონკა, მეორე არასაძეხი — ეტოროი არასაძეხი** (ამ ტოპონიმს მსაზღვრელი რუსული იდენტურით შეუცვალეს 1955 წელს, ხოლო ქართული მსაზღვრელი კვლავ დაუბრუნეს 1967 წელს); **სალხინო — ვესიოლოვკა, სიხარული — ოტრადნოე** და ასევე აღდგა რამდენიმე აფხაზური ტიპონიმი. მაგალითად: **ბზისხევი — ბზიფთა, გაგრისხეობა — გაგრაფსთა** და სხვ.

ტოპონიმთა მასობრივი ცვლის ბოლო, მეხუთე ეტაპი კი ხორციელდება დღემდე (იქვე, გვ. 51).

საბჭოთა პერიოდში განხორციელებული ამ პოლიტიკის უფრო დეტალური ანალიზისთვის საჭირო გახდა საარქივო მასალის მოძიება. საკვლევი მასალა მოძიებულია შემდეგ სტატისტიკურ კრებულებსა და საარქივო დოკუმენტებში:

1. სსსრ ადმინისტრაციული დაყოფა, ტფილისი, 1925;
2. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფილისი, 1930;
3. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, 1949 წლის 1 სექტემბრისთვის, თბილისი, 1949;
4. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1961 წლის 1 ივლისისათვის, თბილისი, 1961;
5. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისთვის, თბილისი, 1966;
6. საქართველოს სსრ რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და ადმინისტრაციული რაიონების ცნობარი, თბილისი, 1974;
7. საქართველოს სსრ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისთვის, თბილისი, 1977;

8. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა [illegible] წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თბილისი, 1987;

9. ვაჟა ეზუგბაია, საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება ([illegible] წწ.), თბილისი, 1973;

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, 1925 წლიდან 1987 წლის ჩათვლით, ორივე რეგიონში 204 დასახლებულ პუნქტს (სოფლებს, დაბებს, ქალაქებს) შეეცვალა სახელი. მათგან, ცვლილება შეეხო აფხაზეთში — [illegible] ტოპონიმს, ხოლო აჭარაში — 21-ს. ამ სტატისტიკიდანაც ჩანს, რომ საბჭოთა ხელისუფლების ენობრივი პოლიტიკის მთავარი სამიზნე აფხაზეთი იყო, სადაც მოსახლეობის ეთნიკურ-ენობრივი მრავალფეროვნება ენობრივი კონფლიქტების გასაღვივებლად შეიძლებოდა გამოეყენებინათ.

განსაკუთრებული ინტენსიურობით მიმდინარეობდა ტოპონიმთა მასობრივი ცვლა 1948, 1952 და 1955 წლებში. მაგალითად, 1948 წელს ორივე რეგიონში შეიცვალა 96 გეოგრაფიული სახელი, 1952 წელს — 39, 1955 წელს კი — [illegible]. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მასობრივი ცვლა განხორციელდა 1948 წლის 1 სექტემბერს. ამ დღეს ორივე რეგიონში შეიცვალა 94 ტოპონიმი, აქედან აფხაზეთში — 75, ხოლო აჭარაში — 19.

ორივე ავტონომიაში შემავალ რაიონებში ტოპონიმთა ცვლის სურათი 1925-1987 წლებში ასეთია: გუდაუთა — 30; გაგრა — 37; გულრიფში — [illegible]; სოხუმი — 35; ოჩამჩირე — 31; გალი — 14; აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ დანარჩენი შეცვლილი 24 ტოპონიმი 1949 წლის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით შეეხო გულრიფშის რაიონში, ხოლო 1961, 1966 და 1977 წლების მონაცემების მიხედვით სოხუმში შემავალ გეოგრაფიულ პუნქტებად სახელდება; ხულო — 8; ქედა — 5; ბათუმი — 7, ხოლო ერთი ტოპონიმი, მსგავსად ზემოთ მოყვანილი მაგალითისა, 1949 წლის საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით ეკუთვნის ხულოს რაიონს, ხოლო სხვა მასალებიდან ჩანს, რომ შუახევის რაიონს განეკუთვნება.

ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ საბჭოთა იმპერია განსაკუთრებულ იდეოლოგიურ დატვირთვას ანიჭებდა აფხაზეთის იმ რაიონებს, სადაც მოსახლეობა ეთნიკურად განსაკუთრებით ჭრელი იყო და სადაც ამ მოსახლეობაში ჭარბობდა საქართველოს ფარგლებს გარედან XIX-XX საუკუნეებში მოყვანილი არაქართული და არააფხაზური მოსახლეობა (სოხუმისა და გაგრის რაიონები).

აფხაზეთში შეცვლილი გეოგრაფიული სახელები შეიძლება ასე დაჯგუფდეს:

• აფხაზური სახელი შეიცვალა აფხაზურით: აგვავერა→ ბლაბურა, აგუწა→ ანუხვა... (1948 წ.);

• აფხაზური — ქართულით: ატიშადუ → ვარდისუბანი (1955 წ.).

• ქართული — ქართულით: ქეთევანი → კოჩარა, ცხირი → მზიური, საშარანგიო→ მუხური...;

• ქართული — აფხაზურით: თხილოვანი → არასარა, ვარდისუბანი→ ატიშადუ (1952 წ.), ბამბუკოვანი → აკალამრა (1967 წ.);

• ქართული — რუსულით: საქართველოს ხეობა → გრუზინსკოე უშჩელიე, კოდორი → ვლადიმიროვკა, სიხარული → ოტრადნოე...

• ქართული ზედსართავი და რიცხვითი სახელები შეიცვალა რუსული ეკვივალენტებით: მეორე არასაძიხი → ვტოროი არასაძიხი, ზემო აფიანჩი → ვერხნი აფიანჩი;

ცარიზმის დროს შერქმეული რუსული სახელები 30-40-იან წლებში ითარგმნა ქართულით, 50-იანი წლებიდან კი კვლავ აღადგინეს ცარიზმის პერიოდის რუსული, მაგრამ — არა აფხაზური სახელები: ესტონკა → ესტონი → ესტონკა, ვლადიმიროვკა → კოდორი → ვლადიმიროვკა;

ტოპონიმთა ცვლა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების მიერ განხორციელდა 1940-იანი წლებიდან. 1948 წლის 3 სექტემბერს შეიცვალა 19 ტოპონიმი ხულოს, ხელვაჩაურისა და ბათუმის რაიონებში.

ჰიბრიდული (თურქულ-ქართული) ან საკუთრივ თურქული ტოპონიმები შეიცვალა ქართულით: ალიქოღლები → ოქტომბერი, ახველოღლები → ახალი ცხენისწყალი, იჯადი → განახლება, კაკაოღლები → არსენაული, ყადიოღლები → ფიქრიანება, ყარადერე → განთიადი; ქვედა ორთაბათუმი → წინსვლა, ზედა ორთაბათუმი → ჩაისუბანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოცემული ოფიციალური მონაცემების ალტერნატიული ცნობებს გვაწვდის ზ. ცხოვრებოვას მიერ 1979 წელს გამოქვეყნებული ბროშურა "Топонимия южной осетии в письменных источниках". ამ ბროშურაში მოცემულია ცნობები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში განხორციელებულ ტოპონიმთა ცვლასთან დაკავშირებით. მასში ამ ტერიტორიაზე საბჭოთა პერიოდში 558 გეოგრაფიული სახელიდან 1332 სახელწოდებას, ანუ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში დასახლებული ობიექტების სახელწოდებების 63 %-ს, განუცდია ამა თუ იმ სახის შესწორება ან შეცვლა.

ტოპონიმთა ამგვარი მასობრივი ცვლა, ცხადია, ხდებოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საინტერესოა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ოფიციალური მასალები დუმან ამ ფაქტების შესახებ, რომლის თანახმადაც, საქართველოში ტოპონიმთა ცვლა არაერთგზის განხორციელებულა.

ამრიგად, წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ნათლად შეგვიძლია დავინახოთ დამპყრობელი რუსეთის მიერ დაგეგმილი და გატარებული დამრუსებელი პოლიტიკის შედეგები საქართველოში. მართალია, ტოპონიმთა ცვლა ამ ღონისძიების ერთ-ერთი ელემენტთაგანია, მაგრამ აშკარად საშიში და საურთხიერო, რისი შედეგებიც უკვე სათანადოდ აისახა ჩვენი ქვეყნის თანამედროვეობაში.

დამოწმებული ლიტერატურა

თ. გვანცელაძე, 2000 - თ. გვანცელაძე, ენათა ფუნქციონირება პოლიეთნიკურ რეგიონში მართვადი ეროვნული პოლიტიკის პირობებში: ქართველური მემკვიდრეობა, ტ. IV, ქუთაისი, 2000.

ვ. ეზუგბაია, 1973 - ვ. ეზუგბაია, საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება (1921-1932 წწ.), თბ., 1973.

მ. ნაჭყებია, 2008 - მ. ნაჭყებია, აფხაზეთის ტოპონიმთა ცვლის ეტაპები: გაზ. "სოხუმის უნივერსიტეტი", №2, 2008.

ს. ცხოვრებოვა, 1979 - С. Цховребова, "Топонимия южной осетии в письменных источниках", Тб, 1979.

BELA PAPAVA

PLACE NAME CHANGES IN ABKHAZIA AND ACHARA (ADJARIA) DURING THE SOVIET PERIOD

Tribes and countries seeking for the seaside territory possessions often expressed their military ambitions for Abkhazia and Achara, the important provinces of Georgia on the Black Sea coast. The present paper discusses new period, 20th century, and changes of place names in the region as a means of Russian imperialistic policy carried in the region.

According to the present available data (*'Administrative and Territorial Division of Georgia'* during the years 1949, 1961, 1966, 1977, and 1978) from the year 1925 to 1987 in the two region of Georgia settled areas: villages, small towns, towns had undergone 204 changes. Among them the shift of place names in Abkhazia was 183 in Achara 21. This statistics gives the vivid picture that Abkhazia was the principal target of Russia's language policy where the existence of multitude of ethnic and lingual groups could be used for the arousal of conflicts on language grounds.

The change of place names marked with various intensities in different periods. Most noteworthy seem the years 1948, 1952 and 1954. For instance, in 1948 in both regions 96 place names changed; 39 in 1952; 34 in 1955. In September 3, 1948 94 names changed in both regions, among them 75 in Abkhazia, and 19 in Adjara.

Compared to the official data Z.Tskhovrebova in her brochure " Toponimyia Yuzhnnoy Ossetii v pismenikh istochnikakh"(in Russian), published in 1979 reflects to the data that in the Ossetia Autonomous Region out of the 558 settlement place names 352, i.e. 63%, had been changed or corrected to some degrees.

Such massive shift of place names took on entire territory of Georgia about which the official materials of the administrative and territorial arrangement of Georgia remains silent.

მადონა როგავაძე,
სულხან კუპრაშვილი

ქართული ავტოკეფალური ეკლესიის ისტორიიდან

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ერთ-ერთი უძველესია ქრისტიანულ სამყაროში. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული მოსაზრებით, იგი ჩამოყალიბდა IV საუკუნის 20-იან წლებში, როცა ქართლის სამეფოში მირიან მეფის დროს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ქართული საეკლესიო ტრადიციის მიხედვით, ეს მოხდა 326 წელს, მაგრამ საქართველოში ქრისტიანობის ქადაგება და გავრცელება ამაზე გაცილებით ადრე დაწყებულა. პირველ მქადაგებლად დასავლეთ საქართველოში მოსულან მოციქულები წმინდა ანდრია პირველწოდებული და წმინდა სვიმონ კანანელი (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 38).

ანდრია მოციქულს საქართველოში რამდენიმეჯერ უმოგზაურია და მესამე მოგზაურობის დროს მას თან ჩამოუყვანია სვიმონ კანანელი და მოციქული მატათა - ამის შესახებ წერს მერვე საუკუნის ავტორი ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (ეფრემ მცირე, 1959, გვ. 4). ყურადღება უნდა მიექცეს, რომ წმინდა ანდრია მოციქულმა არა მარტო გააქრისტიანა ქართველები, არამედ დააარსა კიდეც პირველი ქართული საეპისკოპოსო ქალაქ აწყურში. ამ საეპისკოპოსოს მეთაურად დანიშნა ეპისკოპოსი, იქვე დატოვა რამდენიმე მღვდელი და დიაკონი. ქართული საეკლესიო ტრადიციის მიხედვით, ფაქტიურად ეს იყო დაარსება, დაფუძნება და შექმნა ქართული ეკლესიისა თავისი იერარქიით. ანდრია წერს: „დაუდგინა ეპისკოპოსი მღვდელნი და დიაკონნი (ანანია ჯაფარიძე, 1983-1988, გვ. 38).

ცნობილი მოღვაწე ეფრემ მცირე ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ საქართველოში მათთან ერთად იქადაგა მოციქულმა ბართლომემაც აფხაზეთში, ოსეთსა და ქართლში. მოციქულ ბართლომეს საქართველოში მოღვაწეობა ჩანს ლათინურ წყაროებშიც. ამის შესახებ აღნიშნავდა არქანჯელო ლამბერტი (თ. ჟორდანია, 1892, გვ. 34).

სხვა მოსაზრების თანახმად, საქართველოში იქადაგეს მოციქულებმა მატათამ და კაბადოკიაში - პეტრემ (ი. ტაბაღუა, 1982, გვ. 56). იმავეს ამტკიცებს ეპიფანე კვიპროსელიც. მე-4 ს-ის ავტორი, რომელიც თვლიდა, რომ საქართველოში დაკრძალულია მოციქული მატათა (ნ. კელენჯერიძე, 1949, გვ. 7-8). ამასვე აღნიშნავს მთავარეპისკოპოსი ა. ჯაფარიძეც:

„ქართველი მღვდელმთავრები ჩამოლოცვის ან პურის კურთხევის დროს ეახლებოდნენ მოციქულებს, რომელთაც უქადაგიათ ამ ქვეყანაში, ეს ფაქტი დადასტურებულია უძველეს ტექსტებში"... წმიდათა დიდებულთა და ყოვლად ქებულთა მოციქულთა - ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელისათა, თადეოზისა და ბართლომესითა"... (ანანია ჯაფარიძე, 1983-1988, გვ. 3).

ეს იმას ნიშნავს, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული ოფიციალური ეკლესია აღიარებდა, რომ საქართველოს განმანათლებლები არიან ლოცვისას მოხსენიებული ეს მოციქულები (იქვე, გვ. 56).

ამდენად, საქართველოს ეკლესია ქრისტეს მოციქულთა მიერაა დაარსებული და, აქედან გამომდინარე, იგი სამოციქულო ეკლესიაა (იქვე, გვ. 59).

რადგან მოციქულებს ეკუთვნოდათ მთელი ძალაუფლება მიწიერი ეკლესიისა, ამიტომაც მათ დააარსეს პირველი ავტოკეფალური ეკლესიები". იგივე აზრი გატარებულია XVI საუკუნის სლავურ წყაროში, რომელიც ქართულ ეკლესიას მიიჩნევს თომა მოციქულის მიერ დაარსებულად (ანანია ჯაფარიძე, 1983-1988, გვ. 60).

ზემოალნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობის საწყისი საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის პერიოდიდან იღებს სათავეს.

325 წლის ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე და ტრაპეზუნის ეპისკოპოსი დამნუსი. მართალია, ვარაუდობენ, რომ დასახელებული მღვდელმთავრები იყვნენ ბერძენთა ტომისანი, მაგრამ მათ მრევლს, ბერძენ მოახალშენეთა გარდა, ქართველი მოსახლეობაც შეადგენდა.

„ქართლის ცხოვრება" გადმოგვცემს, რომ „ახლადდაარსებულმა იბერიის ეკლესიამ პირველი სამღვდელოება მიიღო კონსტანტინეპოლიდან. წმინდა ნინო განმანათლებლის რჩევით ქართველთა მეფე მირიანი ითხოვს კონსტანტინე იმპერატორთან, რათა ახლად მოქცეული ერის მოსანათლად და დასამოძღვრად გამოგზავნოს სასულიერო პირი. წმინდა კონსტანტინე დიდი მოაგვარებს საქართველოში იოანე ეპისკოპოსს მღვდლებით და დიაკონებით, რომლებიც ჯერ დიდებულთ, ხოლო შემდგომ უბრალო ერს ნათლავენ მტკვრისა და არაგვის შესართავში ე. წ. „ქართველთა იორდანეში".

საისტორიო ტრადიციის თანახმად, აქედან იღებს სათავეს ქართული ეკლესიის ისტორია, თუმცაღა წინარე საუკუნის განმავლობაში საქართველოში ქრისტიანული თემებისა და საეკლესიო იერარქიის არსებობა განსხვავებული მოსაზრებისათვის საკმაოდ მყარ საფუძველს ქმნის.

ახლადდაარსებული ქართული ეკლესია, როგორც უძველესი წყაროებიდან ჩანს, თავიდან დაექვემდებარა ანტიოქიის საპატრიარქოს, როგორც უახლოესი საპატრიარქოს, ხოლო ეკლესიის მეთაური ატარებდა მთავარეპისკოპოსის ტიტულს.

ქართული ეკლესიის ასეთი უფლებრივი მდგომარეობა გაგრძელდა IV საუკუნის II ნახევრამდე. V საუკუნიდან ქართულმა ეკლესიამ ანტიოქიისგან მიიღო ავტოკეფალია. მისი მეთაური იყო ქართლის კათალიკოსი, ხოლო IX საუკუნის 10-იანი წლებიდან — სრულიად საქართველოს პატრიარქი.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაწესების თარიღად V საუკუნეს მიაჩნიათ მ. ბროსეს, თ. ჟორდანიას, მ. თამარაშვილს, ი. სოკოლოვს, ჯავახიშვილს... ეს თარიღი გაზიარებულია თანამედროვე მკვლევართა ნაწილის ისტორიკოს ჯუანშერთან დაცულია ცნობა, რომ საქართველოს ეკლესიის ახალი ფორმირება მოხდა იმ დროისათვის მიღებული ყველა კანონიერი წესის დაცვით. მეფემ საბერძნეთიდან გამოითხოვა თორმეტი ეპისკოპოსი კათალიკოსითურთ და მიიღო კიდეც. სწორედ თორმეტი, რადგან სულ ნაწილი თორმეტი ეპისკოპოსი იყო საჭირო, რათა ადგილობრივ ეკლესიას

ნორმალურად შეესრულებინა (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 198-

ჯუანშერის გადმოცემით, ღვთის განგებით ვახტანგი ნახულობს საკვირველ ხეს, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მთელს მის მერმინდელ ცხოვრებაზე. ხის ძირას ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო, ეკლესიის დიდი მოძღვარი და მასწავლებელი წმინდა გრიგორი ღვთისმეტყველი. ბიზანტიის კეისარი პეტრე და სამოელი, რომელთაგან შემდეგში პირველი გახდა კათალიკოსი, მეორე - ეპისკოპოსი. წმინდა გრიგორის ლოცვა-კურთხევით ვახტანგი ნათლის გვირგვინს დაადგამს პეტრეს, ხოლო ეს უკანასკნელი გვირგვინს ადგამს სამოელ მონაზონს, ეპისკოპოსი კი ვახტანგს ამბორითა და მეფური პატივით მოიკითხავს, როგორც ძმისწორს. აღნიშნული ჩვენებისას გორგასალი იხილავს ჯვარს გვირგვინით, რომელსაც ადგამენ თავზე სიტყვებით: „უმეტესმორწმუნე იყო შენ ყოველთა შორის ნათესავსა სპარსთასა“, „შენგან აღეშენნენ ეკლესიანი და განეწესნენ ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსთა მთავარი“, „გვირგვინიცა წამებისა მიიღო“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 199).

ისტორია ადასტურებს, რომ ყოველივე ზუსტად განხორციელდა ირანში. მეფე დაემორჩილა ღვთის ნებას, საქართველო კი ოფიციალურად ავტოკეფალური გახდა.

ჯუანშერი გარკვევით მიანიშნებს, რომ კათალიკოსობაზე ვახტანგმა ლოცვა-კურთხევა ზეციდან მიიღო. ნიშანდობლივია ისიც, რომ თავის დროზე წმინდა ნინომაც თავისი მოციქულეობრივი მოღვაწეობაც ზეციური ლოცვა-კურთხევით დაიწყო.

ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლი „შუშანიკის წამება“ კიდევ ერთხელ ადასტურებს მე-5 ს-ში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობას მისთვის აუცილებელი ყველა ნიშან-თვისებებით. ამ თხზულებაში პერსონალურად ნახსენებია იმ დროის კათალიკოსი სამოელი ეპითეტით: „თავი ეპისკოპოსთაი“ (ეპისკოპოსი ზოსიმე, 1990, გვ. 3). ეს უკანასკნელი რიგით მეორე კათალიკოსია პეტრეს შემდეგ. სხვა წყაროს მიხედვითაც ამ პერიოდში კათალიკოსს ეწოდება „ეპისკოპოსთმთავარი“ (ძეგლები, 1918, გვ. 27). ეს სახელწოდებანი პირდაპირ მიუთითებენ კათალიკოსის დანიშნულებას, მაგრამ გვაქვს ცნობა იმის შესახებაც, რომ მას ჰყავს ხელქვეითი ეპისკოპოსები - „ეპისკოპოსი მისივე მოყუასი“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 168-197).

ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა X საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სადაც აღწერილია IX საუკუნეში არსებული ვითარება საეკლესიო კრებაზე ქართული ეკლესიის მეთაურის, კათალიკოსის არჩევა. საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართაგან შემდგარი საეკლესიო კრება უცხო საპატრიარქოებთან შეთანხმების გარეშე, სრულიად დამოუკიდებლად ირჩევს ეკლესიის მამამთავარს, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება ქართული ეკლესიის სრული ავტოკეფალურობა.

V საუკუნიდან ქართულმა ეკლესიამ მიიღო ეროვნული სახე. აღმოცენდა ეროვნული კულტურა, სასულიერო მწერლობა, ხუროთმოძღვრება, სამონასტრო ცხოვრება. VI-VII საუკუნეებში ქართული ეკლესია აერთიანებდა 33-35 საეპისკოპოსო ეპარქიას.

ქართული ეკლესიის გაფართოებისა და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში მონასტრების მშენებლობას, რომელსაც განუზომელი ღვაწლი დასდო „ათცამეტმა“ ასურელმა მამამ. სირიელ მამების მოღვაწეობა დაემთხვა ქართლში ირანელთა ბატონობის პერიოდს. ქრისტიანობის განმტკიცებით მათ ხელი შეუწყვეს ქართველთა ეროვნული შეგნების ამაღლებას. ასურელმა მამებმა აღმოსავლეთ საქართველოში დააარსეს თექვსმეტზე მეტი მონასტერი: იოანე ზედაზნის, შიომღვიმის, ალავერდის, მარტყოფის, იყალთოს, სამთავისის, გარეჯის საარქიმანდრიტო, რომელიც თავის მხრივ აერთიანებდა რამდენიმე მონასტერს.

VIII საუკუნის ბოლოდან ფართო სამონასტრო მოძრაობა დაიწყო ტაო-კლარჯეთში. აქ დაარსდა ხანძთის საარქიმანდრიტო. ხანძთა, შატბერდი, მთელი ეს სამონასტრო ცენტრი VIII-X საუკუნეებში იქცნენ თვალსაჩინო მწიგნობრულ-საგანმანათლებლო ცენტრებად, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერი და მწიგნობარი საეკლესიო მამები: გრიგოლ ხანძთელი, მისი მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, იოანე ზოსიმე, საბა მტბევარი, სერაპიონ ზარზმელი და სხვა. X საუკუნისათვის ქართულ ენაზე უკვე შექმნილი იყო მდიდარი ჰაგიოგრაფიული და საისტორიო მწერლობა, ბერძნულიდან ითარგმნა თითქმის მთელი ძირითადი ლიტერატურა, ლიტურგიკის, დოგმატიკის, ჰაგიოგრაფიის და სხვა დარგებში. მაღალ დონეს მიაღწია საეკლესიო არქიტექტურამ, რისი დასტურიცაა - ოშკი, ბანა, ხახული და სხვა.

ქართული ეკლესიის ავტორიტეტი და გავლენა გასცდა საქართველოს ფარგლებს. ჯერ კიდევ V საუკუნიდან მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა რომის, ანტიოქიის, იერუსალიმის საპატრიარქოების საეკლესიო ცენტრებთან. ამასთან, ქართული სამონასტრო ცენტრები დაარსდა სირია-პალესტინაში. ხოლო X საუკუნეში აღმოცენდა ქართველთა მონასტერი ათონზე (ძველები, 1918, გვ. 17). ყოველივე ეს ხელს უწყობდა გარეშე საქრისტიანოსთან საქართველოს ინტენსიურ კონტაქტებს, რაც ორმხრივ ხასიათს იძენს: ქართული ქრისტიანული ეკლესია მდიდრდება ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობით, ხოლო თავად ქრისტიანული სამყარო არცთუ ნაკლებად იკვებება ქართული ქრისტიანული კულტურული ტრადიციებით, რაც არაერთხელაა მინიშნებული ლიტერატურაში. ამის დასტურად მე-6 საუკუნის ავტორი პროკოფი კესარიელი გამოდგება (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 168).

ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ზრდის მაჩვენებელია შემდეგი ფაქტიც: დაახლოებით VIII საუკუნის შუა წლებში საქართველოში ჩამოვიდა გუთელი იოანე, რომელმაც ეპისკოპოსის ხელდასხმა მცხეთის კათალიკოსისაგან მიიღო. გუთელი ეპისკოპოსი საკურთხევლად ჯერ კონსტანტინოპოლის პატრიარქთან გაემგზავრა, რომელსაც ის იერარქიულად ემორჩილებოდა, მაგრამ რადგან იქ მაშინ ხატმებრძოლობა იყო გაბატონებული 725-843 წწ. უკურთხებლად უკან გამობრუნებულა. მაშინ იოანე საქართველოში გამოგზავნეს (საქართველოს ისტორია, 1990, გვ. 80-81).

ასევე ქართული ეკლესიის მაღალი ავტორიტეტის დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ IX საუკუნეში იერუსალიმის პატრიარქის - სერგის თანხმობით ქართულმა ეკლესიამ მიიღო მირონის კურთხევის უფლება მცხეთის სვეტიცხოველში (ბ. ლომინაძე, 1992, გვ. 87-88).

ქართული ენა ეკლესიის ერთადერთ საყოველთაო ენად გავრცელდა. VIII-X სს. ჟამის წირვა და ლოცვა ქართულად სრულდებოდა. XI-XII სს-ში ქართული მუშაობა გაჩაღდა ქართულ ენაზე ახალი ბიზანტიური მწერლობის თარგმანისათვის. ამ საქმიანობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ექვთიმე და გიორგი ათონელებმა, გიორგი მცირემ, ლეონტი მროველმა, ჯუანშერმა, არსენ ბერმთელმა, ეფრემ მცირემ, იოანე პეტრიწმა და სხვებმა. ამგვარი მუშაობა ტარდებოდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქართულ ცენტრებში - ათონზე, პეტრიწონის მონასტერში, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში.

ქართული ეკლესია დაარსების დღიდანვე გახდა მფლობელი ორგანიზაცია, რომელმაც შემოსავლის წყაროს შემოწირული, ნასყიდი მამულები შეადგენდა. მონასტრებს კი ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა. X-XI სს-ში ეკლესიამ დიდ ეკონომიურ ძლიერებას მიაღწია.

XI ს-ში საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქს ეჭირა VI ადგილი რომის პაპის ჩათვლით. ეკლესიათა განყოფის შემდეგ საქართველოს ეკლესიას ეკავა მე-5 ადგილი. ხოლო XVI საუკუნის დასასრულს, როდესაც აღმოსავლეთის პატრიარქებმა რუსეთის ეკლესიას მიანიჭეს მე-5 ადგილი, საქართველოს ეკლესიამ დაიკავა მე-6 ადგილი, რომელიც უჭირავს დღემდე. საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის მეექვსე ადგილის შესახებ ცნობა დაცულია XIII საუკუნის დოკუმენტში (1259 წ). „ ...ჩვენცა გლახაკი ქრისტეს მიერ შემდგომად ხუთთა პატრიარქთა... და სუეტის ცხოველის მეექუსისა პატრიარქისა და ქრისტესმიერ კათოლიკოსისა საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზ ვამტკიცებ და წარვწერ“... (ბ. ლომინაძე, 1992, გვ. 87-88).

სრულიად საქართველოს საპატრიარქო ტერიტორიულად შემცირდა XVI საუკუნის მიწურულს თურქების მიერ სამცხე-საათაბაგოს მიტაცებისა და იქ ისლამის გავრცელების გამო. აქტიურ ტაძრებში თანდათან გაუქმდა ქრისტიანული წირვა-ლოცვა, ქრისტიანული მრევლი შემცირდა, დაიფანტა. XVIII საუკუნეში, როცა საქართველო გათავისუფლდა ირანისა და თურქეთის ბატონობისაგან, ტერიტორიაში სოლომონ პირველმა და ქართლ-კახეთში ერეკლე მეორემ სცადეს მოეხდინათ ღონისძიებებით ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის შერყეული ავტოკეფალიის აღდგენა.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია. ამ წლის შემდეგ, 1811 წელს რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ქართულ ეკლესიას წაერთვა დამოუკიდებლობა და დაქვემდებარებულ იქნა რუსული ეკლესიის „უწმინდესი და უმართებულესი სინოდისადმი“. აქედან მოყოლებული 1918 წლამდე (?) საქართველოს ეკლესიურად მართავდნენ რუსი ეპისკოპოსები.

დამოწმებული ლიტერატურა

ეპისკოპოსი ზოსიმე, 1990 - ეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი), საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის: ჟურნ. "ჯვარი ვაზისა", 1990, №3.

ეფრემ მცირე, 1959 - ეფრემ მცირე, უწყებათ მიზეზისა ქართველთა მოქცევისასა თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების, თბ., 1959.

ნ. კელენჯერიძე, 1949 - ნ. კელენჯერიძე, საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია, თბ., 1949.

ბ. ლომინაძე, 1992 - ბ. ლომინაძე, საქართველოს საპატრიარქო და მისი ავტოკეფალია: რელიგია, 1992, №12.

თ. ჟორდანია, 1892 - თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I, ტფ., 1892.

საქართველოს ისტორია, 1990 - საქართველოს ისტორია (სასკოლო სახლმძღვანელო), თბ., 1990.

ი. ტაბაღუა, 1982 - ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, ტ. I, თბ., 1982.

ქართლის ცხოვრება, 1955 - ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.

ძეგლები, 1918 - ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ტ. I, ტფ., 1918.

ანანია ჯაფარიძე, 1983-1988 - ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ახალციხე, 1983-1988.

SULKHAN KUPRASHVILI, MADONA ROBAKIDZE

RUSSIA'S IMPERIAL POLICY AND THE GEORGIAN CHURCH AUTOCEPHALY IN 1801-1811

In the late half of the 19th century Tsarist Russia waged consistent fight for trapping the Georgian Church into her ideological grips.

In September 12, 1801 the Emperor signed a manifest by force of which on April 12th of the next year, in the Tbilisi Sioni Cathedral surrounded by Russian troops, Russia imposed the representatives of the Georgian nobility to sign the document of abolishing Bagrationi House prerogatives. David who had been proclaimed the heir of Giorgi XII by Russia when the king was still alive was sent in exile. The same fate shared Mariam, the last queen of Georgia, wife of Giorgi XII. Some eight years later the lot of Kartlo-Kakheti kingdom extended on Imereti kingdom that accomplished Russia's footing in Georgia.

The establishment of the Tsarist government in Georgia would not complete only with the abolishment of the Georgian statehood. Now Russia began to interfere in the affairs of the Georgian Church for its subjugation. The government issued a reform anticipating organization of religious diskateria which would be entitled to lead Religious-educational activities. The primary task of the diskateria was to count and register the property of the Georgian Church to figure out all incomes and determine

the number of clergy and make order in the parishes. The government appointed General Tormasov with personal responsibilities for the implementation of the reform.

Earlier to these events, in February 1801, Russian Emperor issued the order obliging Catholicos Anton II to draw up the complete data of the real situation of the Georgian Church and its clergy. The latter did not carry out the task. In November 3, 1810 Tormasov sent Catholicos Anton II in exile and in February 10, 1811 he presented Golitsin new project of organizing the Georgian Church. According to the project the bishop of Mtskheta and Kartli should be at the head of the Georgian Church who would be given a title of Metropolitan of Mtskheta and Kartli and the Exarches of the Synod.

In 1811 the institution of Catholicos was replaced by Exarches, subordinated to Eskateria. The first exarches of Georgia became Bishop Varlam Eristavi, a man educated in Russia. The abolishment of autocephaly of the Georgian Church marked the new and different stage of Georgia's occupation by Russia.

ნატო სვიანაძე

ნიკო ლორთქიფანიძის ესთეტიკური მრწამსი. მხატვრული მანერა. ენა. სტილი

ფერწერასთან შეხამებული ბგერწერის თავისებური მოდელი, რომელიც მუსიკით გამოწვეული ემოციის ტოლფასოვანია – ასეთია მწერლის ესტეტიკური მრწამსი. ნიკო ლორთქიფანიძის ეს რწმენა კონდენსირებულადაა ჩამოყალიბებული იმ ეპიგრაფში, რომელიც მან წარუმძღვარა მინიატურათა ციკლს საერთო სათაურით "სულიერი განწყობილებანი" (1914): "უმთავრეს მიზნად მჩნდება მკითხველში ერთგვარი სულიერი განწყობილება გამომეწვია - სიტყვის საშუალებით მუსიკის საწადელი მიმეღწია. ქართულ მწერლობაში იშვიათია ასეთი ცდა. შეცდომა და უხერხულობაც ამიტომ მრავალი იქნება".

ნ. ლორთქიფანიძის თითქმის ყველა ნოველას საკუთარი ინტონაცია აქვს. ინტონაციური სიმდიდრე, რომელიც კვლავ ნაწარმოების ფერადოვნების არის მიმართული, ქმნის განწყობილებათა დაუსრულებლად ცვალებად გამას. ეს გამა ხან აღმავალია, აქტიურად მჟღერი, ხან უნაზესი სევდით მოცული, ჩუმი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გრძნობის გამომხატველი სასვენი ნიშნებით აღნიშნული. ყოველი ინტონაცია საშუალებას იძლევა დაისვენოს მასზე მკითხველმა. ყოველ გადასვლას ინტონაციის ერთი კილოდან მეორეზე სიმჭევრე შეაქვს ნაწარმოებში და აზღვევს მას მონოტონურობისაგან. ნ. ლორთქიფანიძე ძლიერი ინტონაციების გარეშე არ წერს, არ მეტყველებს. მათი სიმრავლე შეიძლება შევადაროთ მხოლოდ იმპრესიონისტულ, წერტილებისაგან შემდგარ სურათს. შეიძლება ითქვას, მწერლის ზოგიერთი ნოველა პუანტელისტური რიგის ნაწარმოებია.

ნ. ლორთქიფანიძეს ძალზე ეხერხება დიალოგების აგება. ამაში, ერთი მხრივ, მას ეხმარება დიალოგის დანიშნულების სრულყოფილი ცოდნა პროზაში, მეორე მხრივ, ნ. ლორთქიფანიძისათვის, როგორც გარკვეული მანერის მქონე მწერლისათვის, ეს შედარებით იოლად დასაუფლებელ სფეროს წარმოადგენდა. დიალოგის გამართვის მხრივ იგი დიდი მასშტაბის კლასიკოსთა გვერდით შეიძლება დავაყენოთ.

"ტყვედყოფილის დაბრუნებაში" ვკითხულობთ:

"ქოხის კარი ჭრიალით გაიღო და გაისმა:

- ლეკურა, რა ამბავია, რას უყეფ?

ამ ძახილზე ძაღლი გაიქცა. ისევ შემობრუნდა, თითქოს კარში გამოსულ ქალს ჰიშკრისაკენ იწვევსო.

- ისევ ის მგლის არჩივი მაჩვი შემოიპარა უსათუოდ, - წყევა-კრულვით წაიბუტბუტა ქალმა და ძაღლს გაჰყვა.

- უიმე! ეს ვინაა?

- მე ვარ, დედა, - სიკო!

- უი, შენი ჭირი კი შემეყაროს! – და ქალი ჩაეხვია შვილს.

- მართა, მართა! – გასძახა ქალმა.

ქოხის კარი ისევ ჭრიალით გაიღო.

- გამეიქეცი, ქალო, სიკო მოსულა!..

- უიმე! ამას რას ვხედავ, ბატონო... – მეტი ვერაფერი სთქვა ქალმა და არ იცოდა, როგორ მოხვეოდა, სად ეკოცნა...

მთვარე გამოცურდა ღრუბლებიდან და ეზო გაანათა.

- ჩემი ნინოია სადაა? – იკითხა სიკომ.

- ძინავს... – და მართას უნდოდა გასაღვიძებლად წასულიყო; სიკომ შეაჩერა:

- იძინოს! ცოდვაა გოგო! მოვესწრები მის ნახვას... აწი ხომ არსად წავა".

ნ. ლორთქიფანიძის ყოველი ფრაზა მეტად მეტყველია, მგრძნობიარეა, ცოცხალი. იგი არსად არ იძლევა ვრცელ განმარტებებს, სართულებიან აღწერილობებს. ყოველი წინადადება მის ნაწარმოებში სიახლის შემცველია. ხშირად არ ყოფნის მოთმინება, რომ მთლიანი ფრაზა შექმნას, მრავალ სიტყვას ანდოს ის, რაც მას სურდა ეთქვა. მისი მოთხრობათა აბზაცები ძალიან, ადვილად დასაძლევი, იმიტომ რომ აბზაცის მაგიერ იგი ერთ წინადადებას წარმოადგენს.

"ფარდის აწევამ დაიგვიანა, მაგრამ საზოგადოებას მოუთმენლობა არ გამოუჩენია.

კნეინა გაჭრა. – "უიალქნოდ".

ხშირად წინადადებას იგი არჩევს ერთ მოკლე შესიტყვებას. ნ. ლორთქიფანიძის ემოციურად ყველაზე დატვირთულ ნაწარმოებში გვხვდება ერთსიტყვიანი აბზაცებიც. ზოგან ერთი სიტყვაც არ არის და გვხვდება მხოლოდ წერტილი, ხან კითხვის ნიშანი, რაც წერის იმპრესიონისტულ მანერაზე მიგვითითებს, მაგრამ თუკი ასეთი მანერა ნამდვილად იმპრესიონისტულია, მაშინ ამ მოთხრობებში მაინც წმინდა რეალისტური ხდება.

წერილის უშუალობა, მისი მეტყველი ენა, სტილის მხატვრულობა ერთგვარად ვლინდება ნაწარმოებთა დაწყების თავისებურებებში. ზოგი მათგანის დასაწყისი მყისვე აღჭურვილია ღრმა ფსიქოლოგიზმით, ზოგი დაწყება კინემატოგრაფიული სიცხადით ვითარდება.

პირველი ლირიკული (ხშირად სენტიმენტალური) ფრაზა ხანდახან განსაზღვრავს, ერთგვარად ტონს აძლევს, მთელი მოთხრობის ლირიკულ (ან სენტიმენტალურ) განწყობილებას.

არცთუ ისე იშვიათად მწერალი ნაწარმოების პირველ წინადადებაში მთელი ნაწარმოების საზრდო ესენციას ათავსებს. დასაწყისი ხშირად ხდება ნაწარმოების კეთილხმოვან მჟღერ კამერტონად: "შეუგნებლად დაერიდა ბავშვების სივილს – გამოვიდა ქოხიდან, გაიარა ეზო, უგზო-უკვლოდ მიდიოდა" – ამგვარად იწყება "ტრაგედია უგმიროდ". ცხადია, ამ მოთხრობის ძირითადი აზრის შემდგომი განვითარება პირველსავე სტრიქონებში აქვს ავტორს მოცემული. ბოკვდა. მის ნაზ ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი. იდუმალის მწუხარებით არ შემოუხედავს ოთახში სატრფოს თვალებს. ნაცნობებს არ მოუკითხავთ". ამგვარია პირველი სტრიქონები მოთხრობისა "გული". იგი სულ ოცდაოთხი სრულია სტრიქონისაგან შედგება, მაგრამ ალბათ იშვიათად იწერება ხოლმე ასეთი პატრიოტული სიმწველით აღნიშნული ნაწარმოები.

ნ. ლორთქიფანიძის მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელია ასეთი თვისებაც – მის მინიატურათა უმრავლესობას ამშვენებენ მინაწერები, რომლებიც თითქოს ერთგვარ ექსკურსს უკეთებენ მკითხველს ნაწარმოების შინაარსში ჩასაწვდომად. ამას ამჩნევდა ს. ჩიქოვანის მკაფიო თვალი: "ისინი ქმნიან ნაწარმოების შინაგან სამყაროში შესასვლელად საჭირო სულიერ მდგომარეობას" (ს. ჩიქოვანი, გვ. 105). მაგალითად, მინიატურათა ციკლს – "პანაშვიდი" –

აწერია: " ვუძღვნი მას, ვისაც უკანასკნელი პატივი ვერ ვეცი, ერთი მუჭა მიწა ვერ მივაყარე", ხოლო მინიატურას "მრცხვენი" ეპიგრაფად ამშვენებს მიქელანჯელოს უკვე დამოწმებული სიტყვები: "ტკბილია ძირი, უტკბესია გაქვავება ჯამსა საძრახსა და სახელის გატეხისას არაფერი დავინახო, არაფერი ვიგრძნო".

– აი, ჩემი ნეტარება, მაშ, ნუ მაღვიძებ, წყნარად ილაპარაკე".

ნ. ლორთქიფანიძის სტილისათვის დამახასიათებელი იყო დიდი სიძუნწე სიტყვიერი მასალისა, მოკვეთილი სტილი. "გაჭიანურებული სიტყვათა ფრქვევა", როგორც თვითონ ამბობდა, მას ჭირივით სძულდა. ის იყო თავისებური ხარკის გადახდა 900-იან წლებში მხატვრულ ლიტერატურაში დანერგილი იმპრესიონისტული სტილისათვის. როგორც ცნობილია, 900-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე მეოცე საუკუნის 20-იან წლებამდის, ჩვენს მწერლობაში ძლიერად აღორძინდა შეკუმშული თქმებისა და ფრაზების მცირე ფორმის მოთხრობები, მაგრამ აქ ჩვენ არ უნდა ავურიოთ რევოლუციის წლებში გამოყენებული ეს მსხვილი, მცირე ფორმიანი ლირიკული პროზის ნიმუშები დეკადანტურ მინიატურებთან. ამ შემთხვევაში ნ. ლორთქიფანიძე ერთგვარი შემაკავშირებელი ხიდი იყო იმპრესიონისტული და ქართული რეალისტური მცირეფორნიანი პროზაული ჟანრისა. იგი, ერთი მხრივ, არაგვისპირელისა და ი. ევდოშვილის მსგავსად, მიმართავდა მოთხრობების მცირე ფორმას — ესკიზს, სურათს, მინიატურას, მეორე მხრივ, ვ. ბარნოვის მსგავსად, იყენებს რიტმულ პროზას, მეტწილად გალექსილი ფორმით, ოღონდ, არქაიზმებისაგან თავისუფალს. აი, თუნდაც მისი ერთი მაგალითი: "გულის იარებს რომ ხელსა ჰკრავ, პირში რომ მეტყვი კითხვასა მწარეს, მუდამ რომ სიცილს ცრემლად მიქცევ და რომ დასცინი ჩემს აღმაფრენას. ტყუილად თვალთმაქცობ – სწორედ მით გამიწყრი, რომ ჩემთან სტირი ჩემსა სატირალს, რომ ჩემთან გინდა სიმღერა ტკბილი, რომ ჩემგან ელი ბედნიერებას. ხასიათს იცვლი... განა ბავშვი ვარ, ვერ შეგამჩნიო ამპარტავანი, თუ რისთვის სხვებთან ია ხარ ნაზი, ჩემთან კი ეკლით მოცული ვარდი.

და ნუ მომესწროს, რომ შეგეცვალოს ეს მკაცრი ქცევა, ტკბილ საუბარი ო, ღმერთმა ნუ ქნას, რომ მხოლოდ სიტყვას, რასაც შენ იგრძნობ, თლად დაეხატოს".

მოთხრობაში ჩართული ეს ტექსტი ძალიან უახლოვდება ლექსს. მაგრამ ნ. ლორთქიფანიძის წერის იმპრესიონისტული მანერა მჟღავნდება, როგორც თვითონვე წერს, იმ სიუჟეტურ თავისებურებაში, რომელსაც იგი იყენებს კლასიკურ სიუჟეტიანი ნაწარმოებისაგან განსხვავებით, შთაბეჭდილებათა წუთიერ მომენტების აღწერით, რასაც ერთგვარად დაუმთავრებელი ხასიათი ჰქონდა. ნ. ლორთქიფანიძემ თავისებურად მოარიგა იმპრესიონისტული ლაკონიზმი რეალისტური მინიატურების ჟანრთან.

განწყობილების შესაქმნელად მწერალი მრავალ ხერხს იყენებს. მკითხველის სულში გრძნობის პირველი იმპულსი სათაურს აქვს, თავისებურად განცდას აღუძრავს მას. "უიალქნოს", "პანაშვიდი", "სულიერი განწყობილება", "სევდიანი ნახატები", "მგლოვიარე გულითა", "საშინელი მდგომარეობა" და სხვა ჩამოთვლისთანავე ქმნიან იმ სულიერ ატმოსფეროს, რომლითაც გაჟღენთილი იყო მწერლის ადრეული შემოქმედება, მაგრამ ნაწარმოების განწყობილების შესაგრძნობად მხოლოდ სათაურიდან მიღებული შთაბეჭდილება არაა საკმარისი საჭიროა ნოველის თუ ესკიზის წაკითხვამდე ჩადგე იმ სულიერ მდგომარეობაში, რომელიც მწერალს ჰქონდა ნაწარმოების შექმნისას. მათ გასაგებად ეს გონება არ გამოდგება. მათს ასათვისებლად იმდენად ცხოვრებისა და

ლიტერატურის თეორიის ცოდნა არ არის საჭირო, რამდენადაც უნარი – შეეწყა სხვა ადამიანს, ჩაიყენო თავი იმავე ვითარებაში, რომელშიც შემოქმედი იყო. მაშინ გასაგები გახდება სულის ის მდგომარეობა, რასაც შედეგად ნაღვლიანი სურათები მოჰყოლია. ნიკო ლორთქიფანიძე ცდილობს, რომ მკითხველი ნაწილობრივ მაინც მიიყვანოს ამ მდგომარეობამდე, რასაც იგი ეპიგრაფების შეშვებით ახერხებს: "მესმის კილო სამგლოვიარო ზარისა და ვწერ" ("ცხოვრება სალომიკასი").

ამრიგად, მწერალი ხშირად სათაურისა და ეპიგრაფის საშუალებით აღწევს ნაწარმოების შესაგრძნობად საჭირო განწყობილების შექმნას. თვით ნაწარმოებები ნ. ლორთქიფანიძისა, უმეტესწილად, გმირის ლირიკული აღსარებაა, თხრობითი პოეტური ინტონაციით გადმოცემული.

ნ. ლორთქიფანიძისათვის მთავარი განწყობილებისა და სულის მდგომარეობის გადმოცემაა, რომელიც გაბმულ თხრობას მოითხოვს; "ჩვენ გვინდა არა მოგონილი ისტორია, არამედ გამოსახვა, არა გართობა, არამედ შთაბეჭდილება" – წერდა ჰ. ფონ ჰოფმანსტალი. განწყობილების გადმოცემა ნაწყობრ სიუჟეტს არ საჭიროებს.

ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაზე იმპრესიონიზმის გავლენა იმ სიუჟეტურ თავისებურებაში მჟღავნდება, რაც მისი ნაწარმოებისათვის არის ნიშნეული. მოვლენები აქ ისეა გადმოცემული, რომ აღიბეჭდება მხოლოდ შეუკავშირებელი შთაბეჭდილებანი, რომლებიც არ ობიექტივირდება გაბმული თხრობის სახით. ეს არის ტიპური იმპრესიონისტული ფორმა, სადაც გამორიცხულია კვანძის შეკვრისა და გახსნის პრინციპი. თხზულების ცალკეული თავები დამოუკიდებელი ნაწილებია საკუთარი მოქმედებითა და განვითარებით, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად თემის ვარიაციებს.

"ვისაც გამოუვლია დიდი ავადმყოფობა, ახსოვს ბოდვა, ტკივილების ფერის ჩანგი თუ არა, ზღაპარი მაინც მოუსმენია, იგი გაიგებს ჩემს სულისკვეთებას და სასიამოდ დარჩება არეული ისტორიის, დავიწყებული ზეპირგადმოცემის და ფრთხილი ოცნების ხლართი, მწარე ღამეებში ნაღვლიანი ფიქრების გასაფანტავად შეთხზული".

ამით ნათელია მხატვრული მრწამსი ნ. ლორთქიფანიძისა, რაც უფრო ახლოებს მოდერნისტულ მწერლობასთან. როგორც ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი, ისე მხატვრული პრაქტიკა ნ. ლორთქიფანიძისა, მხატვრული ხერხები და საშუალებანი, აღქმა, ესთეტიკური ფენომენი მოდერნისტულია.

ნ. ლორთქიფანიძის მთავარი მხატვრული მანერა პლასტიკური ხედვაა. თითოეს უამრავ შთაბეჭდილება იმ მისნური მხედველობის წყალობით იღებს, რომელსაც არ გამორჩება არაფერი მნიშვნელოვანი, არც არისტოკრატის სასახლეში და არც გლეხის ქოხში, ამიტომ არის, რომ ხშირად მისი მინიატურები "ეგზოტიკური ბუდეებიდან" და "ამერიდან" ფერწერული პეიზაჟების სინათლესა და სიზუსტეს ინარჩუნებენ. ესკიზები, ეტიუდები და პეიზაჟები მთლიანობაში რომ ავიღოთ, ერთ დიდ მხატვრულ ტილოს ჰგავს. ეს ნამდვილი ფერწერაა. შესაბამისად კი არ აქვს მას ეპიგრაფად: "ზოგან ყვითელ, ზოგან წითელ, ზოგან ალისფერია" და შემთხვევითი არ არის, რომ ნ. ლორთქიფანიძის მინიატურებს ასეთი სახელები ჰქვია: "სურათი სოფლად", "სენტიმენტალური ნახატი", "ბიუსტი", "ფერადიანი ნახატები"...

ნ. ლორთქიფანიძის სტილურ თავისებურებათა შორის განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ სიტყვის უკიდურესი მომჭირნეობა. მის ნიმუშად თუნდაც "ტრაგედია უგმიროდ" გამოდგება. აქ ცოტა სიტყვით ბევრის თქმის უნარი ზენიტშია აყვანილი. უნდა ითქვას, რომ მწერლის ეს თავისებურება არ მომდინარეობს მხოლოდ მის მიერ არჩეული მწირი ჟანრიდან, რაც თავისთავად საჭიროებს ლაკონურ თხრობას. ნიკო ლორთქიფანიძე მოზრდილ ნაწარმოებებშიც ერთგული რჩება ამ წესისა.

დამოწმებული ლიტერატურა

ე. აბრამიშვილი, 1972 - ე. აბრამიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე – ნოველის ოსტატი: ჟურნ. "ცისკარი", 1972, №4.

თ. დოიაშვილი, 1981 - თ. დოიაშვილი, განწყობილებათა და შთაბეჭდილებათა მხატვარი: გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1981, 16 ოქტომბერი.

გ. ნატროშვილი, 1982 - გ. ნატროშვილი, ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული სამყარო: ჟურნ. "განთიადი", 1982, №6.

ბ. ჟღენტი, 1972 - ბ. ჟღენტი, მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატი: ჟურნ. "მნათობი", 1972, №10.

ს. ჭილაია, 1982 - ს. ჭილაია, ქართული მოთხრობის ოსტატი: გაზ. "ლიტერატურული საქართველო", 1982, 30 აპრილი.

NATO SVIANADZE

NIKO LRTKIPANIDZE'S AESTHETIC CREED, ARTISTIC MANNER, LANGUAGE AND STYLE

Peculiar pattern of speech sound application in accordance with the pain application in art that possess congeniality of emotion caused by music sounds – is N.Lortkipanidze's aesthetic creed.

Almost each of his short stories has its own unique intonation. These intonations can be compared with dots of the Impressionist pictures. The author never provides them for the extended comments. His paragraphs are thin, easily manageable, and usually consists of a single sentence. He makes frequent use of a sequence of three full stops, question marks, suggesting the impressionist manner of writing.

N.Lortkipanidze's style tends to be close to poetic verse experimenting various of means to create mood, among them is the choice of story titles.

Most striking feature of N.Lortkipanidze's writing style is the extreme frugality of word-use. He remains loyal to the laconic expression in the bigger works than those of the short stories.

ეკა სილაგაძე

ავანტიურიზმი ქართულ ხალხურ ზღაპრებში

ზღაპარი თხრობითი, ჩვეულებრივი ხალხური ნაწარმოებია, უპირატესად ფანტასტიკური შინაარსისა. იგი მითოლოგიური ხასიათის მოკლე მოთხრობაა, ხალხის სულიერი კულტურის ნაწილია. არსებობს ზღაპრის რამდენიმე სახე: მითოლოგიური, საყოფაცხოვრებო, ავანტიურისტული და სხვა.

როგორც ვიცით, ავანტიურა ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ტაქსპექტივოდ, რეალური ძალებისა და პირობების გაუთვალისწინებლად, შემთხვევითი წარმატების იმედით წამოწყებულ საქმეს, თავგადასავალს, ჩვეულებრივ საძრახისს.

ქართულ ხალხურ ზღაპრებში ხშირად გვხვდება ავანტიურისტული მოქმედებები, შემთხვევითობას, იღბალს, მოხერხებულობას მინდობილი ცდა-მართლება ან გაუმართლებლობა, თავის დაღწევა გამოუვალი მდგომარეობიდან ტყუილით, ცრუ დაპირებით, საძრახისი საქციელით.

აღსანიშნავია, რომ ავანტიურას ზღაპრის გმირები მიმართავენ სხვადასხვა მიზნით: თავის გადასარჩენად, შურის საძიებლად, შიმშილის მოსაკლავად, საკუთარი ძლიერებულობის, გამხიარულების, შინაგანი ბოროტების თუ სხვა მიზეზთა გამო.

ვის არ შეხვდებით აქ: მოტყუებულ და გაბრიყვებულ მგელსა თუ დათვს, მოხერხებულობით გამორჩეულ მელას და ფრთების იმედად გაყოყოჩებულ ფრინველებს. გავიხსენოთ, მაგალითად, ზღაპარი "მოტყუებული მგელი", სადაც მოხერხებული ღორი მტაცებელ ნადირს გააბრიყვებს იმით, რომ თავისი სამი ცუდის — ხრუტუნას, მცივანას და მაგარას არსებობის შესახებ შეატყობინებს. მშიერი მგელი თავის შეცდომას მაშინ მიხვდა, როცა კარი აღარ გაუღეს, მაგრამ რაღა დროს.

ზღაპარში "ამეტყველებული ცხოველი" ხომ იგივე ადამიანია, რომელიც, ხშირად ვერ თოკავს თავის ველურ ინსტიქტებს, ვერ იმორჩილებს საკუთარ სურვილებს. სულმოკლეობა, სიძუნწე, გაუმაძღრობა, შური, გაუტანლობა, ველურბრყვილობა, გულღრძოობა, სიზანტე, სხვისი უბედურებით აღფრთოვანება, შურისძიება, მოხერხებულობა და უამრავი სხვა გრძნობა ამრავალფეროვნებს, საინტერესოს და მიმზიდველს ხდის არა მარტო ნაწარმოებს, არამედ ერთგვარად მოძღვრავს მკითხველს და აფრთხილებს, რომ კეთილთა შორის არსებობენ ბოროტები, რომ საჭიროა სიფრთხილე ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე.

მაცდურებად და ავანტიურისტებად ზღაპრებში უმეტესად მელიები გვევლინებიან. განუსაზღვრელია მათი საძრახისი ქმედებები. ისინი ყოველთვის ცდილობენ თავიანთი მოხერხებულობით დაჩაგრონ ფიზიკურად თავისზე უფრო ძლიერები და იმხიარულონ მათი გულუბრყვილობით გამოწვეული უბედურებებით.

ზღაპარში ,,დათვის, მგლისა და მელიის ამბავი" მოთხრობილია ერთი მელიის შესახებ, რომელიც ყოველგვარი მიზეზის გარეშე საკუთარი ბოროტი და ცბიერი ბუნების გამო უბედურებას გადაჰყრის გულუბრყვილო დათვს — თრიევე ბელს მოუკლავს, თანაც განკურნებისთვის წინასწარ ქრთამად აიღებს ფუდალს და ქადას. გაბრაზებულ დათვს კი შემთხვევით შემხვედრ მგელს ეუბნავნის და კარგად დააჟეჟინებს უსაფუძვლო ახირების გამო.

მხოლოდ ავანტიურით გადაირჩინა მელამ თავი გაბრაზებული მგლისგან. ცხვრებთან აღმოჩენის იმედით გოდორი გადააცვა თავზე, დააგორა და მეცხვარეებს აცემინა. მეორედ შურის საძიებლად მისულს კი თავი ხარაზად გააცნო, უკანა ტანი გაუკერა — ხშირად აღარ მოგშივდება, სულ მაძღარი იქნებიო და ლამის სიკვდილის პირას მიიყვანა.

საინტერესოა ისიც, თუ რამდენად სწავლობენ ჭკუას მრავალჯერ გაბრიყვებული პერსონაჟები. სამწუხაროდ, შურისძიებით ანთებულები ვერ ამჩნევენ მორიგ უბედურებას, საძაგელი და გაიძვერა მტრის მიერ ჩაფიქრებულს მანამ, სანამ მისი განხორციელების სიმწარეს საკუთარ ტყავზე არ იწვნევენ. თუმცა ზოგს ტყავსაც არ არჩენენ და ბოლომდე ბრიყვებად ტოვებენ და ისინიც რჩებიან მცირე მოსაზრების, წინდაუხედაობის და ზედმეტად მიმნდობი ხასიათის გამო.

ზღაპარში ,,დათვი და მელა" იშვიათ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ჩანს, რომ მელას, ავანტიურისტობის გარდა, სიყვარულიც შეუძლია, მაგრამ საშინლად შეუბრალებელია საყვარელი არსების დაკარგვით გამოწვეული ტკივილის შურისძიებისას. გაუმაძღარ დათვს მწარედ ანანა თავისი, ნაჩუქარი ბეკეკას შეჭმა. მოქეიფეებისგან ტყავის გაძრობა არ აკმარა, მერე ეკლებში შეიტყუა. არც ამას დაჯერდა და შამფურებით დადაღა, თუმცა ვერც ამით მოიოხა შურისძიებით ანთებული გული და საბოლოოდ წუწკი დათვი კლდიდან დააგორა. ის ხომ კრავთან შედარებით იყო მოხერხებული, მოტყუებით გააღებინა კარები და შეჭამა, მელიასთან კი სრულიად გულუბრყვილო აღმოჩნდა და საკადრისი შედეგიც მიიღო, თუმცა უფრო ჭკვიანი და მოხერხებული რომ ყოფილიყო, ალბათ მელას ყველაფერს არ დაუჯერებდა და გადარჩებოდა, მაგრამ მელიის ავანტიურიზმი ხომ მის დაღუპვაში ჩანს.

ავანტიურისტულ ზღაპრებში გვხვდება პირობის ანუ ფიცის დადების სხვადასხვა სახე. ზოგი თავის თავთან დებს პირობას, ზოგი სხვებს აძლევს ფიცს და ამტკიცებს, რომ არ დაარღვევს, მაგრამ ,,მაძღარზე" დადებული პირობა უმეტესად მშიერზე ავიწყდებათ.

ზღაპარში ,,მელია და მწყერჩიტა" ორ მეტად მოხერხებულ პერსონაჟს ვხვდებით იმ იმედით და პირობით, რომ მელია მწყერჩიტას შვილებს და შვილიშვილებს არ შეუჭამდა (ანუ აქაც პირად ბედნიერებაზე ზრუნავს და სხვისი უბედურებით ტკბობაა ნაჩვენები). მელას ჯერ ლეში მოანელებინა მთა-გორებზე სირბილით, შემდეგ კარგად აცინა, შედეგად კი, რომ არა საკუთარი ფრთები და მოხერხება, მელიის წერა გახდებოდა.

მშვიდი და ბედნიერი ცხოვრების სანაცვლოდ მწყერჩიტამ არავინ დაინდო, არც ხარი, რომელსაც რქაზე სახრე მოხვდა და მოტყდა, არც მაწვნით სავსე ქილა, არც პატარა ბავშვი, მშიერზე პირობადავიწყებული მელაც კი, რომელსაც თავი დიდი სახრით გაუტეხა (მასზე მოქნეული მელას მოხვდა).

მაძღარზე დადებული ფიცი მშიერზე იმ მგელსაც დაავიწყდა, იერუსალიმს რომ მიდიოდა ცოდვების მოსანანიებლად (,,მგლის ბერად შედგომა"). მან აცდუნა ეშმაკმა და მშვიდად ამცნო თავისი გადაწყვეტილება გზად შეხვედრილ მოზვერს, ცხვრებსა და ვირს, მაგრამ, როცა იერუსალიმს მივიდა, ეკლესიაში ვერ შევიდა თავისი მგლობის გამო და შიმშილმაც ძალიან შეაწუხა, პირობა არ გახსენებია, ,,როდესაც მუცელი ცარიელია, იქ იერუსალიმს რა ხელი აქვსო".

მგლის სახეში შესაძლებელია დავინახოთ ცოდვებით დამძიმებული ადამიანი, რომლისთვისაც სულის ცხონება სასურველია, მაგრამ ნაკლებად შესაძლებელი ადამიანი საქვეყნოდ ცნობილი ცოდვებისა და მოუთმენლობის გამო.

გვხვდება ზღაპრები, რომლებშიც პერსონაჟები კიდევ ერთ ავანტიურისტულ მეთოდს — დაშინებას მიმართავენ. მაგალითად, ზღაპარში "მელა" მოთხრობილია, თუ როგორ აშინებდა სტუმრად მისული მელა ოჯახებს და მოჰყავდა იქიდან პურის ნაცვლად მამალი, მამლის ნაცვლად ცხვარი, ცხვრის ნაცვლად ხარი და ხარის ნაცვლად პატარძალიც კი. რამდენად შერჩა ამ ქმედებები, სულ სხვა საკითხია, მაგრამ ნაჩვენებია, რომ უამრავ ადამიანის საქმეს მელა მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისა და ბედნიერებისთვის ხელებდა, არად აგდებდა იმ ადამიანებს, რომლებიც კეთილად, გულთბილად და გულღიად ხვდებოდნენ კარზე მისულ უცხო სტუმარს.

ზღაპარში "ნადირთა ძმობა" დათვი იჩენს ავანტიურას თავისი ძალიდან გამომდინარე. თითქმის უბრძოლველად მოპოვებული ლუკმა არცერთ შემთხვევაში არ გაუყო, პირიქით, დააშინა კიდეც ისინი. დათვისთვის ძმობა და მეგობრობა ცარიელი სიტყვები იყო, იგი თავისზე სუსტებს დაუმეგობრდა და შეუგესაც იმკიდა.

ზღაპრის გმირები ყოველთვის ავლენენ საკუთარ ხასიათს, ბუნებას, ყოველთვის ისწრაფვიან ერთმანეთისკენ, უმეტეს შემთხვევაში ებრძვიან ერთმანეთს და ურთიერთსაწინააღმდეგოდ მოქმედებენ, მაგრამ მათი ურთიერთობა გამუდმებულ ავანტიურულ ქმედებებზეა აგებული.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. ასათიანი, 1982 - გ. ასათიანი, სათავეებთან, თბ., 1982.

ს. გაჩეჩილაძე, 1973 - ს. გაჩეჩილაძე, ლიტმცოდნეობის შესავალი, თბ., 1973.

თ. ქურდოვანიძე, 1983 - თ. ქურდოვანიძე, ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპრები, თბ., 1983.

ზღაპრები, 1949 - რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, ელენე ყურალაძის რედაქციით, თბ., 1949.

EKA SILAGADZE

VENTURES IN THE GEORGIAN FOLK TALES

Folk tales are of various kinds, as: mythological, of everyday life, of engaging in hazards and some others. Georgian folk tales often convey activities of personages engaging in risks. They engage in ventures for various motivations: for rescuing their own life, for taking revenge, for the search for food, or just for the obsession, for fun, or for their innate cruelty or whatever other reasons.

In most cases from the personified animals foxes distinguish with wit and flexibility to trick and overcome strong but the gullible opponents and have fun over the misfortunes inflicted to victims.

Having been duped multiple times trustful personages cannot learn lessons and being exited to exact revenge on the enemy fail to see the next misfortune over them until they experience its bitterness one more times.

Folk tale personages always reveal their character, mood and are in a hurry to meet each other, mostly fighting against one another or act against each other. Their relationship is built on the venture activities.

ნელი სიჭინავა

დიალექტიზმები მხატვრულ ენაში და მათი თარგმნის პრობლემა

მიუხედავად დიდი მიღწევებისა, ქართულ ენათმეცნიერებაში დღემდე არ ნაკლებია ინტერესი დიალექტთა ყოველმხრივი და ამომწურავი შესწავლისადმი. ეს განპირობებულია დიალექტთა საერთო მოვლენების წარმოშობა-განვითარების ძიება ქართული ენის განვითარების საერთო ფონზე და ქართული ენის დიალექტთა მასალის ანალიზის საფუძველზე ზოგადენათმეცნიერული საკითხების გაშუქება. გამოქვეყნებულია მონოგრაფიული გამოკვლევები და დიდი რაოდენობით სამეცნიერო სტატიები. სპეციალურად შესწავლილია რამდენიმე დიალექტის ლექსიკა. დაბეჭდილია დიალექტოლოგიური ტექსტები და ლექსიკონები. დიალექტური თავისებურებანი გამოვლენილია როგორც ძველ წერილობით ძეგლებში - ძველ ქართულ თარგმანებში, ორიგინალურ მხატვრულ ლიტერატურაში, ისტორიულ საბუთებში, ასევე თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ენაში. მწერლის ენის შესწავლასთან ერთად მიმდინარეობს პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებათა შესწავლა.

გურული დიალექტის თავისებურებანი ფართოდ არის წარმოდგენილი წერილობაში, უმთავრესად ე. ნონეშვილის თხზულებებში. გურულიზმები გვხდება აგრეთვე ნ. ნაკაშიძის, ჭ. ლომთათიძის, პ. ჩხიკვაძის, ნ. დუმბაძისა და სხვათა ნაწარმოებებში.

იმერული ერთ-ერთი მსხვილი დიალექტური ერთეულია. იმერულმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. მისი თავისებურებანი გამოყენებული აქვთ ძირითადად პერსონაჟთა მეტყველებაში ა. წერეთელს, დ. კლდიაშვილს, გ. წერეთელს, ლ. ლორთქიფანიძეს, რ. გვეტაძეს, კ. ლორთქიფანიძეს, ო. იოსელიანს და სხვ.

კახური მასალა ჭარბად გვხდება საისტორიო ძეგლებში, მოყოლებული XV საუკუნიდან. კახურის თავისებურებები წარმოდგენილია კახეთიდან გამოსული მწერლების ენაში (თეიმურაზ I, არჩილი, თეიმურაზ II, ა. ჭავჭავაძე, ი. ჭავჭავაძე, ნ. ერისთავი, ი. ევდოშვილი, დ. მაჩხანელი, გ. ლეონიძე და სხვ.).

მოხეური ფართოდ არის წარმოდგენილი ა.ყაზბეგის პერსონაჟთა მეტყველებაში. ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მოხევიზმები გვხვდება მწერლისეულ ენაშიც. მოხეური კილოს ნიმუში გამოიყენა ი.ჭავჭავაძემ "მგზავრის წერილებში".

ფშაური კილოს თავისებურებები მწერლობაში გამოიყენეს ილია ჭავჭავაძემ, განსაკუთრებით ვაჟა-ფშაველამ.

მეგრული ლექსიკა გვხვდება იოანე პეტრიწის, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვათა ნაწერებში (კ. დანელია, 1991; ტ. ფუტკარაძე, 2007; ნ. დადიანი, 2007; რ. შეროზია, 2008).

როგორც ვხედავთ, ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში დიალექტიზმების გამოყენება იქცა ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ინდივიდუალურ-სტილისტურ თავისებურებად. ბუნებრივად წამოიჭრა ინტერესი დიალექტური სიტყვების თარგმნის პრობლემისადმი, რომელიც ჩვენ გავაანალიზეთ ქართულ-რუსული მხატვრული თარგმანების მაგალითზე.

თარგმნის გამოჩენილი თეორეტიკოსი ა. ფიოდოროვი აღნიშნავდა, რომ ნებისმიერ ენაში არსებობს ისეთი სპეციფიკური ელემენტები, რომელთაც არ გააჩნია პირდაპირი ფორმალური შესატყვისები სხვა ენებში. მიუხედავად ამისა, ამ დანაკლისის კომპენსირება ხდება სხვა გარკვეული გრამატიკული ან ლექსიკური საშუალებებით, რომელთაც შეუძლია მათი მნიშვნელობის გადმოცემა კონტექსტის მიხედვით. ნამდვილად უთარგმნელი რჩება დედნის ის ცალკეული ენობრივი ელემენტები, რომლებიც წარმოადგენენ გადახრას საერთო სალიტერატურო ნორმიდან: დიალექტიზმები და სოციალური ჟარგონების სიტყვები.

დიალექტიზმები და ჟარგონული სიტყვები გამოიყენება მხატვრულ ლიტერატურაში, როგორც:

ა) ძირითადი ენობრივი საშუალება, ე.ი. სალიტერატურო ნორმიდან გადახრა დამახასიათებელია მთელი ნაწარმოებისთვის, როგორც ავტორის, ასევე პერსონაჟების მეტყველებისათვის;

ბ) ცალკეული პერსონაჟების ენობრივი დახასიათების საშუალება;

გ) ეკზოტიზმი, გარკვეული კოლორიტის შესაქმნელად.

ა. ფიოდოროვს დასაშვებად მიაჩნია დიალექტიზმების გადმოცემა ენობრივი საშუალებებით, ე. ი. არ უარყოფდა მათი ფუნქციონალური თარგმნის ან კომპენსაციის შესაძლებლობას: "...Основным функциональным соответствием всякого рода диалектизмам (как территориальным, так и социальным) в русских переводах способно служить просторечие в широком смысле слова. И если еще в недавнем прошлом просторечие очень редко применялось в переводах, если даже бездиалектное просторечие оригинала чрезвычайно часто оставалось невоспроизведенным, то за последние несколько лет в русских переводах художественной прозы - и классической и современной - отчетливо наметился сдвиг в этом отношении" (ა. ფიოდოროვი, 1968, გვ. 316).

ირჟი ლევი თვლიდა, რომ საჭიროა ზოგადი შთაბეჭდილების შენარჩუნება, რასაც შეიძლება მივაღწიოთ სალაპარაკო ელემენტების გამოყენებით ნებისმიერ სხვა ადგილას, იქ, სადაც კონტექსტი ამის საშუალებას იძლევა (ი. ლევი, 1974, გვ. 148).

მხატვრული თარგმნის თეორეტიკოსები აქსიომად მიიჩნევენ იმ აზრს, რომ დიალექტიზმის დიალექტიზმითვე თარგმნა დაუშვებელია. ვ. გაკი აღნიშნავდა: "...Немыслимо переводить южнофранцузские диалектизмы с помощью особенностей южнорусских диалектов" (ვ. გაკი, 1966, გვ. 38). იმ შემთხვევაში, ტერიტორიული დიალექტის ელემენტების გამოყენება, რომელზეც ხორციელდება თარგმნა, წინააღმდეგობაში შევა დედნის რეალურ შინაარსთან, მოქმედების ადგილთან, მის გარემოებებთან, მოქმედი პირებისა და თვით ავტორის ერთეულ კუთვნილებასთან.

ორიგინალის სტილისტური თავისებურების შენარჩუნების ერთადერთ საშუალებას იძლევა სასაუბრო მეტყველების ელემენტების გამოყენება. ამ აზრს იზიარებდა ბ.ლარინიც, როცა მიუთითებდა უცხოური ორიგინალის დიალექტიზმებისთვის რუსული შესატყვისების პოვნის შესაძლებლობაზე: "...и просторечие персонажа, и реплики на областном диалекте, и все социально-диалектные диалоги (на арго, на профессиональном жаргоне) - все это стилистически активны, и это должно найти доходчивое соответствие в переводе. Есть такие элементы русской народной речи, которые не локализуются в узких

рамках одного диалекта, а приближаются к "общенародным", хотя и остаются ... нормы литературного языка. Они и могли бы быть сигналом "диалектизма" ... переводе" (ბ. ლარინი, 1959, გვ. 137). ამგვარ პოზიციას მხარს უჭერენ ... თეორეტიკოსების მთელი რიგი: ა. ფიოდოროვი, ვ. გაკი, ი. კაშკინი, ... ლევი, ი. რეცკერი, ა. შვეიცერი და სხვ.

ლიტერატურულ ნაწარმოებში გამოყენებული ტერიტორიული დიალექტის ... ელემენტები არა მხოლოდ მიუთითებენ მოქმედი პირების კუთვნილებას ... ადგილის გარკვეული ტერიტორიული ჯგუფისადმი, არა მხოლოდ ვიწრო ... ადგილობრივი კოლორიტის ნიშან-თვისებაა, არამედ არის ლიტერატურული ... ნორმის დარღვევა და, ამრიგად, წარმოადგენენ პერსონაჟების სოციალური ან ... ლიტერატურული დახასიათების საშუალებას. დიალექტიზმების სტილისტური ... ფუნქციონირების შესაძლებლობა თარგმანში არსებობს, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ... ეს მიუთითებდა ა. ფიოდოროვი, ეს შესაძლებლობა ხშირად აუთვისებელი ... რჩება.

ს. პეტროვი ღიად აკრიტიკებდა თარგმანებს, რომელშიც ორიგინალები ... ინარჩუნებენ თავის ხალხურ ხასიათს, რომელთა ენა წიგნური და მშრალია. ... ს. პეტროვი მოუწოდებდა მთარგმნელებს, არ ეშინოდეთ "რუსული ... ლიტერატურისა" და ფართოდ გამოიყენონ მშობლიური ენის ყველა ის საშუალება, ... რომელიც ყოვლისა სასაუბრო ენის ერთეულები, რომელთა მეშვეობით შეიძლება ... შენარჩუნდეს დედანს ხალხური თვითმყოფადობა და ბუნებრიობა (ს. პეტროვი, ... 1953, გვ. 71-96).

ამოცანის დადებითად გადაწყვეტა შეიძლება არა მარტო ლექსიკური ... საშუალებების გამოყენებით, არამედ არსებობენ გრამატიკული შესაძლებლობებიც, ... კერძოდ კი, სინტაქსური გადახრები ლიტერატურული ნორმიდან. დიალექტიზმების ... გადმოცემის ამ ხერხს თავაზობდა კ. ჩუკოვსკი და აღნიშნავდა, რომ "სინტაქსური ... გადახრები" აგრძნობინებენ რუს მკითხველს, რომ მათ წინაშე ისეთი ენობრივი ... მოვლენებია, რომელიც დიდად სცილდება ნორმას (კ. ჩუკოვსკი, 1964, გვ. 138-139).

გრამატიკულ საშუალებებს მიეკუთვნება აგრეთვე კნინობით-მოფერებითი ... ფორმები, რომელთა განვითარებული სისტემა წარმოადგენს რუსული ენის ... ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას და რომელთა გამოყენება თარგმანში ... შეიძლება ჩაითვალოს დიალექტური სიტყვების კომპენსაციის წარმატებულ ... ხერხად.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ხერხი, რომელიც გულისხმობს ... თარგმანში საგანგებოდ თავის არიდებას ყოველგვარი გადამეტებულად ... ლიტერატურული, წიგნური სიტყვებისა და შესიტყვებებისაგან. ამგვარი შეზღუდვა ... განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა თარგმანში ლიტერატურული ... ენობის მკაცრი დაცვა წინააღმდეგობაში შედის ორიგინალის იდეურ შინაარსთან, ... რაც ავტორის ჩანაფიქრს და უკარგავს ნაწარმოებს ინდივიდუალურ-სტილისტურ თავისებურებას.

დიდი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას შემოქმედების დამახასიათებელი ... ნიშანია ფშაური დიალექტიზმების გამოყენება. უნდა აღინიშნოს, რომ ფშაურ ... კილოს ვაჟა-ფშაველა ეპყრობოდა საკმარისი მხატვრული ტაქტით და იყენებდა ... ადგილობრივი კოლორიტის შესაქმნელად ფშავ-ხევსურეთის ბუნებისა და

ყოფა-ცხოვრების პოეტურ აღწერაში, განსაკუთრებით კი - მთიული გმირების პირდაპირ მეტყველებაში. თვით პოეტის ლირიკული მეტყველება თავისუფალია ფშავ-ხევსურული დიალექტიზმებისაგან და, როგორც ამტკიცებს ს. ჩიქოვანი, პასუხობს ქართული სალიტერატურო ენის სულისკვეთებასა და ფორმებს (ს. ჩიქოვანი, 1961, გვ. XIV).

ვაჟა-ფშაველას პოემების შეუდარებელ მთარგმნელად სამართლიანად ითვლება ნ. ზაბოლოცკი, რომელმაც რუსულ ენაზე ვაჟა-ფშაველას ისეთი ნაწარმოები, როგორიცაა: "გოგოთური და ატენი", "ალუდა ქეთელაური", "კოპალა", "ეთერი", "ბახტრიონი", "სტუმარ-მასპინძელი" და მრავალი სხვა. ამ პოემებში, როგორც ცნობილია, უხვად გვხვდება დიალექტიზმები. მაგალითად, "ბახტრიონში": *შფოთობენ* (თ.I), *მიწოვაე* (თ.I), *მიგემებაე* (თ.I), *დაიზარდენით* (თ.I), *დაიზარჯენით* (თ.I), *აწყვაე* (თ.II), *აწყვეს* (თ.II), *მინახაე* (თ.III), *შააკლეს* (თ.III), *შავხვდეთ* (თ.III), *ვიყვნეთ* (თ.III), *ჩავიცომდი* (თ.III), *მისთიბდა* (თ.III), *შავტირებ* (თ.III), *შავხვდები* (თ.III), *ვებრალვით* (თ.III), *ნურც დაელუპვისთ* (თ.III), *შაიბი* (თ.III), *მაუათ* (თ.III), *გადარჩომიან* (თ.IV), *ეცდაე* (თ.IV), *ჰმტყუენობს* (თ.IV), *ეწყინა* (თ.VI), *ყოილი* (თ.VII), *თავმამწონარი* (თ.VII), *წამსვლიყო* (თ.VII), *არ* (თ.VIII) და სხვ.

სტილისტური ეფექტის მისაღწევად ნ. ზაბოლოცკი წარმატებით იყენებს როგორც სალიტერატურო სასაუბრო ენის ელემენტებს (მაგალითად: *стряслась беда, матушка, смыслить, приключиться, поделом, неможно, темень, напрямик, бедняга, неспроста, голубок, братцы, ненароком, мудреный, день-деньской, хлебнуть* და სხვ.), ასევე სასაუბრო არასალიტერატურო ელემენტებს (მაგალითად: *дитятко, покуда, неужели, ошалеть, норов, чертовка, башка* და სხვ.).

უნდა ითქვას, რომ ნ. ზაბოლოცკის მიერ შესრულებულ "ბახტრიონის" თარგმანში სასაუბრო ენის ელემენტები გამოყენებულია ზომიერად, ბუნებრივად ერწყმიან კონტექსტს და არ არღვევენ ნაწარმოების ერთიანობას. ამაში დაგვარწმუნებენ შემდეგი მაგალითები ავტორისა და პერსონაჟების მეტყველებიდან.

"Так вот она - молельня пшавов!
Сегодня праздник здешних мест.
Но отчего мертво в дубравах
И так безлюдно все окрест?
Ужель святитель наш Георгий,
Столь почитаемый страной,
Теперь забыт? Иль, раньше зоркий,
Взор притупился ***нынче*** мой?"
(ვაჟა-ფშაველა, 1961, გვ. 296-297).

სანათა: "Эх, ***дитятко***, я - ***горемыка***,
Вдова без крова и семьи.
Все, все ***от мала до велика***
Погибли родичи мои" (გვ. 300).

მგზავრი: "Вы - наши родичи по крови,
Страдать нам более ***невмочь***.
Мы просим - будьте наготове,
Чтоб нам в сражении помочь" (გვ. 303).

მგზავრი: "Но жив ***покуда*** пламень в теле,
Покуда недруг не разбит,
Нам, обездоленным ***доселе,***
За жизнь бороться надлежит" (გვ. 304).

სანათა: "Я восьмерых дала отчизне, -
Неужто пшав, внимая мне,
Хотя б одной сыновьей жизни
Не посвятит родной стране?
Нет, ***дитятко***! Восстанут пшавы,
Поднимутся, рванутся в бой!
Увидев след врага кровавый,
За меч ухватится любой!" (გვ. 306).

პოემის ინდივიდუალურ-სტილისტური თავისებურების გადმოცემის მიზანს [illegible]ებურება თარგმანში კნინობით-მოფერებითი სუფიქსების მქონე სიტყვების (*цветик, сестрица, детки, хлебушек, овечка, водочка*), ფოლკლორული [illegible]ტიზმების (*молодец, девица*) და აგრეთვე არქაიზმების (*окрест, ужель, [illegible]ле, храмина, вдовица, врата, доселе, детище, чресла, сподобить, [illegible]езренье, клепало*) გამოყენება:

"И пусть пиримзе, горный ***цветик***,
Фиалка нежная моя,
Не сетуют, что в скалах этих
Питаюсь вместе с ними я.
счастлив, грешный, насладиться
Чудесной влагой вновь и вновь.
Да будет в пользу вам, ***сестрицы***,
И щедрость ваша, и любовь!" (გვ. 296).

ლელა: "Что смотрите, хевсуры, пшавы?
Зачем дивитесь вы? Ужель
Не заслужила бранной славы
Грузинка-женщина ***досель***?" (გვ. 318).

ცხადია, რომ დიალექტიზმების გადმოცემისას სრულფასოვანი [illegible]ტური საშუალებების პოვნა წარმოადგენს ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას [illegible]ნის თეორიასა და პრაქტიკაში. დიალექტიზმების გადმოცემის პრობლემა [illegible]ება ჩაითვალოს პრაქტიკული და თეორიული თვალსაზრისით ერთ-ერთ [illegible]ეს საკითხად, რომელიც გულისხმობს მრავალმხრივი ენობრივი ასპექტების [illegible]ერთმოქმედებას, რაც საბოლოო ჯამში წარმატებულად ასახავს დედნის [illegible]ტურ თავისებურებას.

დამოწმებული ლიტერატურა

ე. დადიანი, 2007 - ე. დადიანი, დიალექტური ლექსიკა - ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრების წყარო; ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, პირველი კრებული, თბ., 2007.

კ. დანელია, 1991 - კ. დანელია, მეგრულ-ჭანური ლექსიკა ს-ს. ორბელიანის ლექსიკონში: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტ. II, თბ., 1991.

ვ. გაკი, 1966 - Гак В. Г., "Ковернанье" или "подделка", Тетради перевода, 1966, № 3.

ვაჟა-ფშაველა, 1961 - Важа-Пшавела, Том I, Стихи и поэмы, Перевод с грузинского, Издательство Союза писателей Грузии, "Заря Востока", Тбилиси, 1961.

ს. ვლახოვი, ს. ფლორინი, 1980 - Влахов С., Флорин С., Непереводимое в переводе, "Международные отношения", Москва, 1980.

ბ. ლარინი, 1959 - Ларин Б.А., О новых лингвистических исследованиях, "Вестник Ленинградского университета", 1959, № 20. Серия истории, языка и литературы, вып. 4.

ი. ლევი, 1974 - Левый Иржи, Искусство перевода, Москва, "Прогресс", 1974.

ს. პეტროვი, 1963 - Петров С. В., О пользе просторечия. - Мастерство перевода, Сборник, 1962, Москва, "Советский писатель", 1963.

ა. ფიოდოროვი, 1968 - Федоров А.В., Основы общей теории перевода (Лингвистический очерк), "Высшая школа", Москва, 1968.

ტ. ფუტკარაძე, ქართული სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი ერთეულის საკითხისათვის; ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, პირველი კრებული, თბ., 2007.

რ. შეროზია, 2008 - რ. შეროზია, კონსტანტინე გამსახურდია და ქართველური ენობრივი სამყარო: ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XII, ქუთაისი, 2008.

ს. ჩიქოვანი, 1961 - Чиковани С., Важа Пшавела: Важа Пшавела, Том I, Стихи и поэмы, Тбилиси, 1961.

კ. ჩუკოვსკი, 1964 - Чуковский К. И., Высокое искусство, Москва, 1964.

შ. ძიძიგური, 1970 - შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, მე-2 გამოცემა, თბ., 1970.

NELI SICHINAVA

DIALECTAL WORDS IN THE LITERARY LANGUAGE AND PROBLEMS OF ITS TRANSLATION

Application of dialectal words in Georgian literature has become the characteristic feature of some writers' works as the means of expressing individual styles. This paper discusses the problem of rendering dialectal words into the other language in the example of the Russian translations of Vazha-Pshavela's epic poem *Bakhtrioni*. Pshavian dialect presents a characteristic feature of Vazha-Pshavela's prose and poems but the author has exquisite taste of incorporating dialectal words making use of them only when describing the nature of Pshavi and Kevsureti regions and the everyday life of their population and in the direct speech of personages who come from these locations.

Specialists of literary translation studies speak about the possibility of functional rendering of dialectal words or assume the possibility of compensating their function through congenial means. In this respect N.Zabolotsky's translation of *Bakhtrioni* presents an excellent vivid example.

The present paper considers the problem of translating dialectal words as one of the most compounded issues both in theoretical and practical standpoints that involves the interrelation and intersection of lingual aspects the realization of which yields successful featuring of the stylistic peculiarities of any given literary work.

მანანა ტაბიძე

ორენოვანი და მრავალენოვანი განათლების პრობლემატიკა საქართველოს ენობრივი სიტუაციის ფონზე

თანამედროვე განათლების სისტემის დაგეგმვისას ევროპის [illegible] ქვეყნები სულ ცოტა ორი უცხო ენის სწავლებაზე არიან ორიენტირებული. ჩვენშიც დიდია უცხო ენების შესწავლისადმი ინტერესი. ზოგჯერ ეს ინტერესი უკიდურესობამდეც მიდის. კერძოდ, უცხო ენის (მით უფრო ენების) [illegible] ხარისხი ხშირად სხვა ყველა ცოდნაზე უპირატესადაც მიიჩნევა. ჩვენი სოციოლინგვისტიკა საზოგადოების ენობრივი ორიენტაციის განსაზღვრაში მეშვეობით სასარგებლო რეკომენდაციებს სთავაზობს არა მხოლოდ საგანმანათლებლო პოლიტიკას, არამედ თვით სახელმწიფო პოლიტიკასაც, რამდენადაც ეთნიკურ-ენობრივი მრავალფეროვნების კერებში კონფლიქტის განჭვრეტასაც ახერხებს და საფრთხის თავიდან არიდების გზასაც სახავს.

ენების სწავლებასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო სისტემა [illegible] ძირითადი კრიტერიუმით ხელმძღვანელობს, ესენია:

ა) კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეთა საერთაშორისო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით იმ ენების განსაზღვრა, რომელიც ერთა შორის ურთიერთობის ენებად მიიჩნევა და სწავლების სისტემაში მათი ოპტიმალური განაწილება (ამ მხრივ დღეს პირველ ადგილზეა ინგლისური ენა, მეორე ადგილს ამ ბოლო დროს ფრანგული (ევროგაერთიანების ენა) იმკვიდრებს გავრცელებულობის თვალსაზრისით, შუამავალ ენებად განიხილება ესპანური, გერმანული, იტალიური, რუსული...);

ბ) ყოველ კონკრეტულ სახელმწიფოს უცხო ენათა შესწავლის დაგეგმვაში აქვს საკუთარი პრიორიტეტები, რაც გულისხმობს ამა თუ იმ ენით ტრადიციულ დაინტერესებას მეზობელი სახელმწიფოს მიმართ სასაზღვრო, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული კონტაქტების ინტენსიურობის გათვალისწინებით (ამ მხრივ საქართველოსთვის ახლობელია რუსული, თურქული, ბერძნული ენების სწავლების საკითხი);

გ) მთელ რიგ სახელმწიფოებში საშინაო ენობრივი დაინტერესების და კომპეტენციის საკითხებიც იწევს წინა პლანზე; კერძოდ, ქვეყნის შიდა ენობრივი სიტუაციაც შეიძლება იყოს ამა თუ იმ ენის შესწავლის სტიმული (მაგალითად, საქართველოში ამგვარი ენებია აფხაზური, ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ენები, ოსური და სხვ.)[1].

ამ კრიტერიუმთა გათვალისწინებით საშუალო განათლების დაგეგმვაში ენათა სწავლება ერთ-ერთ რთულ პრობლემად წარმოდგება, რამდენად მოსწავლეს ერთდროულად რამდენიმე (ორზე მეტი) ენის ათვისების სირთულის წინაშე აყენებს. ამ სირთულის დასაძლევად კი მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ენათა სწორი რანჟირება და, მეორე მხრივ, ენათა სწავლების მეთოდოლოგიური ასპექტის ოპტიმალური გააზრება.

---

1. თუმცა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გახსნილი ე.წ. "ენის ცენტრების" სტატისტიკა ამ ენების შესწავლის მიმართ მაინცა და მაინც დიდ დაინტერესებას ვერ ადასტურებს.

პოსტსაბჭოთა სივრცეში, დამოუკიდებელ რესპუბლიკებსა და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მყოფ "დამოუკიდებელ რესპუბლიკებს" შეექვიდრეობად ერგო მრავალენოვანი საზოგადოებების სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები. საბჭოთა კავშირი, რომელიც რუსეთის კომუნისტური იმპერიის ფარგლებში ერთიან პოლიტიკურ, სამხედრო-სამაზღვრო, ეკონომიკურ და კულტურულ კურსს ატარებდა, რუსული ენის გამაშუალებელი (ბევრგან კი პრიორიტეტული) როლის მეშვეობითა და კომუნისტური იდეოლოგიით მჭიდროდ ადუღაბებდა რუსული ენის მომხმარებელ ჯგუფებს, რომლებიც თავად რესპუბლიკებს შიგნითაც ავტოქთონ, სატიტულო ეთნოსებთან ურთიერთობაში რუსულს იყენებდნენ; შესაბამისად, ეს მოსახლეობა სამოქალაქო სივრცეში რუსული ენით ინტეგრირდებოდა, ხოლო კერძო ურთიერთობებში თავის დედაენას მოიხმარდა. ამის შედეგია ის, რომ პოსტსაბჭოურ პერიოდში, როდესაც რუსულმა ენამ სტატუსი შეიცვალა, ზოგან კი უცხო ენის სტატუსამდე "დაიწია", არასატიტულო ეროვნებათა წევრების ამარა დარჩენილი მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციას ის სახელმწიფო ენები "გადაეღობა", რომელთა შესწავლაზეც (ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო) რესპუბლიკის მოქალაქეებს, მაგრამ არა **სახელმწიფო ენის** წარმომადგენლებს, არასოდეს შეუწუხებიათ თავი. ამ მიზეზით შეიქმნა ამგვარ რესპუბლიკებში "ენობრივი დილემა", რომლის დაძლევაც მხოლოდ გონივრული გზებით შეიძლება.

ამ საკითხებით, ბუნებრივია, დაინტერესდნენ, ერთი მხრივ, სამოქალაქო განათლებლო სტრუქტურები და, უპირველეს ყოვლისა, განათლების სამინისტროს სპეციალური ინსტიტუტები და მეორე მხრივ, პოლიტიკური და სოციალური სამსახურები, რომელთათვისაც სამოქალაქო ინტეგრაციისა და ადამიანების უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. ეს ორი მიმართულება ერთსა და იმავე მიზანს ისახავს, მაგრამ ზოგჯერ ამ მიზნის მიღწევის გზად სრულიად სხვადასხვა პროგრამის განხორციელებას ურჩევნიათ; სამოქმედო სტრატეგიის მცდარმა არჩევანმა კი, შესაძლოა, სიკეთის ნაცვლად უარყოფითი შედეგი უფრო მოიტანოს.

მივყვეთ ამ საკითხს თანამიმდევრულად:

1. მსოფლიოს ყველა დაწინაურებულ ქვეყანაში სახელმწიფო ენის ცოდნა იყო დროებითი მიგრანტისთვისაც კი დამხვდურ გარემოში ინტეგრაციის ერთადერთი გზაა. ნებისმიერი სამუშაო ადგილი, რომელიც მეტ-ნაკლებად კომუნიკაციასაც გულისხმობს, მხოლოდ სახელმწიფო ენის მცოდნემ შეიძლება დაიკავოს, ეს ვალდებულებაცაა და ნებაყოფლობითი არჩევანიც. ამ შემთხვევაში ენები მნიშვნელობა აქვს მიგრანტთა მოსვლის დროს, რადგან რაც უფრო ადრე ხდის "მოსულია" მოქალაქე, მით უფრო ძნელდება იმ მიზეზების გამართლება, რომელთა გამოც არ ისწავლა მან "მიმღები" ქვეყნის ენა (სახელმწიფო ენა): მიმღები საზოგადოება მტკივნეულად რეაგირებს საკუთარი სახელმწიფოსა და მისი ენის უპატივცემულობაზე; და რაც უფრო ხანგრძლივია მიგრანტის მოსულობის სტაჟი, მით უფრო გაუგებარია, რატომ არ გადადგა დაახლოებისაკენ ნაბიჯი მოსულმა? განა მისი მიზანი რაღაც სხვა იყო და არა ინტეგრაცია? ამგვარი ლოგიკის ფონზე მიგრანტთა ენისათვის რაიმე სტატუსის მინიჭება, მით უფრო ერთენოვნებისაკენ საგანგებოდ წახალისება თუ ნომინალური ბილინგვიზმის ფორმირება მას "მიმღებ" სოციუმთან კი არ დააახლოებს, არამედ დააშორებს. ეჭვმიტანაცაა, რომ არავის მოსდის აზრად საფრანგეთში არაბული ენისათვის

სტატუსის მიცემა, ან გერმანიაში თურქული ენის სახელმწიფო ან რეგიონალურ ენამდე ამაღლება და ა.შ.

2. სახელმწიფო ენის შესწავლის უზრუნველყოფა სახელმწიფო სკოლებში უნდა მოხდეს. საზოგადოების ყველა წევრს უნდა ჰქონდეს სამოქალაქო უფლებებიც და სამოქალაქო ვალდებულებებიც. ის ადამიანები, რომლებიც თავის ბედს კონკრეტულ სახელმწიფოებს უკავშირებენ, ცხადია, უნდა გულშემატკივრობდნენ ამ სახელმწიფოს მთლიანობას, უსაფრთხოებას (ამის სამხედრო ვალდებულებებიც აქვთ), მშვიდობას, კულტურულ და ეკონომიკურ წინსვლას. ამ გზაზე, ერთი შეხედვით, სრულიად გაუგებარი ჩანს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სურვილი ჩაკეტილ, ენობრივად და ეთნიკურად ერთობად დარჩეს იმ ქვეყანაში, რომლის წევრიც არის და რომლის მკვიდრობის სურს თავს აღიქვამდეს. რა არის ის მიზეზი თუ მიზანი, რომელიც ამ საზოგადოებას ინტეგრაციის ამ უპირველეს და აუცილებელ პირობაზე ხელს ათქმევინებს? რატომ არ მოხდა, მაგ., საქართველოში სახელმწიფო ენის სივრცეების დაფარვა, სადაც ადრე რუსული მუშაობდა მაინტეგრირებელ ენად (როგორც უკვე აღვნიშნეთ, კომუნისტური რეჟიმის გავლენით)? 1990 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ამ დამოუკიდებლობის საქართველოს მაშინდელი ტერიტორიების მთელმა მოსახლეობამ რეფერენდუმი დაუჭირა მხარი; ამ მომენტიდან დღეს 18 წელიწადია გასული. ამ პერიოდში ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ქართული ენის, სახელმწიფო ენის, ათვისებას ვერ მოახერხა არა მარტო "ძველმა" თაობამ, არამედ ამ წლებში დაბადებულმა და წამოზრდილმა თაობებმაც. ჯერჯერობით არ უშველა ამ საქმეს არც უამრავმა გრანტმა და "თავთავებისა" და "ჯეჯილების" გამოცემამ და არც პედაგოგთა გადამზადება-გადმომზადების ძვირადღირებულმა პროგრამებმა. საკითხის გადაჭრას წაშველებოდა არაქართველების კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში კარგად აღჭურვილი და მომზადებული ქართული სკოლების ქსელი (ჯერჯერობით სომხური ან აზერბაიჯანული სკოლის გვერდით), სადაც ადგილობრივი მოსახლეობის ენა, როგორც საგანი, სწავლების მთელი პერიოდის მანძილზე იქნებოდა წარმოდგენილი? მშობელს უნდა ჰქონდეს საშუალება აირჩიოს სკოლა თავისი შვილისათვის, იქნებ მას სურს შვილი ქართულ სკოლაში შეიყვანოს და სრულფასოვან მოქალაქედ მოამზადოს (მით უფრო, თუ ეს დედაენა ქართულ სკოლაში სრულყოფილად ისწავლება, როგორც ეს მრავალ ევროპული ქვეყნების გამოცდილებითაც არის შემოწმებული)? რატომ არ ისწავლის ქართულ სკოლაში სომეხი ან აზერბაიჯანელი ბავშვი, თუკი ქართველი ან სომეხი ბავშვი წარმატებით სწავლობდა რუსულ სკოლაში არცთუ შორეულ წარსულში, ან თუკი დღესაც ბავშვი ემიგრაციაში წასული ოჯახიდან ადვილად ნებისმიერი უცხოური ქვეყნის სკოლაში სწავლას და მას არავინ უხსნის სულ დედაენაზე? ხომ არ არის სახელმწიფო ენის შესწავლის საკითხი ხელოვნურად გართულებული, რათა საჭირო შეიქნას მრავალრიცხოვანი სტრუქტურების, შპს-ების, არასამთავრობებისა და სხვა ორგანიზაციების შექმნა, თანაც გადასროლა-გადმოსროლა და ისედაც დაძაბული საზოგადოებრივ ურთიერთობების კიდევ უფრო დაძაბვა მოსახლეობისათვის იმის ჩაგონებით, რომ მას ინტეგრაციის არამოსურნე ეთნიკური ჯგუფების მხრიდან კიდევ ერთი (ან ერთზე მეტი) ეთნიკური თუ ენობრივი კონფლიქტი ემუქრება.

3. ამ ბოლო დროს გააქტიურებულია აზრი (და ამ აზრის მომფიქრებელი ჩვენი), რომ საზოგადოებრივი მშვიდობიანობა ყველა ენობრივი კოლექტივისათვის გარკვეული სტატუსის მინიჭებითა და ამ სტატუსის საფუძველზე განათლების მიღების უზრუნველყოფით მიიღწევა; წარმოვიდგინოთ ახალგაზრდა განათლების პრაქტიკულად განხორციელების სრული სურათი: საქართველოში სომხურ საშუალო სკოლაში სომხურ ენაზე სომხეთის ისტორიასა და კულტურაზე აღზრდილი ადამიანი როგორი ტიპის მოქალაქედ იზრდება? ისევ სომხური განათლება (თუნდაც აქამდე აუთვისებელი სალაპარაკო ენისა და ტექსტების შესწავლა მოხერხდეს), ცხადია, განათლების გამოყენების შესაძლებლობას მოითხოვს. რას ვთავაზობთ ამ მოსახლეობას — ერთ კუთხეში ჩაკეტოს და პატარა სომხეთი ააშენოს, თუ დანარჩენი საქართველო მოვარგოთ ამ სომხურ დასახლებას? ვინ გეგმავს და მართავს ამ ადამიანთა ცოდნის, კომპეტენციის, კულტურის, ფსიქოლოგიის, მეთოდოლოგიის, სასწავლო-შემოქმედებითი აქტიურობის, საქმიანობის სფეროებს? თბილისში სპეციალური სომხურენოვანი მართვის ოფისები გაიხსნება, თუ პირდაპირ სომხეთის პრეზიდენტის აპარატი ჩაებმება ამ საქმეში? ეს სრულიად არარეალური, აბსურდული პროექტი, რომელიც რუსეთის მიერ დატოვებული რეჟიმით ისედაც ფუნქციონირებლად მუშაობს, ახლა, სტატუსობრივი გაფორმების შემთხვევაში, სრულიად გამოვა საქართველოს გავლენის სფეროდან? მოიტანს კი რაიმე სამოქალაქო სიკეთეს ერთი ქვეყნის მოქალაქეთა ამგვარი გათიშვა? განა სხვა წინაპირობები ჰქონდა აფხაზეთისა თუ სამაჩაბლოს სამხედრო კონფლიქტებს?

4. საგანმანათლებლო სისტემა თავის ჰუმანურ და ინტერნაციონალურ ფუნქციას იმით გამოხატავს, რომ დეკლარირების დონეზე, ერთი მხრივ, პროექტებს ამუშავებს არაქართველების კომპაქტურად დასახლების რეგიონებში ამ ხალხის მშობლიური ენის სტატუსობრივად გასაძლიერებლად და, მეორე მხრივ კი, არაქართველების კომპაქტური დასახლების ადგილებზე არაქართულ სკოლებს აფინანსებს და ქართულს "მეორე" ენად ასწავლის, ე.წ. ბილინგვური და ტრილინგვური სწავლების თაობაზე ძვირადღირებულ "კვლევებს" აწარმოებს და "ექსპერიმენტებს" ატარებს. ევროპის ერთ-ერთი განსაკუთრებულად ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყნისათვის ჯერაც ევროპელებისათვის საკამათო პროექტების ექსპერიმენტული შესწავლა ადამიანისათვის ცხოველთა ორგანოების ან სხეულის ნაწილების გადანერგვის "საპილოტე ცდებს" წააგავს. რამდენადაც ლინგვისტიკას ინტერესებს ენის სწავლების საკითხები, პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე შეკითხვას, რომელიც ენის შესწავლის პრობლემატიკასთან დაკავშირებით დაისმის პედაგოგიკაში, ფსიქოლოგიასა და ლინგვისტიკაში: ა) რამდენი ენის სწავლება შეიძლება ერთდროულად სკოლაში (მაგ., ჯავახეთის სომხურ სკოლებში ოფიციალურად ისწავლება სომხური, რუსული, ინგლისური, ქართული; ამ ენების შეტანა სასწავლო პროგრამებში მიმდინარეობს დაწყებითი კლასებიდან საშუალო კლასამდე. თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლა კვირაში ხუთი დღე მუშაობს, ხოლო გაკვეთილების ხანგრძლივობა და დღიური რაოდენობა მკაფიოდაა განსაზღვრული, გამოდის, რომ კვირაში ოთხი ენა სხვა შესასწავლ დისციპლინებთან ერთად ისეთ დატვირთვას წარმოადგენს, რომ მოსწავლეთა 90%-ს პრაქტიკულად ამის ძალღევა არ შეუძლია, ხოლო გლობალიზაციის ეპოქაში საერთაშორისო ენების სწავლების გარეშე მოსწავლეთა დატოვება დისკრიმინაციის ტოლფასია; ბ) პედაგოგიკაში ძალიან ძველი და დღესაც გადაუჭრელი პრობლემაა უცხო

ენათა შესწავლის ასაკობრივი დონეების შერჩევის საკითხიც (რა ასაკიდან შეიძლება ასწავლო მეორე ენა, მესამე ენა და სხვ.); გ) ლინგვისტური თავისი დამოკიდებულება სტრუქტურითა და ბუნებით განსხვავებულ შესწავლის სირთულეებთან დაკავშირებით (შეპირისპირებული სწავლების მუნჯური მეთოდი, ენები რანჟირების მიხედვით (პირველი ენა, მეორე ენა, მესამე ენა თუ "უცხო ენა"), ენის გაკვეთილები გაკვეთილების რიგში გაკვეთილი, ბოლო გაკვეთილი და სხვ.);

5. "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართული ენის სამსახურმა" გამოსცა საინფორმაციო ბიულეტენი სახელწოდებით "მრავალენოვანი საქართველო", რომელშიც განხილულია კიდევ ერთი პრობლემა, ძირითადად იმავე ჯგუფის მიერ შედგენილი, რომელიც ადრე არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის სწავლების პროექტში მუშაობდა. ძირითადად იმავე ჯგუფის (პოლონეთის ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტის ენობრივი პოლიტიკის და უმცირესობათა კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ტ. ვიხერტის ჯგუფთან ერთად) მიერაა დამუშავებული საქართველოში გავრცელებული სტატუსობრივი რეკომენდაციების საკითხი. ამავე ჯგუფის წევრები ამ ნაშრომის წინ ავრცელებდნენ სამეგრელოსა და სვანეთში კითხვარებს, რომლებიც არსითაც ქართული ენა მეგრელებისა და სვანების დედაენა არ გამოდგება. ამავე ჯგუფმა იტვირთა ეთნიკური კოლექტივების უფლებათა დაცვა საქართველოს ომბუდსმენის სამსახურში და ასე შემდეგ. თუ იმ შედეგებით ვიმსჯელებთ, რომელიც ამ ადამიანთა წინა პროექტებმა მოიტანა, გარკვეული სიფხიზლის გამოჩენა არ იქნებოდა ურიგო; განათლების სამინისტროს საინფორმაციო ბიულეტენში (1, 2008) შ. ტაბატაძე, კენტის უნივერსიტეტის განათლების მაგისტრი (სამწუხაროდ, დანარჩენ ავტორებს არა აქვთ მითითებული, რომელ უმაღლეს სასწავლებლებში დაიცვეს დიპლომები): "...მიუხედავად კვლევების **ასეთი პოზიტიური** (? - მ.ტ.) შედეგებისა, მულტილინგვური განათლების პოლიტიკა რჩება **ერთ-ერთ ყველაზე საკამათო თემად განათლების პოლიტიკაში** (ბეკერმანი, 2005)." ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ საქართველოს მიერ არჩეული ლიბერალური გზა, რომლითაც საქართველოს ყველა მცხოვრებს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა, არ აღმოჩნდა საკმარისი სტიმული არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის, რომ მათ სახელმწიფო ენა ცოდნითაც გაეფორმებინათ თავისი სამოქალაქო სტატუსი. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობა აღმოჩნდა ე.წ. "ენობრივი ომების" საფრთხის წინაშე. სტატისტიკა დღესაც იმას გვეუბნება, რასაც ადრე — არაქართველების კომპაქტურად დასახლების რეგიონებში ქართულის ცოდნა ნულოვან დონეზეა, ხოლო სახელმწიფო ენის ფუნქციონირების სფეროებში მეზობელი რესპუბლიკების ენები ფუნქციონირებს. ჩვენ დავესესხებით შ. ტაბატაძის სტატიას და შემდეგ მსჯელობას წარმოვადგენთ: "განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები ეთნიკური უმცირესობების განათლების პრობლემების მოსაგვარებლად. კერძოდ, 1) შემუშავდა ახალი სასწავლო გეგმები და სახელმძღვანელოები ქართულის, როგორც მეორე ენისათვის. 2) ქართული ენის, როგორც მეორე ენის, პედაგოგები გადამზადდნენ ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში; 3) ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში გაიგზავნენ ქართული ენის პედაგოგები; 4) შემუშავდა ქართულის, როგორც **მეორე ენის საგანმანათლებლო მოდული უმაღლესი** სასწავლებლებისათვის

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა შედეგები, თუნდაც უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, **არ გაუმჯობესებულა**" (შ. ტაბატაძე, 2008, გვ. 11).

საინტერესოა, როგორ ესმით ამ ბიულეტენში ტერმინი "მეორე ენა". მეორე-მეორე ენის საკითხი საჭიროდაო ქვად იქცა პოლიტიკასა თუ პედაგოგიკაში. ეროვნული სფეროსთვის ეს ტერმინები სხვადასხვაგვარად გაიგება და ხშირად ამის გამო ხდება კიდეც დავის ობიექტი. დავასახელებთ თუნდაც ერთ განმარტებას, რომელიც განათლების სამინისტროს პროექტებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ კრებულშია წარმოდგენილი და, ამდენად, ახლობელია დღევანდელი განათლების სისტემისათვის[2]: "1. **პირველი (მშობლიური) ენა** არის ის ენა, რომელსაც ადამიანი სწავლობს პირველად; შესაბამისად, იგი მისთვის მშობლიური ენაა. **თუმცა, შესაძლებელია, ერთზე მეტი ენა იყოს მშობლიური, თუკი ადამიანი ამ ენებს *ბუნებრივად*, ფორმალური ინსტრუქციების გარეშე სწავლობს შედარებით ადრეულ ასაკში.** ზოგადად, ბავშვი თავისი ენის საფუძვლებს თავის ოჯახში სწავლობს. 2. **მეორე ენა** ეწოდება ნებისმიერ სხვა ენას, რომელსაც ადამიანი სწავლობს პირველი, ანუ მშობლიური ენის შემდეგ; ენის შემსწავლელთათვის მეორე ენის როლი გამომდინარეობს უშუალო გეოგრაფიული და სოციალური გარემოს მნიშვნელობით. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი "მეორე ენა" განსხვავდება ტერმინისგან **„უცხო ენა"**. „მეორე ენა" შეისწავლება იმ გარემოში, სადაც ამ ენაზე საუბრობენ ან ამ კონტექსტთან ახლო კავშირში. მაშინ, როცა „უცხო ენა" ეწოდება იმ ენას, რომლის გამოყენებაც არ ცდება საკლასო ოთახის ფარგლებს. მაგალითად, იაპონიაში უცხო ენაა ესპანური. თუმცა, **ამ ორ** ტერმინს შორის განსხვავება არ გახლავთ საყოველთაოდ მიღებული. უმეტეს შემთხვევაში, ხალხს არ შეუძლია ისე სიღრმისეულად შეისწავლოს **მეორე და უცხო ენა**, როგორც მშობლიური."

ცხადია, შეიძლებოდა ამ განმარტებათა დაბალი ხარისხი და ბუნდოვანება თარგმანისათვის დაგვებრალებინა, მაგრამ გვერწმუნეთ, ეს განმარტებები ინგლისურადაც პრობლემურად გამოიყურება. რას ნიშნავს ე.წ. "პირველი ენის ბუნებრივად, ფორმალური ინსტრუქციების გარეშე სწავლა"? ან ის, რომ მეორე ენის როლი გამომდინარეობს უშუალო გეოგრაფიული და სოციალური გარემოს მნიშვნელობით?" გაუგებარია ეს წინადადებაც: "მეორე ენა" შეისწავლება იმ გარემოში, სადაც ამ ენაზე საუბრობენ ან ამ კონტექსტთან ახლო კავშირში" და სხვ. სამწუხაროდ, სწორედ ამგვარ ტერმინოლოგიაზეა დაფუძნებული რეფორმების მთელი სერია, რომელთა შედეგებზეცაა დამოკიდებული ჩვენი მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციის წარმატება და სახელმწიფოს პოლიტიკური სტაბილურობაც.

თუმცა ეს განმარტებები, ჟურნალის რედკოლეგიის სიტყვით, საერთაშორისო დოკუმენტებს ეფუძნება, მაინც არ შეიძლება უკამათოდ მიიღოს სოციოლინგვისტიკამ ან პედაგოგიკამ. მით უფრო, რომ სოციოლინგვისტიკას

---

[2] ენობრივი პოლიტიკა და განათლება მრავალენოვან საზოგადოებაში, თბილისი, საქართველო 2, 2006, რედ. კარინ ბრახმანი.

აქვს ამ ტერმინთა საკუთარი განმარტებები,[3] მისთვისაც საკამათო და დასაზუსტებელი.[4] უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში არაქართულენოვანი მოსახლეობის კომპაქტური განსახლების რეგიონებში მოსახლეობა ძირითადად მონოლინგვაა და არა ბილინგვა ორენოვნებაზე ვისაუბრებთ, აქ უფრო სომხურ-რუსულ ან აზერბაიჯანულ-რუსულ ორენოვნებას ვხვდებით, ანუ ე. წ. მეორე ენა ამ მოსახლეობისთვის რუსულია და არა ქართული. შესაბამისად, ამ კუთხით ენათა მიმდევრობის ცვლილების შესატანად ე.წ. მრავალენოვანი სწავლება მეტისმეტად გრძელი გზა იქნება, რომლის შედეგსაც ენობრივი კონფლიქტი დაასწრებს.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც, ჩვენი აზრით, ე.წ. მრავალენოვანი (ორენოვანი) სწავლების ექსპერიმენტის არარენტაბელურობას და გაუმართლებლობას ცხადყოფს, ისაა, რომ ჩვენში ორ/მრავალენოვანი სწავლების პრობლემატიკა ამ კუთხით ადგილობრივ, საკუთრივ საქართველოს კონტექსტში ნაკლებადაა დამუშავებული. ძირითადი ლიტერატურა, რომელიც ამ საკითხებს დაკავშირებით გავრცელდა, უცხოური პროექტების საფუძველზე ამა თუ იმ სახელმწიფოს შიდა თავისებურებების გათვალისწინებითაა ამოქმედებული, თუმცა როგორც შ. ტაბატაძეც მიუთითებს, "მულტილინგვური განათლების პოლიტიკა რჩება **ერთ-ერთ ყველაზე საკამათო თემად განათლების პოლიტიკაში** (ბეკერმანი, 2005)."

ბავშვის მიერ მეორე ენის ერთდროული ათვისება (ორის და არა მეტის) პედაგოგიკაში რთულ ამოცანად მიიჩნევა. თუკი ახალი საგანმანათლებლო პროექტი ტრადიციული სომხური ან აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეს ქართული ენის "ჩარევის" გზით ივლიან (და არა პირიქით, საკვლევ რეგიონში ქართული სკოლების გახსნისა და მათში სომხურის ან აზერბაიჯანულის "ჩარევის" გზით), შედეგი არ მიიღება. საკითხის სირთულეს ცხადყოფს მრავალი ნაშრომი, რომელიც ბავშვისათვის მეორე ენის სწავლების თაობაზეა შექმნილი. სირთულეები სხვადასხვა სახისაა: ერთი ენობრივი ცოდნის კომპეტენციაზე დაფუძნებული დამატებითი ცოდნა, ორი ენის "შერეული" ფლობა, ენობრივი კომპეტენციის საფეხურები (როდესაც ბავშვი ერთმანეთში ურევს ორი ენის მასალას (ფონეტიკას, მორფოლოგიას, სინტაქსს) და როდესაც უკვე მიჯნავს ამ ენებს ერთმანეთისაგან, გამოთქმა (პრონონსი), სწორმეტყველება და ლინგვოკულტურული ინტეგრაციის ხარისხი; ენის დამოუკიდებლად შესწავლა და სხვა ენასთან შეპირისპირებით შესწავლა, ენების ფუნქციური სფეროების ცოდნის ხასიათი და მასშტაბი

---

[3] მაგ., "**პირველი ენა:** 1) ბილინგვის მშობლიური ენა (დედის ენა); 2) ბილინგვის ფუნქციურად პირველი ენა (შესაძლოა ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს მის დედაენას);

ფუნქციურად პირველი ენა არის იმ ორიდან ერთი, რომელთაც ფლობს ბილინგვი და იყენებს შედარებით მეტი ინტენსივობით. ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში ფუნქციურად პირველი ენის როლი სხვადასხვა ენამ შეიძლება შეასრულოს;

მეორე ენა ისაა, რომელიც ბილინგვმა მეორე რიგში აითვისა. ფუნქციურად მეორე ენა არის ერთი ორიდან, რომელთაც ფლობს ბილინგვი და რომელსაც ნაკლები ინტენსივობით იყენებს.

ფუნქციურად მეორე ენის როლი შეიძლება შეასრულოს ბილინგვის მეორე ენამ ან მესამე ენამ (словарь лингвистических терминов, 2006,163).

[4] იხ, Genesee, F., & Nicoladis, E. Bilingual first language acquisition, წიგნიდან: Bilingual acquisition. In E. Hoff & M. Shatz (eds.), *Handbook of Language Development*, Oxford, Eng.: Blackwell (2006).

ენობრივი პრესტიჟის მართვის პრობლემატიკა, ორენოვნების საფუძველზე წარმოქმნილი დეფიციტის კომპენსაციის საკითხები და სხვ. ამ უამრავი პრობლემის გადაჭრა განათლების ერთიანი ციკლის ფარგლებშია შესაძლებელი და არა სხვადასხვა საგანმანათლებლო ენისა და სისტემის მექანიკური შერწყმის გარემოში.[5]

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ უცხოელი ექსპერტები საქართველოს ენობრივი სიტუაციის აღწერისას ძირითადად სწორად ხედავენ პრობლემებს და ამ პრობლემათა გამომწვევ მიზეზებს; კერძოდ, ისინი აღიარებენ, რომ საქართველოში არაქართულენოვანი მოსახლეობის არსებობა განაპირობა არა ქართველთა მხრიდან დისკრიმინაციულმა პოლიტიკამ, არამედ კომუნისტური რეჟიმის რუსიფიკაციულმა პოლიტიკამ, რომლის შედეგადაც რუსული ჩადგა საქართველოს სახელმწიფოს ქართველ და არაქართველ მოსახლეობას შორის, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსული ენის სახელმწიფოს სისტემიდან გასვლის შემდეგ ეს მოსახლეობები, ფაქტობრივ, შუამავალი საკომუნიკაციო ენის გარეშე დარჩნენ. შვეიცარიის საერთაშორისო ორგანიზაციის "CIMERA"-ს მონაცემებით, "საქართველოს მოსახლეობის 13%-ისათვის ქართული, საქართველოს სახელმწიფო ენა, არ არის **პირველი** ენა. ორი უმთავრესი ეთნოლინგვისტური ჯგუფია სომხები, რომლებიც უმეტესად სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობენ (დაახლოებით 6%), და აზერბაიჯანელები — ქვემო ქართლში (6,5%)." კ. ბრახმანი მიუთითებს იმ ნაკლოვანებებზე, რაც ამჟამად საქართველოში არაქართველების კომპაქტურად დასახლების რეგიონებში ოდენ სომხური, აზერბაიჯანული და რუსული სკოლების მოქმედებას უკავშირდება, კერძოდ, რომ ამგვარი საგანმანათლებლო პოლიტიკა "აძლიერებს ეთნიკური და ენობრივი თვალსაზრისით არსებულ დაყოფას, რაც აშკარად არ უწყობს ხელს მოქალაქეობის საერთო განცდისა და ერთიანი კუთვნილების გრძნობის ჩამოყალიბებას ქვეყანაში, სადაც შეინიშნება ხანგრძლივი დაძაბულობა და ტერიტორიული უთანხმოებები ქართველ უმრავლესობასა და დედაქალაქის ფარგლებს გარეთ კომპაქტურად მცხოვრებ უმცირესობათა ეთნოლინგვისტურ ჯგუფებს შორის. მეორე – უმცირესობათა ჯგუფების ბავშვები სკოლას ისეთი ენობრივი უნარ-ჩვევებით ამთავრებენ, რომლებიც განსხვავდება იმ ბავშვების უნარ-ჩვევებისაგან, რომელთათვისაც ქართული – მშობლიური ენაა, რაც, სამწუხაროდ, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მათ მიერ უმაღლესი განათლების მიღების, მათი სამომავლო დასაქმების, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობებზე, აგრეთვე ქართულ საზოგადოებაში მათ ინტეგრაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენა საგნის სახით დაწყებითი სკოლის პირველი კლასიდან ისწავლება, იმ ახალგაზრდების უმეტესობას, რომლებიც სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ სკოლებს თბილისის

---

5 ამ საკითხებზე იხ.: Bialystok, E., Bilingualism in development: Language, literacy, and cognition. New York: Cambridge University Press. 2001; J. Cenoz & F. Genesee (Eds.), Trends in bilingual acquisition Amsterdam: John Benjamins, 2001; Macnamara, J. Bilingualism and primary education. Edinburgh: Edinburgh University Press. 1966; Officialising Language: A Discourse Study of Language Politics in the United States. Diss. Australian National University, 2001 და სხვ.

ფარგლებს გარეთ ამთავრებენ, სავალდებულო სასკოლო სწავლების დასრულების შემდეგ **ქართულად უბრალო საუბრის წარმართვაც კი არ შეუძლიათ, რომ ალარაფერი ვთქვათ წერის უნარზე**, რაც მას სახელმწიფო ენის გამოყენებით მუშაობის საშუალებას მისცემდა" (კ. ბრახმანი, 2006, გვ. [illegible]).

არაქართულენოვანი მოსახლეობის კომპაქტური განსახლების რეგიონების ენობრივი სიტუაცია ზოგადად ასე შეიძლება დახასიათდეს: სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ სომხურად (სამცხე-ჯავახეთის სომხურ სოფლებში) და აზერბაიჯანულად (ქვემო ქართლში), საქმის წარმოება მხოლოდ სომხურად და აზერბაიჯანულად (ზოგჯერ რუსულად), წარწერები, კულტურის სფერო, საზოგადოებრივი საქმიანობა — მხოლოდ სომხურად და აზერბაიჯანულად, ადგილობრივი საკომუნიკაციო არხები — მხოლოდ სომხურად და აზერბაიჯანულად. ცხადია, კულტმსახურებაც ამ მოსახლეობის ნაციონალურ ენებზეა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არაქართველთა ნაციონალური განვითარების საკითხი ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც მათ ისტორიულ სამშობლოებში (ითხოვს კი ამას რომელიმე საერთაშორისო დოკუმენტი რომელიმე ქვეყნისაგან?). რაც შეეხება ამ ადამიანთა სამოქალაქო უფლებებს, ამ უფლებათა დაცვა მოითხოვს ქართულ სახელმწიფოში სრული ინტეგრირების უზრუნველყოფას, ეს კი ამ რეგიონებში ქართული სკოლების გახსნით შეიძლება მოხერხდეს. ქართული სკოლა შეიძლება იყოს დაწყებითი ნაციონალური სკოლის მომდევნო ეტაპი, ან დროებით, ალტერნატიული სასწავლებელი ნაციონალური სკოლის პარალელურად. შერეული სწავლება მხოლოდ დამატებითი და საცდელი ღონისძიება შეიძლება იყოს და არა ყოვლისმომცველი ღონისძიება. კ. ბრახმანისავე სტატიაში ნათქვამია: "მაშინ არ იქნებოდა შორსმჭვრეტელური, გვევარაუდა, რომ სახელმწიფო ენის ცოდნის ნაკლებობა მხოლოდ მეთოდოლოგიური და ტექნიკური ფაქტორების შედეგია. არსებულ პოლიტიკურ კონტექსტში, როდესაც ხდება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და უმცირესობათა ეთნოლინგვისტურ ჯგუფებს შორის ურთიერთობათა გადასინჯვა და ხელახლა განსაზღვრა, ენობრივი პოლიტიკა და განათლება ფართო დისკუსიების საგნად იქცა და ეროვნული უმცირესობათა „ისტორიული" ადგილის, პოლიტიკური ინტეგრაციის და ავტონომიისა და კულტურული ასიმილაციის შესახებ მწვავე პოლიტიკური დებატების ცენტრში მოექცა. მმართველობაში ბოლო დროს განხორციელებულმა რეფორმებმა, რომლებიც საჯარო მოხელეებისაგან ქართულ ენაზე კარგად წერისა და საუბრის ცოდნას მოითხოვს, აგრეთვე 2005 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართულად უმცირესობათა სკოლების მოსწავლეებისათვის სპეციალური ზომების გაუთვალისწინებლად ჩატარების შემოღებამ კიდევ უფრო გაამწვავა დაძაბულობა. მართალია, ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს, ზრდასრულ მოქალაქეებსაც და ბავშვებსაც შესთავაზოს ქართული ენის შესწავლის უფრო ეფექტური შესაძლებლობები, მაგრამ ეს ინიციატივები ზოგადად არ არის საკმარისი. გარდა ამისა, ისინი სულ ახლახან დაიწყო და, შესაბამისად, ვერ მოიტანს საგრძნობ შედეგებს" (იქვე, გვ. 14).

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ განათლების სამინისტრო არ ცდილობს არაქართველთა კომპაქტური განსახლების ადგილებზე ქართული სახელმწიფო ენის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საგანმანათლებლო

რეფორმის გატარებას. საუბარია იმაზე, რამდენად სწორადაა არჩეული რეფორმის განხორციელების მეთოდები სოციოლინგვისტური თვალსაზრისით და რამდენად სწორადაა ფორმულირებული არაქართულენოვანი მოსახლეობისათვის სახელმწიფოს ამოცანები.

საქართველოს სახელმწიფოს არა აქვს მიზნად ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენლის გაქართველება; პირიქით, ქართველებს ზოგჯერ იმასაც შეუფერხებლად ურებენ, რომ ისინი არ მიესალმებიან არაქართველების მიერ გვარების დამახინჯებულებას, რომ ისინი კრიტიკულად შეხვდნენ პასპორტში ეროვნების ჩაწერის გაუქმებას, რომ ისინი ესწრაფვიან სარწმუნოებრივი თუ ეროვნული იდენტობის შენარჩუნებას მსოფლიო გლობალიზაციურ პროცესთან მიმართებაში. ასე რომ, არც მოსახლეობას და მით უფრო არც სახელმწიფოს არ აინტერესებს ვისიმე ხელოვნური **ქართველიზაცია**. არც სომეხს და არც აზერბაიჯანელს არავინ დააძალებს იქართველოს, თუკი მას ამის სურვილი არ ექნება. ქართველთა იდენტობის შესწავლისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურა ნათლად აჩვენებს, რომ ქართველური იდენტობა (და ნებისმიერი სხვისაც) ნიშან-თვისებათა საკმაოდ ფართო ჩამონათვალს შეიცავს და რომელიმე ერის ათვისებით (საკუთართან ერთად) არც დაირღვევა და არც მიიღწევა. ასე რომ, სომხებით დასახლებულ რეგიონში სრულფასოვანი ქართული სკოლების გახსნა, ცხადია, სომხურის, როგორც ენის, სწავლებითურთ სამოქალაქო ინტეგრაციისათვის გაწვდილი ხელია და არა ასიმილაციური პოლიტიკა. საქართველოში სრულფასოვანი სამოქალაქო ინტეგრაცია, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მოღვაწეობის შესაძლებლობა, ყველა მოქალაქესთან ურთიერთობის შესაძლებლობა და ნებისმიერ დარგსა და სფეროში დასაქმების თვალსაზრისით კონკურენტუნარიანობა მხოლოდ სახელმწიფო ენაზე სრულფასოვანი განათლების მიღებით მიიღწევა. ეს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ასეა და მხოლოდ ჩვენში ვუკარგავთ ამ შანსს ადამიანებს იმ ფსევდოლიბერალიზმით, რომლითაც "ცოტა ქართულ- და ცოტა არითმეტიკანასწავლი" არაქართველი ყოველთვის დაიჩაგრება საკუთარი სოფლის გარეთ მოხვედრისას და იძულებული შეიქნება იმ სახელმწიფოს მიაშუროს, რომლის ენაზეც მიიღო განათლება. ამასთან, ამ ადამიანისთვის არასრულფასოვანი ქართული განათლება მას აუტსაიდერად გადააქცევს და *ქვეყნის* მთლიანობის, სახელმწიფოს მთლიანობის, სატიტულო ეთნოსის სახელმწიფოებრივი იდეალებისა და კულტურული განვითარების უნებლიე მტრად გადააქცევს.

დღეს მსოფლიოში თითქმის აღარ არსებობს ისეთი სახელმწიფოები, სადაც არაავტოქთონი ეთნოსები არ ცხოვრობენ; არსებობს უზარმაზარი პრობლემატიკა იმისა, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს სახელმწიფოთა შიგნით ეთნოსებათაშორისი ურთიერთობები. უნდა ითქვას, რომ სამინისტროს კომისიებში ცუდადაა შერჩეული უცხოეთის ქვეყნების მაგალითები საქართველოს ენობრივ სიტუაციასთან ანალოგიისათვის; კერძოდ, არც შვეიცარია, არც ბასკეთი (ესპანეთის წიაღში), არც კვებეკი კანადაში ან ყირგიზეთი და ტაჯიკეთი არ წარმოდგება საქართველოს ეთნო-ენობრივი სიტუაციის ანალოგად. ყველა ეს შემთხვევა თავის ისტორიულ თუ გეოპოლიტიკურ კონტექსტებში უნდა განიხილებოდეს და მათი სახელმწიფო მოწყობაც ამგვარად უნდა იქნეს გაგებული. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სადღაც რომელიღაც პროექტმა კარგად იმუშავა, არ არის საკმარისი ამ პროექტის საქართველოში შემოსატანად და დასანერგავად.[6]

---

[6] ენობრივი პოლიტიკა და განათლება მრავალენოვან საზოგადოებაში, თბილისი, საქართველო 2006.

ეთნიკური განსხვავების ნიადაგზე შესაძლო დაძაბულობის რისკის შესამცირებლად ერთ-ერთი ქმედითი ბერკეტი განათლების სისტემასაც უჭირავს სისტემას, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა აწევს და რომელსაც განსაკუთრებული პროფესიონალიზმი მოეთხოვება.

დამოწმებული ლიტერატურა

კ. ბრახმანი, 2006 - ენობრივი პოლიტიკა და განათლება მრავალეთნიკურ საზოგადოებაში, რედ. კარინ ბრახმანი, თბ., 2, 2006.

Bialystok, E., Bilingualism in development: Language, literacy, and cognition. New York: Cambridge University Press. 2001;

Genesee, F., & Nicoladis, E. Bilingual first language acquisition, ჩაბეჭდილია Bilingual acquisition. In E.Hoff & M. Shatz (eds.), *Handbook of Language Development*, Oxford, Eng.: Blackwell, 2006.

J. Cenoz & F. Genesee (Eds.), Trends in bilingual acquisition Amsterdam: John Benjamins, 2001.

Macnamara, J. Bilingualism and primary education. Edinburgh: Edinburgh University Press. 1966.

Officialising Language: A Discourse Study of Language Politics in the United States. Diss. Australian National University, 2001.

MANANA TABIDZE

PROBLEMS OF BILINGUAL AND MULTI-LINGUAL EDUCATION ON THE BACKGROUND OF GEORGIA'S LANGUAGE SITUATION

The paper discusses issues related to the language use in the localities of compact settlements inhabited by non-Georgian ethnic groups. The question involves the task of the support of the population for the fully-fledged language integration. According to the official statistics 13% of the population in Georgia (from them 6% Armenians and 6.5% Azeris) has their native tongue as the first language. This population has different kinds of difficulties in the acquisition of the state official language–Georgian. Namely, the obstacles emerge for several reasons: acquisition of the additional language based on the competence of the native language; bilingual knowledge of both languages at the certain level of the personal development, when child does not distinguish language materials of two languages, as words, pronunciation, morphology and syntax and then when the speaker can distinguish the one from the other and the question of correct pronunciation, fine language and the degree of lingual-cultural integration; here are also the questions of the independent learning of the language and its acquisition through the typology study, the character and scales of the knowledge of the language functional spheres; issues of the language prestige management; deficiencies created on the bilingual basis and their compensation etc.

შუშუნა ფეიქრიშვილი

უარშიოს სემანტიკისათვის ქართულში

ლექსიკური ერთეული **უარშიო** ქეგლ-ში დამოწმებულია ორი მნიშვნელობით:

უარშიო 1 - რასაც არა აქვს არშია მოვლებული. *უარშიო* ლეჩაქი (იხ. არშია - მნიშვნ. 1. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ნაირსახიანი ზოლი, ფერით ან მასალით განსხვავებული).

უარშიო 2 - "კაცის გაუწყობელი" (საბა), ძნელად შესაგუებელი ხასიათისა, გაუგონარი, ჯიუტი, ურჩი (კაცი). "ჯიუტობას თავი დაანებე, *უარშიო* ნუ ხარ (გ. ყიფშ., თარგ.).

ამ უკანასკნელისგანაა ნაწარმოები **უარშიობა** და **უარშიობს:**

უარშიობა - უარშიოს 2 თვისება, გაუგონრობა, შეუგუებლობა, ურჩობა, ჯიუტება. "ჩრჩილივით შემჩენია შენი *უარშიობა* და გუნებას მიმღვრევს" (ვ. პრომ.); ტასიას ვინ ასწავლა დედის *უარშიობა?*" (ეკ. გაბაშვ.).

უარშიობს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. - არ ეგუება, არ ემორჩილება; ურჩობს. მექლემემ უთხრა: "აქლემისას გკითხავ, *უარშიობს* არაო". მან უთხრა: "ზანგელა ხარი *უარშიობსო*" (საბა).

ფორმის თვალსაზრისით **უარშიო უ-ო** კონფიქსით წარმოქმნილი ზედართავი სახელია: **არშია** > **უარშიო** (შდრ. იღბალი - უიღბლო); ე. ი. პირდაპირი მნიშვნელობით **უარშიო** არის ის, რასაც არა აქვს არშია (მნიშვნ. 1).

უარშიო (და **არშია**) არაა დადასტურებული ძველი ქართული ენის ლექსიკონებში (ილ. აბულაძე, ზ. სარჯველაძე), არ გვხვდება "ვეფხისტყაოსანშიც". ჩვენი დაკვირვებით (გადამოწმებული მხატვრული ტექსტებისა თუ ლექსიკონების მიხედვით), **უარშიო** პირველად იჩენს თავს სულხან-საბა ორბელიანის "სიტყვის კონაში":

უარშიო - "კაცის გაუწყობელი", გაუწყობელი კაცი, გაუწყობელივით". აქვე შევნიშნავთ, რომ ლექსიკონში შეტანილია **არშია**ც, ოღონდ მისი მნიშვნელობისათვის მითითებულია **უარშიო** ("არშია - ნ. უარშიო").

ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიც **უარშიო** და **არშია** ურთიერთშეკიდებელი სიტყვა-სტატიებია:

არშია - 1. მოვლებული რამე, ვიწრო ნაკერი კიდურებზედ; ქობა.

უარშიო - ზედ გაუწყობელი, მოუმართავი, ურჩი, არაგამგონი.

უარშიობა - ურჩობა... ვურჩობ, არ ვემორჩილები.

საანალიზო სიტყვის სემანტიკას უფრო მრავალფეროვნად წარმოგვიდგენს ილ. აბოკიას წიგნი "ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი":

უარშიო, უარშიობა - ცუდი ქცევა, უგვანობა, სიგლახე, ურჩობა.

არშია მწყურია - გარეგნული სიმშვენიერის, კოხტაობის მოყვარული კაცი. არაფერი გასაკვირველია, ჩემისთანა ახალგაზრდას *არშია* სწყურიდეს.

არშია - ფერად-ფერადი ზოლებიანი ვიწრო ნაჭერი ჩითისა, გინა აბრეშუმისა, რომელსაც გარშემო შემოავლებენ კაბას, სუფრას და მისთანათა სამშვენებლად. ამგვარად, *არშია* სინონიმია სილამაზისა, ხოლო *უარშიობა* დაუბატავს ამ სილამაზის უქონლობას, გადატანითად - უგვანობას, უხამსობას, სიგლახეს, უზრდელობას, სიხეპრეს, სიტლანქეს (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 621).

მასალებით ირკვევა, რომ **არშია**-სგან მომდინარე **უარშიო** და **უარშიობა** დროთა ვითარებაში აშკარად შორდება ამოსავალ შინაარსს,

იტვირთება უფრო უარყოფითი ელფერით, იძენს ახალ-ახალ სემანტიკურ ნიუანსებს და XX საუკუნის ქართულში იქცევა ჯიუტისა და ურჩის სინონიმად. შესაბამის ნიმუშებს დავიმოწმებთ ალ. ნეიმანის "ქართულ სინონიმთა ლექსიკონიდან":

უარშიო - ნ. ურჩი.

ურჩი - გაუგონარი, შეუპოვარი, აჯამი, თავის ნათქვამა, თაკნება, დაუმორჩილებელი, დაუყოლიებელი, თავაქალა, უღირსი, უწესო, ატეხილი (სანდალ გოჭივით), თავგასული, თვითრჯულა, თავქეიფა, თავისნება, დაუოკებელი, მოუთვინიერებელი, კერპი...

უარშიობა - ნ. ჯიუტობა.

ჯიუტობა - გაჯიუტება, სიჯიუტე, გაჯიქება, გაქირობა, ჭირვეულობა, ოჩნობა, დაოჩნება (ხარებმა დაიოჩნეს), გაკერპება, სიკერე, კერპობა, მიდგომა, შეუპოვებლობა, უტეხობა, **უარშიობა** (ხაზი ჩვენია - ქ.ფ.), ურჩობა, გაუგონრობა, ეშმაკის ცხენზე შეჯდომა... (იხ. დასახ. ნაშრ.).

უარშიო ქართული ენის დიალექტებიდან დადასტურდა მხოლოდ ქართლურსა და მესხურ-ჯავახურში (ოღონდ განსხვავებული სემანტიკით). ქართლურში **უარშიო**-საგან ნაწარმოები მიმღეობა **მოუარშიებელი** ურჩის და ჯიუტის სინონიმია ("ისეთი უდგრეში (=ურჩი, გაუგონარი - ქ.ფ.) *მოუარშიებელი* ღორი მყავდა, სუ ყელს მაჭრეინებდა": ქართლ. ლექსიკონი). მესხურ-ჯავახურში კი ზოგადად უგერგილოს მნიშვნელობისაა. მაგალითად: **უარშიო** (კაცი) - მოუხერხებელი, უნიათო ადამიანი. "*უარშიო* კაცი ცოლსა ცხოვრებაშიგან თავ ვერ გაიტანს" (მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა).

უარშიო - უხეირო, გამოცდილების შეძენის უნარმოკლებული ადამიანი. "ძიენ *უარშიო* შვილები ჰყამდა, თითონ ყოჩაღი კაცი კი იყო" (ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა).

როგორც ვხედავთ, საანალიზო სიტყვა **უარშიო** XVII-XVIII საუკუნეებიდან მოყოლებული ქართულში გამოიყენება სხვადასხვა სემანტიკით. მათ შორის თავდაპირველ მნიშვნელობად უნდა ვცნოთ საბასეული განმარტება - გაუწყობელი კაცი" (შდრ. **არშია** - გასაწყობი საშუალება, **უარშიო** - რაც არ არის გაწყობილი). მართალია, საბას ლექსიკონში **უარშიო**-ს არ ახლავს კონტექსტი - საილუსტრაციო მაგალითი, მაგრამ ზ. ჭუმბურიძე ერთ-ერთ იგავში გამოყენებული ზმნური ფორმის (**უარშიობს**) მიხედვით მიიჩნევს, რომ **უარშიო** არის შეუგუებელი, შეუჩვეველი, "კაცის გაუწყობელი" (საბა), ხოლო **უარშიოობა** - შეუგუებლობა, შეუჩვევლობა. "ზანგელა ხარი *უარშიობს* = უღელს გაურბის, ვერ ეგუება, ვერ ეწყობა" (ქართული მწერლობა, ტ. 7, გვ. 685). აქვე შევნიშნავთ, რომ არ არის გამორიცხული ზემოაღნიშნულ კონტექსტში **უარშიოობა** გულისხმობდეს უღელს შეუგუებლობას, შეუჩვევლობას არა მხოლოდ ზოგადად, მისი "ურჩი" ხასიათიდან გამომდინარე, არამედ, ალბათ, ზანგელა ხარი უღელს ვერ ეწყობა მისი "მოუხერხებლობის" გამოც (ცხადია ის, რაც მისი "გასაწყობი" საშუალებაა), ანუ ზანგელა ხარი არ არის ისეთი "მოძრავი", "სხარტი", "მოქნილი", "ჭკვიანი", როგორიცაა მისი ფერადი მოზიარე ხარი. ალბათ, ამას გულისხმობდა მხვნელის სიტყვებიც ("თუ ზანგელა იყოს, დიდი ანეული მოიხვნისო. მეაქლემემ უთხრა: აქლემისას გკითხავ, ხეირია არა! მან უთხრა: ზანგელა ხარი *უარშიობსო*. შემოსწყრა მეაქლემე და წაუღია დიდი ანეული მოიხვნება, ზანელა ხარი რომ არ იყოს *უარშიო*, ეგ ხარი უგერგილოა (დღევანდელი ტერმინით) და ვერ ეწევა უღელს კარგად.

მაშასადამე, ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით XVI-XVII საუკუნეების ქართულში (ძირითადად სამხრულ კილოებში) არსებობდა სიტყვა **უარშიო** (პირდაპირი გაგებით იყო ის, რასაც არშია აკლდა, ანუ იყო გაუწყობელი), რომელიც გამოიყენებოდა გადატანითი მნიშვნელობითაც: **უარშიო** კაცი ეთქმოდა მას, ვისაც არ ჰქონდა კარგი შნო და ლაზათი, მოხერხება, "მიხვრა-მოხვრა"; აკლდა ქცევისა თუ ხასიათის განსხვავებული "მარილი", ჩვეულებრივთაგან რაღაცით გამორჩეულობა (შდრ. არშიით გაწყობილი კაბა - უარშიო კაბა). აქ ამოსავალი სემანტიკის განმსაზღვრელი უნდა იყოს ჩვეულებრივის გაწყობა-გალამაზება დამატებით სხვა რაიმეთი (იხ. საბას განმარტება). "გაუწყობელი კაცი", ბუნებრივია, "გაწყობილ კაცთან" შედარებით იქნება მოუხერხებელი, უნიათო, უფხო, უგერგილო ანუ **უარშიო**.

ჩანს, სწორედ ამ თავდაპირველი სემანტიკით შემონახულა **უარშიო** დღემდე მესხურ-ჯავახურში, იმ სამეტყველო არეალში, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენდა საბასთვის სალექსიკონო მასალის ნაზავს.

დროთა ვითარებაში ადვილი შესაძლებელი იყო, უნიათობა-მოუხერხებლობის გამო "კაცის გაუწყობლობა" ანუ საქმის არამარჯვედ კეთება თანდათან გააზრიანებულიყო როგორც უხეშობა, ჯიუტობა, ურჩობა, დაუჯერებლობა და ა.შ. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუნებით თანდაყოლილი "ნაკლი" - არასრულყოფილება ქცეულიყო უარყოფით თვისებად, რომელიც უკვე "შეგნებულად" ვლინდება მეტ-ნაკლები ძალით ხასიათსა თუ ქცევებში. დღეს ამგვარი მნიშვნელობისაა **უარშიო** ქართლურ კილოში და ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში (იხ. ზემოთ). ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ საბას ლექსიკონში შეტანილია **გერგილი** (=საქმის მარჯვედ მკეთებელი), მაგრამ არ არის **უგერგილო**, ალბათ იმიტომ, რომ ამ სემანტიკისათვის უკვე არსებობდა ცალკე სიტყვა **უარშიო.**

დასასრულს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დღეს **უარშიო**-ს თავდაპირველი მნიშვნელობით მესხურ-ჯავახურის გარდა ქართული ენის სხვა დიალექტებში, აგრეთვე ზეპირ მეტყველებასა და სამწერლობო ენაში გამოყენებულია **უგერგილო, უნიათო, უფხო, მოუხერხებელი** და ა.შ. მოსალოდნელია საანალიზო ერთეული მალე მთლიანად იქცეს ლექსიკურ არქაიზმად.

დამოწმებული ლიტერატურა

ილ. აბულაძე, 1973 - ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

გრ. ბერიძე, 1981 - გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981.

თ. ბეროზაშვილი.., 1981 - თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართლური ლექსიკონი, თბ., 1981.

ალ. ნეიმანი, 1978 - ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.

სულხან-საბა ორბელიანი, 1966 - სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1966.

ზ. სარჯველაძე, 1997 - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

თ. სახოკია, 1979 - თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.

ჟ. ფეიქრიშვილი, 1992 - ჟ. ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, ქუთაისი, 1992.

ქართული მწერლობა, 1987 - ქართული მწერლობა, ტ. I-IX, თბ., 1987-1992.

ნ. ჩუბინაშვილი, 1981 - ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1981.

დ. ჩუბინაშვილი, 1984 - დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.

ზ. ჭუმბურიძე, 1989 - ზ. ჭუმბურიძე, სულხან-საბას თხზულებებზე დართული ლექსიკონი; ქართული მწერლობა, ტ. 7, თბ., 1989.

ZHUZHUNA PEIKRISHVILI

ON THE SEMANTICS OF *UARSHIO*

Uarshio, a derived adjective of confixal formation: (***arshia> u-arsio-o***) is first found in Sulkhan-Saba's *Sitqvis Kona*(Dictionary) and is defined as "გაუწყობელი კაცი," 'brash,' 'unaccomplished man'. The entry is not provided with correspondent context in the dictionary. Lately, based on one of Sulkhan-Saba Orbeliani's fable and on a Georgian dialect ***uarshio*** was understood as stubborn, obstinate, the one who is hard to convince in sth., a person of bad manners. Academic edition of *the Dictionary of the Georgian Language* has this latter definition for the meaning of the word. However, the data of Meskhu-Javakhian dialect suggests that the initial meaning of ***uarshio*** should be უნაოო, *უგერგილო, მოუხერხებელი, "გაუწყობელი" (gawky, ungainly, awkward, inexpert, 'unaccomplished'*) which could have been developed easily into the synonym of ჯიუტი ('obstinate').

დავით ფირცხელანი

მასალები სვანური ლექსიკონისათვის
(ბალსზემოური კილოს მიხედვით) I

ქართული სამწიგნობრო ენის ლექსიკური ფონდის, ზოგადად, ქართველური ლექსიკური მარაგის გამდიდრების საქმეში მნიშვნელოვანია სვანური დიალექტების როლი. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ზემო სვანეთის სხვადასხვა სოფელში საველე მუშაობისას ჩაწერილ დიალექტურ მასალებში შეგვხვდა ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შეტანილი არაა გამოქვეყნებულ სვანურ ლექსიკონებში (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, 2000; ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, 1994; ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, 2007). ამგვარი სიტყვაფორმები დამატებით მასალას წარმოადგენს სვანური დიალექტური ლექსიკონისთვის.

ნაშრომში განხილულია შემდეგი სიტყვაფორმები:

ართმაყ/ართმაწ (ბზ.) — ტვირთის გადასატანად შეკერილი ხურჯინი, რომელსაც თავის გასაყრელი აქვს და ტვირთი, შესაბამისად, ზურგისა და მკერდის მხარეზე ნაწილდება. მაგ.: ჩუბე შუაწნეშ ახყენა გოჭარ *ართმაყშუ* ძველო სვანეთიდან ამოჰყავდა თურმე ხურჯინით გოჭები"; *ართმაყალ* ხულუშანხ ორიალდ ხურჯინები ჰქონდათ ძველად"; სგელ ბარდანხანქა ლასუ ლგშხებ *ართმაყ* „სქელი ფართალიდან იყო შეკერილი ხურჯინი".

ლიკრგნე — გაკრიალება, გაწკრიალება; ნაბოზთე დეც *ქაწდკგრნან* ალამოსკენ ცა მოკრიალდა"; ლგდაწყალე, *ქალგკრგნე* ხულუშან მაგ „დალაგებული, გაწკრიალებული ჰქონდა ყველაფერი"; შიშდ *ლაკრგნას* ლახად „მაშინვე შეუდგა გაკრიალებას".

შდრ.: **კგრიალ** - კრიალი; **ლიკგრე** - გაკრკიალება (ბ. ნიჟარაძე, 2007); **ირინკი** - ძლიერ იწმინდება ცა (ა. ლიპარტელიანი, 1994);

ლიკგლჭგნე — კრეჭა (კბილების). ხუშად ხანს *კგლჭინდა* „დიდხანს კრეჭებოდა"; ლიჰუნარი მგქაფ *კგლჭნი* „მოსმენის ნაცვლად იკრიჭება"; ნუმაუ *კგლჭინდა*, ქათქადრლ „არ დაკრეჭილიყო, ასცდებოდა".

შდრ.: **კგრჭენი** - პატარა იცინის (ა. ლიპარტელიანი, 1994);

აღნიშნული სემანტიკის გამომხატველი პარალელური ფორმაა **ლიკაწლფიელ** - კრეჭა (ბ. ნიჟარაძე, 2007).

ლისყუნირე — გაფცქვნა (თხილის, ნიგვზის...), აქერცვლა (კანის...). *ლისყუნირს* ხეგნრლახ სგა „გამხმარი თხილის ფცქვნას შეეგებოდნენ"; *ნისყუნირ* ტოტარ ჟილგმშხე ხად „ფცქვნისაგან ხელები გამუქებოდა"; ნაკაფხანქა ტუფ *ჟახსყუნირენა* „წაქცევის შედეგად კანი აქერცვლია (დაჭყავებია)".

ლიჩუნშდი/ლიჩინშდუ — 1. ამოსმა (ჭურჭლით რისამე ამოღება). *ბოჩუნშდდა* ჩუეინისგა „ჯამით უსვამდა ქვაბში"; უედრაშუ *ბოჩინშუდი* ბოჩუისგა „ვედროთი ამოუსვამს კასრში"; პერს ქატიხად *ჟიბოჩინშუდდა* „ქაფს ამოუსვამდა"; 2. აქნევა. *ოხჩუნშდედ* ხაჯიდ „ამოუქნია და დაარტყა"; ლაშუ დეშ ოხჩინშა „მოქნევა ვერ მოუსწრია".

შდრ.: **ლიჩინშდენლ** — "რქენა, რჩოლა" (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000); **ლიყრიენლ** -""რქენა" (ბ. ნიჟარაძე, 2007); **ირიშტე** - იღებს ფხვიერ ნიადაგს „ლაჩიშტით" (ა. ლიპარტელიანი, 1994).

ლიხნე/ლიხნი — [მიწის] მოთხრა. ხუჭა ხადა *ლეხნე* ქორა ლაგამი „ბევრი [მიწა] ჰქონდა მოსათხრელი სახლის აშენებისას"; ღორი თეჳ ახარა *ლახანს* „ორი თვე დასჭირვებია [მიწის] თხრას"; ხოლა *ლეხნე* ლასუ, სურუ ლგბაჩ ლი „ცუდი მოსათხრელი იყო, ნამეტანი ქვიანია".

შდრ.: **ქალიხნე** - წართმევა, გამოშვება, ნაკელის გაყრა (ა. ლიპარტელიანი, 1994); **იხნი/იხნე** - 1.შე¬უშვებს, ში¬იღებს. 2. იდენს, იშვებს (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000).

ლიუჩქმინჭლ — ანცობა, ონავრობა. ეჯ ბეფშუ იმჟი *იუჩქმინჭლ* „ის ბავშვი როგორ ანცობდა"; სგალუმთქუე ხარ *ლიუჩქმინჭლს* „შეჩვეულია ონავრობას"; *უუჩქმინჭლად* მამ ხეყანა? „ონავრობის გარეშე არ შეიძლებოდა?"

შდრ.: **ჩქიმ** - შნო, ლაზათი, იერი (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000); **ჩქიმ** - მშვენება, დაშვენება; გასუქებულია (ა. ლიპარტელიანი, 1994).

ლიფენჯგაჭლ/ლიფორჯგაჭლ — საკუთარი თავის ან ვინმეს გამართლება, უსამართლოდ მიდგომა. მაგ.: ოხბინა *ლიფენჯგაჭლ*, მიჩა ბედ როქ მამ ლგმარ „დაუწყია [თავის] მართლება, მისი ბრალი არ ყოფილაო"; *ხოფორჯგას* ათხუ კისდაშ „მოუდექი ახლა მართალივით"; ისგუა *უფენჯგადი*, ლაგას ხეგნი გუნე „შენი მიდგომის გარეშეც მოწესრიგდება საქმე".

ლიღგრმაკაჭლ — ქმედება სიტყვის ან ნივთის დაცდენა-დატყუების მიზნით. ეზარ ხანს *ბეღგრმაკაჭლ*, მარე მანგუნეშ მოშ ახაჭუნისგუნე „კარგა ხანს ცდილობდა დაეცდენინა [რამე], მაგრამ ვერაფერი ათქმევინა"; გუდ ოხვაშ *ლიღგრმაკაჭლს*, დემ ლახუნემ „მიუხვდა დატყუების მცდელობას, არ მისცა"; გუდ *მეღგრმაკაჭლ*, მარე დეშ ამღორვე ქა „ძალიან მეეშმაკებოდა, მაგრამ ვერ გამომტყუა".

შდრ.: **იღროვი** - თავს იტყუებს, ტყუვდება (ა. ლიპარტელიანი, 1994); **ღორუაჲ** - მატყუარა (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000).

ლიღგრმგნაჭლ — სატირლად შემზადება, გულის აჩუყება, გრძნობის მორევა. ეჩი მაცუდილშუ *ლიღგრმგნაჭლ* ადბინე „იმის სიბრალულით გული აუჩუყდა"; ხოშა ჰერჟი *ლიღგრმგნაჭლს* იბნე მაყალშუ „დიდ ხმაზე შიშისგან სატირლად შეემზადება ხოლმე"; მახგადშუ ეშ *იღგრმგნაჭლდა* „სიხარულისგან [ლამის ატირებულიყო".

ლიჰებე — ქოშინი. ჩქარდ ნაჯად *ლაჰებოშ* ლამაგან „ჩქარა წამონასვლელი, ქოშინით მომადგა"; ეშხუ წუთისგა *ლიჰებე* ადბინე „ერთ წუთში ქოშინი დაიწყო"; მაფაშხანქა, უოფარ, აშ *ჰება* „დაღლილობისგან ოფლიანი, (ისე) ქოშინებდა.

შდრ.: **ლიხგრიელ** - ქოშინი (ბ. ნიჟარაძე, 2007).

ლგმეყ/ლუმეყ — მქონებელი. ეჯგარ მასარდ *ლგმეყ* ლგმარხ „ისინი ძალიან შეძლებული (მქონებელი) ყოფილან"; *ლგმაყ* მეზგას, ხოშილ ჯაჭარ ხანა „შეძლებულ ოჯახს მეტი ზურგი ჰქონდა"; *ლგმაყთე* ლიგურენის ხენთხლაშა „მქონებელთან გადაკიდებას ერიდებოდა".

შდრ.: **ლგმიყ** — ადგილებიანი, ყანებიანი (ა. ლიპარტელიანი, 1994); **ლგმღვანე** - მქონებელი (ბ. ნიჟარაძე, 2007).

მაჭსამა/მაჭმა — რაც რამ. *მაჭსამა* ხუღუან ქალეჰუდი ხად „რაც რამ ჰქონდა, გასაყიდი გაუხდა"; *მაჭსამა* ხაბდავენახ ქორთბარდახ „თურმე რაც რამ ებადათ, გაუტანებიათ"; *მაჭმა* ჯეკუეს ქამეჭა „რაც რამ გინდოდეს, მითხარი".

შდრ.: **მავა** - რაცა (ბ. ნიჟარაძე, 2007); იმავე დატვირთვით (რაც რამ) ზემო სვანურში გამოიყენება **მაჭუაჲ/მაუაჲ** ფორმები.

ჩაფლაშ — ფუთის მესამედი ტევადობის საწყაო (5,3 კგ); ეშხუ *ჩაფლაშ* ჰვეცენ ხარა ლეკდე ლამშედალდ „ერთი „ჩაფლაში“ ხორბალი ჰქონია გასაცემი სამკურნალოდ“; თუით *ჩაფლაშ* ითქს ხუაზორდად ჟი „თითო „ჩაფლაშ“ მარცვალს ვაგროვებდით“; ეშხუ *ჩაფლაშ* ჟიხაკუთნილნა აღო „ერთი „ჩაფლაში“ კი ჩუთნებია აბა“.

ხამალ/ჰამალ — როგორც კი, როგორც. *ხამალ* ანჭუდენი ჟიხუეთხელი „როგორც კი მოვალ, დავძებნი“; *ჰამალ* ანჰინე, ქალაჯმარჯუნე ეჯად „როგორც კი მოაღწევს, ისიც მოგეხმარება“; ეჯა მად ლი ეჩი მუთური, *ჰამალ* მი ჩინურიშ „ის არაა იმის შემსწავლელი, როგორც მე ჩინურის“.

შდრ.: **ხემად/ხემად** - როგორც კი; **ხალ/ჰალ** - როგორც კი; **ხამა/ჰამა** - როგორ, როგორ თუ (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000); **ხალ** - როგორც; **ხემა** - როგორ; **ხემაი** - როგორც (ა. ლიპარტელიანი, 1994).

დამოწმებული ლიტერატურა

ვ. თოფურია, მ. ქალდანი, 2000 - ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000.

ა. ლიპარტელიანი, 1994 - ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1994.

ბ. ნიჟარაძე, 2007 - ბ. ნიჟარაძე, ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბ., 2007.

სვანური მასალა - აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფონდში (C-1993-2004) დაცული სვანური დიალექტური მასალა.

DAVID PIRTSKHELIANI

MATERIALS FOR THE SVAN DICTIONARY
(according to Balszemouri dialect) I

In the records made during the field work of the Dialectology Scientific Institute of Akaki Tsereteli State University in various villages of the Upper Svaneti we find lexical units that are unknown to the Svan dictionaries published to these days, as in *Svanuri lexikoni*(Svan Dictionary) compiled by V.Topuria, M.Kaldani, 2000; and *Svan-Georgian Dictionary*, compiled by A.Liparteniani (1994), *Georgian-Svan-Russian Dictionary* by B.Nizharadze(2007). Our findings present additional materials for Svan dictionaries.

This paper discusses the following words as: artmak, liskvire, lixne, lipejgal, lihebe, chaplash, lichvishdi, xamal/hamal...

რუსუდან ფიფია

სიახლეები დაწყებითი კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება ყველა ეტაპზე საპასუხისმგებლო და საინტერესო საქმეა. სკოლას სჭირდება საინტერესო იდეებით აღჭურვილი აღმზრდელები, დაწყებით განათლებას კიდევ პროფესიონალი მეთოდისტები. ასეთი პედაგოგები, წერა-კითხვის საფუძვლიან სწავლებასთან ერთად, პატარებს ესთეტიკურად და ზნეობრივად გაწვრთნიან. ქართულ მეთოდიკურ ლიტერატურაში ვრცლადაა განხილული სწავლების სპეციფიკა დაწყებით კლასებში. გაკვეთილების ახალი ფორმებითა და მეთოდებით ჩატარებას ხელი უნდა შეუწყოს მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილად აღქმას, მის ჩაყენებას აღსაზრდელთა სწორი მეტყველების, მათი სახოვანი ფორმის ... გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის დანერგვის საქმეში. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილები დაწყებით კლასებში, ნებისმიერი კლასიკოსი მწერლის მიერ შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებზე, უნდა ემსახურებოდეს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებას, შემოქმედებით და თანამშრომლობით ურთიერთობებს.

სწავლებისადმი ახლებურმა მიდგომებმა შეცვალა თანამედროვე გაკვეთილის მიმართულებები. დღეს უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ ,,მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომა გულისხმობს მოსწავლეების აქტიურ ჩართვას თავიანთი სწავლის პროცესში, საკუთარი სასწავლო მიზნების დაგეგმვაში და მართვაში. მოსწავლის უნარი, გააკეთოს დასკვნა იმაზე, თუ რა და რატომ ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება, მისი წარმატების საწინდარია (როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, 2007, გვ. 14). ასეთი აქტიური მიდგომა დაწყებითი კლასების სწავლებაში რამდენადმე განსხვავებულ ჭრილში უნდა განვიხილოთ: დაწყებითი საფეხურის საწყის ეტაპზე (I-IV კლასი) აუცილებლად მეტი მუშაობა უნდა გავწიოთ წერისა და კითხვის ტექნიკის განვითარებისთვის, ხოლო შემდგომში (II-VI კლასი) ეტაპობრივად აღვზარდოთ და განვავითაროთ ბავშვებში ყველა დონის აზროვნებითი ოპერაციები.

მხატვრული ნაწარმოების სწავლება დაწყებით კლასებში ყველაზე ... საშუალებას იძლევა ინტერაქტიული მეთოდების დასანერგავად. შენი ... რომ ,,სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ნაწარმოებები თითქმის ერთნაირი ... მიხედვით ისწავლება, თუმცა ზოგჯერ მათი სწავლება საკმაოდ მკვეთრი ... ნაკლებად მნიშვნელოვანი მომენტებით (თუნდაც ნიუანსებით) მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან" (რ. ლიპარტელიანი, 2004, გვ. 2). ამ პერიოდში ... ჩაეყაროს საფუძველი მხატვრული ღირებულებების ამოკითხვას მწერლის სხვადასხვა ჟანრებიდან. ამიტომაც მიმდინარეობს ძიება და ახალი მეთოდების დანერგვა სასკოლო სისტემის საგაკვეთილო სფეროში.

ტრადიციულ გაკვეთილებზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცოდნის მიღებას დაგროვებითი გზით. პედაგოგები ამ შემთხვევაში მეთოდებს გეგმავდნენ შემდეგნაირად: წინა მასალის გამოკითხვა, წერითი დავალების შემოწმება, მოსწავლეთა ინდივიდუალური გამოკითხვა, ფრონტალური კითხვა-კლასის ცოდნის შემოწმება წინა მასალაზე, ახალი მასალის ახსნა, ...

მასალის განმტკიცება კითხვებით და საშინაო დავალების მიცემა. ამ ტიპის გაკვეთილებზე დროის განაწილება ყოველთვის ერთნაირად მკაცრად განსაზღვრულია, მასწავლებელს კი ერთადერთ წყაროდ სახელმძღვანელო გააჩნია. პედაგოგი საუბრობს მოსწავლეზე მეტს და ყველანაირი ახსნა-განმარტება განკუთვნილია მთელი ჯგუფისათვის.

გაკვეთილის ჩატარების ახლებური მეთოდიკა ითვალისწინებს შემდეგი სახის მოთხოვნებს: ,,მოვლენის მიზეზის ახსნას; პროცესის კანონზომიერების გამოვლენას, მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირების დადგენას; ჰიპოთეზის წამოყენებას; კვლევის დაგეგმვას; შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას; პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების წამოყენებას; პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო მოქმედებების დაგეგმვას; საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთებას; გარკვეულ კრიტერიუმებზე ან სტანდარტებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთებას; პოზიციისა და მისი კონტრარგუმენტების განხილვის საფუძველზე დასკვნის გამოტანას; პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზიდან ერთ-ერთის არჩევის მართებულობის დასაბუთებას; მოდელის მოქმედების შეფასებას; მტკიცებულების მნიშვნელობის დაზუსტებას" (სასწავლო და პროფესიული გარემო, 2008, გვ. 66). ამ ვრცელი ჩამონათვალიდან დაწყებითი კლასების მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე უმრავლესობის გამოყენება შესაძლებელია, თუმცა მასწავლებელი ყოველთვის უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს. სწორედ ამ ფორმით დაგეგმილ გაკვეთილებზე უნდა ჩაეყაროს საფუძველი სწავლების მაღალ საფეხურებზე აღსაზრდელთა წარმატებებს.

გაკვეთილისადმი წაყენებული მოთხოვნების წარმატებით რეალიზაციისათვის მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს განათლების თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც გულისხმობს სოკრატული და დიდაქტიკური მეთოდებით სწავლებას. პრაქტიკულად ეს ნიშნავს შემდეგი ხერხების გამოყენებას: გაკვეთილის დაწყება ჩვეულებრივი იერიშით, ტექსტის პაუზებით კითხვა, მუშაობა წყვილებსა და ჯგუფებში, სიტუაციების შექმნა კრიტიკული აზროვნებისათვის, ვენის დიაგრამის, ჭიანჭველა რუკის, კუთხეების, მოზაიკის, მოლოდინის ხის და სხვა აქტიური მეთოდების შერჩევით გამოყენება; ნაწარმოების შინაარსის რეალიზება ნაწილ-ნაწილად დაყოფით, ფურცლებზე ჩამოწერილი კითხვები თითოეული ჯგუფისთვის, გაცემული პასუხების დაფაზე დაფიქსირება და წერითი დავალებების ვარიანტების მიცემა... აი, ის არასრული ნუსხა ახალი ტიპის გაკვეთილზე შესასრულებელი ქმედებებისა, რომლის ძირითადი წარმმართველი მასწავლებელია.

მხატვრული ნაწარმოების სწავლება დაწყებით კლასებში რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. ყველა გაკვეთილი დასაწყისიდანვე უნდა დაიგეგმოს. თითოეულ მათგანში ,,მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეების წინასწარი ცოდნა, რომელიც, შესაძლოა, არ იყოს ერთგვაროვანი. ასევე, ის, თუ როგორ შეიძლება ამ ცოდნის ამოქმედება გაკვეთილის დაწყებისთანავე, მოსწავლეების მოტივაცია, საჭირო რესურსების არსებობა და ა. შ." (განმარტებითი ლექსიკონი.., 2007, გვ. 26). დაწყებით კლასებში ბავშვების ასეთი გამოცდილება არცთუ ისე მცირეა, რადგანაც საბავშვო ბაღის ასაკიდან მათ განვითარებული აქვთ მეტყველება და აზროვნება, შეჩვეულნი არიან შეფასების ესთეტიკას საბავშვო პოეზიისა და მხატვრული ნაწარმოებების საშუალებით.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებითი სწავლება ექვსწლიან ციკლს მოიცავს. სწავლების ეს პერიოდი მოითხოვს მისი ამოცანების წარმოდგენას ინტეგრირებული, კოორდინირებული სახით. ეს ნიშნავს მშობლიური ენისა და ლიტერატურის შინაარსობრივ ერთიანობას. თუმცა სასწავლო გეგმა სწავლების ამ საფეხურის დამთავრების შემდეგ მშობლიური ლიტერატურის მიმართულებას შემდეგ მოთხოვნებს უყენებს: „სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის ტექსტის მოსმენა, წაკითხვა და საკუთარი ემოციების და აზრის გამოხატვა; მოსმენილი ან წაკითხული მხატვრული ნაწარმოების დაკავშირება და მთავარი თემის განსაზღვრა; გმირის სქციელის ეთიკური შეფასება; მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და მათი ფუნქციის ახსნა; მხატვრული ტექსტის შექმნა; საკუთარი ინტერესების მიხედვით საკითხავი ლიტერატურის შერჩევა" (ეროვნული სასწავლო გეგმა, საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, 2004, გვ. 6-7). ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნების შესასრულებლად მასწავლებელმა უნდა გაიაროს რთული, მაგრამ შემოქმედებითად დატვირთული გზა საგაკვეთილო მოღვაწეობაში. თითოეული მისი გაკვეთილი უნდა იყოს შინაარსობრივად და ესთეტიკურად გამართული, რაც მიიღწევა საკუთარ თავზე ყოველდღიური მუშაობით. დღეისათვის საქართველოს განათლების სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემოქმედ ადამიანს, რომელიც თავისი აზროვნებით საზოგადოების განვითარებას უწყობს ხელს. შემოქმედი ადამიანი არის საზოგადოების უნიკალური სიმდიდრე, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ინოვაციები დაინერგოს სწავლების პროცესში. ეს არის სწავლების პროცესის უწყვეტობა მთელი ცხოვრების მანძილზე. ვექსლერის თანახმად, ინოვაციური აქტიურობა არის მასწავლებლის პედაგოგიური აქტიურობის სტრუქტურის ელემენტი (Jelena Davidova, Irena Kokina, Teachers' Views on Innovative Processes in Schools of Latvia, Journal of Teacher Education for Sustainability, Volume 8, 2007,Ggv. 26). თანამდროვე სასწავლო სისტემა მუდმივად ცვალებადია, რაც აისახება მასწავლებლის კვალიფიკაციის ხარისხზეც და, შესაბამისად, მისი გაკვეთილის დონეზეც.

დამოწმებული ლიტერატურა

განმარტებითი ლექსიკონი.., 2007 - განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის, ნაწილი პირველი, თბ., 2007.

ეროვნული სასწავლო გეგმა, საგნობრივი პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, I რედაქცია, თბ., 2004.

რ. ლიპარტელიანი, 2004 - რ. ლიპარტელიანი, მხატვრული ნაწარმოების სწავლება დაწყებით კლასებში: გაზ. ,, დაწყებითი განათლება", №7-8, 2004.

როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, თბ., 2007.

სასწავლო და პროფესიული გარემო, დამხმარე სახელმძღვანელო, III, თბ., 2008.

Jelena Davidova, Irena Kokina, Teachers' Views on Innovative Processes in Schools of Latvia, Journal of Teacher Education for Sustainability, Volume 8, 2007.

RUSUDAN PIPIA

NOVELTIES IN THE TEACHING METHODOLOGY OF GEORGIAN LANGUAGE AND LITERATURE AT PRIMARY CLASSES

Lessons of the Georgian language and literature at primary classes should serve to develop the pupils' critical thinking, creative and cooperative relations. The new approaches of study changed the directions of modern lessons. The new methodology of conducting the lessons considers a lot of nuances, which enables the introduction of interactive methods of teaching. According to National Curriculum six year primary education requires integrated teaching of the Georgian language and literature. Pupil-oriented teaching is expressed especially at the lesson of the Georgian language and literature, because there are more materials necessary for the activities in this sphere. Works of art and the elements of the native language give the chance for pupils' active participation in the teaching process.

ტარიელ ფუტკარაძე,
მაია მიქაუტაძე

კვლავ ქართული წყვილბაგისმიერი სპირანტის შესახებ
(იმერხეული მასალის ანალიზი)

სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოდაა ქცეული Ⴠ, Ⴟ, ჳ, ჴ გრაფემებით გამოსახული ბგერების კვალიფიკაციისა და ურთიერმიმართების საკითხი; კერძოდ:

ანტონ პირველმა თავის „ქართულ ღრამმატიკაში“ პირველად მოგვცა ერთი მხრივ, კბილბაგისმიერ და წყვილბაგისმიერ ნაპრალოვან თანხმოვანთა, მეორე მხრივ კი - ბაგისმიერ მარცვლოვან და უმარცვლო ვარიანტთა განაწილების მეცნიერული ანალიზი. ის თვლის, რომ თუ უ ხმოვანი „სიტყვის შუაში“ მოექცევა, გაბრჯყუვდება (ანტონ I, 1767, გვ. 116).

„ფერეიდნულის მთავარი თავისებურებების“ განხილვისას არნ. ჩიქობავასთვის ვ გრაფემა კბილბაგისმიერს გამოხატავს, ⱱ - წყვილბაგისმიერს (არნ. ჩიქობავა, 1927, გვ. 205-207).

გ. ახვლედიანი თვლის, რომ ⱱ-ს ცოცხალ მეტყველებაში შესაფერისი წყვილბაგისმიერი გამოთქმა უნდა ჰქონოდა, თუმცა სალიტერატურო ენაში ⱱ გაკბილბაგისმიერდა და ამიტომ ყველგან იწერება ვ (გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 158).

ს. ჟღენტის მიხედვით, ძველ ქართულში პარალელურად არსებული კბილბაგისმიერი [ვ]-სა და წყვილბაგისმიერი [ⱱ]-ს ნაცვლად დღეს ლიტერატურულ წარმოთქმაში მხოლოდ კბილბაგისმიერი [ვ] სონანტია; დიალექტებში კი უმეტეს შემთხვევაში ისევ წყვილბაგისმიერი ბგერაა შემონახული (ს. ჟღენტი, 1950, გვ. 159).

გ. როგავას დასკვნით, ძველ სალიტერატურო ქართულ ენაში ვ ალოფონს უნდა ყოფილიყო გადმოცემული ორი ფონემა: ერთი წყვილბაგისმიერი ვ (ⱱ) — ვალ, ვედ, თავ (resp. უმარცვლო ⱱ წინამავალ თანხმოვნებთან — კუალი, ძუალი და სხვ.), მეორე — ვ ზმნურ სუფიქსებში — კლავს, დაუტევა — სახელებში — ქვა, საზღვარი და სხვა..., რომელიც შეიძლება ყოფილიყო თითქოს კბილბაგისმიერისაკენ გადახრილი... შეიძლება უფრო ვიწრო სპირანტი, ვინემ წყვილბაგისმიერი ⱱ (გ. როგავა, 1962, გვ. 113). აქვე გ. როგავა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ქართული ვ წყვილბაგისმიერი სპირანტია... ეს არის საერთოდ ქართული ვ-ს დამახასიათებელი ნიშანი. თუკი სალიტერატურო ქართულში მოლაპარაკემ ვ მართლაც გამოთქვა როგორც კბილბაგისმიერი, ეს გამოთქმის არაბუნებრიობას ან სხვა ენის გავლენას უნდა მიეწეროს (გ. როგავა, 1962, გვ. 116).

ივ. ქავთარაძე ისტორიულ ქართულში ვ-ს წყვილბაგისმიერად და ოდნავ უკანა არტიკულაციის მქონედ მიიჩნევს (ივ. ქავთარაძე, 1964, გვ. 94).

თ. უთურგაიძისათვის [ვ] და [ⱱ] ძველ ქართულში ერთი ფონემის — /ვ/-ს ალოფონებია. რაც შეეხება ამ ბგერათა ფიზიოლოგიურ განსხვავებულობას, როგორც მკვლევართა უმრავლესობა, თ. უთურგაიძეც ძველ ქართულში [ვ]-ს მიიჩნევს კბილბაგისმიერად, ხოლო [ⱱ]-ს წყვილბაგისმიერად; მისი აზრით, ქართულში ანბანიდან ⱱ-ს ამოგდება განაპირობა ამ ბგერებს შორის შინაარსობრივი ოპოზიციის უქონლობამ“ (თ. უთურგაიძე, 1966, გვ.107).

თ. გამყრელიძე თვლის, რომ „...ვ და ჳ სპირანტები ქართულში საერთო ბაგისმიერი სპირანტული ვ ფონემის ორი (პოზიციური/ფაკულტატიური) ვარიანტია: „კბილბაგისმიერი“ [ვ] და „წყვილბაგისმიერი“ [ჳ] (თ. გამყრელიძე, 2000, გვ. 255, შენიშვნა 1).

ჩვენ არაერთგზის შევხებივართ აღნიშნულ სადავო საკითხს (იხ.: ტ. ფუტკარაძე, 1997; ტ. ფუტკარაძე, 1998; ტ. ფუტკარაძე, 1998; მ. მიქაუტაძე, 2004; მ. მიქაუტაძე, 2005, გვ. 19-45...). თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის მონაცემთა მიხედვით ისტორიული ხანის ქართულ ძეგლებში ვინი გრაფემით დადასტურებული ბგერის უეჭველად კბილბაგისმიერად ჩათვლა (აკ. შანიძე) ნაკლებად სარწმუნოდ მიგვაჩნია. ვვარაუდობთ, რომ არა მხოლოდ საერთოქართველურსა და არქაულ სამწიგნობრო ენაში, არამედ თანამედროვე ქართულის ყველა ქვესისტემაშიც (სამწიგნობრი ენის ჩათვლით) ძირითადი ბგერაა უმარცვლო წყვილბაგისმიერი სპირანტი, ხოლო მისი ალოფონი - კბილბაგისმიერი ვარიანტი - იშვიათად რეალიზდება; შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში მე-6 ნიშნით თავიდანვე აღნიშნული იყო წყვილბაგისმიერი ვარიანტი (რომელიც მოგვიანებით აღინიშნა ჳ გრაფემით). სონანტების ალოფონთა გამოხატვაში არსებული რყევა გამოიწვია ბერძნულის ყველნით Ϙϧ დიგრამის შემოღებამ; კბილბაგისმიერი სპირანტი ანბანში არ გამოიხატებოდა (ტ. ფუტკარაძე, 1998, გვ. 89).

ჩვენ დაკვირვებით, V-XI სს. წერილობით ძეგლებში წყვილბაგისმიერი სპირანტი გადმოიცემოდა, ერთი მხრივ, ბერძნულის ზეგავლენით შემოღებული Ϙϧ დიგრაფით, მეორე მხრივ, ტრადიციული Ⴒ გრაფემით; უფრო კონკრეტულად: C_s-V და C-C პოზიციებში წყვილბაგისმიერი სპირანტი გადმოიცემოდა Ϙϧ და Ⴒ, ზოგჯერ ϥ გრაფემებით; #-V და V-C პოზიციებში - Ⴒ და ϥ (იშვიათად ფ გრაფემებით; C_s-V, V-V, V-#, #-C პოზიციებში - Ⴒ გრაფემით. #-V, V-V, V-C, V-#, #-C პოზიციებში გამოვლენილი Ⴒ შეიძლება გადმოსცემდეს თითქოს უფრო „კბილბაგისმიერობისკენ გადახრილ“ ბგერას, როგორც ამას გაკვრით აღნიშნავს არნ. ჩიქობავა (მ. მიქაუტაძე, 2005, გვ. 42-43). ასევე, ვფიქრობთ, რომ ანტონმა ჳ შემოიღო საკუთრივ უ-სგან მიღებული უმარცვლო ვარიანტის აღსანიშნავად, ვინაიდან ამ დროისთვის ქართული ანბანის ვ ნიშნით გამოხატული ბგერა ლათინურის გავლენით კბილბაგისმიერადაა გააზრებული (იქვე).

თანამედროვე ქართულ მეტყველებაში, როგორც ცნობილია, მკვეთრად გამოხატული წყვილბაგისმიერი ჳ ქართული ენის დიალექტთა უმეტესობაშია დადასტურებული: მოხეურში, ქართლურში, კახურში, ინგილოურში, ფშაურ-ხევსურულში, იმერულში, ლეჩხუმურში, გურულში, აჭარულში, იმერხეულში (ჯ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 80). სვანურში საერთოდ არ არის კბილბაგისმიერი ვ. **წყვილბაგისმიერი ვარიანტის** გავრცელების თვალსაზრისით საინტერესოა ბ. ჯორბენაძის დაკვირვება: “ღირსსაცნობია: რაც უფრო აღმოსავლეთისაკენ მივდივართ, მით უფრო მკვიდრია და ფართო გავრცელებისაა ჳ არა მხოლოდ ისტორიულად შეპირობებულ პოზიციაში, არამედ კბილბაგისმიერი ვ თანმხოვნისა და ლაბიალური უ ხმოვნის პოზიციებშიც“ (ჯ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 86).

იმერხეულში, როგორც აღინიშნა, სხვა დიალექტების მსგავსად, ხშირად ფიქსირდება წყვილბაგისმიერი ჳ; მკვლევართა დაკვირვებით, ეს ბგერა ძირითადად ფიქსირდება:

1. სამწიგნობრო ენაში კბილბაგისმიერად მიჩნეული სპირანტის ნაცვლად ემიას გოგო **ყაუდა** ნათხოვარი; სახელი ბანი ხანუმი **ერქუა**; ვიღაც ჩემგან **ბეური** ფული; იქ **ბეური** ეძება საღები; ყველა საჭმელი მინდა **ყუელიფრიდან**; ჩემ**ა**ცვა **დეურიშის** ურუბა... (ნ. მარი); **გუაქ** თოფები დაგ**უატყვილეს**; **მოგუყავს** (შ. ფუტკარაძე, 1995, გვ. 6).

2. უ ხმოვნის რეფლექსად. **უ>უ** პროცესი ინტენსიურად ვითარდება ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინ, კერძოდ, **-ურ/-ულ** სუფიქსისეული ხმოვანი **ე, ა** ხმოვნების წინ, ჩვეულებრივ, ვიწროვდება:

დეკეულო (ნ. მარი); აჭარული და **აქეურო** გურჯიჯა ერთმანეთს არ ეწყობა (შ. ფუტკარაძე). შ. ფუტკარაძის აზრითვე, მოსალოდნელ **უ**-ს ხშირად ენაცვლება კბილბაგისმიერი თანხმოვანი:

თაზე ქი იყუენ **მემთევრად**; ჰუდუდი ბარობაი **დამწყრევლი** ვარო საქონელივით; რზალი **აქევრია**; ჩემ **მირთმევლ** პურმა მე მიპუაო (შ. ფუტკარაძე); **წრევლ** გუუ**ა**საღებიან; **მემთევრები** იქ არიან, თაზე; გარეული ქათმები დევნახე... მკვლევრის მიერ ანალოგიური მასალა დადასტურებულია ტაოურში, მაჭახლურში (შ. ფუტკარაძე, 1995). აქვე აღვნიშნავთ, რომ როგორც ბ. ჯორბენაძე, ასევე შ. ფუტკარაძე კბილბაგისმიერ ვარიანტს მაინც ძირითად სახეობად მიიჩნევენ.

ჩვენი დაკვირვებით, იმერხეულ დიალექტში **წყვილბაგისმიერია** თითქმის ყველა **ის ბგერა, რომელიც სხვა მკვლევრების მიერ ჩაწერილია გ რაფემით;** მაგ.:

ა) თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის წინ C_N-V და C_S-V პოზიციებში:

სახელი ბანი ხანუმი **ერქუა**; საჭმელი **ყუალა** ჯინსის საჭმელიდან (ნ. მარი); **მარჯუენა** თერეფზე სოფელია; **ეხუეწებიან შუელას**; შევხვდებით **ხუალაც**; **კუერცხი** გაბჟინდება მოხარშულიო; **სიტყუა** ისეთინა **თქუა**; ბაბთას **ვსუემდი** ზიგარას (შ. ფუტკარაძე); აქ თუთა არ **გუაქ**; **ბაღუებ** მე უკერებდე ვაშლ ჩავყრით **ქუაბში**; **დეგუესწავლა** უნდა **ბაღუეფს**; ხალღი ჯუტით **ჩაგარჩუებენ**; არაბებით **მააქუან**...

ბ) ხმოვნის მომდევნოდ თანხმოვნის წინ V-C პოზიციაში:

ბიჭიც **წეუდა**, მეც ავალ, **ჩამეუტან** საჭმელეფს; მეტი **ბეურათ** გეხვეწები, ბოლო დროს მე **მეუთავეფ** (ნ. მარი); **მიუსცემთ** და ზედ რუს გამევიყვანთ, შუიდი წლისა **წეუდოდით**; ართულ ერთათ **იმცხოურებენ**; **შეუბარგავთ** იმა **შეუფუთი**, ავდგები დილაზე; ჩუენი **თაურობის**...

გ) თანხმოვნებს შორის C-C პოზიციაში:

მისულა-მოსულა; **გამოსულამდის**; ცხვარი **იყუნენ**; **წურილ** ადგილებსაც თიბ**უენ**; ამდენი ჩომა **ქუყავს** ახორში-მახორში...

დ) თანხმოვნის წინ პაუზის მომდევნოდ #-C პოზიციაში:

რა**ა უთქუათ**; შინ **ულაპარიკობდით**; ეს აღარ უნდა **უქნა**; მჯობ**უჭამთ**...

ე) ხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ V-# პოზიციაში:

დაქსელაუ; **შეინახაუ** იშთე; **გოგოუ, გოგოუ**, ფაცია; **ჩაჰყლეტაუ** —

როგორც ჩანს, იმერხეულში **უ**-ს გამოვლენა პოზიციების მიხედვით არ იზღუდება; ყველაზე ხშირად იგი თანხმოვნის მომდევნოდ ხმოვნის წინ გვხვდება.

ბაგისმიერი სპირანტის წყვილბაგისმიერობის მიმანიშნებელია იმერხეულში დადასტურებული **ვ/ზ, ბ/ვ, ვ/მ** მონაცვლეობის საინტერესო შემთხვევებიც: ვიწრო > მიწრო, სავსე > სამსე, ვარსკვლავი > მასკ**უ**ლავი, დამავიწყდა >

დამაბიწყდა, დაგვავიწყდებოდა > დაგჳაბიწყდებოდა, ვეუბნებით > ვებნევით, ვეუბნებით > ვევნევით, ვკერავდი > ვკერევდი > ჳკერებდი, ჩადებდნენ > ჩადეჳდენ, გადაიკიდებდნენ > გედეიკიდეჳდენ... ერთმანეთს უშუალოდ შეიძლება შეენაცვლოს მხოლოდ ის თანხმოვნები, რომელთაც ორი მარკერი საერთო აქვს. **ვფიქრობთ, დამაბიწყდა, ვებნევი** ტიპის ფორმებში სულაც არ არის საჭარაუდო **გარდამავალი საფეხურის დაშვება: ვ > ბ** და **ბ > ვ** მონაცვლეობა დასაშვებია ვ-ს წყვილბაგისმიერად გაგების შემთხვევაში (მარკერთა შენაცვლების კანონზომიერების შესახებ იხ. ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 297-299)..

შდრ.: ანალოგიური მასალაა სხვა დიალექტებშიც, თუმცა, **ბ** და **ვ/მ** მონაცვლეობის ფაქტები სხვადასხვაგვარადაა ახსნილი: ზოგ შემთხვევაში ნაფეხსმევია **ჳ** გარდამავალ საფეხურად: **ვ > ჳ > ბ**; ზოგჯერ — მაგალითად ცხვილი > კვილი ვარიანტში — **ვ** ჩათვლილია უეჭველ წყვილბაგისმიერად (ბ. ჯორბენაძე, 1998, გვ. 302-312).

როგორც მოსალოდნელი იყო, სამწიგნობრო ქართულს საუკუნეების მანძილზე მოწყვეტილმა იმერხეულმა დიალექტმა კარგად შეინარჩუნა ის თვისებრიობა, რაც ცოცხალი მეტყველებისათვის იყო დამახასიათებელი XV-XVI საუკუნეების ქართულში.

იმერხეული დიალექტის მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქართველთა მეტყველებისათვის ყოველთვის ძირითადი და ბუნებრივი იყო სონორული ბუნების წყვილბაგისმიერი სპირანტი, რომელიც, არაიშვიათად, მიღებოდა უ ხმოვნის ნაწილობრივი რედუქციითაც (სხვა ხმოვნის მეზობლობის გამო), ხოლო ძირითადად ბაგისმიერ თანხმოვნებთან მეზობლად, იშვიათად უკანაზდებოდა კბილბაგისმიერ მჟღერ თუ ყრუ ვარიანტებადაც (ვსტავლობ, ფშვლობ...).

დამოწმებული ლიტერატურა

გ. ახვლედიანი, 1949 - გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

თ. გამყრელიძე, 2000 - თ. გამყრელიძე, 2000, თანხმოვანთა განდასება ქართულში: რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000.

ი. გიგინეიშვილი..., 1961 - ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

გრ. იმნაიშვილი, 1974 - გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.

ნ. მარი, 1911 - Марр Н.Я., Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию: «Георгий Мерчуле. Житие св. Григория Хандзтийского», С.- Петербургъ, 1911.

მ. მიქაუტაძე, 2004 - Ъ და Ꙗ გრაფემათა გამოვლენის სიხშირე და ამ გრაფემებით გადმოცემული ბგერები V-XI სს. ძეგლებში: ქართველური მემკვიდრეობა, VIII, ქუთაისი, 2004.

მ. მიქაუტაძე, 2005 - მ. მიქაუტაძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის საკითხები V-XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით, ქუთაისი, 2005.

ს. ჟღენტი, 1956 - ს. ჟღენტი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956.

გ. როგავა, 1962 - გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.

თ. უთურგაიძე, 1966 - თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ვოკალიზმი, მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები, თბ., 1966.

ტ. ფუტკარაძე, 1997 - ტ. ფუტკარაძე, სონანტი ვ სპირანტი თუ ფშ სონორი? მე-17 რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, ქ, თელავი, 1997.

ტ. ფუტკარაძე, 1998 - ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.

ტ. ფუტკარაძე, 1998 - ტ. ფუტკარაძე, სონანტების ალოფონთა ასახვისათვის ასომთავრულში (სამეტყველო კოდების შერევის ერთი ნიმუში): ქუთაისური საუბრები V, სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1998.

ტ. ფუტკარაძე, 2007 - ტ. ფუტკარაძე, იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი, ქუთაისი, 2007.

შ. ფუტკარაძე, 1993 - შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

შ. ფუტკარაძე, 1995 - შ. ფუტკარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1995.

შ. ფუტკარაძე, 2008 - შ. ფუტკარაძე, ფონეტიკური პროცესები იმერხეულში: ქართველური მემკვიდრეობა, XII, ქუთაისი, 2008.

ივ. ქავთარაძე, 1964 - ივ. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, თბ., 1964.

ა. შანიძე, 1973 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

არნ. ჩიქობავა, 1927 - არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, ტფ., 1927.

ბ. ჯორბენაძე, 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989.

ბ. ჯორბენაძე, 1998 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, II, თბ., 1998.

2006-2007 წლებში იმერხევში ჩაწერილი დიალექტური მასალა (დაცულია აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში).

TARIEL PUTKARADZE, MAIA MIKAUTADZE

ON A GEORGIAN BILABIAL SPIRANT
(Based on the analysis of Imerkhevian data)

In the specialist literature there is still much controversy about the qualification and relationship between ვ, ჳ, and უ graphemes. Some authors consider them labio-dental while others regard them, alternately, labio-dental in some cases and bilabial in the other according to their positions.

In the modern Georgian speech distinct bilabial ჳ occurs in the majority of the Georgian dialects: in Mohkevian, Kartlian, Kakhian, Ingiloian, Fereidanian, Imeretian, Lechkhumian, Gurian, Acharian, and Imerkhevian. Svan vernacular does not have labio-dental ვ.

According to our observation in Imerkhevian all the sounds spelt with ვ grapheme by other researchers are bilabial. ჳ is attested in the following positions: after the consonant before the vowel, after the vowel before the consonant, between the consonants, before the consonant after the pause, after the vowel before the pause.

Imerkhevian reveals interesting cases of the sound shift: ვ-ბ, ბ-ვ; ვ-მ, მ-ვ.

We think that there is no need of admitting of the transitional stages ვ>ბ and ბ>ვ in forms as დამაბიწყდა-დამავიწყდა, ვებნევი-ვევნები.. The alternation of ვ is admissible in case of regarding ვ as bilabial (as, only those consonants that have two markers in common could be mutually interchangeable; B.Jorbenadze).

As it was expected Imerkhevian dialect, functioning separated from the literary Georgian environment for centuries, has preserved the condition characteristic to the live speech of the 15th-16th cc.

The data of Imerkhevian dialect confirms one more times that for the Georgian speech bilabial spirant with characteristic sonority has been basic and natural, which, not infrequently, was derived from the partial reduction of უ vowel (with the influence of other vowel), and chiefly, from the influence of the neighboring labial consonant, and was seldom realized as voiced or voiceless labio-dental variants.

შუშანა ფუტკარაძე

ფონეტიკური პროცესები იმერხეულში

იმერხეული კილო ქართული ენის დედამდინარის ერთი ძლიერი შენაკადი. იგი იმერხეველი ქართველების მეტყველებაა. იმერხევი, ისტორიული საქართველოს უძველესი მიწა, ტაო-კლარჯეთის ერთ-ერთი მხარეა, სამხრეთ საქართველოს შემადგენელი ნაწილი. საისტორიო წყაროების მიხედვით (ლეონტი მროველი, ვახუშტი ბაგრატიონი), ძველი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნეში კლარჯეთი (იმერხევითურთ) შედიოდა ფარნავაზ მეფის მიერ ჩამოყალიბებულ ოძრხის საერისთოში, წარმოადგენდა მეექვსე სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქს, რომელსაც განაგებდა ერისთავი. კლარჯეთი მეორე საუკუნეში (ძვ. წ. აღ.) იბერიის სამეფოს შემადგენლობაშია. ძლიერი საერისთაო იყო ვახტანგ გორგასალის ეპოქაშიც, როდესაც აიგო არტანუჯის ციხე. მერვე საუკუნის დასასრულს (ახ. წ. აღ.) კლარჯეთში ყალიბდება ძლიერი სამთავრო, რომელიც გადაიქცა საქართველოს გაერთიანების მედროშედ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973, გვ. 657; ივ. ჯავახიშვილი, 1983, გვ. 95; ექვთ. თაყაიშვილი, 1991, გვ. 20). მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან კი კლარჯეთი (იმერხევითურთ) ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში მოექცა; ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში კერძოდ, იმერხევი წარმოადგენს ართვინის ვილაეთის შავშეთის რაიონის ერთ ლამაზ მხარეს - მდინარე ფაფართის ხეობას.

იმერხეველი ქართველები ორენოვანნი არიან; მათი ოფიციალური სახელმწიფო ენა თურქულია, საოჯახო ენა კი - ქართული. იმერხეველი ქართული, 450 წლის მანძილზე დედაენის კონტროლს მოკლებული, თურქულ ენობრივ გარემოცვაში მოქცეული, ენის განვითარების შინაგანი კანონების მოქმედების შესაბამისად განვითარდა და დამოუკიდებელ კილოდ ჩამოყალიბდა. თურქული ენის ყოველდღიური გავლენის მიუხედავად, მან შეინარჩუნა თავისი ფონეტიკური სისტემა, გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. იმერხეულ კილოში ერთხელ კიდევ განცხადდა ქართული ენის სიძლიერე, გამძლეობა და უკვდავება.

იმერხეულში მიმდინარე ფონეტიკური პროცესები განსაკუთრებული თავისებურებებით არ გამოირჩევა; ქართული ენის დიალექტებში განვითარებული ფონეტიკური მოვლენების ანალოგიურია. გვხვდება ბგერათა დაკარგვის, რედუქციის, ბგერათა განვითარების, სუბსტიტუციის, ასიმილაციის, დისიმილაციის, ბგერათა დაყრუების, მეტათეზისის, დეზაფრიკატიზაციის... შემთხვევები.

ბგერათა დაკარგვა. ა) თანხმოვანთა დაკარგვა:

ბგერათა დაკარგვა იმერხეულში არცთუ ისე შესამჩნევია. ანალოგიური ბგერათდაკარგვა სიტყვაში თანხმოვანთშეჯგუფების გამარტივებისაკენ მიდრეკილებით არის ახსნილი (თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 123). მართლაც, იმერხეველთა მეტყველებაში ძირითადად ასეთ პოზიციაში იკარგება თანხმოვანი, ოღონდ არა მხოლოდ სიტყვის დასაწყისში. თანხმოვნების შეჯგუფებისას დაკარგვა ხდება სიტყვაში მოსალოდნელ ყველა პოზიციაში. უმეტესად იკარგება თანხმოვნები

- ვ, მ, ნ, რ, ლ, ს.

იკარგება **მ**: **ჯრი** თავები მტკივა (მჯრის→ჯრი); **თვარიან** ღამეში ჩანს; **წვანე** ქუდები აბურვიან; გაღმა **თა** ჩანს; **კლავის** სისხო ზენჯირი აქვან; გვლათ კუდები აქვან (მრგვალად→გვლათ); **კდარიც** ვიყვე, ავდგებიო; **ჰადი** გატეხა

იკარგება **რ**: რავაი **ბზანობ?** (ბრძანობ → ბზანობ); ვინ **ზდის** ბაჯალას? სოდამ **ბზანდები**? ერთ გოგოზე თვალი **დამჩა**; უკან **მოტიალდება**...

იშვიათად იკარგება **ლ**: საჩეჩელზე დარჩება **კვირტი** მატყლი (კვირტლი → კვირტი); ასე ეტყოდენ **სახში** (სახლში → სახში)...

იკარგება თანხმოვანი **ნ** სიტყვაში **მაინც**: თორმეტი **მაიც** იქნება...

თანხმოვანი **ვ** ხშირად იკარგება სიტყვაში სხვადასხვა ადგილას: ქალი **ქრივი** (ქვრივი) ყოფილა; **მიმხდარა** (მიმხ) ავადმყოფობასა; იქ **ჯინჭელ** (ჯინჭველი) არია? შენი ბაბოი მაშინ (მაშვინ) **მოკდა** (მოკვდა); კაცი ჭკვაზე **მოიდა** (მოვიდა); იქიდამაც **ამოიდა** (ამოვიდა)...

აქვს ზმნაში ფუძისეული **ვ** სუბიექტის მესამე პირის ნიშანთან ერთად იკარგება: ქვა **გვაქ** გამოჭრილი; რა **აქ** ჯელში; სათქმელი ბევრი **მაქ**; გული **გაქ** დიდი... **ვ** თანხმოვანი გაუჩინარებულია **ოვა, ოვე** კომპლექსებშიც: წინდები **დავქსუეთ** (დავქსოვეთ → დავქსოეთ → დავქსუეთ → დავქსუეთ); ხიდამ **გადმუარდა** (გადმოვარდა → გადმოარდა → გადმუარდა → გადმუარდა. ვ-ს დაკარგვა, განმსგავსება-დიფთონგიზაცია).

ს თანხმოვნის დაკარგვა ქართული კილოებისთვის დამახასიათებელი მოვლენაა. იმერხეულშიც ხშირად გვხვდება მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და ნათესაობითის ნიშნის თანხმოვნითი ელემენტის **ს**-ს დაკარგვა:

ა) **მიცემითი ბრუნვა**: **ქირიშებ** გავწევთ; **ეწერ** არ დუუგებთ ქუეშა; **ერთმანეთ** საქმეში ვარგივართ; ქილაკაში **ყუელ** ჩააწყობ; **ნაბაგ** დაჰსწვავ... იუსუფათან (იუსუფასთან) ხომ არ მიგიქცევიან? **ბაჯალათან** წევდა...

ბ) **ნათესაობითი ბრუნვა**: **კარჩხლი** წყალი თეთრი დის; **ნაფურნევი** ზომოდამ **ატიანი** დუზია; ესა **ლივანა** ყალეა; **ჰუდუდი** (ჰუდუდის - საზღვრის) ბარობაი დამწყრეული ვართ; **ართვინი** სოფლობაში ასე ყოფილა; **ჯინალი** ადგლა იქით დარჩა; **ლახნი** (ლახნის - მხლის) შორვა გავაკეთე... ზოგჯერ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი მთლიანად იკარგება: აქედამ ჩეიარს **კარისათ** (კარისათის) ღელე; სახლ აქ **მუსაფირ** (მუსაფირის - სტუმრის) ოდა...

იმერხეულში გვხვდება **ს** ბგერის **ჰ**-დ დასუსტებისა და დაკარგვის ერთეული შემთხვევები. ეს მოვლენა უმთავრესად შეინიშნება მიცემითში მდგარ ზოგიერთ სახელთან, (უმეტესად დროის ზმნიზედად ქცეულ სიტყვებთან და ჩვენებით ნაცვალსახელებთან: ამბობენ, იქა **დღეჰაც** (დღესაც) თოვლსო; **იმაჰაც** (იმასაც) ღვე დალევია; ეს მექთუბები (წერილები) **დღეჰაც** აქ (აქვს) შენახული; **ღამეჰაც** (ღამესაც) გავათენებდით ნადში; გურჯიჯაჰაც (ქართულსაც) ვლაპარაკობთ და **თურქჩაჰაც** (თურქულსაც)... ჯუმა **დღე** (ჯუმა დღეს - პარასკევ დღეს) დავთესავთ ყანას; სულ ყუელ (ყოველ) **დღე** (დღეს) გადავხედავთ აჭარის სოფლებსა; გაჩენილ **ღამე** (ღამეს) ამაზე ჯილდაობენ... ანალოგიური მაგალითები შენიშნულია ქართლურ-კახურ დიალექტებსა და ზემოაჭარულ კილოკავში (გრ. იმნაიშვილი, 1976, გვ. 143; არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956, გვ. 57; შ. ნიჟარაძე, 1961, გვ. 109; არნ. ჩიქობავა, 1937, გვ. 66; არნ. ჩიქობავა, 1925, გვ. 65).

ს თითქმის ყოველთვის დაკარგულია **სწ** ბგერათკომპლექსიან სიტყვებში: **წორე** გზაზე ვერ გუუვლია; **წორე** საქმე არ ქონდა; ცხენზე **წორედ** შეჯდომა ვერ **უწავლია**; ისტამბოლ ბევრი **ვიწავლე**; ქილაკას **დუუწორე** და ჩაასხი ზე (რძე); **დუუწორა** და ესროლა დათვსა...

სუბიექტის მესამე პირის ნიშანი **არის** ზმნასთან ყოველთვის დაკარგულია: ქომოი ქარაფა აქეთ **არი**; იმისი სიტყვა დაფასებული **არი**...

ქართული ენის ზოგიერთი კილოს მსგავსად, იმერხეულშიც არაიშვიათად იკარგება თანხმოვანი **დ** კითხვით ზმნიზედაში **სად**: **სა** გაქვან სახლები? სა მიხვალთ ასე გვიან?...

ბ) **ხმოვანთა დაკარგვა**.

ზოგიერთ ზმნურ ფორმაში შეიძლება დაიკარგოს საარვისო ქცევის ნიშანი **ა**: ზოგი ლესკი (ლექსი) **მომგონდა**, ზოგიც **დამვიწყდა;** შუაჯვი **მომგონდა** ამ ნათქუამზე; ბეური ზუელი ნათქუამი **დამვიწყდა**; ისტამბოლში ბევრჯელ **მომგონდება** სოფლის გამჭმარი პური...

ვიდ- ზმნური ფუძიდან თითქმის ყოველთვის იკარგება ხმოვანი **ი**: დილაზე ყველაჲ **მოვდეთ** აქა; ცხენი **მივდა** ღელესთან; **წევდა-წამოვდა** დუნიაში...

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ზმნსწინისეული ხმოვნების დაკარგვის შემთხვევებიც: **შიარ-ჩამიარ** (შეიარ-ჩამოიარ), არ მოხუალ ჩუენსა...

გვხვდება **-ავ** და **-ამ** თემისნიშნისეული **ა** ხმოვნის დაკარგვის მაგალითებიც ამითა თივას **ზიდვენ**; ჩალას ზვინზე **ასხმენ;** კაპილაით წყალსა **სმენ**; მაგისთა (მაგისთანა) ღარჭსა (ბიჭსა) სა **ნახვენ;** თირფნით მოლსა **თიბვენ**; ენდრომში შალსა **შეღებვენ**... **ა** ხმოვნის დაკარგვა აღნიშნულ ზმნებში ხდება აწმყოსა და მყოფადის მწკრივების მრავლობითი რიცხვის მესამე პირში, როცა ზმნის ფუძეს ერთვის პირისა და რიცხვის გამომხატველი ნიშანი **-ენ**.

რედუქცია.

ქართულ ენაში რედუქციის გამომწვევი მიზეზები, მისი კანონზომიერებანი კარგად არის შესწავლილი; გარკვეულია, რომ ცოცხალ კილოებში რედუქცია უფრო ცხოველია აღმოსავლურ ჯგუფში, ხოლო დასავლურში უფრო მეტად არის შესუსტებული (არნ. ჩიქობავა, 1942; ა. შანიძე, 1957; ვ. თოფურია, 1965). იმერხეული ამ მხრივ ახლოს დგას აღმოსავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან. ეს იმის მაუწყებელია, რომ იმერხეულში მოქმედ დინამიკურ მახვილს დიდ კიდევ შესწევს ძალა ხმოვნის სინკოპირებისა.

რედუქციის ნიმუშები: წასულან **ნეკრის** მოსაჭრელზე; ხამური (ცომი) იზილვის **მაწნით; იადიგრისა** (იადიგარი - სამახსოვრო საგანი) გაჩუქება ი იქნება; ვიცით **ხაშრის** ლობიო; **კატრი** კვარივით იწვის; ვაკეთეფთ ჭაში ჯორციითაც; სოფელში **ქოთნებ** ჭმარობენ; **ხორმები** საბზელში ჩავყარეთ (ხორმი - ხორმის. ხოროში - თივის შეკვრა); **კაკლი** ფურცელსა ჩააფენენ შიგნ „მაჭარულა" **სხლის** ჯიშია; ნენეი დამჟდარა **ბოსტნი** შიგან; **ჭარხლი** კლ (ფოთლებით) შორვა (წვნიანი საჭმელი) კეთდება; სოფელში **წყლები** მეიტ **სვირევნიდამ** მოხუალ? (სვირევანი - სოფლის სახელია); **დიობნისკე** (დიო - სოფლის სახელია) ჩეიარს ეს ღელე; **იშხნის** ქილისა (ტაძარი) მაშინ სა (მრთელი) იყო; **ყურზნის** ლერწებია ქვაზე ამოჭრილი; **გოდრის** მჭსო აღარ დარჩა **სოფლიერში** (სოფლებში)...

ხმოვანფუძიან სახელებს ნათესაობითსა და მოქმედებითში ფუძისეული **ა** და **ე** ხმოვნები უმეტესად ეკვეცებათ: **ზის** (რძის) თავსა ნაღები ქვია; ნათქუამი გენჯებმა (ახალგაზრდებმა) **ხის** პოწკზე (პატარა ტოტზე) წამოყრდ **ზმის** (ძმის) სახლში ღმერთმა არ მიაბრუნოს ქალი! **თხისურის** (თხისური - თხის ბალანი) საწურავები მოქსუეს ქალებმა; **ჴმით** ტირილი უჯდებოდა რბ (რძალსა); **თის** (მთის) გზა ტყეში გეიარდა; **გზის** წვერი დავჰკარგეთ; წყალი ვსუით...

ასეთი რიგის სახელები იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს რედუქციის გარეშე **კარჩხალის** ქოფრია (ქოფრი - ხიდი) ესა; **ავაზანის** ერთი თერეფი (აბა

დაბურვილია; **ჭარხალი ფოთელით** ჯავეს (მჟავეს - მწნილს) ჩავდებთ; ზანკლები **ხბისურაით** მოქსოვნილია; **არუნაით** მიწასა ვჭნავთ; თუთის **ჭაჭაით** ზმარსა (ძმარსა) გააკეთებენ; ეს ქილისა (ტაძარი) **სომეხებმა** დაანგრიეს... ამ შემთხვევაში იმერხეული წარმოგვიდგენს საშუალი ქართულის მსგავს სურათს (ი. ქავთარაძე, 1964, გვ. 152-255).

ზოგჯერ რედუცირებულია თურქულის გზით შემოსული სიტყვებიც: ვეშინოდა რუსი **ასკრისა** (asker - ჯარისკაცი); **სიჰრი** გუუკეთეს ქალსა (არაბ. sihir - ჯადო); ცოტაი **ომრი** ჰქონია (თურქ. Omur - სიცოცხლე); იქით **უჩრუმი** ტყეა (თურქ. ucurum - ბნელი, გაუვალი); **თირფნის** (თურქ. tirpan - ცელი) ჭმა ვეღარ მოდა; **ყაბღი** (kabak - მკვახი, გოგრა) გული უნდა მოჭრაკო...

ზოგიერთი უცხოური სიტყვა კი უკუმშველი სახითაც გამოიყენება: სახლის უკან **ახორი** (თურქ. ahur - ბოსელი) იყო; ბალახსა **თირფანით** მოვთიბ... თურქული სიტყვა -araba (მანქანა) გვხვდება შეკვეცილიცა და შეუკვეცელიც: **არაბაით** ახუალ ჭოჭლევ; ჩუენსა ამოიდენ დიდი **არაბით...**

ბგერის განვითარება.

ქართული კილოების მსგავსად, იმერხეულშიც სიტყვათა ფუძეში ძირითადად ჩნდება სონორი თანხმოვნები, როგორიცაა: **მ, ნ, რ, ლ**; ბაგისმიერი **ბ** და ტბილბაგისმიერი **ვ**.

ლაბიალური **მ** ბგერა, როგორც ცნობილია, უმთავრესად ვითარდება წყვილბაგისმიერ ხშულთა და აფრიკატთა წინ, იშვიათად უკანაენისმიერ ხშულთა და სპირანტთა თავკიდურად, ზოგჯერ კი სიბილანტთა მეზობლობაში: **გომფაკი** (ქოფაკი) ძაღლები გაჩინდენ ამათიეფში (ამ მიდამოებში); **დეიღუმპა** (დაიღუპა) ზავალი (საცოდავი); **დამბილებულია** მიწა (დარბილებულია. **რ** იკარება, **მ** გაჩენილია); **მცხვარი** დავა (დადის) იმ თაზე ჩუენი; **მემცხვარე** ქვყვავდა ერთი; **მწვალობს** ავადევლი (ავადმყოფი); ნენეი **ყოლამფერ** გვაწვალიდა...

ნ იშვიათად ჩნდება სიტყვის ბოლოს. უმთავრესად თავს იჩენს ზმნიზედებსა და დამხმარე სიტყვებში: **ისვენ** გამააცჯო ჭმიადი; **იქვენაი** დააყუდა არაბაი; **კიდვენ** ოუმსია წყლითა იქაურობა; **იგზევენ** (იქვე. იქ+ზე+ვე+ნ→იგზევენ) გაამეშა; **ახლავენ** დოუზახეთ ღარჭებსა (დაუძახეთ ბიჭებსა); **მემრენ** წაასხა თაზე (მთაზე); ახლა **საღან** (სადღა) არი ქალამანი? **საცხან** წაველ, იქ წამყვა; ჭარი **კიდვენ** დააბა; სერი **რომენ** გედეიბინა, გულმა დიმიწყო კანკალი... იშვიათად ერთვის არსებით სახელსაც: ჩავალ ასე **გარგნითვენ**... მსგავსი მაგალითები ჩაუწერია ნიკო მარსაც: ჩიტი **რომენ** გეიჩუჩუნებს, შეწკეპილი გუაქ თოფები (ნ. მარი, 1911, გვ. 48).

ბაგისმიერი **ბ** ვითარდება ლაბიალურ სონანტ **მ** ბგერასთან მეზობლობაში: იმ ფარითა **კამბეში** ეიყვანა („ეიყვანა“ ნიშნავს „იყიდა“). შდრ.: საბა - გამეში; სოფელში ვართ **გამბრავლებული**...

წყვილბაგისმიერი **ვ** უმთავრესად ვითარდება სიტყვებში ხმოვანსა და თანხმოვანს შორის: **საჩუქვარი** რა ყავან?; დოდოფალზე **ჩუქვება** ვიცით; ნენეი **საცოდვავათ** დარჩა; ერთად **ვჭვამოთ** საჭმელი... **ვინ**-ი შეიძლება გაჩნდეს რიგობით რიცხვით სახელში - “მეორე“, რომელიც ფონეტიკური ცვლილებების შედეგად წარმოჩნდება **მივერე** ფუძით: **მივერე** წელწადში კიდვენ მოით (მოდით); **მივერეჯელ** აღარ მკითხო (მეორე→მიორე→მიერე→მივერე: დისიმილაცია, ასიმილაცია, ბგერის ჩართა)...

რ სონანტი უმთავრესად განვითარებული ჩანს წინანუნისმიერი ხშული ბგერების - **ძ, წ, ც**-ს მეზობლად: ამ ღარჭმა (ბიჭმა) გამამიღო გულ-**ღვირძლი**; **ურცხო** ხალხთან მიყვირა; კოდით სიმინდსა **დარწყავს** (გამოზომავს რაოდენობას; შდრ.: **საწყაო**). **რ** თანხმოვანი შეიძლება განვითარდეს, აგრეთვე, **ვ** ბგერის მომდევნოდ: ჩოუყრია შიგან **სხვრილი** ჭადი.

ლატერალი ნუნისმიერი ნარნარა თანხმოვანი **ლ**-ც იშვიათად შეიძლება გაჩნდეს სიტყვის ფუძეში: თივის ასაწეველი **ბიგალიც** გუაქ (შდრ. ბიგა); **ჭყინტლი** სიმინდი გუიყუარს; ქალალდივით თეთრი შუბლი **მიანთალებს** წინედაც; აქა თველზე მალე **გათოვლდება**; თელი დღეა **თოვლს** (თოვს)...

შეიძლება განვითარდეს უკანაენისმიერი **გ, კ** თანხმოვნები: **გარგანიც** ქუეშ ამოუჩრია დედაბერსა (შდრ., საბა - **არგანი**); **კუკუნეთი** ღამე იყო; **კუკუნეთაში** რაგუარ (როგორ) მიაგენით გზა? **კიკილუები** (ღილკილოები) დოუკეთა გომლეგსა (პერანგსა)... **ჭკნავი** (შდრ., ჭნავი) კუკული გაყირმიზდება თუელზე (თველზე)...

იშვიათად შეინიშნება **ხმოვანთა განვითარების** შემთხვევები. როგორც ცნობილია, „ქართული ენა არ ეკუთვნის იმ ენათა ჯგუფს, რომელთაც ეუხერხულებათ სიტყვათა თანხმოვნური დაწყება, ან ეძნელებათ თანხმოვანთშეჯგუფების წარმოთქმა. ამიტომ ხმოვან ბგერათა განვითარება ძალიან იშვიათად წარმოჩნდება ქართულში და თავისებურებებით გამოირჩევა (ი. ქავთარაძე, 1964, გვ. 192). იმერხეულშიც დასტურდება **ხმოვანთა ჩართვის** ერთეული შემთხვევები: გზა მიდის **ტიბეთისაკენ** (**ტბეთი** სოფელია შავშეთში. **ტბეთი→ტიბეთი**); ნენეი **ტიბეთური** მყავს; **ტიბიჭევ** (**ტიბიხევი** ადგილის სახელია იმერხევში) ვეტყვით (ვეძახით) ამასა; **ჴობოყურაი** (**ხბოყურა** - სოკოს სახელია) ბუზგი (ბუძგის) ზირებში (ძირებში) დაწოწოლდება (წამოიმართება, მიწიდან ლაღად ამოვა); ჩუილი **ჴობო** ზრუგით ეიყუანა თაზე; **ჩიდილას** (ჩრდილა - ჩიდილა. **რაე** იკარგება, **ინ**-ი ჩნდება) ყოფილა ერთი ზიარეთი (სალოცავი ადგილი); თვარე **გამოჩინდა** (გამოჩნდა) ამ სალამ (ამ საღამოს)... ორიოდე სიტყვაში **ინ**-ი განვითარებულია სიტყვის დასაწყისში (ანლაუტში), მაგ.: შუშას (ჭიქას) ჩუენა **ისტიქან** (რუს. стакан - სტაქანი→**ის**ტიქანი) ვეტყვით (ვეძახით, ვუწოდებთ); მუართვი მოსაფირსა (სტუმარსა) **ისკამი**! (სკამი→**ის**კამი); ხანუმი დაყდება **ისკამზე**...

ხმოვანთა განვითარების ტენდენცია შეინიშნება თურქულის გზით შემოსულ სიტყვებშიც. დავადასტურეთ ამ მოვლენის ერთეული შემთხვევები: **იზენი** მომეც წასლაზე (არაბ. isni - ნებართვა, თანხმობა. იზნი - იზენი); შეიკერვენ ქალები ნაირნაირ **ურუბას** (იტალ. гова - კაბა; თურქ. ruba - კაბა; იმერხ. ურუბა - ტანსაცმელი. ასევეა ზემოაჭარულ კილოკავშიაც)...

ზემოაჭარულში დადასტურებული მსგავსი მაგალითები განიხილება როგორც **სრულხმოვნობა** (შ. ხუბუა, 1932, გვ. 7; შ. ნიჟარაძე, 1975, გვ. 113), რასაც არ იზიარებს მკვლევარი ნ. გურგენიძე: „ხმოვანთა განვითარება თურქული მეტყველების გავლენით უნდა იყოს გამოწვეული... აჭარულ მეტყველებაში თავს იჩენს ხმოვანთა განვითარება სიტყვის თავკიდურ პოზიციაშიც. ე. ი. ვითარდება **პროთეტული** ხმოვანი. პროთეტულ ხმოვანთა განვითარება კი, როგორც ცნობილია, დიდად არის დამახასიათებელი თურქული ენისათვის, სადაც სიტყვის დასაწყისში თანხმოვანთა კომპლექსები არ გვხვდება და სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვებში სიტყვის თავში თანხმოვანთა გასაყარად ჩნდება

ვიწრო **ი** ხმოვანი... აჭარულში სიტყვათა ტენდენციას გასრულხმოვნიანებისაკენ ვაწერთ აჭარულ მეტყველებაზე თურქული ენის გავლენას" (ნ. გურგენიძე, 1976, გვ. 151-152). ეს თვალსაზრისი უდავოდ გასათვალისწინებელია და დამახასიათებელიც იმერხეული ქართულისათვის, რომელიც ამ კუთხით საინტერესო სურათს ქმნის და სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.

სუბსტიტუცია.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, „ყოველ ენაში ხშირია ისეთი ფონეტიკური მოვლენები, რომლებიც წარმოადგენენ ბგერის შეცვლას ცალკეულ სიტყვაში ან მხოლოდ რამდენიმე სიტყვაში ყოველგვარი ფონეტიკური განპირობებულობის გარეშე... ესაა ბგერის ერთბაშად, „შემთხვევითი", სპორადული ცვლილება სიტყვაში. ერთადერთი „კანონზომიერება", რომელსაც ადგილი აქვს ასეთ ბგერათცვლაში, მდგომარეობს იმაში, რომ ერთმანეთის შეცვლა შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ბგერებს, რომლებიც წააგვანან ერთმანეთს აკუსტიკურად. ბგერათა ასეთ შენაცვლებას ვეძახით ბგერათსუბსტიტუციას ანუ ბგერათჩანაცვლებას" (გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 225). ასეთ შემთხვევაში ჩანაცვლება ხდება ფიზიოლოგიურად მონათესავე და აკუსტიკურად მსგავსი ბგერებისა. დიდი ქართველი ენათმეცნიერი აკაკი შანიძე ამ მოვლენას შენაცვლებას უწოდებს (ა. შანიძე, 1973, გვ. 22).

იმერხეულში დასტურდება **მ, ნ თანხმოვნების ურთიერთმონაცვლეობა.** მართალია, ეს თანხმოვნები არტიკულაციის მიხედვით ერთმანეთისთვის მახლობელნი არ არიან, მაგრამ ჰომოგენური ბგერებია და ამ შემთხვევაში ეს თავისებურება არის განმსაზღვრელი გარკვეულ პოზიციაში მათი ურთიერთმონაცვლეობისათვის (ი. ქავთარაძე, 1964, გვ. 211).

მაგალითები იმერხეულიდან: **ავანტყოფობას** არ უნდა ჩაბარდე (ავადმყოფობა-ავანტყოფობა); **გამთიადიხან** ავდგებოდით; დეიჭირა ჩიტი **იმამაც** (იმანაც); ევდენ თაზე (მთაზე) **შუანთობათ** (შუამთობათ - საშუამთობოდ)...

გვხვდება ბაგისმიერი ბგერების მონაცვლეობის მაგალითებიც. **მ-ბ**: **ბრავალთი** ღელე და აღბუღას ღელე შეიყრება (**მ**რავალთის ღელე→**ბ**რავალთის ღელე მდინარეა იმერხევში); ჴელები **ბრუდე** (მრუდე) ჭონდა ემრულას; **ბზე** (მზე) მოიდა, ინათლა...

ვ-ს შეიძლება ჩაენაცვლოს ბაგისმიერი ლაბიალური **ბ**. ამგვარი მონაცვლეობა კანონზომიერ ბგერათშესატყვისობას ქმნის ზანურში. თანამედროვე ქართული დიალექტებიდან კი უმთავრესად გავრცელებულია ინგილოურში (ი. ქავთარაძე, 1964, გვ. 208). იმერხეულში დასტურდება ერთეული შემთხვევები, მაგ., **ვ→ბ: დამაბიწყდა** ზველი (ძველი) ნათქუამები...

ქართულ დიალექტებში საკმაოდ გავრცელებულია ლაბიალურ სონანტ **მან**-ისა და სპირანტ **ვ**-ს საურთიერთო მონაცვლეობის შემთხვევები. საკვლევ რეგიონში **ვ**-ს უმეტესად ენაცვლება **მ**: ზემოთ არი სოფელი **ჰემწრილი** (ჰევწვრილი); სუფრაზე საჭმელი **სამსე** იყო (სავსე); ზემბილი (ჩანთა) **ოუმსია** ალთუნით; **მიწრო** გზაში გემეიაროს; **მასკვლავი** ვარ, გავქრებიო... **ვ→მ** შენაცვლება, როგორც მიიჩნევენ ენათმეცნიერები, გამოწვეული ჩანს **ვინ**-ის ბილაბიალური ბუნებით (გრ. იმნაიშვილი, 1977, გვ. 157).

ვ-ს ნაცვლად **ნ:** ჯარები **შეცვინდენ** ახოროში; თუთა **ჩამოცვინდა**...

სუბსტიტუციის შედეგად უნდა იყოს მიღებული სიტყვა „**ზინჭარი**" (ჯინჭარი/ ჭინჭარი). **ჯ/ზ** (ძ) მონაცვლეობა დადასტურებულია ქართული ენის განშტოებებსა

და კილოებში (შდრ. იმერული **ჯმერხლი**, აჭარული **ძმერხლი**, ჭანური **ზერმეხი**, მეგრული **ზორმეხი**, სვანური **ზგმეხ** (ივ. ქავთარაძე, 1964, გვ. 237). სოფელ მანატბის მეტყველებაში (ზემოიმერხევში) გამოიყენება სიტყვა **ზინჭარი**. მაგ., სახლის უკან **ზინჭარი** ამოსულიყო; ღმერთმა შენ ნასახლევზე **ზინჭარი** ამეიყვანოს (წყევლაა); გამოსულში (გაზაფხულზე) **ზინჭრი** ფხლით შორვას გავაკეთებთ... ეს სიტყვა ქართული ენის სიღრმეში გვახედებს ხოლმე და **ჯ** თანხმოვნის წარმოშობის ფესვებზე მიგვითითებს. იმერხეული, როგორც არქაიზმებით მდიდარი კილო, ამ მხრივ ბევრ საინტერესო ცნობას ინახავს, რაც სპეციალური კვლევის საგნად უნდა ვაქციოთ მომავალში.

ყურადღებას იმსახურებს, აგრეთვე, წინაენისმიერ **ჟ, ჯ** თანხმოვნების საურთიერთო მონაცვლეობის შემთხვევებიც. როგორც ცნობილია, „ამ მონაცვლეობას საერთო საფუძველი აქვს ქართული ენის დიალექტებში. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსგავსი მოვლენები სხვა ენებშიცაა (მაგ., ირანული ჯგუფის ენები) და აქედან (სხვადასხვა ენიდან) ზოგი სიტყვა არის შემოსული ქართულში. საშუალ ქართულში გვაქვს: თეთრჟოლა→თერჟოლა→თერჯოლა, ლაჟვარდი→ლაჯვარდი; ჟანგი→ჯანგი; კოჯორი→კოჟორი (ივ. ქავთარაძე, 1964, 218-219).

ჟ-ს **ჯ**-ით შენაცვლება უმთავრესად მიმდინარეობს აფრიკატიზაციის საფუძველზე. **ჟ→ჯ**: **ჯავე** დო მეგვიტანეს სუფრაზე (მჟავე→ჯავე); **ჯოლხა** არ ჩამაადენენ, დაარყეენენ ქილიმებზე (ჟოლი (თუთა) - ჯოლი); მაგ ბალახი **ჯაუნია** (მჟაუნაა); არც **ჯავეა** და არც ტკბილი; ზე (რძე) სიცხეში მალე **დამჯავდება**; ქალები **შეპაიჯა** (შეპატიჟა) სახლში... ზოგიერთი მკვლევარი ასეთი პროცესის საფუძველს ხედავს იმ ბგერითს გარემოში, რომელშიაც ეს პროცესი მიმდინარეობს (ი. ქობალავა, 1958, გვ. 71-72).

აფრიკატიზაციის საფუძველზე ხდება, აგრეთვე, **ტ→ჭ** თანხმოვანთა სუბსტიტუციაც: ვირსა **ჭვირთი** არ მოჭარბდება (ტვირთი→ჭვირთი)...

იმერხეულშიც, სხვა კილოების მსგავსად, გვხვდება **ჯდ/ჟდ** კომპლექსის მონაცვლეობა: კევრზე **დააჟდა** ღარჭი (ბიჭი); ჩემი ზმა ინეგოლში (ქალაქი ბურსის ვილაიეთში) **ჟდას** (ჯდას→ჟდას ამ შემთხვევაში გამოიყენება „ცხოვრობს" ზმნის მნიშვნელობით); დედაბერსა **ჟდომი** ჭირდა („ჟდომი" დაავადებაა, „ჯუტის" ნაცვლად გამოიყენება იმერხეულში); **დამჟდარიც** საქმეს აკეთებდა ენით მიიყვანეს და **დუუჟდუმლეს** (დაუსვეს) იმ ღარჭსა (ბიჭსა) ბაჯალა (ქალიშვილის) **დუუჟდუმლებიან** (დაუსვამთ) დოდოფალი სკივრზე... ასეთი მონაცვლეობა ეფ აფრიკატის დაშლის, დეზაფრიკატიზაციის საფუძველზე მიმდინარეობს.

იშვიათად ერთმანეთს შეიძლება შეენაცვლოს უკანაენისმიერი ხშული ბგერები **ჭ→ჯ**: მისი არხატაში **აჯარიდამ** იყო; **აჯარადამ** ეშდას (სამრეწველო საქონელს) გადმეიტანდენ... ასეთი მონაცვლეობა განპირობებული უნდა იყოს თურქული ენის გავლენით (თურქულში არ არის ე.წ. კავკასიური მკვეთრები **კ, პ, ტ, ყ, წ, ჭ**).

მსგავსი მონაცვლეობა უცხო ენებიდან შემოსულ სიტყვებში დადასტურებულია საშუალ ქართულშიც. ენათმეცნიერი ივ. ქავთარაძე წერდა: „ქართული შიშინა... აფრიკატის შეცვლა შესაფერისი რიგის მჟღერით შეინიშნება არაქართული ენობრივი კოლექტივის წარმომადგენელთა მეტყველებაში, სადაც იგი სათანადო ბგერის უქონლობის საკომპენსაციო საშუალებაა, მაგრამ

თავისთავად მაინც საინტერესო. მსგავსი ფაქტებია იტალიელი მისიონერის მიერ ჩაწერილ ქართულ ზღაპარში... აგრეთვე, ევლია ჩელების მიერ ჩაწერილ ტექსტებში. ყველაფერი ეს შედეგია იმ კანონზომიერებისა, რამაც საფუძველი მისცა „აჭარა" აღმოსულიყო „Аджара" სახით (ი. ქავთარაძე, 1964, გვ. 216).

დიდი ქართველი ენათმეცნიერი გ. ახვლედიანი წერდა: „ჩვენ ვასხვავებთ ორგვარ ბგერათსუბსტიტუციას: ერთია ჩანაცვლება უცხოური ენიდან ნასესხებ სიტყვაში, მეორე - ჩანაცვლება მშობლიური ენის სიტყვაში... ჩანაცვლება უცხოურ სიტყვებში ზედმიწევნით კანონზომიერია, მან გამონაკლისი არ იცის" (გ. ახვლედიანი, 1966, გვ. 181-182). ამგვარი სუბსტიტუციის მაგალითები ჭარბად გვხვდება იმერხეულში. კერძოდ:

ა) თურქულის გზით შემოსულ სიტყვა-ძირებში **F, P** თანხმოვნებს ენაცვლება ქართული **ფ** თანხმოვანი: მეშინია ზაღლის (ძაღლის), მიკბენს **ფალან** (თურქ. falan - მგონია); გორგაზიები („გორგაძეები" სოფლის სახელია) **ფეგი** გახდენ (არაბ. fek - გაწყვეტა, დაცარიელება); სიკდილი **ფენა** გონჯია (თურქ. fena - ძალიან ცუდი, ძალიან ბოროტი); იმ **ფიეთზე** მოქვცეს ჯარი (თურქ. Fiyet – ფასი, ღირებულება); **ფაჩავრაში** გაახვია პატარა ღარჩი (თურქ. Paçavra – ძველმანი, ნაფლეთი); ყუმაში (აბრეშუმის ქსოვილი) ჩუენსა **ფაალია** (სპარს. paha – ფასი, ღირებულება. თურქ. pahali - ძვირად ღირებული); ერთი **ფაქეთი** ჩაი ვერ მომიტანა (თურქ. paket - შეკვრა); იმათი წინაი დედეი (ბაბუა) **ფაფაზი** ყოფილა (თურქ. papaz - მღვდელი); სოფელში **ფუნდუკის** ბახჩა გუაქ (თურქ. findik - თხილი); ეს წყალი ფაფართის **ფუნღარიდამ** მოდინდება (თურქ. pinar - წყარო); მანატბას **ფურთუნა** ქნილა (თურქ. firtina – ქარბუქი)...

ბ) თურქულ სიტყვებში **G** ბგერას ენაცვლება ქართული **ღან**-ი: **ღალიბა** გუშინ მეიტანეს (თურქ. galiba – ალბათ, როგორც ჩანს); **ღეზაბიდამ** შიგვიბრალოს ღმერთმა (თურქ. gazab – წვალება, გაჭირვება); **ღენი** ინსანი ჯენნეთში (სამოთხეში) წავა (თურქ. gen – ხელგაშლილი, უხვი); ენა **ღიბეთს** მააცილვე! (არაბ. giybet – ჭორაობა, ავსიტყვაობა)...

გ) თურქულიდან შემოსულ სიტყვებში **K (ქ)** თანხმოვანს ჩაენაცვლება ქართული **ყ**: ესა ლივანა **ყალეა** (არაბ. Kale - ციხე); აქაც დააკეთეს **ყათები** (თურქ. Kat – სართული, რისამე ფენა); **დაყათა** ქალმა ყუმაშები (დაყათა – ფენა-ფენად დააწყო); ურუბა (ტანსაცმელი) **დაყათული** უწყვია (დაყათული - ფენებად დაწყობილი); სუფრა ზედა **ყათში** დიგვიდგეს (ზედა ყათში – ზედა სართულში); **ყარაყოლი** მოუკლავს ერთი (თურქ. Karakol - პოლიციელი); სწორი (ჯანსაღი, საღი) **ყარფუზი** მომეც! (თურქ. Karpuz - საზამთრო); ერთი ლუკმა ბაღვმა გაარტყა **ყაფაზე** (თურქ. Kafa - თავი); ის კაცი **ყასტენ** მოკლა (თურქ. Kasten – განზრახვით, გამომწვევად); **ყასტენ** ამბობენ ამასა; **ყავანოზში** მაწონი ჩაკვეთა (yavanoz – მინის ქილა)...

დ) იმერხეულში თურქულიდან შემოსულ სიტყვებში **H** თანხმოვანს ჩაენაცვლება ქართული **ხ**: ხოჯა **ხათმ** კითხულობს (არაბ. hatim – ყურანის წაკითხვა თავიდან ბოლომდე); ეს ქილისე (ეკლესია) **ხარაბა** გამხდარა (არაბ. harab - ნანგრევი); **ხარმანი** კალოს ქვია (სპარს. harman - კალო); კარის **ზღრუბლზე ხაჩი** ყოფილა გამოჭრილი (თურქ. haç - ჯვარი); **ხებერი** მიცეს **ახრაბებსა** (არაბ. ahraba – ნათესავი, არაბ. haber – ამბავი, ცნობა); ბეთმეზი (ბაქმაზი) **ხონით** ჩავასხი ქილაკაში (თურქ. huni - ძაბრი)...

ე) თურქულ **K** (ქ თანხმოვანს) იმერხეველთა ქართულ მეტყველებაში თურქული ენიდან შემოსულ სიტყვებში ზოგჯერ ჩაენაცვლება ქართული მკვეთრი თანხმოვანი. ე.ი. ფშვინვიერი თანხმოვნის გამკვეთრება ხდება: ერთ კაცსა **კამპური** ქონდა ზრუქში (ზურგში); **კამპურობა** იმათ ჯინსში (გენში) აქვან (თურქ. Kambur - კუზი); **კანსერი** გონჯი მარაზია (Kanser - კიბო); **კარდოლა** ვიყიდევით (karyola - საწოლი); ისა **კიტმირი** კაცია (kitmir - ძუნწი); ერთი **კურნაზი** ქალი ყოფილა (kurnaz – ბოროტი, ჯადოქარი); **კრავათი** მუუბამს და მისი თავი კაცი გონია (kravat – ჰალსტუხი, ყელსახვევი)...

ვ) თურქული **T** (თ თანხმოვანი) იმერხეველთა ქართულში დამკვიდრებულ თურქულის გზით შემოსულ სიტყვებში ისმის როგორც მკვეთრი **ტ** თანხმოვანი: **ტაბანი** ნუ გიგიშლია! (თურქ. taban – ფეხის გული, ტერფი, ლანჩა); წინდას **ტაბანი** გამუაქსუეს ქალებმა; **ტაბანჩა** წელზე ქონდა გამოკიდული (თურქ. tabança – პისტოლეტი; რევოლვერი); ტყეში **ტავშანი** ბეურია (თურქ. tavŞan - კურდღელი); **ტათლი** საჭმელი მაიდამაი (მაინცდამაინც) არ მიყუარს (თურქ. tatli – ტკბილი, გემრიელი); ნენემისი (დედამისი) **ტამაჰჭარი** ქალი იყო (არაბ. სპარს. tamahkar – ძუნწი, ხარბი, გაუმაძღარი); **ტანსიონი** მაქ მაღალი (თურქ. tansiyon – სისხლის წნევა); ყუელსა ბევრი **ტუზი** უნდა წააყარო და კარქა შეინახვის (თურქ. tuz - მარილი)...

ზ) იმერხეველთა ქართულში ზოგჯერ გამკვეთრებულია თურქულის მჟღერი **D** თანხმოვანიც კი: ნაზვის (ნაძვის) **ტალით** შევკონავთ ნეკერსა (თურქ. dal - ტოტი); ზამთარში საქონელსა ნედლ **ტალებსა** ჩოუყრით ბაგაში, ცაცხვისას, თელისას, წყავისას... **ტალდაში** დაჯექ, ბზე დაქწუავს! (თურქ. dalda – ფარდული, საფარი); ნენეს ზმასა **„ტაიას"** ვეტყვით (თურქ. dayi – დედის ძმა, ბიძა); ის კაცი **ტარალაჯზე** ჩამოკიდეს (თურქ. darapaci - სახრჩობელა); ეზოში **ტვარია** გაკეთებული (სპ. duvar – ქვის კედელი, ყორე, სახლის საძირკველი, ბალავარი); მუთვალის (სამზარეულოს) **ტვარები** ჩამოსილე (ჩამოწმინდე) კარქა!; ზაათი (ძველად) დოდოფალი **ტვალსა** დეიხურევდა (თურქ. duvak – საქორწინო თავსახურავი, ფატა); შუბლზე ნამუსის **ტამარი** გაწყუეტილი ქონდა (თურქ. damar - ძარღვი)...

ასეთი ბგერათცვლილების შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. აკად. ს. ჯიქია აღნიშნავდა, რომ ,,მოცემული ბგერათგადასვლა შედეგი უნდა იყოს ქართველების წარმოთქმაში თურქული **მჟღერებისა** და **ფშვინვიერების** ქართულში **მკვეთრად** აღქმისაკენ საერთო მიდრეკილებით (ს. ჯიქია, 1958, გვ. 203). ხშულ ბგერათა მჟღერი ან ფშვინვიერი რიგის გამკვეთრებას ვხვდებით, აგრეთვე, ზანურშიც.

თურქულის გზით შემოსულ ერთი რიგის სიტყვათა ფუძეებში ბგერათა შენაცვლებას პროფ. შ. ნიჟარაძე განიხილავდა როგორც **დისიმილაციურ გამჟღერებას**. ნ. გურგენიძის აზრით, ეს სიტყვები ქართულში (აჭარულ-გურულში) შემოსულია თურქული ენის იმ დიალექტებიდან, რომლებზედაც მეტყველებენ საქართველოსთან მეზობლად მდებარე ტერიტორიებზე მოსახლენი და საუკუნეთა განმავლობაში შეხების წერტილები ჰქონდათ ქართულ ენობრივ გარემოსთან და ახდენდნენ მასზე ზეგავლენას, როგორიცაა **ყარსის, ერზურუმის, რიზეს, ტრაპიზონის**... დიალექტები (ნ. გურგენიძე, გვ. 144). თურქული ენის ამ დიალექტებში კი, სალიტერატურო თურქულთან შედარებით, დასახელებულ სიტყვა-ძირებს ფონეტიკური ცვლილება განუცდია. სწორედ ამ დასავლურ

თურქული დიალექტებიდან შემოსულა მოსაზღვრე ქართულ დიალექტებში (აჭარულ-გურულში, იმერხეულში, ნიგალურში, ტაოურში) აღნიშნული რიგის სახეცვლილი სიტყვები და დამკვიდრებულა. ცხადია, დასავლურ თურქულ დიალექტებში აღნიშნული **სახეცვლილება არის ქართულ ენობრივ სამყაროსთან სიახლოვის შედეგი, იმის მეჩვენებელი, რომ ქართული ენობრივი გარემოც საუკუნეთა განმავლობაში ახდენდა გავლენას მეზობელ თურქულ ენაზე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თურქული ენის დასავლურ დიალექტებზე მოსაუბრე მოსახლეობის დიდი ნაწილი არის ძირძველი ქართველი, რომელთა მეტყველების საარტიკულაციო ბაზისი ქართული ენის ფონეტიკური ბუნებითაა განსაზღვრული.** ძირძველი თურქები, სუფთა თურქულით მოსაუბრენი, სწორედ ამის გამო ადვილად გამოიცნობენ ხოლმე მოსაუბრის სადაურობას. როგორც კი მოსაუბრის მეტყველებაში გამოჩნდება სიტყვები – **ყალე, ახრაბა, ფუნდუკი, ყასტენ, ღალიბა** და მისთანანი, დამკვირვებელი მაშინვე ამოიცნობს მოსაუბრის წარმომავლობას და დაასკვნის, რომ იგი არის საქართველოს მოსაზღვრე რაიონებიდან. მაშასადამე, ქართული და თურქული ენების ურთიერთზეგავლენის მაგალითები ადვილად წარმოჩნდება ხოლმე ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური საზღვრის გასწვრივ მდებარე რეგიონებში. ქართულ-თურქული **ენობრივი კონტაქტები** საინტერესო ლინგვისტურ სურათს ქმნის არა მარტო ფონეტიკის სფეროში, არამედ გრამატიკის ყოველ დარგში – მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკაში. დასანანია, რომ ეს კონტაქტები დღემდე სათანადოდ არ არის შესწავლილი. ეს საკითხი დამატებით სპეციალურ კვლევას საჭიროებს. წინასწარი მონაცემებით ნათელია, რომ საუკუნეთა მანძილზე არა მარტო გაბატონებული თურქული ენა ახდენდა გავლენას მის დაქვემდებარებაში მყოფ ქართულ ენაზე, არამედ ქართული ენაც ზემოქმედებდა ხოლმე მოსაზღვრე თურქულ ენობრივ გარემოზე და ქართული ენის ბუნების შესაბამისი ელემენტები შეჰქონდა ხოლმე მის ენობრივ სტრუქტურაში.

საანალიზო მასალაში **ხმოვანთა შენაცვლების** შემთხვევები ნაკლებად დასტურდება. შენიშნულია რამდენიმე მაგალითი: **ტყიმალი** ბევრია ტყეში; გალმა ფერდში **ტყიმალი** კონწოლ-კონწოლ ჰკიდია; ბაზარში **ზვეროობა** (ძვირობა) არი **ზალუან** (ძალიან); **ამდონი** ვილაპარაკე, გეყოფა! **მეგ** (მაგ)კაცი ახალმოზდე (ახალგაზრდა) არ არი; არაბები (მანქანები) **ცუდედ** დადიან...

ცალკე ყურადღებას მოითხოვს **მარცვლოვანი და უმარცვლო ვარიანტების მონაცვლეობა; შდრ.:** მეგე **ზუელათ** (ძველად) ართვინის მუფთი იყო; **ხუთოები** მამცა; მანატბაში კოსოლიზე **შუიდი** კვამლია (კომლია); **შუიდი** გობეგის იქით ნათესობა (ნათესაობა) აღარ მაიკითხვის...

იშვიათია ისეთი მაგალითები, როცა **უე→უე→//ვე→ო**: მაწონი ქოთანში **შედღობა** (შედღუება→შედღობა. სუბსტიტუციის საფუძველია ხმოვანთა დისიმილაცია- დიფთონგიზაცია).

ვე → ო: ყანის **ქომოდამ** წყალი გამოდის; **ქომოთ** ჭალეები **გუაქ; ქომუენთი** ორი კვამლია; წევდეთ **ქომოთ**... **ყოლანი** (ყველანი) იყვნენ; **ყოლიმფერი** (ყველაფერი) იქნება; გუექნება **ყოლამფერი** (ყველაფერი)... **ქომოთ** ზმნისართის ანალოგიით უნდა გვქონდეს მიღებული **ზომოთ**: **ზომოთ** ზეგანი იყო... მსგავსი მაგალითები შენიშნული აქვს ნიკო მარსაც (ნ. მარი, 1911, გვ. 64). **უა→ვა→ო:**

მკითხა: - **რაგორ** ხართ ნენეითო? (დედითურთო) (რა გუარ→რა გვარ→რაგორ); **რაგორ** აკეთებენ სახლსა?... შეიძლება **ო** ხმოვანს შეენაცვლოს **ვე** კომპლექსი: არ **მეტყვება** (მეტყობა) გარედამა; მკდარიც **ვიყვე**, ავდგებიო...

ბგერათა დამსგავსება (ასიმილაცია).

ასიმილაცია მოუდის ხმოვნებსაც და თანხმოვნებსაც. თანხმოვანთა **სრული ასიმილაციის** მაგალითები იმერხეულში შედარებით იშვიათად გვხვდება. **სშ → შშ**: **შაშვიდეში** არი კლდეზე მოჰორები (ბეჭდები), ნაწერები (საშვიდე → შაშვიდე'!- ადგილის სახელია ზემო იმერხევში, აგარასთან ახლოს); სახელი **შაშეშური** (საშეშური -საშეშე) აქ წინედამ; ეს **შოშა** ფაფართ (მთის სახელია „ფაფართი“) ავა (შოსე → შოშე → შოშა); გზაბაწარიდამ **შოშში** (შოსეში) ჩამუელით, **შოში** გზაზე...

თანხმოვანთა **ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის** მაგალითებია: დათვი თაფლსა **შაშჭამს**; დათვები **შაშჭამენ** ჯუმარდა ჯარსა; ბაჯალასა პარსა **უშინჯავს**; ყველას ვინცხაი **დაშჩა** იქითა... როგორც ცნობილია, ასიმილაციის შედეგად **ს** თანხმოვნის **შ**-დ გადაქცევა დამახასიათებელი იყო ძველი სალიტერატურო ქართულისათვის. მართალია, ახალ ქართულში ეს ტრადიცია აღარ გაგრძელდა, მაგრამ ამ ტიპის ასიმილაციური ბგერათცვლილებანი ქართულის კილოებმა შემოინახა დღემდე. ამ მხრივ იმერხეული დანარჩენი ქართული დიალექტების გზას მიჰყვება და დღევანდელ ცოცხალ მეტყველებაში ინახავს ამ ფორმებს.

წყვილბაგისმიერი მჟღერი **ბ** თანხმოვანი მომდევნო ყრუ თანხმოვნებთან მეზობლობაში ყრუვდება და ასიმილაციის შედეგად გვაძლევს ფშვინიერ **პ** თანხმოვანს. მაგ., **კლდეეფში** ამოდის ჭონდარი; წევალ **ნათესავეფში** **ერთმანეფში** (ერთმანებში. **ერთმანეთი** იმერხეულში **ერთმანებ**-ითაა შეცვლილი) ჩაჰყრიან ლობიოსა და მხალსა; **დავარუეფთ** ბოსტანსა; სამარეში კდარა **მუუჰირეფს** მიწა; ინსანი (ადამიანი) **ფიქროფს** ამასა; ფული არ იყო **ჯიფეში** მკვეთრებთან მეზობლობაში **ბ** თანხმოვანი ასიმილაციის შედეგად გადაიქცევა **პ** თანხმოვნად: გუაქ **პტყელაი** ლობიო (ბრტყელაი → ბტყელაი → პტყელაი).

მჟღერი **გ** თანხმოვანი მკვეთრებთან (ტ, კ, პ, ყ, ჭ, წ), **ც** ფშვინვიერთან და ნაპრალოვან **ხ** ბგერასთან მეზობლობაში კარგავს მჟღერადობას და იქცევა ყრუ ფშვინვიერ **ქ** თანხმოვნად: რა **ქტკივა** დღეს? ღარჭებმა (ბავშვებმა, ბიჭებმა) არ **შამოქკრან** ქვა?! რაღა ჩუენ **ქვპოვნილოფს** ეს მარაზი (დაავადება)! მაშინ **მოქციღდება** შავი ეშმაკი; ცხუარი **მოქცეს,** რა იქნება?! არ **მოქვნან** ჰუქუმათის (მთავრობის, ხელისუფლების) საქმიები; თხა საკლავათ **ქვჭირია** ახლა; დაცურებული ხე არ **მოქვხთა** ჩუენ...

გარკვეულ პოზიციაში ასიმილატორული თვისებისაა ველარული ხშული თანხმოვანი **ყ**. იგი იმსგავსებს წინამავალ **გ** მჟღერ თანხმოვანს და აქცევს ყრუ ფშვინვიერ **ქ** ბგერად: წვრილი ბაღვები **ქყავს**? **მოქვუე** ფეჯდაფეჯ; არვინ არ **ქყავს** შენ? ერთი ბერწი ქათამი **ქყვავს**; მიწაზე სხუა რა **მოქყავან?** საჭმელი ანჯახ (ძლივს) **ქვყოფნილოფს** (გვყოფნის)...

თანხმოვანი **ყ** ასიმილატორად გვევლინება, აგრეთვე, სიტყვაში **„ავადმყოფი“**, რომელიც რთული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად იქცევა სიტყვად **„ავატყოფი“** (ავადმყოფი → ავამდყოფი → ავამტყოფი → ავანტყოფი → ავატყოფი. მეტათეზისი, ნაწილობრივი ასიმილაცია, სუბსტიტუცია, **ნ** თანხმოვნის დაკარგვა). იმერხეულში იშვიათად შეგვხვდება ხოლმე **“ავანტყოფი“** და

„**ავატყოფი**“; უმრავლეს შემთხვევაში ამ სიტყვის ნაცვლად იყენებენ სიტყვას „**ავადეული**“: **ავანტყოფი** ნენეი მალე მოკდა; **ავატყოფი** ჰასთაჰანეში (საავადმყოფოში) დააწვინეს... ანალოგიური ვითარებაა ბევრ ქართულ კილოშიც (ე. თოფურია, 1930, გვ.30).

დასტურდება თანხმოვანთა **პროგრესული ასიმილაციის** ერთეული შემთხვევები: რიზეს ჩაი **ფაფრიკაში** არიან წასული სამუშაოთ; **როდისხა** გამთელდება ეს ჯელი?! კაცი **დაკარჭულა** ტყეში; წყალი უნდა იყოს **ნენთბილი**; **ჭიბოშანმა** ხე გათალა (ჭოპოსანი → ჭიბოშანი. **ჭ** აფრიკატმა გაკვეულწილად დაიმსგავსა სისინა **ს** თანხმოვანი და აქცია შიშინა **შ** ბგერად)...

საანალიზო მასალაში გვხვდება სიტყვა „**ჩიშკარი**“ (← ჭიშკარი ← ჭისკარი ← ბჭისკარი), რომელიც პროგრესული ასიმილაციისა და სიბსტიტუციის შედეგადაა მიღებული. **ჭ** თანხმოვნის **ჩ** შიშინა ფშვინვიერით ჩანაცვლება შედეგი უნდა იყოს თურქულის გავლენისა; თურქულს არ მოეპოვება **ჭ** მკვეთრი ბგერა. მაგ.: ბოსტანზე **ჩიშკარი** გოუკეთებია; **ჩიშკარი** ღია დიმირჩა... პროგრესული ასიმილაციის შემთხვევაა აგრეთვე მაგალითში, როცა წინაენისმიერი მჟღერი **დ** ნაპრალოვან ყრუ **ხ** თანხმოვანთან მეზობლობაში ასიმილაციის ძალით გადაიქცევა **თ** ყრუ ფშვინვიერად. მაგ.: მე იმაზე კარქა **მივხთები** (მივხვდები → მივხდები → მივხთები); იმისი ნათქუამი ყურშუმივით მომხთა ყელზე (მომხვდა → მომხდა → მომხთა...).

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის შედეგადაა, აგრეთვე, მიღებული განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: რაცხა, ვინცხა (რაცაღა → რაცღა → რაცხა; ვინცაღა → ვინცღა → ვინცხა): ჩარში (ბაზარში) რაცხიები ევღეთ (ეყიდეთ); ვინცხას უჯერეფ და მე არა?!..

იმერხეულში დასტურდება სიტყვა „**ამაზღამ**“, რომელიც მიღებული ჩანს **ამასღამ**-ისაგან ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის შედეგად. **ღ** თანხმოვანი მჟღერადობის მიხედვით იმსგავსებს **ს**-ს და აქცევს მჟღერ **ზ** თანხმოვნად: **ამაზღამ** აქ დარჩით; **ამაზღამ** შენთან მოვდივარ (ამასღამ → ამაზღამ)...

როგორც ჩანს, იმერხეულში ჭარბობს თანხმოვანთა ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია. ჯერ კიდევ 1919 წელს ი. ყიფშიძე ქართულ-მეგრულ ენობრივ მოვლენებზე დაკვირვებით ასკვნიდა, რომ „ქართულსა და მეგრულში თუმცა ყველა სახის ასიმილაცია და დისიმილაცია გვხვდება, მაგრამ უპირატესი და დამახასიათებელნი არიან: **რეგრესული ასიმილაცია** და **პროგრესული დისიმილაცია**“ (ი. ყიფშიძე, 1919-1920, გვ. 8). შემდგომი წლების გამოკვლევებმა ცხადყო, რომ თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში საკმაო შემთხვევებია თანხმოვანთა და ხმოვანთა **პროგრესული ასიმილაციისა,** ოღონდ პროგრესული ასიმილაცია თანაბრად არაა გავრცელებული აღმოსავლურ და დასავლურ კილოებში (ბ. ფოჩხუა, 1939, გვ. 187; კ. კუბლაშვილი, 1959, გვ. 266).

ხმოვანთა ასიმილაცია ხშირად გვხვდება ზმნურ ფუძეებში. ზმნისწინისეულ ხმოვნებთან (**ა, ე, ი, ო**), ქცევისა (**ა, ი, უ**) და გვარის (**ი, ე**) ნიშანთა შეხვედრისას წარმოიქმნება საფუძველი ხმოვანთა ასიმილაციისა. გ. ახვლედიანი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ ქართულში უფრო ძლიერაა გავრცელებული პრევერბისეული **ა** ფონემის – ისევე როგორც ყველა სხვა პრევერბისეული ხმოვნის – სახეცვლილება, ვიდრე ფუძისეულისა, მეტადრე დასავლურ კილოებში (გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 284).

გვხვდება როგორც სრული, ისე ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევები. ასიმილატორული ძალით გამოირჩევა ხმოვანი **უ** (ქცევის ნიშანი), რომელიც იმსგავსებს ზმნისწინისეულ ხმოვნებს სრულად ან ნაწილობრივ.

სრული ასიმილაცია: ვარდს ფოთელი **გუუყრია**; გემი **დუუბმან**; ბორი (საყვირი) **დუუკრა**; ნაზუქი **გუუგზავნა**; ჯარი უღლიდამ **უუშვა; მუუკაფავთ** ნეკერსა (მოუკაფავთ); ამანაც **შუუთვალა** ემრულას; **უუსხამს** (აუსხამს - აუყვანია) კაცები იგზემდი (იქამდე); **მუუშენა** სახლსა დანიდამ (გვერდიდან) ახორი (მიუშენა); საქორწილოთ **შუუკერეს** საბნები...

მაგრამ იმერხეულში ასეთ პოზიციაში ჭარბობს **ნაწილობრივი ასიმილაცია**:

აუ→ოუ: თავი **გოუტეხია**; ქუა **გოუქნევია** დათვისთვინ; **ოუკიდია** ვირითვინ ბარდანი; **გოუგზავნია** სავაჭროთ; **გოდოუტანიან** სკივრები იქით...

ეუ→ოუ: **შოუტანეს** საჭმელი; **შოუხვიეს** თვალები ქალსა; **შოუკერეს** კაბები...

პრევერბისეული **ა** და **ო** ხმოვნები ფუძისეულ **ე** ხმოვანთან მეზობლობაში სახეს იცვლის **სრული ასიმილაციის** შედეგად.

აე→ეე: ფერი **წეესვა** პირზე: კურდღელ **გეევლო** გზაში; წყალსა სახლის ქომოთაი თერეფი **დეენგრია;** მოსული კაცი **დემეკითხა**; ქალსა **გეეცინა...**

ოე→ეე: გზაში **მეეტეხა** ფეჯი; შერითი (მაქმანი) კაბის ბოლოზე **მეეკერება**; ხოზიკაი **მეეკრობა** ურუბაზე (ტანსაცმელზე); თივა **მეეტანეს** (მოეტანათ) ადრიანა; კალო **მეერწყა** (მოერწყო) ნენესა; იმასა გარედამ **მეეშველნენ; მეერიდენით** თქვენაც; **გამეეგზავნა** ბაღვი (ბავშვი)... მსგავსი ვითარებაა ჯავახურშიაც (გრ. ბერიძე, 1988, გვ. 26).

სრული ასიმილაცია ხდება მაშინაც, როცა ზმნისწინისეულ **ო** ხმოვანს საარვისო ქცევის **ა** ნიშანთან შეხვედრისას ასიმილაცია მოუდის.

ოა→აა: ბაბამ **მააბრუნა** არაბაი; **წამააყენა** ფეჯზე; შეშა იქედამ **მააქვან**; თევზი **ამააგდო** წყლიდამ; წინდასა **მააბმენ** წინდიყელსა; ზუზუს (ძუძუს) **მააწვებდა** კრავსა; **გამააზრო** (გამოაძრო) დედაბერმა გარგანი; **გამაარჩიეთ** კაი ცხუარი; **ჩამააგდო** ხიდამ; **გამააგზავნა** მექთუბები (წერილები); **გამააკლდა** მილლეთში (ხალხში)... სრული ასიმილაცია გვაქვს მსგავს პოზიციაში **შე-** ზმნისწინთანაც: **შაასვენე** ჭელი; **შაატანა** ჭელი წელში; **შაატეხა** ჭარხალსა ტანები; **შააჭრა** წელზე დანა...

მსგავსი ცვლილება გვაქვს **დისტანციური ასიმილაციის** შემთხვევაშიაც: **მაგარუნიებ** (მოგარუნიებ - მოგატარებ) აქევრობასა; ასკრობას **მავარჩენ** (მოვარჩენ -დავასრულებ, დავამთავრებ); პური **მამართვან** პატინა (პატარა); ყიაში **მამადგა** სული; **ამაგაკერია** ჩაჭვი; **წამაგაღებიეს** პური; **გადმაგაღებია** ტომრიდამ ფქვილი...

ზმნისწინისეული **ა** და **ო** ხმოვნები ფუძისეულ (ფორმანტისეულ) **ი** ხმოვანთან მეზობლობაში იცვლებიან. ასიმილატორის ძალა აქვს ფუძისეულ **ი** ხმოვანს. ასიმილაცია ასეთ პოზიციაში არის **რეგრესული, ნაწილობრივი, კონტაქტურიცა** და **დისტანციურიც**:

აი→ეი: სოფლიერში საქმე არ **დეილევა**; კაცმა **დეიზინა** (დაიძინა) იგზე (იქვე); სიცხეში **დეიკარქვის** წყალი; კდარსა **გეიტანებენ** მეზელუღზე (სასაფლაოზე); „კარაქიც“ **გეგვიგონია** იმერეთში; **დეგიზველებიან** (დაგიძველებიათ) ეს სახლი; ტანტრაბიდამ **დეგვიზახა** (დაგვიძახა); მე რაზე არ **წემიყვანეთ** ბათუმ?; **გემიყვანეს** ღელეგაღმა; **ჩეგვიყვანეს** ბათომში; **დეგვიბარეს** სუდთან; **გეგვიკოჭეს** ჭელები...

ოი→ეი: ყანა გუშინ **მეიჴნა**[1]; კოტრობა (სიმინდის შემოსვლის დრო) **მეგიყვანიან** (მოგიყვანიათ); ღმერთმა ჴელი **მეგიწყოს**; გუშინ **მეგიტანა** მექთუბი (წერილი); ეს წყენა გულში **გამეიკოჭა** აჭარელმა; იმან **ამემიყვანა** გზიქჴეშიდამ; კაბაზე **მემიკერა** შერითი (მაქმანი); ნენემ **მეგიქსუა** ეგ წინდა; იმათ **წამეგიყვანეს** არაბით; სახლში **შამემიტანა** შეშა; ზირში (ძირში) **ჩამეგიყარეს** თუთა; რა **ამეგიკითხა** ქითაბში?; ბაბამ **მეგიკითხა**...

ფუძისეული (ფორმანტისეული) **ი** სხვა შემთხვევებშიც იმსგავსებს ზმნისწინისეულ **ა** და **ო** ხმოვნებს, აქცევს **ე** ხმოვნად, ასიმილატორი **ი** კი იკარგება ფუძიდან: **დევმალე** გაღმა შავ ტყეში (დავიმალე→დევიმალე→დევმალე); **ევდენ** გზაში (ავიდნენ→ევიდნენ→ევდენ); **დევნახეთ** ახრაბები (ნათესავები); **გევგონეთ** თბილისის გურჯიჯა (ქართული); ვერ **წევკითხეთ** ქითაბი (წიგნი); ბაბაი **ჩამევყვანე** ბათუმ; შეშა **ამევღეთ** მარჯილიდამ; **მევპარე** (მოვიპარე→მევიპარე→მევპარე) შენი ნათქუამი...

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ზმნური ფორმა „მევდა“, რომელიც იმერხევის სოფელ თეთრაკეთში დავადასტურეთ რამდენიმე მაგალითში. როგორც ცნობილია, აჭარულის სპეციფიკურ მოვლენად ითვლება „ვიდა“ ზმნასთან დაკავშირებული ბგერათცვლილება. კერძოდ, **-ვიდ** ზმნის ძირისეული ხმოვანი **ი** გავლენას ახდენს ზმნისწინისეულ მხოლოდ **ა** ხმოვანზე და ნაწილობრივ იმსგავსებს მას. მაგ.: წავიდა→წევიდა→წევდა; გავიდა→გევიდა→გევდა; ჩავიდა→ჩევიდა→ჩევდა. აჭარულში **ვიდ-** ზმნასთან **მო-** ზმნისწინისეული **თ** თანხმოვანი უცვლელი რჩება, მაგრამ ძირისეული **ი** – ასიმილატორი ხმოვანი კი უკვალოდ იკარგება (მოვიდა→მოვდა).

ქართული ენის დასავლურ დიალექტებში კი ზმნა „**მოვიდა**" გვხვდება „**მევიდა**" ფორმით, სადაც ძირისეული **ი** ხმოვანი ზმნისწინისეულ **ო** ხმოვანზე ახდენს გავლენას და ნაწილობრივ იმსგავსებს მას, აქცევს **ე** ხმოვნად. როგორც ჩანს, იმერხეულში, დასავლური დიალექტების მსგავსად, **ვიდ-** ზმნის ძირისეული ხმოვანი **ი** ნაწილობრივ იმსგავსებს ზმნისწინიწეულ **ო** ხმოვანს და, ამასთანავე, ზემოაჭარულის მსგავსად, ფუძისეული ასიმილატორი **ი** ხმოვანი უკვალოდ იკარგება: მოვიდა→მევიდა→მევდა. სოფელ თეთრაკეთში დავადასტურეთ მაგალითები: **მევდა** აქორდეონჯი (აკორდეონზე დამკვრელი); **მევდენ** სალაპარაკოთ; ამაზღამ **მევდეთ** თქვენთან?... მსგავსი ცვლილება ხდება მხოლოდ პირველ და მესამე პირის ფორმებთან.

ასეთივე ძალისაა **იარ** ფუძისეული **ი** ხმოვანიც. იგი იმსგავსებს ზმნისწინისეულ **ო** ხმოვანს და ნაწილობრივი ასიმილაციით აქცევს **ე** ხმოვნად. ასიმილატორი **ი** კი ფუძიდან იკარგება: ბათუმი უნდა **მევარო** (მოვიარო→მევიარო→მევარო); ბაბამ ისტანბული **მეარა** (მოიარა→მეიარა→მეარა)...

აჭარულის მსგავსად, იმერხეულშიც გვხვდება ზმნისწინისეულ **ა** და **ე** ხმოვნებსა და ქცევის **ი** ნიშანს შორის რეგრესული სრული ასიმილაცია, როცა ხმოვნებს შორის მოთავსებულია ობიექტური პირველი და მეორე პირის პრეფიქსები:

აი→აი: თვალები **დიმიფაცქუნა**; ფაციავ, მე შენ **დიგინახე**; ჴელში ვაშლი **დიმინახა**; ორი ფეთიმი (ობოლი) **დიმირჩა**; არ **დიმიჴერა** ნენემ; სახლი **გიმიკეთა**; ყალემის (ფანქრის) წვერი **წიგითალა**; კალათაში კუერცხი **ჩიგიდგა**; უმუდი (იმედი) **გიდიგვიწურეს; გიგიგონა** გამჩენელმა ღმერთმა; კიბეზე **იმიყვანა**; კალოსკე **წიმიყვანეს**; ღელის იქით **გიდიმიყუანეს.**

ეი→იი: მაგ საქმეში მე არ **შიმირიოთ**; წუღები **შიგიკერეს**; ჰიშკარი **შიმიკიდა** ღობეზე... იმერხეულისა და აჭარულის გარდა, მსგავსი ფორმები დადასტურებულია ქვემოიმერულის სამტრედიულ თქმაშიც (კ. კუბლაშვილი, 1985, გვ. 224).

აჭარულთან შედარებით, იმერხეულში ასეთი ფორმები შედარებით ნაკლებად გვხვდება. იმერხეული მსგავს პოზიციაში უმეტესად ნაწილობრივ ასიმილაციის ფორმებს ამჯობინებს, როგორიცაა: გეგვიგონია, წემიყვანეს, დეგვიბარეს, წამეგვიყვანეს, ემიტანია, გემიტანია; დემიჯერა, დეგინახე, გემიცდი, დემიწერა, ჩემილაგა...

ხმოვანთა სრული ასიმილაცია სახელებში თითქმის არ ხდება. შეგვხვდა ერთეული მაგალითები: ჩვენი **მოზობელი** ბათუმ წასულიყო; ზველათ (ძველად) პატარზალსა **დოდოფალს** ეტყოდნენ (ეძახოდნენ)...

ა ხმოვანზე დაბოლოებული სახელები ებ-იან მრავლობითში ზოგჯერ უკვეცელნი რჩებიან, **ე**-ზე დაბოლოებული ფუძეების ანალოგიით; ეს კი ნიადაგს ქმნის რეგრესული სრული ასიმილაციისათვის:

აე→ეე: ზოგ **ენეებში** სამი ხარფიც (ასოც) არი ერთი ჴმის ჩასაწერად (ენაები→ენეები); ზუელი (ძველი) **ჯუბეები** აცვიან ტანზე (ჯუბაები→ჯუბეები); პურსა **გუდეებში** ჩაჰყრიდენ (გუდაები→გუდეები); **ქვეები** მოგორავს (ქვაები→ქვეები)...

იმერხევში ბალახის სახელი „**თელეხარში**" მიღებული უნდა იყოს სიტყვისაგან „**თელახარში**" პროგრესული, სრული, დისტანციური ასიმილაციით. ცხადია, რთული სიტყვის პირველი ნაწილია „**თელა**": ხალი (მხალი) ბეღურის ჩუენსა: ფამფარაი, ღიმაი, **თელეხარში**...

ამრიგად, იმერხეულში ასიმილაცია თანხმოვნებსა და ხმოვნებში ძირითადად არის რეგრესული მიმართულებისა, როგორც ეს დამახასიათებელია თანამედროვე ქართულისათვის; ძველ ქართულში კი, როგორც ცნობილია, პროგრესული ასიმილაციაც იმდენადვე იყო გავრცელებული, როგორც რეგრესული (გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 194). იმერხეულში ხმოვანთა და თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის ერთეული (იშვიათი) შემთხვევები დასტურდება მხოლოდ.

დისიმილაცია ანუ ბგერათგანმსგავსება ბგერათცვლილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა. ამ შემთხვევაში ორი ერთგვარი ან ერთმანეთის მსგავსი ბგერიდან სიტყვაში ერთ-ერთი იცვლება სხვა ბგერად, ხდება განმსხვავებელი გადასხვაფერება. ამით მატულობს განსხვავება მათ შორის, რის შედეგადაც შესაძლოა დაიკარგოს შეცვლილი ბგერა (გ. ახვლედიანი, 1966, გვ. 165).

იმერხეულში დისიმილაცია მოუდის როგორც თანხმოვნებს, ისე ხმოვნებს, უმეტესად კი ჭარბობს თანხმოვანთა (სონორ ბგერათა) დისიმილაცია.

ლ-ლ → რ-ლ: გული **ნაკრული** ნუ დარჩებიან (ნაკლული→ნაკრული); **წრეულს** კაკლები მოზრა (მოყინა); **წრეულ** წელიწადში) სიცხიები იყო...

რ-რ → რ-ლ: თითო-**ოროლი** ალთუნი ამოდის მიწიდამ; ასკერში **ოროლი** წაველ; **რამდენჯელ** მეგიკითხე; **ბეურჯელ** ჩოუტანია ღელეში...

რეგრესული დისტანციური დისიმილაციის შედეგადაა მოცემული გეოგრაფიული სახელი - **გურნათელი** (გულნათელი→გურნათელი ლ-ლ → ლ-რ): **გურნათელი** სოფელია ჩუენსა (იმერჴევში)...

სიტყვაში **რევოლვერი** (←რევორვერი) ხდება რთული ფონეტიკური პროცესი, იკარგება მთელი მარცვალი (ვოლ), დარჩენილ ფუძეში ჯერ ხდება ხმოვანთა რეგრესული დისიმილაცია (ეე→იე) და **რ—რ** სონორთა პროგრესული დისიმილაცია: **რიველსა** წაახტება; **რიველი** დოუტიეს (რევოლვერი→რევერი→რივერი→რიველი)...

მ-მ → მ-ნ: გზა, ართვინში **მინავალი,** მისი გაკეთებულია; **მენთეური** უნდა გაჰდე? (მემთეური→მემთეური→მემთევრი→მენთევრი); წრეულაი **მენთევრობას** გვიჯება (გვიკეთებს)...

გვხვდება **ყრუ-მკვეთრთა დისიმილაციური გამყღერების** ნიმუშები:

კპ → კბ: კალო უნდა **დეიტკებნოს**; მიწა **დატკებნეს** ფეჯით...

ჭპ → ჭბ: **ჭიბოშანმა** (ჭოპოსანი → ჭიბოშანი) ხე გათალა...

შეიძლება შეგვხვდეს **ყრუ-ფშვინვიერთა დისიმილაციური გაყღერების** მაგალითებიც.

თფ → თბ: **სხალთაბლაი** სახელის სხალი გუაქ სოფელში (სხალთაფლა→ სხალთაბლა)...

იმერხეულში თურქულის გზით შემოსულ სიტყვებშიც დასტურდება თანხმოვანთა როგორც პროგრესული, ისე რეგრესული დისიმილაციის შემთხვევები:

რ-რ → რ-ლ: **თექრელ** უკან უნდა გაანგრიო (არაბ. tekrar – განმეორებით, კვლავ)...

ლ-ლ → მ-ლ: ჩუენა ერთი **სიმსილა** ვართა (არაბ. silsile – გენეალოგია, მოდგმა)...

ამრიგად, საანალიზო მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ იმერხეულში გვხვდება თანხმოვანთა როგორც **პროგრესული,** ისე **რეგრესული დისტანციური დისიმილაცია.**

ხმოვანთა დისიმილაცია პროგრესულიცაა და რეგრესულიც, კონტაქტურიცა და დისტანციურიც.

ხმოვანთა პროგრესული დისტანციური დისიმილაციის მაგალითებია:

ო-ო → ო-ე: ჰარბალი **ფოთელით** საჭმელს გავაკეთებთ; წყავი **ფოთელს** წამლათ ვიხმართ; ისენი **ფოთელაი** (ცვალებადი ხასიათის მქონე) ქალები არიან...

ა-ა → ა-ი: ანაი (დედა) **ილაპარიკებდა** ბეურსა; მარცხენა თერეფზე (მხარეს). **მაჭიხელია** (მაჭახელი – მაჭიხელი); იმ სერის გადაღმა **მაჭიხელის** სოფლებია...

ი-ი → ი-ე: ზველათ (ძველად) გურჯი იყვენ **ისენი** (←ისინი); **ისენი** ინეგოლში ჟდარან (სახლობენ)...

ხმოვანთა პროგრესული დისიმილაცია მონაწილეობს მიმართებითი ზედსართავი სახელების - **აქეური, იქეური** - წარმოქმნაში. **აქ, იქ** ადგილის ზმნიზედებს ერთვის ბოლოსართი **-ეურ** და წარმოიქმნება მიმართებითი (სადაურობის აღმნიშვნელი) ზედსართავები: **აქეური** (აქევრი), **იქეური** (იქევრი). **-ეურ** ბოლოსართით აღნიშნული მიმართებითი ზედსართავები მხოლოდ ტაო-კლარჯულ დიალექტებშია ნაწარმოები. ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტთა უმრავლესობაში დასახელებული მიმართებითი ზედსართავები ნაწარმოებია **-ურ** ბოლოსართით (შდრ. აქაური, იქაური, აქოური, იქოური, აქავრი, იქევრი).

ეუ→ეუ→ევ: აქეური ნათქუამები დადიგრათ (სამახსოვროდ) დარჩეს... **იქეური** ქალები აქეთ არ ეთხუებოდენ; **აქეურა-იქეურა** ჩუენა ვიტყვით მარტივი (მხოლოდ); **აქევრი** მედგა (ხილი) გემრიელია; **იქევრი** სილმერები დოუწავლიან... ზოგიერთი სოფლის მეტყველებაში ისმის აქევლი, იქევლი: **აქევლ** ბუღდას (პურის მარცვალს) ჯიწვი არ ექნება; **იქევლი** წყარუები მომგონდება...

რთული ფონეტიკური ცვლილების შედეგადაა მიღებული სიტყვა **მიერე** (მეორე): **მიერე** დღეს ჩამეიარა; მეიყვანა **მიერე** დღეს ერთი ჯარი (მეორე → მეერე → მიერე - ასიმილაცია, დისიმილაცია).

ხმოვანთა რეგრესული დისიმილაციის მაგალითებია:

ეა→ია: ბისკუიტსა ჩაის **შიატან**; უღელში **შივაბემდით** ჯარსა; დაბეჭილი ინსანი (ადამიანი) **შიახვიო** უნდა ნედლ ტყავში; ქილაკაში მაწონ **შიაყენებენ**; არ **შიარგო** ჭამა; გიამა კაი სიმღერები?; **შიარგო** უნდა მარიობაზე წასლა; **შიატეხა** ტანები ცაცხვსა...

რეგრესული დისიმილაციის მაგალითები გვხვდება უმთავრესად ზმნურ ფუძეებში, თუმცა იშვიათად წარმოჩნდება ხოლმე **სახელებშიც:**

ო-ო → ი-ო: ჭიბოშანმა ხე გათალა (ჭოპოსანი→ჭიბოსანი→ჭიბოშანი)...

ა-ა → ი-ა: ისტიქანი, შუშა, ბარდაღი ადნი (ერთნაირი) სიტყვებია (ისტიქანი ← რუს. стакан).

ზოგიერთ მაგალითში რეგრესული დისიმილაცია ვითარდება სრული ასიმილაციის საფუძველზე. ასეთი შემთხვევები დადასტურდა როგორც ზმნურ ფუძეებში, ისე სახელებშიც, კერძოდ:

ოე→ეე→იე: გამიექანა ჯარმა ჩემკე; ღელეში **ჩამიეტანა** ხიები; ზრუგში **წამიეკიდა** გუდა; თივა **ამიეტანა** ქორიდამ (საბძლიდან); ადრე **მიეთიბა** ჭალები...

აე→ ეე→ იე: გოგოზე თვალი **დიერჩინა;** მოსუქება **დიეტყო** ტანზე; ბაგაში **ჩიეგდო** ჯბო; ზროხა **წიეგდო** წინ; თივა **იეტანა** მარჯილით; ღელეში **ჩიეტანა** ღუარსა...

მსგავსი ფონეტიკური ცვლილება წარმოჩნდება ხოლმე **ა** ხმოვნით დაბოლოებული, ზოგჯერ უკვეცელი, ფუძეების მრავლობით რიცხვშიაც:

აე→ეე→იე: რასედ (როგორი) ზაღლია (ძაღლია), **ქიები** (რქაები→ რქეები→რქიები→ქიები) აქვო (აქვსო); **დიების** (დაების→დეების→დიების) სახელები ვერ გეიხსენა; **ზმიები** ყუელაი მოუკდა (ძმაები→ძმეები→ძმიები→ზმიები); **თიები** (მთაები→მთეები→მთიები→თიები) მაღალია იმერჯვე; **გზიები** არ დიგილია ღმერთმა! (გზაები→გზეები→გზიები).

რეგრესული დისიმილაცია ვითარდება **ე**-ზე დაბოლოებული სახელების მრავლობითი რიცხვის ფორმებშიც.

ეე→იე: ფენა **სიცივიები** დეიწყო; აქა **ქურდიკიზიები** ჟდარან (სახლობენ); **ხიები** (ხეები→ხიები) დააცურვეს სათარში; **მოსამიები** ახალმოზდე (ახალგაზრდა) იქნებიან (მოსამეები→მოსამიები - მოცეკვავეები); სკივრში სხვასედ (სხვანაირი) **რამიებიც** (რამეებიც) იყო; წრევლაი **სიცხიები** იყო; თქუენსა **ხევრაზიები** არიან?...

იშვიათად, ხმოვანფუძიანების ანალოგიით, მსგავსი ფონეტიკური პროცესი ვითარდება თანხმოვანფუძიან სახელთა ფუძეებშიც, კერძოდ: მარიამობას **ზლიები** (რძლები) ავლენ თაზე (რძლეები→ძლიები); **წყლიები** (წყლეები→წყლიები) დაშრება სიცხიეფში; **სხლიები** (მსხლეები→სხლიები) ჩამოზავებულა (ჩამოცვენილა) ჭალაში; **ბლიები** (ბლეები→ბლიები) ჯერ არ დამწიფულა...

მსგავსი ცვლილება შენიშნულია აჭარულსა და მესხურ-ჯავახურშიც (ვ. ბერიძე, 1988, გვ. 33; შ. ნიჟარაძე, 1975, გვ. 93; შ. ძიძიგური, 1970, გვ. 140); იმერხეულში დადასტურებული აქვს ნ. მარსაც (ნ. მარი, 1911, გვ. 50). ზემოაჭარულში ანალოგიური მაგალითების განხილვისას **იე** კომპლექსში **ი** ხმოვანს ინფიქსად მიიჩნევდა მკვლევარი მ. ხუბუა (მ. ხუბუა, 1932, გვ. 13). ხმოვანთა რეგრესული დისიმილაციის ანალოგიური ფორმების შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფონეტიკური პროცესის მიმდინარეობის ამ საფეხურზე (**ეე→იე**) დგას უმეტესობა იმ დიალექტური ერთეულებისა, რომელთაც იგი ახასიათებთ, ხოლო დიფთონგიზაციამდე (იე→ჲე) მიუღწევია მარტოოდენ აჭარულს (შ. ძიძიგური, 1970, გვ. 141).

ხმოვანთა რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე **მო-** ზმნისწინიან ზმნურ უძეებში საარვისო ქცევის ნიშანი **ა** განიმსგავსებს ზმნისწინისეულ **ო** ხმოვანს, ავიწროებს მას და აქცევს **უ**-დ.

ოა→უა→უა: ქოთნით შორვას (წვნიან საჭმელს) **მუადულებენ**; დაბანჩ (უცნობ კაცსა ბუკ (ბუკი - პირისახე) **მუარიდებენ**; ყანიდამ სიმინდი რით **მუაქვან** (მოაქვთ)? იმას ადვილაი **მუატყუილებენ**; ზემოდამ დამწვარ ერბოსა **მუასხმენ**... **მო-** ზმნისწინიანი ზმნების სუბიექტის პირველ პირში პირის ნიშანი იკარგება:

ოვა→ოა→უა→უა: თუთასა **მუარყევთ;** დოსა **გადმუასხამთ** კროჭში; გობმაწონას ცეცხლზე **მუათბობთ**; დაფქვილ კაკალსა ზემოდამ **მუაყრით; მუაწყევით** საქმე ზვირი (ძვირი); ზუილაი (ძლივს) **გამუაქსუე** წინდასა ტაბანი...

ზოგჯერ მსგავსი ცვლილებისას ფუძისეული **ვინ**-იც კი იკარგება: ქარში სახურავიდამ საქოლავი **გადმუარდება**; კლდიდამ ვირი **გადმუარდნილა;** ახლა **ამუა** ნერგი...

ასეთივე ცვლილება გვაქვს **-ოვ** ბოლოსართიან ზმნათა ფუძეებშიც, ოღონდ დისიმილაციას იწვევს სხვა დანიშნულების **ე** და **ა** ხმოვნები:

ჰუქუმათში (მთავრობაში) **ვითხუეთ** (ვითხოვეთ→ ვითხოეთ→ ვითხუეთ→ ვითხუეთ) იმისი გადმოსლა; სად **იპუეთ** (იპოვეთ) დაკარქული თხა?; საქონელმა **მოზუეს** ბალახი (მოძოვეს); ორ წელიწად **აწუა** (აწოვა) ზუზუ (ძუძუ); ნენემ **გუათხუა** (გვათხოვა) ყური...

მსგავსი პროცესი შეინიშნება **-ოვ** ბოლოსართიან წარმოქმნილ სახელებშიც: იქით საქონლის **საზუარი** (საძოვარი → საზუარი → საზუარი); ესა ტყუილაი **საწუარია** (საწოვარი → საწუარი → საწუარი)... საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ასეთ პოზიციაში **ო**-ს დავიწროებაში **ვ** არ მონაწილეობს; **ვ**-ს დაკარგვა დისიმილაციის პროცესამდე უნდა ხდებოდეს (ვ. თოფურია, 1925, გვ. 138).

რეგრესული დისიმილაციის შედეგად ხდება აგრეთვე **ო**-ზე დაბოლოებული სახელების **ებ**-იანი მრავლობითი რიცხვის ფორმებში ფუძისეული **ო** ხმოვნის დავიწროება:

ოე → უე → უე: მოსაფირი (სტუმარი) ბეჭრი დევდოდა (დადიოდა) ჩუენსა იმ **დრუეფში** (დროებში); **წყარუები** არ გვაკლია აქა; **ოქრუები** დაგაბეს გულზე; **ეზუები** დავგავეთ; **კალუებზე** გავლეწავთ პურსა...

ზოგჯერ ასეთ პოზიციაში **უ** ხმოვანი ისე ვიწროვდება, რომ **ვ**-დ იქცევა: **ოე → უე → უე → ვე**: **გოგვები** წყაროზე ვნახე; **კალვები** დავგავეთ; **ჯარვებში** (ხაროებში) ჩავყარეთ... ასევე ხდება **უ**-ზე დაბოლოებული სახელის

– **ძუძუ**-ს მრავლობითი რიცხვის ფორმაშიც: **ზუზვებში** (ძუძუებში) არ შეუხედავს...

მსგავსი ცვლილება შეინიშნება ზოგიერთი წარმოქმნილი სახელის ფუძეშიც: იმერხევ რახან (როდის) დეიწყება **კალვობა** (კალოობა→ კალუობა→ კალუბობა→ კალვობა)...

მსგავსი ვითარებაა ქართული დიალექტების ერთ ნაწილში (არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956, გვ. 162-169; გრ. იმნაიშვილი, 1974, გვ. 163; გრ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 49-51; შ. ნიჟარაძე, 1975, გვ. 103). გრ. იმნაიშვილი ასეთი სახის ცვლილებას ახასიათებს როგორც **დისიმილაციური ხასიათის სუბსტიტუციას** (გრ. იმნაიშვილი, 1975, გვ. 33).

ბგერათა დაყრუება. სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ბგერის დაყრუების ტენდენცია ქართული წარმოთქმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ძველიდანვე (შ. ძიძიშვილი, 1960, გვ. 70). იმერხეულშიც ხშირად შეინიშნება.

როგორც ცნობილია, ქართულში დისიმილაციური გამჟღერების გვერდით მოქმედებს **მჟღერთა** და **მკვეთრთა დაყრუების** პროცესიც. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ „ქართული ენის მჟღერები თავისებური, **ნახევრად მჟღერებია**" (გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 353-354). მჟღერის სუსტი არტიკულაცია და მჟღერობის დაბალხარისხიანობა არის იმის მიზეზი, რომ იგი შეიძლება დაყრუვდეს (ი. ქავთარაძე, 1964, გვ. 336).

იმერხეულში განსაკუთრებით ხშირია მჟღერი **ბან** და **დონ** თანხმოვნების დაყრუება სიტყვის ბოლოში: **წიგნეფ** ვკითხულობდი; ამ სექვზე (ტახტზე) რაგუარ **სვენოფ**?; მე ვერ **მომატყვილეფ**; გონჯობას ნუღარ **გემიკეთეფ**; ჯორცსა **დიგიმარილეფ**, **დიგიდეფ** თაბლაზე; წინდეფ **მომიქსუეფ**ს ბაჯალა; შოშე **გზეფ** (გზებს) გედეიბენს... **რათ** ვაქნევ იმი საქმეს! ქალი **ზიმეთ** (მძიმედ) დარჩა (მძიმედ დარჩა – დაფეხმძიმდა, დაორსულდა); თიჯას **ყალიბებათ** დაჭრიან; სხლის ტანები **მაღლათ** არი; ის კაცები **ყაჩალათ** დევდოდენ; კურცხალი მომდის **ღვარათა**; შეშას დავბეღლავთ **ლამაზათ**; მათი ბაბაი **წარეთ ავათ** არი...

ზმნურ ფორმებში მრავლობითი რიცხვის გამომხატველ **-თ** ნიშანთან უშუალო მეზობლობაში თემისნიშნისეული **ბ** თითქმის ყოველთვის კარგავს მჟღერადობას, ყრუვდება: საკერებელსა საღლამ (საღ, ახალ) წინდაზე ქუსლის ჟერზე (ადგილზე) **დავაკერეფთ**; ჯავეს (მჟავეს) იქში (იქ, შიგნით) **ჩავდეფთ**; ჯავიწსა ნაღბით **გავაკეთეფთ**; იმასა ცეცხლზე **მუათბოფთ**; თუთის ზმარში პურის ქერქებსა **დავალბოფთ**; ბაქლავასა ფურუნში **გამუაცხოფთ**...

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართულში ბგერათა მჟღერადობა სხვადასხვა ხასიათისაა. ამიტომ ზოგიერთი ბგერა შეიძლება დაყრუვდეს სხვადასხვა პოზიციაში – სიტყვის თავში, შუაში, ბოლოში (გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 355). მაგალითად, სიტყვაში **„კარგი" გ** ყრუვდება, იქცევა **ჭ**-დ: ჰადი **კარჭი** იქნება ნაღებთან; იმათთვინ **კარჭს** ამბოფს...

გ. ახვლედიანი წერდა: „**გ** გაყრუებულა ამ სიტყვაში ყრუ თანხმოვნის წინ. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგ., მიცემითში (კარგს→კარჭს; კარგთან→კარჭთან; კარგში→კარჭში) ან ყრუ თანხმოვნით დაწყებული სიტყვის წინ (კარგ საქმეს→კარქ საქმეს). ამის შემდეგ **ჭ** განზოგადებულა (გ. ახვლედიანი, 1966, გვ. 182). არსებობს განსხვავებული შეხედულებაც (შ. ძიძიშვილი, 1960, გვ. 72). **შ. ძიძიშვილს** ასეთი ცვლილება მიაჩნდა **დისიმილაციური დაყრუების**

ნიმუშად, რაც გაიზიარა ენათმეცნიერმა **ივ. ქავთარაძემ** (ი. ქავთარაძე, 1964, გვ. 340).

ბგერათა დაყრუება ხდება თურქულის გზით შემოსულ სიტყვებშიც. შეგვხვდა **დონ**-ის დაყრუების მაგალითი: ინეგოლში **თუქანი** გავხსენ (არაბ. dükkan); **თუქანში** ვიყიდევით....

ყრუვდება **ბ**-ც: **ფახირი** (თურქ. bakir - სპილენძი) ბევრი არ არი თურქიეში; **ფახირის** გუგუმებით წყალი მოქვქონდა; **ფახრაჯაში** ვხარშევდით ლობიოს (თურქ. bakraç – სპილენძის ტოლჩა); **ფახრაჯიდამ** ამეიღეს საჭმელი...

დეზაფრიკატიზაცია.

დეზაფრიკატიზაცია გულისხმობს აფრიკატის დაშლას. აფრიკატი კარგავს ხშულობის ელემენტს და იქცევა სპირანტად. იმერხეულში არის **წ** აფრიკატის დეზაფრიკატიზაციის (დაშლის) მაგალითები. ეს პროცესი მიმდინარეობს ისეთ სიტყვა-ძირებში, სადაც **წ** აფრიკატი მოსდევს **ს** თანხმოვანს. ამ შემთხვევაში **სწ→სტ**; აფრიკატი იშლება. ასეთი სიტყვის ძირში თავს იყრის **სტს** - თანხმოვანთა ჯგუფი. აფრიკატისეული **ს** თანხმოვანი იკარგება: **მევესტარით** ამ დროსაც; ბაბაო, დოხტურსა **მიმასტარო,** უთხრა შვილმა; როდის **მეესტრობა** ქათმის შეწვა?; შოშე გზაში **ჩოუსტრეს** მოსაფირსა; მახანთი (მახანში, ამასობაში) **გამასტრო** კაცმა... **სწ** კომპლექსის დეზაფრიკატიზაცია სპეციალურ ლიტერატურაში ახსნილია ქართულისათვის უჩვეულო **სტს** თანხმოვანთა კომპლექსის გამარტივებით.

არის ერთეული მაგალითები, სადაც **წ** აფრიკატის დაშლის შედეგად ფუძეში დარჩენილია **ს** სპირანტი, მკვეთრი **ტ** თანხმოვანი კი დაკარგულია. მაგ.: ცერცვი თავის ქეჩბოში **დამსკრივებულა** (დამწკრივებულა); ჯარი გზაში **დამსკრივებული** იყო...

ც აფრიკატის დაშლის შედეგად უნდა გვქონდეს მიღებული სიტყვა „**თისარტყელა**": **თისარტყელა** წუიმას მოდევს; **თისარტყელა** შუიდფერია; **თისარტყელას** გადავჰყვეთ ჰუდუდზე (საზღვარზე) და გადმოვდეთ აჭარას...

იმერხეულში, აჭარულის მსგავსად, გვხვდება **ცდ** კომპლექსის **ზდ** კომპლექსით შეცვლის შემთხვევები. ეს ხდება რთული ფონეტიკური ცვლილებების საფუძველზე. კერძოდ: **ცდ→ძდ→ზდ**: რეგრესული, კონტაქტური, ნაწილობრივი ასიმილაციით სისინა აფრიკატი **ც** გადაიქცევა **ძ**-დ. შემდეგ კი ხდება **ძ** აფრიკატის სპირანტიზაცია, დეზაფრიკატიზაცია, რის შედეგადაც მივიღებთ **ზ** მჟღერ სპირანტს. მაგ.: **სამოზდახუთი** წლისა მევყარე; ეს სოფელი **სამოზდაათი** კვამლია; მაშინა **ოზდახუთი** წლისა ვიქნებოდი...

მეტათეზისი.

მეტათეზისი სიტყვაში ბგერათა ისტორიული წყობის ცვლილებას, ბგერათა ადგილის შეცვლას გულისხმობს. ბგერათა გადასმა ძირითადად სონორ თანხმოვნებს ახასიათებს. თანხმოვანთა სონორობა გარკვეულად ხელს უწყობს ამ პროცესს (გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 360; ჰ. ფოგტი, 1961, გვ. 16).

იმერხეულში ბგერათა გადასმის პროცესი სხვა ქართულ დიალექტებში დადასტურებული შემთხვევების ანალოგიურია და, ამასთანავე, არცთუ ისე გავრცელებული; იშვიათად გვხვდება ხოლმე. სიტყვაში ადგილს იცვლიან სონორი ბგერები – **ლ, მ, რ**: გორებიდამ **ღურბელი** ეიკრიფა; შავი **ღურბელი** იყო ცაზე; დასამობში (სოფელია იმერხევში) **ღურბელა** ყურზენი იცოდა; ხაჩი (ჯვარი) **ზღრუბლზე** იყო ამოჭრილი; კარის **ზღრუბლზე** გადაწელეს კაცი (**ზღურბლზე**); ფენა **ღმერიან** (კარგად მღერიან) ახალმოზდები; ზუელი (ძველი)

სიღმერებიდამ ეს დაგვრჩომია მარტივი; ჩუენ სოფელში **გერმიელი** ქლიავები იცის; ჩუენსა დარჩომილიყავით, **გერმიელათ** ვილაპარაკებდით ამეზღამ **(გემრიელი□გერმელი)**. ზემოაჭარულში მეტათეზისით შეცვლილ ამ სიტყვაში დაკარგულია ფუძისეული **ი** ხმოვანი: გერმიელი→გერმელი); ტყეში იზდება წაბლი, **ცხრემლა** (ცხემლა, შდრ. რცხილა); გემი **დუუმბიან** (დაუბამთ) ზღუის ქენერში (ნაპირში); ცხენი ჭალაში მყავს **დამბული** (დაბმული); **ზრუგით** მოჭონდა ჭვირთი; ჰუქუმათმა (მთავრობამ) **ზრუგში** აგვაზრო ტყავი...

საურთიერთო მეტათეზისის მაგალითები: შენი ახრაბა (ნათესავი) **გათვარიელებს** ოთხთვალითა-თქო, უთხარი იმათა; ავალთ მაღალ სერზე და **ვათვარიელებთ** აჭარას; **ჰერტალი** ვერ გოუკეთებია (ხელტარი→ხერტალი); **ჰერტალმა** ჰელი დამგალა...

იმერხეულში აქცესიურ **ხს** კომპლექსში ადგილს იცვლის **ს** თანხმოვანი და პროგრესული მეტათეზისით გვაქვს **სხ** კომპლექსი: **გავსხენით** ზედაი კარები; სოფელში **გასხნილი** მჭონდა თუქანი; კაი იქნა, **გასხნეს** სარფის კარი; **სასხნელაი** (გამოცანა) ბეური ვიცოდით პატიტვანებმა; იმათა ბევრი **სასხნელაი** ავერ **ასხნეს**...

მეტათეზისით სიტყვა **„ლექსი"** წარმოჩნდება უჩვეულო ფორმით – **ლესკი.** ამასთანავე, **ქ→კ,** ხდება სუბსტიტუცია: ვირის პატრონსა ერთი **ლესკი** გამოუთქუეს; **ჩამუალესკიოთო** მევლუდა ღაღანიზესაო, თქუეს იფჯრევლელებმა; ერთი **ლესკი** ამოვწეროთ მაღალ ხალღი ზეგნიდამა; **ლესკეფში** დარჩება ჩემი სახელი...

ამრიგად, საუკუნეთა მანძილზე დედაენის კალთას ჩამოშორებულ იმერხეულ კილოში ქართული ენის განვითარების შინაგანი კანონების მოქმედების შესაბამისად განხორციელებულა ფონეტიკური პროცესები. ამიტომაც იმერხეველთა ქართულში დღესაც ცოცხალი ფონეტიკური ცვლილებანი ზოგად-ქართული ბუნებისაა; კერძოდ, ქართული ენის დიალექტებში არსებული ფონეტიკური მოვლენების ანალოგიურია. გვხვდება ბგერათა დაკარგვისა და გაჩენის, სუბსტიტუციის, რედუქციის, ასიმილაციისა და დისიმილაციის, ბგერათა დაყრუების, მეტათეზისის, დეზაფრიკატიზაციის... ნიმუშები. გამოვლენილია საკუთრივ იმერხეულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფონეტიკური სახეცვლილებანიც.

ფონეტიკურ პროცესებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ საუკუნეთა მანძილზე არა მარტო გაბატონებული თურქული ენა ახდენდა გარკვეულ გავლენას მის დაქვემდებარებაში მყოფ იმერხეველთა ქართულის ფონეტიკურ სისტემაზე, არამედ გარკვეულწილად ქართული ენაც ზემოქმედებდა ხოლმე იმერხეველთა სახელმწიფო ენაზე (იმერხეველთა თურქულზე) და ქართული ენის ბუნების შესაბამისი ელემენტები შეჰქონდა თურქულის ენობრივ სტრუქტურაში. ეს კარგად ჩანს თურქული ენის ართვინული დიალექტის კილოკავებში, სახელდობრ კი, შავშეთის თურქულში (იმერხეველთა თურქულში), რაც შენიშნული აქვთ თურქ ენათმეცნიერებსაც (Turg. Acar, 1991).

ქართულ-თურქული ენობრივი კონტაქტები საინტერესო ლინგვისტურ სურათს ქმნის თურქეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე რეგიონებში. ამ მხრივ იმერხეული ქართული სანიმუშოა, რომლის აღნიშნული თვალსაზრისით შესწავლა სამომავლო ამოცანად გვესახება.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. ახვლედიანი, 1949 - გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.

გ. ახვლედიანი, 1966 - გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1966.

გრ. ბერიძე, 1988 - გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988.

ნ. გურგენიძე, 1973 - ნ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბ., 1973.

ნ. გურგენიძე, 1976 - ნ. გურგენიძე, ნასესხები სახელების ფუძეთაგან ზმნის წარმოქმნა მესხურ დიალექტში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბ., 1976.

ვ. თოფურია, 1925 - ვ. თოფურია, ქართლური, არილი, ტფ., 1925.

ვ. თოფურია, 1930 - ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში: II. ბგერით მოვლენათა თანამიმდევრობა: ტუმ, 10, თბ., 1930.

ვ. თოფურია, 1946 - ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იკე, I, თბ., 1946.

გრ. იმნაიშვილი, 1966 - გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბ., 1966.

გრ. იმნაიშვილი, 1974 - გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974.

კ. კუბლაშვილი, 1959 - კ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში: ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. 19 , ქუთაისი, 1959.

კ. კუბლაშვილი, 1985 - კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985.

ნ. მარი, 1911 - Н. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, см. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. 7, С-Петербург, 1911.

არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, 1956 - არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.

შ. ნიჟარაძე, 1961 - შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961.

შ. ნიჟარაძე, 1964 - შ. ნიჟარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964.

თ. უთურგაიძე, 1976 - თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

ჰ. ფოგტი, 1961 - ჰ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961.

ბ. ფოჩხუა, 1939 - თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია დასავლურ კილოებში: თსუ შრომები, ტ. 10, თბ., 1939.

ტ. ფუტკარაძე, 1998 - ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998.

ტ. ფუტკარაძე, 1986 - სახელის ფორმაწარმოების თავისებურებანი ქართული ენის სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1986.

ი. ქავთარაძე, 1964 - ი. ქავთარაძე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბ., 1964.

ი. ჭობალავა, 1958 - ი. ჭობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში: იკე, ტ. 9-10, თბ., 1958.

ი. ყიფშიძე, 1919-1920 - ი. ყიფშიძე, ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში: ტუმ, I, ტფ., 1991-1920.

ა. შანიძე, 1957 - ა. შანიძე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957.

ა. შანიძე, 1973 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

არნ. ჩიქობავა, 1925 - არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: არილი, ტფ., 1925.

არნ. ჩიქობავა, 1937 - არნ. ჩიქობავა, ს ბგერის დასუსტება ქიზიყურში: ენიმკის მოამბე, ტ. I, თბ., 1937.

არნ. ჩიქობავა, 1942 - არნ. ჩიქობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში: სმამ, ტ. III, №2, №3, თბ., 1942.

მ. ძიძიშვილი, 1960 - მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბ., 1960.

შ. ძიძიგური, 1970 - შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970.

მ. ხუბუა, 1932 - მ. ხუბუა, ზემოაჭარულის ენობრივი მიმოხილვა, ბათუმი, 1932.

ს. ჯიქია, 1958 - ს. ჯიქია, მე-18 საუკუნეში შედგენილი თურქული სასწავლო წიგნი: ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბ., 1958.

ACAR TURGUT, Influence of Georgians Language on ARTVIN dialects, იხ., ბათუმისა და სამსუნის უნივერსიტეტების ერთობლივი კონფერენციის მოსაწვევი ბარათი და მუშაობის გეგმა, ბათუმი, 1991 წელი.

SHUSHANA PUTKARADZE

PHONETIC PROCESSES IN THE IMERKHEVIAN DIALECT

Being separated from the literary language for centuries the Imerkhevian dialect of the Georgian language appears to have undergone the phonetic changes according to the common innate laws of the mother tongue. Live phonetic changes of the modern day Imerkhevian reveal common Kartvelian nature. Namely, phonetic changes are analogous to those sound transformations occurring to other Georgian dialects. These are: typical sound loss and emergence, substitution, reduction, assimilation and dissimilation, voiced consonant shift into voiceless ones, metathesis, loss of fricativeness, and other examples. In addition to these there are specific phonetic alternations characteristic to the Imerkhevian dialect proper.

The observation on phonetic changes made it clear that not only the Imerkhevian Georgian had undergone the Turkish language influence but also the Turkish of Imerkhevians imported Georgian language elements. The latter influence is most vividly traced in Artvin dialects of the Turkish language, particularly in Shavshetian, which is attested by Turkish linguists as well.

Georgian and Turkish language contacts provides interesting picture in the adjacent regions of the state borders. In this respect Imerkhevian Georgian can serve an example that deserves further comprehensive investigation.

გიორგი ქავთარაძე

იბერიის სამეფოს წარმართული პანთეონის საკითხისათვის

"ქართლის ცხოვრებაში" მეცნიერ კაცთა მიერ ჩართული დამატების, "ანდრია მოციქულის ქადაგება საქართველოში" ჩანართის (BP'b) თანახმად, აწყვერს (თანამედ. მდ. აწყური) მოსული ანდრია პირველწოდებული შეჩერებულა *"ადგილსა ერთსა, სადა იგი იყო ტაძარი საკერპო"* (ქც, I, 39:27-29 - აქ და ქვემოთ - ს. ყაუხჩიშვილი, 1955). იმავე ჩანართის სხვა ადგილას აწყვერში მდებარე ამ ტაძრის თაობაზე ნაუწყებია, რომ "...იყო ქალაქსა მას შინა ბომონი საკერპო, რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთნი მათნი არტემი და აპოლონ" და რომ "აპოლონ და არტემი არიან დიდნი ღმერთნი" (ქც, I, 41:4-5, 8). ცხადია, რომ ეს "დიდნი ღმერთნი აპოლონ და არტემი" ბერძნულ-რომაული პანთეონის ღვთაებები - აპოლონი და არტემიდეა (რომაული Apollo და Diana).

"ქართლის ცხოვრების" ზემოაღნიშნული ჩანართის მიხედვით, ახ. წ. I საუკუნის შუახანების ქართლის ანუ იბერიის სამეფოს დასავლეთ ნაწილში დამკვიდრებული ყოფილა აპოლონისა და არტემიდეს კულტი — აქ მათ სახელზე ნაგები ტაძარია და აქვე ადგილი ჰქონია მათ კულტმსახურებას. ბუნებრივია კითხვა: რა ვითარება უნდა ყოფილიყო ამ მხრივ იბერიის სამეფოს დედაქალაქში, მცხეთა-არმაზციხეში, სადაც, ქართული მატიანეების თანახმად, აღმართული იყო ქვეყნის ძირითადი ღვთაებების გამოსახულებები.

მართალია, ამ ღვთაებებს შორის – **არმაზი, ზადენი, გაცი, გაიმი** ("მოქცევაჲ ქართლისაჲს" - გა), **აინინა, დანინა** – არ არის დასახელებული არც **აპოლონი** და არც **არტემი** (არტემიდე), მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, ზემოხსენებული ჩანართის ინფორმაცია ქართლში აპოლონისა და არტემიდეს კულტის არსებობის შესახებ ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ეს ღვთაებები მოიხსენიებიან როგორც *"დიდნი ღმერთნი"*. სავარაუდო ხდება, რომ მცხეთა-არმაზციხის ზემოჩამოთვლილ ღვთაებათა შორის სხვა სახელწოდებით ყოფილიყვნენ ნაგულისხმევი აპოლონი და არტემიდე. იმის გათვალისწინებით, რომ აპოლონი და არტემიდე ტყუპ ღვთაებებს წარმოადგენენ, განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა იპყრობდეს ღვთაებათა წყვილი გაცი და გაიმი; ორივე ეს კერპი ხომ ყოველთვის ერთმანეთისაგან განუყოფლად და ერთ კონტექსტში მოიხსენიება ხოლმე.

"წმიდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის" ცნობით, *„...კუალად* (არმაზისა – გ. ქ.) *იყო მარჯუენით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი; და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვეცხლისა, და სახელი მისი გაიმ, რომელნი-იგი ღმერთად უჩნდეს ერსა მას ქართლისასა"* (ქც, I, 89:17-90:1-2). იმავე ტექსტის XII ს-ის სომხური თარგმანის (ორიგინალის შემოკლებული ვარიანტის) მიხედვით საუბარია არა კონკრეტულად "კაცზე", არამედ ზოგადად გამოსახულებაზე: *"მისგან მარჯვნივ იდგა ოქროს გამოსახულება სახელად გაცი, და მის მარცხენა ხელთან ვერცხლისა - სახელად გაიმი"* (ქც-ის სომხური თარგმანი, 47 - აქ და ქვემოთ – ილ. აბულაძე, 1953) და, შესაბამისად, მასში შესაძლოა ქალღმერთიც ყოფილიყო ნაგულისხმები. სომხურ თარგმანს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება

ქართული მატიანის ტექსტის პირვანდელი სახის დადგენისათვის, ვინაიდან *ქართლის ცხოვრების* ყველაზე ადრეული მანუსკრიპტი, რომელმაც კი მოაღწია ჩვენს ხანამდე, ანა დედოფლის ხელნაწერია და იგი XV ს-ით თარიღდება (ანასეული ნუსხის სავარაუდო თარიღი თავსდება 1479 და 1495 წწ. შორის) (ს. ყაუხჩიშვილი 1955, გვ. 015; Toumanoff, 1947, გვ. 340-344), მაშინ როდესაც "ქართლის ცხოვრების" XII ს-ის სომხური თარგმანის ყველაზე ადრეული მანუსკრიპტი თარიღდება XIII საუკუნით (Thomson, 1996,5; Rapp, 1998,3). ილ. აბულაძის თანახმად, მისი თარიღი 1279 და 1311 წწ. შორის უნდა ეჭცეოდეს (ილ. აბულაძე, 1953, გვ. 020).

ოქროს და ვერცხლის მცხეთურ კერპებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია კლასიკური ხანის დოლიხეში (თანამ. დიულიუქი, გაზიანთეფეს ჩრდილოეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში) მიკვლეული ბრინჯაოს ფილა, რომელზედაც ერთმანეთის გვერდით გვხვდება *Apollo Citharoedus*-ის და მისი დის *Diana Lucifera*-ს (ანუ ბერძნ. არტემიდეს) გამოსახულებები მზისა და მთვარის სახით. ორივე ეს ასტრალური ღვთაება დოლიხეს ფილაზე განლაგებულია ვარსკვლავებით გარემოცული ცისა და დღის შუქის ღვთაების იუპიტერ დოლიხენუსის (*Iuppiter Optimus Maximus Dolichenus*) ფერხთით (Speidel ,1980, 5, 12, 16-17, fig. 31).[1] დიანა მიჩნეულია "სოლარული" აპოლონის "ლუნარულ" პარტნიორად, რომელსაც ამ უკანასკნელთან ერთად ზუსტად განსაზღვრული მუდმივი დოქტრინალური მდგომარეობა ეკავა იუპიტერ დოლიხენუსის თეოლოგიაში (Speidel, 1978, გვ. 22-23). ამასთანავე, გაცისა და გაიმის ოქროსა და ვერცხლის გამოსახულებებს (რაც ალბათ მათ ანალოგიურ "სოლარულ" და "ლუნარულ" ბუნებაზე უნდა მიგვანიშნებდეს) ახასიათებთ ასევე მკაფიოდ გამოხატული დაქვემდებარებული პოზიცია არმაზისადმი, შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, თავის მხრივ ამ უკანასკნელის ხასიათშიც ხომ არ უნდა ვეძიოთ იუპიტერისათვის დამახასიათებელი ნიშნები. აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, ორმუზი, ანუ არმაზ, იგივე იუპიტერია (Такайшвили, 1906-1912, გვ. 663).

"წმიდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევის" მიხედვით, არმაზის კერპი აღწერილია, როგორც: *"...კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭჭ ოქროსი, და თავსა მისსა ჩაბალახი მყარი, და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი, და ჴელთა მისთა აქუნდა ჴრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა, და იქცეოდა ჴელთა შინა..."* (ქც, I, 89:9-11). იგივე ტექსტი სომხურ თარგმანში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: *"...კაცი შემოსილი ბრინჯაოს გულსაფარით და ოქროს მუზარადით, თვალები შემკული ჰქონდა ზურმუხტითა და ბივრილით, ხელში ეკავა მახვილი, მსგავსი ელვათა კონისა. ამოძრავებდა მას და შიშში აგდებდა შეკრებილთა..."* (47). განსაკუთრებით საინტერესოა არმაზის თავსაბურავის აღწერა, როგორც "მყარი ჩაბალახისა" (ქც, I, 89:10). ზედსართავი "მყარი" არმაზის კერპის თავსაბურავთან მიმართებით მართებული იქნებოდა, თუკი საქმე გვექნებოდა "ფრიგიული ჩაჩის" მსგავს საგანთან და არა საკუთრივ ქართული ტიპის "ჩაბალახთან" (ყაბალახი).

"ელვათა კონა", "მახვილი", "ჯავშანი" ("ქერცლიანი-ჯავშანი" ან "გულსაფარი"), ფრიგიულ ჩაჩთან ერთად, რომაელ სამხედროთა (და არა

[1] აღსანიშნავია, რომ ოქროსა და ვერცხლის ინვენტარი ფართოდ იყო გამოყენებული იუპიტერ დოლიხენუსის კულტმსახურებაში (Speidel, 1980, 17).

მხოლოდ მათი) ღვთაების, იუპიტერ დოლიხენუსის დამახასიათებელი ნიშნებია (იხ., მაგ., Speidel, 1980, 9, 11, 18-20, Abb. 1, 7, 9, 11, 21, 38, 41). ეს ღვთაება იგივე სირიული ღვთაება ***Hadad***-ია დოლიხედან, რომელიც, თავის მხრივ, ხურიტული ანდა ხეთური პანთეონის ქარიშხლის ღვთაებიდან იღებდა სათავეს (Speidel, 1980, 6-9, Abb. 3, 8), ისევე როგორც, სავარაუდოდ, თვით არმაზის თავდაპირველი ემანაციისა – ელვისა და ჭექა-ქუხილის მთის მწვერვალის ანატოლიური ტიპის ადგილობრივი ღვთაებისა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ იბერიის ღვთაება **არმაზი** ავლენს რომის იმპერიის უზენაესი ღვთაებისათვის — იუპიტერისათვის, ხოლო არმაზის თანხმლები კერპები — **გაცი** და **გაიმი (გა)** — იუპიტერისადმი აშკარად დაქვემდებარებულ აპოლონისა და დიანასათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ნიშან-თვისებას. იბერიის სამეფოს პანთეონი, როგორც ჩანს, სინკრეტული ხასიათის ღვთაებებისაგან შედგებოდა. იგი იმთავითვე დაკავშირებული ჩანს გვიანაქემენიდური-ადრეელინისტური ხანის აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სინკრეტული ხასიათის კულტურულ სამყაროსთან და, ამისდა შესაბამისად, არმაზის კულტიც ძველახლოაღმოსავლური, აქემენიდური და ელინისტური ეპოქებისათვის დამახასიათებელი სინკრეტიზმის ანაბეჭდს ატარებდა. დამახასიათებელია, რომ საბერძნეთში მდებარე, სტრატოსის ე.წ. მთის ღვთაება, ბერძნების მიერ *სტრატიოსის ზევსად* სახელდებული, სპარსელთა მიერ აჰურა-მაზდასთან იყო გაიგივებული (იხ.: Canby ,1987, გვ. 714).

იბერიის სამეფო პანთეონის სინკრეტული ხასიათი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო გამდიდრებული იყო რომის რელიგიური წარმოდგენებისათვის დამახასიათებელი ნიშნებით[2]. ცენტრალური ამიერკავკასიის მოვლენებში რომაელთა ინტენსიურ მონაწილეობას (Kavtaradze, 2001, გვ. 204-224; გ. ქავთარაძე, 2003, გვ. 112-127), შესაბამისად, თავისი კვალი უნდა დაემჩნია ადგილობრივ სულიერ სამყაროზეც, კერძოდ, რელიგიურ წარმოდგენებზე.

იუპიტერ დოლიხენუსი იყო "მთელი სამყაროს დამცველი", რომის მთელ იმპერიაში საყოველთაოდ გავრცელებული კულტი, რომელიც რომაელთა ხელისუფლებისა და მათი იმპერატორის ძირითადი მხსნელი იყო და ამავე დროს აღმოსავლეთის მიმართულებით რომაული ძალაუფლების გავრცელების ხელშემწყობი (Speidel, 1980, 5, 7, 9, 15, 18, Abb. 4; Schwertheim, 1991, 40); შესაბამისად, რომაული პანთეონის ზემოქმედების კვალის არსებობა იბერიის დედაქალაქში, რომელსაც რომის იმპერატორის ვესპასიანეს მიერ აგებული გალავანი იცავდა (თ. ყაუხჩიშვილი, 1976, გვ. 241-244; Halfmann, 1986, გვ. 48), მოულოდნელი არ უნდა იყოს.

---

[2] თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია აზრი, არმაზის წარმომავლობის თაობაზე ირანული აჰურა-მაზდასაგან, რაც ამ ორი ღვთაების სახელწოდებათა ფონეტიკური მსგავსებით უნდა აიხსნას და გარკვეული ისტორიული მოვლენის, ქართლში აქემენიანთა გაბატონებისა და ირანელთა მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-რელიგიური ზეგავლენის გამოძახილი უნდა იყოს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ცეცხლთაყვანისმცემლობის ადვილად შესამჩნევი ზეგავლენა ქართულ კულტურულ, რელიგიურ თუ ენობრივ სამყაროზე ძირითადად სასანიანთა სპარსეთის დროისაა და ახ. წ. IV-VII სს. უნდა დათარიღდეს. ამ მემკვიდრეობაში ისევე მცირეა აქემენიანთა დროინდელი რელიგიური წარმოდგენების ნაკვალევი, როგორც, მაგალითად, გ. ლეონიძის პოემაში "ბავშვობა და ყრმობა", სადაც ზარათუშტრას მსოფლმხედველობასთან მსგავსება არა ქართულ ყოფაში არსებული მაზდეანური ხასიათის დანაშრევებით არის განპირობებული, არამედ უპირატესად ფრიდრიხ ნიცშეს ნაწარმოების "ასე ამბობდა ზარათუსტრა" ზეგავლენით.

დამოწმებული ლიტერატურა

ილ. აბულაძე, 1953 - ილ. აბულაძე, ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა, თბ., 1953.

გ. ქავთარაძე, 2003 - გ. ქავთარაძე, იბერიის სამეფოს "არსებობის არსი" ძველი საისტორიო წყაროების მიხედვით: ჟურნ. *"მნათობი"*, 7-8, 2003.

თ. ყაუხჩიშვილი, 1976 - თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.

ს. ყაუხჩიშვილი, 1955 - ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, I, თბ., 1955.

Такайшвили, 1906-1912 - Е. Такайшвили, *Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения»*, том II, вып. 1-4. Издание управления Кавказского учебного округа. Тифлис: Типография К. П. Козловского, 1906-1912.

Canby, 1987 - J. V. Canby (Rev.) R. Donceel & R. Lebrun. Archèologie et religions de l'Anatolie ancienne. Mèlanges en l'honneur du professeur Paul Naster, - *Bibliotheca Orientalis*, Jaargang XLVI, ¾, Mei-Juli 1987, pp. 712-720.

Halfmann, 1986 - H. Halfmann, Die Alanen und die römische Ostpolitik unter Vespasian. - *Epigraphica Anatolica,* Zeitschrift für Epigraphik und historische Geographie Anatoliens, Heft 8, 1986.

Kavtaradze, 2001 - G. L. Kavtaradze, Georgian Chronicles and the raison d'ètre of the Iberian Kingdom (Caucasica II), – *Orbis Terrarum*, Journal of Historical Geography of the Ancient World 6, 2000. Stuttgart: Franz Steiner Verlag, 2001, pp. 177-237.

Rapp, 1998 - St. H. Rapp (Ed.), *K'art'lis c'xovreba. The Georgian Royal Annals and their Medieval Armenian Adaptation.* Vol. II. Anatolian and Caucasian Studies. Delmar, New York: Caravan Books, 1998.

Schwertheim, 1991 - E. Schwertheim, Iupiter Dolichenus, der Zeus von Doliche und der kommagenische Königskult, in: *Studien zum antiken Kleinasien: Friedrich Karl Dörner zum 80. Geburtstag gewidmet.* Asia Minor Studien, Bd. 3. Bonn: Habelt, 1991..

Speidel, 1978 - M. P. Speidel, *The Religion of Iuppiter Dolichenus in the Roman Army.* Leiden: E. J. Brill, 1978.

Speidel, 1980 - M. P. Speidel, *Jupiter Dolichenus. Der Himmelsgott auf dem Stier.* Stuttgart, 1980.

Thomson, 1996 - R. W. Thomson, *Rewriting Caucasian History. The Medieval Armenian Adaptation of the Georgian Chronicles.* The Original Georgian Texts and the Armenian Adaptation. Translated with Introduction and Commentary by R. W. Thomson. Oxford: Clarendon Press, 1996.

Toumanoff, 1947 - C. Toumanoff, The Oldest Manuscript of the Georgian Annals: The Queen Anne Codex (QA), 1479-1495. - *Traditio*, V. Studies in Ancient and Medieval History, Thought and Religion. New York, 1947.

GIORGI KAVTARADZE

ON THE PAGAN PANTHEON OF THE IBERIAN KINGDOM

Ancient pantheon of Iberian Kingdom seems to have the deities with syncretic nature. Originally this pantheon was related to the late Achaemenian and the early Hellenistic perid of eastern Mediterranean world of syncretic culture, which became further enriched with religious beliefs of the Roman culture.

ჯამბულ ქაშიბაძე

პარალელები ჭანის ერისთავთა საგვარეულო მატიანესა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ სადადიშქელიანო სვანეთში მოპოვებულ მასალებს შორის სვანეთის სამთავროს წარმოშობის საკითხთან მიმართებით

ცნობილია, რომ გვიანი შუასაუკუნეების მიწურულისათვის სვანეთის შიგნით რამდენიმე პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული შეიქმნა. კერძოდ, ზემო სვანეთის ბალსქვემო ნაწილში სვანეთის მცირე სამთავრო (სადადიშქელიანო) ჩამოყალიბდა, ბალსზემო ნაწილში თემმა შეძლო თვითორგანიზაცია ფეოდალურ საწყისებზე და თავისუფლება შეინარჩუნა, ხოლო ქვემო სვანეთში ლაშხეთისა და ჩოლურის თემებში გელოვანთა და გარდაფხაძეთა ფეოდალური სახლები გაბატონდნენ, ლენტეხის თემს კი დადიანები დაეუფლნენ.

აღნიშნულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის ჩვენს ამჟამინდელ ინტერესთა სფეროში მხოლოდ სადადიშქელიანო, ზემო სვანეთის ბალსქვემო ნაწილი შეადგენს. ჩვენი მიზანია განვსაზღვროთ, თუ რა პირობებში ხდება აქ სვანეთის მცირე სამთავროს ჩამოყალიბება. ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო ინფორმაციას იძლევა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1910 წელს ლეჩხუმ-სვანეთში განხორციელებული არქეოლოგიური ექსპედიციის დროს სადადიშქელიანო სვანეთში, კერძოდ სოფელ ყურაშში შეკრებილი მასალები აქ არსებული დადიშქელიანთა საგვარეულო ეკლესია-საძვალეს შესახებ.

ექვთიმე თაყაიშვილი გვიამბობს, რომ „მახლობლად სოფელ ბარშისა არის სოფელი ყურაში, რომლის პატარა ეკლესია ყოფილა წინანდელი სასაფლაო დადიშკელიანებისა... ყურაშის სასაფლაოზე ა. სტოიანოვი (რუსი მოხელე, რომელმაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იმოგზაურა სვანეთში — ჯ.ქ.) აღნიშნავს უძველეს სასაფლაოს დიდ ქვას, რომლის ქვეშ რკინის ნაჭერი ემჩნევაო. ამ რკინის კუბოში, განაგრძობს სტოიანოვი, განისვენებს უძველესი დიდი ოთარი, მესამე მამთავარი დადიშკელიანებისა, მაგრამ ხალხს უკვე დაავიწყდა მისი სახელი და ჰგონია, აქ ვიღაც ძველი გოლიათი არის დამარხულიო.

როგორც გავიგეთ, ეს საფლავი შემდეგ გაუხსნიათ. მიცვალებული, კუბოს მაგიერ, ორ დიდ ქვაბში ყოფილა მოთავსებული, ქვაბის თავები ერთი ერთმანეთზე ყოფილა მიდებული: ეს ის ქვაბებია, რომელიც ეხლა დადიშკელიანების ხის სახლის ბალკონის ქვეშ არის დაცული. მიცვალებული მდიდრული ტანისამოსით და იარაღებით ყოფილა დასაფლავებული“ (ე. თაყაიშვილი, 1991, გვ. 464).

ზემოთ მოყვანილი, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ სადადიშქელიანო სვანეთში, კერძოდ სოფელ ყურაშში, მოპოვებული მასალა მრავალმხრივ ეხმიანება ჭანის ერისთავთა საგვარეულო მატიანის „ძეგლი ერისთავთას“ ცნობებს და მათ შორის მრავალი მსგავსება შეინიშნება. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ, როცა ჩვენ ვიკვლევდით სვანეთის სამთავროს წარმოშობის საკითხს, ხაზი გავუსვით მრავალ მსგავსებას ჭანის ერისთავთა საგვარეულო მატიანის ცნობებსა და მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოხუცებულთაგან, კერძოდ თათარყან დადიშქელიანის მიერ დადიშქელიანთა ფეოდალური გვარეულობის შესახებ ჩაწერილ ლეგენდას შორის (ჯ. ქაშიბაძე, მ. მურუსიძე, 2006, გვ. 212). როგორც ჭანის ერისთავთა საგვარეულო მატიანის, ასევე დადიშქელიანთა გვარეულობის

შესახებ არსებული ლეგენდის მიხედვით, შინააშლილობის პირობებში გაზრდილი საგარეო საფრთხისაგან შეჭირვებულ მოსახლეობას უცხო ქვეყნიდან მოსული გოლიათური აღნაგობის პირები („ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით - ოსი როსტომი, ხოლო თათარყან დადიშქელიანის მიერ ჩაწერილი ლეგენდის მიხედვით - ყუმიყის ფუეში) უწევენ სამხედრო დახმარებას, რის შედეგადაც ორივე მათგანი ადგილობრივ მკვიდრთა თანხმობითა და იმავე ადგილობრივ საეკლესიო პირთა ხელშეწყობით გაბატონებულ მდგომარეობას აღწევენ (შ. მესხია, 1965, გვ. 345-348; გ. გასვიანი, 1991, გვ. 7-9).

„ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით საეკლესიო ხელისუფლის, ლარგვისის მამასახლისის დახმარება ცხრაზმის ხევში მოსული როსტომისადმი შემდეგი რჩევის მიცემაში გამოიხატება: „უკეთუ გნებავს მკვიდრყოფაი ქვეყანასა ამასა, ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა საფლავი აქა არს და სოფელნი ესე, რომელნი ღმრთივ გვირგვინოსნისა ისტვნიანე აღმაშენებლისაგან შემოწირულ არიან, იყო წინამძღვარ მათდა, თუ ღმერთს უნდეს“ (შ. მესხია, 1965, გვ. 345). თათარყან დადიშქელიანის მიერ მოთხრობილი თქმულების თანახმად კი, ყურაშის ეკლესიის მღვდელი თავის ოჯახში იფარავს უცხო ქვეყნიდან მოსულ ფუეშს, შემდგომ კი მას ადგილობრივ საზოგადოებას წმინდა გიორგის სახელით წარუდგენს. ლეგენდის თანახმად, ფუეში ცოლად ირთავს მღვდლის ერთადერთ ქალიშვილს, რითაც იგი მღვდლის მემკვიდრეობის მფლობელიც ხდება (გ. გასვიანი, 1991, გვ. 7-9).

თათარყან დადეშქელიანის მიერ ჩაწერილ ლეგენდაში არაფერია ნათქვამი დადიშქელიანთა საგვარეულო სასაფლაოს არსებობის შესახებ და სწორედ ამ კუთხით დადიშქელიანთა შესახებ ჩაწერილ ლეგენდას „ერთგვარად აგრძელებს“ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, სოფელ ყურაშში მოპოვებული ინფორმაცია, რაც მთლიანობაში სრულ თანხვედრაში მოდის ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანეში აღწერილ პროცესებთან. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ სოფელ ყურაშში დოკუმენტურად დასტურდება „ერთობილთა ქურაშის მპყრობელთა“ მიერ XIV-XV სს-ში „ქურაშის მთავარმოწამის წინაშე“ სასაფლაოს ქონა. „ეს ესე წიგნი დაუწერეთ და დავდევით ჩვენ, ვისაც ქურაშის მთავარმოწამის წინაშე სასაფლაო გვაქვს, ეთობილთა ქურაშის მპყრობელთა“ (ვ. სილოგავა, 1986, გვ. 125).

განიხილავს რა ზემოთ მოყვანილ დოკუმენტს მკვლევარი ედიშერ ხოშტარია (ბროსე), რომელსაც, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მართლაც მდიდარ მეცნიერულ დონეზე აქვს შესწავლილი მთისა და ბარის ურთიერთობის მრავალი პრობლემატური საკითხი, აღნიშნავს: „ქურაშის მპყრობელობაში“ უთუოდ საყდრიშვილები იგულისხმებიან, რომელთაც ჰქონდათ სასაფლაო „ქურაშის მთავარმოწამის წინაშე“.

ამავე კონტექსტში არ შეიძლება არ გავიხსენოთ „ძეგლი ერისთავთაში“ აღწერილი ვითარება, კერძოდ, ქსნის ხეობაში, ცხრაზმისხევში ლარგვისის ტაძრის საყდრიშვილთა უფლება - დასაფლავებულიყვნენ ტაძარში - რისკენაც მიისწრაფოდა ოსეთიდან გადმოსული როსტომი, რათა მოეპოვებინა პრივილეგირებული მდგომარეობა ცხრაზმისხევში: „ხოლო მან მოითხოვა საფლავი ლარგვისს დასაჯდომად სახლი შუა საყდრისშვილთა და ცხრაზმის ციხისთავისა ნაქონები მამული. და მისცეს ესე ყოველი ცხრაზმისხეველთა შუა ცხრაზმის ციხისთავისა ნაქონები სოფელნი და ქვეყანანი, საფლავი ლარგვისს და საჯდომი ქუენიფნევს და უწოდეს ქუენიფნეველი“ (ე. ხოშტარია (ბროსე), 1984, გვ. 86).

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კი, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი დასტურია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოხუცებულთაგან (თათარყან დადიშქელიანის მიერ) დადიშქელიანთა ფეოდალური გვარეულობის წარმოშობის შესახებ ჩაწერილ ლეგენდაში ასახული პროცესების რეალობისა. აქვე გვინდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ედიშერ ხოშტარიას (ბროსე) მკვლევარი კიდევ ერთი საინტერესო შენიშვნაც მოვიყვანოთ. ედიშერ ხოშტარია (ბროსე) „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით განიხილავს რა ქსნის ხეობაში XIV-XV სს-ში განვითარებულ მოვლენებს: მთაში ფეოდალური ურთიერთობის გაღრმავების, თავისუფალ მეთემეთა „ერის“ ქვენიფნეველთა მიერ დაყმევების პროცესს, აღნიშნავს, „რომ ანალოგიური პროცესები საქართველოს მთის სინამდვილეში დასტურდება სხვაგანაც, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს მთიანეთში - სვანეთში, მხოლოდ რამდენადმე განსხვავებულ ვითარებაში, რამაც აქ თავისებური შედეგი გამოიღო. როგორც ცნობილია, ბალსზემო სვანეთში დაახლოებით იგივე დროსა და პირობებში (იგულისხმება ცენტრალური ხელისუფლების გავლენის შესუსტება) თემმა შეძლო თვითორგანიზაცია უკვე ფეოდალურ საწყისებზე და თავისუფლების შენარჩუნებაც კი“ (ე. ხოშტარია (ბროსე), 1984, გვ. 86).

ამდენად, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1910 წელს ლეჩხუმ-სვანეთში მოწყობილი არქეოლოგიური ექსპედიციის დროს სადადიშქელიანო სვანეთში, კერძოდ სოფელ ყურაშში შეკრებილი მასალები იქ არსებული დადიშქელიანთა საგვარეულო ეკლესია-საძვალის შესახებ კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენ მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას (იხ. ჯ. ჭაშიბაძე, მ. მურუსიძე, 2006, გვ. 212) იმასთან დაკავშირებით, რომ დადიშქელიანებმა სვანეთის მცირე სამთავრო პოლიტიკურ ნიადაგზე, დაშლილობის პირობებში გაძლიერებული სატაძრო თემის მმართველობის უზურპაციის გზით, სხვა პრივილეგირებულ გვარეულობათა ხანგრძლივი წინააღმდეგობის დაძლევის შედეგად შექმნეს.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. გასვიანი, 1991 - გ. გასვიანი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991.

ე. თაყაიშვილი, 1991 - ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, გ. შარაძის რედაქციით, თბ., 1991.

შ. მესხია, 1965 - შ. მესხია, ძეგლი ერითსავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე): მსკი, ნაკვ. 30, თბ., 1965.

მ. მურუსიძე, ჯ. ჭაშიბაძე, 2006 - მ. მურუსიძე, ჯ. ჭაშიბაძე, სვანეთის სამთავროს (სადადიშქელიანოს) წარმოშობის ისტორიიდან: ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, 2006.

ვ. სილოგავა, 1986 - ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I, თბ., 1986.

ე. ხოშტარია (ბროსე), 1984 - ე. ხოშტარია (ბროსე), ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ., 1984.

JAMBUL KASHIBADZE

ON THE ORIGIN OF THE SVANETI PRINCIPALITY (BASED ON THE FAMILY CHRONICLES OF THE KSANI PRINCES (*ERISTAVIS*) AND THE MATERIALS COLLECTED BY EKVTIME TAQAISHVILI IN *SADADESHKELIANO* SVANETI)

Archaeological expedition carried out in Lechkhumi and Svaneti in 1910 by supervision of Ekvtime Taqaishvili discovered materials in the village of Kurashi about the Dadeshkeliani feudal family church and cemetery in the Enguri valley Svaneti as well as the documents drawn in 14^{h}-15th century all of which confirm the ideas expressed in my earlier papers that minor principality of Svaneti (Sadadeshkeliano) emerged by the efforts of Dadeshkeliani feudal family on the political soil of the crumbling Georgian state by way of usurping the power from the strengthened Church community governance and by overcoming the long fought resistance of other feudal families in the close of 17th and the beginning of 18th century.

ჯამბულ ქაშიბაძე,
ლალი ტუკვაძე

სვანეთის როლის განსაზღვრის საკითხისათვის ფეოდალური ხანის საქართველოში

ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანმა ბუნებრივ-გეოგრაფიულმა პირობებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა საქართველოს დაყოფა ცალკეულ მხარეებად, სადაც საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიული კუთხეები, ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნები, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს სვანეთს, „საქართველოს ყველაზე უფრო მკვეთრად გამოხატულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ და ეთნიკურ რეგიონს“ (შ. ჩართოლანი, 1976, გვ. 3).

სვანეთში მცხოვრებ საზოგადოებას არახელსაყრელი ბუნებრივ-სამეურნეო პირობები მუდმივად აიძულებდა გარე სამყაროსთან (ბართან) კავშირ-ურთიერთობას, რომლის მასშტაბები და ინტენსივობა ბარში, ზოგადად კავკასიის რეგიონში, შექმნილი კონკრეტული ისტორიული პირობებით განისაზღვრებოდა. ამიტომ სვანეთის ისტორიის კვლევისას სწორი დასკვნების გამოსატანად საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს როგორც სვანეთის შიგნით, ისე მის გარემომცველ სამყაროში მიმდინარე ისტორიული პროცესები.

მიუვალი მთები სვანეთში მცხოვრები საზოგადოებისათვის ბუნებრივ სიმაგრეებს წარმოადგენდა, იცავდა მათ მტრის შემოსევებისაგან, ხოლო მეცხოველეობის განვითარება, ცხოვრების მკაცრი პირობები სვანებს მეომარ ხალხად აქცევდა. ამიტომაც ბარის სისუსტის შემთხვევაში სვანთა „ავად მოხარკულობა“ უძველესი პერიოდიდანვეა საგულისხმებელი და სტრაბონის მიერ ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნაზე სამხედრო დემოკრატიის პირობებში მცხოვრები სვანთა საზოგადოების სამხედრო სიძლიერის ხაზგასმა (თ. ყაუხჩიშვილი, 1957, გვ. 126) ძალზე ბუნებრივად და აღნიშნული გარემოებების დასტურად მიგვაჩნია.

რაც შეეხება ფეოდალურ ურთიერთობათა არეალში სვანეთის შეყვანას, აქ იგი ადრეფეოდალური ხანიდანვე (IV-IX სს.) ბარის გავლენით ხორციელდებოდა. სვანეთი აღებულ პერიოდში შედიოდა დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო წარმონაქმნთა შემადგენლობაში — ლაზიკის, შემდეგ ეგრის-აფხაზეთის სამეფოთა ფარგლებში და აქტიურად იყო ჩაბმული აქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. განიხილავს რა ადრეფეოდალური ხანის საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში სვანეთის მონაწილეობის შესახებ წყაროების მონაცემებს, დ. მუსხელიშვილი სამართლიანად შენიშნავს, რომ „აღნიშნული პერიოდის სვან-მეგრელთა პოლიტიკური ურთიერთობის საფუძველი ეკონომიკური ურთიერთობა უნდა ყოფილიყო: ბარი უგზავნიდა მას მიწათმოქმედების პროდუქტებს (პური და, ალბათ, ღვინო და მარილიც); მთა სამაგიეროდ ამარაგებდა ბარს მესაქონლეობის, მეფუტკრეობის და სხვა მისთ. პროდუქციით“ (დ. მუსხელიშვილი, 1977, გვ. 142). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს შ. ჩართოლანი, როცა იგი ახსნას უძებნის სვანეთში მნიშვნელოვანი რაოდენობით ბიზანტიური მონეტების აღმოჩენას. მკვლევარი წერს: „სვანეთის ბეწვეული, იშვიათი მერქანი, ლითონი, თაფლი, ცვილი და ა.შ.

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში წარმოადგენდა საბერძნეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის იმპორტულ საგანს და კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს... როგორც ჩანს, ლაზიკის მეშვეობით მიაქვს ბიზანტიას სვანეთის ნედლეული, ამიტომაც სვანეთისა და ლაზიკის ურთიერთობაში უნდა არსებულიყო ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის მკვეთრად ჩამოყალიბებული ვალდებულებანი. ბიზანტიისათვისაც კი ამ მხარეს სამხედრო-სტრატეგიულის გარდა, გარკვეული ეკონომიკური მნიშვნელობაც ექნებოდა, ყოველივე ზემოთაღნიშნული სრულიად ბუნებრივს ხდის სვანეთში ბიზანტიური მონეტების აღმოჩენას“ (შ. ჩართოლანი, 1976, გვ. 60).

სვანეთის, როგორც დიდი სამხედრო პოტენციალის მქონე მხარის, პოლიტიკური როლი განსაკუთრებით უნდა გაზრდილიყო ერთიანი დასავლურ ქართული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, სრულიად საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფოში, რის დასტურადაც მივიჩნევთ როგორც შავლიანთა გახელმწიფებას, ასევე მარუშიძის (მარუშიანის) დიდ გავლენას „აფხაზთა მეფის“ კარზე.

შენიშვნა: ერმრავალი მარუშიძის „ერი“ — ეს უნდა იყოს სვანეთის სუსტად დიფერენცირებული საზოგადოების წარმომადგენლები, სამხედრო რაზმელები, რომლებიც მარუშისძის ხელისუფლების დასაყრდენია აქ (შიდა ქართლში) და არა სამოხელეოდ მიღებული ქვეყნის (შიდა ქართლი) „ერი“, რომელიც ადგილობრივ ფეოდალთა (ტბელთა და სხვ.) ყრმობაში ჩანს მოქცეული.

ე. ხოშტარიას (ბროსე) სამართლიანი შენიშვნით, უკვე ერთიანი ფეოდალური მონარქიის არსებობის დროს „სვანეთი ორგანულადაა დაკავშირებული ბართან და მტკიცედაა შემოსული ქართულ ფეოდალურ და სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაში“ (ე. ხოშტარია (ბროსე), 1984, გვ. 64). ამასთან, იგი აღებულ პერიოდში სვანეთში განვითარებულ ისტორიულ-კულტურულ მოვლენებს (ეკლესიათა ინტენსიური მშენებლობა-შემკობა, ოქრომჭედლობა, საეკლესიო წიგნების გადაწერა, კავშირი საქართველოს გარეთ არსებულ ქართულ საეკლესიო-კულტურულ ცენტრებთან და სხვ.) სრულიად სამართლიანად აქ (სვანეთში) გვაროვნული წყობილებისდროინდელი ინსტიტუტების საფუძვლიან რღვევასა და ფეოდალური წესების შემოღებას უკავშირებს (ე. ხოშტარია (ბროსე), 12984, გვ. 65).

ერთიანი ფეოდალური მონარქიის არსებობის პერიოდში, ქართული სახელმწიფოს მიერ წარმოებული, წარმატებული საგარეო ომების ეპოქაში, მეფის კარზე სამსახურით სვანეთის საზოგადოებისათვის (განსაკუთრებით მისი ზედა ფენისთვის) იქმნება ოპტიმალური პირობები. ეს კი მას კიდევ უფრო ანგარიშგასაწევ ძალად აქცევს ბარელ ხელისუფალთათვის, რაც კარგად აისახა კიდეც ამ პერიოდში შექმნილ ქართულ ნარატიულ წყაროებში.

ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემისა და ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, XIV-XV საუკუნეებში სვანეთს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკუთარი გზის გავლა მოუხდა, რომლის დროსაც ყველაზე მკაფიოდ გამოიკვეთა მისი, როგორც საქართველოს მთიანი რეგიონისათვის, დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებანი.

ცენტრალური ხელისუფლებისაგან მოწყვეტა, აქ (სვანეთში) იწვევს, ერთი მხრივ, მათ (ცენტრალურ ხელისუფალთა) მიერ დადგენილი ინსტიტუტების ფუნქციების მოშლასა და მმართველობის ადგილობრივი ფორმების, ადგილობრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას (ზოგიერთი მათგანი ადრეც არსებობდა, მაგრამ ახლა დროის შესაბამის ცვლილებებს განიცდის). მეორე მხრივ, როგორც ე. ხოშტარია (ბროსე) შენიშნავს: „ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლიდან გამოსვლისა და ადგილობრივი დაწინაურებული ფენის უპირატესობის მასზარდებელ ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს — მეფის კარზე სამსახურის მოშლის, თუ საერთოდ ბართან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირის შესუსტების შედეგად სვანეთის საზოგადოებაში ადგილი აქვს მძაფრ დაპირისპირებას და ბრძოლას პრივილიგირებული ფენის შიგნით (აზნაურთა გვარებს შორის) ერთის მხრივ და ამ უკანასკნელსა და მწარმოებელ საზოგადოებას შორის, მეორეს მხრივ“ (ე. ხოშტარია (ბროსე), 1984, გვ. 66).

ყოველივე ზემოთ აღნიშნული (ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლის შედეგად სვანეთში შექმნილი ვითარება) კარგად აისახა აღნიშნულ პერიოდში (XIV-XV სს.) შედგენილ სვანეთის ისტორიულ დოკუმენტებშიც (ვ. სილოგავა, 1986, გვ. 102-141).

შენიშვნა: სვანეთში განვითარებული მოვლენების ანალიზის შედეგად ახსნა ეძებნება როგორც სვანეთის ისტორიული დოკუმენტების შექმნის დროის (XIV-XV სს.) განსაზღვრას (სვანეთში აღებულ პერიოდში შექმნილმა კონკრეტულ-ისტორიულმა ვითარებამ სვანეთის ისტორიული დოკუმენტების შედგენის, ახალი ადმინისტრაციულ-მმართველობითი თუ სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების იურიდიული გაფორმების აუცილებლობა გამოიწვია), ასევე ბალსზემო სვანეთის ეკლესიებში აღნიშნული დოკუმენტების ჩვენს დრომდე შემონახულობას (სვანეთის ამ ნაწილში გვიანფეოდალური ეპოქის მთელ სიგრძეზე არ მოხერხდა საზოგადოებრივ ძალთა წონასწორობის დარღვევა. მხარის საზოგადოებრივმა განვითარებამ ერთგვარი კონსერვაცია განიცადა და დოკუმენტებმაც მოქმედი კანონმდებლობის ძალა შეინარჩუნა, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი ბოლო დრომდე შემონახულობა).

ამდენად, ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემის შემდეგ სვანეთის საზოგადოების პრივილიგირებულ გვარეულობათა წარმომადგენლების სოციალურ-პოლიტიკური უპირატესობის უზრუნველყოფა დამოკიდებული გახდა საკუთრივ სვანეთის ფეოდალური ექსპლოატაციის (არსებითად ბუნებრივ-სამეურნეო) პირობებზე, რომელიც ასეთი სახის (ფეოდალური) ექსპლოატაციისათვის ერთობ არახელსაყრელი იყო (მიწათმოქმედების განვითარების უმთავრესი პირობის - სახნავ-სათესი ფართობების სიმცირეს და სიმწირეს თან ერთვოდა საზამთრო საძოვრების არქონა და სათიბების ნაკლებობა, რაც მნიშვნელოვანწილად აფერხებდა აქ მესაქონლეობის განვითარებას). ამასთან, აღნიშნულ პირობათა მიხედვით, გამოიკვეთა განსხვავებანი სვანეთის ცალკეულ მხარეთა შორის, რამაც მთლიანობაში განსაზღვრა გვიანი შუასაუკუნეებისათვის ერთიანი სვანეთის შიგნით სოციალური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ცალკეული ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბება,

კერძოდ, ზემო სვანეთის ბალსზემო ნაწილში თემმა შეძლო თვითორგანიზება ფეოდალურ საწყისებზე და თავისუფლება შეინარჩუნა, ბალსქვემო ნაწილში კი სვანეთის მცირე სამთავრო (სადადიშქელიანო) ჩამოყალიბდა, ხოლო ქვემო სვანეთში ლაშხეთისა და ჩოლურის თემებში გელოვანთა და გარდაფხაძეთა ფეოდალური სახლები გაბატონდნენ, ლენტეხის თემს დადიანები დაეუფლნენ.

გვიანფეოდალურ ხანაში ერთიანი ეთნო-პოლიტიკური ერთეულის — სვანეთის დაშლამ ცალკეულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებად, ამასთან, ბართან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების შესუსტებამ გამოიწვია მისი (სვანეთის), როგორც საქართველოს შემადგენელი ერთეულის, როლის დაკნინება ზოგად ქართული მასშტაბით.

ამდენად, თუკი ფეოდალური ხანის საქართველოში დიდია სვანეთის როლი როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით და იგი (განსაკუთრებით პოლიტიკური) კიდევ უფრო იზრდება ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნის (განვითარებული ფეოდალიზმი) პარალელურად, შემდგომში გვიანფეოდალურ ხანაში ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემას შედეგად მოჰყვა სვანეთის ბართან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების შესუსტება და სვანეთის დაშლა ცალკეულ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულებად. ამან კი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა სვანეთის როლის დაკნინება აღებული პერიოდის (გვიანფეოდალური ხანა) საქართველოში.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. გასვიანი, 1973 - გ. გასვიანი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991.

დ. მუსხელიშვილი, 1977 - დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბ., 1977.

ვ. სილოგავა, 1986 - ვ. სილოგავა, სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ. I, თბ., 1986.

თ. ყაუხჩიშვილი, 1957 - თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.

ე. ხოშტარია (ბროსე), 1984 - ე. ხოშტარია (ბროსე), ფეოდალური ხანის საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ., 1984.

JAMBUL KASHIBADZE, LALI TUKVADZE

ON THE DETERMINATION OF THE ROLE OF SVANETI IN FEUDAL GEORGIA

In the historical development of Feudal Georgia the role of Svaneti is of great importance in terms of political and economic viewpoints. This idea is confirmed by historical records. The political importance of Svaneti increases in the epoch of the united Georgian feudal monarchy (the period of the advanced feudalism). As for the period of the collapse of the united Georgian statehood (late feudal period) the province suffers from the weakening of political and economic ties between the mountainous region and of the plain population that not only dwindles the role of Svaneti for this period but also causes the disintegration of Svaneti proper into the smaller administrative and political units.

კახაბერ ქებულაძე

ედუარდ აიხვალდი XIX საუკუნის პირველი მესამედის დასავლეთ საქართველოს შესახებ

ცნობილი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ედუარდ აიხვალდი კავკასიაში იმყოფებოდა 1825-1826 წლებში. მან თითქმის მთელი საქართველო მოიარა და საინტერესო აღწერა დაგვიტოვა. მისი ცნობები უაღრესად მნიშვნელოვან მასალას შეიცავს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის შესასწავლად.

ედუარდ აიხვალდის ნაშრომში - „მოგზაურობა კავკასიაში" გადმოცემულია XIX საუკუნის პირველი მესამედის პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ამბები. გერმანელი მოგზაურის ინტერესის სფეროში მოექცა ცალკეულ ქართულ სამეფო-სამთავროებში განვითარებული მოვლენები.

შენიშვნა: 2005 წელს გამომცემლობა „არტანუჯმა" დაბეჭდა ედუარდ აიხვალდის მოგონებები საქართველოს შესახებ, რომელიც გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა.

ე. აიხვალდმა 1826 წლის 5 აპრილს თბილისიდან ორი ექსპედიცია მოაწყო და გეზი დასავლეთ საქართველოსაკენ აიღო. ქუთაისში ჩამოსვლის შემდეგ მოგზაურმა გელათის მონასტერი მოინახულა. ნაშრომში მონასტრის ისტორიულ წარსულზე საუბრისას მან გვერდი ვერ აუარა დასავლეთ საქართველოს ცნობილ 1819-1820 წლების აჯანყებას.

შენიშვნა: ე. აიხვალდის გადმოცემით გელათის მონასტრის ყველაზე დიდი ქვა დავით აღმაშენებლის მიერ იყო ამოტანილი მდინარე წყალწითელას ნაპირიდან. მისი აზრით, გელათის ცნობილი მიტროპოლიტი ექვთიმე საკმაოდ ბევრს ზრუნავდა მონასტერზე და რამდენადაც შეეძლო, ცდილობდა მის შენარჩუნებას. რუსეთის სინოდისათვის კი ტაძრის იმჟამინდელი მოძღვარი აბსოლუტურად მიუღებელი იყო. მიტროპოლიტი ექვთიმე არ აპირებდა მონაწილეობა მიეღო ცარიზმის მიერ გატარებულ ეგრეთ წოდებულ საეკლესიო რეფორმაში, რადგან **„საეკლესიო რეფორმა" ერთი უკანასკნელი და მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო საქართველოს პოლიტიკური დამონების გზაზე"** (ხაზგასმა ჩვენია - კ. ქ. ნ. ბერძენიშვილი, 1971, გვ. 238).

ცნობილია, რომ აჯანყების ჩახშობის შემდეგ ქუთაელი მიტროპოლიტი დოსითეოს წერეთელი რუსეთში გაასახლეს (რომელიც გზაში გარდაიცვალა). მასთან ერთად გადაასახლეს სხვა პირებიც. ესენი იყვნენ: გელათელი მიტროპოლიტი ექვთიმე, სოლომონ I-ის ასული, ივანე აბაშიძის დედა ბატონიშვილი დარეჯანი, თავადები სეხნია წულუკიძე და დავით მიქელაძე (ვაჭრიძე, 1999, გვ. 245).

შენიშვნა: თავადმა ივანე აბაშიძემ გაქცევა მოახერხა და გურიას შეაფარა თავი.

ე. აიხვალდის ნაშრომში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა დათმობილი ისტორიულ ცნობებს სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროების შესახებ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გერმანელი მოგზაური თავად იმყოფებოდა სტუმრად სამეგრელოში ლევან დადიანთან, სადაც პირადად გაცნობია ნაცარ დადიანსა და აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს მიხეილ შერვაშიძეს.

სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანზე საუბრისას მოგზაური აღნიშნავს, რომ მას (ლევანს - კ. ქ.) ცარიზმისაგან მინიჭებული ჰქონია გენერალ-ლეიტენანტის

ჩინი, თუმცა ჯამაგირის აღებისაგან თავს იკავებდა. დადიანი კმაყოფილდებოდა იმ მცირე გადასახადით, რომელიც მას დაუწესებია თავის სამთავროში.

შენიშვნა: ლევან გრიგოლის ძე დადიანის (1791-1845) შესახებ აღვნიშნავთ, რომ იგი სამეგრელოს მთავარი გახდა 1811 წელს. მანამდე სამთავროს განაგებდა დედამისი ნინო, ხოლო მამამისი - გრიგოლ კაციას ძე დადიანი (1770-1804) სამეგრელოს მთავარი იყო 1788 წლიდან. იგი რუსეთის მფარველობაში შევიდა 1803 წელს (ე. ორჯონიკიძე, 1992, გვ. 62).

ნიკო დადიანის დახასიათებისას ე. აიხვალდი მას მეგობრულ და ჭკვიან ადამიანს უწოდებს, რომელიც ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

შენიშვნა: ნიკო გიორგის ძე დადიანი (1780-1834) იყო კაცია დადიანის ძმის შვილი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე. ეკუთვნის ნაშრომი „ქართველთ ცხოვრება“, მას ებოძა გენერალ-მაიორობა აფხაზთა დამარცხებისათვის, გენერალ გორჩაკოვთან ერთად 1821 წელს (შ. ბურჯანაძე, 1862, გვ. 33).

ე. აიხვალდის მიხედვით, იმ დროისათვის სამეგრელოს სამთავრო იყოფოდა ორ დიდ პროვინციად - ლეჩხუმად და ოდიშად, რომლებიც თანაბარი სიდიდისა იყო. გერმანელი ავტორი ნაშრომში სათანადო ყურადღებას უთმობს სამთავროს მოკლე ისტორიულ დახასიათებას. მოგზაურის ცნობით, სამეგრელოს უძველესი სახელი კოლხეთი იყო, ხოლო მოგვიანებით მის ერთ ნაწილს ლაზეთი ეწოდა. ე. აიხვალდის აზრით, XV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გაერთიანებული საქართველოს დაშლის შემდეგ სამეგრელო იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. იმერეთის სამეფოს დასუსტების შემდეგ სამეგრელოს მთავარი იმერეთის მეფეს განუდგა. მეცნიერის განმარტებით, მხოლოდ იმერეთის მეფემ — სოლომონ I-მა (1752-1784) მოახერხა კონტროლის დამყარება სამეგრელოს სამთავროზე და ისიც დროებით, რადგან იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მეფობის დროს მთავარმა გრიგოლ დადიანმა 1803 წელს რუსეთის მფარველობა მიიღო.

სამეგრელოს შემდეგ ე. აიხვალდი თავის მოგონებებში ადგილს გურიის სამთავროს უთმობს. მისი აზრით, გურიელი ანუ გურიის მფლობელი უფრო ხელმოკლედ ცხოვრობდა, ვიდრე დადიანი, რადგან მისი სამთავრო სიდიდით გაცილებით პატარა იყო. მოგზაურის ცნობით, გურიის სამთავრო XVII საუკუნის ბოლოსათვის იმერეთის სამეფოს ემორჩილებოდა. XVIII საუკუნის დასაწყისში გურიის მმართველმა მოახერხა იმერეთის მეფისაგან განთავისუფლება და გურიის მთავრის ტიტულის მოპოვება. იმერეთის მეფემ - სოლომონ I-მა შეძლო გურიის ხელახლა დამორჩილება, მაგრამ შემდეგ XIX საუკუნის დასაწყისში გურიის სამთავრო, ისევე როგორც გაცილებით ადრე (1803 წ.) სამეგრელოს სამთავრო, 1810 წელს დადებული ტრაქტატით რუსეთის მფავრელობაში შევიდა. ამ დროს გურიის მთავარი მამია სიმონის ძე გურიელი იყო, რომლის გარდაცვალების შემდეგ 1826 წელს სამთავროს მართვა-გამგეობა მისი მეუღლის - სოფიოს ხელში გადავიდა. 1828 წლის ოქტომბერში გურიაში რუსთა რაზმები შევიდნენ. სოფიო თანმხლებ პირებთან ერთად ოსმალეთში გაიქცა, სადაც 1829 წელს ტრაპიზონში გარდაიცვალა. იმავე წელს გურიელის ხელისუფლება გაუქმდა და ყოფილ სამთავროში რუსული მმართველობა იქნა შემოღებული (მ. დუმბაძე, 1954, გვ. 57).

გურიის სამთავროზე საუბრისას ე. აიხვალდი აღნიშნავდა, რომ ამ დროისათვის გურია იყოფოდა ორ — ნაგომურის და ოზურგეთის მხარედ. აქედან იგი გაცილებით მოსავლიანად ამ უკანასკნელს მიიჩნევდა. გარდა ამისა, მოგზაური ხაზს უსვამდა ქალაქ ფოთის სტრატეგიულ მდებარეობას და აღნიშნავდა, რუსებისათვის მისი დაკავების უაღრესად დიდ მნიშვნელობას.

ე. აიხვალდი თავის ნაშრომში ჯეროვან ყურადღებას უთმობს აფხაზეთის სამთავროს და წარმოგვიდგენს წინარე ისტორიის, თუ როგორ დამყარდა რუსული მმართველობა აღნიშნულ მხარეში. გერმანელ მეცნიერს აფხაზები ქართველურ ტომებად მიაჩნია, რომლებსაც ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს (527-565) დროს მიუღიათ ქრისტიანობა. მოგზაურის ცნობით, გვიანფეოდალურ ხანაში აფხაზეთის სამთავროს მოუხერხებია იმერეთის მეფის ქვეშევრდომობისაგან განთავისუფლება. სწორედ ამ დროიდან მოყოლებული აფხაზეთის სამთავრო ოსმალეთის სულთანის მოხარკე გამხდარა. ნაშრომის განხილვისას ირკვევა, რომ 1770 წელს, როდესაც გენერალი ტოტლებენი ქართლ-კახეთში ჩამოვიდა, აფხაზთა მთავარს ლევან შერვაშიძეს მისთვის სამთავროს რუსეთის მფარველობაში მიღება უთხოვია, რაც მაშინ არ მომხდარა. ამიტომ იგი იძულებული გამხდარა სარწმუნეობა შეეცვალა და ოსმალეთისაგან დახმარება მიეღო. ამის შემდეგ აფხაზეთის მთავარი ხდება ლევან შერვაშიძის უფროსი ვაჟი ქელიშ-ბეი, რომელსაც ე. აიხვალდი ბუნებით საკმაოდ ჭკვიან და გონიერ ადამიანად ახასიათებს. გერმანელი ავტორი ქელიშ-ბეგ შერვაშიძეს წარმოგვიდგენს როგორც ენერგიულ მმართველს, რომელსაც მოუხერხებია სამთავროს გაერთიანება და სამეგრელოს მთავრის გიორგი დადიანის შევიწროება. გარდა ამისა, 1807 წელს ქელიშ-ბეის თავშესაფარი მიუცია ტრაპიზონის მმართველ ტერ ფაშასათვის, რასაც, ცხადია, ოსმალეთის გაღიზიანება გამოუწვევია. ამას ემატებოდა ისიც, რომ ქელიშ-ბეიმ თავის უმცროს შვილს - საფარ ბეგს უფლება მისცა ქრისტიანად მონათლულიყო. ე. აიხვალდის მტკიცებით, ქელიშ-ბეის ასეთი მოქმედება მიუღებელი აღმოჩნდა ოსმალეთისათვის, მით უმეტეს ამ პერიოდში რუსეთ-ოსმალეთის ომი (1806-1812 წწ.) მიმდინარეობდა. ამიტომ ოსმალთა წაქეზებით აფხაზეთის მთავარი მოკლა მისივე შვილმა ჰასან-ბეგმა.

ე. აიხვალდის გადმოცემით, ჰასან ბეგ შერვაშიძეს დაუპირისპირდა თავისი ძმა საფარ-ბეგ (იგივე გიორგი) შერვაშიძე, რომელიც ცარიზმის მხარდამჭერი სარგებლობდა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ რუსული რაზმები სოხუმის ციხეში ჩადგნენ, ხოლო გიორგის უფროსი ვაჟი დიმიტრი განათლების მისაღებად პეტერბურგში იქნა გაგზავნილი. როგორც ნაშრომიდან ირკვევა, გიორგი შერვაშიძე 1810 წლის იანვარში შესულა რუსეთის მფარველობაში, რისთვისაც მას გენერალ-მაიორობა უბოძეს და ჯამაგირად 2000 ვერცხლის მანეთი დაუნიშნავთ. ამასთანავე, იგი აფხაზეთის მთავრად გამოცხადდა.

ე. აიხვალდის ცნობით, აფხაზეთის მთავრის — გიორგი შერვაშიძის გარდაცვალების შემდეგ სამთავროში პოლიტიკური ვითარება კვლავ დაიძაბა. ოსმალეთის მხარდაჭერით ჰასან-ბეგი აგრძელებდა ბრძოლას მთავრის ტიტულისათვის, მაშინ როდესაც ცარიზმი მხარს უჭერდა გიორგი შერვაშიძის შვილს - დიმიტრის. მისთვის (დიმიტრისათვის — კ. ქ.) მთავრად დამტკიცება საკმაოდ მოულოდნელი ყოფილა. რაც შეეხება ჰასან-ბეგს, მას ოსმალეთის დახმარებით დიმიტრის დედა და და-ძმა დაუტყვევებია, რომელთა გათავისუფლება დიმიტრის რუსული რაზმების დახმარებით მოუხერხებია.

გერმანელი მოგზაურის აზრით, სამთავროში სიტუაცია კვლავ დაძაბული რჩებოდა. 1823 წელს გარდაცვლილი მთავრის — დიმიტრის ნაცვლად აფხაზეთის მმართველი გახდა გიორგის მეორე ვაჟი მიხეილ შერვაშიძე. მორიგ აჯანყებას ავტორი 1824 წლით ათარიღებს და მის წინამძღოლად ჰასან-ბეგს ასახელებს. აფხაზეთის ახალ მთავარს მიხეილს (მაიორის ჩინის მფლობელი ყოფილა), ე. აიხვალდი სუსტ მმართველად მიიჩნევს, იგი თურმე დიდი გავლენით ვერ სარგებლობდა აფხაზეთში. მეცნიერი ამის შემდეგ დეტალურად აღწერს, თუ როგორ იქნა ჩახშობილი აჯანყება ცარიზმის მიერ. ნაშრომიდან ირკვევა, რომ ამბოხების ლიკვიდაცია დავალებული ჰქონია გენერალ-მაიორ თავად გორჩაკოვს, რომელსაც დავალება „წარმატებით“ შეუსრულებია. ხოლო რაც შეეხება ჰასან-ბეგს, იგი 1831 წელს ყუბანელ ჩერქეზებთან გაქცეულა. აფხაზეთის მთავარი მიხეილ შერვაშიძე კი თავის ოჯახთან ერთად რედუტში დასახლებულა.

ე. აიხვალდი 1831 წლისათვის აფხაზეთის სამთავროს ოთხ მხარედ ყოფდა. ესენი იყო: წებელდა, აფშავი (აფშაუ), აფხაზი და ბზიფი. აქედან იგი განსაკუთრებით გამოყოფდა წებელდას, რადგან იქ თურმე თავისუფალი საზოგადოება ყოფილა. წებელდელებზე ერთგვარი გავლენა კი მხოლოდ თავად მარშანიების მდიდარ გვარს ჰქონია. რაც შეეხება დანარჩენ მხარეებს, ე. აიხვალდის განმარტებით, ისინი მხოლოდ ნომინალურად ცნობდნენ აფხაზეთის მმართველის, პოლკოვნიკ მიხეილ შერვაშიძის ძალაუფლებას.

შენიშვნა: აფხაზეთის სამთავროს საბოლოო გაუქმება მოხდა 1864 წელს. კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით, რომლის მიხედვით მიხეილ შერვაშიძე მთავრის ტახტიდან გადაყენებულად გამოცხადდა, ხოლო აფხაზეთში შემოღებულ იქნა ე.წ. „სამხედრო-სახალხო მმართველობა“ (საქართველოს ისტორია, 2004, გვ. 130).

გერმანელი მეცნიერის ე. აიხვალდის ნაშრომი „მოგზაურობა კავკასიაში“, მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა და უზუსტობებისა, მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროდ მიგვაჩნია. მოგზაურის ცნობები, რომლებიც თითქმის მისი წიგნის გამოცემამდე (1837) პერიოდს მოიცავს (განსაკუთრებით XIX საუკუნე), ძალზე საყურადღებოა. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ხშირად იყო თვითმხილველი იმ ვითარებისა, რომელიც ხდებოდა ქართულ სამთავროებში.

ე. აიხვალდის ნაშრომის მოძიებითა და მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანით ქართულ ისტორიოგრაფიას საინტერესო გამოკვლევა შეემატა.

დამოწმებული ლიტერატურა

ნ. ბერძენიშვილი, 1971 - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1971.

შ. ბურჯანაძე, 1962 - შ. ბურჯანაძე, ნიკო დადიანი, თბ., 1962.

მ. დუმბაძე, 1954 - მ. დუმბაძე, გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში, თბ., 1954.

გ. ვაჭრიძე, 1999 - გ. ვაჭრიძე, იმერეთის დროებითი მმართველობა (1819-1840 წლები), ქუთაისი, 1999.

ე. ორჯონიკიძე, 1992 - ე. ორჯონიკიძე, რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX ს. I ნახევარი), თბ., 1992.

საქართველოს ისტორია, 2004 - საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 2004.

KAKHABER KEBULADZE

EDUARD EICHVALD ABOUT WEST GEORGIA IN THE FIRST THIRD OF THE 19TH CENTURY

Eduard Eichvald, an eminent German scholar and traveler was in the Caucasus in the years of 1825-1826. He visited almost every part of Georgia and made an interesting description of the country. His writings present important materials for the study of Georgia's history of the period.

E. Eichvald's work *Travelling in the Caucasus* consists of stories featuring political events of the first three decades of the 19th c. The German scholar appeared to have been interested in the events developed in the small Georgian kingdoms and princedoms. Very often he himself appeared an eye-witness of these events.

Eduard Eichvald left Tilisi for the west Georgia in April 5, 1826. He stayed here for a few months. In his memoirs he dedicated quite a number of pages for the study of history of Imereti kingdom, and of Guria, Megrelia, and Abkhazia princedoms.

დავით შავიანიძე

იანეთში მცხოვრები ქართველი რეპატრიანტების ეთნოისტორიიდან

(გვარსახელთა ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)

სოფელ იანეთში ამჟამად ცხოვრობს ისტორიული მესხეთიდან[1] საბჭოეთის მაჰმადიანურ რესპუბლიკებში გადასახლებულ და შემდეგ რეპატრიირებულ ქართველთა ოცდაათამდე ოჯახი. ქართულ ცნობიერებაშერჩენილ ამ ქართველთა გვარების ეთნოისტორიული კვლევის დროს ირკვევა: თურქთა და შემდეგ რუსების რელიგიურ-პოლიტიკური ზეწოლით გამოწვეული სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ, გამაჰმადიანებულ ქართველთა მიგრაციის მიმართულებები და მასშტაბი; "უცხო გარემოში" შეძენილი ყოფითი მახასიათებლები; "ქართველობაში, ქრისტიანულ რწმენაში და მივიწყებულ ქართულ ადათებში თანდათანობით დაბრუნების, ქართველთაგან მათი ისევ მიღების სურვილი"; ჩამოსახლებულთა უმრავლესობა საკუთარ ქართულ გვარს იბრუნებს და ოფიციალურ დოკუმენტებშიც ასე ფორმდება.

იანეთში ჩამოსახლებულია ტელმან ***ერისთავი→სულთანოვი*** (1 კომლი).

ეთნოგრაფიული მასალა: "წარმოშობით კახეთიდან ვართ. ალბათ XIII ს. მეფის წარმომადგენლად გაუგზავნიათ ჩვენი ძველი ადიგენში, სოფელ მარელიში. ვყოფილვართ ციხის მშენებლობის მეთვალყურენი".

ილია მაისურაძე ადასტურებს კახეთში, სოფელ ქისტაურში ერისთავის გვარის მკვიდრობას. XIII საუკუნეში ერისთავი გვარსახელის ფორმით არ არსებობდა. თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი — ერისთავი გვარად გვიან ფეოდალურ პერიოდში, XVI საუკუნის შემდეგ იქცა.

გიორგი ბოჭორიძის მიხედვით, ადიგენის მკვიდრი ერისთავი სულეიმან ბეგი იყო ***ჩიჯავაძე.*** ოლღა სოსელიას მტკიცებითაც, ქართლის მკვიდრი ჩიჯავაძეები იმერლები უნდა ყოფილიყვნენ. იმერეთიდან წამოსული პირველი ჩიჯავაძე, მკვლევრის აზრით, უნდა ყოფილიყო XV საუკუნის მოღვაწე ალექსანდრე მეფის კარის ვაზირი როსტომი ან კახაბერი ჩიჯავაძე (ო. სოსელია, 1973, გვ. 7-9). ჩიჯავაძის სახელს ატარებს სამეგრელოს ქართული თემიდან წარმოშობილ ***ჩიჩუათა*** საგვარეულოს ერთი შტო. მათ გაჩიჯავაძებას საცხოვრისის შეცვლას უკავშირებენ. არ დასტურდება, როდის მოხდა ჩიჩუათა საქართველოს სხვა კუთხეებში გადასახლება, მაგრამ ჯერ კიდევ X საუკუნის პირველ ნახევარში ჩანან საზუერელი აზნაური ჩიჯავაძეები თანამედროვე ქართლის ზემო ნაწილში. საზუერე, სიმონ ჯანაშიას მტკიცებით, თანამედროვე ქართლის ზემო ნაწილში იყო; ნიკო ბერძენიშვილის ვარაუდით — "საციციანოში". მეცნიერებაში გამოთქმული კიდევ ერთი მოსაზრების თანახმად, საზუერე ძამის ხეობაშია (ს. ჯანაშია, 1952, გვ.189; ნ.ბერძენიშვილი, 1937, გვ.67; დ. გვრიტიშვილი, გვ. 126).

1886 წლის აღწერის მასალები ადასტურებენ, რომ ერისთავი ცხოვრობდა ადიგენში. სოფელ მარელში XIX საუკუნის ბოლოს "აღას" წოდების მატარებელი ოთხი ძმა ერისთავი ცხოვრობდა (მ. ბერიძე, 2006, გვ. 71).

---

[1] "მესხნი" ვიწრო მნიშვნელობით აღნიშნავდა მხოლოდ სამცხის მკვიდრთ, ფართო გაგებით კი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყველა ეთნოგრაფიული ჯგუფის აღმნიშვნელი იყო (რ. თოფჩიშვილი, 2008, გვ. 39).

შეიძლება დაუშვათ, რომ ტელმან ერისთავის წინაპარი მართლაც გადმოსახლდა კახეთიდან სამცხე-ჯავახეთში, მაგრამ უფრო გვიან. მთხრობელს სურს ჰყავდეს დიდი წინაპარი და დააძველოს თავისი წარსული.

დღესაც მაჰმადიანური სჯულის მატარებელი ერისთავ→ტელმანის გვარის ეთნოისტორიული კვლევის დროს ირკვევა ქართული ყოფითი ცხოვრების რამდენიმე მხარე: იციან, რომ არ უნდა დაქორწინდნენ ერისთავზე; საქორწინო ურთიერთობაში არ შედიან გადასახლების დროინდელი თავიანთი გვარის განაყოფებთანაც, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ მოსკოვსა და ყირგიზეთში. არ ქორწინდებიან მეუღლის ძველი გვარის — ჩხეიძის და მეუღლის საბჭოთა გვარის — იბრაგიმოვების ნათესავებზე, თავიანთ მოყვრებზე; ქალი გათხოვების შემდეგ საკუთარ გვარად აღიარებს მეუღლის გვარს.

ტელმან ერისთავის მეუღლის გვარია ***იბრაგიმოვა***. მისი გადასახლების დროინდელი გვარი კი ***ჩხეიძე*** იყო. ძირი ქართული გვარის შესახებ მეტი ინფორმაცია არა აქვს. იცის ის, რომ მისი ერისთავებთან დაქორწინების შემდეგ ნათესავები არიან ერისთავები და ჩხეიძეები.

იბრაგიმოვი მუსტაფა და მისი ძმა ალიხანიც დღეს იანეთს მკვიდრობენ და თავის ძველ ქართულ გვარს ***ჩხეიძეს*** ატარებენ. გადასახლებამდე ადიგენის რაიონ სოფელ ჭიქინეთის მკვიდრები ყოფილან.

საისტორიო მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება ამანელისძეთა ჩხეიძეების გვარის ერთ-ერთ შტოდ გამოცხადების შესახებ. კ. კეკელიძის და ს. ყაუხჩიშვილის მიხედვით, საერისთაო არის არგვეთი (ო. სოსელია, გვ. 30; ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1941, გვ. 79; ქართლის ცხოვრება, 1959, ტ. გვ. 34); ვახუშტის მიხედვით, "მთავართა შორის უწარჩინებულესი და შემძლებელი" ჩხეიძეები არიან ძირად იმერლები, სოფელ ჩიხადან. ბატონიშვილის ვარაუდით, შორაპნის ერისთავებად[3] ჩხეიძეები ისხდნენ მანამ, ვიდრე გიორგი ბრწყინვალე ერისთავად მიქელ მეფის ძე ბაგრატს დასვამდა. ჩხეიძეების შორაპნის ერისთავებად მოაზრებას ხელს უწყობს გ. ცქიტიშვილის დაკვირვებაც. მკვლევარი აღნიშნავს, რომ შორაპნის ერისთავთა გვარი არგვეთიდან, კერძოდ ლომსიათების სოფ. ბორიდან არიან. აღნიშნული გვარის სათავადოს ჩამოყალიბება მოხდა იმერეთის ერისთავების — დიმიტრისა და ბაგრატის მეფობისათვის ბრძოლის დროს XV საუკუნეში. ამ დროს ჩხეიძეები ფლობენ ზედა დიმს და მხოლოდ ამის შემდეგ დაისაკუთრეს ბაღდათის (და არა მხოლოდ მისი) სოფლები.

იმერეთის ეთნოგრაფიულ მასალებითაც ჩხეიძეები დასავლეთ საქართველოში დაწინაურებული გვარია და სხვადასხვა "ნაშტოებად" წარმოდგენილი.

ახალციხის რაიონის სოფელ აწყურში იხსენიება გვარსახელი ***ჩხაიძე***. შეიძლება დავუშვათ რამდენიმე ვარაუდი: 1. ჩვენი მთხრობელის ძველი ქართული გვარი იყო ჩხიაძე და არა ჩხეიძე. 2. ჩხეიძე შეიცვალა ჩხიაძედ. შდრ. გიორგი ბოჭორიძე ეჭვობს, რომ ქვედა ღაღვის მკვიდრი ჩხიაძე ჩხეიძეა. 3. მოხდა ისე, რომ საისტორიო დოკუმენტებით ვერ დაფიქსირდა გვარი ჩხეიძე ისტორიულ ზემო ქართლში.

პროფ. მ. ბერიძეს აღნიშნული აქვს, რომ იანეთში მკვიდრობს ***აბაშიძის*** გვარიდან გასული სამი განაყოფი ოჯახი: ***ეოუბოვი*** მახადინი (ადიგენის რაიონ

---

[3] ლეონტი მროველის მარგვი, ანუ არგვეთი, ჯუანშერის მარგვი და თაკვერი და "შატოები ქართლისას" ჩიხა ვახუშტისთან შორაპნის საერისთაოა (ვახუშტი, 1973, გვ. 154, 162, 167).

სოფელ ჭიქინეთიდან), ***ეიუბოვი*** იახია (სოფელ ჭიქინეთიდან) და ***აიუბოვ*** ზაქარია. "აბაშიძის გვარიდან გამოსული ორივე გვარი მათ დაწერის მიხედვით აქვთ". დღეს ისინი აბაშიძის გვარს ატარებენ.

XV-XVI საუკუნიდან ზემო იმერეთში ყალიბდება აბაშიძეთა სათავადო (პ. ცხადაია, 2000, გვ. 48). შუა საუკუნეების საქართველოს შინაპოლიტიკური ურთიერთობების გამო აბაშიძეები ქართლში და ისტორიულ ზემო ქართლშიც მრავლად მკვიდრობენ. მკვიდრობენ საქართველოს სხვა თემებშიც. გვარი მომდინარეობს ეპონიმის სახელიდან — ***აბაში.***

გვარის ეთნოისტორიული კვლევა საინტერესოა ქართველთა სოციალურ-კულტურული ყოფის თვალსაზრისითაც. ირკვევა, რომ ამჟამად იანეთში მცხოვრებ, სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ რეპატრიანტ მესხებს დღესაც წესად აქვთ "საკუთარი ლიდერის არჩევის გადასახლებამდელი ტრადიცია". იანეთში ჩამოსახლების დროს მათი "ლიდერი" იყო ჯემალ აუბოვი. თავისი პიროვნული თვისებებით, უნარიანობითა და სამართლიანობის პრინციპით არჩეული ლიდერი სოციალურ-კულტურული და სამეურნეო ურთიერთობების გამრიგეა.

სოფელ საყუნეთიდან "გადაუსახლებიათ ***ქინდიევები***, ძველი ქართული გვარით ***ტაბატაძე***".

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული გვარსახელი ტაბატაძე პირველად XV საუკუნეში იხსენიება. ტაბატაძეები ხარაგაულის რაიონის სოფლებში — ვანსა და ხევში მკვიდრობენ. გვიანფეოდალურ ხანაში მკვიდრობდნენ ისტორიული ზემო ქართლის სოფელ აბანოში. დღეს მოსახლეობენ ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში (პ. ცხადაია, 2000, გვ. 129; ი. მაისურაძე, 1990, გვ. 152; რ. თოფჩიშვილი, 1997, გვ. 57).

გვარსახელი ეპონიმურია. მას საფუძვლად უდევს საკუთარი სახელი — ***ტაბატა***.

იანეთს მკვიდრობენ ***მამისაშვილები→მამედოვი***. გადმოცემაში ნახსენები მამისაშვილების ძირი საცხოვრისი სოფელი კონჯღა უნდა იყოს, ახალქალაქის სოფელი ორჯა. "სომხების მოწოლის გამო მამისაშვილები მოსულან ახალციხის ყოფილი მაზრის ვარხანის თემის სოფელ ჩურჩუტოში". ფაზაირის "სისხლ", ამჟამად იანეთის მკვიდრ "დანარჩენ ***მამისაშვილებსაც*** გადასახლების პერიოდში ახალ გვარად მიუღიათ მამედოვი".

მამისაშვილების გვარის ისტორიის შესწავლა გვაწვდის ინფორმაციას XIX საუკუნის ოციანი წლების იმ რეალობაზე, რომელმაც შეაპირობა ჯავახეთის მოსახლეობის სამცხეში და საქართველოს სხვა თემში გადასახლება, ჯავახეთის ეთნიკური რუკის შეცვლა. ცნობილია, რომ 1828 წლის შემდეგ ჯავახეთის ძირითადი მოსახლეობა თურქეთიდან გადმოსახლებული მოსახლეობაა. უშუალოდ პასკევიჩის ხელშეწყობით ჯავახეთში ჩაასახლეს ოსმალეთიდან, ყარსისა და არზრუმის საფაშოებიდან გამოქცეული სომხები. მათ დაიჭირეს პირველი ადგილი, ქართველი მაჰმადიანები, მეორე ადგილზე დარჩნენ (ივ. ჯავახიშვილი, 1996, გვ. 35; რ. თოფჩიშვილი, 1993, გვ. 4).

საკუთარი სახელიდან — **მამისა** წარმომდგარი გვარსახელი მამისაშვილი მკვიდრობს ისტორიულ ქართლშიც და დასავლეთ საქართველოშიც. ყველაზე ადრინდელი საბუთი, რომელშიც აღნიშნული გვარი იხსენიება, 1525-1558 წლებით თარიღდება (პალ, 2004, გვ. 27).

მამისაშვილები, ქრისტიანული ტრადიციის შესაბამისად, არ ქორწინდებიან სისხლით და შეძენილ ნათესავებზე, მამისაშვილ/მამედოვებზე, გვარის მატარებელ

განაყოფზე (ერთი ძმა ცხოვრობს მისი "ნაშიერით" ყაზახეთში) და ოჯახის დიასახლისის გადასახლებამდელ გვარზე ***ჩახალიძე***. ჩახალიძეები ახალციხის სოფელ ფერსაში მკვიდრობდნენ. ფერსადან რეპატრირებული ჩახალიძეების შტოს ნაწილი ცხოვრობს კრასნოდარში, როსტოვსა და აშშ-ში.

საქართველოში გავრცელებული იყო ქალის სახელი — ***ჩახალ***. გიორგი ბოჭორიძეს ზემო ქართლში დაუდასტურებია აღნიშნული სახელიც და ამ სახელის მატარებელი განაყოფის მკვიდრობაც.

ადიგენის რაიონ სოფელ წყისეს მცხოვრებ ჩახალ ფეიზელ ოღლის შვილის — მაჰმუდის სახლში აღმოჩნდა ჯვარი; ახალციხის რაიონის სოფელ ივლიტაში საფლავის ქვაზე ორი ასეთი წარწერაა: "ქ. საფლავსა ამასა შინა მდებარეა 2. მოლოზნიანთ პოღოსას ქალი მეუ ღვინობ 3. ღლე ***ჩახალათ*** ოსეფასი ანნა: 1801 : 5" (გ. ბოჭორიძე, 1992, გვ. 18, 52, 62).

იანეთის მკვიდრი მირზა ***მამისაშვილის*** მეუღლის ქართული გვარია ***სანიკიძე***. უზბეკეთში გადასახლებული სანიკიძეები ***მუზაფეროვები*** გახდნენ. უზბეკეთიდან აზერბაიჯანში გადმოსახლდნენ XX საუკუნის მესამე მეოთხედიდან ნათესავებთან ახლოს ყოფნის გამო, გვარად დაირქვეს წინაპარი ნაზიმის სახელი. აწინდელი ნაზიმოვების "ერთი ნათესაობა" აზერბაიჯანსა და ნალჩიკშიც მკვიდრობენ.

სანიკიძეების საცხოვრისი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოფელი უთხისუბანი/უტყისუბანი იყო. ამ სოფელში გიორგი ბოჭორიძესაც დაუმოწმებია სანიკიძეების ათი კომლი, რომელთაგან "ზოგი ქართულად კარგად ლაპარაკობდა" (გ. ბოჭორიძე, 1992, გვ. 86).

საკუთარ სახელად ქცეული ძველი ეთნონიმიდან სანიკი(//სანიგი) მომდინარე გვარსახელი ***სანიკიანი*** სანიგიანის ფორმით პირველად იხსენიება XIII საუკუნის სვანეთის სულთა მატიანეებში. სანიგიანი→ სანიკიანი→ სანიგია→ სანიკია→ სანიკიძის ფორმით გვარი დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში (პ. ცხადაია, 2000, გვ. 125; რ. თოფჩიშვილი, 1993, გვ. 21; გ. ბოჭორიძე, 1994, გვ. 70; ი. მაისურაძე, გვ. 143; დ. შავიანიძე, 2007).

რეპატრიირებული იზნოების ოჯახის უფროსის ტოპიკ ***იზნოს*** ადრინდელი გვარი არის ***ჯინჭარაძე***. ადიგენის რაიონ სოფელ ბოლაჯურშიც მაჰმადიანები ყოფილან. ამ სოფლის მკვიდრი ყოფილან ჯინჭარაძეები 1976 წელსაც (მ. ბერიძე, 2006, გვ. 77). ჯინჭარაძეებისთვის გვარი სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად ჯერ კიდევ გადასახლებამდე შეუცვლიათ ***მადადოვად***, შემდეგ კი — ***სეფიევად***. იანეთის მკვიდრი ტოპიკ იზნოს მამა იყო სეფიევი, მისი ბაბუა მადადოვი. რაც შეეხება თავად ტოპიკს, უზბეკეთში გადასახლების შემდეგ დაირქვა გვარად მამის, იზმაილიდან ან ისმაილიდან ნაწარმოები (მ. ბერიძე, 2006, გვ. 77) სახელი იზნო. იანეთში ცხოვრობენ ცალკე ოჯახებად ტოპიკ იზნოს სამი შვილი. ტოპიკის სამი ძმიდან ერთი არის ***ისვადიევი***, მეორე ***სეფიევი*** და მესამე ***მურადოვი***.

ილია მაისურაძის მონაცემებით, გვარი დასავლურქართულია. საკუთარი სახელიდან — ***ჯინჭარა*** მომდინარე გვარის — ჯინჭარაძის ძირი საცხოვრისი არის რაჭაში, ამბროლაურის რაიონში, ჩოხატაურისა და ქობულეთის რაიონებში. მკვიდრობენ აგრეთვე იმერეთში.

შეიძლება დავუშვათ ორი ვარაუდი: 1. გვარი მიგრირებულია ზემო ქართლიდან. ჯინჭარაძეები გამოექცნენ მუსულმანურ ექსპანსიას და გადმოსახლდნენ

ზემო ქართლის მოსაზღვრე ისტორიულ გურიაში ან რაჭაში. 2. შესაძლოა გვარი ფორმირებულიყო დამოუკიდებლად როგორც დასავლეთ, ისე სამხრეთ საქართველოში.

ჯინჭარაძე → იზნოს ეთნოისტორიული კვლევა ადასტურებს ქართული ყოფისთვის დამახასიათებელ რამდენიმე სინამდვილეს:

უცხო ქვეყანაში იძულებით გადასახლებული ძირად ჯინჭარაძე კიდევ ერთხელ გახდა იძულებული შეეცვალა უკვე არაქართული გვარი. "შემოთავაზების შემდეგ შეძლო და გვარად დაირქვა, მართალია, არაქართული, მაგრამ წინაპრის სახელი იზნო; არაა გვარგატეხილობის შემთხვევა. არ ჭორწინდებიან აგრეთვე სეფიევებზე და დების ქმართა გვარების — ***ბაქრაძეების*** და ***განჩაძეების*** ნათესავებზე; ირკვევა ადამიანის სახელის მატარებელი ტოპონიმის შექმნის ქართული ტრადიცია. იანეთში, იმ ადგილას, სადაც ტოპიკ იზნოს სათესი ყანაა, ჰქვია **"ბაბუა ტოპიკის ყანა"** / **"თეფო დედეს ყანა"**.

1965 წელს უზბეკეთიდან აზერბაიჯანში, აქედან 1982 წელს იანეთში ჩამოსახლდა ფატიმა ***იზატოვა***. ისინი ახალციხის რაიონ სოფელ ანიდან გადაასახლეს. მათი ქართული გვარი ***შაქრაძის*** საცხოვრისი არის სოფელი ბენარი. ახალციხის მაზრის კლდის თემის სოფელ ანის მკვიდრები ყოფილან ***შაქარაძეები***. თავის ადრინდელ გვართან დაკავშირებით დღეს უზბეკეთში დარჩმეული გვარის იზიატოვის მატარებლებმა არაფერი იციან.

საისტორიო დოკუმენტებში არაერთგზის გვხვდება საკუთარი სახელიდან —**შაქარა** ნაწარმოები გვარსახელი შაქარაშვილი. შეიძლება დავუშვათ, რომ იგივე სახელი გახდა "ძე" დაბოლოებიანი გვარ შაქარაძის მაწარმოებელი.

გიორგი ბოჭორიძის ცნობით, ზემო ქართლის სოფელ ამხას ეკლესიის ნანგრევთა ნაწილები, ერთად შეერთებული ოთხსვეტის სახის ეკლესიის სვეტები, სხვა მეზობლებთან ერთად წაუღია და სახლისთვის გამოუყენებია შაქირ ყოჩი ოღლის (გ. ბოჭორიძე, 1992, გვ. 87).

ბაირამ იზატოვის დედა და ბეითულა ტაიროვის და ზეინაბ ***ტაიროვაც*** ანიდანაა. მისი ქართული გვარი იყო ***ორბიძე.***

შოროთის ეკლესიის კედელზე არის ასეთი წარწერა: "ქრისტე ორბისძეს ნიკოლოზს გალატოზთ უხუცესს შეუნდვენ ღმერთმან ამენ" (გ. ბოჭორიძე, 1994, გვ. 26).

არძენის მკვიდრ სხვა გვარებთან ერთად გ. ბოჭორიძე ასახელებს ***თურმანიძეების,*** "იგივე ***ოსიძის***" 1 კომლს (გ. ბოჭორიძე, 1992, გვ. 131).

თურმანიძე ზემო იმერეთსა და ხულოს რაიონში გავრცელებული გვარია. პირველად მოხსენიებულია 1466-1478 წწ. სიგელში. თურმანიძე საგია გორის რაიონის სოფელ ატენის მოურავია (პალ, 1993, გვ. 366). გვარი დაფიქსირებულია სინას მთის სულთა მატიანეში. გოგოლაურთა თემში შედიოდა თურმანაულთა გვარი (რ. თოფჩიშვილი, 1997, გვ. 55, 70).

ისტორიულ ზემო ქართლში, დღევანდელ აჭარაში, ქედის რაიონში დღესაც არის სოფელი თურმანიძეები.

იანეთის მკვიდრი რეპატრიირებულების ერთი ოჯახი ***აბიბოვის*** გვარს ატარებს. თავიანთი ძირი ქართული გვარის შესახებ მხოლოდ ის იციან, რომ ყოფილან ***თურმანიძეების*** **"ჩახტიანებად"** წოდებული განაყოფის შვილები. მერაბ ბერიძის მიერ უკვე მიკვლეული მასალების მიხედვით, აბიბოვის ძველი

ქართული გვარია ***აბულაძე***, რომლებიც პატარა სოფელ სმადს მკვიდრობდნენ (მ. ბერიძე, 2006, გვ. 65).

გვარის ისტორიის შესწავლის დროს კიდევ ერთხელ დასტურდება სამცხე-ჯავახეთიდან XX საუკუნის ორმოციან წლებში გადასახლებული გვარების ეთნოისტორიული კვლევის აუცილებლობა, საინტერესო სოციალური, ყოფითი ცხოვრების წესების შესწავლის თვალსაზრისითაც. თურმანიძე, უზბეკეთში გადასახლების შემდეგ აბიბოვი, ქორწინებაში არ შედის დედის გვარის მატარებელ იმ ნაწილთან (სამ თაობასთან — დ.შ.), რომლებიც თურმანიძეთა შეძენილი ნათესავები არიან.

იმერეთიდან გადასახლებულან ადიგენის რაიონის სოფელ ვარხანში ***ბახტაძეები***. მათი გადასახლების დროინდელი და ამჟამინდელი თურქულ-აზერბაიჯანული გვარი ***ბაგბანოვი*** ნაწარმოებია პროფესიულობის აღმნიშვნელი სახელიდან (**ბაღ-ბან** ქართულად მებაღეს აღნიშნავს).

საისტორიო დოკუმენტებით დასტურდება ბახტაძის გვარის იმერლობა, ხონის მკვიდრობა. XVI საუკუნის დასასრულის დათარიღებულ საბუთებში დასახელებული ბახტაძეები: ბასილა, გაბრიელი, გამსაჯა, გიორგი, მამისთვალა, ნასყიდა, ნატრი, ცოტნია ხონის წმინდა გიორგის ყმები არიან. თუმცა ბახტაძე უფრო ადრე 1527-1558 წწ. დათარიღებულ საბუთში ახალქალაქის სოფელ ზაკვის მკვიდრი გოშფარ ჯავახიშვილის ყმად სახელდება. შედარებით გვიან 1624 წელს მოხსენიებულია ბახტაძე შერმაზანი, შალვაშვილის გარდაცვლილი ყმა, რომლის მამული ზაქარია ჯავახიშვილმა მიართვა ბატონ მოურავს.

იანეთში რეპატრიირებულ ქართველთა შორის ბაგბანოვები სანათესაოს ყველაზე ფართო წრეს ასახელებენ. მათ მხოლოდ საკუთარი და დედის გვარის მატარებელ ნათესაობასთან კი არა აქვთ საქორწინო აკრძალვა, სხვა ნათესაურ მოყვრებთანაც. ისინი არ ქორწინდებიან დღეს ნალჩიკში მცხოვრებ ***შავაძეებზე*** დღეს ***შახმურადოვი*** (გადასახლების წინ შავაძეების ერთმა განაყოფმა დაირქვა ერთი ოჯახის ბებიის მამის სახელი — შახმურადი) არ ქორწინდება ასევე ნალჩიკში მცხოვრებ სისხლით ნათესავ ***ვასაძეებზე*** → ***საფაროვი***, მოყვარე ***ოზნოზე*** და ბიძაშვილ ***კამალოვებზე*** ← ***ბახტაძე***.

მ. ბერიძე კვლევის შედეგად ადგენს, რომ ადიგენის რაიონის სოფელ ჩურჩუტოდან გადასახლებული მურადინ მუსტაფაევის და მისი მეუღლის ფიქრია ***ჩაქმაძე→შადმანოვას*** შვილი ფაზაირ ***მამისაშვილი→მუსტაფაევი*** დაქორწინდა იანეთში ფატიმა ***ბაგბანოვაზე*** (მ. ბერიძე, 2006, გვ. 75).

საქართველოს ერთ-ერთი თემში გავრცელებული სახელი უდევს საფუძვლად ელბრუს იუსუპოვი ***ლაზიშვილის*** გვარს. ლაზიშვილები გადასახლებამდე ადიგენის რაიონ სოფელ ჩიხეში მკვიდრობდნენ. საისტორიო საბუთებში ნახსენებია არა სოფელი ჩიხე, არამედ ჩიხორიშის, რომელიც ასპინძის თემში შედიოდა. რაც შეეხება გვარსახელს, მოხსენიებულია ***ლაზიაშვილის*** ფორმით 1689 წელს. "ლაზიაშვილი გოლა-კალაურში მცხოვრები, ერთი კომლი, შეტანილია სვეტიცხოვლის კუთვნილ საკომლოების ნუსხაში" (პალ, 1993, გვ. 550).

უზბეკეთში გადასახლების წინ ოჯახის უფროსს წინაპარ ***იუსუპოვის*** სახელი მიუღია გვარად. უზბეკეთიდან ჩამოსული ლაზიშვილები, გარდა იანეთისა, მკვიდრობენ ნასაკირალში და თბილისში, საქართველოს გარეთ კი — ბაქოში და კრასნოდარში. ელბრუს ლაზიშვილი ნათესაობს თავის განაყოფ იუსუპოვებთან

ბეჭიროვებთან (ოჯახის დიასახლისის გვარი წარმომდგარია წინაპრის სახელიდან — ბეჭირი), ლაზიშვილებთან, მამისაშვილებთან, ***ჭელიძეებთან*** (ელბრუს ლაზიშვილის დედის გადასახლებამდელი გვარი) და ***ცაცანიძესთან*** (ოჯახის დიასახლისის გადასახლებამდელი გვარი).

ბაჭიროვი → ცაცანიძეები ვიდრე გადასახლებამდე ადიგენის რაიონის სოფელ ღაღვის მკვიდრები იყვნენ. "ქვედა ღაღვში არის ცაცანიძეები, ჩხიაძე (ჩხეიძე?) 10 კომლი... ცაცანიძეც კარგად ლაპარაკობს ქართულს" (გ. ბოჭორიძე, 1992, გვ. 135).

გვარი უნდა მომდინარეობდეს საკუთარი სახელიდან — ცაცანა.

"ორფელოდან უზბეკეთში გადანასახლები ***ბექაძეები*** პირველივე შესაძლებლობის გაჩენის უმალ გადმოსახლდნენ აზერბაიჯანში, შემდეგ ოზურგეთში, ისტორიულ სამშობლოში". ოზურგეთიდან გადმოსახლებული ერთი ოჯახი მკვიდრობს დღეს იანეთში.

გვარსახელი უნდა მომდინარეობდეს ბატონის აღმნიშვნელი თურქული სახელის — ბეგის ძველი ქართული ვარიანტიდან ბექი/ბექა.

ისტორიული მესხეთიდან გადასახლებული იანეთის მკვიდრი ქართველების გვართა ეთნოისტორიული კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ძალით სარწმუნოება და გვარშეცვლილ, სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ, დეპორტირებულ ქართველებს ეთნიკურ მახასიათებელთა ნაწილი (ქართველობის, ძირისაცხოვრისის, ქრისტიანობის საკუთარ, ძველ რელიგიად აღიარება და ა.შ) შენარჩუნებული აქვთ და შესაძლებლობისამებრ გამოხატავენ კიდევაც აღნიშნულს; იანეთის მკვიდრი რეპატრიანტები საკუთარ სამშობლოდ და მშობლიურ ენად საქართველოს და ქართველობას თვლიან; იანეთში რეპატრიირებული ე.წ. "თურჩი მესხები" დღესაც თავის წინაპარს "ძველს" ეძახიან; გადასახლებამდე ველას სარწმუნოება არაოფიციალურად მაინც ქრისტიანულ-მართლმადიდებლური იყო. ჩუმად ასრულებდნენ ქრისტიანული მრწამსით გათვალისწინებულ წეს-რიტუალებს, აღნიშნავდნენ დღესასწაულებს. ქრისტიანული დღესასწაულებიდან დღესაც "თავისად გამოარჩევენ" აღდგომას; გვარის იძულებით შეცვლის დროსაც ცდილობდნენ გაეგვარებინათ წინაპრის სახელი; დგინდება, რომ დღეს უკვე "იერლი", ანუ ადგილობრივი; არის ყველა, ვინც გადაასახლეს სამცხე-ჯავახეთიდან; ჩამოსახლებულებიდან უმრავლესობა თანდათან ოფიციალურად აღიდგენს ძველ ქართულ გვარს; იშვიათად, მაგრამ მაინც ეხვდებით რეპატრიირებულთა მიერ ამა თუ იმ ადგილისათვის საკუთარი გვარის სახელის წოდების ტრადიციას; ქორწინებით შეძენილი ნათესავი მათთვისაც "მოყვარეა"; არ ქორწინდებიან ძირი გვარის, გადასახლების დროინდელი და გადასახლების შემდეგ შეძენილი გვარის ნათესავებზე; ქორწინების დროს დედის გვარიდან აკრძალვა გრძელდება სამ თაობაზე; ნათესავად თვლიან ქორწინებით, დედის, ხელოვნურად შეძენილ ნათესავს; რეპატრიირებულ ქართველთა მეუღლეები თავს ჩვეულებრივ მეუღლის გვარისად გაიაზრებენ; იანეთის მკვიდრი ქართველები დღესაც ინახავენ "ლიდერის" არჩევის და მისგან სოციალურ-კულტურული პრობლემების გადაჭრის ტრადიციას.

ძალით გამაჰმადიანებული, ისტორიული სამშობლოდან გადასახლებული და ამჟამად იანეთში მცხოვრები ქართველები დღესაც ურთიერთობენ გადასახლებას გადარჩენილ მეზობელ-ნათესავებთან, ნაცნობებთან. შესაძლებლობისამებრ ურთიერთობენ თურქეთში თუ ყოფილი საბჭოთა იმპერიის

სხვადასხვა მაჰმადიანურ რესპუბლიკებში ამჟამად მცხოვრებ ნათესავებთან. არ ივიწყებენ და ესწრაფიან ქართველობაში დაბრუნებას.

ვფიქრობთ, საშურია, დავეხმაროთ უცხო ეთნოსებს მიკუთვნებულ ქართველობას, რათა არ დაავიწყდეთ წარმომავლობა, სამშობლო მიწის სიყვარული, ენა და კულტურა.

დამოწმებული ლიტერატურა

ნ. ბერძენიშვილი, 1937 - ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I, თბ., 1937.

ნ. ბერძენიშვილი, 1964 - ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964.

მ. ბერიძე, 2006 - მ. ბერიძე, ქართველთა გამუსლიმება და გვარის შეცვლა მესხეთში, თბ., 2006.

გ. ბოჭორიძე, 1992 - გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992.

დ. გვრიტიშვილი, 1995 - დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1995.

ვახუშტი, 1973 - ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა: ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973.

რ. თოფჩიშვილი, 2005 - რ. თოფჩიშვილი, ეთნო-ისტორიული ეტიუდები, I, თბ., 2005.

რ. თოფჩიშვილი, 1993 - რ. თოფჩიშვილი, სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა, თბ., 1993.

რ. თოფჩიშვილი, 1997 - რ. თოფჩიშვილი, როდის [illegible]ქმნა ქართული გვარსახელები, თბ. 1997.

რ. თოფჩიშვილი, 2008 - რ. თოფჩიშვილი, ქართული ეთნოლოგია, თბ., 2008.

შ. ლომსაძე, 2000 - შ. ლომსაძე, მესხები და მესხეთი, თბ., 2000.

შ. ლომსაძე, 1975 - შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.

პირთა ანოტირებული ლექსიკონი, III, თბ., 2004.

ი. მაისურაძე, 1990 - ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1990.

ო. სოსელია, 1973 - ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, II, 1973.

ტ. ფუტკარაძე, 2005 - ტ. ფუტკარაძე, მესხეთიდან დეპორტირებულთა თვითაღქმა, თბ., 2005.

დ. შავიანიძე, 2008 - დ. შავიანიძე, ქართული გვარსახელები, ქუთაისი, 2008.

პ. ცხადაია, 2000 - პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000.

ივ. ჯავახიშვილი, 1996 - ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, თბ. 1996.
ს. ჯანაშია, 1952 - ს. ჯანაშია, შრომები, II, თბ., 1952.
ს. ჯიქია, 1941, 1948 - ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თბ., II - 1941, III - 1958.

DAVID SHAVIANIDZE

FROM THE ETHNO-HISTORY OF THE GEORGIAN REPATRIATES OF IANETI
(According to the family names' ethnographic data)

The ethno historical study of the family names of the Moslem Georgians, who in the 40s of the 20th century were displaced from the historical region of Meskheti, but still, in exile, retained Georgian mentality and are now repatriated in the village of Ianeti, west Georgia, reveals the following: 1). Repariates of the village of Ianeti regard Georgia as their homeland, and Georgian language as their native tongue. 2). they refer to their ancestors as *dzveli.* 3). before the exile their common religion (at least informally) was Orthodox Christianity. They observed rituals and holidays anticipated according to the Christian faith, particularly, *The Resurrection,* calling it as: *ours*, our holiday, even today. 4). When being forced to change their family names they adopted their ancestors' names. 5). the word 'ierli' or 'local' is used to refer all who were deported from historical Meskheti and Samtskhe-Javakheti. 6). There is the tendency that those who have returned in their fatherland restore their original family names. 7). rarely but still we see the tradition to attach their

რევაზ შეროზია

კონსტანტინე გამსახურდია და ქართველური ენობრივი სამყარო

"... ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს..."
ნ. ბარათაშვილი

I. მწერალი, ენასთან მიმართებით, ძირითადად ორი საკითხის "მოგვარებას" ცდილობს: 1. ლექსიკური ერთეულების შერჩევას; 2. ენობრივი სისტემის შესაძლებლობათა გამოყენებას მეტ-ნაკლები სისრულით (ცხადია, სისტემის შესაძლებლობებში გრამატიკულ-სტრუქტურულ ელემენტთა ფორმისა და შინაარსის შესაძლებლობები იგულისხმება. სხვაგვარად ლექსიკური ერთეულებიც სისტემის შემადგენელი ნაწილია). ორივე სპეციფიკურ სირთულეებს შეიცავს და შემოქმედისათვის ადვილი დასაძლევი სულაც არ არის. ამავე დროს, ამ საკითხების გადაწყვეტაზეა დამოკიდებული "მწერლის ენის" (გამორჩეული სტილის) შექმნა. კ. გამსახურდიას სიტყვებით რომ ვთქვათ, "დღედაღამ ებრძვის პოეტი სიტყვების მასას, როგორც მოქანდაკე მარმარის ლოდებს..." ან: "როგორც მუშახელის მოტანილ ქვასა და აგურს გამოცდილი ხუროთმოძღვარი თვალს გადაავლებს, აღრიცხავს და აღნუსხავს მასალას, მერმე წინასწარ შედგენილ გეგმაზე ააგებს უწესრიგოდ დაყორებულ ქვისგან ბრწყინვალე შენობას, სადაც ბალავერი, ფასადები, ლავგარდანები და ზეთავი სახლისა ერთი და იგივე პლასტური სიმფონიის სამსახურში ჩადგებიან, აგრეთვე მუშაობს შემოქმედიც ენისა".

ლექსიკური ერთეულების შერჩევა შემოქმედისათვის იგივე ჩანს, რაც მხატვრისათვის ფერთა შეხამებაა, კომპოზიტორისათვის კი ტონალობა და ჰარმონიული სტრუქტურა. სიტყვა, უბრალოდ, ნიშანია, მასალაა. იგი მხოლოდ წინადადებაში, ფრაზაში ცოცხლდება ისევე, როგორც მუსიკალური ბგერა — მელოდიაში, ჰარმონიულ წყობაში. შესაძლებელ ვარიანტთაგან ერთის გამორჩევა წინადადების შინაარსის (აზრის) გათვალისწინებით იოლი არ არის. ასევეა სათანადო (საუკეთესო) ფორმის გამონახვაც, რადგან წინადადებაში, ფრაზაში სიტყვა მარტო არ არის ისევე, როგორც ვაზის მტევანი ჩუქურთმაში, — ქართველური ეკლესია-მონასტრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი, ჩუქურთმა ოსტატისაგან მოითხოვდა არა მარტო მასალის განსაზღვრა-დამუშავებას, ტაძრის პარამეტრებისა და სხვადასხვა მახასიათებლების გათვალისწინებას, არამედ, რაც მთავარია, ყველა დეტალში ქართველური სულიერი და მატერიალური კულტურის თავისებურებათა წარმოჩენას, ასახვას.

კ. გამსახურდიამ კარგად იცოდა, რომ "...დიდ და ძველ ტრადიციათა მატარებლის, ენის შესასწავლად ადამიანის ერთჯერი სიცოცხლეც მოკლეა", მაგრამ თავისი ნიჭითა და დაუღალავი შრომით ახერხებდა მშობლიური ენის ლაბირინთებში შესვლას, იქ ჩაბუდებული ენობრივი შესაძლებლობების გამოვლენა-გამოყენებას ქართველური "ტაძრების" ასაგებად. ამავე დროს, სიტყვიერი და ფორმალური მასალის საძებნად ენის სიღრმეში ჩასული მწერალი აცხადებდა, რომ დაუშრეტელი რეზერვუარი ჩვენი ენისა ეს გახლავთ ძველქართული და ჩვენი ტომების მრავალკილოვანი დიალექტები", რომ "... უძველესი, მაგრამ ლიტერატურაში ჯერაც უხმარი ქართული სიტყვები მოიპოვებიან გურიაში, ზემო და ქვემო იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოსა და სვანეთში".

ლექსიკური მასალის მუდამ მაძიებელი შემოქმედი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ახალი საენათმეცნიერო ლიტერატურის გამოსვლას, — საყურადღებოა მისი კრიტიკული წერილები ჭიზიყურის, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებზე... თავადაც პოულობდა და დიალექტებიდან სალიტერატურო ენაში შემოჰქონდა არაერთი საინტერესო სიტყვა. ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ მას აღნიშნული აქვს თანამედროვე რომანის საკითხებზე დაწერილ მეექვსე წერილში: "...ტოილო — ფრიად საჭირო სიტყვა, ნიშნავს საბელს, რომლითაც საბალახოზე დააბამენ ხოლმე ცხენს". ძნელია საუბარი იმაზე, "ტოილო"-ს უკავშირებდა თუ არა მწერალი მეგრულსა და ლაზურში დადასტურებულ იმავე ძირის ზმნურ ფორმას "ჭიგიოტოულე" (დააბი!). ამის შესახებ იგი არაფერს ამბობს, მაგრამ სავარაუდოა, რომ მისთვის მარტვილური ვარიანტი სიტყვისა ცნობილი იყო.

II. მწერლის დამოკიდებულებას ენისადმი კ. გამსახურდია მხატვრულ ახსნას უძებნის:

"...დღე და ღამ ვებრძვი ქართულ სიტყვას, როგორც კოჭლი იაკობი ებრაელთა მრისხანე ღმერთს". ასევე "ფიქრობს" სვეტიცხოვლის ამგები ლაზი ხუროთმოძღვარი. მხატვრულ გმირსა და მწერალს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ პირველი საჭრეთლითა და ხუროთმოძღვრული ხედვით წარმოაჩენს ქართველურ სულიერი და მატერიალური კულტურის საგნძურს, ხოლო მეორე — კალმითა და ასევე, ქართველური აზროვნებით. ამიტომაც ორი დიდოსტატი ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს. და მაინც, კითხვა ჩნდება: რატომ ადარებს კალმის ოსტატი (ასევე, საჭრეთლის ოსტატი), სიტყვასთან მებრძოლი მწერალი თავის თავს ღმერთთან მებრძოლ იაკობს?!

ადამიანი მუდამ შეუცნობელის ძიებაშია. ამავე დროს, ცდილობს, მეტი თავისუფლება მოიპოვოს სამყაროში. თავისუფლება კი პირობითია, შედარებითია. თავისუფლების ხარისხი ბრძოლის უნარსა და სამყაროს ცოდნის სიფართოვეზეა დამოკიდებული, — აბსოლუტური თავისუფლება მხოლოდ ღმერთს შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ ადამიანი ყოველთვის იმის ფიქრშია, მისწვდეს შეუძლებელს, ისე ღრმად ჩავიდეს მღვიმეში, რომ შეუცნობელი არაფერი დარჩეს. ენის სიღრმეში ჩასვლა კი ყველაზე რთულად დასაძლევი ამოცანა ჩანს ბუნებაში არსებულ წინააღმდეგობებს შორის (ენობრივი სისტემის გრამატიკული ნაწილის შესწავლა სულაც არ ნიშნავს ენის სიღრმეში ჩახედვას ისევე, როგორც აისბერგის მხოლოდ ხილული ნაწილის გამოკვლევით წარმოდგენა ვერ შეგვექმნება მის მთლიან ფორმაზე). შეუძლებელია, ერთმა ადამიანმა, თუნდაც ისეთმა, ღვთისგან ნიჭით დაჯილდოებულმა, როგორიც კ. გამსახურდია იყო, სრულად გაითვალისწინოს სიღრმე და ძალა ენისა (მით უმეტეს, როცა იგი "გვაქვს უთვალავის ფერითა"). მაგრამ ძლიერი სურვილი იმისა, რომ გაარკვიოს, სად გადის ზღვარი ადამიანის შესაძლებლობებსა და რეალობას შორის და, ამავე დროს, მიიღოს თავისუფლების მეტი ხარისხი, პიროვნებას უბიძგებს ბრძოლისკენ...

III. კ. გამსახურდია ერთ-ერთი ის გამორჩეული ქართველი მწერალია, რომელმაც ქართველური ენობრივი სისტემის სიღრმეში ჩახედვა მეტ-ნაკლებად მოახერხა და ენის შესაძლებლობათა გამოყენებით ქართველური სალიტერატურო ენის ისტორიაში თავისი სტილური ვარიანტი შექმნა.

შენიშვნა I: აქ უადგილო იქნებოდა საუბარი იმაზე, თუ ენობრივი სისტემის შესაძლებლობებიდან რა და როგორ არის მწერლის მიერ გამოყენებული. ეს ცალკე მსჯელობის საგანია. საკმარისია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ კ. გამსახურდია, ითვალისწინებს რა **სისტემის ყველა ვარიანტულ გამოვლინებას** (ძველი სალიტერატურო და დიალექტური ვარიანტები), კრიალოსნის ერთ ასხმაში აერთიანებს მორფო-სინტაქსურ და ლექსიკურ შესაძლებლობებს. ამავე დროს, ამ ასხმაში ზომიერებაა დაცული და თითოეული მარცვალი არ მეტობს, არ გამოირჩევა, არ "ყვირის". მაგალითისათვის შეიძლებოდა ერთი რეფრენის დასახელება: "ეჰა, ღამევ, ჩემი სულისაებრ ბნელო, მამცნე იდუმალი ზრახვანი შენნი!"

იგი ერთსახოვანი არ არის: თუ ქართველური ისტორიის მასალას იყენებს, მაშინ ჰარბობს არქაული ელემენტები, რომელთა სინთეზი თანამედროვე ფორმებთან გვეხმარება განწყობის შექმნაში, ერთგვარად გვაახლოვებს სათანადო ეპოქასთან. ამდენადვე, ქართველი მკითხველი უცხოდ აღარ გრძნობს თავს წარსულში. მაგრამ არაისტორიულ ნაწარმოებებში არქაულ ფორმებს ნაკლებად მიმართავს მწერალი. სამაგიეროდ ქართველურ დიალექტთა მასალის შეზავება თანამედროვე სალიტერატურო მონაცემებთან ქმნის ზომიერ, ესთეტიკურად გაწონასწორებულ, მაგრამ თავისებურ, გამორჩეულ, კ. გამსახურდიასეულ სტილურ ვარიანტს (თუ როგორ ყალიბდებოდა იგი, მხატვრული ნაწარმოებების გარდა ჩანს მწერლის კრიტიკულ წერილებშიც).

კ. გამსახურდიას ენობრივი სამყარო შემოფარგლული არ არის სალიტერატურო, ნორმატიული ვარიანტით. არც რომელიმე ერთი დიალექტის მასალა იკვეთება მასში ისე, როგორც ეს წარმოჩინდება XIX-XX საუკუნეების ქართველურ მწერლობაში, — შემოქმედისათვის არსებობს მხოლოდ **ერთიანი ენობრივი საგანძური, ერთიანი ენობრივი სისტემა,** რომელიც განტოტვილია საქართველოს ყველა კუთხეში, მთასა და ბარში. ამიტომაც მისი შესაძლებლობების ნებისმიერი ვარიანტული (დიალექტური) გამოვლინება თანაბრად ღირებულია მწერლისათვის. აქედან გამომდინარეობს კ. გამსახურდიას (როგორც მწერლისა და მოქალაქის) პოზიცია ყოველივე ეროვნულის, უპირველესად კი ერის განმსაზღვრელი უმთავრესი ნიშნის, ენის მიმართ.

ეს პოზიცია, როგორც ცნობილია, კ. გამსახურდიამდეც არსებობდა. საკმარისი იქნებოდა "სიტყვის კონას" დასახელებაც, სადაც სულხან-საბას შეტანილი აქვს ქართველურ დიალექტთა მასალა მიუხედავად იმისა, რომ იგი მკვეთრად განარჩევდა "ავენოანობას" (დიალექტური, არასალიტერატურო ფორმით მეტყველება) და "ენამზეობას", "ენაგანათლებულობას" (სალიტერატურო ფორმით მეტყველება). ყურადსაღებია, რომ დიდი ლექსიკოგრაფი მეგრულს, ლაზურს იმავე რანგში მოიხსენიებს, როგორც იმერულს, მესხურს. კ. გამსახურდიასთვისაც სალიტერატურო ვარიანტის გარდა ყველა ქართველური მეტყველების ფორმა "დიალექტია", ენაკავია": "...ასევე უნდა ვასხურე ჩემს ლექსიკას ხევსურულიდან, იმერულიდან, ქართლ-კახურიდან და მეგრულ-გურულ ენაკავებიდან მოტანილი სიტყვები". იქვე, სალიტერატურო ქართულის ზრდა არ შეიძლება მარტოოდენ გარეგან სესხს — ბარბარიზმებს — დაეყრდნოს. აქ უმთავრესია "შინაგანი სესხი" ქართული ენაკავებიდან, სვანურ-ჭანურ და ოდიშურ დიალექტებიდან ახალი და უხმარი ლექსიკური მასალის მოხვეჭა".

შენიშვნა II: თამამად შეიძლება ითქვას, რომ მწერალი მიჰყვებოდა დიდი წინაპრების, რუსთაველისა და სულხან-საბას გზას. ზუსტია მისი შეფასება რუსთაველისა, — "რუსთაველი იყო არა მარტო ფუძემდებელი ქართული პოეზიისა... არამედ დიდი შემკრები ქართული მეტყველებისა, ქართული ენის მაღალი კანონმდებელი და შეუმუსვრელი დუღაბი ქართული ენის კულტურისა".

შენიშვნა III: მწერლის, პოეტის პოზიცია შესაქმნელი ნაწარმოების ენისადმი თუ ისეთი არ იქნება, როგორიც იყო რუსთაველისა, სულხან-საბასი, ილიასი, აკაკისა, ვაჟასი, გ. ტაბიძისა, კ. გამსახურდიასი, მაშინ ზერელე, ზედაპირული დამოკიდებულება პოეტისა მსგავსი იქნება ზღვაში მოცურავე ადამიანისა, რომელმაც არ იცის, რა იმალება ზღვის ზედაპირის ქვეშ და არც სურვილი აქვს ჩაყურყუმალავებისა; ეზარება, ნახოს ზღვის ქვეშეთის სილამაზე. ენის სიღრმეში "ჩაყვინთვის" დაზარებაა შედეგი ისეთი "ლექსების" წერისა, როგორიც დაბეჭდილია ვ. ხარჩილავას ბოლო კრებულში. ამ ლექსების ვერც ფორმა და ვერც "შინაარსი" ქართველ პოეტს ღირსებას ვერ შემატებს. ხელოვნებისადმი ასეთი ზერელე დამოკიდებულება ყოველთვის დაუპირისპირდება ჩვენი წინაპრების მიერ ეროვნული, ქართველური თვალით დანახულ შემოქმედებას.

IV. ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ კ. გამსახურდიას შეხედულებებზე როცა ვსაუბრობთ, აუცილებელი ჩანს იმის გათვალისწინებაც, თუ როდის და საქართველოსათვის როგორ ვითარებაში იწერებოდა ის წერილები (ან კეთდებოდა მოხსენებები), რომლებშიც მწერალი ჩვეული პროფესიონალიზმით მსჯელობს სალიტერატურო ენასა და დიალექტებზე. ეს არის გასული საუკუნის 30-50-იანი წლები, როცა: სრული დატვირთვით მოქმედებდა რუსული ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმის ყველა მანქანა; უკვე სისხლში იყო ჩახშობილი ეროვნულ-გამათავისუფლებელი აჯანყება; ინგრეოდა ქართველურ-ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები, "განკულაკებისა" და "ხალხის მტრების" ცრუ მოტივ-სახელით ნადგურდებოდა, ან ციმბირში ასახლებდნენ უბრალო მოსახლეობასა და ინტელიგენციას... სამაგიეროდ, საქართველოს "მთავრობას" უკვე მიღებული ჰქონდა 1929 წლის დადგენილება, რომლის ძალითაც სამეგრელოში სახელმწიფო დაწესებულებაში (სკოლა, სასამართლო, პრესა...) საქმის წარმოება "მეგრულ ენაზე" უნდა შესრულებულიყო; 30-ათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა ბოლშევიკ-აქტივისტის ი. ჟვანიას წიგნი, "მეგრული სიტყვებით" დაწერილი; "მეგრულ ენაზე" იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთები; იმავე პერიოდში ქართველოლოგიაში უკვე დამკვიდრებული იყო ტერმინი "ქართველური ენები", რაც ითვალისწინებდა სამწევრა ქართველურ ენობრივ სისტემას. კ. გამსახურდიასთვის, როგორც ეს ჩანს მისი შემოქმედებიდან, ამგვარი დაყოფა ქართველური ენობრივი სამყაროსი მიუღებელი უნდა ყოფილიყო როგორც მოქალაქის, მწერლისა და ენათმეცნიერების საკითხებში საკმაოდ ღრმად ჩახედული პიროვნებისათვის. ყოველ შემთხვევაში, მწერალი არც მხატვრულ ნაწარმოებებში, არც კრიტიკულ წერილებში "ქართველურ ენებად" დასახულ ერთეულებს ენებად არ მოიხსენიებდა. **მისთვის ქართველური (=ქართული) ენობრივი სამყარო ერთი მთლიანი იყო, დაუნაწევრებელი.**

შენიშვნა IV: პროფესორების თ. გვანცელაძის, მ. ტაბიძისა და ტ. ფუტკარაძის ნაშრომებში ნათლად წარმოჩინდა XIX-XX საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა ანალოგიური პოზიცია, რაც მიუღებელი აღმოჩნდა თანამედროვე ქართველოლოგთა ნაწილისათვის. ზოგიერთმა მათგანმა

დასახელებულ პროფესორებს ყოვლად უვარგისი ტერმინი -"სამეული..." - "მიაწება". სამართლიანი იქნებოდა და მადლობელიც დავრჩებოდი, თუ სამი წერტილიდან ერთ-ერთში ამ სტატიის ავტორს იგულისხმებდნენ.

V. ერის ჩამოყალიბება მხოლოდ ენის (ენობრივი სისტემის) მეშვეობით არის შესაძლებელი, რადგან მხოლოდ ენით აღვიქვამთ სამყაროს, — ენით ვხედავთ, ენით გვესმის, ენით ვგრძნობთ და, რაც მთავარია, ენით ვაზროვნებთ. ქართველი ერის მშობელი ქართველური ენობრივი სისტემაა, რომლის შემადგენელი ნაწილებია სალიტერატურო ენა და მრავალრიცხოვან-მრავალფეროვანი ქართველური დიალექტები. შეუძლებელია ერთ ერს ერთზე მეტი სააზროვნო ენობრივი სისტემა გააჩნდეს. ეს იგივე იქნებოდა (შესაძლებელი რომ იყოს), ერთ ადამიანს ერთზე მეტი თავი ჰქონდეს. ქართველური ენობრივი სისტემა ქართველი ხალხის შექმნილია, ქართველი ერი — ქართველური ენისა. ქართველური მწერლობა, ფოლკლორი, ისტორია-ეთნოგრაფია, კულტურა მიგვითითებს ამაზე. და თუ რომელიმე ქართველ მწერალზე შეიძლება ითქვას, რომ მან მეტ-ნაკლები სისრულით წარმოაჩინა ქართველური ენის ძალა და სილამაზე, ერთ-ერთი მათგანი კ. გამსახურდია იქნება, — იგი შეიძლება იმ მხედრად წარმოვიდგინოთ, რომელიც, ნიკოლოზ ბარათაშვილის პერსონაჟის მსგავსად, "ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს..." და თამამად შეებრძოლება ქართველურ სიტყვას...

REVAZ SHEROZIA

KONSTANTINE GAMSAKHURDIA AND THE KARVELIAN LANGUAGE UNIVERSE

K.Gamsakhurdia is one of those eminent writers who have succeeded in perceiving the depth of the Georgian language and by making use of the peculiarities and possibilities of the literary language created their own style varieties.

Discussing the Kartvelian language universe in the relation to K.Gamsakhurdia one should necessarily take into account in what circumstances of the Georgian history the author wrote those essays (or made reports) in which the writer came to judge the literary language and dialects with his highly professional manners in the 30-50s of the last century, during which the Soviet Bolshevik machine worked at its strictest mode.

Having gone into the deepest language layers for exploring the verbal and structural materials the writer declared that 'the ever flowing reservoir of our language is ancient Georgian language and multi-sub-dialects of our tribal dialects.' The writer as a creator deals with the language as a wholesome treasury, a unique language system which has its roots in each of the corner of the country, be it in the plain or mountainous regions. That is why any variety of the language self-exposure has the equal value for the writer. K.Gamsakhurdia's philosophy (as of a writer and a citizen of his country) emanates from the above said worldview that the language is one of the essential tools and signs for the determination of everything that relates to national consciousness.

Neither in his fictions nor his essays he did not ever mention the term 'Kartvelian languages'. *Kartvelian* meant to him *Kartuli* (=Georgian) - one and indivisible unique whole.

ლელა ჩოგოვაძე

«ვეფხისტყაოსნის» ერთი ტაეპის მართებულად გააზრებისათვის

ვინც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორიის საკითხს გაცნობია, აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას იმ აზრთა სხვადასხვაობას, რაც გამოიწვია პროლოგის მეხუთე სტროფის ბოლო სტრიქონმა: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“. ა. სარაჯიშვილმა მთელი ეს სტროფი ჩანართად მიიჩნია: „ნუთუ თამარ მეფე უბრძანებდა პოეტს — ჩემი ლოყები და კბილები მიქეო? ეს არ შეჰფერის მორცხვ დედოფალს. ასე რომ, ყოფილიყო, პოეტი როდი გამოაცხადებდა, რომ ბრძანებით, იძულებით ვწერო. სტილიც მშრალია. „გრდემლი ტყვიისა ლბილისა“ არსად ნახულა და თანაც როგორც პოეტური შედარება, ცუდია: თუ ტყვიის გრდემლი თამარის ბრძანებაა ან მისი მშვენიერება, მაშინ პოეტის გული ქვად უნდა ვიგულისხმოთ: რომელი პოეტი დაიჩემებს გულქვაობას? ამ სტროფის აზრი პოემაში არ მართლდება...“ (ალ. სარაჯიშვილი, 1895, გვ. 10-11) ალ. სარაჯიშვილის ამ შეხედულებას იზიარებდნენ გ. ყიფშიძე გ. ყიფშიძე, 1896); კ. კეკელიძეც (კ. კეკელიძე, გვ. 109) ჩანართად მიიჩნევს ამ სტროფს.

იუსტინე აბულაძემ ეს სტროფი რუსთველისეულად მიიჩნია, ოღონდ გადამწერთა მიერ დამახინჯებულად ჩათვალა ასეთი წაკითხვა. ამის გამო მიმართავს კონიუნქტურას და, მისი აზრით, მეტ სინათლეს ანიჭებს აღნიშნულ მეტაფორულ სახეს: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი სიტყვისა ლბილისა“ (ასე იკითხება ეს ადგილი 1913-სა და 1926 წლის გამოცემებში). მკვლევარმა ცალკე ნაშრომში დაასაბუთა კიდეც თავისი გასწორება: პირველი, რაც, მკვლევრის აზრით, ეჭვს იწვევს, ეს არის ტყვიის გრდემლი, რადგან, ჩვეულებრივ, გრდემლს მაგარი რკინისაგან (ფოლადისაგან) აკეთებენო. აქედან ცხადია, „ლბილი ტყვიის გრდემლის“ ნაცვლად აქ უნდა ყოფილიყო რაღაც სხვა სიტყვა... ამიტომ, ვფიქრობთ, კონტექსტის მიხედვით, სიტყვა „ტყვიისა“ უნდა იყოს გადამწერის მიერ წარყვნილი სიტყვა „სიტყვისა“, ე. ი. აქ უნდა იგულისხმებოდეს თამარ დედოფლის ნაზისა და ლბილის სიტყვის სიძლიერე, ძალი, ამიტომ უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია ამ ადგილის წაკითხვა ამ სახით:

„გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი სიტყვისა ლბილისა“, რომლის აზრიც შემდეგია: ლბილისა და ნაზის სიტყვის სიძლიერე (მეტაფ. გრდემლი - იგულისხმება თამარის ბრძანება) მაგარ ქვასაც კი გასტეხსო. ეს, ვიმეორებთ, მით უფრო ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ რუსთველს არაერთგზის უხმარია მსგავსი პოეტური ფიგურა: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ (ი. აბულაძე, 1967, გვ. 88-89).

აღნიშნულ სტროფს დაწვრილებით შეეხო ვიქტორ ნოზაძეც (ვ. ნოზაძე, 1954, გვ. 103-109). მან მკვლევართა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ, როგორც ჩანს, საანალიზო სტრიქონის შინაარსი კარგად ესმოდათ ძველ რუსთველოლოგებსაც. მაგალითად, ვახტანგ VI-ს მიაჩნდა, რომ ვეფხისტყაოსანში ნახსენები მაგარი ქვა არის ალმასი, ხოლო ალმასს ტყვიაზედ გასთლიან. ლექსის გაწყობისათვის გატეხად უთქვამს... უფრო ვრცელი და ამომწურავი განმარტება თეიმურაზ ბაგრატიონთან გვხვდება: „გრდემლი ტყვიისა მსგავსად სიმრგრგვლითა მცირისა წისქვილისა ხელით საბრუნოსა არს ქმნილი და სადგარსა, გინა სტოლსა

ზედა არს მიმართული ქუეშედამ ჩარხითა, რომლითაც აბრუნებენ მცირესა მას სათლელსა და მას ზედა ჰსთლიან და აელვარებენ და ასწორებენ პატიოსანთა ძვირფასთა ქვათა (ესე გუარი ჩარხი მე თვით თუალითა ჩემითა მიხილავს სპარსეთსა შინა, მაგრამ ბრილიანტისა და ალმასისა გასათლელი ჩარხები სხვებრ არს ქმნილი)"; ამის შემდეგ კი თეიმურაზი მეტაფორის გადატანით მნიშვნელობას ეხება: „ქვად მაგრად გულსა გმირისა და მამაცისა იტყვის მოშაირე, რომელიც არს ტრფიალებითა შეპყრობილი, ხოლო გრდემლად ტყვიისა ლბილისა ჩჩვილსა და მოწყლესა გულსა ქალისა სატრფიალოსასა იტყვის, რომელიცა თვისითა ჩჩვილითა და მიმზიდველისა გულითა მრავალთა ძლიერთა და გმირთა გულისა მძლეველ იქმნების და შემმუსვრელ" (თ. ბაგრატიონი, 1960, გვ. 4-5). თეიმურაზის ამ ცნობაზე მიუთითებს აგრეთვე ი. მეგრელიძე წერილში: ვეფხისტყაოსნის ლექსიკის საკითხები, ჟურნ. „ცისკარი", 1958, №9, გვ. 131-132. მკვლევარი აქვე შენიშნავს, რომ არ მიაჩნია სწორად გრდემლის თარგმნა, როგორც наковальная, молот, млат. მას შინაარსით гранило შეეფერებაო (გვ. 132).

თეიმურაზის ცნობები საგულისხმოა და ფაქტიურად ნათელყოფს კიდეც საანალიზო სტროფის როგორც რეალურ, ისე გადატანით მნიშვნელობას. ნოზაძე ახალი მასალებით აშუქებს ამ საკითხს. იგი იშველიებს ძველ ქართულ წყაროებს, პატიოსანი თვლების დამუშავების შესახებ დიდძალ უცხოურ ლიტერატურას და გვაუწყებს: - უმაგრესი ქვა საერთოდ და ვეფხისტყაოსანშიც არის ალმასი. მაშასადამე, „გასტეხს ქვასაცა მაგარსა..." იგივეა, რაც ალმასის გატეხა. ძველი არაბული წყაროები არკვევენ იმას, თუ როგორ ამუშავებდნენ შუა საუკუნეებში ალმასს. მაგალითად, არაბი ტეიფაში (მე-13 ს.) აღწერს ალმასის დამუშავების წესებს და ამბობს, რომ ალმასს ტყვიის მაგიდაზე გათლან, ტეხენ, ამუშავებენ. ირკვევა ისიც, რომ ტყვიის მაგიდა იგივეა, რაც ტყვიის გრდემლი („ქართული ბიბლიის" ცნობები). აქედან გადატანით: როგორც უმაგრესი ქვა (ალმასი) ულბილესი ტყვიის გრდემლით გაითლება, ასევე თამარის შვენებით (ჰაეროვნებით) გატყდება მტკიცე გული პოეტისა. ს. ცაიშვილმა, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა აღნიშნული სტრიქონის წაკითხვასთან დაკავშირებული პოლემიკა, მიუთითა: „ზუსტად ასეთივე სახე-მეტაფორისთვის მიუმართავს ნიზამის თავის პოემაში „ისკანდერ-ნამე": „ტყვიით სტეხენ უუმაგრეს ალმასს"-ო.

აქვე დავძენ იმასაც, რომ ნიზამის მსგავსად შოთა რუსთაველს კარგად სცოდნია, რომ ალმასს ამუშავებდნენ და ტეხდნენ სწორედ ტყვიითვე (რბილი, მაგრამ მძიმე ტყვიის დარტყმისას ალმასი კი არ იფშვნებოდა, არამედ ტყდებოდა და შემდგომი დამუშავებისთვის სასურველ ფორმას იღებდა). ეს ცოდნა პოეტს გამოუყენებია მშვენიერი მეტაფორის შესაქმნელად.

აღსანიშნავია, რომ ალმასის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიაში ძირითადად იმავე მეთოდებს მიმართავენ, ასევე ტეხენ ალმასს (ს. ცაიშვილი, 1984, გვ. 97).

ქართველ მეცნიერებს მხედველობიდან გამორჩათ სულხან და ბეგთამზე თანაიშვილების მიერ მე-17 საუკუნის 60-70-იან წლებში გალექსილი „ამირან-დარეჯანიანის" ერთი სტროფი, რომელიც, მართალია, რუსთაველის აღნიშნული სტრიქონის გავლენითაა შექმნილი, მაგრამ მის გაგებაში დიდად გვეხმარება:

„თუ ყოფილვიყავ სიმაგრით ალმასი დაუმსხვრეველი,
გამტეხდა ტყვია, ჩემზედა შეიქმნებოდა მრეველი" (2179-1,2).

ამდენად, პროლოგის მე-5 სტროფში ყველაფერი თავის ადგილასაა, ოღონდ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რაზეა აქ საუბარი. ძმები თანიაშვილები პირველები იყვნენ ქართველი მოღვაწეებიდან, ვინც ნათელი მოჰფინეს რუსთაველის სტრიქონების მეტაფორულ აზრს, მაგრამ იმის გამო, რომ ისინი არ იყვნენ მაღალი რანგის პოეტები, მათი პოემა უყურადღებოდ დარჩა.

დამოწმებული ლიტერატურა

ი. აბულაძე, 1967 - ი. აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967.

თ. ბაგრატიონი, 1960 - თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა "ვეფხისტყაოსნისა", თბ., 1960.

კ. კეკელიძე, 1981 - კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981.

ვ. ნოზაძე, 1954 - ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“, ბუენოს-აირესი, 1954.

სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილები, 1941 - სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილები, გალექსილი „ამირანდარეჯანიანი“, გამოცემული გ. ჯაკობიას მიერ, 1941.

ალ. სარაჯიშვილი, 1895 - ალ. სარაჯიშვილი, ჟურნ. „მოამბე“, 1895, XI.

გ. ყიფშიძე, 1896 - "Новое обозрение", 1896, №4219, 13 апреля.

ს. ცაიშვილი, 1984 - ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია, ტ. I, თბ., 1984.

LELA CHOGOVADZE

ON THE CORRECT INTERPRETATION OF A STANCE IN *THE MAN IN THE PANTHER'S SKIN*

Those interested in the history of the text of *The Man in the Panther's Skin* would notice the variety of interpretation of the final line of the fifth stance of a poem: 'An anvil of lead can break even the hardest stone' (English translation byV.Urushadze). A.Sarajishvili. G Kipshidze, considers the stance as interpolation. I.Abuladze thought it as an error or contamination made by scribes. T.Bagrationi and V.Nozadze interpreted the content as *hardest stone* (diamond) can be cut with the softest *lead anvil* meaning "the beauty of Queen Tamar can break the strong heart of the poet." I think that in their studies literary critics failed to notice a line from the versified of *Amirandarejaniani* written by Sulkhan and Begtabeg Taniashvilis in 60-70s of 17th century that helps elucidate the obscure phrase of *the Man in the Panther's Skin.*

"If I were diamond strong enough to resist beat and breakage
I would be broken with lead it would overcome my hardness."

Thus, in the fifth stance of the poem everything is in its right place if only we knew what the talk is about. Brothers Taniashvlis were the first who threw light upon the metaphoric meaning of Rustaveli's lines. But because their poetry was not regarded high their poem failed to attract attention.

ლია ცერცვაძე-ცუცქირიძე

ქართული ემიგრანტული პოეზია ჟურნალ «კავკასიონზე» (XXI საუკუნის 20-30-იანი წლები)

ქართულ პოეზიას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი ყოველთვის ეხმიანებოდა ქვეყნის ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპებს და გადმოსცემდა ქართველი ერის სულიერ მდგომარეობას. ამიტომ ჩვენი პოეზია, ერთი მხრივ, გალექსილი მატიანეა, მეორე მხრივ კი - მხატვრულ სახეთა, რითმებისა და რიტმის გასაოცარი ნაზავი. ქართველი პოეტები გამოირჩეოდნენ განსაკუთრებულად თავისუფლებისმოყვარე სულით, ამიტომ ჩვენი პოეზიის კონკრეტულ ჩარჩოებში მოქცევა ყოველთვის ძნელდებოდა. განსაკუთრებით მრავალფეროვანი და საინტერესო იყო XX ს-ის 20-30-იანი წლები, როცა ერთობლივად რამდენიმე ლიტერატურული მიმდინარეობა მკვიდრდებოდა ქართულ პოეზიაში.

საქართველოს გასაბჭოების შემდგომი წლების ქართული პოეზია, შეიძლება ითქვას, ორ ფრონტზე გაიშალა: ერთი, ეს იყო ქვეყნის შიგნით, საოცრად შეზღუდული, რიგ შემთხვევაში კი საერთოდ ცენზურას დაქვემდებარებული - საბჭოური პოეზია და მეორე - ქვეყნის გარეთ, პოლიტიკურ ემიგრაციაში მყოფ ქართველ პოეტთა შემოქმედება, რომლებიც ნაკლებშეზღუდულნი, მძაფრად აკრიტიკებდნენ ქვეყნის ბედუკუღმართობის მძიმე მიზეზებს. მათზე საბჭოთა ცენზურის გავლენა ნაკლები იყო, ამიტომ ქართული ემიგრანტული პოეზია იმთავითვე მართალი ხმითა და თავისუფალი თემებით გამოირჩეოდა.

საბჭოური წყობის კრიტიკის უხეშ ტონს მშობლიური ქვეყნის მონატრებით გამოწვეული რომანტიკული განცდები ენაცვლებოდა. ემიგრანტ პოეტებს არც ქართველი კლასიკოსები და მათი ღვაწლის ჯეროვანი დაფასება დავიწყებიათ. მათ ნოსტალგიურ განწყობაში ბრძოლის დაუოკებელი ჟინია ჩასახლებული, რაც, უიმედობის მიუხედავად, შემართებასა და თავისუფალ ქვეყანაში დაბრუნებისაკენ სწრაფვას განაპირობებს. ეს განწყობა ემიგრანტი ქართველი პოეტის გ. ყიფიანის მიერ ასე გახმოვანდა:

„თუ ვერ ვიხილავთ მზის ამოსვლას თეთრი მერცხლები,
ჩვენ მაინც ვიფრენთ იმედების გაორკეცებით!“

ქართული ემიგრანტული პოეზია XX ს-ის 20-30-იან წლებში არაერთ ჟურნალ-გაზეთით იყო წარმოდგენილი, მაგრამ მათ შორის დამსახურებულად შევაჩერეთ ყურადღება ჟურნალ „კავკასიონზე“, რომელიც სწორედ 1929-1930 წლებში გამოდიოდა საფრანგეთში ლევილის ქართველთა სათვისტომოს წარმომადგენელთა დიდი მონდომებითა და ხელშეწყობით. ჟურნალში იბეჭდებოდა ბევრი ცნობილი თუ ნაკლებადცნობილი თანამედროვე ავტორის ქართული კლასიკური მწერლობა და უცხოური თარგმანები.

ჟურნალ „კავკასიონის“ პოეზია წარმოდგენილია ს. ბერეჟიანის, ალ. გასიტაშვილის, რუბენ ყიფიანის (რალფი), ა. ტყემალაძის, ვ. წილოსანის, პროკოფი აბულაძის (რეო ამონი), გ. ყიფიანის, მ. დადიანის, გ. გამყრელიძის, ე. ყურულაშვილის და სხვათა ლექსებით.

ავტორთა უმრავლესობა ფსევდონიმით წერს, რომელთაგან ზოგი გაიშიფრა, დანარჩენის გამოცნობა კი მომავლის საქმეა. საკუთარი გვარ-სახელებით დაბეჭდულ

პოეტთაგან „ზოგიერთი სამუდამოდ შერჩება ქართულ პოეზიას, კერძოდ, ს. ბერჟიანი, გ. ყიფიანი, გ. გამყრელიძე, უმეტესობა კი სამშობლოს დაკარგვით გამოწვეულ ნაღველში ამოვლებულ კალმოსნად დარჩება“, - როგორც გ. შარაძე აღნიშნავს.

განსაკუთრებული სიფაქიზით ეპყრობიან „კავკასიონის“ ავტორები ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხებს. მათი მიდგომის სიფაქიზე და დელიკატურობა გამოიხატებოდა იმაში, რომ ანტისაბჭოთა ჟურნალ „კავკასიონს“, ერთი მხრივ, მთელი სიმკაცრით ემხილებინა საბჭოთა მწერლობისა და სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დამღუპველობა (მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ისიდორე მანწკავას წერილი „ქართული ლიტერატურა“, რომელიც კავკასიონის I ნომრებში დაიბეჭდა, სადაც ავტორი საბჭოთა ხელოვნებას ხელოსნობასა და ბოლშევიზმის ხოტბა-დიდებას უწოდებს), მეორე მხრივ კი წარმოეჩინა ჭეშმარიტი ქართული მხატვრული მწერლობის ძირითადი თვისება - სიცოცხლის სიყვარული და ამ სიყვარულით გამოწვეული სიხარული და გამარჯვება.

მ. წულუკიძის ნარკვევში „ესკიზები თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან“ შესანიშნავად არის ჩამოყალიბებული ქართული პოეზიის ძირითადი მიმართულება და ხასიათი: „ქართული პოეზია დღის, სინათლის, მზის პოეზიაა! - წერს მ. წულუკიძე. მან იცის, თუ რა არის ჭმუნვა, მაგრამ ის ამ მდგომარეობიდან თითქმის ყოველთვის მომღიმარი გამოდის. ვარდს უმღერის ქართველი მგოსანი თუ გმირების ბრძოლას, გლეხის ჭირ-ვარამს, მუშების იმედებს თუ მთელი ერის მისწრაფებას, - ის უტეხი ხალასით შეჰყურებს ცხოვრებას, მომავალს მაშინაც კი, როდესაც აშკარად ხედავს, რომ იმედი მარცხდება, ტანჯვა იმარჯვებს, მზე ჩადის, ბნელდება, ვარდი სჭკნება... თუ ქართველი მწერალი ღამეს უმღერს, ის უთუოდ სიცოცხლის, სიხარულის მომგვრელი ღამეა... მომავლის გამარჯვებით ჰსცოცხლობს ქართველი მხატვარი“ (მ. წულუკიძე, 1929).

„დღისა და მზის პოეზიის საშობლოდან იძულებით დევნილი პოეტები, დედის ალერსსა და მშობლიური კერიის სითბოს მონატრებულნი, ცრემლებად კინძავენ სევდიან სათქმელს. მათი შემოქმედების ერთი ნაწილი იმდენად გამართულია პოეტური ოსტატობისა და მხატვრული გამომსახველობის თვალსაზრისით, რომ თამამად დაიდებს ადგილს ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების გვერდით.

ჟურნალ „კავკასიონის“ პოეზია მრავალ თემას მოიცავს; სამშობლოს სიყვარულისა და მისი დიადი ისტორიის ამაყ განცდას საბჭოური წყობის მოურიდებელი კრიტიკა ენაცვლება. აქ შევხვდებით უცხოეთის თემაზე, კერძოდ პარიზზე შექმნილ ძალიან თბილ და მადლიერებით სავსე ლექსებს. საინტერესო მიძღვნებია ქართველი ემიგრანტებისადმი, რომელთა სტრიქონებში შეულამაზებლად ჩანს მძიმე გზა - მშობლიური სოფელ-ქალაქებიდან ევროპის ქვეყნებადმე გავლილი და, განსაცდელის მიუხედავად, სიკვდილამდე უმწიკვლოდ შენარჩუნებული თავისუფალი, მებრძოლი სული, ღირსეული მეობა.

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ სწორედ სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსებზე, რომელთა სტრიქონებში მარადიული ნოსტალგია, დედის მონატრება, მშობელი მიწის სიშორის ტკივილი და კვლავ შეხვედრის იმედი სახლობს. ემიგრანტი პოეტები არც ერთხელ ერიდებიან საბჭოთა წყობის გესლიან

კრიტიკას, რადგან თავიანთი ქვეყნისა თუ პირადი უბედურების მიზეზად სწორედ მას ასახელებენ.

„კავკასიონის“ პირველი ნომერი იხსნება ს. ბერეჟიანის ლექსით „ნასახლარი“, რომელიც, გ. შარაძის შეფასებით, ქართული ემიგრანტული პოეზიის ლაიტმოტივად შეიძლება ჩაითვალოს.

„ისევ ის მთები! ისევ ის ზეცა!
შენს სილამაზეს ვერ შესცვლის დრონი,
ორ ნაწნავებად გადმოიკეცა
ფარჩის კაბაზე მტკვარი-რიონი.
გავყევი მძევლად დღეს კუდიან ქარს...
როცა სოფელი იწვა ბინდებში,
ვაკოცე ღობეს, ვაკოცე ჭიშკარს
და დავიმალე სქელ სიმინდებში.
გატეხილ ხულას დასჩხავის ყვავი,
დამპალ სვეტებზე ქანაობს ოდა,
მე რომ ალვის ხედ გავჩენილიყავ,
შენთან დარჩენა შემეძლებოდა!“

მშობლიური ქვეყნის სილამაზისა და მონატრების განცდა ყველაზე ხშირად სტუმრობდა ემიგრანტ პოეტთა მუზას, საშობლოში გათენებული დილის მხატვრულ სურათს მეტაფორულად ხატავს მ. დადიანი ლექსში „დილა“. მარგალიტის წვრილ კაკლებად დაფანტულ ცვარსა და ლაჟვარდფერად განათებულ ცასთან სამუდამო გამოთხოვება პოეტს კიდევ უფრო უმძაფრებს სევდასა და მონატრებას. საოცარი ლირიზმით გადმოსცემს იგი სამშობლოში განცდილი დილის სურათს:

„ნაზი იას მთის ნიავი
საარშიყოდ ეპარება
და მის ფოთლებს საიდუმლო
ჩუმი კოცნით ეკარება...
მთელი ღამის არშიყობით
და განცხრომით დაღალული...
დღის სინათლით დარცხვენილი
ეთხოვება ვარდს ბულბული,
ასეთია ჩემი ქვეყნის,
ჩემს მამულში მუდამ დილა;
ამ ბუნებას ბედმან შავმან
გამაშორა, გამაცილა...“

დახვეწილი პოეტური კულტურით გამოირჩევა გ. გამყრელიძის პოეზია. შალვა ამირეჯიბისადმი მიძღვნილ ლექსში „დამშვიდობება“ იგი შეუდარებელი ოსტატობით გვახედებს იმ უძირო ნაღველსა და დარდში, რომელსაც პოეტი განიცდიდა სამშობლოდან იძულებით წამოვლისას. მას უცხოეთში ყოფნისას, თითქოს, სულ ერთი და იგივე მოძახილი ჩაესმის: - „სად მიდიხარ? რისთვის არ გინდა ჩვენთან დარჩენა, ჩვენთან სიკვდილი?“ და მაინც, როცა წასვლა გარდაუვალი შეიქმნა და პოეტიც იძულებული გახადეს, ეს მძიმე გამომშვიდობება გადაეტანა, მან მთელი სიმძაფრით განიცადა, როგორ „სწუხდნენ მინდვრები, სწუხდნენ მთები, ნაღვლიანი მტრედივით ზეცა“, უკან მობრუნებას ეხვეწებოდა მშობლიური

მიწა და ვედრებით აფრთხილებდა: „სხვა საქართველოს, სხვა სამშობლოს, სხვა თავშესაფარს ვერსად იპოვნი, ამაზე კარგს, ამაზე დიადს“.

გ. გამყრელიძეს ემიგრაციაში წასვლამდე სამშობლოში უკვე იცნობდნენ, როგორც ნიჭიერ და იმედისმომცემ პოეტს. მას თავისი მოკრძალებული ნიშა უკვე ეჭირა ქართულ პოეზიაში. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომელთა სახელებიც ნამდვილად ქართული ემიგრანტული პოეზიის მონაპოვარია, მაგალითად, გ. ყიფიანი თავისი შესანიშნავი ლექსებით, რომლებიც „კავკასიონში“ აქტიურად იბეჭდებოდა. ამჯერად გამოვყოფთ ერთი უსათაურო ლექსის მეტაფორული აზროვნებით დატვირთულ რამდენიმე სტრიქონს:

„ღამე შეირყა ტყიბულის მთებში,
ღამე ნახშირი, უნდო, შავგულა;
ცივი წყარონი კლდის ნაწნავებში,
ვერცხლის ქამრებად გადმოკიდულა.
დაღლილ ხვევნაში ხევი იჭრება,
ბუტბუტებს ღელე, ღამის ხუმარა,
ცაზე ღრუბლები ისე იშლება,
ვით განასროლი ცეცხლის ყუმბარა.
.....
ეხლა სად არის ეს ყველაფერი?
სახლი, ბუჯერი, შვაცეცხლი, თარო,
წითელი ჩექმით გადანათელი
ჩემი აკვანი და სანეტარო...“

ქართულ ემიგრანტულ პოეზიაში გამოირჩევა საინტერესო ხმის მქონე პოეტი რეო ამონი, იგივე პროკოფი აბულაძე, რომელიც შემდგომში ჟურნალ „მხედარს“ რედაქტორობდა. იგი, სამწუხაროდ, ახალგაზრდა გარდაიცვალა, მაგრამ „კავკასიონმა“ შემოგვინახა მისი საკმაოდ ბევრი ლექსი, რომლებშიც პოეტი სიყვარულით იხსენებს თავის ქვეყანას:

„რიონს ზღაპრები მოაქვს მაისში,
მთის ხომალდები უკან მას ახლავს;
ჩამოვარდება და ქუთაისში
კალთებს უკოცნის
ძველსა ნასახლარს...
აქ პოეტებმა ვარდის უბნებში
ბედნიერება გამოაფინეს
და მცხოვრებლებთან მზე საუბრებში
ანგელოსები შემოაფრინეს...
ნეტავი ერთხელ კიდევ მენახოს
მაგ ბროლის მკერდზე
ღამე დაღვრილი:
ეს ხეტიალი გადამელახოს
და მოვსულიყო შენთან დაღლილი“

(„გზაზე“, 1929 წ.).

სამშობლო და დედა ორი განუყოფელი ტკივილია ემიგრანტ პოეტთა შემოქმედებაში. შორეული საქართველოდან მათ ყოველთვის დედის მონატრებით დაღლილი თვალები ეძახით, მისი გამხდარი ხელების სითბო იზიდავთ. იმედი ალარა აქვთ, რომ შინ დაბრუნებულებს ისევ მიეგებება ეს ძვირფასი არსება.

გ. ყიფიანი სიზმრად ხედავს მოხუც დედას, თითქოს იმ სიხარულსაც განიცდის, რომელიც დედას მოჰგვარა მასთან შეხვედრამ, მაგრამ სიზმარშიც კი წუთები დათვლილია, რეგლამენტირებულია დედასთან მიახლოების დრო და ალერსი, „შავი საათი“ განაგებს საწუთროს:

„ხო... ის სიზმარი - წუხელ რა იყო...
ნეტავ იმ ძილში მოვეკალ ვინმეს.
მზე მთის მწვერვალზე გადმომდგარიყო
მიწას აყრიდა ოქროსფერ მძივებს.
დანგრეულ ქოხში შევაღე კარი,
იქ დავინახე მოხუცი დედა,
მას ცივ ფიცარზე დაედო თავი,
გახმდარი სახით გადმოიხედა...
შეშინებული შეკრთა, გაოცდა;
შენა ხარ, შვილო? - მითხარი ჩქარა!
ავტირდი, უნდა გადამეკოცნა...
საათმა მორცხვად დაიწკრიალა,
სურვილი შემრჩა გამშრალი ბაგის,
სნეულ დედასთან მსურდა ალერსი...
ასე დამთავრდა იმ ერთი ღამის
სიზმარი ცხადზე უსაყვარლესი“.

სამშობლოსადმი ემიგრანტი პოეტების დამოკიდებულებაზე წერისას გვერდს ვერ ავუვლით ვლასა მგელაძის ერთ ჩანაწერს, რომელიც მას პოლიტიკური პატიმრობისას ბათუმის ციხეში გაუკეთებია. ისეთი გულწრფელი ემოციაა ამ პატარა ჩანახატში, რომ მისი გულგრილად წაკითხვა შეუძლებელია: „წერა კი არა, უდიდესი სიმფონიის შექმნა მინდოდა, როცა სამშობლოზე ვწერდი ციხეში... ყვავილები და მთელი ბუნება ცოცხლად თვალწინ მეშლებოდა, მდინარის წუხილს, მწყემსის სალამურს თითქოს ვუსმენდი, მზის სხივებს ვხედავდი, მე კი არ ვწერდი, ვხატავდი, ვლოცულობდი, მსურდა, ბუნების საოცრება ამემუსიკებინა და ყველასათვის მეთქვა ის, რასაც განვიცდიდი.

ამ დღეს მე ავმაღლდი, ზეკაცი გავხდი, ჩემს დაბადებას შინაარსი მიეცა, მე ბუნების მონაწილე შევიქენი, უდიდესი სიმოვნება განვიცადე, სასოება ვიგრძენი, ღვთაებრივი სახე ჩემში დავინახე, ციხის სიცარიელე მადლით აივსო... მე ამ წამიდან თითქოს ბუნების საიდუმლოება გავიგე. მე უსწავლელი მცოდნე შევიქენი და თავს ისე ვგრძნობდი, თითქო ძილისგან გამეღვიძა... მოულოდნელად ვიღაცის ჯვარი გადამსახა და ბრმა მხედველი გამხადა.. რა მწყურია ბუნებაში ყოფნა და მისი მშვენიერებით დატკბობა! ვინ შეგქმნა, რა ხარ, ვინ ხარ, ვინ განაგებ ასე წესიერად ყველაფერს?! - ბუნებავ, მასწავლე მე საიდუმლოებანი შენი!“ აღნიშნული ჩანაწერი წინ უძღვის ლექსს „სამშობლო“, რომელიც ვ. მგელაძეს აკაკისთვის მიუძღვნია. ლექსი გულშიჩამწვდომი სტრიქონებით მთავრდება:

„ტურფად შემკული სამოთხე
შორიდან მომეჩვენება,
როდის იქნება, სამშობლოვ,
ვიხილო შენი მშვენება?!“[1]

მშობლიური ბუნების შესანიშნავი მხატვარია პროკოფი აბულაძე. „ლურჯად აფეთქილი ცისა და „მანდილმზიანი მიწის“ ტრფობა ვეღარ დაუტევა

[1] “კავკასიონი” - პარიზი, ჟერანი, 1929 წ., I-II, დაცულია ქართული ემიგრაციის მუზეუმში

პოეტის გულს და ამაოდ უხმობს „ლაჟვარდებით მზისკენ გადაფრენილ“ სამშობლოს, რომ სიყვარული გაუზიაროს:

„მშობელო მხარევ, მანდილ-მზიანო!
შენს მკლავებზეა ცა დაღვარული,
სადა ხარ, სადა! გაგიზიარო
ამდენი გრძნობა და სიყვარული“.

ემიგრანტ ქართველ პოეტებს წუთითაც არ ავიწყდებათ ის ისტორიული გზა, რომელიც საქართველომ განვლო საუკუნეების მანძილზე, იციან მათ, რომ ქვეყნის ტანჯვა-ვაება XX საუკუნით არ დაწყებულა და ქართლის სევდიანი ამბავი ცრემლითა და სისხლითაა ნაწერი. პოეტი გ. ყიფიანი მთელი სიმძაფრით განიცდის მონღოლთა ასწლოვან ბატონობას საქართველოში. მისი „ასი წლის პოემა“ მოგვითხრობს, თუ როგორი მწარეა „სინამდვილე დაწყებული მონღოლებიდან“, როგორ გადაწვეს ჩვენი მიწა „უნუგეშო ცეცხლის ზმანებით და ორ ზღვას შორის გადაქანცეს ძვლების კუნძული“. ქართულ პოეზიაში ბევრი დაწერილა ჩვენს ავბედით ისტორიაზე, მაგრამ ნამდვილად გამორჩეულია ყიფიანის შეფასებები როგორც მხატვრული, ისე ემოციური თვალსაზრისით: „ატირდა საუკუნე მოხუც ქალივით, იმედების მზე გადაიწვა და ურდოს ნებით შეკაზმული შურისძიება გამოცდილ ჯალათივით დაესხა თავს გლოვის კუნძულს“ — წერს იგი.

ემიგრანტ პოეტებს არ ასვენებთ ფიქრი კრწანისსა და ერეკლე მეფის გადაწყვეტილებაზე. კრწანისის სევდა მათი დიდი სატკივარის ნაწილია. ერეკლეს მიმართავს პოეტი გ. გელაზანია:

„მიყვარს უდაბნო, მოწყენილი კრწანისის ველი,
ირაკლის დიდი მარტოობა, მისი ნაღველი...
მოდი ირაკლი, ჩვენი რაზმი შენ მოგიწოდებს,
აგირჩევთ სარდლად, არა მეფედ, ასე იცოდე!..
ეი, ირაკლი ამაყია ჩვენი ხსენება,
ჩვენ საქართველოს გიჟები ვართ, ნუ გეწყინება!“

ადვილი გასაგებია, რატომ უხმობს ემიგრანტი ქართველი პოეტი ერეკლეს სარდლად და არა მეფედ, თუმცა ლექსში ობიექტურად აფასებს იგი იმ ისტორიულ სინამდვილეს, რომელშიც ერეკლეს მოუწია ძალიან საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღება, “მეფის დიდი მარტოობა“ მას ბოლომდე განცდილი და დაფასებული აქვს, ამიტომ თანაგრძნობით სთავაზობს ერთად ვიაროთ და კრწანისის ვზიდოთ ფიქრებიო.

დიადი ისტორიით შთაგონებულნი და აწმყოთი საშინლად უკმაყოფილო ემიგრანტი პოეტები „ჩრდილოეთიდან წითელი რაშით მოსულ“ მტარვალს მტკიცე კრიტიკულ-ოპოზიციურ დამოკიდებულებას ახვედრებდნენ და სიტყვით უცხადებდნენ დაუნდობელ ბრძოლას მათ, ვინც „საქართველოში საქართველოს სახე წაშალეს“ და „სულს დაობლებულს შემოავლეს გლოვის არშია“. მტრის ვაჟკაცური გამოწვევისა და სისხლის ბოლო წვეთამდე ბრძოლის სულისკვეთებით არის გაჯერებული პროკოფი აბულაძის ლექსი „ქაჭუცა ჩოლოყაშვილის სიმღერა“, რომელსაც გ. შარაძე ქართული ემიგრაციის ნამდვილ ჰიმნად მიიჩნევს:

„თამარის ძუძუს ვფიცავარ,
ერეკლეს ვაჟკაცობასა,
ისე გაგიხდი სიცოცხლეს,

რომ ვერ მოხვიდე ცნობასა.
თუ ტყვია შემომელევა,
ხანჯალს დაგაგებ რისხვიანს,
გატყდება?! გულს ამოვიგლეჯ,
სახეში გფეთქავ სისხლიანს!
სიმრავლით ვერ შემაშინებ,
ტანში ცეცხლი მაქვს დაღვრილი,
თუ ვერ გაგკვეთო მხარდამო,
ცხენზე გამიწყდეს აღვირი!"

ჩრდილოური პოლიტიკის კრიტიკას არ ერიდება ვ. წილოსანი ემიგრანტი მეგობრებისადმი მიძღვნილ ლექსში „ჩვენს დევნილებს", რომელშიც პოეტის კრიტიკულ-ოპოზიციურ განწყობილებას თავისუფალი მომავლის იმედი აგვირგვინებს:

„გასწი წინ, ძმაო, მაგრამ ფრთხილად, გვერდზე გყავს მტერი,
იკურთხოს შენი მარჯვენა და მკერდი ფიქალის,
წინ, შეუპოვრად!.. ჩრდილოეთით შემონაბერი
დღეს თუ ხვალ უნდა ჩაბნელეთდეს სუსხი გრიგალის!"

სამშობლოს სიყვარული და მისი ტრაგიკული ბედის სისხლხორცეული განცდა ის თემაა, რომელიც ყველა ემიგრანტის სულს ერთიანად აფორიაქებდა. ჟურნალი „კავკასიონი" კი გულითადად მასპინძლობდა მათ შემოქმედებას, რისი წყალობითაც ბევრი, მართლაც შესანიშნავი პატრიოტული ლექსი შემორჩა ქართულ პოეზიას. ჩვენ მხოლოდ „კავკასიონის" 1929-1932 წლებში გამოსული ნომრების მიმოხილვით შემოვიფარგლეთ. ჟურნალს არც განახლების შემდგომ (1964-1986 წწ.) შეუცვლია მიმართულება და ხასიათი, მის მესვეურთა ფიქრი და მუზა კვლავაც სამშობლოს სიყვარულს დასტრიალებდა.

დამოწმებული ლიტერატურა

ჟურნ. „კავკასიონი", 1929, №№1, 2, 3; 1930, №3; 1932, №№2, 4, პარიზი, გამომცემლობა „ჟერანი"; დაცულია ქართული ემიგრაციის მუზეუმში.

მ. წულუკიძე, 1929 - მ. წულუკიძე, ესკიზები თანამედროვე ლიტერატურიდან - გალაკტიონი: ჟურნ. "კავკასიონი", 1929, I-II, პარიზი; დაცულია ქართული ემიგრაციის მუზეუმში.

LIA TSERTSVADZE-TSUTSKIRIDZE

GEORGIAN POETRY OF EMIGRANT AUTHORS IN JOURNAL *KAVKASIONI*

After forming the Soviet Georgia the poetry of the country went to two different fronts: the one that was created within the country, in most cases completely held under the Soviet censorship grips and the second written beyond the country boarders by poets who were in political emigration and enjoyed freedom of subject choice and expression. The influence of the Soviet censorship on the latter was faint if any and was originally distinguished with free themes and true soundings.

Among the journals and newspapers coming in Georgian outside the country in the 20-30s of the 20th century *Kavkasioni* was published in France in 1929-1932 by the sponsorship of Leville community of Georgian emigrants.

The journal published poems that were mostly on patriotic themes. Emigrant poems did not restrain from the venomous criticism of the Soviet system as they saw in it the reason of their country's and their own personal tragedies.

These poets seemed to be inspired with the great past of their country and were desperately ungrateful of their present that is why they offered staunch critical opposition to the 'Rider from the North on the red stallion' who 'has expunged the face of Georgia in the country' and 'wrapped up the orphaned soul in the shroud of mourning'.

Kavkasioni has preserved many verses of the Georgian poetry that might have been lost if not this journal.

ვლადიმერ წვერავა,
ლუკა დვალიშვილი

ეგნატაშვილი (იგნატიევი) სიმონ იაგორის-ძე

1768-1774 წლებში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო დიდი ექსპედიცია (გიულდენშტედტის, გმელინის და პალასის მონაწილეობით) რუსეთის იმპერიაში შემავალ თუ მომავალში შესასვლელ ცალკეულ მხარეთა შესასწავლად (მათ შორის საქართველოშიც). ექსპედიცია მიზნად ისახავდა ამ მხარეთა ფიზიკურ-გეოგრაფიულ აღწერილობათა შედგენას, მინერალოგიურ, ბოტანიკურ, ზოოლოგიურ და კულტურულ სიძველეთა შესწავლას.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის (ყოფილი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის) პეტერბურგის არქივში დაცულია მასალები გიულდენშტედტის ურთიერთობაზე პეტერბურგში მცხოვრებ იმ ქართველებთან, რომელთაც შეეძლოთ რაიმე დახმარება გაეწიათ მისი ექსპედიციისათვის. აღმოსავლეთმცოდნეობის არქივში დაცული ორი ხელნაწერი კი მიუთითებს, კერძოდ ქართველთა იმ დახმარებაზე, რომელიც მათ გამოუჩენიათ ზემოხსენებული ექსპედიციისათვის (ნ. მახათაძე, 1983, გვ. 77).

XVIII საუკუნის 30-იან წლებში მოსკოვ-პეტერბურგის ქართული საზოგადოების წარმომადგენლებმა რუსულ ენაზე ბეჭდურად გამოაქვეყნეს ორი თხზულება. ნაშრომს მთარგმნელის ინიციალები „И. С." ახლავს ბოლოს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია (ა. აბრამიძე, ი. ცინცაძე და სხვ.), ავტორის ინიციალებით „И. С." იგულისხმება: სიმონ იგნატიევი (იგივე ეგნატაშვილი).

ქართველებმა საპატიო მოვალეობა შეასრულეს მოსკოვის უნივერსიტეტისა და მოსკოვ-პეტერბურგის კულტურულ ცხოვრებაში. ს. ეგნატაშვილი სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტში სხვა ქართველებთან ერთად, ხოლო შემდეგ იგი 1770-იან წლებში იყო მოსკოვის უნივერსიტეტის ინფორმატორი. აქვე უნივერსიტეტში სამოქალაქო და სისხლის სამართლის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე იყო და დროგამოშვებით პრორექტორის მოვალეობას ასრულებდა მეორე ქართველი ნ. ნ. ზანდუკელი (ტრ. ხუნდაძე, 1960, გვ. 144).

ს. ეგნატაშვილი ცნობილია, როგორც თარჯიმანი, რომელიც მუშაობდა ეკატერინე II-ის ფავორიტ გრიგოლ პოტიომკინთან და თან ეწეოდა საჯაშუშო საქმიანობას ერეკლე II-ის საწინააღმდეგოდ.

სიმონ ეგნატაშვილის რუსულ თარგმნებს შორის საპატიო ადგილი უნდა მიეკუთვნოს „ბრმა მემუსიკის სიმღერას", რომელსაც რუსულად ეწოდება „Грузинская песнь слепого певца Екатерине Великой".

მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის სამეფოსთან დაიდო ტრაქტატი გეორგიევსკში, 1783 წლის 6 სექტემბერს სოლომონ I-მა წერილი გაუგზავნა პავლე პოტიომკინს და სთხოვა იმერეთის სამეფოც მიეღო მფარველობის ქვეშ.

ქუთაისში შეიკრიბნენ საზოგადოების მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, რომელთაც გამოხატეს თავისი სწრაფვა რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლისა.

აქ ამ ზეიმზე ქუთაისელ ბრმა მემუსიკეს, ანუ, დღევანდელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ხალხურ მელექსეს ჩონგურის აკომპანიმენტზე წარმოუთქვამს ეკატერინე II-ისადმი მიძღვნილი სახოტბო ლექსი, რომელსაც აღტაცებაში მოუყვანია რუსი ოფიცერი ტამარა და, როგორც ჩანს, მას რუსეთში მყოფ

ქართველი ეგნატაშვილისათვის დაუვალებია ამ სიმღერის რუსულად თარგმნა. ეს ლექსი თარგმნილი ეგნატიშვილისაგან 1837 წელს დაიბეჭდა რუსეთში „Труды и Летописы общества древностей Россиских" (ნ. მახათაძე, 1983, გვ. 44).

სიმონ ეგნატაშვილს ქართულიდან რუსულად უთარგმნია "ბარამგულდამიანი", რომელიც წარმოადგენდა ავტორიზებული თარგმანის ნიმუშს. ს. ეგნატაშვილს წვლილი აქვს შეტანილი იმ რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენაში, რომელიც შვილთან ერთად გაუკეთებია. ნიკო ეგნატაშვილი 1809 წელს რუსეთის მთავრობას სთხოვს მის გამოცემას, თუმცა ლექსიკონი ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო არ გამოცემულა.

სიმონ იაგორის ძე ეგნატაშვილი (იგნატიევი) ქართლიდანაა, მისი წინაპარი ვახტანგ VI-ის ამალის წევრია და რუსეთში დარჩენილა. იგი სამოცდაათიანი წლებიდან საგარეო საქმეთა კოლეგიის თანამშრომელია. იგი მათ ქართულ საბუთებს უთარგმნის რუსულ ენაზე. მანამდე ამ საქმეს დავით აბაზაძე ასრულებდა. მას თავდაპირველად ასესორის ჩინი ჰქონდა, ხოლო შემდეგ პრემიერ-მაიორის ანუ პოდპოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს. იგი მუშაობდა გრიგოლ პოტიომკინთან თარჯიმნად, რომელმაც ქართლ-კახეთის მეფის ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს მიუჩინა თარჯიმნად და ჯაშუშად (მ. ბერძენიშვილი, 1980, გვ. 220).

საფიქრებელია, რომ თვითმპყრობელობა აგენტებს (ჯაშუშებს) ყველა ფენაში ეძებდა. ქართლის თავად-აზნაურობის ნაწილი ერეკლე II-ის უკმაყოფილო იყო და ოპოზიციაში იდგნენ. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ერეკლესათვის და ტახტზე ვახტანგ VI-ის შთამომავლები აეყვანათ. თვითმპყრობელობა ადვილად შოულობდა მათ რიგებში თავის აგენტებს.

სვიმონ იაგორის ძე ეგნატაშვილი, როგორც მკვლევრებმა (ალ. ბარამიძემ და ი. ცინცაძემ) გაარკვიეს, ერთ-ერთი იმათგანია, ვინც რუსეთის მხარეს ერეკლე II-ის საწინააღმდეგოდ ჯაშუშობს, მაგრამ ზოგიერთმა მკვლევარმა (ნ. მახათაძე) მის საქმიანობას ახსნა მოუძებნა, რომ თითქოსდა ეს განპირობებული იყო არა ანტიპატრიოტული, არამედ უშუალოდ ერეკლე II-ის მმართველობისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით. თუმცა სწორად აღნიშნავდა „გეორგიანულ ისტორიასთან" დაკავშირებით გ. ქიქოძე, რომელმაც ეს თხზულება ქართულად თარგმნა. ამგვარი პოლიტიკური მოღვაწეობა მაინც საზარალო იყო ქართველი ერის ინტერესების თვალსაზრისით, ვინაიდან ეს მიმართული იყო ქართველი მეფის (ერეკლე II - ვ.წ., ლ.დ.) ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს კი ერთადერთი ძალა იყო, რომელსაც შეეძლო ჩვენი ერისათვის ხელმძღვანელობა გაეწია XVIII საუკუნის მე-2 ნახევარში (ჟურნ. „მნათობი", 1939, №7).

მოსკოვის ცენტრალურ არქივში, ფელდმარშალ პოტიომკინის ფონდში თავის დროზე იასე ცინცაძემ აღმოაჩინა საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ცხადყოფს რუსეთის დაზვერვის საქმიანობას და ეგნატაშვილის კავშირს მათთან. საქმე ეხება ერეკლე II-ისა და გარსევან ჭავჭავაძის მიმოწერას. მით უმეტეს, როცა გარსევან ჭავჭავაძე პეტერბურგიდან თავის მეფეს საიდუმლო ცნობებს აწვდიდა ამ მიმოწერით. ერთგან 1785 წლის თარიღით გარსევან ჭავჭავაძე ერეკლე II-ს სწერს: „ეჭვი მაქვს რომ არამც თუ შუაზედ სხვანიც განიხილავდნენ, ხოლმე და ამ მიზეზით ყველა ვერ დამიწერია, თუ ინებებთ სხვა ანბანი მიბოძეთ"... როგორც ვხედავთ, გარსევანი ერეკლე მეფეს სთხოვს, საიდუმლო ანბანი ან შიფრი გამოგზავნეო (ი. ცინცაძე, 1960, გვ. 146).

როგორც პროფ. იასე ცინცაძე აღნიშნავს, გარსევან ჭავჭავაძეს ეჭვი აღძვრია, რომ მის მიმოწერას ერეკლესთან რუსეთის დაზვერვა ამოწმებს და აგენტის მეშვეობით იგებს ყოველივეს. ამიტომ სთხოვს საიდუმლო შიფრს.

ზემოხსენებული წერილი ერეკლეს მისამართით ქართულ ენაზე იყო დაწერილი, მაგრამ არა გარსევან ჭავჭავაძის ხელით — აღნიშნავს ი. ცინცაძე. საბუთის ბოლოს იმავე ხელით მინაწერია: ,,ვმოწმობ ჭეშმარიტად დედაისაგან გარდმოღებას სავარსამიძე" (ი. ცინცაძე, 1941, გვ. 146). ამ მინაწერიდან ცხადი ხდება, რომ გარსევან ჭავჭავაძის საიდუმლო წერილი, ერეკლე II-ის მისამართით გაგზავნილი, სვიმონ ეგნატაშვილს (იგნატიევი) გადაუწერია და სავარსამიძეს შეუმოწმებია. XVIII ს. ოთხმოციანი წლების რუსეთის საგარეო პოლიტიკის მესაჭეს გრიგოლ პოტიომკინს ჰყოლია ქართული საბუთების მთარგმნელად აყვანილი და იმავე დროს გარსევან ჭავჭავაძესაც ,,შველოდა", ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ემსახურებოდა საელჩოში რუსულად მიმოწერის დროს.

როგორც პროფ. ი. ცინცაძემ გაარკვია დოკუმენტებზე დაყრდნობით, გარსევან ჭავჭავაძისათვის გრ. პოტიომკინს მიუჩენია ს. ეგნატაშვილი, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს პოლკოვნიკ პოპოვთან, პოპოვი კი მოახსენებს პოტიომკინს. ეგნატაშვილის ერთგულება პოტიომკინისადმი განპირობებული ყოფილა ფიცით. სიმონს დაკისრებული მოვალეობა კარგად შეუსრულებია. მას გარსევანის ნდობა მოუპოვებია. ეს რომ ნამდვილად ასეა, ჩანს გარსევანის წერილიდან, სადაც ის ერეკლე II-ს შეახსენებს, საიდუმლო შიფრი და მისი თარჯიმანი რომ გთხოვე, საჭირო არ არის, რადგან ს. ეგნატაშვილი ვიპოვე, რომელსაც სავსებით მიენდო და მას საიდუმლოება გაანდო (ი. ცინცაძე, გვ. 148).

განსვენებულმა მეცნიერმა დოკუმენტებზე დაყრდნობით გაარკვია, რომ ს. ეგნატაშვილი თავად იღებდა დედნის ასლებს გარსევანის არქივიდან და მათ აწვდიდა რუს მოხელეებს. რადგან დაზვერვის ისტორიაში ცნობილია, რომ დოკუმენტებს, წერილებს ან გზაზე ხსნიან და იპარავენ, ან უშუალოდ იღებენ მათ ასლებს თარჯიმანის მეშვეობით თუ სხვა ხერხებით. ჩვენს შემთხვევაში ს. ეგნატაშვილს პირადად ხელი მიუწვდებოდა გარსევანისა და ერეკლეს წერილებზე, როგორც თარჯიმანს და სარგებლობდა გარსევანის სრული ნდობით და მათ რუს მოხელეებს აწვდიდა.

ამრიგად, სვიმონ იაგორის-ძე ეგნატაშვილი, რომელიც მოღვაწეობდა XVIII ს. ბოლოს რუსეთის იმპერიაში, მეტად საინტერესო ფიგურაა, როგორც თარჯიმანი და მკვლევარი რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობისა, მაგრამ ამავე დროს წარმოგვიდგება, როგორც აგენტი რუსეთის დაზვერვისა. თუმცა ეს ნაბიჯი შეიძლება აიხსნას არა როგორც არაპატრიოტული მოქმედებით, არამედ ერეკლე II-ისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით, რადგან რუსეთში მოღვაწე ქართველ თავად-აზნაურთა წარმომადგენლებს სურდათ ტახტზე აეყვანათ ვახტანგ VI-ის შთამომავლები და აქტიურად თანამშრომლობდნენ რუსეთის მოხელეებთან, რაც უარყოფითად აისახა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

დამოწმებული ლიტერატურა

ა. აბრამიშვილი, 1952 - ა. აბრამიშვილი, ერთი უცნობი ქართულ-რუსული ლექსიკონის შესახებ: გაზ. ,,სახალხო განათლება", 1952, 24 დეკემბერი.

მ. ბერძნიშვილი, 1980 - მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 1980.

ვ. მაჭარაძე, 1968 - ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968.

ნ. მახათაძე, 1983 - ნ. მახათაძე, მეგობრობის ფურცლები, თბ., 1983.

გ. ქიქოძე, 1939 - გ. ქიქოძე, გეორგიანელი ისტორია: ჟურნ. ,,მნათობი", 1939, №7.

ი. ცინცაძე, 1941 - ი. ცინცაძე, რამდენიმე ცნობა რუსეთის თვითმპყრობელობის დაზვერვისა და მისი აგენტების საქმიანობის შესახებ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1941.

ი. ცინცაძე, 1960 - ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960.

ტრ. ხუნდაძე, 1960 - ტრ. ხუნდაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960.

VLADIMER TSVERAVA, LUKA DVALISHVILI

SVIMON EGNATASHVILI (IGNATIEV)

In the 70s of 18th century a man from the Georgian emigrant society of Petersburg published two works that had initials of the translator. "...". As is known in the specialist literature these initials

are of Svimon Egnatashvili (Ignatiev)'s.

Svimon Iagorovich Egnatashvili (Ignatiev) comes from a nobility of Kartli kingdom whose family moved to Russia after the demise of King Vakhtang VI. Svimon Egnatashvili graduated from the Moscow University and worked at the same University for a certain period. In the literary circles he was known as an interpreter and translator. He helped Georgians to translate from Georgian into Russian as well as Russian officials to translate from Russian into Georgian.

Svimon Egnatashvili (Ignatiev) worked as a secret agent for the Russian empire at the end of the 18th century. He had sworn the oath to Gregory Potyomkin and got in touch with him through Colonel Popov. Svimon Egnatashvili assisted Garsevan Chavchavdze, an ambassador of Erekle II, to furnish his translations and earned his trust. This fact is attested from the letter which was found and published by professor I.Tsintsadze.

In spite of the fact that Svimon Egnatashvili is a prominent public man in the Russian empire at the close of the 18th century and a promoter of Russo-Georgian relationships at the same time he carries out clandestine activities in favor of the Russian empire. However, some scholars (N.Makhatadze, G.Kikodze) find justification of his steps in the sense that his motivation was not betrayal of his country. But he opposed King Erekle II for the purpose of bringing heirs of Vakhtang VI to the Kartli throne.

სოფიკო ჭაავა

ტერმინისათვის „დიგლოსია"

ბუნებრივი ენები პრინციპულად არაერთგვაროვანია: ისინი არსებობენ მრავალი სახესხვაობის სახით, რომელთა ფორმირება და ფუნქციონირება განპირობებულია საზოგადოების განსაზღვრული სოციალური დიფერენციაციით და მისი კომუნიკაციური მოთხოვნილებების მრავალფეროვნებით. მაგალითად, სტუდენტი იყენებს სტუდენტურ ჟარგონს ძირითადად თავის წრეში, თანატოლებთან ურთიერთობისას, ხოლო დანარჩენ სიტუაციებში მიმართავს სალიტერატურო ენის საშუალებებს. პროგრამისტები იყენებენ კომპიუტერულ ჟარგონს პროფესიულ თემებზე საუბრის დროს, ხოლო პროფესიული გარემოდან გამოსვლის შემდეგ საერთო სალიტერატურო ენის სიტყვებსა და კონსტრუქციებს მიმართავენ. ერთი ეროვნული ენის სხვადასხვა ქვესისტემის ამგვარ ფლობას და ურთიერთობის სფეროს ან სიტუაციის შესაბამისად გამოყენებას "შიდაენობრივი დიგლოსია" ეწოდება. ამის გარდა, ტერმინი "დიგლოსია" აღნიშნავს სხვადასხვა ენის ცოდნასაც და მათ მონაცვლეობით გამოყენებას ურთიერთობის, სიტუაციის შესაბამისად.

სოციოლონგვისტიკას აინტერესებს არა მარტო ის, თუ რა გავლენას ახდენს ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის სოციალურ ცხოვრებაზე რამდენიმე ენის ცოდნა, არამედ ისიც, თუ რა განსაკუთრებულ ფუნქციას ატარებს გამოყენებულ ენათაგან თითოეული. ეს განპირობებულია იმ თავისთავად ცხადი ფაქტით, რომ სხვადასხვა ენას ადამიანი სხვადასხვა სოციალურ გარემოში ან სიტუაციაში იყენებს. ამ ვითარების ამსახველი ერთ-ერთი ტერმინია **დიგლოსია.**

სპეციალურ ლინგვისტურ ლექსიკონებში **დიგლოსია** განმარტებულია, როგორც ერთი ენის შიგნით კოლექტივის (ან პიროვნების) მიერ სხვადასხვა ქვესისტემის ფლობა, თუმცა იშვიათად ამ ტერმინში სხვადასხვა ენის ორი ქვესისტემის ფლობასაც გულისხმობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ (და არა მარტო ქართულ) სალიტერატურათმცოდნეო ლიტერატურაში ზოგჯერ ეს ტერმინი ჯერაც არა არის ერთნაირად გაგებული*.

ნაშრომის მიზანია ტერმინ "**დიგლოსიის**" სალექსიკონო დეფინიციათა შეჯერება იმ მნიშვნელობასთან, რომელიც ამ ტერმინის შემოღებისას იგულისხმა მასში ამერიკელმა ენათმეცნიერმა ჩარლზ ფერგიუსონმა 1959 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში (Ch. Fergiuson, Diglossia, Word jurnal, 1959).

ტერმინ "**დიგლოსიამდე**" ენათმეცნიერება იყენებდა ტერმინს "**ბილინგვიზმი**" (ანუ "ორენოვნება"). ხოლო იმგვარი სიტუაციისათვის, რომელშიც რამდენიმე ენის ფუნქციონირებაა საჭირო, მოქმედებს ტერმინი "მრავალეროვნება". ჩ. ფერგიუსონმა **დიგლოსიის** ცნების ფორმულირება წარმოადგინა, რომლის მიხედვითაც ეს არის შედარებით სტაბილური ენობრივი სიტუაცია, რომელშიც ენის პირველად დიალექტებთან ერთად (რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს ზოგადი ან რეგიონალური სტანდარტები) არსებობს მათგან

---

* ტერმინ "დიგლოსიის" განსხვავებული გააზრების შესახებ მსჯელობისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 62-63; თ. ბოლქვაძე, 2007...

ძალიან განსხვავებული, მაღალ დონეზე კოდიფიცირებული (ხშირად გრამატიკულად უფრო რთული) ზედდებული ვარიაცია, რომლის შეთვისება, ჩვეულებრივ, ხდება ფორმალურ სფეროებში (მაგ., საგანმანათლებლო სისტემაში, ოფიციალურ სამეტყველო და წერილობით სფეროებში), მაგრამ არასდროს გამოიყენება ყოფითი კომუნიკაციებისთვის.

დიგლოსიური სიტუაცია განისაზღვრება, როგორც მეტყველებაში ორი ან რამდენიმე ენობრივი სახესხვაობის ფუნქციონირება. ამ დროს ეს ენობრივი სახესხვაობები ერთმანეთთან შემავსებელ დამოკიდებულებაშია. ენობრივ სფეროებს შორის, დიგლოსიის შემთხვევაში, ერთგვარი იერარქიული ურთიერთობაა დიდად შეფასებულიდან მცირედ შეფასებულამდე. თუკი ეს ენობრივი სახესხვაობა მიჩნეულია ნათესაურად, H სახესხვაობა, როგორც წესი, ენის უფრო კონსერვატორულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც გამოიყენება ფორმალურ სფეროებში — საჯარო მეტყველებისას, რელიგიურ ტექსტებში, განათლებაში და სხვ. L გამოიყენება უფრო არაფორმალურ სფეროში, ყოფითი ურთიერთობისას, ქუჩაში, ბაზარში, ტელეფონზე საუბრისას და ა. შ. იმ შემთხვევაში, თუ H და L ფორმები ერთმანეთთან გენეტიკურ კავშირში არ არის, უფრო ხშირად H ენობრივი სახესხვაობა უფრო მაღალი საერთაშორისო პრესტიჟის მქონეა.

ჯოშუა ფიშმანმა შეცვალა და განავითარა ფერგიუსონის თეორიის ის ნაწილი, რომელიც ფსიქოლინგვისტიკის ნიშნით იყო ჩამოყალიბებული. მისი განმარტებით, ბილინგვიზმი არის ენობრივი კონტაქტების შედეგი. ჯ. ფიშმანის მიხედვით, დიგლოსია ორნაირად გაიაზრება:

ა) დიგლოსია წარმოადგენს ორ სამეტყველო კოდს — როცა სიტუაცია აპირისპირებს მაღალ და დაბალ ვარიანტებს.

ბ) დიგლოსია ფუნქციონალურ დიფერენციაციას ახდენს ორ ენას შორის.

ჯ. ფიშმანის თვალსაზისში ჩანს დიგლოსიის ბილინგვიზმთან გათანაბრების ტენდენცია.

ფერგიუსონის მიხედვით, **დიგლოსია** გულისხმობს ერთი ენის ორ ენობრივ ვარიანტს, სტანდარტიზებულ ვარიანტსა და ხალხურ ვარიანტს აქვს ერთი და იგივე მოდელი, განსხვავება კი ისაა, რომ შესაძლებელია ერთის კონტროლი, ხოლო მეორე კონტროლის გარეშეა. ფიშმანის მიერ ამ თეორიის განვითარებით, ბილინგვიზმი არის ენობრივი კონტაქტების შედეგი. მისი აზრით, დიგლოსია ორ ენაზე მეტს აერთებს.

ჯ. ფინჩის საცნობარო ტიპის ნაშრომში (Jeoffrey Finch, Linguistic Ters and Concepts, London, 2000) მოცემული განმარტებაც ჩ. ფერგიუსონის თვალსაზრისს მისდევს. მისი განსაზღვრებით, "ზოგ ენას აქვს ორი უაღრესად განსხვავებული ვარიანტი, რომელიც მოქმედებს სამეტყველო საზოგადოებაში და რომელთაგანაც თითოეულს თავისი განსხვავებული სოციალური ფუნქცია აქვს. თუკი თქვენ ხართ, მაგალითად, საბერძნეთში, თქვენ ნახავთ ადამიანებს, ვისთვისაც მშობლიურია წერისას ერთი ფორმა "katharevousa", ხოლო მეტყველებისას მეორე —"dhimotiki". ეს სიტუაცია იწოდება **დიგლოსიად**. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთ ფორმას ეწოდება "მაღალი" და მას იყენებენ ოფიციალურ სფეროებში — განათლებაში, პოლიტიკასა და კომერციაში, ხოლო მეორე ანუ "დაბალი" ვარიანტი მოქმედებს საშინაო და არაფორმალურ სიტუაციებში. ასეთ დროს "მაღალი" უფრო პრესტიჟულია, ხოლო "დაბალი" უფრო მიღებულია მისი გამოყენების კონტექსტებში...

დიგლოსიური სიტუაცია შესაძლოა ვიპოვოთ ეგვიპტეში, სადაც გამოყენებულია ორივე — კლასიკური არაბულიცა და თანამედროვე არაბულიც; და შვეიცარიაში, სადაც მოლაპარაკენი იყენებენ მაღალ გერმანულს და შვეიცარულ გერმანულს ("ზიუდ დუჩი"). ამის ისტორიული მაგალითია ისეთი რომანული ენები, როგორიცაა საფრანგეთის ესპანური და იტალიური, მათაც ახასიათებდათ დიგლოსიური სიტუაციები, რომლებშიც "მაღალი ლათინური" გამოიყენებოდა განათლებაში, რელიგიასა და ოფიციალურ ვითარებაში, ხოლო ჩვეულებრივი სასაუბრო ლათინური — ყოველდღიურ მეტყველებაში. ასეთი სიტუაციები დღესაც არსებობს წყნარი ოკეანისა და კარიბის აუზის მოსახლეობაში, სადაც ინგლისურის სტანდარტული ვარიანტიც და პიჯინიზებულიც ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ.

რუსი ენათმეცნიერის **ლარცევას** ლექსიკონის მიხედვით, **დიგლოსია** არის ორი ენის ან ერთი ენის ორი ფორმის ერთდროული არსებობა საზოგადოებაში, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროში. ბილინგვიზმისაგან და მრავალეროვნებისაგან განსხვავებით, დიგლოსია ითვალისწინებს მოლაპარაკის მიერ შეგნებულ შეფასებას "მაღალი — დაბალი" (მაღალფარდოვანი — ყოველდღიური) ვარიანტებისას.

ტერმინი დიგლოსია 2006 წელს გამოცემულ სოციოლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში (Словарь с оциолингвистических терминов Российскаиа академиа наук институт языкознаниа и Российская академиа лингвистических наук Институт иностранных язиков, Москва, 2006) შემდეგნაირადაა განმარტებული: "1. შიდაენობრივი დიგლოსია — ფლობა მოცემული ნაციონალური ენის სხვადასხვა ქვესისტემისა (როგორც წესი, ტერიტორიული დიალექტისა და ენის სალიტერატურო ფორმისა) და მათი გამოყენება სიტუაციის ან ურთიერთობის სფეროდან გამომდინარე. ტერმინი "დიგლოსია" შემოიტანა ჩარლზ ფერგიუსონმა შემდეგი მნიშვნელობით: "ორი და მეტი სახესხვაობა ერთი და იმავე ენისა, გამოყენებული ზოგიერთი მოლაპარაკის მიერ სხვადასხვა გარემოებაში", მაგ., იტალიური ენის მატარებლები იყენებენ ადგილობრივ დიალექტს შინ, მეგობრებს შორის, მაგრამ გადადიან სალიტერატურო ენაზე სხვა დიალექტების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს ან საჯარო გამოსვლებში. 2. იშვიათად დიგლოსიაში იგულისხმება სხვადასხვა ენის პარალელური და იერარქიული გამოყენება, მაგრამ განსხვავებით ბილინგვიზმისაგან, დიგლოსია ამ გაგებით აღნიშნავს სხვადასხვა ნაციონალური ენის ორი ქვესისტემის ფლობას, რომელთაგანაც ყოველი მათგანი გამოიყენება მხოლოდ ურთიერთობის გარკვეულ სფეროში. დიგლოსია ასეთი ტიპისა აუცილებლად არ ახლავს ორენოვნებას, რომლის დროსაც ფუნქციონალური გადანაწილება ორ გამოყენებად ენას შორის შესაძლოა წაშლილი იყოს ან არ არსებობდეს საერთოდ.

ნებისმიერი ტიპის დიგლოსიის დროს მნიშვნელოვანია მოლაპარაკის მიერ სხვადახვა კომუნიკაციურ საშუალებას შორის შეგნებული არჩევანის გაკეთება და ისეთი საშუალების გამოყენება, რომელიც საუკეთესოდ უზრუნველყოფს კომუნიკაციას ურთიერთობის მოცემულ სფეროში".

ქართული ენის ენციკლოპედიაში, რომელიც გამოიცა 2008 წელს, დიგლოსიას ასეთი განმარტება აქვს: "დიგლოსია არის ორი ენის ან ერთი ენის ორი ვარიანტის ერთდროული არსებობა. მაგ., კლასიკური არაბული და სალაპარაკო არაბული."

სალიტერატურო არაბული გამოიყენება ოფიციალურ სფეროებში (განათლების სისტემა, მასმედია, ადმინისტრაციული მმართველობა და სხვ.), ხოლო "ხალხური არაბული ენა-დიალექტები" — ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო სიტუაციებში. არაბულ სამყაროში საუნივერსიტეტო ლექციები სტანდარტულ ენაზე ტარდება, მაგრამ სავარჯიშოებისათვის ახსნა-განმარტებების შედგენისას "დაბალ" ვარიანტს მიმართავენ. შეიძლება ვინმეზე თქვან — არაბული არ იცისო იმ შემთხვევაში, როცა ეს პირი არ ფლობს სალიტერატურო ენას. განათლებული არაბები ხშირად უარყოფენ არასტანდარტული ენის ცოდნას, თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაში სწორედ მას იყენებენ.

დიგლოსიის დროს სალიტერატურო ენა პრივილეგირებულად მიიჩნევა. მხოლოდ ის ითვლება რეალურ ენად, ხოლო არასტანდარტული ენა იგნორირებულია.

დიგლოსიის მოვლენამ გააღვივა ინტერესი სტანდარტული (სალიტერატურო) ენების დახასიათებისა და შესწავლისადმი, როდესაც საზოგადოებაში თანაარსებობს სოციალური სტატუსით განსხვავებული ორი ენა ან ერთი და იმავე ენის ორი სხვადასხვა სახეობა.

ენის "მაღალ" და "დაბალ" ვარიანტებს შორის განსხვავებაა გრამატიკაში. პირველის გრამატიკა გაცილებით უფრო რთულია. მასში უფრო განვითარებულია ზმნური ფორმები.

განსხვავებულია ლექსიკურ ერთეულთა ფორმა და გამოყენება. სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია ენის "მაღალ" ვარიანტში შედის.

ერთ-ერთი ყველაზე ბუნდოვანი სფერო სოციოლინგვისტიკისა არის დიალექტისა და ენის გამიჯვნის საკითხი. ეს სხვაობა უფრო ნათლად ჩანდა თავდაპირველად, როდესაც დიალექტები ენის ქვესისტემებად მიიჩნეოდა, მაგრამ ეს პრობლემა თანდათან იტვირთება სოციალურად და პოლიტიკურად, და შესაბამისად, სულ უფრო ბუნდოვანი ხდება.

ქართული ენობრივი სიტუაციის დიგლოსიური თვალსაზრისით განხილვისას აზრთა სხვადასხვაობაა ქართველ ენათმეცნიერთა შორისაც, რაც უშუალოდ კავშირშია იმ მრავალწლიან პოლემიკასთან, რომელიც ეხება ენისა და კილოს გამიჯვნის კრიტერიუმებსა და სამეტყველო ფორმათა სტატუსის განსაზღვრას.*

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დიგლოსიასთან დაკავშირებით არსებული თვალსაზრისები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ა) "ქართველური ენობრივი სამყაროს შემთხვევაში საქმე გვაქვს მონოლინგვურ დიგლოსიასთან, ე.ი. დიგლოსიის პირობებში გვაქვს: დედაენა და მშობლიური დიალექტი. ბილინგვიზმის დროს კი არსებულ ორ ენათაგან ერთი დედაენაა, მეორე უცხო ენა" (ტ. ფუტკარაძე) და ბ) "ქართველური ენების ურთიერთობა სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ისეთ ენობრივ სიტუაციას ქმნის, რომელსაც "კლასიკურ დიგლოსიას" უწოდებენ და მიიჩნევენ, რომ მეგრელებისა და სვანებისათვის, მეგრული და სვანური მშობლიური ენაა, ქართული ენა კი ძირითადი ენის კატეგორიას მიეკუთვნება (მ. ქურდიანი).

ენათმეცნიერებაში არსებული ტერმინოლოგიური სიჭრელე მრავალი გაურკვევლობის მიზეზი ხდება. წინააღმდეგობრივია თითქმის ყველა ტერმინი, რომლებიც ერთდროულად ესაჭიროება ლინგვისტიკას, ეთნოლოგიასა და პოლიტიკას. ამიტომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორაა კვალიფიცირებული ესა თუ ის ენა მისი გავრცელების არეალში და როგორია მისი როლი სახელმწიფოებრივ კონტექსტში.

* საკითხის ისტორიისათვის იხ.: თ. გვანცელაძე, 2006; ქართველური ენები და დიალექტები, 2007; ტ. ფუტკარაძე, 2008...

დამოწმებული ლიტერატურა

თ. გამყრელიძე.., 2003 - თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.

თ. გვანცელაძე, 2006 - თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006.

ნ. ლადარია, 2002 - ნ. ლადარია, სოციოლინგვისტიკა, თბ., 2002.

მ. ტაბიძე, 2005 - მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005.

ტ. ფუტკარაძე, 2005 - ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ნაწ. I, ქუთაისი, 2005.

ტ. ფუტკარაძე, 2008 - ტ. ფუტკარაძე, ქართველთა დედაენა და დიალექტები, ქუთაისი, 2008.

ქართული ენა, ენციკლოპედია, 2008.

ქართველური ენები და დიალექტები, თბ., 2007

მ. ქურდიანი, 1996 - მ. ქურდიანი, ენა და დიალექტი საკუთრივ ლინგვისტური და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების III სამეცნ. კონფერენცია, თბ., 1996წ. 4-7 ივნისი (მუშაობის გეგმა და თეზისები).

fishman, 1967.

Ch.Ferguson, Diglossia, *Word* jurnal, 1959.

Jeoffrey Finch, Linguistic Terms and Concepts, London, 2000.

словар социолингвистических терминов, Российская академия наук, институт явыкознания и Российская академия лингвистических наук, Институт иностранных явыков, Москва, 2006.

SOPIKO CHAAVA

ON THE USE OF TERM 'DIGLOSSIA'

The term'diglossia, the use of two varieties of a language throughout a speech community, each with a distinct set of social functions has somewhat similar parallel term 'bilingual(s)' that is said of an individual or a community that regularly uses two languages. The discussion of the Georgian language situation with respect to *diglossia* is directly related to the years' long controversy that refers to the definition of the criteria and status that would allow distinguishing between the *language* and *dialect*.

One group of linguists in Georgia think that in the instance of the Kartvelian language universe we have monolingual diglossia, i.e. in the condition of diglossia we have mother tongue and the native dialect, while in case of bilinguism one is a mother tongue and the other a foreign language.

The other group of scholars maintains that based on socio-linguistic assumptions we face the language situation in which the relationship between the Kartvelian languages can be regarded as the classical form of diglossia. This group of scholars thinks that to Megrelians and Svans, whose native languages are Megrelian and Svan, corespondingly, the Georgian language presents and belongs to the category of the principal language.

The present paper analyzes the approaches expressed in the Georgian specialist literature about the application of diglossia.

ნანა ხაბულიანი

ბესარიონ ჟღენტი ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრების შესახებ

მწერლობა ოდითგანვე იყო მოტრფიალე მშვენიერებისა, ამაღლებისა და კეთილშობილებისა ან უკეთ, როგორც ბარნოვი იტყოდა, "გარდაუვალი ჭეშმარიტებისა, შეურყეველი კეთილისა". ჭეშმარიტი მწერლობა არა მარტო გამომხატველია მოწინავე აზრისა, არამედ ამ მოწინავე აზრისათვის მხატვრული ფენომენის, ესთეტიკური მნიშვნელობის მიმნიჭებელიც არის.

ცნობილი ქართველი კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში აშუქებს ქართული მწერლების განვითარების ნახევარსაუკუნოვან გზას. ილაშქრებს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისათვის. ბესარიონ ჟღენტი იყო ქართული ფუტურიზმის ერთ-ერთი ცნობილი თეორეტიკოსი და ორგანიზატორი. მის ინტერესებში შედიოდა ეროვნული კულტურის თითქმის ყველა დარგი.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბესარიონ ჟღენტი მწერლების შემოქმედებას განიხილავდა მიმდინარე პროცესებთან მიმართებაში, ამიტომ XX საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორია გვერდს ვერ აუვლის ბესარიონ ჟღენტის ღვაწლს.

დიდი სიყვარული გამოხატა ბ. ჟღენტმა ნიკო ლორთქიფანიძის მიმართ: "ქართული კლასიკური მწერლობის სახელოვან რეალისტურ და დემოკრატიულ ტრადიციებზე აღზრდილმა, ამ ტრადიციების ღირსეულმა მემკვიდრემ და გამგრძელებელმა, ორგანულად შეათანხმა და დააკავშირა ჩვენი ეროვნული კულტურის მაგისტრალურ გეზთან მეოცე საუკუნის რუსეთისა და ევროპის ესთეტიკური აზრის საუკეთესო მიღწევები და მონაპოვარი და სწორედ ამ გზით ნოვატორული როლი შეასრულა უახლესი ქართული მწერლობის ისტორიაში...".

ნიკო ლორთქიფანიძის ადრეულ შემოქმედებაში მკვეთრად იხატება იმპრესიონისტული გავლენა.

ბესო ჟღენტი სწორად შენიშნავს თავის წიგნში: ნიკო ლორთქიფანიძის მოქალაქეობრივი სახე, მისი საზოგადოებრივი მრწამსი და იდეალები ორი საუკუნის მიჯნაზე ჩვენს ქვეყანაში აღმოცენებული დიადი კლასობრივი ბრძოლების ქარიშხალთან ვითარებაში ჩამოყალიბდა. როგორც ცნობილია, 1905-07 წწ. რევოლუციამ განსაკუთრებით ფართო გასაქანი ჰპოვა საქართველოში და ამ დიდ მოძრაობას გამოეხმაურა მთელი ქართული მწერლობა.

ეროვნული პრობლემატიკა, რომელიც ქართველი მწერლობის მთავარ თემას წარმოადგენდა, ბ. ჟღენტის თქმით, ნიკო ლორთქიფანიძის ადრინდელ ნოველებში მკრთალადაა გამოხატული. კრიტიკოსი გამოყოფს 1908 წელს შექმნილ მინიატურებს. "მოლოდინი", ასეა დასათაურებული მისი ერთ-ერთი მინიატურა, დაწერილი 1908 წელს. ამ მცირე მოცულობის ბელეტრისტულ ნაწარმოებში გადმოცემულია ცხოვრების განმაახლებელ ძალთა დამარცხებით შეშფოთებული ადამიანის მღელვარე სულისკვეთება. ბ. ჟღენტი გამოყოფს მხატვრული პუბლიცისტიკის ისეთ იშვიათ ნიმუშს, როგორიცაა "საქართველო იყიდება" - "ესაა შემზარავი მონოლოგი ქვეყნის დარბევა-განადგურებით უკიდურესად

აღშფოთებული ადამიანის სულისკვეთებისა“. მასში დაუზოგავად, ამაღლებული ძალით არის წარმოსახული ჩვენი სამშობლოს ბედი თვითმპყრობელობის ველური კოლონიური პოლიტიკის პირობებში და ეს შემზარავი მონოლოგი, ქვეყნის დარბევითა და განადგურებით უკიდურესად აღშფოთებული ადამიანის სულისკვეთების გამომთქმელი მღელვარე მონოლოგი მთავრდება მოთქმა-გოდებით: “იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრად დარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფლებს“.

ეროვნული პრობლემა უფრო მწვავედ დასვა მწერალმა თავის ისტორიულ რომანებში. კრიტიკოსი განიხილავს “ჟამთა სიავეს“, “რაინდებს“, “მრისხანე ბატონს“.

“ჟამთა სიავეში“ გამოხატული ის ერთი შტრიხი, როდესაც თავად იულონის მდიდრულ სასახლეში დიდებული ნადიმის დროს გამართულ ჭიდაობაზე საჭიდაოდ გამოსული გლეხის ბიჭს ტანსაცმელი ვერ გაახდევინეს, რადგან გასახდელი არაფერი გააჩნდა.

მწერალი გვიჩვენებს მშრომელი ადამიანის სრულ უუფლებობას, მისი ყველა ადამიანური ღირსებისა და სასიცოცხლო ინტერესის დაუნდობლად ფეხქვეშ გათელვას მძვინვარე ფეოდალების მხრივ. “ჟამთა სიავის“ გმირმა, თავადმა იულონმა შეუბრალებლად განგმირა მოწყალების სათხოვნად მოსული გლეხი მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი უნებლიედ მოწმე გახდა იულონის მიერ საკუთარი დედის მოკვლისა.

“ჟამთა სიავეში“ ჩვენს თვალწინ ცოცხლდება საქართველოს ისტორიის ის ხანა, როდესაც მრავალ უთანასწორო ბრძოლაში სისხლისაგან დაცლილი საქართველო დაქუცმაცებულია წვრილ სამეფოებად და სამთავროებად. ოდესღაც ძლიერი, აყვავებული, კულტურული შემოქმედების უმაღლეს საფეხურზე აღზევებული საქართველო დაუკნინებია, გაუღატაკებია და უმეცრების წყვდიადში გაუხვევია გარეშე მტრების სისხლიან თარაშს და ფეოდალური პარტიკულარიზმის ბოროტ სტიქიას. ერის ყველაზე ფხიზელი და გონებაგახსნილი შვილები მწვავედ განიცდიან ქვეყნის ასეთ ხვედრს და ამაოდ ოცნებობენ სამშობლოს წარსული მთლიანობისა და დიდების აღდგენაზე.

“ჟამთა სიავე“ და “მრისხანე ბატონი“ ფეოდალური ტირანიის, აღვირახსნილი არაადამიანური სისასტიკის კიდევ უფრო შემზარავი სურათების შესანიშნავი გამოხატულებაა, რომლებიც ყველაზე დამახასიათებელი ნაწარმოებებია ნიკო ლორთქიფანიძის ისტორიული წარსულის თვალსაზრისით.

“მრისხანე ბატონის“ თავადი ლევანის მონუმენტურად დახატულ სახეში მწერალმა დიდი განზოგადოებული ძალით გადმოგვცა ფეოდალური დესპოტიის მძვინვარე ბუნება. საკუთარი ძმის დამამხობელი, ობლად დარჩენილი ძმისწულის შესამუსრავად ამხედრებული ლევანი შიშის ზარს სცემს ყოველივეს თავის გარშემო. როგორი გულქვაობითა და უკიდურესი არაადამიანური სისასტიკით აწამა მან ახალგაზრდა ტყისპირელი გლეხი, გულუბრყვილო, უდანაშაულო ჭაბუკი. გაბატონებულ წოდებაში გავრცელებული ეს დაუნდობლობა, გაუტანლობა და ბოროტება გავლენას ახდენდა თვით ხალხის ზნეობრივ სამყაროზეც, როდესაც ოდიშის მთავრის მსახურთ ლევანთან მიჰყავდათ შეპყრობილი ზედატყისელთა მოციქულები, მათ გზად შემოეყარათ ლევანის ძმისწული ვახტანგი. ყმაწვილს შეებრალა სასტიკი წამებისათვის განწირული გლეხები და გაათავისუფლა ისინი.

ზედატყისელებმა უზომო მადლიერებით მიიღეს მათი მოციქულების განთავისუფლება, მაგრამ შემდეგ რომ წარმოიდგინეს, თუ რა რისხვას დაატეხდა მათ ლევანი მის საძულველ ძმისწულთან დამეგობრობისათვის, გლეხებმა გადაწყვიტეს მოენადირებინათ მრისხანე ბატონის გული და მისთვის მიეგვარათ შებოჭილი ვახტანგი.

მწერალი სიმართლით ამხელს ფეოდალური არისტოკრატიის წრეებში დასადგურებულ ზნეობრივ აღვირახსნილობასა და გახრწნილობას.

კრიტიკოსის თქმით, მწერლის შემოქმედების მთავარი მიზანია, გამამხნევებელი სიტყვა უთხრას თავის დამონებულ სამშობლოს. მოხუცი ოტიას იმედიანი რწმენა "... ჩვენი დროც დადგება ოდესმე" - ჰაერში გამოკიდებული ოპტიმიზმი როდია, იგი ერთი ნათელი შტრიხია შემოქმედების ოპტიმისტური სულისკვეთებისა და მარტო ამ მოთხრობის დედააზრი კი არა, არამედ მთელი შემოქმედების ლაიტმოტივიცაა.

ბესარიონ ჟღენტი თვლის, რომ ჰუმანისტური კონცეფცია ერთ-ერთი განმსაზღვრელია ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებისა. ამის დასტურად განიხილავს "თავსაფრიან დედაკაცს". კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ ეს ნაწარმოები "მაღალი ადამიანობის, ადამიანის სულიერი მშვენების და სისპეტაკის შთამაგონებელი საგალობელია...".

ვაი-ვაგლახითა და ტანჯვა-წამებით დაზარდა ქვრივმა დედაკაცმა თავისი ობლები, გზაზე დააყენა ყველა მათგანი, მოესწრო შვილიშვილებსაც. მშობლიური მზრუნველობით, დაუღალავად დატრიალებს თავს და დაჰხარის მათ უზომოდ მოსიყვარულე ბებია, მაგრამ ასევე უზომოდ ამაყი და მედიდური სული ცხოვრობს ამ მრავალტანჯული ადამიანის ბუნებაში. უმადურმა ქალიშვილმა შებღალა მისი თავმოყვარეობა და ეს საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ "თავსაფრიან დედაკაცს" გადაეწყვიტა, გაქცეულიყო, სამუდამოდ გაცლოდა მის ოჯახს, მის ნალოლიავებ საცოდავად გაზრდილ შვილებსა და ქუჩაში ხეტიალში დაესრულებინა ტანჯული სიცოცხლე.

მწერალმა ძალიან მცირე ფორმაში ჩაატია ამოდენა ტრაგედია ქალისა. სხვა მწერალს კი შეეძლო მრავალტომიანი რომანი მიეძღვნა ამ თემისათვის. კრიტიკოსი ამბობს: "ეს ერთი საუკეთესო ნაწარმოებია თანამედროვე ქართული მხატვრული პროზისა... "

მწერალმა დაგვიხატა ისეთი მკაფიო, ცოცხალი სახე, მკვეთრად გამოხატული ხასიათი გმირისა, რომელსაც იშვიათად თუ შეხვდებით თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ხასიათის სრულყოფილად გამოხატვისა და მისი დიდი განზოგადოებითი ძალის მხრივ ეს სახე შეგვიძლია გვერდში ამოუყენოთ ილია ჭავჭავაძის "ოთარაანთ ქვრივს".

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების სტილის შესახებ ბესო ჟღენტის შეფასება ზუსტია და შეუცვლელი. მისი თქმით, მწერალმა შემოიტანა სრულიად ახალი, მაღალი გემოვნების მხატვრული სტილი და წერის თავისებური მანერა. ქვეტექსტის ხელოვნება ჩვენს მწერლობაში მისი უდიდესი დამსახურებაა, ახლადშემოჭრილი ფსიქოლოგიზმის ნაკადს მწერალმა პრობლემური ფორმისა და ექსპრესიული ხერხების თანაზომიერად შეკრული მხატვრული მოდელები მიუსადაგა და მკვეთრად ინდივიდუალიზებული, თვისობრივად განსხვავებული ლიტერატურული ფენომენი დაამკვიდრა.

დამოწმებული ლიტერატურა

ბესო ჟღენტი და კლასიკური მემკვიდრეობა: "კრიტერიუმი", 2002, №-6.
ჟურნ. "ლიტერატურა და სხვა", 1924, №-1.
ჟურნ. "მემარცხენეობა", 1927, №-1.
ჟურნ. "მნათობი", 1937, №-2; 1939, №№-1, 6.
ჟურნ. "ქართული მწერლობა", 1929, №-11-12.

NANA KHABULIANI

BESARION ZHGENTI ABOUT THE LIFE OF NIKO LORTKIPANIDZE

Besarion Zhgenti, as a literary critic, thinks highly about Niko Lortkipanidze's works. He expresses the view that 'Niko Lortkipanidze linked the best accomplishments of the 20th century aesthetical ideas of Russia and Europe to the mainstream of our national culture and in this way he himself has played the role of the innovator in the history of the Georgian fiction'.

Themes of the national problems are the main concern of his works, which is confirmed in "Georgia Is Being Sold", "the Knights", "Furious Lord" etc.

Niko Lortkipanidze's works are also imbued with humanistic conceptions. "The Woman with Headscarf" is an inspiring hymn of human beauty, and virtue.

N.Lortkipanidze brought entirely new artistic style and the peculiar manner of writing into the Georgian fiction, the art of conveying implications and established individualized and qualitatively different literary phenomenon.

გელა ხარშილაძე

გალაკტიონი და ჭუთაისი

ჰერაკლიტე ამბობს: "ღამის წყვდიადში, როცა თვალი ვერაფერს ხედავს, კაცი საკუთარი სულის სინათლეს ანათებს" (ჰერაკლიტე, 1991, გვ. 10). ქუთაისში დადიოდა კაცი, რომელსაც საკუთარი "სულის სინათლის ნათება" შეეძლო — გალაკტიონ ტაბიძე, ამიტომაც თხზავდა და ამბობდა იგი საოცარ ლექსებს.

ძნელია ერთი სიტყვით შეაფასო გალაკტიონის ლექსები. მთავარი ალბათ მათი მუსიკალობა და საოცარი სიფაქიზეა. უამრავი ლექსი აქვს მგოსანს ისეთი, უმაღლესი პოეტური ხელოვნება რომ სჭირდება შესაქმნელად და კიდევ, უფლისაგან მომადლებული იმგვარი "სულის სინათლის ნათება", ჰერაკლიტე რომ გულისხმობს. ეს რომ შეძლო, განსაკუთრებული ბუნება უნდა გქონდეს, რომელსაც ძალუძს ჩვეულებრივ მოვლენაში არაჩვეულებრივი აღმოაჩინოს, მისი სილამაზე სხვებს დაანახოს და მათი საკუთრებაც გახადოს. ვფიქრობთ ამაზე და ვხვდებით, თუ რაოდენ სასიხარულოა ის, რომ გალაკტიონმა, ასეთი განსაკუთრებული ბუნების კაცმა, თავისი ლექსები უძღვნა ქუთაისს, უძღვნა და წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალ ჭარს გამოატანა, რომ კოლხთა დედაქალაქის თითოეული მკვიდრის სულში შეეშვა ისინი და მათი მუსიკალობით და გრაციოზულობით საკუთარი თავისთვის უზარმაზარი ესთეტიკური სიამოვნება მიენიჭებინა.

ბაგრატის ტაძარს, 1916 წელს, გალაკტიონმა უთხრა:

"სიმაღლეებზე აღმართულო, ნანგრევო ტაძრის,
ვითარ დიდია შუბლის შენის შორი მშვენება,
შენს ჩუქურთმაში ვერ შეჭრილა გადაშენება,
ვერ გაეკრება დავიწყება ფერფლის და ნაცრის,
შენ გადურჩები ჟამთ სიავეს მტერთა სიმკაცრეს,
სარკემ დროისამ დაგვანახა სხვა მოჩვენება:
შენზე აღმართულს მნგრევალ ხიდებს სდევს შეჩვენება,
შენ უკვდავი ხარ, შენი ფუძე მაინც ვერ დაჭრეს."

ბაგრატის ტაძარი ისე დაჰყურებს ქუთაისს, როგორც დრო-ჟამთაგან ათას ადგილას დაცხრილული გოლიათი, რომლის ძალა არა მარტო მისი ფიგურის გრანდიოზულობაშია, არამედ იმ სულიერ სიძლიერეში, მისგან რომ მოდის და, რომელსაც მკაფიოდ გრძნობს მისი მნახველი. სწორედ ამ რაღაცნაირ, დამთრგუნველ, იდუმალ სიძლიერეს ტაძრისას ისრუტავს გალაკტიონი მთელი არსებით და ამბობს: „შენს ჩუქურთმაში ვერ შეჭრილა გადაშენება". ბაგრატი, პოეტის წარმოდგენაში, ღმერთის თანაზიარი გამხდარა თითქოს. ტაძარზე უზენაესის მადლია გადმოსული, რომელიც, მგოსნის ღრმა რწმენით, უცილობლად შეაჩვენებს ყველა იმათის „მნგრეველ ხელებს", ვინც სავნებლად წაეპოტინება ბაგრატს. პოეტის ფიქრით, ხუროთმოძღვრების ეს სასწაული შეიცავს მუხტს იმ მისტიური სილამაზისას, რომლისგანაც „ახალი, მძლავრი პოეზია აღმართება".

გალაკტიონს შვებას ჰგვრიდა ქუთაისი, უყვარდა რიონი, ეს უამრავი რამის მომსწრე პატარა მდინარე. ერთხელ ლექსით მიმართა „რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული":

კვლავ მიხარიან, ძველი კორდიდან
რიონის ზვირთთა თვალის დევნება,
დაუცხრომლობა გაზაფხულისა
და ფერადების აშადრევნება,
ო, მომავალზე მიმდევნო ფიქრო,
რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!

რიონის ზვირთთა გაზაფხულისფერი "ფერადების აშადრევნება" იტაცებდა მგოსანს. "მომავალზე მიმდევნო ფიქრის" წარმტაცობაც და დიდებულებაც ხიბლავდა მდინარის შემხედვარეს. იმედიც ეუფლებოდა მის გულს, რადგან რიონი, მგოსნის აზრით, მართლაც, ქართველთა იმედია გამძლეობის, ჭირთა თმენის, რწმენის და კოლხთა იმ ძველი სისხლის საოცარი სიწმინდის, აიეტის სამეფოს მკვიდრთა ძარღვებიდან რომ იღებს სათავეს.

ქუთაისის ერთ-ერთ, კოლორიტულ უბანს "ბალახვანს" დაუწერა გალაკტიონმა ლექსი - "ბალახვნის ქუჩაზე":

"რა კარგი იყო ქუჩა ბალახვნის,
ხმები ისმოდა მრავალი არღნის,
არ იყო მაშინ ავტომობილი,
არცა საყვირი მაუდის ქარხნის.
შეაჩერებდა რა თავის ფაეტონს
მეეტლე მუშტარს უცდიდა ამ დროს,
— ვინ მოხვალთ ხონსუ, ხონსუ, ო ხონსუ —
კოფოზე მდგარი გასძახოდა მთა-გორს".

პოეტი სილაღეს ნახულობდა ქუთაისში, სიმშვენიერეს ეძებდა მის ქუჩებში და პოულობდა კიდეც. დარდიმანდობდა, ილხენდა. შემდეგ ქალაქის ქუჩებს, მის მაცხოვრებელთ ეფერებოდა და ლამაზ, სიყვარულით აღსავსე ლექსებს ამბობდა მათზე. ამბობდა და ისტორიაში შეჰყავდა ერთნიც და მეორენიც, ისე, როგორც კონკრეტულ შემთხვევაში, "ბალახვნის" ქუჩასა და უბრალო ხონელ მეეტლეს დაუმკვიდრა ჩვენს ცნობიერებაში ადგილი.

დამოწმებული ლიტერატურა

ჰერაკლიტე, 1991 - ჰერაკლიტე, ფრაგმენტები, "ლარი", თბ, 1991.
ქართველი პოეტები ქუთაისს, კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მ. ალავიძემ, ქუთაისი, 1995.

GELA KHARSHILADZE

GALAKTION TABIDZE AND KUTAISI

The paper discusses G.Tabidze's three poems dedicated to Kutaisi: "Bagrati Cathedral," What a picturesque, what a glorious one," and "In Balaxvani street." The emphasis is made on the poets love to Kutaisi and on the very special human warmth the poet cherished with the relation to the city.

ია ჯაჭაპურიძე

ილია ჭავჭავაძე – ფრანგული ლიტერატურის მთარგმნელი

ილია ჭავჭავაძის სამწერლო მოღვაწეობა უაღრესად ფართო დიაპაზონისაა. მის ინტერესთა სფეროს მსოფლიო ლიტერატურის შესწავლაც შეადგენდა. იგი ყურადღებით ეცნობოდა უცხო ქვეყნების ლიტერატურას და ცდილობდა, საგულისხმო ქართულ ლიტერატურასთან შერწყმული მიეწოდებინა ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის.

ილიამ ევროპის ქვეყნებიდან საფრანგეთსა და ფრანგულ ლიტერატურას ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო. საკმარისია გადავხედოთ მის პუბლიცისტურ წერილებს: "ხიზნების საქმე", "ქვათა ღაღადი", "ომის საფრთხის წინ", "წერილები უცხოეთზე" და სხვა, რომ თვალწინ წარმოგვიდგეს XIX საუკუნის მეორე ნახევრის საფრანგეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სრული სურათი.

იგი უფრო მეტად ყურადღებას უთმობდა სხვა ქვეყნის იმ პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური სურათის აღწერას, რომელიც ცოტად თუ ბევრად ემსგავსებოდა თავისი ქვეყნის ვითარებას. თავის წერილებში სიტყვებით: "ჩვენში კი..." მას მოჰყავდა შესაბამისი მაგალითი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებიდან.

მისი ინტერესი საფრანგეთის მიმართ თარგმანებშიაც შესანიშნავად ვლინდება.

ილიამ ქართული ლიტერატურის სინამდვილეში თარგმანის ხელოვნება განვითარების ახალ დონეზე აიყვანა. მისი აზრით, თარგმანი უნდა ემსახურებოდეს მშობლიური ლიტერატურის განვითარების საქმეს; თავისი იდეური შინაარსითა და მხატვრული ფორმით უნდა პასუხობდეს მშობლიური ლიტერატურის წინაშე დასმულ ამოცანებს და ხელს უწყობდეს მისი განვითარების პროცესს ("ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას-ძის ერთისთავის მიერ კოზლოვის "შეშლილის" თარგმანზედა", 1861, "ცისკარი", №4).

საინტერესოა ი. ჭავჭავაძის აზრი მთარგმნელის, როგორც შემოქმედის, მოვალეობის შესახებ: "მთარგმნელს... უნდა ჰქონდეს გაწმენდილი გემო და განათლებული გონება... ყოველი მთარგმნელი უნდა იმასა ცდილობდეს, რომა გადმოიღოს სხვისი აზრი ქართულ ენაზე ისე, რომ ნამდვილისა და თარგმანის აზრს შორის არა იყოს რა იოტის ოდენა განსხვავება" (ი. ჭავჭავაძე, 1953, გვ. 12).

ილიას მოჰყავს მრავალი უარყოფითი მაგალითი იმის დასამტკიცებლად, თუ რა მოსდევს ენისა და აზრის შეუსაბამობას. იგი მოითხოვს თარგმანში დედნის ფორმისა და შინაარსის ერთიანობას, ორიგინალის საერთო სტილის შენარჩუნებას.

ილია დაბეჯითებით მოითხოვდა ისეთ ნაწარმოებთა თარგმნას, რომელიც მიესადაგებოდა ქართველი ხალხის ცხოვრებას, დააკმაყოფილებდა მის სულიერ მოთხოვნილებას. მისთვის არ იყო საკმარისი ფრანგული საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ზოგადი მიმოხილვა და დახასიათება.

ილიას, როგორც ფრანგული ლიტერატურის მთარგმნელს, გავეცნოთ ა. შენიეს, ვ. ჰიუგოს, ა. ბუვიეს, ა. დოდესა და პ. პრუდონის ზოგ ნაწარმოებთა მისეული თარგმანით.

ილია ა. შენიეს არა ერთ და ორ პოლიტიკურ ნაწარმოებს გასცნობია ორიგინალში, მაგრამ სათარგმნელად ამოირჩია ლექსი "ზღვათა მფლობელის ვენეციის ზღუდეთა თანა..." ("Près des bords où Venise...").

საინტერესოა გაირკვეს, საიდან თარგმნა ილიამ ანდრე შენიეს აღნიშნული ლექსი, მაგრამ მანამდე გადავხედოთ "ზღვათა მფლობელის"... რუსულ თარგმანებს.

შენიეს ამ ლექსის ვ. თუმანსკისეული თარგმანი დედანთან ძალიან მიახლოებულია.

შენიე - Le gondolier nocturne (ღამის, ღამეული გონდოლიერი),
Туманский – "Безпегний гондольер".
ილია - უდარდელი გონდოლიერი.
შენიე - Il aime les chansons, il chante sans desir, sans gloire
(მას უყვარს სიმღერები, მღერის დიდების სურვილის გარეშე)
Туманский – "Он любит свой напев, вез платы он поёт".
ილია - თავისი სიმღერა იმას უყვარს, უფასოდ მღერის...

შედარების შედეგად ირკვევა, რომ ილიას თარგმანი ემსგავსება ვ. თუმანსკის რუსულ თარგმანს. ფრანგული დედნის ზოგიერთი ნიუანსი არ არის დაცული თუმანსკისეულ თარგმანში, რომლებიც გადმოდის ილიას ქართულ თარგმანშიაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ილია, მართალია, ა. შენიეს შემოქმედებას, მის პოეტურ სტილს, ნიჭსა და შთაგონებას იცნობდა ფრანგული ორიგინალის წყალობით, მაგრამ ამ ლექსის ქართულად თარგმნისას სარგებლობდა ვ. თუმანსკისეული თარგმანებით.

მეორე ნაწარმოები გახლავთ ვიქტორ ჰიუგოს "წერილი ჟენეველებისადმი", რომელსაც ქართველი მკითხველი 1863 წელს ჟურნალ "საქართველოს მოამბეში" "ბ.ვ.-ს" ფსევდონიმით გაეცნო. ქართული თარგმანის სათაურია "სიკვდილით დასჯის საქმე და ამის თაობაზედ ვიქტორ ჰიუგოს წიგნი".

ილიასეული თარგმანების შესწავლით ირკვევა, რომ ქართული ტექსტი უმთავრესად შემოკლებულია, ზოგჯერ ჩართულია მთარგმნელისეული კომენტარები სიტყვის ან აზრის მეტი ცხადყოფისათვის, ზოგჯერ შეიმჩნევა ამა თუ იმ ადგილის თავისუფალი თარგმანიც და სხვა. ყოველ შემთხვევაში ეს თარგმანი გვაფიქრებინებს, რომ ილია ითვალისწინებს თავისი ხალხის ინტერესებს, გემოვნებას, ცდილობს თარგმანს მისცეს ქართული სინამდვილისათვის რაც შეიძლება მახლობელი ფორმა

ვ. ჰიუგოს დასახელებული თარგმანის შემთხვევაში კი ი. ჭავჭავაძეს არ ჩაუთვლია საჭიროდ ტექსტის შეცვლა-შემოკლება, რადგან წერილს ყოველი სიტყვა ზუსტად პასუხობდა იმდროინდელი საქართველოს ერთ-ერთ საჭირბოროტო საკითხს.

თარგმანები ერთ-ერთი საშუალება იყო იმ უმთავრესის სათქმელად, რომლის დაბეჭდვასაც ილია თავისი სახელით ვერ შეძლებდა.

ა. დოდეს მოთხრობის "უკანასკნელი გასაკვეთი" ("la derniere classe") რამდენიმე ქართული თარგმანი არსებობს. ილიასეული თარგმანი დაიბეჭდა 1877 წელს "ივერიაში" (№ 218). იგი ორიგინალიდან არ გამომდინარეობს და არც რუსული თარგმანის სიზუსტე ახლავს; შემოკლებულია, რადგან მთარგმნელი ერთ მთავარ და მნიშვნელოვან ხაზს მიჰყვება, რამაც შეიძლება მკაფიოდ აჩვენოს ელზასელი ხალხის მწვავე ხვედრი, სამშობლოს დამონებით გამოწვეული ტკივილი და მწუხარება.

მეორე მოთხრობა გახლავთ "ტიურკოსი კომუნელთა შორის". ამ ნაწარმოების ილიასეული თარგმანების წყაროს გამოსარკვევად მივმართეთ ფრანგულ ორიგინალს და მათ რუსულ თარგმანებს. შედარებამ მეტად საინტერესო ფაქტის წინაშე დაგვაყენა. "უკანასკნელი გასაკვეთი" შესრულებულია რუსული თარგმანიდან, რომელიც უკვე არსებობდა და ხელმისაწვდომადაც იოლი იქნებოდა ილიასათვის, ხოლო "ტიურკოსი კომუნელთა შორის" ძირითადად ფრანგული ორიგინალიდან არის გადმოღებული. თუმც, ქართული ტექსტი ორიგინალთან შედარებით შემოკლებულია. მთარგმნელი გვერდს უვლის ნაწარმოების თითქმის ყოველ გვერდზე წინადადებებსა და მთელს აბზაცს, რასაც ვერ ვიტყვით ამ ნაწარმოების რუსულ თარგმანზე, რომელიც სიტყვასიტყვით მისდევს ორიგინალს. მიუხედავად ქართული ტექსტის სიმცირისა, გარკვევით ჩანს მისი მსგავსება ორიგინალთან.

გავეცნოთ რამდენიმე მაგალითს:

1. "Si vif, si remuant, que les balles ne savaient ou le prendre"

(ისეთი ცოცხალი და მოძრავი იყო, რომ ტყვიამაც არ იცოდა, საიდამ მიჰკარებოდა)

"Живой, подвижный, недоступный ядрам".

2. Quand on lui parlait, il souriait et montrait ses dents. C'est tout ce qu'il pouvait faire, car notre langue lui etait inconnue...

(როცა გამოელაპარაკებოდნენ, იცინოდა და აჩენდა ხოლმე თავის კბილებს, ესღა შეეძლო, რადგან ჩვენი ენა მისთვის უცნობი იყო).

"თუ დაელაპარაკებოდა ვინმე, გაიღრიჭებოდა და კბილებს წამოჰყრიდა, მეტი კი ვერა შეეძლო რა, რადგანაც ჩვენი ენა არ ესმოდა".

მოთხრობაში "უკანასკნელი გასაკვეთი" ილიასეული თარგმანი მისდევს რუსულ თარგმანს (1877), მაგ.:

Son jabot plissé fin (მისი თხელნაკეცებიანი ჟაბო)

"...Белое, отлично выглаженное жабо"

"ჩინებულად გაუთოებული პერანგის საყელო მოუჩანდა".

ილიას არ გამოპარვია იმ დროს პოპულარული მწერალი ა. ბუვიე და დაუყოვნებლივ წარუდგინა იგი ქართველ მკითხველს ჟურნალ "ივერიაში" (1879-1880). მისი რომანის "დიდებული იზას" ერთ-ერთი ნაწილი, კერძოდ, მეორე წიგნის "იზას" ქართული თარგმანი.

ზ. ჭუმბურიძის აზრით, "იზას" ილიასეული თარგმანის "რუსიციზმები", ასევე, ზოგი სიტყვის თარგმანი და სახელთა დაწერილობა, როგორიცაა გავრი ჰავრის ნაცვლად და ა. შ. იმის მაჩვენებელია, რომ თარგმანი რუსულიდან არის შესრულებული" (ზ. ჭუმბურიძე, 1965, გვ. 391-392). გ. გაჩეჩილაძე თავის წიგნში "მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი" აღნიშნავს: "ცნობილია, რომ ილიამ უცხო ენები კარგად არ იცოდა", თუმცა მ. ზანდუკელის აზრით, ილიას ასე თუ ისე უნდა სცოდნოდა ფრანგული ენა, რადგან ფრანგი მწერლების ნაწარმოებებს თარგმნიდა. მაგრამ ჯერჯერობით არავის დაუდასტურებია რომ ეს თარგმანი ("იზა") დედნიდან არის შესრულებული. უფრო საფიქრებელია, რომ იგი რუსულიდან იქნებოდა თარგმნილი, როგორც ამ დროის თარგმანთა დიდი უმრავლესობა (გ. გაჩეჩილაძე, 1966).

ა. ბუვიეს რომანის სმენითი შედარებისას ნათელი გახდა, რომ რუსული თარგმანი წარმოადგენს ორიგინალის ადაპტაციას. რუსი მთარგმნელი

(სამწუხაროდ, მისი გვარი არაა მითითებული) მიჰყვება რომანის სიუჟეტს და ამავე დროს გვერდს უვლის ორიგინალის მხატვრულ მხარეს — პერსონაჟთა სულიერ განცდებს, პეიზაჟისა თუ პარიზის უბნების აღწერას. ამის გამო მკითხველი ვერ აღიქვამს მის მხატვრულ ღირსებას და, რა თქმა უნდა, მწერლის ოსტატობას.

რაც შეეხება "იზას" ქართულ თარგმანს, საგრძნობლად შეიმჩნევა მისი მსგავსება რუსულ თარგმანთან. რაც შეეხება რომანის ტექსტის სმენითი შედარებით მიღებულ სურათს: რუსი და, შესაბამისად, ქართველი მთარგმნელი საგრძნობლად ამოკლებს დედნის ტექსტს და ამჯობინებს რამდენიმე ფრაზით გადმოსცეს ორიგინალის ზოგჯერ გაჭიანურებული ადგილები. არაიშვიათია ისეთი შემთხვევებიც, როცა ფრანგული ორიგინალის ზოგიერთი ადგილი განსხვავებულია რუსული და ქართული თარგმანებისაგან, ხოლო ეს უკანასკნელნი ზუსტად მიჰყვებიან ერთმანეთს. რადგან ქართული თარგმანი სიტყვასიტყვით მისდევს რუსულს, ამდენად გასაგებია, თუ რატომაა ილიასეული თარგმანი შედარებით მდარე, მისი მხატვრული ნიჭისათვის ნაკლები ოსტატობით შესრულებული.

ი. ჭავჭავაძის არჩევანი ა. ბუვიეს სხვა ნაწარმოებთა შორის რომან "იზა"-ზე რომ შეჩერდა, შემთხვევითი არაა, რადგან აქ კარგადაა ასახული იმდროინდელი საფრანგეთის საზოგადოების თითქმის ყველა ფენა.

ილიას საშუალებით ჟურნალ "საქართველოს მოამბის" (№10) ფურცლებიდან გაეცნო ქართველი მკითხველი საზოგადოება ფრანგი ეკონომისტის პ. ჟ. პრუდონის ფილოსოფიურ შეხედულებებს სტატიით "სიღარიბე, როგორც ეკონომიკური პრინციპი". ი. ჭავჭავაძემ ამით სერიოზული ბიძგი მისცა ქართველ ხალხს დაფიქრებულიყო თავის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აღნიშნული ნაწარმოები პირველად 1863 წელს დაიბეჭდა პეტერბურგში გამომავალ ჟურნალში "Отечественные записки". ქართული თარგმანი აქაც რუსულს მისდევს.

ილია ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანების წყაროს დადგენის მიზნით იგი შედარებულია ფრანგულ ორიგინალებსა და რუსულ თარგმანებთან. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ილიას თარგმანთა უმეტესობა რუსულ თარგმანს მიჰყვება. მიუხედავად ამისა, იგი ცდილობს რუსულ ფრაზებს ქართული ელფერი მიანიჭოს და აღწევს კიდეც ამას.

ილია ჭავჭავაძე დიდი ინტერესით ეცნობოდა ფრანგული ლიტერატურის საუკეთესო ძეგლებს, როგორც მხატვრულს, ისე ფილოსოფიურსა და სხვ., ხოლო თარგმნიდა ისეთ ნაწარმოებებს, რომელიც გააცნობდა მკითხველს არა მარტო ფრანგი ხალხის ცხოვრებას, მის ინტერესსა და მისწრაფებებს, არამედ დააფიქრებდა კიდეც თავის მდგომარეობაზე, უცხო ხალხის ჭირ-ვარამის ჩვენებით გაახსენებდა საკუთარ ტკივილებს.

ამრიგად, ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ილიას თარგმანებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის თვალსაწიერის გაფართოების თვალსაზრისით.

დამოწმებული ლიტერატურა

ა. ბუვიე, 1959 - ა. ბუვიე, იზა, თარგმანი ი. ჭავჭავაძისა, თბ., 1959.

ა. ბუვიე, 1978 - A. Bouvier, Grande Isa,La femme du mort, Paris, 1978.

ქ. ბურჯანაძე, 1977 - ქ. ბურჯანაძე, ი. ჭავჭავაძე და მხატვრული თარგმანი, თბ., 1977.

გ. გაჩეჩილაძე, 1966 - გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, თბ., 1966

ა. დოდე, 1877 - ა. დოდე, უკანასკნელი განსაკვეთი, ჟურნ. "ივერია", №6, 1877.

ა. დოდე, 1879 - ა. დოდე, ტურკოსი კომუნელთა შორის, 1879.

ა. დოდე, 1895 - А. Додэ, Собрание сочинений Т.8, С.-ПБ, 1895.

პ. პრუდონი, 1863 - პ. პრუდონი, სიღარიბე, როგორც ეკონომიკური პრინციპი, ჟურნ. "საქართველოს მოამბე", №10, 1863

ა. შენიე, 1869 - ა. შენიე, ზღვათა მფლობელის.., ჟურნ. "საქართველოს მოამბე", №9, 1869

ა. შენიე, 1899 - A.Chenier, Oeuvres inedites, "Revue de Paris, 1899.

ჟურნ. "ცისკარი" №4, 1861

ი. ჭავჭავაძე, 1953 - ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1953, ტ.III

ზ. ჭუმბურიძე, 1965 - ზ. ჭუმბურიძე,ტექსტისათვის, თბ., 1965.

ვ. ჰიუგო, 1863 - ვ. ჰიუგო, წერილი ჟენეველებისადმი, ჟურნ. "საქართველოს მოამბე", №8, 1863

Журн. «Отечественные записки», С.-ПБ, 1863.

IA KHACHAPURIDZE

ILIA CHAVCHAVADZE AS A TRANSLATOR OF FRENCH LITERATURE

Ilia Chavchavdze manifested deep academic interests in the world literature. He studied the world treasure and tried to bring them to the Georgian reader in the form that he deemed most useful to the Georgian audience.

He paid more attention to the countries' literature whose political, social, or economic picture could somehow offer benefits to the situation of his country. That is why along with some other European countries he chose France and the French literature.

Ilia Chavchavadze brought the art of translation to new higher levels. He thought that the translated literature should serve to the development of the country's literature. With its form and idea content it should fit and serve the solution of tasks posed to the national literature and promote the development process.

The paper discusses Ilia Chavchvadze's translated works of such authors as André Chénier, A. Bouvier, Alphonse Daudet in the above said angles.

ლუიზა სააკაშვილი,
სოფიო ტყეშელაშვილი

ერთი საეკლესიო ტერმინისათვის (*ფეშხუმი*)

ღვთისმსახურებაში გამოყენებულ ძვირფასი ლითონისაგან დამზადებულ დაბალფეხიან (წმიდა ნაწილების დასაბრძანებელ) თეფშს ბერძნულად δισχος– (სიმრგვალე) "დისკოსი" ეწოდება.

წმიდა მამათა განმარტებით, იგი სიმბოლური დატვირთვის მქონე სიტყვაა (კირილე იერუსალიმელის მიხედვით, "დისკოსი" სიმრგვალით სამყაროს ანალოგია) და ამიტომაც დაერქვა წმიდა "ტარიგის"/"წმიდა ძღვენის" დასასვენებელ სინს (წესი და განმარტება საღვთო ლიტურგიისა, 1993).

ქართულად თარგმნილ ტიპიკონებსა და ლიტურგიკულ წიგნებში წმიდა ჭურჭლის აღსანიშნავად უკვე IX საუკუნიდან (სინური მრავალთავი) გვხვდება ტერმინი "**ფეშხუმი**".

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში "**ფეშხუმი**" ზოგადად ჭურჭელსაც აღნიშნავდა: "ჭურჭელი ტაბლაზედ სახმარი სანოვაგეთათვის" (საბა). მისი პარალელური ტერმინებია: **თეფში, სინი, ლანგარი, ლანკანი, ლანკა, კრატირი**... "მოიღო თავი მისი **ფეშხუენითა** და მისცა ქალსა მას" (სინური მრ. 6, 28), "მოართვა თავი მისი **ლანკლასა** ზედა და მისცა ქალსა მას" (პარხლის მრ. 6, 28), "ქმნა სანოვაგე იგი ჭურჭელი ტაბლისა მის **ფეშხუენები** და გოვზაკები (დოქი, სურა)" (გამოსლვ. 37,16), "მომეც მე აქა ლანკლითა თავი იოვანე ნათლისმცემლისაი" (მათე 14, 8), "სამნი **ლანკლანი** სამინდოითა მქონდეს თავსა ზედა ჩემსა" (ოშკის, დაბად. 40, 16), "მოიყვანე აჰრონ... და **ლანკლაი** იგი უცომოთაი" (ოშკის, ლევიტელთა 8,2), "შთადვა **კალათსა**" (გელათის, მსაჯ. 6, 19), "შეწიროს **ლაკნაი** უცომოი სამინდოისაი" (გელათის, რიცხვ. 6,15), "ჰამს იგი საჭმელსა **ფეშხუენსა** შინა" (ლიმონარი, 66, 18), "ბურთვის სახე არს ქუეყანაი, გინა თუ **ფეშხუენისა**" (ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთაი, 120, 20), "მისცეს ორნი ბარძიმნი დიდნი ვერცხლისანი და **ფეშხუმი** კოვზითურთ" (ცხოვ. იოანესი და ეფთვიმესი, 22,25).

ბერძნულში კი საყოფაცხოვრებო და საეკლესიო ტერმინი გამიჯნულია: სამაგიდო ჭურჭელს (თასი, თეფში) აქ შეესაბამება ლექსემები: "κρατιρος", "κανος".

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ზ. აჭარ., ქიზიყ.) დღესაც გვხვდება ტერმინები **ფეშხუმი/ფეშხუენი,** რაც ნიშნავს: მრგვალი ფიცრის ნაჭერს ან დაბალ ტაბლასავით მრგვალ მაგიდას, რომელზედაც ლავაშს აბრტყელებენ (ალ. ღლონტი, 1974); ზემო იმერულში კი **ფეშხუმი/ფეშხვანი** "კალათის" სინონიმად გამოიყენება (ქ. ძოწენიძე, 1974).

საურადღებოდ გვეჩვენება ერთი გარემოებაც: **ფეშხუმი,** იგივე **ლანგარი (/თეფში/სინი/ლანკანი/ლანკა/კრატირი)** საძღვენე საგანი რომ იყო, კარგად ჩანს ბიბლიაშიც; იროდი მეფემ სალომეას იოანე ნათლისმცემლის თავი ლანგრით მიართვა — "მოართვა თავი მისი **ლანკლასა** ზედა და მისცა ქალსა მას" (სინური მრ. 6, 28), "მოიღო თავი მისი **ფეშხუენითა** და მისცა ქალსა მას" (პარხლის მრ. 6, 28)...

აღსანიშნავია ისიც, რომ ებრაული ჩვეულების თანახმად საჩუქრის მისართმევი ნივთი აუცილებლად მრგვალი უნდა ყოფილიყო; ამის შესახებ ებრაელი მოგზაური იეჰუდა ჰალევი თავის ნაშრომში წერს: "წესადა აქვთ ქუთაისის ებრაელებს ყოველწლიურად ერთმანეთისთვის საჩუქარ-საბოძვრების გაგზავნა... საჩუქარს აგზავნიან სპილენძის ან ხის ლანგრით, სულერთია რისიც არ უნდა იყოს იგი, მხოლოდ აუცილებლად დიდი და მრგვალი უნდა იყოს" (იეჰუდა ჰალევი ჩორნი, 1996, გვ. 101).

საინტერესოა საანალიზო ლექსემის სადაურობა. ძველი ებრაული ენის ლექსიკონებში მსგავსი ტერმინი არ დასტურდება (Русско-Еврейский (идиш) словарь, 1989, Еврейская Енсиклоредия, Т. 9,8, 1989).

მ. ანდრონიკაშვილი **ფეშხუმს** სპარსული წარმომავლობისად მიიჩნევს. გამოკვლევაში "სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან" (1966) ავტორი აღნიშნული ტერმინის ეტიმოლოგიისათვის უთითებს გვერდებს: 34, 73, 113, 295. მოცემულ გვერდებზე (გარდა 34-ისა, სადაც მხოლოდ ჩამონათვალია სპარსულად მიჩნეული საეკლესიო ტერმინებისა) საანალიზო სალექსიკონო ერთეული არ ფიქსირდება. მხოლოდ გვხვდება ტერმინი "ფარცხალი" და მისი ფონეტიკური ვარიანტები ოსურსა და სპარსულში. გამომდინარე აქედან, უნდა ვივარაუდოთ, რომ მკვლევარი ფეშხუმს "ფარცხალს" უკავშირებს და მათ სპარსულად მიიჩნევს (ოსური ფერშ "ნეკნი" =ქართ. ფერცხ).

ჩვენი აზრით, მოცემული ტერმინი **(ფეშხუმი/ფეშხვანი/ფეშხუენი)** უნდა უკავშირდებოდეს ფალაურში დადასტურებულ სიტყვას "**ფიშხან**" [შედგება ორი ელემენტისაგან: ზმნიზედისაგან **ფიშ** "წინ" და სახელისაგან **ხან** "სუფრა" (შდრ.: ფეშჭაში//ფიშჭაში — ფიშ - წინ და ქეშ/ქეშიდან - წევა, თრევა)] და ნიშნავს: "1. Стол с угощением; 2. Большой деревянный поднос; 3. подставка (для чтения Курана, книг)" (ფარევაში, 2000).

"სპარსულ ენაში დასტურდება ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ā და ă, რომლებიც მაქსიმალური ღიაობით ხასიათდებიან და უპირისპირდებიან ერთმანეთს წარმოების ადგილის მიხედვით (უკანა რიგისმიერი, წინა რიგისმიერი) და უფრო ā-სათვის დამახასიათებელი ლაბიალური არტიკულაციით. ā ფონემა ქართულში გადმოიცემა **ა** ხმოვნით, მაგრამ რიგ შემთხვევაში გადმოიცემა **ო** ხმოვნითაც; შდრ.: სპარსული nax "ხალიჩა, საფენი" = ქართ. ნოხი; kax "საჩრდილობელი, საზაფხულო სახლი" = ქართ. ქოხი (მ. ანდრონიკაშვილი, 1966).

ქართულში უკანა რიგის ბგერებია **ო** და **უ**, ამიტომ შესაძლებელია, სპარსულ უკანა რიგისმიერ ā ბგერას ქართულში მოეცა **ო** ან **უ**. აღსანიშნავია, რომ თავისუფალ მეტყველებაში თანამედროვე სპარსელი ხშირ შემთხვევაში ხმარობს ā-ს ნაცვლად **უ**-ს; მაგ.: ქეთāბხუნე (<ქეთāბხāნე); მიხუნამ (მიხāნამ)...

ძველ აღთქმაშიც გაწყობილ, მისართმევ სუფრას სიმბოლური დანიშულება ჰქონდა. შდრ.: "დადგა ტაბლა სადღესასწაულო კარავში, "დააწყო მასზე პური უფლის წინაშე" (გამოსვლათა, 40, 21-23). ამ ტაბლის წინ იდო სასანთლე, რომელზეც ენთო სანთლები, კრეტსაბმელის შიგნით კი იდგა სამსხვერპლო, მასზე აკმევდა მოსე საკმეველს (გამოსვლათა, 40, 24-27). სუფრის//ტაბლის აღნიშნული გაგება გადმოვიდა ახალ აღთქმაში და დღესაც საეკლესიო მსახურებაში მას, ტრაპეზს (იგივე სუფრა, ტაბლა), წმიდათაწმიდა დანიშნულება აქვს; ხოლო ფეშხუმი, როგორც სატრაპეზე სიწმიდე, ძველ აღთქმაში და მის მსგავსად

ახალ აღთქმაშიც წმიდა ძღვენის დასასვენებელი ჭურჭელია (შდრ. "გააკეთა ტაბლის ჭურჭელი: ფეშხუენები, კოვზები" — გამოსვლათა, 38,16).

საანალიზო ლექსიკური ერთეული (ფეშხუმი) შეიძლება შევუპირისპიროთ **ფეშო/ფეშხო/ფეშხვ-** ფუძეს, რაც "აკაფულ, დაჭრილ საკლავს" ნიშნავს: "ძმაო, ერთი ცხვრის ფეშხო მომეც და ხვალ ფასს მოგცემო (უთხრა კაცმა ყასაბს)" (ს. ს. ორბელიანი, 1966, გვ. 29); "ზაქარიამ გოჭი აკაფა და ფეშხვი სახლში ლურსმნებზე დაჰკიდა" (თ. რაზიკაშვილი, 1972, გვ. 121); "ყორანო, ერთხელაც იქნება, თოფს გავაყარო ფალია, ორ ფეშხვად გაგათავთაო, ქარს გავატანო ცალია!" (ი. ევდოშვილი, 1974, გვ. 89); "ხორცს დაჭრიდნენ ფეშხო-ფეშხოდ" (მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, 1989, გვ. 145). დასტურდება ზმნური ფუძეებიც: **ფეშხვა/დაფეშხოება (ფეშხავს/ახფეშხავს/გახფეშხავს)** "საკლავის აკაფვა-დაჭრას, წვრილად ჭრას" ნიშნავს: **ფეშხავს** — ძალიან ჭრის, **ახფეშხავს** — აქნის, წვრილ-წვრილად დაჭრის, **გახფეშხავს** — დაჭრის (გაფეშხვა, გაფეშხული) (ალ. ჭინჭარაული, 2005).

ამგვარი მასალა საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ ფეშხ- ძირის ქართველური წარმოშობა: **ფეშხუ>ფეშხუ-ენი>ფეშხონი>ფეშხუნი>ფეშხუმი. ფეშხვ-ენი** - "საკლავნი" ან "საკლავიანი, შესაწირიანი ტაბლა".

ფეშხო-, ფეშხუმ- ფუძეების წარმომავლობა და ურთიერთმიმართება შემდგომ დაკვირვებას საჭიროებს.

დამოწმებული ლიტერატურა

ი. აბულაძე, 1950 - ი. აბულაძე, საქმე მოციქულთა, ძვ. ხელნაწერების მიხედვით, თბ., 1950.

ი. აბულაძე, 1955 - ი. აბულაძე, მამათა სწავლანი, X-XIII სს. ხელნაწერთა მიხედვით, თბ., 1955.

ი. აბულაძე, 1973 - ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

მ. ანდრონიკაშვილი, 1960 - მ. ანდრონიკაშვილი, სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.

ახალი აღთქუმაი, გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელების თარგმანთა გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2003.

მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, 1989 - მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფის ისტორიისათვის, თბ., 1989.

ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთაი, მ. კახაძის რედაქციით, თბ., 1947.

გიორგი მთაწმიდელი, 1987 - გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი, ქართული მწერლობა, ტ. I, თბ., 1987.

Греческо-русский церковный словарь, С.-ПБ, 1899.

Еврейская Энциклопедия, т.IX,X, под редакций А. Гаркави и Л. Каценельсона, С.Пб.,1989.

ი. ევდოშვილი, 1974 - ი. ევდოშვილი, რჩეული, თბ., 1974.

იეჰუდა ჰალევი ჩორნი, 1996 - იეჰუდა ჰალევი ჩორნი, მოგზაურობა საქართველოში... და არარატის ქვეყნებში: ჟურნ. "განთიადი", ქუთაისი, 1996, №5-6.

თ. რაზიკაშვილი, 1972 - თ. რაზიკაშვილი, მოთხრობები, ტ.II, თბ., 1972.
Русско-Еврейский (идиш) словарь, М.,1989.
სინური მრავალთავი, 864 წ., აკ. შანიძის რედაქციით, თბ., 1959.
სულხან-საბა, 1966 - სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1966.
სულხან-საბა, 1991 - სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I - 1991, ტ. II - 1993.
ფარევაში, 2000 - ფარევაში, სპარსულ-ფალაური ლექსიკონი, თეირანი, 2000.
ც. ქურციკიძე, 1959 - ც. ქურციკიძე, საქმენი და სწავლანი იოანე მოციქულისა და პროხორე მოწაფისა მისისანი IX-XI სს., თბ., 1959.
ალ. ღლონტი, 1974 - ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1974.
აკ შანიძე, 1945 - აკ შანიძე, ქართული ოთხთავის 2 ძვ. რედაქცია 3 შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბ., 1945.
ქ. ძოწენიძე, 1974 - ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.
წესი და განმარტება საღვთო ლიტურგიისა, თბ., 1993.
ალ. ჭინჭარაული, 2005 - ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 2005.

LUIZA KHACHAPURIDZE, SOPIO TKESHELASHVILI

ON *PESHKHUMI,* A RELIGIOUS TERM

A small-legged dish made of a noble metal used during the divine service is called 'discos'('roundness') in Greek.

In the Georgian translated liturgical literature we find the term denoting a sacred vessel from 9th century. Old Georgian written records have the word *peshkhumi* with the meaning of vessel in general use.

In Greek household and sacral vessels differ from each other.

The lexical unit *peshkhumi* and verb forms derived from this word were widely spread in Georgian. Both in the old religious texts and later in the fiction and dialects the word can be found with variety of forms, as */pesho//peshkho//peshkhvi*, with the meaning of cut up meat.

In Georgian the verbs: peshkhva//daeshkhoeba// (*peshkhavs// akhpeshkhavs/ /gakhpeshkhavs*) mean to cut up in small pieces, i.e. preparing meat for the dish to serve to the table. And the term *peshkhumi //peshkhueni,* means flat round wooden piece, or low round table or basket (A.Glonti, 1974, K.Dzotsenidze, 1974).

M.Andronikashvili relates *peshkhumi* to *'partskhali'* from Ossetian *persh* meaning 'rib', Georgian *pertskh.*

I think that the given term *peshkhumi//peshkhvani //peshkhueni* should be originated from the middle Persian "*pishkhan*', a composed word of two elements: *pish (adv)*- 'in front of' and *khan*(noun) meaning 1.'table with food,' 2. 'big wooden tray', 3. a stand for fixing Koran to read.

რამაზ ხაჭაპურიძე,
რუსუდან კაშია

საოჯახო-საგვარეულო სამედიცინო ტრადიციები
(ქვემო იმერეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

ქვემო იმერეთში ეთნოგრაფიული მასალის მოძიება-გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ხალხური მედიცინის საამაყო მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები კვლავაც გრძელდება და მეხსიერებამ დღემდე შემოინახა წინაპართა ცოდნა-გამოცდილება.

შინაური წამლის დამზადების რეცეპტები, საოჯახო სამედიცინო პრაქტიკა ხშირ შემთხვევაში მემკვიდრეობით გადაეცემა. ამრიგად, საოჯახო-საგვარეულო მედიცინა ისევ ინარჩუნებს სამედიცინო-კულტურულ ტრადიციებს.

ნაშრომი ეყრდნობა იმ მასალას, რომელიც ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მომძიებელთა ჯგუფის მიერ იქნა ჩაწერილი. ცხადია, ერთი სამეცნიერო სტატია სრულად ვერ ასახავს მთელი ქვემო იმერეთის სამედიცინო ცოდნას; ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა რამდენიმე საინტერესო საგვარეულო, რომელთა სამკურნალო გამოცდილება თაობებს გადაეცემა, რომლებიც წინაპრებისაგან ნასწავლ ეფექტურ მცენარეულ საშუალებებს გამოიყენებენ. მათთან საუბარმა დაგვარწმუნა, რომ მნიშვნელობას ინარჩუნებს მაგიურ-რელიგიური წესებით, შელოცვებით მკურნალობა.

საქართველოში საგვარეულო სამედიცინო ცოდნა ტრადიციულად დაცული იყო. გვარი უფრთხილდებოდა რეცეპტს და ცდილობდა წამლის დამზადების წესები გათხოვილი ქალიშვილის გზით სხვა გვარში არ გასულიყო, მაგრამ დღესდღეობით ეს "აკრძალვები" ხშირად აღარ მოქმედებს.

ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ იმ ოჯახებისგან, რომლებიც საგვარეულო ცოდნაში ანაზღაურებას იღებენ, წამლის დამზადების რეცეპტის მიღება თითქმის შეუძლებელია. მაგალითისათვის მოვიყვანთ სამტრედიის რაიონის სოფელ ღანირში მცხოვრებ **გოფოიძეებს,** რომლებიც ამზადებენ ***რადიკულიტის***, ***სოკოვანი*** დაავადებებისა და ***თმის*** ბუდობრივი ცვენის (ხალხში ეს დაავადება "**ხოსრის**" სახელითაა ცნობილი) სამკურნალო ეფექტურ საშუალებებს. ჩვენ შევძელით დაგვედგინა მხოლოდ, რომ წამლების ერთ-ერთი კომპონენტია ძმარი. ძმარი, როგორც სამკურნალო საშუალება, უძველესი დროიდან გამოიყენება, რაზეც ძველი ქართული სამედიცინო წიგნები მიგვითითებს.

მკვლევარი ნ. მინდაძე აღნიშნავს: ,,არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ქართული ოფიციალური მედიცინის გავლენით დამკვიდრდა ხალხურ მედიცინაში ზოგიერთი სამკურნალო საშუალება" (ნ. მინდაძე, 2005, გვ. 53).

ამ მოსაზრების სისწორეს ადასტურებს ხონში მცხოვრები **სულუხიების** ოჯახის საქმიანობა, განთქმული თავიანთი შინაური წამლებით. სამედიცინო ცოდნა შთამომავლობას ბებიამ გადასცა (გვარად ჭილაია, სოფ. ნახახულევი), რომელსაც ,,ნამზითვი კარაბადინის" დახმარებით აუთვისებია სხვადასხვა სამკურნალო წამლის რეცეპტი.

სულუხიები ძირითადად მცენარეული კომპონენტებისაგან ამზადებენ შედეგიან შინაურ წამლებს. ესენია: საყმაწვილოს, დამწვრობის, სტომატიტის, ჭრილობების შესახორცებელ, კუჭ-ნაწლავის უებრო სამკურნალო საშუალებებს.

წამლების დამზადების წესებს, ისევე როგორც სპეციალური შელოცვის ტექსტს, რომელსაც სიმჭლის მკურნალობისას გამოიყენებენ, ოჯახი უფრთხილდება და არ გასცემს.

ქვემო იმერეთში გავეცანით რამდენიმე საგვარეულოს, რომლებიც უანგაროდ უზიარებენ ავადმყოფებს წინაპრებისაგან მიღებულ "ექიმბაშურ" ცოდნას.

სოფელ კონტუათში მცხოვრები **ხვინგიების** ოჯახი (მათი დიდი ბაბუა მარტვილის რაიონის სოფ. ***ლეცუცხვაიედან*** ჩამოსახლებულა) ამზადებს **დამწვრობის** წამალს. შინაური წამლის ეფექტიანობაზე მეტყველებს, რომ ახლომახლო სოფლებიდან ხშირად მიმართავენ დახმარებისათვის. მალამო მზადდება მოდერნიზებული წესით: უმარილო ქონს, თაფლის სანთელსა და მზესუმზირის ზეთს ემატება ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები: ანალგინი და სტრეპტოციდი. იგივე მალამო გამოიყენება ***ჩირქოვანი*** გამონაყარის სამკურნალოდ.

ოჯახში იციან **ბუასილის** წამალი. ნაზავი მზადდება დათვის ქონის, არყისა და წალიკასაგან (წყლის წიწაკა). ,,ექიმბაში" შურა ხვინგია ამზადებს ასევე მორიელის ნაკბენის წამალს, რომელიც შემდეგნაირად კეთდება: ცოცხალ მორიელს იჭერენ და ზეთიან ჭილაში დებენ, რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ზეთი გამოიყენება **მორიელის** ნაკბენისაგან განსაკურნებლად. ამავე დროს ჭრილობაზე აფენს მსხლის ფოთოლს (ჯიშს მნიშვნელობა არა აქვს). პროცედურას ყოველთვის სპეციალური შელოცვების თანხლებით ატარებენ:

,,მორიელი მორიშვილი,
ცხრა დედა და ცხრა შვილი,
ცხრათა მორიალიშვილი
ფსხალს ვჭამ, ფსხალი მიგია,
ფსხალი მახურავს."

ხვინგიების ოჯახში ჩავიწერეთ ***ქვეწარმავლისაგან*** თავდაცვის შელოცვა:

"მიშა, მიშა, მიშანდური,
გველი მოდის მოქარგული,
ვაი, დედა წელი, წელი,
მომიტანე თხილის წკნელი,
მიშას საჭყატუნებელი,
მიშას საწკატუნებელი".

მთხრობელებმა დაგვარწმუნეს, რომ თუ მოასწარი შელოცვის ტექსტის წარმოთქმა, უხსენებელი არ გიკბენს.

სოფ. მათხოჯის მკვიდრია **ბარაბაძეთა** დიდი გვარი, რომელიც რამდენიმე შტოდ იყოფა. წინაპართა სამკურნალო საქმიანობით დაინტერესებულა ამ გვარის ერთი განაყოფი, რომელიც **ვატორიების** გვარზედმეტითაა ცნობილი. ამ ცოდნის საფუძველზე ისინი მკურნალობენ ***საწერელს*** და ***ძირმაგარას*** კურდღლის ქონით. მკურნალობის წესი შელოცვით მიმდინარეობს:

— საწერელო, სად მიდიხარ?
— ადამიანთან!
— რისთვის?
— ხორცის საჭმელად, სისხლის სასმელად, ძვლის სატვერლად!
— რა არის მისი წამალი?

— ელიანი, მელიანი, საწერი კალამი, ტორფის ცვილი, ქვაბის ჟანგირი, ვაი, რა ვქნა და რა მოვიტანო.

ჩემი თავის გადასატანი!“

ბარაბაძეების ოჯახში, დიდი ბებიისაგან, რომელიც გვარად სარავა ყოფილა აბაშიდან, იციან ***ჩირქოვანი გამონადენისა*** და ***“მაზოლის“ წამალი.***

ნანემსარის დაჩირქების რეცეპტი: შემწვარ ხახვს აყრიან შაქრის ფხვნილს, ემატება სამი კვერცხის გული, ცოტა პურის ფქვილი, ასევე მცირე რაოდენობით გახეხილი საპონი.

ოჯახის დიასახლისმა — თალიკო ფიოლა-ბარაბაძემ იცის **დაჩრდილვის** წამალი, რომელიც წყალგარეული ძმრისა და ტყემლის ტყლაპისაგან მზადდება. თავის ტკივილის დასაამებლად იგი ხშირად ულოცავს ნათვალევსა და შაკიკს, შელოცვებისთვის განსაზღვრულ დღეებში: სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს.

გვარში დაცული სამედიცინო ცოდნა გაგვიზიარა **ადელი (კუკლა) კაკაბაძემ.**

კაკაბაძეები სოფ. კუხის მკვიდრი გვარია, ადელი კაკაბაძის ოჯახი ერთერთ შტოს (გვარზედმეტი - **კიოწეები**) ეკუთვნის. მან გაგვიზიარა წინაპრებისაგან ნასწავლი სამედიცინო ცოდნა და მოგვაწოდა შინაური წამლების რამდენიმე საინტერესო რეცეპტი:

დამწვრობის წამლის შემადგენელი კომპონენტებია: გადამდნარი ბატის ქონი, თაფლის სანთელი, ზეითუნის ან ქაცვის ზეთი, პენიცილინი.

რესპონდენტის მონათხრობით, მისი ბებია (ლიპარტელიანი - ლენტეხიდან) წამლის შელოცვას შავტარიანი დანისა და ნახშირის გამოყენებით ატარებდა. თვითონ რიტუალს აღარ მიმართავს, იცის მხოლოდ დამწვრობის შელოცვის ტექსტი:

“ოშოშინობდა, დაფოფინობდა წითელი ხარი,
წითელი ხუცესის ზღვას ხნავდა,
ქვიშას თესავდა, ვის გოუგონია სამ დღეს იქით...“

სირსველის: დაფქვილი ვენახის შაბი, უმარული ღორის ქონი, ბუხრის ჭვარტლი.

სურავანდის: წამალს ამზადებენ შემდეგნაირად: ძმარში გარეულ წყალს ემატება მუხისა და სხმარტლის ქერქი, სურო და თეთრი შაბი.

თირკმლების სამკურნალოა მატიტელასა და მაყვლის ძირის ნახარში.

წამლების დამზადების დროს “მკურნალი“ხშირად იყენებს ნათვალების შელოცვას. ტექსტს სამ დღეს იმეორებს, სამივეჯერ გასკვნის აბრეშუმის ძაფს, მესამე დღეს კი ნასკვს ავადმყოფს დააწვევინებს.

ნათვალევის შელოცვა:

“ანსალა, მანსალა, შავი ჭირი და სანსალა შენს გამთვალავს, თვალში ნაცარი, გულში ლახვარი, სამოცდასამი წმიდა გიორგის ლახვარი, მას მიეცეს დიდი შვება და გამარჯვება. იქცეოდა მწარე ბალი, მისციოდა მწარე თვალი, ღმერთო, შენ ხარ მოწყალე, ეშმაკს თვალი მოთხარე, წითელი გოჭის ფეხია, კისერი მოუტეხია, შევკარი წითელი, მოტყდა კისერი, ია და ვარდი — კლდეში გადავარდი. ფუი, შენი ავი თვალით შემხედავს. ჩავკარი სალსა წყალსა ხელი, ამოვიღე შავი გველი, დავდე შავსა სიპსა ქვასა, წავაყარე შავი მარილი, მარილი დნებოდა, სიპით წნებოდა, მთავარანგელოზო!“

მკურნალობის დროს შელოცვების გამოყენებას, ცხადია, ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს და რწმენის ფაქტორს ემყარება.

სვანეთში გავრცელებული მაგიურ-რელიგიური მკურნალობის ვარიაციები გადმოტანილი აქვთ მიგრირებულ სვანებს, რომლებიც ხონის რაიონში დასახლდნენ. მაგალითად, ავი თვალისაგან დაცვის მიზნით, რომელსაც ძველად დიდ ანგარიშს უწევდნენ, სვანები ხმარობდნენ ბალყარეთიდან გადმოტანილ ტყავის ბუდეში შელოცვილ ქაღალდს — „დუას“ (ევგ. გაბლიანი, 1925, გვ. 128). ამას ან ყელზე ჩამოკიდებდნენ, ანდა ტანსაცმლის მარჯვენა მხარეს, უფრო იღლიასთან, დაიკერებდნენ. ამავე მიზნით იყენებდნენ თავდაცვის ძველ მამაპაპურ ხერხს, რომელიც ველური ბლის ხის ნაწილების ტანსაცმელზე დაკერებაში იყო გამოხატული. განსაკუთრებული ძალა ჰქონდა აღდგომის წინ, დიდ ხუთშაბათს — „თანფა ცაშ“ დილით უმძრახად ტყიდან მოტანილი ბლის ხის ნაწილებს, რომლისაგან გაკეთებულ ჯვრებს ადამიანის სამოსზე დაკერებასთან ერთად, დაჭკიდებდნენ აივანზე, კედელზე, ბოსტანში, ჩააგდებდნენ სკივრში და საქონელსაც შეაბამდნენ. ანდა მძივის მაგივრად კაკლებსავით დაამრგვალებდნენ და კაბის ნაკერში მარჯვენა მხარეს დაიმაგრებდნენ. დიდი გაფრთხილება იცოდნენ შესამჩნევი გარეგნობის ქალისა და კაცის იმ აზრით, რომ ჰეერიას, მუხანათსა და კუდიანს ისინი არ შეემჩნია და მისი მახასიათებელი ბოროტებით ზიანი არ მიეყენებინა (იქვე).

რაც შეეხება ველური ბლის ხის ნაწილებისადმი ავი თვალისაგან დახსნის შესაძლებლობის რწმენას, იგი უნდა უკავშირდებოდეს ქართველთა და მათ შორის სვანთა უძველეს კულტს წმინდა ხეების თაყვანისცემისას, რომლის შემადგენლობაში ველური ბლის ხეც იყო მითვლილი. ამის გამო ქვემო სვანეთში და ზედა ლაშხეთში ველური ხის დიდი ტყეები ყოფილა გაშენებული. ველური ბლის ხეს ჩვეულებრივ სახმარად არ მოსჭრიდნენ, მისგან მარტო ხატისათვის საჭირო ფიცრებს აკეთებდნენ და სამგზავრო ჯოხებადაც (მუჯირა) მას ხმარობდნენ (იქვე, გვ. 188-189).

აღნიშნული მეთოდებით მკურნალობა და თავის დაცვა დამახასიათებელი გახდა არა მარტო ჩამოსახლებული საგვარეულო სვანებისათვის, არამედ მათ თავიანთი რწმენა-წარმოდგენები გადასცეს ხონის რაიონის მაცხოვრებლებს, რომლებმაც აგერ უკვე რამდენიმე ათეული წელია გაითავისეს აღნიშნული მაგიურ-რელიგიური მკურნალობის საშუალებები.

შაკიკის სამკურნალოდ კუკლა კაკაბაძემ შემდეგი რიტუალი გაგვაცნო: ავადმყოფი დილით ადრე უნდა ადგეს უბრად, სამჯერ შემოუაროს ნიგვზის ხეს. შემოვლისას ხეს თავი უნდა მიადოს და გაიმეოროს: **“ნიგოზო, როგორც შენი ლებნებია ძმებივით ტოლები, ასე ძმებივით გაიზიარე ჩემი სატკივარი და დილის მზის სხივებს გაატანე!“** (რ. კაშია, 2004, გვ. 122).

ქვემო იმერეთში ეთნოგრაფიული მასალის მოძიებისას შევხვდით ერთ საინტერესო “მკურნალს“ — მარინე ცაბაძეს, ზესტაფონიდან გათხოვდა წყალტუბოს რაიონის სოფ. მაღლაკში. მან შალამბერიძეების ოჯახში მოიტანა რამდენიმე საგვარეულო რეცეპტი და თავის რძლებს ასწავლა სამკურნალწამლო საშუალებები:

კუჭის წყლულის: სუფთა თაფლს ემატება 100 გრ. სპირტი და წვრილად დაჭუცმაცებული დინდგელი.

კბილის ტკივილის: გამხმარი ყურძნის მარცვლებს დანაყავენ და იდებენ გამოხრულ კბილში.

ყურის ტკივილის: გახეხილი შავი ბოლოკის ორი წვეთი უნდა ჩაიწვეთო.

თავის ტკივილის, დაჩრდილვის: წყალში გახსნილი გამხმარი ქინძის მარცვლები უნდა ჩაიწვეთო ცხვირში, ან ყოჩივარდას ძირების ნახარში.

კუჭ-აშლილობის: კამის თესლის ნახარში.

ხველების: იის, კამისა და უნაბის ფოთლების ნაყენი.

მაღალი სიცხის: გაქნილი კვერცხის გული უნდა წაუსვა ხელისა და ფეხის გულებზე.

რესპონდენტმა გაგვაცნო ასევე ხალხური ვეტერინარიის არაერთი საინტერესო სამკურნალო საშუალება (იხ.: რ. კაშია, 2007, გვ. 396-400).

მარინე ცაბაძე-შალამბერიძე მკურნალობის დროს ხშირად ულოცავს ავი თვალისა და უჟმურისაგან თავდასაცავად. გადმოცემით იცის, რომ შელოცვა უფრო უჭრის მამაკაცს ან უფროს ქალიშვილს. ამავე დროს მან გვასწავლა მაგიური წესი: **მწარე ბლისაგან გაკეთებული ჯვარი და მასთან ერთად რკინის პატარა ნაჭერი უნდა ატარო ჩუმად, ტანსაცმლის შიგნით და ყოველგვარი ავი თვალისაგან იქნები დაცული.**

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით მოსახლეობა ძირითადად კვალიფიციურ სამსახურს მიმართავს, ხალხურ საოჯახო-სამედიცინო კულტურას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული კუთხით კვლევა წინაპართაგან ნასწავლ მრავალ ეფექტურ სამკურნალო საშუალებას გამოავლენს.

დამოწმებული ლიტერატურა

რ. კაშია, 2004 - რ. კაშია, თავის ტკივილების მკურნალობის ქართველური საშუალებები მედიცინაში, ქართველური მემკვიდრეობა., ტ. VIII, ქუთაისი, 2004.

რ. კაშია, 2007 - რ. კაშია, ხალხური ვეტერინარია და საგვარეულო ტრადიციები: ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XI, ქუთაისი, 2007.

ნ. მინდაძე, 1981 - ნ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, თბ., 1981.

ნ. მინდაძე, ნ. ჩირგაძე, 2005 - ნ. მინდაძე, ნ. ჩირგაძე, ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები (კახეთი), თბ., 2005.

რ. ხაჭაპურიძე, 2006 - რ. ხაჭაპურიძე, მაგიურ-რელიგიური მკურნალობის ისტორიიდან, ქუთაისი, 2006.

RAMAZ KHACHAPURIDZE, RUSUDAN KASHIA

FAMILY MEDICAL TRADITIONS (ACCORDING TO THE DATA OF KVEMO (LOWER) IMERETI)

Folk medicine is one of the subjects of the ethnography; its study is of particular importance for the acquaintance of the people's traditions and the common ways of life and culture.

Preparing and administering of the healing medicines and means of the most effective reputations were passed through ancestry that promoted the establishment of the rich traditional family medical culture.

Medical knowledge was kept in secret and the families of the same family names were responsible to guard prescription and methods (sometimes referred to as 'magic') of its preparation. Nowadays the families normally do not keep the healing means in secret.

The field practice of Kvemo Imereti aiming at collecting the ethnographic materials revealed that there are still people who are interested in folk medicine and preserve the knowledge and experience of their ancestors. Among them is even the healing of patients with magic-ritualistic traditions, praying etc. that retains some importance in several cases.

We think that the further continuation of the ethnographic study of the Georgian family medicine will reveal many unknown means of traditional healing.

მზია ხახუტაიშვილი

ქობულეთელი მუჰაჯირები თურქეთში

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრების შემდეგ გამუსლიმანებული ქართული მოსახლეობა აიძულეს აყრილიყო და მეზობელი თურქეთის ტერიტორიებზე სამუდამოდ დაედო ბინა. მუჰაჯირობის შედეგად დაცარიელდა ქობულეთის მხარეც. 1879 წლის გასახლების შემდეგ ქობულეთში ორი ათასი მცხოვრებიდან ხუთასამდე დარჩა, ხოლო მახლობელი სოფლები სრულიად გავერანდა და გაპარტახდა (ზ. ჭიჭინაძე, 1913, გვ. 14). ქობულეთელი მუჰაჯირები ზღვის სანაპიროებზე, დაბლობ ადგილებში დასახლებულან. მათი უმრავლესობა დღეს ცხოვრობს გირესუნში, ფაცაში, ორდუში, ფერშემბეში, უნიეში, სამსუნსა და სინოპში.

უცხო გარემოში მუჰაჯირებს უფრო გამძაფრებიათ მამულისა და მშობლიური ენის სიყვარული და განსაკუთრებით გაფრთხილებიან მშობლიურ ენასა და ფოლკლორს. შთამომავლებიც სათუთად ინახავენ წინაპრების ენას, მამაპაპისეულ ადათ-წესებსა და ტრადიციებს. ამ ხსოვნამ გადაარჩინა მუჰაჯირები უცხო ტომში აღრევას და შეანარჩუნებინა საკუთარი იდენტიფიკაციის ძირითადი ნიშანი - ქართული ენა. მოსახლეობის დიდი ნაწილი დღესაც კარგად ფლობს მშობლიურ ენას. ისინი დიდი რუდუნებით უფრთხილდებოდნენ მშობლიურ ქართულს და უვნებლად შემოინახეს დღემდე: "ჩემი დიდნენაჲ და ჩვენ ქართულა დევლაპარიკებდით, ქართული არ დაავიწყდონო, სულ იმას ეჭცეოდა"- გვიყვება საბაჰათინ გოქსუ (გოგიტიძე). თუმცა იქვე დასძენს, რომ ახალგაზრდობამ თითქმის აღარ იცის ქართული, "ახლა თურქზეც გათხოვდენ, ჩვენ ასიმილიეჲ გავხთით..."

ქობულეთელ მუჰაჯირებს შემონახული აქვთ ქართული ტრადიციები, მამა-პაპათა ადათ-წესები. ხანდაზმული ადამიანები არიან ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების მეტად მდიდარი, ქართული კულტურის ისტორიისათვის მეტად ფასეული სალაროს მფლობელნი. სწორედ აჭარიდან, კერძოდ ქობულეთის რაიონიდან, გადასახლებულ მუჰაჯირ ქართველებთან შეხვედრის ბედნიერება და ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური მასალების მოპოვების საშუალება მოგვეცა ჩვენ და ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის პროფესორ შუშანა ფუტკარაძეს. ჩვენ ექვსი დღე დავყავით ქალაქ ფაცაში, სადაც ძირითადად ქობულეთის სოფლებიდან გადასახლებული ქართველები ცხოვრობენ.

...ასე მეგონა, ქობულეთის ერთ სოფელში ვიყავი. სტამბოლში მცხოვრებმა, წარმოშობით ფაცელმა, ჩემმა ახლო ნათესავმა, იაშარ შენდურმა (ხახუტაიშვილმა) დიდად შეგვიწყო ხელი გვემუშავა აღნიშნული რაიონის სოფლებში: კაბაქტაღში, თახთაბაშში, დუაიერში, ხათიფთაში, ზავოში, ჩერქეზდაღში, ყონაღბაშში.

საუკუნე-ნახევარი მიილია... მუჰაჯირთა შთამომავლებს კარგად ახსოვთ წინაპართა მონათხრობი, მათი განცდები, რომლებიც მემლექეთთან განშორებას უკავშირდება. თავდაპირველად დიდ სიდუხჭირესა და უმძიმეს პირობებში უცხოვრიათ ჩვენებურებს. როგორც ერთ-ერთი მუჰაჯირი ქართველის შთამომავალი გვიყვება: "ორი ძმაჲ ერთათ არ გამუუყვანიან გარეთ. ზოგი ორდში, ზოგი ფაცას ჩამოსულან (გემიდან — მ. ხ.)". ფაცელი შევჭი კაკალაძის

მონათხრობით: "ბათომიდან წამოსულან პირველათ ბურსას, ფადიშაჰმა ასტავლა, ვერ მოსთავეფ მაგინს, ბურსას აღარ წეიყვანოვო. ათ წელიწადს გემში ყოფილან... გირესუნს, სინოპს ბევრი ქართველია. ექვსი სოფელი ვართ ფაცას... (შევქი კაკალაძე, სოფ. თახთაბაში)"

ჩალის ფასად იყიდებოდა მათი ქონება ქობულეთში. ოსმალეთში გასამგზავრებლად გემს თვეობით ელოდებოდნენ ბათუმში. ასეთ ვითარებაში თვალცრემლიანნი ემშვიდობებოდნენ თავისიანებს, მშობლიურ მიწა-წყალს: "აბდულხამიდს გამუუგზანია "გულჯემალ" გემით. ვორი სოფელი ტრაპიზონს, ვოთხი გირესუნს, ორდუში, ჩვიდმეტი- ფაცაში, უნიეში, ფერშემბეში" (ხასან ბეჟანიძე, ფაცა, სოფ. კაბახტარი).

"...გემით მოვდეს იგინი. დიდი მოვდა, პაწაწა გემებით გამეიყვანეს, პორტი არ იყო. მაშინ კოღო იყო. მაღალ ადგილებში ევდენ და დაჟდენ. ამ სოფელს თახთაბაში ეთქვა" (ბაეთინ გოგმაჩაძე, ფაცა).

ოსმალეთის მთავრობამ საქართველოდან ლტოლვილი ნახევარ მილიონამდე ქართველი მიიღო. დიდ სიდუხჭირეში უხდებოდათ ცხოვრების დაწყება. ყოფილა ავადმყოფობა და სიკვდილიანობა, ბევრი გზაში დაღუპულა: "წინაპრები რუმ ჩამოსულან, საჭმელი არ ხონიან, სასმელი არ ხონიან, იქით მომხთარან, აქით მომხთარან, ძალით უცხოვრიან" (სამი მეგრელიშვილი, სოფ. დუაიერი).

"ჩვენებურები რუმ გამოსულან, სამ თვეს ჩადრებში უცხოვრიან. შვიდ წელიწადს ქერი უჭამიან, ვერ მიეჩვიენ და ვორი-სამი ბაღანაწა მოკტა, იტირებდენ ბაღნები" (ხასან ბეჟანიძე, სოფ. კაბახტარი).

მალე ნოსტალგიამ შეიპყრო გადახვეწილები... ენატრებოდათ თავისიანები, თავიანთი მიწა-წყალი: "დიდნენეწა იტყოდა — ჩვენები უკანდა გესულიყვენო და ვერ გევდენო. ნენემისი იტყოდა, ფახირები ჩუუმარხიან და გევალთ, ვნახავთო" (უმიან შავიშვილი, სოფ. თახთაბაში).

"...ბაბუაწა, ბაბაწას დედეწა, მემედი ალამბრის სოფლიდანაა გამოსული. მისი გოგო ჩამოხვა, თორმეტი წლის იყო. ისე ჩამეიტირებდა: იქა რუმე ჩევდეო, ჩემს ნასახლებს ყველას ვნახავო, მიაგნეფო" (ასლან შავიშვილი, სოფ. დუაიერი).

მუჰაჯირ ქობულეთელებს საცხოვრებლად ისეთი ადგილები აურჩევიათ, რომლებიც ჰაერითა და წყლით ჩამოჰგავდა მამა-პაპათა სამკვიდროს. თახთაბაშელმა სამი მეგრელიშვილმა გვითხრა: "ჩვენი სოფლიდან ოცი კილომეტრით ზეწთ ცხოვრობენ "ჭახე ქობულეთლებიო." როგორც გაირკვა, ისინი ხინოელები ყოფილან. მათ საცხოვრებლად ისეთივე მაღალმთიანი ადგილები შეურჩევიათ თურქეთში, როგორშიც ცხოვრობდნენ მუჰაჯირობამდე. ფაცის სოფლებში დამკვიდრებულან ქობულეთელი მუჰაჯირები: ცეცხლაძეები, გოგიტიძეები, კაკალაძეები, გოხიძეები, ხახუტაიშვილები, ხინიკაძეები, მესხიძეები, ქათამაძეები, ტაკიძეები, ჯინჭარაძეები და სხვ.

ფაცასა და მიმდებარე სოფლებში მცირე დროში ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა ჩაგვეწერა მოსახლეობაში შემორჩენილი ფოლკლორული, ისტორიული, ეთნოგრაფიული მასალები. სიტყვიერების უნიკალური ნიმუშები:

ნენემ კაბა შიმიკერა, ზეთ კოპჭები დიმიკერა,
გათხვება რუმ მევდომე, კიბილები ჩიმიტეხა.
გედეეხედე ბახჩაში ვარდსა ვიკრეფ კალთაში,
ერი ბიჭი მოვძიე, ქი წამოვყვანე სახში,
შექრის ფაფას უმზადებდი, გავასუქე ჰამაში,

სკივრის ყურში დავმალვიდი, ქი მომიკტა ლებ-საბანში.
აფრენილა ფუტკარი, წაი და ფემბეს უთხარი,
ლაზ ოსმანას რუმ წახევი, ემინელას რა უთხარი?!
ნენემ კაბა შიმიკერა წელზე გამოჭირებული,
თუ გამათხოვ, გამათხუე, ძალვან ვარ გაჭირვებული.
ეგერ გაღმა ეწრის ფაცხა, ნეტაღ ვიყო შენი რაცხა...

მუჰაჯირთა შთამომავლებს კარგად შემოუნახავთ მამა-პაპათა ადათები: "ჭადს შკერის ფოთოლში ბუხარში, ნაცარში გამუაცხობდით, კვერს."

ახალგათხოვილ ქალს აუცილებლად სადილს მიუტანდნენ: "ჩვენებურებში სადილობა იყო, სადილს მუუტანდენ თუთხმეტ დღეზე. ოცი ცხენით გავაგზანიდით ტათლს, შით ნიგოზს მუამწყრევდით, ბურმა, ბაქლავა. სადილჩი ყოლიფერი საჭმელი იქნებოდა: გვალი ქათამი, დაჭრილ კვერცხებს ჩააწყობდენ ზეთში, ყურჭატას გავაკეთებდით. სირცხვილი იყო სადილი არ მიგეტანა..." — გვიყვება უმიან შავიშვილი. "დოდოფალს რუმ ნეფის ოჯახში მიიყვანდენ, სიმაური(!) ძროხას გამოჰგრიდა; ჰიქას დუუდებდენ ფეხთან გააგორეო, თუ დიდათ გააგორებდა, არ მიეწონებოდენ... შექერლის და ფულს გადააყრიდა ნეფე-დოდოფალს. დოდოფალს ყირმიზათ გადაფარებული ხონდა, რამე არ უჩანდა, სუნაგ კატასავენ ააფარებდენ თვალებზე".

საუკუნის შემდეგაც ისე ამზადებენ ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავლები კერძებს, როგორადაც წინაპრები: ამოლესილი ლობიაღ, შავი ფხალი, ძაღე ძმარი, წვენიანი ფხალი, ზეთიანი ფათლიჯანი, ძის ფაფა, ძის მაკარინაღ მოჭრილი მაკარინაღ ვიცით. თეთრი ქფილით მაგრათდა მოზილო, ოქლავოდთ გეიყვანო, მოშჭრა, სიმინდის ქფილს მუაყრი არ დიეწეპოს; მოხარჩავ, გასწურავ, თხილს მუაყრი, ხანდიხან ყველს მუაპნევ..."

უნიკალური მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშებს წავაწყდით "ჩვენებურებთან" მუშაობისას. "აჭარა საერთოდ და განსაკუთრებით ქობულეთის და ბათუმის რაიონები ნადური სიმღერებითაა მდიდარი. აჭარის ნადური სიმღერები მეტად რთული და მრავალფეროვანია" (ჯ. ნოღაიდელი, 1981, გვ. 9). ქობულეთელი მუჰაჯირები ყვებიან: "...ჩემი ბაბუაღ გედყივლებდა, სამარგელში წიმიყვანეს, მევღალე... დაყივლება ძველისძველია. ნადზე წევდოდით, ნადური სიმღერები იყო სიმინდის მარგლაზე. ახმედაღ ბაუჟაძე იყო, იუნუს ცეხლაძე იყივლებდა, ტაკიძნები იყვენ, ხახუტაძე მამუდაღ პირველი მომღერალი იყო. სამ ხმაში იყო სიმღერა. ასი-ას ორმოზდაათი კაცი იქნებოდა, მარგლიან თუ კონცერტს იქდენ, ვერ მიხთებოდი:

ნადირაძეს ნადი უნდა
გადიარა სადილობა,
გორდელა, გორდელა დაა!
ჰე, ჰე დაა ჰო, ჰო, ჰოო დაა!
მივყვეთ მოვყვეთ, ჰოო ჰოი დაა
გედევხედე ფენჯერზე
ძროხა იყო ბახჩაშიო,
მივყვეთ, მოვყვეთ...
ჰო ჰოი და ენდო მენდო,
ჰო ჰოი და რაფერ გენდო!
ჰა, ჰაი და, ნინა, ნინაღ!
ჩაბრაშტო (კაბას ეტყოდენ) რანწკი-რუნწკი,
გოგვებო, რაფერ დამწვით.

ვარელის კოთხოვ დატუალდი,
იქით-აქით მოტუალდი,
შუხტი და ხენიფევ, შეგშვენდება
ლამაზი კაბა დაგშვენდება..
ჩიტი ჩიტსა მაბზაკუნსა,
შემოვჰკარი ხელკოდალი
მიამტრიე თავ-ბარკალი,
მისი გვერდის დაჩეხვაზე
ორი ცული შემომაკლდა,
ნანინაჲ დაა...
ზეცას ევდოთ, ზეცა ვნახოთ,
მარსკლავებსაც დევენახვოთ,
ზემა კაცი მომიგზანა,
მაქ თუ იყავ, რატმარ მოდი რატმარ მნახე,
აწე მუალ, აწე გნახავ, ნანინაჲ დაა...“

უცხო მიწაზე დამკვიდრებული ქობულეთელი მუჰაჯირები ჩვეულ ჯაფას შესდგომიან, კვლავ მეურნეობისთვის მიუყვიათ ხელი: “ყაჭს ვასაქმებდით, ჟოლის ჟვერს ვაჭუმდით. მუხტარი გვეყოლებოდა, ყაჭის კაკალს მეიტანდა. იმას უბეში ჩევდებდით, მატლი უნდა გამოსულიყო, გავხსნიდით, წუუხედვიდით. მატლი გამოდიოდა, ჟვერს დიერეოდა-ყაჭივით ჭამსო-ხუმ იტყვიან? დღედაღამ იზდება მაჲ. ჩელტებს ევყვანდით მაღლა-მაღლა, თითისხელვანი ხთება. მატლი უშვებს ძაფს, მისზა დეიმწყრევს. ცხელ წყალჩი ჩაყრი, ოგვადოზე დაახოვ, ერ ჯოხს ამუურევ, ამოხვება, ამუახვევ ძაფს. ძაფიდან მოქსოვდი რაცხას, შეღებვიდი. ღაზლას შეღებვიდი. ღომს ვთესვიდით, ბრინჯსაც, სიმინდსაც. მემრე თხილი მუაშენეთ.”

მუჰაჯირთა შთამომავლებს კარგად ახსოვთ ბავშვობის თამაშებიც: “კვიტოჲ არის ხეჲ. კვიტოჲს შიგნითაჲ ცარიელი აქ. გადაშჭრი იმას, დაბიძგვიდი ფორთოქალის ტყავს გეიქნევ. ვიზიაჲ იყო. გავხრეტდით, გამუაბმიდით ძაფს, გაკეთდებოდა ვიზვიზაჲ-ბაღნების სათამაშო; იყო საჭრიალაჲ. ერი ამხელა სარი იყო, ზეიდან მიერე ხეს ჩააშენებდენ, ხელის სატაცნელი აქ. იმით დააბრუნებენ, თამაშობენ... ჩვენი თამაში იყო ბილაჲ ჯოხი. ელექიც თამაში იყო. დეიჭირვიდი, იი დეიწვებოდა რუმელცხას რუმ წამიეწეოდა; კუკუ-ჭიტის ვითამაშებდით” (საბაჰათინ გოგიტიძე, ფაცა).

ქობულეთელთა მეტყველებაზე დაკვირვებით ძალზე საინტერესო მასალა დავაგროვეთ ენობრივი სიტუაციის შეფასებისათვის (ეს მასალები მალე იხილავენ დღის სინათლეს). აღსანიშნავია, რომ შ. ნიჟარაძე ცალკე გამოყოფს ქობულეთურ კილოკავს (შ. ნიჟარაძე, 1975, გვ. 15-22). ეს კილოკავი ენათმეცნიერულად უაღრესად საყურადღებოა. ქობულეთიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა მეტყველება მნიშვნელოვანი მასალა იქნება ამ კილოკავის თავისებურებათა შესასწავლად. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ აჭაურთა მეტყველება აქამდე არავის უკვლევია.

აჭაურ ქობულეთურს ნაკლებად ეტყობა თურქულის გავლენაც: “ნენეჲ აქ გამოსულა შვიდი წლის. ბაბუაჲ დუუტევია აქა. ნენეჲ წესულა ყველას გამოვყვანო. საზღვარი ჩაკლეტილა. ბეჟიაფხე იყო ნენეჲ... ჩემი ძმაჲ ასკერში იყო. ბათომში დარჩა, ცხემვანს. ერ წელწადს დარჩა, მემრე აქ გამოვდა...”

(სულეიმან ჯინჭარაძე, სოფ. დუაიერი, 96 წლის). ქობულეთელი მუჰაჯირები თავად ხედავენ კილოკავურ სხვაობას: "ჩვენ ჩურუქსუელები ვართ. უნიას აჭარლები არიან. იგინი სხვაფრათ ლაპარიკობენ..."

ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებას შემოუნახავს ბევრი ისეთი ნიშანი, რომელიც დღეს აღარ დასტურდება. ამიტომაც მოპოვებული მასალა მნიშვნელოვანია ისტორიული დიალექტოლოგიისათვის.

ჩვენებურთა მეტყველებას ზოგიერთი ისეთი ფაქტი დაუცავს, რომელიც დღეს აღარ გვხვდება ქობულეთურში ანდა გაფერმკრთალებულია. ჩვენ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით; ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაში ცოცხალი აფიქსი ჩანს **-ფხე//ხე** (ქალის გვაროვნული კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსი დასავლურ კილოებში, მაშინ როცა დასავლურ კილოებში მისი ფუნქცია მივიწყებულია: ინაიფხე, ცეცხლაიფხე, შავიფხე, ბეჟიაფხე, გელაიფხე, უსტალიაფხე (შესაბამისად აღნიშნავს: ინაიშვილის, ცეცხლაძის, შავიშვილის, ბეჟანიძის, გელაძის, უსტალიშვილის... ქალს).

ყურადღებას იქცევს ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა: ა) "დოდოფალს რუმ ნეფის ოჯახში მიიყვანდენ, სიმაური (აქ მამამთილი — მ.ხ.) ძროხას გამოჰგრიდა... "იაშარიზა ჩემი მამა სიმავრია, დედა - დედამთილია. "იაშარის მამა ჩემი სიმავრია, დედა - დედამთილი"... **სიმავრი/სიმაური** "მამამთილის" მნიშვნელობით, **დედამთილი** "სიდედრის" მნიშვნელობით მხოლოდ ქობულეთურში იხმარება, ბ) "ხარი ჩაჭრილა და ამოვყვანო უნდაო..." **ჩაჭრილა** ნიშნავს "ჩავარდნილა", გ) ერი შვილი და ერი გოგო დაშჩენია; ვოთხი შვილი და ვორი გოგო ხავს"- აქ **შვილი** "ვაჟის, ძის" მნიშვნელობითაა ნახმარი, გ) "ერი წელიწადია დეიხარჯა ახმედაჲ ბაუჟაძე". **დეიხარჯა** ნიშნავს "გარდაიცვალა". ამ მნიშვნელობით იგი დღესაც იხმარება ქობულეთურში.

მუჰაჯირ ქობულეთელთა მეხსიერებას კარგად შემორჩენია ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, ფრაზეოლოგიზმები: "მუშა კაცი ჭადს ქვისგან გამეიყვანს"; "სხვაჲ სხვაჲს ვირს სიმღერით მოსძებნის; " "სხვისი ხელით გველი დეიჭირეო;" "დუღარე წყალი დემერო თავზეო"; "ზღვაი კობზით დეილევაო." ათწლეულებს შემოუნახავს ქობულეთელ მუჰაჯირთა მეხსიერებაში ერთი საინტერესო გამოთქმა, რომელსაც ჯემალ ცეცხლაძე მოგვიყვა: "ნენეჲ გვეტყოდა — ზემ ზღვაში ჩევდა (დაგვიანდა, დაღამდა — მ.ხ.), აქამდე რატუმ არ მოითო? მე მიკვირდა, აქა, (ფაცაში) ზეჲ თაში ჩადის. ქობულეთში რუმ ჩამუედი, ვნახე, ზეჲ ზღვაში ჩევდა..." (ჯემალ ცეცხლაძე, ფაცა).

ქობულეთელ "ჩვენებურთა" ყოფისა და მეტყველების სათანადო შესწავლა ბევრ საინტერესო ფაქტს გამოავლენს საქართველოს ეთნოგრაფიისა და დიალექტოლოგიისათვის. ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების სათანადო ანალიზი მნიშვნელოვანი მასალაა ქობულეთური მეტყველების ცალკე კილოკავად გამოყოფისათვის.

დამოწმებული ლიტერატურა

ნ. მგელაძე, მ. ფაღავა, 1998 - ნ. მგელაძე, მ. ფაღავა, -ფხე//ხე- სუფიქსის ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები: ბსუ შრომები, 2, ბათუმი, 1998.

შ. ნიჟარაძე, 1975 - შ. ნიჟარაძე, აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1975.

ჯ. ნოლაიდელი, 1981 - ჯ. ნოლაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, 7, ბათუმი, 1981.

მ. ფაღავა, 1993 - მ. ფაღავა, ენობრივი სიტუაცია სამხრეთ საქართველოში და სამხრული მეტყველების დიალექტური შედგენილობის საკითხი: ბსუ შრომები 5, ბათუმი, 2003.

შ. ფუტკარაძე, 1993 - შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

ზ. ჭიჭინაძე, 1913 - ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913.

ბ. ჯორბენაძე, 1989 - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბ., 1989.

MZIA KHAKHUTASHVILI

MUHAJIRS OF KOBULETI IN TURKEY

After the end of the Russo-Turkish war of 1877-78 the Muslim population of Georga was forced to leave their homes and settle in the neighboring Turkish territories for good. From the two thousand residents of Kobuleti only five hundred were left. As for the nearby villages they were made to lay waste as their population had been expelled completely. Muhajirs of Kobuleti seem to have settled on the low lands close to the sea. The descendants of these people presently live in Giresun, Patsa, Ordu, Pershembe, Unie, Samsun and Sinop.

In the strange land Mujahirs' love of the fatherland and their language had become compounded with homesickness and begun to take special care of their native language and folklore. They manage to instill their children the care to preserve the centuries-long rites and traditions of the fatherland. To guard themselves from mingling with the foreign culture they chose their native language as the fulcrum for the survival. A great part of the population has good command of Georgian even to these days.

During the field practice in Patsa and in nearby villages I managed to record folklore, historical and ethnographic materials.

The observation on the speech of the people whose ancestors were exiled from Kobuleti revealed interesting materials for the evaluation of the language situation. Their speech has undergone relatively faint influence of the Turkish language. Besides, it has preserved many traits that has been lost in Modern Georgian, particularly, some semantics of the known words and phrases.

The speech of the descendants' of the Kobuleti Muhajirs provides considerable material to class it as a separate sub-dialect of Achara dialect of the Georgian language.

რეცენზია

ახლებური წიგნი აფხაზეთზე

დავიწყებთ იმით, რომ წიგნი (ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი. — აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, გამომცემლობა "ინტელექტი", 2007, 377 გვერდი. სარედაქციო კოლეგია: პროფ. ჯემალ გამახარია (მთავარი რედაქტორი), პროფ. თამაზ ბერაძე, პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე. რეცენზენტები: პროფესორები ოთარ ჟორდანია, მანანა სანაძე, ტარიელ ფუტკარაძე), რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი, დიდი ხნის წინ უნდა დაწერილიყო. სამწუხაროდ, საქართველოს ძირძველი კუთხის - აფხაზეთის მართალ ისტორიას მხოლოდ დღეს წაიკითხავს ამ მომენტისათვის უაფხაზეთოდ დარჩენილი და გულგაგლეჯილი საქართველო. მაგრამ მაინც არის ნუგეში: "სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა", სიმართლე მაინც ითქვა; ამ წიგნით დაიწყო სამეცნიერო საფუძვლების მომზადება აფხაზეთის სამართლებრივი გზით დასაბრუნებლად. ამ წიგნით პასუხი უნდა გასცემოდა კითხვათა მთელ რიგს: რა დავკარგეთ? რატომ დავკარგეთ და როგორ დავკარგეთ? ეს იყო წინამდებარე ნაშრომის შემდგენელთა და სარედაქციო კოლექტივის მთავარი ამოცანა, რომელიც წარმატებით გადაიჭრა.

XX საუკუნის საქართველოში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ პოლიტიკური შეცდომების მიზეზი ხშირად იყო წარსულის გაკვეთილების გაუთვალისწინებლობა. ერთსა და იმავე ქვაკუთხედს სულ უფრო და უფრო ხშირად წამოვკრავდით ხოლმე ფეხს და ერთსა და იმავე ტყუილს კვლავ და კვლავ სიმართლედ მივიჩნევდით. უნდა ითქვას ისიც, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა წარმომადგენლები ვერ აუდიოდნენ იმ უზარმაზარი ინფორმაციის შეკრება-გაანალიზებას, რომელიც ისტორიამ შემოინახა და ქაოტურ გროვებად შეაქუჩა. თავისებურ პრობლემას წარმოადგენდა ისიც, რომ ე.წ. ახალი ისტორიოგრაფიის, ეთნოლოგიისა და ლინგვისტიკის სამეცნიერო სკოლების შემოქმედებითი აქტივობის პერიოდში საქართველოს დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობა აღარ მისცემია და შესაბამისად, პოლიტიკურად აქტუალური თემების დამუშავებას მუდმივად სდევდა იმპერიული სპეცსამსახურების ყოვლისმჭვრეტელი მზერა. მიუხედავად ამისა, ქართულმა ისტორიოგრაფიამ, ეთნოლოგიამ და ლინგვისტიკამ (სხვა ჰუმანიტარულ დარგებთან ერთად) ტიტანური შრომა გასწია, უამრავ მნიშვნელოვან დეტალს მიაკვლია და სწორი შეფასებაც მისცა. თამამად შეიძლება თქმა, რომ მეოცე საუკუნის სამეცნიერო სკოლებმა მყარი აკადემიური საფუძვლები შექმნეს იმისათვის, რომ საქართველო არც დღეს ჩამორჩეს მსოფლიო სტანდარტებს და უახლესი სამეცნიერო მეთოდოლოგიების გამოყენებით ახლად აღმოჩენილი ფაქტებისა თუ ახლებურად წაკითხული ძველი მასალების ბაზაზე შექმნას თანამედროვე ტიპის მონოგრაფიები. არა ერთხელ აღნიშნულა, და ჩვენც გავიმეორებთ, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე მწვავე მომენტებში აღმოჩნდებოდა, რომ სამეცნიერო კომენტარი და რეკომენდაცია ვერ "უსწრებდა" დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას, მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება თუ პოლიტიკური გეგმა სათანადო სამეცნიერო ინფორმაციის გაუთვალისწინებლად (ან იმიტომ, რომ ამგვარი ინფორმაცია არ იყო დამუშავებული, ან იმიტომ,

რომ პოლიტიკოსები ვერ ხვდებოდნენ ამგვარი ინფორმაციის გათვალისწინების საჭიროებას) ფორმდებოდა, და მხოლოდ მოგვიანებით აღმოჩნდებოდა, რომ საკითხი ბოლომდე არ იქნა გააზრებული.

როგორც უკვე ითქვა, წიგნი, რომლის გამოც ეს მოსაზრებები აღგვეძრა, საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კუთხეს აფხაზეთს ეძღვნება. თავად იდეა, რომ საქართველოს ისტორია კუთხეების მიხედვითაც აღიწეროს, მშვენიერია, რადგან ის დიდი ცოდნა, რომელიც ცალკეულ პერიოდთან დაკავშირებით დაგროვდა, მოითხოვს გამთლიანებას, სურათის თავიდან ბოლომდე დანახვას. იმედია, ამგვარი წიგნები საქართველოს სხვა კუთხეების შესახებაც მომზადდება. ეს წიგნი ცხადყოფს, თუ რაოდენ ერთიანია ქართველი ხალხის ისტორია, როგორ ეხმიანება საქართველოს ზღვისპირეთის ეს უმშვენიერესი რეგიონი ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეებში ხდება, და რაოდენ ძლიერია ქართველთა ეროვნული თვითშეგნება ამ გეოგრაფიულ სივრცეში, რომელიც მისი გეოპოლიტიკური თავისებურებების გამო ძალიან ხშირად აღმოჩნდებოდა ხოლმე სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკური ინტერესების არეალში. ასეთი მრავალწახნაგოვანი და ინფორმაციულად დატვირთული წიგნის საამედოობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ წიგნი გუნდური მუშაობის ნაყოფია, მას ქმნიდნენ ადამიანები, რომლებიც თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან თავიანთი პროფესიისა, ყოველი მათგანი შეიძლება ჩაითვალოს ექსპერტად იმ საკითხებსა და პერიოდებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც წერენ. ყველას, ვისაც სამეცნიერო კვლევასთან აქვს საქმე, ესმის, რომ ცალკეული საკითხის დამუშავების სირთულეს არაფრით ჩამორჩება ის სირთულე, რომელიც ახლავს სხვადასხვა ავტორის მიერ დამუშავებული ნაწილების გამთლიანებას. ეს სირთულეც შესანიშნავადაა გადალახული. აი, როგორია წიგნში წარმოდგენილი თემატიკა: ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა (თამაზ ბერაძე, ბეჟან ხორავა); წინარეანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე (მალხაზ ბარამიძე, გურანდა ფხაკაძე); თანამედროვე აფხაზეთის მიწა-წყალი — ძველი ეგრისის (კოლხეთის) შემადგენლობაში ძვ. წ. I საუკუნემდე (ჯემალ გამახარია); თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია I საუკუნიდან VIII საუკუნის შუა ხანებამდე (ჯემალ გამახარია); აფხაზეთი "აფხაზთა სამეფოს" შემადგენლობაში. VIII ს. მეორე ნახევარი — X ს. (ლია ახალაძე); აფხაზეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრება (რევაზ ხვისტანი); თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში. XI-XV სს.(ლია ახალაძე, თამაზ ბერაძე); თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVI საუკუნეში (თამაზ ბერაძე); თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVII საუკუნეში (კობა ოკუჯავა); ანთროპოლოგიური მონაცემები აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხისათვის (ლია ბითაძე); აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები (თეიმურაზ გვანცელაძე); აფხაზეთი XVIII საუკუნის დასაწყისიდან 80-იან წლებამდე (ბეჟან ხორავა); აფხაზეთი XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგს. აფხაზეთის შესვლა რუსეთის "მფარველობაში" (ბეჟან ხორავა); აფხაზეთი 1810-1880 წლებში (ბეჟან ხორავა); აფხაზეთი 1881 წლიდან 1917 წლის თებერვლამდე (ირაკლი გელენავა); აფხაზეთი — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში (ჯემალ გამახარია); აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში 1931-1937 წწ. (ჯემალ გამახარია); აფხაზეთი

საბჭოთა სოციალიზმის ეპოქაში. 1938-1990 წწ. (ჯემალ გამახარია); აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში. 1990-1992 წწ. (დაზმირ ჯოჯუა); აფხაზეთი 1992-2007 წლებში (დაზმირ ჯოჯუა); ძველი რუკები საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრების შესახებ (ბადრი გოგია).

წიგნში არგუმენტირებულადაა გაბათილებული ის მცდარი და, ხშირად მიზანმიმართული სიცრუე, რომლითაც ჩვენი ტერიტორიების მიტაცებით დაინტერესებულ მხარეებს ფრაგმენტ-ფრაგმენტ გაყალბებული ისტორია უნდა შეექმნათ და საბოლოო ჯამში დასავლეთ საქართველოს აფხაზეთის რეგიონში ქართული მატერიალური კულტურა არაქართული წარმოშობისად გამოეცხადებინათ. ამ რიგისაა, მაგ., სეპარატისტული მეცნიერების წარმომადგენელთა მცდელობა, რომ რკინის მეტალურგიის აფხაზეთში შემოსვლა, გავრცელება ჩრდილოელი სკვითური ეთნოსის გავლენით ახსნან. ეს შეხედულება დამაჯერებლადაა გაბათილებული მ. ბარამიძისა და გ. ფხაკაძის მიერ. ასევე, წყაროთა გამოწვლილვითი ანალიზის საფუძველზე ჯ. გამახარია და თ. გვანცელაძე ცხადყოფენ, რომ დასავლეთ საქართველოში არავითარი წინარე აფხაზურ-ადიღურ ტომთა მოსახლეობა არ დასტურდება და "ძვ. წ. VI-I საუკუნეებში აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე ეთნოპოლიტიკური ხასიათის ცვლილებები არ მომხდარა, იგი კვლავ ქართულ რეგიონად რჩებოდა." წიგნში კრიტიკულადაა განხილული ის მეცნიერული თუ ფსევდომეცნიერული თეორიები, რომლებითაც დასავლეთ საქართველოს მკვიდრი კულტურა ქართველთა მიერ კი არა, აფხაზურ-ჩერქეზულ ენოვანი ხალხის მიერაა შექმნილი. ჯ. გამახარია (ისევე როგორც სხვა დანარჩენი ავტორები) ხელახლა უბრუნდება სპეციალისტების მიერ უკვე მრავალგზის განხილულ ბერძნულ-რომაულ წყაროებს, ერთმანეთს უდარებს დედანსა და თარგმანს, პოულობს წინააღმდეგობებს და ეძებს ახსნას. ნათლად წარმოაჩენს, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიის არაქართულ მიწად, ხოლო მისი ქართული მოსახლეობის არამკვიდრად გამოცხადების პოლიტიკა XX საუკუნეში განსაკუთრებული სიმკვეთრით იწყება. მისასალმებელია პ. ინგოროყვას სამეცნიერო ღვაწლის ერთგვარი რეაბილიტაცია იმის ჩვენებით, თუ როგორ ედებოდა საფუძვლად სამეცნიერო ინტრიგა პოლიტიკურს. მოვიხმობთ წიგნიდან ერთ მსჯელობას: "XX საუკუნის 50-60 წლებიდან აქტიურად მუშავდებოდა აფხაზთა სამხრეთული წარმოშობის თეორია, რაც დაკავშირებული იყო პ. ინგოროყვას ფუნდამენტური ნაშრომის — "გიორგი მერჩულეს" (თბ., 1954) ოფიციალურ დაგმობასთან. მასში დასაბუთებულია აფსუა-აფხაზთა ჩრდილოკავკასიური წარმოშობისა და გვიან შუა საუკუნეებში სამეგრელოს სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ჩამოსახლების... ადრეც არსებული თეორია. ამის გამო აღელვებული აფხაზური საზოგადოების დაშოშმინების მიზნით, და ასევე პოლიტიკური მოტივებით, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა (რომლის განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა ისტორიული მეცნიერება) 1956 წლის 10 ივლისის დადგენილებით ქართველები აფხაზთა (ასევე ოსთა და სომეხთა) ეროვნული კულტურის ვითომ ლიკვიდაციისა და ასიმილაციის მცდელობაში დაადანაშაულა. "ბრალდება" აღიარეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა (1956 წლის 6-8 აგვისტო) და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის (1956 წლის 16 აგვისტო) პლენუმებმა. არარსებული "ქართული

შოვინიზმის", აფხაზთა ეროვნულ-კულტურული "ჩაგვრის" დაგმობამ გზა გაუხსნა ისტორიოგრაფიაში პ. ინგოროყვას საპირისპირო ვარაუდების, მათ შორის აფხაზთა სამხრეთული წარმოშობის კონცეფციის დამკვიდრებას" (გვ. 33).

წიგნში აღწერილია აფხაზეთის ისტორიის აფსუათათვის გადაბარების მთელი მიმდევრობა, და ეს ფრაგმენტები, რომელთაც ბოლოს ცრუისტორია შეადგინეს, უაღრესად საინტერესო ჩანს სოციალურ მეცნიერებათა პოზიციიდან იმის დასანახად, თუ როგორ იყო აგებული საბჭოური სამეცნიერო დემაგოგია: ჯერ შეისწავლებოდა რეალური ფაქტი, მერე ბევრ მართალში ერთი-ორი ყალბი მოსაზრება "შეიპარებოდა", შემდეგ ამ ყალბი ფრაზის ციტირებისა და გაფართოების "სამუშაო" შესრულდებოდა, მომდევნო ეტაპზე ამ ყალბი ფრაზიდან ამოსვლით შეფასდებოდა ის სიმართლე, რომელიც რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით იყო გამოთქმული ადრე...

სამეცნიერო კვლევის მეთოდები ხშირად იცვლება და ამ ცვლის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ჯერჯერობით არც ერთი მეთოდის მიჩნევა არ შეიძლება უნივერსალურად. მეცნიერება მუდმივ მოძრაობაშია, და ჭეშმარიტებები ცოდნის იმ დონეზე იქმნება, რომელსაც ვფლობთ, მაგრამ ახალ ფაქტებს ახალი ჭეშმარიტებები მოსდევს. ეს წიგნი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მთელი რიგი სადავო საკითხების ქრონოლოგიური და ფაქტობრივი სკრუპულოზურობით აღდგენის წყალობით ბევრი მეცნიერის კეთილსინდისიერ და თავდადებულ ღვაწლს, მიჩქმალულს, და ხშირად აფხაზეთის მიტაცების მიზნითა და საბჭოური ცენზურით დევნილსაც, დაუბრუნდა კუთვნილი ადგილი, ეს წიგნი იმედს იძლევა, რომ საბოლოო ჯამში სამართალი იზეიმებს, არაფერი არ იქნება დავიწყებული და ცალკეული დეტალი, პატიოსნად შესწავლილი და შეფასებული, საერთო მოზაიკაში იმ ადგილს დაიკავებს, რომელიც ამ მოზაიკური სურათის სისრულისათვის აუცილებლადაა შესავსები.

წიგნში დამუშავებულია დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის ბოლო წლებში გამოქვეყნებული და ჩვენი სამეცნიერო ბიბლიოთეკებისა თუ მაღაზიათა ქსელის "თავისებურებების" გამო ხშირად სპეციალისტებისათვისაც კი შეუმჩნევლად დარჩენილი; დაძებნილია ცალკეულ სტატიებსა თუ სამეცნიერო კონფერენციათა თეზისებში გაფანტული უაღრესად საინტერესო დაკვირვებები და მიგნებები. ეს სამეცნიერო ცოდნა თავმოყრილი და სისტემატიზებულია საკვლევი თემის ამოცანების შესაბამისად და მონოგრაფიას არა მხოლოდ საუკეთესო საავტორო გუნდის შემოქმედების ნაყოფად წარმოგვიდგენს, არამედ აფხაზეთის ისტორიულ-საენათმეცნიერო დახასიათების მოწადინე სამეცნიერო თაობების ნაღვაწადაც. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი დიდი მოაზროვნეები ამას ელოდნენ შთამომავლობისაგან, ელოდნენ, რომ მათ მიერ დასმული და დანახული საკითხები, მათ მიერ ფართო სამოქმედო გეგმად დასახული, მომდევნო თაობებისათვის ის საფუძველი იქნებოდა, რომელზეც ისინი ააგებდნენ თავიანთ საქმიანობას, შეავსებდნენ და დააზუსტებდნენ ფაქტებს, წინაპართაგან გაკვალული გზით ნაბიჯ-ნაბიჯ გაჰყვებოდნენ სამეცნიერო პროცესს და მუდამ თანამედროვე და პროგრესული თვალით შეხედავდნენ მეცნიერებას.

წინამდებარე წიგნში თ. ბერაძე წარმოაჩენს აფხაზეთის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, მის საერთაშორისო დატვირთვას ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში, საუკეთესოდაა ნაჩვენები შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს მმართველთა ფრთხილი დიპლომატია და პოლიტიკური მანევრირება უაღრესად

რთულ "სამეზობლო" ურთიერთობებში (ბიზანტია, თურქეთი, რუსეთი), ამ პოლიტიკამ საბოლოო ჯამში საქართველო და მისი უძვირფასესი ნაწილი — აფხაზეთი მეოცე საუკუნის ბოლომდე მოიყვანა. ნაშრომში წარმოდგენილია, და კრიტიკულად განხილულია, უცხოელ მოგზაურთა და მოღვაწეთა ცნობები აფხაზეთის შესახებ.

მეტად მნიშვნელოვანია წიგნის ის ნაწილი, რომელშიც ნაჩვენებია, რომ ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი დიდძალი ქართული ეპიგრაფიკული მასალა (წარწერები) თვალნათლივ ასახავს ამ რეგიონში ქართველთა ბინადრობას მთელი შუა საუკუნეების მანძილზე (ავტორი — ლია ახალაძე). გარკვეულია, რომ წარწერებში სრულებით არ მოიხსენიებიან ეკლესია-მონასტრების მშენებლობისა თუ შეკეთების აფხაზი (აფსუა) ქტიტორები ან შემსრულებელი ოსტატები, არ დასტურდება არც ერთი აფხაზური (აფსუური) გვარი. მეტიც, რეგიონის მრავალრიცხოვანი წარწერების შინაარსიც და მათი გრაფიკული თავისებურებანიც ცხადყოფენ აქაური მოსახლეობის უმჭიდროეს კავშირს დანარჩენი საქართველოს უეთნო-დემოგრაფიულ, სოციალურ, ენობრივ და კულტურულ-იდეოლოგიურ სამყაროსთან. განსაკუთრებით ფასეულია ლ. ახალაძის დასაბუთებული დასკვნა, რომლის თანახმადაც, რეგიონის ქართული მოსახლეობა ხშირად იყო ინიციატორი მრავალი ქართული კულტურული სიახლისა. მაგალითად, ძველქართული დამწერლობის ერთ-ერთი სახეობა სწორედ აქ, ამჟამინდელ აფხაზეთში შექმნილა და შემდგომ საყოველთაოდ გავრცელებულა მთელ საქართველოში.

უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე მონოგრაფიის ავტორები ხშირად მიმართავენ ლინგვისტურ საკითხებს, როგორც განსაკუთრებულად აქცენტირებულს აფხაზეთის ისტორიის პრობლემებთან დაკავშირებით ერთმანეთთან მკვეთრად დაპირისპირებულ სამეცნიერო თვალსაზრისებში. ისტორიკოსები საენათმეცნიერო მსჯელობას და საკუთარ სახელთა (ტოპონიმთა, ჰიდრონიმთა, ანთროპონიმთა და სხვ.) თუ აპელატიურ (მეტადრე დარგობრივ და სოციალურ) ტერმინთა ეტიმოლოგიურ ვერსიებში საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ავტოქთონი მოსახლეობის ეთნიკურ-ენობრივი წარმომავლობის დადგენას ცდილობენ. ამ საკითხებზე საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება მეთერთმეტე თავში — "აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები" (თეიმურაზ გვანცელაძე);

სამეცნიერო ნაშრომებში მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე მუშაობდა თვალსაზრისი, რომ "დასავლეთ საქართველო თავდაპირველად დასახლებული იყო აფხაზთა, აბაზათა, ადიღელთა, ყაბარდოელთა და უბიხთა საერთო წინაპარი ტომებით (წინარეაფხაზურ-ადიღური ეთნოსით)" და რომ ქართული მოსახლეობა არ ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში და მეგრულ და სვანურ მეტყველებებს წინ უსწრებდა აფხაზურ-ადიღური, უბიხური და ჩერქეზული ენები. ამ მოსაზრებას ამაგრებდნენ რამდენიმე ტიპის ტოპონიმითა და ერთი-ორი ეთნონიმის თავისებური ეტიმოლოგიით. ცხადია, ყველა სამეცნიერო ძიებას არსებობის უფლება აქვს, მაგრამ ისეთი თვალსაზრისები, რომელნიც კონკრეტულ ტერიტორიაზე ავტოქთონი მოსახლეობის დადგენას ეხება (ხოლო ამ დადგენამ შესაძლოა თანამედროვე პოლიტიკური და სამხედრო მოქმედებებისათვის იდეოლოგიური საფუძვლები მოამზადოს), დიდი სიფრთხილით უნდა იქნეს მიღებული და მრავალგზის გადამოწმებული. თ. გვანცელაძის წინამდებარე

კვლევაში კრიტიკულადაა განხილული ის არგუმენტები, რომლებიც ნ. მარის მიერ გამოითქვა მეოცე საუკუნის პირველ მესამედში, და რომელსაც ამა თუ იმ კონტექსტში იმეორებდნენ და დამატებით "საბუთებს" უძებნიდნენ მთელი XX საუკუნის განმავლობაში. სარეცენზიო წიგნში უდავოდ ანგარიშგასაწევი საბუთებია მოტანილი ნ. მარისა და ამ საკითხში მის მიმდევართა ხსენებული თვალსაზრისის საპირისპიროდ და ნაჩვენებია, რომ "**XVI** საუკუნემდე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში არასოდეს უცხოვრიათ აფხაზთა წინაპრებს, რომ არაფერი ვთქვათ ჩერქეზ-უბიხთა წინაპრებზე," ამის დასტურად ავტორი მიუთითებს წერილობით, ლინგვისტურ და კარტოგრაფიულ ცნობებზე. ამ რიგისაა, მაგ., ტერმინ "აფხაზის" ურთიერთობა სხვა ფუძეებთან ("აფხაზი", "აფსუა", "აბაზა", "აბასგი" "აფსილი"//"აფშელი", "აფსარი"). ავტორი საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბებამდე მიმოიხილავს ადრე გამოთქმულ თვალსაზრისებს და შეფასებას აძლევს ყოველ მათგანს; ქართველური სუბსტრატი აფხაზურ ენაში საგანგებოდაა განხილული ქრისტიანული ტერმინების მიხედვით, ამ მსჯელობას ავტორი საინტერესო დასკვნამდე მიჰყავს: "აფხაზთა წინაპრებს ქრისტიანული ტერმინოლოგია დასჭირვებიათ X-XI საუკუნეებიდან XVII საუკუნემდე, ე.ი. X საუკუნემდე მაინც ისინი ქრისტიანები არ ყოფილან; ბ) აფხაზებს ქრისტიანობა ბერძნებისაგან კი არა, ქართველებისაგან მიუღიათ და ქრისტიანულ ტერმინებსაც (მათ შორის ბერძნული წარმოშობისასაც) ქართველურ ენა-კილოთაგან ითვისებდნენ; გ) თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე აფშილები და აბასგები ამჟამინდელ აფხაზთა და აბაზათა წინაპრები არ ყოფილან. ქართველური ან ქართველიზებული საკულტო ლექსიკით გადმოიცემა ძირითადი ქრისტიანული ცნებები: ჯვარი, ქრისტე, ქრისტეშობა, ბზობა და სხვ. აფხაზურ ენაში თითქმის არ გამოიყენება ბიბლეიზმები და აფხაზეთში არ გვხვდება არც ერთი აფხაზური ტოპონიმი, რომელიმე ქრისტიანული ცნების ან წმინდანის სახელთან რომ იყოს დაკავშირებული". საბუთთა შორის განსაკუთრებით საინტერესოა ზღვაოსნობისა და მეთევზეობის ტერმინები აფხაზურში, რომლებიც ოდენ ქართულიდანაა აღებული, ადგილობრივი, ქართული წარმოშობისაა სხვა დარგობრივი ტერმინებიც და სხვ.

კრებულის სხვადასხვა ნაწილში გამოტანილ დასკვნებს იმის შესახებ, რომ აფხაზი ხალხის ამჟამინდელი სახის ჩამოყალიბების პროცესში დიდი როლი ითამაშა თანამედროვე აფხაზეთის მიწაზე ძველთაგანვე მობინადრე ქართულმა მოსახლეობამ, რომელსაც შეერივნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან XVI საუკუნიდან მოსულნი, ძალზე დამაჯერებელს ხდის ანთროპოლოგიური მონაცემების ობიექტური კვლევის შედეგები, რომლებიც წარმოდგენილია ლია ბითაძის ნაშრომში. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ამჟამინდელი აფხაზები ანთროპოლოგიური მახასიათებლებით მეტად ახლოს დგანან, ერთი მხრივ, აბაზებთან, ადიღელებთან და ყაბარდოელებთან, მეორე მხრივ კი — დასავლელ ქართველებთან (მეგრელებთან, იმერლებთან, გურულებთან, აჭარლებთან...).

წიგნის განსაკუთრებულ ღირსებად მიგვაჩნია ის, რომ აქ თავმოყრილია მასალა და ანალიზი აფხაზეთის ტერიტორიის წარსულისა და აწმყოს შესახებ. ხაზგასმულია ისიც, რომ თანამედროვე აფხაზეთი არ მოიცავს ამ ტერმინის ქვეშ ისტორიულად ნაგულისხმევ რეალურ ტერიტორიას. და, რომ ამ სახელწოდებასთან დაკავშირებით დაშვებული მრავალი სამეცნიერო, და პოლიტიკურიც, შეცდომა სწორედ ამის გაუთვალისწინებლობის შედეგია. რაც

უფრო მოვიწევთ თანამედროვეობისაკენ, მით უფრო ცხადი ხდება, რატომ უნდა დასჭირვებოდა მტერს ისტორიის გაყალბება, რატომ გაჩნდა ბოლოდროინდელი სიყალბეები. აფხაზეთის პოლიტიკური ცხოვრება XVIII საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 80-იან წლებამდე ბ. ხორავას აქვს აღწერილი. აქ ნათლად ჩანს ის თანამიმდევრული აგრესიული პოლიტიკა, რომელიც რუსეთმა უკვე XIX ს-ის დასაწყისში ჩაიფიქრა და თავისი შორეული მიზნის — საქართველოსათვის ზღვისპირეთის წართმევის — განხორციელებას შეუდგა. ეს მონაკვეთი ცხადყოფს, როგორ გადაიქცა რუსეთის წინააღმდეგ თავგანწირვით მებრძოლი აფხაზი (აფსუა) ხალხი (1821, 1824, 1839-40, 1866, 1877-78 წლების ანტირუსული აჯანყებები, რუსეთის სადამსჯელო ექსპედიციები, ადმინისტრაციული რეჟიმები და სხვ.) რუსეთის პოლიტიკის დასაყრდენად.

როგორც არაერთგზის აღნიშნავენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები, თანამედროვე ჰუმანიტარულ დარგებს ერთი დიდი თავსატეხი აქვს: ინფორმაციულ ზღვაში ძნელია მთელი მასალის ფუნდამენტური დამუშავება და ძველი ჭეშმარიტებების ახალი ცოდნის კონტექსტში ხელახლა გადამოწმება. ამიტომ ხშირად, დიდი ავტორიტეტების დებულებები ამ დებულებათა შექმნისა და იმდროინდელი ცოდნის კონტექსტის გაუთვალისწინებლად აიღება და უდავო პოსტულატად ედება რომელიმე საკითხს. ამიტომ ხშირად აიგება ზოგჯერ სრულიად ლოგიკური მსჯელობა, მაგრამ დაფუძნებული მცდარ ამოსავალ პოსტულატზე, ეს კი, ცხადია, სწორ დასკვნამდე ვერ მიგვიყვანს.

მანანა ტაბიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ამირან ლომთაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ტექნიკური რედაქტორი: მალხაზ დოგრაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ქეთევან ბაძრაძე

კრებული გამოსაცემად მომზადდა: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში